მალხაზ სიორიძე

სამხრეთ-დასავლეთი საქართველო 1914-1918 წლებში

(სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება)

ს.ს. „გამოცემლობა აჭარა“
ბათუმი – 2002

ნაშრომში კომპლექსურადაა შესწავლილი პირველი მსოფლიო ომის დროინდელი ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს კუთხეების სოციალურ-ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ვითარება. გაანალიზებულია ომამდელი და ომის პერიოდის საქალაქო ცხოვრება, ჭოროხის აუზის სამთო-მეტალურგიული მრეწველობა, სოფლის მეურნეობის და ეკონომიკის სხვა დარგები. ახალი საარქივო მასალების საფუძველზე წარმოჩენილია ის ცვლილებები და თავისებურებები, რაც გამოიწვია ამ მხარის ომის არენად გადაქცევამ, რუსეთში განვითარებულმა რევოლუციურმა პროცესებმა და ოსმალურმა ოკუპაციამ.

წიგნი განკუთვნილია ისტორიკოსების, სტუდენტებისა და შესაბამისი საკითხებით დაინტერესებული მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ილია ტაბაღუა

რეცენზენტები: — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იური სიხარულიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე ბენდიანიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვახტანგ ბურული

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი აეთანდილ სონღულაშვილი

© ს. ს. „გამომცემლობა აჭარა“ – 2002

ქუძლენი მოძღვრისა და მასწავლებლის,
პროფესორ აბელ სურგულაძის ნათელ ხსოვნას

შესავალი

ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ბედუკუღმართობის გამო ეროვნული სხეულისაგან ხანგრძლივი დროით მოწყვეტილი ერცელი ტერიტორიაა, რომელსაც სულმნათმა ილია ჭავჭავაძემ პირობითად უწოდა „ოსმალოს საქართველო". ამდენად, ჩვენი შესწავლის ობიექტია არა მარტო რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომის შედეგად დედასამშობლო საქართველოსთან დაბრუნებული ბათუმის, არტაანის და ყარსის ოლქები, არამედ მათთან სისხლსორცეულად დაკავშირებული და უფრო ადრე შემოერთებული სამცხე-ჯავახეთიც.

გამოკვლევაში ვეხებით გურიასაც, რომელიც, ასევე, მჭიდროდ იყო დაკავშირებული მეზობელ აჭარა-ქობულეთთან და, საერთოდ, „სამუსლიმანო საქართველოში" მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებთან.

ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ფარგლებში განვიხილავთ, აგრეთვე, თანამედროვე თურქეთის სახელმწიფო საზღვრებში მოქცეულ ჭანეთს (ლაზეთს). იგი ცალკე სანჯაყის (ოლქის) სახით შედიოდა ტრაპიზონის ვილაიეთში და ეკავა ერცელი ტერიტორია სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში.

აღნიშნული დასავლეთი და სამხრეთი ქართული ტერიტორიების შემაკავშირებელი ოდითგანვე იყო ჭოროხის აუზი (მდ. ჭოროხის სიგრძეა-438 კმ., აუზის საერთო ფარ-

თობი - 22 ათასი კვ.კმ.), რომელიც ერთიან სტრატეგიულ და ეკონომიკურ სივრცედ კრავდა სამუსლიმანო საქართველოს[1].

საკვლევი თემის აქტუალობას განსაზღვრავს, ერთი მხრივ, აღნიშნული ტერიტორიული სივრცე. მეორე მხრივ ის, რომ პირველი მსოფლიო ომის პერიოდი მთლიანობაში დღემდე შეუსწავლელია ქართულ ისტორიოგრაფიაში. მხოლოდ 1917-1918 წწ. ზოგიერთი საკითხია წარმოჩენილი და ისიც უმთავრესად არადამაკმაყოფილებლად, რადგან ავტორები ძირითადად აჭარის ისტორიის კელვეით იფარგლებოდნენ. ამდენად, 1914-1918 წწ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საკვანძო პრობლემების ერთიანად მეცნიერული შესწავლის გარეშე შეუძლებელია სრულყოფილად გამუქდეს აღნიშნული პერიოდის საქართველოს ისტორია.

ნაშრომში შესწავლილია შემდეგი პრობლემური საკითხები:

1. ომამდელი და ომისდროინდელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და საქალაქო ცხოვრება, სამთო-მეტალურგიული მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება.

2. გარკვეულია მეომარ სახელმწიფოთა გეგმებში „სამუსლიმანო საქართველოს" ადგილი და წარმოჩენილია ფრონტის ამ მონაკვეთზე წარმოებული საბრძოლო ოპერაციები.

3. განხილულია ემიგრანტული „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისა" და მისი ლეგიონის საქმიანობა და გამორკვეულია მათდამი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მკვიდრთა დამოკიდებულების საკითხი, დადგენილია მათი წვლილი ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლის საქმეში.

---

1 **Марр Н.**, Батум, Ардаган, Карс исторический узел межнациональных отношений Кавказа, Пг., 1922, с.10.

4. გაანალიზებულია რუსეთის იმპერიის მთავრობის მიერ ქართველ მაჰმადიანთა „მასობრივ სახელმწიფო ღალატში“ მსჯავრდების და რეპრესირების ნაკლებადცნობილი ფაქტები; განმარტებულია ხელისუფალთა მხრივ ამგვარი ბრალდების წამოყენების მოტივები.

5. ნაჩვენებია უსამართლოდ რეპრესირებული მაჰმადიანი თანამოძმეებისადმი ქართველი საზოგადოების თანადგომა, აგრეთვე, 1916 წლიდან სამუსლიმანო საქართველოში გაშლილი დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა და საერთოდ, ეროვნული გათვითცნობიერებისათვის ბრძოლის გააქტიურება.

6. შესწავლილია 1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის ლაზეთ-ტრაპიზონის მხარეში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალური ვითარება. გარკვეულია აქ მოქმედი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალების დამოკიდებულება მიმდინარე მოვლენებისადმი.

7. ახსნილია კავკასიის ფრონტის რღვევის მიზეზები და ამ ფონზე ნაჩვენებია რეგიონში გამწვავებული პოლიტიკური სიტუაცია.

8. ახლებურადაა გაანალიზებული და შეფასებული 1918 წ. მარტის ცნობილი მოვლენები ბათუმში, რომელიც საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიაში არაობიექტურად იყო წარმოჩენილი.

9. დაწვრილებითაა შესწავლილი 1918 წ. გაზაფხულზე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთვის წარმოებული დიპლომატიური და სამხედრო ღონისძიებები.

10. წარმოჩენილია 1918 წ. ოსმალთა ოკუპაციის შესახებ ისტორიოგრაფიაში ცნობილი და ნაკლებადცნობილი ფაქტები და მოვლენები; გამოვლენილია ოსმალეთ-გერმანიის ინტერესთა დაპირისპირება და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ღონისძიებები ოსმალ-

თა მიერ მიტაცებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიების დაბრუნებისათვის.

II. დასასრულ, შეჯამებულია პირველი მსოფლიო ომის და ოსმალური ოკუპაციის შედეგები, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში წარმოქმნილი რეგიონალური სეპარატიზმი და მისი თანმდევი პრობლემები.

ნაშრომი ძირითადად ეფუძნება საარქივო პირველწყაროებს, რომელთა ნაწილი პირველად შემოდის სამეცნიერო ბრუნვაში. ასევე ვეყრდნობით გამოქვეყნებული დოკუმენტების კრებულებს და იმდროინდელი პერიოდული პრესის მასალებს, მემუარულ და სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურას.

წიგნის გამოცემაში გულისხმიერი თანადგომისა და საქმიანი ხელშეწყობისათვის თავაზიან მადლობას მოვახსენებთ ს.ს. „გამომცემლობა აჭარის“ დირექტორს, ბ-ნ დავით თედორაძეს.

თავი I

წყაროები და ისტორიოგრაფია

§1. წყაროები

საარქივო მასალა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს 1914-1918 წლების ისტორიის შესახებ ძირითადი მასალა მოვიპოვეთ ***საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში (სცსსა).*** აქედან მნიშვნელოვანია მე-13 ფონდის „კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარია“ №№12,22,27,30 და 31-ე აღწერები. მათში დაცულია სხვადასხვა სახის მასალა ომისწინა და ომის პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, ჭოროხის აუზში სამთო-საძიებო სამუშაოების და სპილენძის წარმოების, რეგიონში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების, მოსახლეობის განწყობილების შესახებ და ა.შ. ამავე საკითხებზე მასალები გვხდება აგრეთვე ფონდებში: „ბათუმის ოლქში ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსის თანაშემწე“ (ფ.157), „თბილისის სასამართლო პალატის პროკურორი“ (ფ.114), „კავკასიის სამთო სამმართველო “ (ფ.264) და სხვ.

1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდგომ პერიოდში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში განვითარებული მოვლენების შესახებ საყურადღებო მასალებია დაცული ამავე არქივის ფონდებში: „ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი“ (ფ.2080), „ამიერკავკასიის დროებითი მთავრობა“ (ფ.1818), „ამიერკავკასიის დროებითი კომისარიატი“ (ფ.2081), „ამიერკავკასიის არმიის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სამხარეო კომიტეტი“ (ფ.1838), „ამიერკავკასიის სეიმი“ (ფ.1819), „საქართველოს პარლამენტი“ (ფ.1836), „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო“ (ფ.1864) და სხვა.

ბევრ საყურადღებო მასალას შეიცავს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არქივის ჰარვარდის უნივერსიტეტის მიკროფირების ფონდიც (**სცსსა ჰმფ**).

1914-1917 წლების სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა საკითხზე მრავალი მასალაა ***აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის (აცსა)*** ფონდებში: „ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის კანცელარია“ (ფ.1) და „ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერია-პოლიციის სამმართველოს უფროსის თანაშემწე ბათუმის ოლქში“ (ფ.3). ბათუმის საქალაქო მეურნეობის, განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები მოიპოვება „ქალაქის გამგეობის“ (ფ.6) და „საქალაქო სათათბიროს“ (ფ.7) ფონდებში. აქვეა მასალები კაპიტალური მშენებლობების, ბათუმის სავაჭრო პორტში გემების მიმოსვლის, ტვირთბრუნვის, აგრეთვე, სამხედრო ნავსადგურის შესახებ.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ გარკვეული მასალა მოვიძიეთ ქ. მოსკოვში, ***რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივში (АВПР)***. ფონდები: „საგარეო საქმეთა სამინისტროს კანცელარია“, „პოლიტარქივი“ და „საელჩო კონსტანტინოპოლში“ შეიცავენ რუსეთის დიპლომატების შეტყობინებებს ომისათვის ოსმალეთის მზადების, კავკასიის საზღვრისპირა რაიონებში ჯარების კონცენტრაციის, ოსმალთა აგენტურული საქმიანობის გაძლიერების და სხვ. შესახებ.

საკვლევი პრობლემის გარშემო საარქივო პირველწყაროებს შორის სათანადო ადგილი უკავია ***აჭარის სამუზეუმო გაერთიანების არქივს (ასგხფ),*** რომელშიც შედის როგორც ხელნაწერთა ფონდი, ისე ყოფილი საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქივის მასალები.

1917-1918 წლებში ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში განვითარებული რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების და მოვლენების შესახებ საყურადღებო მასალები მოვიძიეთ ***სამცხე-ჯავახეთის ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში (სჯმხფ).***

გამოქვეყნებული დოკუმენტები მნიშვნელოვანი წყარო იყო წინამდებარე ნაშრომისათვის. პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ფაქტობრივი მონაცემები, რომლებიც მოიპოვება შესაბამისი წლების „კავკასიის კალენდარში" და სტატისტიკურ კრებულებში[1]. მათი სხვა წყაროებთან შეჯერებით შევძელით წარმოგვეჩინა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მეთამბაქოეობის, ზეთისხილის, მეჩაიეობის და სხვა სასაქონლო დარგების განვითარება.

1917 წ. თებერვლის რევოლუციამდელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ დოკუმენტების მცირე ნაწილია გამოქვეყნებული. უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ა.ვაშაკიძის პუბლიკაცია და დოკუმენტური მასალა[2]. ამავე პერიოდს ეხება ალ.წერეთლის და ს.ესაძის პუბლიკაციებიც[3]. ამ უკანასკნელში დოკუმენტალურადაა ნაჩვენები თუ როგორ გეგმავდა რუსეთის ხელისუფლება კავკასიის ფრონტისპირა რაიონებში მცხოვრები მაპმადიანების აყრას და აქ რუსი კაზაკების ჩამოსახლებას.

შედარებით უხვადაა გამოქვეყნებული დოკუმენტური მასალა 1917-1918 წლების პერიოდზე. აღსანიშნავია, აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის თანამშრომელთა მიერ 1961 წ. რუსულ ენაზე გამოქვეყნებული კრებული[4]. მართალია, მასში დოკუმენტები საბჭოთა პერიოდის მოთხოვნათა მიხედვითაა წარმოდგენილი, მაგრამ ამ მასალებითაც იგი ანგარიშგასაწევი პირველწყარო იყო ჩვენი ნაშრომისათვის.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთან დაკავშირებული საგარეო-პოლიტიკური საკითხების გამორკვევისათვის მნიშვნელოვანი იყო 1919 წ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავ-

---

1 საქართველოს სტატისტიკური კრებული (1909-1921), ტფ., 1923; აჭარის ასსრ სტატისტიკური კრებული (1913-1923), ბათ., 1924.

2 ა.ვაშაკიძე, მუშათა კლასი საქართველოში (ბათუმის ოლქი) პირველი იმპერიალისტური ომის წლებში (1914-1917 წწ).-„საისტორიო მოამბე", თბ., 1978, №37-38, გვ. 177-250.

3 ალ. წერეთელი, ახლო წარსულის მასალები. ფრონტის და ზურგის განწყობილება საარქივო მასალების მიხედვით 1916 წლის მიწურულში. - „საქართველოს არქივი", თბ.,1927, წ.III, გვ.36-61; ს. ესაძე, ქურთთა საკითხი იმპერიალისტური ომის დროს 1914-1917 წლებში კავკასიის ფრონტზე - „საქართველოს არქივი", ტფ.,1927, წ.II,გვ. 72-94.

4 Борьба за победу Советской Власти в Аджарии. Документы и материалы (1917-1921 гг.), Бат., 1961.

რობის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტების კრებული[5]. იგივე ითქმის 1918 წ. გამოცემულ „ამიერკავკასიის სეიმის სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშების“ შესახებ, აგრეთვე, დოც. ნ.ზოსიძის მიერ ქართულ ენაზე გამოქვეყნებულ დოკუმენტების კრებულზე[6].

1918 წ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთან დაკავშირებულ ზოგიერთ დიპლომატიური ხასიათის დოკუმენტურ მასალას ვხვდებით მოსკოვსა და ერევანში საბჭოთა პერიოდში გამოცემულ დოკუმენტების კრებულებშიც[7].

უაღრესად საყურადღებოა ისტ. მეცნ. დოქტორის გ.ფიფიას მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტების კრებული[8]. მასში წარმოდგენილი მასალები, რომლებიც გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივიდანაა ამოღებული, დაგვეხმარა გერმანია-ოსმალეთს შორის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში არსებული წინააღმდეგობების და დაპირისპირების გარკვევაში.

საქართველოში გერმანიის პოლიტიკის შესახებ გარკვეულ ცნობებს შეიცავს მ.გაბრიჩიძის მიერ საბჭოთა საარქივო მასალების საფუძველზე გამოცემული კრებულიც[9].

1917-1918 წლების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შესახებ რიგ ახალ ცნობებს გვაწვდის ისტ. მეცნ. დოქტორების ა.სილაგაძის და ვ.გურულის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტების კრებული, რომელიც მემედ აბაშიძის 1917-1923 წლებში მოღვაწეობას ეხება[10].

---

5 Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тифл., 1919.
6 ტრაპიზონის საზავო კონფერენცია (დოკუმენტების კრებული), ბათ., 1998.

7 Документы внешней политики СССР, т. I, М., 1957; т. III, М., 1959; Международные отношения и внешняя политика СССР. Сборник документов (1871-1957), М., 1957; Из истории иностранной интервенции в Армении в 1918 году (Документы и материалы). сост. Х.А.Бадалян. Ереван, 1970.

8 Пипия Г.В., Политика Германии в Закавказье в 1918 году (Сборник документов), Тб., 1971.

9 გერმანელი ოკუპანტები საქართველოში 1918 წელს (დოკუმენტების და მასალების კრებული), თბ., 1942.

10 ა.სილაგაძე, ვ.გურული, საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან, ნაკვ. I, მემედ-ბეგ აბაშიძე, დოკუმენტები და მასალები (1917-1923), თბ., 1996.

უცხოეთში გამოცემული დოკუმენტების კრებულებიდან აღსანიშნავია გერმანიის იმპერიის საგარეო პოლიტიკის მრავალტომეული[11]. მასში საინტერესო მასალებია პირველი მსოფლიო ომის წინ ოსმალეთში გერმანიის გააქტიურების შესახებ, რაც დაგვეხმარა გაგვერკვია ანტირუსული განწყობილების ზრდის საფუძვლები ოსმალეთში და მისი ომისათვის მზადების პირობებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საკითხის წინ წამოწევა.

ომის პერიოდის გერმანია-ოსმალეთის ურთიერთობებზე და სხვა ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე გარკვეულ ცნობებს ვხვდებით ფრანგულ ენაზე გამოქვეყნებულ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დოკუმენტების კრებულში[12], რომელიც შეეხება ანტანტის ცალკეულ სახელმწიფოებთან სეპარატული ზავის გაფორმების მიზანშეწონილობას, რაც უკვე 1914 წ. შემოდგომიდან აქტიურად განიხილებოდა გერმანიის მმართველ წრეებში.

უცხოეთში გამოქვეყნებული დოკუმენტური მასალებიდან უაღრესად საყურადღებოა ავსტრიელი მკვლევარის ვ. ბილის 400-გვერდიანი ნაშრომი „ცენტრალური სახელმწიფოების კავკასიური პოლიტიკა (1914-1917 წწ.)"[13]. ეს წიგნი ფაქტობრივად არის დოკუმენტების კრებული, რომელშიც •ავტორს ავსტრიისა და გერმანიის არქივებიდან მოაქვს უამრავი საბუთი. ვ.ბილის ნაშრომი ძვირფასი წყაროა, აგრეთვე, 1914-1918 წლებში ემიგრაციაში მოქმედი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" და მისი ლეგიონის მოღვაწეობის შესასწავლად. ამავე საკითხზე გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივის ზოგიერთი მასალა გამოაქვეყნა დ. პაიჭაძემაც[14].

პრესა. საკვლევი პერიოდის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხზე მნიშვნელოვანი და მრავალგვარი მასალაა პერიოდულ პრესაშიც.

---

11 Die Gro*ßße* Politik der Europächen Kabinette 1871-1914. Band. 5.38. Berlin. 1926.

12 L.allemagne et les problèmes de la paix pendant la Première Guerre Mondiale (Documents...). T. I (août 1914 - 31 janvier 1917). Paris. 1962.

13 Bihl W., Die Kaukasus politik der Mittelmächte. T. I (1914-1917). Wien-Köln-Graz. 1975.

14 დ.პაიჭაძე. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტის პოლიტიკური მოღვაწეობისათვის, ჟურნ. „ანალები", 2000 წ., №1, გვ.113-124.

ახალი ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში (1910-1914 წწ.) რეგიონის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო განვითარების შესახებ ცნობებით გამოირჩევა: „ბათუმის გაზეთი“ (1911-1914 წწ.), „ბატუმსკაია პრავდა“ (1912 წ.) და „აზრი “ (1914 წ.).

1915-1916 წწ. პერიოდიკაში ასახულია ოსმალთა და რუსთა ჯარების საბრძოლო მოქმედებები. გაზეთებმა: „ახალი აზრი“, „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „მეგობარი“, „ზაკავკაზსკაია რეჩ“, „კავკაზსკოე სლოვო“ და სხვ. ენერგიულად გაილაშქრეს ცარიზმის მოხელეების მიერ აგორებულ „მასობრივ სახელმწიფო ღალატში“ მაჰმადიან ქართველთა შსჯავრდების წინააღმდეგ. ამხილეს მისი წინასწარგანზრახულობა და სიყალბე. დეტალურად აშუქებდნენ სასამართლო პროცესებს, მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს თანამოძმე მაჰმადიანთა სატკივარით დანარჩენი ქართველი ხალხის დარაზმვაში და ამ საფუძველზე სხვადასხვა აღმსარებლობის ქართველთა სულიერ დაახლოებაში.

ამ უმნიშვნელოვანეს ეროვნულ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ქართულ ჟურნალებს: „განთიადი“, „კლდე“, „თეატრი და ცხოვრება“. მათში გამოქვეყნდა აკაკი წერეთლის, გულო კაიკაციშვილის, დომინიკა ერისთავის (განდეგილი), იოსებ იმედაშვილის და სხვათა გულში ჩამწდომი პუბლიკაციები ომით გავერანებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ვითარების აღწერით და დახმარებათანადგომის მოწოდებებით.

1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქ. ბათუმსა და საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე, ახალი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ჩამოყალიბებაზე და ამ მიმართებით პოლიტიკური პარტიების საქმიანობაზე ფრაგმენტულ ცნობებს გვაწვდის იმდროინდელი ბათუმური პრესა, კერძოდ, პროფკავშირების გაზ. „დენ სვობოდი“ და ესერების - „გოლოს მორია ი ზემლი“, აგრეთვე, თბილისური „ერთობა“ და „საქართველო“.

ემიგრაციაში მოღვაწე „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ შესასწავლად მნიშვნელოვანია ამავე ორგანიზაციის ბეჭდური ორგანო „ქართული გაზეთი“, რომელიც 1916-1918 წწ. გამოიცემოდა ქ. ბერლინში.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ჩაის, ციტრუსების, ზეთის-

ხილის, თამბაქოს და სხვა სასაქონლო კულტურების განვითარების შესახებ პირველი მსოფლიო ომის წინ და ომის პერიოდში ძვირფასი წყაროა „ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ პერიოდული ჟურნალი, რომელიც 1909-1911 წწ. გამოდიოდა სახელწოდებით „ბატუმსკი სელსკი ხოზიაინ“, ხოლო 1912-1917 წწ. როგორც „რუსკიე სუბტროპიკი“.

მემუარები. წინამდებარე ნაშრომისათვის ანგარიშგასაწევი წყაროს მნიშვნელობა ჰქონდა მემუარულ ლიტერატურასაც. ამასთან, მათ მონაცემებს მოვეკიდეთ სერიოზული სიფრთხილით, რადგან ამ ჟანრის ნაწარმოებები პირადი წარმოშობისაა და ზოგჯერ ფაქტებს სუბიექტურადაც აფასებს.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ საინტერესო ცნობებია დავით კლდიაშვილის და სტეფანე ქემხაძის მოგონებებში[15]. დ.კლდიაშვილი მოგვითხრობს კოლონისტების მიერ ზღვისპირეთში მიწების მითვისებაზე, ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების საგანმანათლებლო საქმიანობაზე, მსოფლიო ომის დროს „სახელმწიფო ღალატის“ ბრალდებით ქართველ მაჰმადიანთა წინააღმდეგ ცარიზმის მოხელეთა მიერ გატარებულ რეპრესიებზე. ამავე საკითხზე საყურადღებო ცნობებს გვაწვდის სტ. ქემხაძე, რომელიც იმ დროს, მუშაობდა რა ზემო აჭარის უბნის ადმინისტრაციის მწერლად, ბევრი „მოღალატედ“ შერაცხული თანამემამულე მაჰმადიანი იხსნა სასჯელისა და გადასახლებისაგან.

აღნიშნული რეპრესიებისაგან აჭარის მოსახლეობის დაცვისათვის ქართველთა ორი ათასეულის შექმნასა და საქმიანობაზე ცნობებს გვაწვდის აღიარებული ეროვნული მოღვაწე დავით ვაჩნაძე[16].

1918 წ. გაზაფხულზე ოსმალთა შემოსევის წინააღმდეგ ბათუმის თავდაცვის, ჩოლოქ-ოზურგეთსა და სამცხე-ჯავახეთში გამართული საბრძოლო ოპერაციების შესახებ საყურადღებო ცნობებს ვხვდებით გ.მაზნიაშვილის, ვ.თევზაძის, ვ.გოგუაძის და გ.კვინი-

---

15 დ.კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე (მოგონებები), ბათ., 1984; სტ. ქემხაძე, მოგონებები, ბათ., 1958.

16 დ.ვაჩნაძე, სამშობლოს სამსახურში (მოგონებანი). - ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ჟურნ. „იევრია“, თბ.,-პარიზი,1992. №1.

ტაძის მემუარებში[17]. ამავე პერიოდის ბათუმის და მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ადგილის შესახებ საერთაშორისო ურთიერთობებში საინტერესო დეტალებს აღწერს ზ.ავალიშვილი[18].

1918 წ. მარტში ტრაპიზონსა და ბათუმში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებზე ცნობებს გვაწვდის რ.გაბაშვილი[19]. თუმცა, მისი ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში არაზუსტია და ტენდენციური. მოგონება დაწერილია ემიგრაციაში, სადაც საქართველოს მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა და ეროვნულ-დემოკრატებს შორის დაპირისპირება უკიდურესობამდე გამწვავდა. ამავე მოგონებაში მკვეთრად აისახა პარტიათა შორის ბრძოლის ანარეკლიც. ამასთან, მასში, ისეთი ისტორიული მოვლენები, როგორიც იყო ტრაპიზონის კონფერენცია, 1918 წ. მარტის ბათუმის ამბები და სხვა, წარმოდგენილია გადაჭარბებული გაუფასურებით და ზოგჯერ სარკაზმითაც. ფაქტობრივი საარქივო მასალებით კი რიგ შემთხვევაში საპირისპირო დასტურდება, რის შესახებაც ნაშრომის სათანადო ადგილას გვაქვს შენიშვნა და შესაბამისი კომენტარი.

გარკვეული ტენდენციურობა და ზედაპირულობა ახასიათებს ნოე ჟორდანიას მოგონებებსაც[20].

ნაკლებად სანდოა აგრეთვე ვერმახტის ყოფილი გენერლის შალვა მაღლაკელიძის „მოგონებანი" და „ნაწყვეტი ახლო წარსულიდან მესხეთის გარშემო"[21]. ისინი ვ.რცხილაძემ ავტორისაგან ზეპირი ინტერვიუს ფორმით ჩაიწერა მოთხრობილი ამბებიდან ძალიან გვიან, 1975 წელს, როცა ხანდაზმულ გენერალს ბევრი წვრილმანი

---

17 გ.მაზნიაშვილი, მოგონებანი (1917-1925). ბათ., 1990; ვ.თევზაძე, ქართველი ოფიცრის ჩანაწერები, თბ., 1990; ვ.გოგუაძე, მოგონებანი.-ქართული ემიგრანტული ლიტერატურა „დაბრუნება", ტ.3, თბ., 1992, გვ. 363-451; გ.კვინიტაძე, მოგონებები. საქართველოს დამოუკიდებლობის წლები (1917-1921), თბ., 1998.

18 ზ.ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, მოგონებანი, ნარკვევები, ტფ., 1929.

19 რ.გაბაშვილი, რაც მახსოვს.-ქართული ემიგრანტული ლიტერატურა „დაბრუნება", ტ. 3, თბ., 1992, გვ. 24-302.

20 ნ.ჟორდანია, ჩემი წარსულიდან (მოგონებები), პარიზი, 1953.

21 იხ. „ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში". მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვ.რცხილაძემ, თბ., 1994, გვ. 5-250.

დავიწყებული ჰქონდა და ზოგჯერ ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობებსაც გვაწვდის. ამის მიუხედავად, 1918 წლის ახალციხის მოვლენების თვითმხილველ შ.მაღლაკელიძის ორივე მოგონებას აქვს გარკვეული მეცნიერული ღირებულება.

1918 წ. სამცხე-ჯავახეთში განვითარებულ მოვლენებზე სანდოობის თვალსაზრისით და თხრობის დეტალიზირებით გამორჩეულია ცნობილი ახალციხელი მოღვაწის ზაქარია დიდიმამიშვილის მემუარული ხასიათის ნაშრომი „ახალციხის დღეები (1918 წ. აპრილი-1919 წ. მარტი).“[22] იგი შედგენილია დღიურების სახით და პერიოდულად იბეჭდებოდა გაზეთებში „სახალხო საქმე“ და „სახალხო გაზეთი“ - ფსევდონიმებით: ქ.კ.მ.-ლი (ქართველი კათოლიკე მესხელი), ა-ლი (აღმოსავლეთელი), ზოგჯერ „ზარიფ - ბეის“ სახელით.

ზ. დიდიმამიშვილის მემუარის 138 გვერდის მოცულობის ხელნაწერი დაცულია სამცხე-ჯავახეთის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიული მუზეუმის არქივში. მემუარი 1997 წ. სრულყოფილად გამოაქვეყნა პროფ. შ.ლომსაძემ[23].

სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში გავეცანით სომხურიდან თარგმნილ ხელნაბეჭდ მემუარს „მოგონებები 1917-1921 წლების ახალციხის ტრაგიკული ცხოვრებიდან“[24]. მისი ავტორია იმ დროს ახალციხეში მცხოვრები ერვანდ სიმონიანი. იგი გამოკვეთილად ტენდენციურია და ძლიერ გადაჭარბებით წარმოაჩენს სომხების როლს 1918 წ. ახალციხის თავდაცვის საქმეში. ამ მხრივ ქართველთა დამსახურება მთლიანად მიფუჩეჩებულია. ამის მიუხედავად, ეს მოგონება მაინც გვაძლევს ზოგად მასალას ალყაშემორტყმულ ახალციხეში თავდაცვის ორგანიზების და ოსმალური ოკუპაციის შესახებ.

ჩვენი თემისათვის საინტერესო რამდენიმე გამოუქვეყნებელი მემუარი დაცულია აჭარის სამუზეუმო გაერთიანების ხელნაწერთა ფონდში. პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ცნობილი ბათუმელი სოციალდემოკრატის სერგო ყუფარაძის „მოგონებები“[25]. მასში ბევრი საყუ-

---

22 სჯმხფ., ს. 1136.

23 შ.ლომსაძე, მესხები. ახალციხური ქრონიკები II, თბ., 1997, გვ. 361-479.

24 სჯმხფ., ს.4641.

რადღებო ცნობაა საკვლევი პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე, სამხედრო საკითხებზე, 1918 წ. ოსმალთა მიერ ბათუმის ოკუპაციაზე, მოსახლეობის ევაკუაციაზე და სხვ. მიგვაჩნია, რომ მემუარული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნაკლოვანების მიუხედავად, ს.ყუფარაძის „მოგონებები" ანგარიშგასაწევი წყაროა და სასურველია მისი ბეჭდური წესით გამოქვეყნება.

1918 წ. ოსმალთა ოკუპაციის, მათ მიერ გაყალბებით ჩატარებული რეფერენდუმის და მასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ჩვენთვის საინტერესო იყო მაშინდელი ბათუმის საქალაქო გამგეობის მდივნის, ივანე მესხის მოგონებათა მომცრო ხელნაწერი - „ბათომის თავგადასავალი"[26].

აჭარის სახელმწიფო არქივში ინახება რუსი კადეტის პ.მასლოვის მემუარი „ბათუმი 1917-1920 წლებში"[27]. ავტორის აშკარა ტენდენციურობის მიუხედავად, ეს ნაშრომი მნიშვნელოვან მასალას შეიცავს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1918 წ. ოსმალთა ბატონობის პერიოდზე, აგრეთვე, ამ უკანასკნელსა და გერმანიას შორის ამ რეგიონში არსებულ უთანხმოებებზე.

მემუარულ ნაწარმოებთა რიგს მიეკუთვნება პირველი მსოფლიო ომის წინ კონსტანტინოპოლში რუსეთის საელჩოს პირველი თარჯიმნის ა.მანდელშტამის წიგნიც[28]. პროპაგანდისტული ხასიათის მიუხედავად, მასში ბევრი საინტერესო დეტალია „ახალგაზრდა თურქთა" საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ. ოსმალეთში დიპლომატიურ სარბიელზე 16-წლიანმა მუშაობამ ავტორს საშუალება მისცა სათანადოდ დაენახა და გაეანალიზებინა ამ ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესებიც.

უცხოელ ავტორთაგან ჩვენთვის საინტერესო ცნობები მოიპოვება, აგრეთვე, გერმანიის გენშტაბის უფროსის ე. ლუდენდორფის

---

26 იქვე, ს. 36.

27 აცსა, ფ. 67, ან. 1, ს.ს. 13-15.

28 **Мандельштам А. Н.**, Младотурецкая держава (историко-политический очерк), М., 1915.

და „ახალგაზრდა თურქთა“ მთავრობის თვალსაჩინო წევრის ჯემალ ფაშას მოგონებებში[29].

ფოლკლორული მასალა. პირველ მსოფლიო ომზე ქართულ ფოლკლორში ყველაზე მეტი მასალა გვაქვს თუშ-ფშავ-ხევსურეთიდან, რაც სხვადასხვა დროს ჩაუწერიათ მეცნიერებს აკ. შანიძეს, ქს. სიხარულიძეს, ალ. ღლონტს და სხვ.[30] ამ ხალხურ ლექსებში პატრიოტულზე უფრო ჰერიოკული სულისკვეთება ვლინდება, რადგან ომში წაუსვლელობა დიდ სირცხვილად ითვლებოდა. ამიტომაც, ქართველებიც აქტიურად გამოეხმაურნენ ხელმწიფე-იმპერატორის მოწოდებას. ზოგი ოჯახიდან რამდენიმე მებრძოლიც კი წასულა ფრონტზე, თუმცა მათ იცოდნენ, რომ ბევრი ველარ დაბრუნდებოდა უკან „ბევრაის დედა ქვითინებს, ბევრს უტირიან დანია“.

პირველი მსოფლიო ომის თემაზე შექმნილ ხალხურ ლექსებში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს კავკასიის ფრონტს, მთიელთა თავდადებას; გადმოცემულია მძიმე საარმიო ცხოვრება, ინფექციურ სნეულებათა გამო ჯარისკაცთა სიკვდილიანობა, ცუდი კვება და მომარაგება. აღნიშნულ საკითხებზე გვხვდება აგრეთვე იუმორნარევი ლექსები, რომლებიც შეკრიბა და გამოსცა პროფ. ი. სიხარულიძემ[31].

„სალდათობა“ და მსოფლიო ომი აისახა სამუსლიმანო საქართველოს ხალხურ მელექსეთა შემოქმედებაშიც. რამდენიმე ნიმუში დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის აბუსერისძე ტბელის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივში (ბსკიფა). ესენია: „ლექსი ფირალზე“ (ორი ვარიანტი), „ჯარისკაცის ლექსი“, აგრეთვე საქართველოს სხვა კუთხეებში ფართოდ გავრცელებული „ომის ლექსის“ გადაკეთებულ-შემცირებული ვარიანტი, „სალდათი ვარ ნაფიცი“ და სხვ.[32]

---

29 Людендорф Э., Мои воспоминания о войне 1914-1918 гг., т. 2, М., 1924, Джемал-Паша, Записки 1913-1919, гг., Тифл., 1923.

30 იხ. ქართული ხალხური პოეზია, ტ.XI (ისტორიული ლექსები), თბ., 1984, გვ. 174-206; ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, III, თბ., 1967, გვ. 211-280.

31 ქართული ხალხური პოეზია (აჭარა, გურია, სამცხე), ბათ., 1974; გვ. 16-22.

32 ბსკიფა, ს.ს. 21, 67, 219, 252.

საყურადღებო მასალაა ა. ახვლედიანის და ე. დავითაძის ფოლკ-ლორულ კრებულში[33]. აქ შეტანილია ცნობილი ხალხური მთქმელე-ბის და აღწერილ მოვლენათა თვითმხილველების აქიფ ქათამაძის (1872-1944), ხასან თხილაიშვილის (1891-1942) და მემედ ჭყონიას (1860-1940) პატრიოტული ლექსები. მათში პოეტური უშუალობითაა ასახული შესასწავლი პრობლემის რიგი საკვანძო მოვლენები: საომა-რი მოქმედებებით და რეპრესიებით სამუსლიმანო საქართველოს აოხ-რება 1914-1915 წლებში; ოსმალთა მიერ მხარის ხელახალი ოკუპა-ცია 1918 წ. და მოწოდება განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქ-ტიურებისაკენ, ბრძოლა ოსმალოფილების წინააღმდეგ და სხვ.

1918 წ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაკარგვით გამოწ-ვეული გულისტკივილი, ამასთან, მისი ბრძოლით დაბრუნების სულ-ისკვეთება ჩანს ტ.ტაბიძის, პ.იაშვილის ლექსებში[34] და ქართულ სატირულ პოეზიაშიც[35].

ზემოაღნიშნულ ფოლკლორულ მასალას უფრო დაწვრილებით ვეხე-ბით მეოთხე (§ 3) და მეექვსე (§ 1,3,4) თავებში.

---

33 ა.ახვლედიანი, ე.დავითაძე, ჩამოთქვი ჩემო ჩონგურო (სახალხო მელექსეთა ბიოგრაფიები და მასალები). ბათ., 1979.

34 ტ.ტაბიძე. ლექსები. პოემები. პროზა, წერილები, თბ., 1985; გვ.83. პ.იაშვილი, ერთტომეული, პოეზია, პროზა, თარგმანები. თბ., 1965, გვ.106.

35 დ.ჭუმბურიძე, აჭარის საკითხი 1918-1921 წლებში და ქართული საზოგადოებრი-ვი აზრი, თბ. 1999.

§ 2. ИСТОРИОГРАФИА

1914-1918 წლების საქართველოს ისტორია საერთოდ სუსტად და ფრაგმენტულადაა შესწავლილი. ეს მით უფრო ითქმის მისი სამხრეთ-დასავლეთი კუთხეების ისტორიაზე.

საბჭოთა პერიოდში გამოცემული ნაშრომები ძირითადად იდეოლოგიზირებულია. მათში გაზვიადებულადაა წარმოჩენილი მიმდინარე პროცესებში ბოლშევიკების ხელმძღვანელი როლი, ხოლო სხვა პარტიების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დამსახურება უგულებელყოფილია ან მიჩქმალული. ავტორები თავს არიდებდნენ აგრეთვე რუსეთის იმპერიული მთავრობის ანტიქართული და შოვინისტური ღონისძიებების სამზეოზე გამოტანას, სხვა აქტიური პოლიტიკური მოვლენების გაშუქებას და ანალიზს.

შედარებით უკეთაა შესწავლილი სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის ცალკეული საკითხები. კერძოდ, სოფლის მეურნეობა, სპილენძისა და ნავთობის წარმოება, ექსპორტი. ბაქოდან ნავთობის ტრანსპორტირების, ბათუმში განვითარებული ნავთობპროდუქტების ჭურჭლის წარმოებისა და ექსპორტის საკითხები, აგრეთვე მრეწველობის სხვა დარგები, გემების მოძრაობა და ტვირთბრუნვა, ვაჭრობა და საბანკო-საკრედიტო ურთიერთობები სპეციალურად განიხილეს: ვ. სიჭინავამ, რ. უზუნაძემ, ა. ბაჯელიძემ, ი. ბეჟანოვმა და დ. ბულეიშვილმა, აბ. კიკვიძემ, ქ. მუშკუდიანმა, ნ. ტყეშელაშვილმა, ო. ტატიშვილმა, ი. დიაკონოვამ, თ .დიასამიძემ, აბ. სურგულაძემ და მ. სიორიძემ[1]. საკ-

---

1 ვ.სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან, ბათ., 1958; რ.უზუნაძე, ნაოსნობა ბათუმის ოლქში, ბათ., 2001; **Баджелидзе А.К.**, Основные вопросы экономики Аджарии (1878-1921 гг.), Бат., 1973; **Бежанов И.Г., Булеишвили Д.А.**, История развития нефтяной промышленности в Грузии, Тб., 1975; აბ.კიკვიძე. საქართველოს ისტორია XIX-XX სს. წ. II (1861-1921), თსუ, 1959; ქ.მუშკუდიანი, ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი რეგოლუციამდელ დასავლეთ საქართველოში (1880-1914), თბ., 1982; ნ. ტყეშელაშვილი, ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან (1861-1920წწ.), თსუ, 1958; ო.ტატიშვილი, ვაჭრობის და მრეწველობის განვითარება ბათუმში 1878-1920 წწ. (საკანდიდატო დისერტაციის ხელნაბეჭდი), თსუ, 1940; **Дьяконова И.А.**, Нобелевская корпорация в России, М., 1980; თ. დიასამიძე, „ბნიტოს" საქმიანობა ბათუმში XIX ს. დამლევს და XX ს. დასაწყისში. - „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები" I, თბ., 1991; აბ.სურგულაძე, მ.სიორიძე, პორ-

ვლევი ეპოქის წინაპერიოდის სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის მიერ 1906 წ. გამოქვეყნებული კრებული[2].

ჭოროხის აუზი უძველესი დროიდან იყო ცნობილი მეტალურგიული წარმოებით. XIX ს. ბოლო ათწლეულიდან აქ დაიწყო ინტენსიური საძიებო-გეოლოგიური სამუშაოები და მალე ეს მხარე სპილენძის მადნის მოპოვების და სამრეწველო გადამუშავების უმსხვილეს კერად იქცა. ისახებოდა სამთო-მეტალურგიული მრეწველობის სხვა დარგების განვითარების პერსპექტივებიც. ამდენად, ეს საკითხიც მკვლევართა ჯეროვანი ყურადღების სფეროში მოექცა[3].

ტოფრანკო ბათუმში, ბათ., 1996; მ.სიორიძე, ევროპელი მრეწველები და ნავთობსაძიებო სამუშაოები დასავლეთ საქართველოში 1878-1914 წლებში. – საქართველოს მთავარი საარქივო სამმართველოს „სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი",თბ., 1987, №51-52; მიხიეე, ბათუმის როლი ნავთობის მსოფლიო ბაზრისათვის ბრძოლაში (1883-1918), ბსუ შრომები, I (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია), ბათ., 1995.

2 Батум и его окрестности, Бат., 1906.

3 გრ. მარგიანი, საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი (1864-1917), თბ., 1976; დ.გოგოლაძე, სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა და კაპიტალიზმის გენესიზის ზოგიერთი საკითხი (XVIII-XIX სს.), თბ.,1966; გ.მანჯგალაძე, გერმანული კაპიტალი ამიერკავკასიაში (1860-1918 წწ), თბ., 1991; ა.ფარსადაშვილი საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1914-1917 წლებში (საკანდიდატო დისერტაციის ხელნაბეჭდი), თსუ, 1974; თ.ვახტანგიშვილი, კაპიტალისტური მრეწველობის ფაბრიკულ (მანქანურ) სტადიაზე გადასვლა საქართველოში, თბ.,1976; Наниташвили Н.Л., Германский капитал в Закавказье. Деятельность фирмы „Сименс и Гальске" 1860-1917 г.г., Тб., 1982; ნ.კახიძე, სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიიდან ჭოროხის აუზში და მოსახლეობის საწარმოო და საზოგადოებრივი ყოფის ზოგიერთი საკითხი. - სდსყკ, XIV, თბ., 1987; მ.სიორიძე, სამთო-მეტალურგიული მრეწველობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და უცხოური კაპიტალი (1878-1921). - „აჭარის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები", VIII, ბათ., 1987; მისივე, სპილენძის წარმოება ართვინის მხარეში (1914-1920), „საისტორიო მაცნე", ბათ. 1997, №6; ო.თურმანიძე, სამთამადნო მრეწველობა და სამრეწველო მუშათა კლასი ტაოკლარჯეთსა და აჭარაში XIX-XX სს. მიჯნაზე, ჟურნ. „ჭოროხი", 1991 წ., №6.

სოფლის მეურნეობის განვითარებას და მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობას ეხება პროფ. ო. თურმანიძის შრომები[4]. მათში განხილულია მეჩაიეობა, მეთამბაქოეობა, მეციტრუსეობა, ზეთისხილის მეურნეობა. შესწავლილია ბათუმის ოლქის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებები, რუსული მმართველობის სისტემა და აგრარულ-კოლონიური პოლიტიკა, სოციალური ძალების განლაგება და აგრარული მოძრაობა.

ამავე საკითხებს ეხება პროფ. ალ.ბენდიანიშვილი[5]. მასვე ეკუთვნის სპეციალური მონოგრაფია[6], რომელშიც შესწავლილია 1917 წ. თებერვლამდე პერიოდის ბათუმის საქალაქო მეურნეობა და ეკონომიკური ცხოვრების ზოგიერთი მხარე. გაანალიზებულია ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის მრავალმხრივი საქმიანობა, მისი ბრძოლა დემოკრატიზაციისა და თვითმმართველობების უფლება-კომპეტენციების გაფართოებისათვის. ამავე პრობლემაზე ზოგადი მსჯელობაა შ.ვანიშვილის წიგნშიც[7].

ახალციხის თვითმმართველობის სტრუქტურის, მასში გაბატონებული სომხური ბურჟუაზიის შეზღუდვისათვის იქაური ქართული დემოკრატიული საზოგადოების ბრძოლა აისახა ი.გვენეტაძის ნაშრომში[8].

1917 წ. თებერვლის რევოლუციამდელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შესწავლა დაიწყეს პ.ცქვიტარიამ, ჯ.ჩხეიძემ და ი.ჩულოკმა[9]. დოკუმენტური მასალების უხვად გამოყ-

---

4 ო.თურმანიძე, აჭარის სოფლის სოციალ-ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან (1878-1920 წწ), ბათ., 1973; მისივე, რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა და რუსული ახალშენები საქართველოში, ჟურ. „ჭოროხი", 1994, №1-2; მისივე, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებები აჭარაში,-ჟურნ. „ჭოროხი", 1995, №4-5; მსოფლიო ომის წინ აჭარის სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებას ეხება დოც. ჯ.კარალიძე (იხ. ბსუ სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები. I, ბათ., 1999). უ. ოქროპირიძე კი აანალიზებს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებას (იხ. კრებულში-„სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები" I, თბ., 1991).

5 ალ.ბენდიანიშვილი, აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890-1917 წლებში, თბ., 1965.

6 მისივე, საქალაქო თვითმმართველობა და ბრძოლა მისი დემოკრატიზაციისათვის საქართველოში 1875-1917 წწ., თბ., 1982.

7 შ.ვანიშვილი, ამერიკაკავკასია რუსეთის მმართველობის სისტემაში 1864-1917 წწ., თბ., 1989.

8 ი.გვენეტაძე, ახალციხის საქალაქო თვითმმართველობა 1876-1917 წწ., „მაცნე" (ისტორიის სერია), 1979, №4.

9 პ.ცქვიტარია, აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები, წ. II (1914-1921 წწ.).ბათ., 1962; ჯ.ჩხეიძე, ბათუმი პირველი იმპერიალისტური ომის პერიოდში.- აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ.III, ბათ., 1958; Чулок И.С., Очерки истории Батумской Коммунистической організации (1890-1921 годы), Бат., 1970.

ენების მიუხედავად, ავტორები ძირითადად შემოიფარგლნენ მსოფლიო ომთან დაკავშირებული ზოგადი პრობლემების (ომის ხასიათი და გამომწვევი მიზეზები, ცხოვრების გაძვირება, ომისადმი ბოლშევიკების დამოკიდებულება და ა.შ.) მიმოხილვით. აღნიშნულ შრომებს გამოკვეთილად ატყვია საბჭოთა ცენზურის შემბოჭავი გავლენაც.

ზემოაღნიშნული ხარვეზების შევსების სერიოზული ცდაა ისტ. მეცნ. დოქტორ ო. გოგოლიშვილის მონოგრაფია, რომელშიც შესწავლილია 1910 წლიდან 1918 წლის აპრილამდე პერიოდში ბათუმის ოლქში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების ზოგიერთი საკითხი[10].

ჩვენი საკვლევი პრობლემებისათვის უაღრესად საინტერესო დარჩა ახალგაზრდა ახალციხელი ისტორიკოსის როინ ყავრელიშვილის მიერ მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული საკანდიდატო დისერტაცია[11], რომელშიც არა მარტო თურქ ისტორიკოსთა ცალკეული შრომებია გაანალიზებული, არამედ მოტანილია რიგი ახალი ფაქტობრივი მასალა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკების და სეპარატისტული „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის", ანუ „ყარსის მთავრობის" შესახებ.

ომისდროინდელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად მნიშვნელოვანია მემედ და ჰაიდარ აბაშიძეების პუბლიცისტური წერილები და აპოლონ წულაძის „ძმური სიტყვა"[12]. მათში ავტორებმა თანამედროვეობის წინაშე მთელი სიმწვავით დასვეს ომით განადგურებული და რუსეთის ხელისუფლების მიერ აწიოკებული სამუსლიმანო საქართველოს პრობლემები.

ამავე საკითხზე, აგრეთვე, მოწინავე საზოგადოების ღვაწლზე მაჰმადიან ქართველთა ეროვნული გათვითცნობიერების საქმეში საუბარია ხ. ახვლედიანის, აბ.სურგულაძის, თ.კომახიძის, გ.შარაძის,

---

10 ო.გოგოლიშვილი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში 1910-1918 წლებში, ბათ.,1999;

11 იხ. რ.ყავრელიშვილი,1918-1921 წლების საქართველოს ისტორიის თურქული ისტორიოგრაფია (ავტორეფერატი),თბ., 2002.

12 მ.აბაშიძე, რჩეული ნაწერები (შეადგინა, კომენტარები დაურთო და გამოსცა ი.ხიხარულიძემ), თბ., 1973; მისივე, თხზულებანი (გამოსცა გ.შარაძემ), თბ., 1998; ჰ.აბაშიძე, წერილები, ბათ., 1960; მისივე, წერილები თბ., 1963; აპ.წულაძე, ძმური სიტყვა, ბათ., 1991.

ლ. სანიკიძის, დ.გურეშიძის, ი.ბიბილეიშვილის და ო.გვარიშვილის მონოგრაფიებში[13].

მკვლევართა ყურადღება მიიპყრო 1916 წლიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლებში გაშლილმა ეროვნულ-საგანმანათლებლო საქმიანობამ, ახალგახსნილი ქართული სკოლების და მათი სცენისმოყვარეთა ჯგუფების მუშაობამ, აგრეთვე, ომის გამო შეზღუდული კულტურული ცხოვრების შესწავლამ[14].

წინამდებარე ნაშრომში ვცადეთ ფართოდ წარმოგვეჩინა კავკასიის ფრონტის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთზე მიმდინარე სამხედრო ოპერაციები და მასთან დაკავშირებული საკითხები, რაც შეუსწავლელი იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში. იგი ფრაგმენტულად აისახა მხოლოდ რუსი სამხედრო ისტორიკოსების შრომებში[15], პირველი მსოფლიო ომის ისტორიის ორტომეულში[16], აგრეთვე, თურქეთის ახალ და უახლეს ისტორიაზე შექმნილ ზოგიერთ

---

13 ხ.ახვლედიანი, სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათ., 1957; ა.ბ. ხურგულაძე, ცხოვრება და ღვაწლი პაიდარ აბაშიძისა, ბათ., 1994; მისივე, გულო კაიკაციშვილი, თბ., 1973; თ. კომახიძე, მემედ აბაშიძე, ბათ., 1993; გ.შარაძე, მემედ აბაშიძე, თბ.,-ბათ., 1995; ლ. სანიკიძე, მესამე დასის საქართველო, თბ., 1989; დ.გურეშიძე, ქველმოქმედება საქართველოში, ქუთ., 1993; ი.ბიბილეიშვილი, ო.გვარიშვილი, მემედ-ბეგ აბაშიძე მწერალი და მოაზროვნე, ბათ., 1999.

14 ე.ცოცაძე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის განვითარება აჭარის ასსრ-ში, ბათ., 1970; გრ.ბაბილოძე, ნარკვევები განათლებისა და კულტურის ისტორიიდან აჭარაში, ბათ., 1975; ე.წულუკიძე, პირველი ქართული სკოლა აჭარაში, ბათ., 1982; ა.ბ.ხურგულაძე, პირველი სკოლა ხუცუბანში, ჟურნ. „ჭოროხი", 1987, №4; გ.ბუხნიკაშვილი, ბათუმის თეატრი, თბ., 1979; თ.კომახიძე, აჭარის კულტურის ისტორია, ბათ., 1999.

15 **Корсун Н.Г.**, Первая мировая война на Кавказском фронте (оперативно-стратегический очерк), М., 1946; **მისივე**, Военный обзор Турецкого передового и причерноморского (на участке Батум-Инеболи) театров с сопредельными районами Закавказья и Персии, ч. II, вып.II, Тиф., 1915; **მისივე**, Сарикамишская операция... М., 1937; **მისივე** , Эрзерумская операция... М., 1938; **Масловский Е.В.**, Мировая война на Кавказском фронте 1914-1918 гг. (Стратегический очерк), Париж, 1933; **Вержховский Д.В., Ляхов В.Ф.**, Первая мировая война 1914-1918 гг. (Военно-исторический очерк), М., 1964; **Новиков Н.**, Операции флота против берега на Чёрном море в 1914-1917 гг., М., 1937; **Зайончковский А.М.**, Мировая война 1914-1918 гг., т.т. I,II, М., 1938 და სხვ.

16 История первой мировой войны 1914-1918 гг., т.т. 1,2, М., 1975.

მონოგრაფიაში[17]. აღნიშნულ ავტორთა უმრავლესობისათვის დამახასიათებელია გარკვეული ფორმის ტენდენციურობა, რიგი ფაქტების მიჩქმალვა და არაობიექტურობა, რაც საქართველოსთან დაკავშირებით ძირითადად შემდეგით გამოიხატა: 1. მათ უკრიტიკოდ გაიზიარეს რუსეთის იმპერიული ხელისუფლების მიერ წამოყენებული თეზისი, რომლითაც კავკასიის ფრონტზე რუსეთის არმიის პირველი წარუმატებლობების მთავარ მიზეზად გამოცხადდა ქართველ მაჰმადიანთა „საერთო აჯანყება რუსეთის წინააღმდეგ". 2. გამოკვეთილი კეთილგანწყობა იგრძნობა ყბადაღებული „დიდი სომხეთისადმი" (ზოგ ავტორთან ე.წ. „ოსმალეთის სომხეთისადმი"), რომლის ფარგლებშიც ეს ავტორები მოისაზრებენ აგრეთვე ისტორიულ ლაზეთს და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა ტერიტორიებს ჭოროხის ხეობასა და მტკვრის ზემოწელში. 3. 1918 წ. გაზაფხულზე ოსმალთა „ამიერკავკასიაში იოლად შემოჭრას" (ს.არკომედი და სხვ. ავტორები) ხსნიან მთავრობის და სეიმის წევრი აზერბაიჯანელი და ნაწილობრივ ქართველი პოლიტიკოსების ხელშეწყობით. კიდევ მეტი, ზოგი ავტორი „ამტკიცებს", თითქოს „ამიერკავკასიის კომისარიატმა, ოსმალეთთან ომის აცილების მომიზეზებით, მას უომრად ჩააბარა ბათუმი და ყარსი". და ბოლოს, 4. ზემოაღნიშნულ რუსულენოვან ლიტერატურაში საერთოდ იგნორირებულია ქართველთა წვლილი და დამსახურება პირველ მსოფლიო ომში.

სამწუხაროდ, პირველ მსოფლიო ომში ქართველთა მონაწილეობა დღემდე შეუსწავლელია ქართულ ისტორიოგრაფიაშიც. პირველად მას შეეხო პეტერბურგში მცხოვრები ცნობილი თეატრალური მოღვაწე ალექსი სუმბათაშვილ-იუჟინი[18]. იგივე პრობლემა საკანდიდატო დისერტაციაში წამოსწია მკვლევარმა გ. გოცირიძემ[19]. სამი ნაშრომი მიეძღვნა ამ ომის გმი-

---

17 **Заврие Д.С.**, К новейшей истории северо-восточных вилайетов Турции, Тб., 1947; **Миллер А.Ф.**, Очерки новейшей истории Турции. М.-Л., 1948; СССР и Турция 1917-1979 гг., под. Ред. Акад. Жукова Е.М. и др. М., 1981; **Лудшувейт Е.Ф.**, Турция в годы Первой мировой войны, МГУ, 1966; **Аркомед С.Т.**, Материалы по истории отпадения Закавказья от России, Тифл., 1931 და სხვ.

18 **Сумбатов А.**, В мощных объятиях, Пг., 1919.

19 **გ. გოცირიძე**, პირველი მსოფლიო ომი და საქართველო (საკანდიდატო დისერტაციის ხელნაბეჭდი), თბ., 1998.

რს ტ. ვაშაკიძეს[20], მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. პირველ მსოფლიო ომში ქართველთა მონაწილეობის საკითხის საფუძვლიანად შესწავლა და წარმოჩენა ქართული ისტორიოგრაფიის მომავალ საშურ საქმედ უნდა იქცეს.

ჩვენთვის საინტერესო სამხედრო და დიპლომატიური ხასიათის ცნობებს ვხდებით გერმანელი სამხედრო მოღვაწეების ე.ფალკენგაინის და კ. მიულმანის, ინგლისელი გენერლის ლ. დენსტერვილის წიგნებში[21], ფრანგი ისტორიკოსების მ.ლარშეს, მ.პერნოს, პ.რენუვენის და ინგლისელი მკლევარის დ.ლენგის შრომებში[22].

საკვლევი პერიოდის სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები ტენდენციურად აისახა თანამედროვე თურქი ისტორიკოსის ს. ესინ დაის სადოქტორო დისერტაციაში: „ეროვნული ორგანიზაციების შექმნა სამ სანჯაყში (ბათუმი, არტაანი, ყარსი)“[23]. მასში გადმოცემულია ოსმალთა, აზერბაიჯანელთა და ადგილობრივი ოსმალოფილების მიერ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1917-1921 წლებში წარმოებული ძირგამომთხრელი საქმიანობა, რომელიც მიმართული იყო ამ მხარის საქართველოსგან მოწყვეტის და ოსმალეთთან გაერთიანებისაკენ.

1914-1918 წწ. პერიოდის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა საკითხს გაკვრით ეხებიან გ.ხაჭაპურიძე, ს.ჩხარტიშვილი, აკ. სურგულაძე, ე. ახობაძე, შ. ბასილაია, ი. ცერცვაძე, ნ. სტურუა, ა. ვა-

---

20 იხ. დ.დათუაშვილი, სარიყამიშის გმირი ტარასი დავითის ძე ვაშაკიძე, „საისტორიო მოამბე“, № 29-30, თბ., 1974; ზ. დათუაშვილი, „შაითან კაპიტანი“(იხ. მიხვევ წიგნში: ტრაქტატი მეფე-მთავართა-ორასწლოვანი სევდა, ქუთ., 1993); ი.უგულავა, სარიყამიში, ჟურნ. „მხედარი“, 1991, №3.

21 **Фалькенгайн Э.**, Верховное командование 1914-1916 гг. в его важнейших решениях, М.,1923; **Мюльман К.**, Германо-Турецкий военный союз в мировой войне (Машинописное издание); **Денстервиль Л.**, Британский империализм в Баку и Персии 1917-1918, гг. Тифл, 1925;

22 **Larcher M.**, La guerre turque dans la guerre mondiale, Paris, 1926; **Pernot M.**, La Question Turque, Paris, 1923; **Renouvin P.**, La crise Européene et la première guerre mondiale (1904-1918) Paris, 1969; **Lang D.**, A modern history of Georgia, London, 1962.

23 **Esin (Derinsu) Dayi S.**, Elviye-i Selâse (Kars, Ardahan ve Batum)'de Millî Te°kilâtlanma, Doktora tezi, Erzurum,1991.

შაკიძე. მათ ნაშრომებსაც[24] ატყვიათ საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი შეზღუდულობა, თუმცა, ყურადღებას იმსახურებენ მოტანილი ფაქტობრივი მასალით. რიგ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, აგრეთვე, მათი კვლევის შედეგები და დასკვნები.

ამ თვალსაზრისით სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია ო. გიგინეიშვილის და გ. ფიფიას მონოგრაფიები[25] გერმანიისა და ოსმალეთის გეგმებისა და პოლიტიკის შესახებ საქართველო-ამიერკავკასიაში.

იგივე ითქმის ალ. ბენდიანიშვილის წიგნზე, რომელშიც პირველად საბჭოურ ისტორიოგრაფიაში მწყობრად და გაბედულადაა გაანალიზებული ქართული ეროვნული მოძრაობა[26]. უკანასკნელ პერიოდში მკვლევარმა გამოაქვეყნა აგრეთვე სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის, რომელშიც ობიექტურადაა გადმოცემული 1801-1921 წლების პერიოდის საკითხები[27].

პირველი მსოფლიო ომის მომზადების და თვით ომის პერიოდის სამხედრო, დიპლომატიური, ეკონომიკური და სხვა ღონისძიებების შესახებ საყურადღებოა პროფ. ი. ტაბაღუას, ი. ტეოდოროვიჩის, ვ.

---

24 გ.ხაჭაპურიძე, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში, თბ., 1954; ს.ჩხარტიშვილი, რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში (1914 -1917 წ. მარტი), თბ., 1957; მისივე, საბჭოები საქართველოში ოქტომბრის რევოლუციის მომზადებისა და გატარების პერიოდში (1917 წ. მარტი-1920 წ.), თბ., 1977; აკ. ხურგულაძე, ნარკვევები რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში (1917 - 1921 წ.წ.), თსუ, 1954; მისივე, პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომი და თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია საქართველოში.- საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 6, თბ., 1972; ეკ.ხობაძე, ეროვნული საკითხის ისტორიიდან საქართველოში (1900-1917 წ.წ.) თბ., 1957; **Басилая Ш.И.**, Закавказье в годы Первой мировой войны, Сух., 1968; **Мисивэ**, Земский союз и Союз городов в годы Первой мировой войны, „мацне" (ისტორიის სერია), 1964^ - 5* **Церцвадзе И.В.**, Революционное движение в Грузии в 1914-1917 годах, М. 1957; **Стуруа Н.И.**, Грузия в 1917 году, Тб., 1964; ა.ეაშაკიძე, გლეხთა მოძრაობა საქართველოში პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914-1917 წწ.), თბ., 1969 და სხვ.

25 ო.გიგინეიშვილი, თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, თბ., 1963; მისივე, ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან, თბ., 1982; **Пипия Г.В.** , Германский империализм в Закавказье в 1910-1918 гг., М., 1978.

26 ალ.ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხის ისტორიიდან საქართველოში 1801-1921 წწ. თბ., 1980.

ჩოჩიას, გ. მანჯგალაძის, მ. დღვილავას, ა. სონღულაშვილის და სხვ. ნაშრომები[28]. მართალია, ავტორები გამოკვეთილად არ ეხებიან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, მაგრამ მათი შრომები ჩვენთვის იყო განმაზოგადებელი და გარკვეულად საფუძვლის მომცემი.

ქართულ ისტორიოგრაფიაში შედარებით სრულყოფილადაა შესწავლილი 1917-1918 წწ. მონაკვეთი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ემიგრანტი ქართველი მეცნიერის ვიქტორ ნოზაძის წიგნი[29], რომელშიც სანიმუშო ლაკონიურობითაა გაანალიზებული სამუსლიმანო საქართველოს საკითხი ბრესტ-ლიტოვსკის, ტრაპიზონისა და ბათუმის საზავო კონფერენციებზე, ოსმალეთის, სომხეთის, ინგლისის და რუსეთის პოლიტიკა ამ რეგიონში.

ამავე საკითხებზე, აგრეთვე, 1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების, ოსმალთა მიერ რეგიონის დაპყრობის, საოკუპაციო რეჟიმის, გაყალბებით ჩატარებული რეფერენდუმის, აქ გაშლილი განმათავისუფლებელი მოძრაობის და სხვ. შესახებ

---

28 Табагуа И.М. Об ответственности германского империализма в развязывании Первой мировой войны. „მაცნე" (ისტორიის სერია), 1976, №1; მისივე, Ïîçèöèîííàÿ âîéíà. -„საქართველო და ევროპის ქვეყნები", V, თბ., 1991; მისივე. Россия и западные державы в первой половине 1916 г.^ „მაცნე" (ისტორიის სერია), 1980, №1; Теодорович И.М. Разработка правительством Германии программы завоеваний на Востоке в 1914-1915 гг.- Первая мировая война (1914-1918). Сборник статьей, М., 1968; ვ.ჩოჩია, გერმანია პირველი მსოფლიო ომის წინ (1910-1914), თბ., 1986; გ.მანჯგალაძე. გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში, თბ., 1974; მისივე, ავსტრია-უნგრეთის პოლიტიკა ამიერკავკასიის მიმართ პირველი მსოფლიო ომის წლებში. - „საქართველო და ევროპის ქვეყნები", IV, თბ., 1989; მ.დღვილავა, საქართველო-გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობა 1918 წელს, თბ., 1996; მისივე, გერმანიის როლი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში, თბ., 1997; ა.სონღულაშვილი, გერმანელები საქართველოში, თბ., 1995.

29 ვ.ნოზაძე. საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989.

საყურადღებოა ნ. ზოსიძის, ე. მესხიას, დ. ჭუმბურიძის მონოგრაფიები[30]; ლ. თოიძის, ო. თურმანიძის და მ. სიორიძის შრომები[31].

1917-1918 წლების ბათუმ-აჭარის ისტორიის ცალკეული საკითხები მეტ-ნაკლები სისრულით და ობიექტურობით აისახა აჭარის მუშათა და კომუნისტური მოძრაობის ისტორიის ცნობილი მკვლევრების პ. ცქვიტარიას, მ. ჯიჯეიშვილის, ხ. ახვლედიანის, ი. ჩულოკის, მ. ჩავლეიშვილის ნაშრომებში[32]. მათში, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში გამოცემული სხვა წიგნების და დისერტაციების მსგავსად, გაზვიადებულადაა წარმოჩენილი ბოლშევიკური პარტიის როლი 1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ განვითარებულ საერთო-დემოკრატიულ პროცესებში, იგნორირებულია ეროვნული საკითხი და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობის მნიშვნელობა. ამის მიუხედავად, ამ ნაშრომებს დღესაც გააჩნიათ

---

30 ნ.ზოსიძე. პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წლებში, ბათ., 1995; ე.მესხია, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან (სამუსლიმანო საქართველოს გამათავისუფლებელი კომიტეტი), ბათ., 1997; დ.ჭუმბურიძე, აჭარის საკითხი 1918-1921 წლებში და ქართული საზოგადოებრივი აზრი, თბ., 1999;

31 ლ.თოიძე, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა. ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები" 1991, № 1; ო.თურმანიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა თურქი ოკუპანტების წინააღმდეგ 1918 წელს. - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბათუმის პოლიტექნიკური ინსტიტუტის შრომები, I, ბათ., 1999; მ.სიორიძე, გერმანია-ოსმალეთის წინააღმდეგობანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1918 წელს-ჟურნ. „საქართველო ", თბ.,1999, № 1-2; მისივე, კიდევ ერთხელ 1918 წლის 5 (18) მარტის მოვლენების შესახებ ბათუმში. - ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები III, ბათ., 1999 და სხვ.

32 პ.ცქვიტარია, აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები, წ. II (1914-1921 წწ.), ბათ., 1962; მ.ჯიჯეიშვილი, ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის აჭარაში (1917-1921 წწ.) ბათ., 1957; მისივე, მუშათა კლასის ისტორიისათვის საქართველოში (1917-1921 წწ.), თბ., 1965; მისივე, საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოს მშრომელთა ბრძოლის ისტორიიდან (1918 წ. 5(18) მარტის ამბები ბათუმში). - საქართველოს მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტის შრომები, III, თბ., 1958; ხ.ახვლედიანი, საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აჭარაში (1917-1921 წწ.), ბათ., 1971; Чулок И.С., Очерки истории Батумской коммунистической организации (1890-1921 годы). Бат., 1970; Чавлеишвили М.И., Октябрская революция и борьба за установление Советской власти в Аджарии (1917-1921 гг.), Бат., 1987.

გარკვეული მეცნიერული ღირებულება. მათი მეშვეობით სამეცნიერო ბრუნვაში შემოვიდა მრავალგვარი მასალა, რითაც სათანადო საფუძველი შეუმზადდა შემდგომ კვლევა-ძიებას.

ამ მხრივ საყურადღებოა პ. ცქვიტარიას მიერ 1973 წ. გამოცემული წიგნი[33], რომელშიც პირველად ისტორიოგრაფიაში ავტორმა სცადა წარმოეჩინა 1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ლაზეთ-ტრაპიზონში განვითარებული სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები. თუმცა, საბჭოთა ეპოქის კონიუნქტურიდან გამომდინარე, მკვლევარი ძირითადად ტრაპიზონის დეპუტატების საბჭოს და მის საქმიანობაში ბოლშევიკთა მაორგანიზებელი როლის ჩვენებით შემოიფარგლა.

აღნიშნულ საკითხებზე ჩვენც გამოვაქვეყნეთ ორიოდე ნაშრომი[34], რომელშიც ვცადეთ გაგვეშუქებინა 1916 წლიდან ლაზეთ-ტრაპიზონში დაწყებული ახალმშენებლობები, ახალი ხელისუფლების ორგანიზაცია ამ მხარეში, ტრაპიზონის დეპუტატების საბჭოს საქმიანობის ზოგიერთი დეტალი, ფრონტის რღვევის ობიექტური მიზეზები და სხვ. მაგრამ ეს არაა საკმარისი. ომის პერიოდის ლაზეთის ისტორია, მოწინავე ქართველი საზოგადოების მიერ იქ დაწყებული ეროვნული საქმიანობა სერიოზულად საკვლევი პრობლემაა.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდში სამცხე-ჯავახეთში შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური ვითარება, საადგილმამულო ურთიერთობები, მოსახლეობის დინამიკა და განმათავისუფლებელი მოძრაობა სათანადო სისრულითაა შესწავლილი პროფ. შ.ლომსაძის მონოგრაფიებში[35]. ამავე საკითხებზე საინტერესო გამოკლევაა დ. კოჟორიძის

---

33 პ.ცქვიტარია, აჭარის კომუნისტური ორგანიზაციის ისტორიიდან (1917-1922 წწ.), ბათ., 1973.

34 Сиоридзе М.М., К вопросу о распаде Трапезуидского фронта (1917-1918 гг). - @Технологии гуманитарного поиска#, Белгородский Государственный Университет 2000; vbcbdt^ Батум-Трапезуидская военная железная дорога.- @Проблемы историографии всеобщей истории# (материалы международного научного семинара), Белгород, 2000.

35 შ.ლომსაძე, მესხები, ახალციხური ქრონიკები II, თბ., 1997; მისივე, მესხები და მესხეთი, თბ., 2000.

წიგნიც, რომლის მესამე თავში (გვ. 101-134) გადმოცემულია 1917-1919 წწ. სამცხე-ჯავახეთში გამართული შინაომები და რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ზოგი სხვა საკითხი[36].

1914-1918 წლების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი მომენტი აისახა მწერალ ირო-დიონ ქავჟარაძის დოკუმენტურ მოთხრობაში, რომელიც მემედ აბაშიძეს ეძღვნება[37].

საუკუნეზე მეტია, რაც სომხური და ზოგჯერ რუსულენოვანი ლიტერატურით საზოგადოებას მიეწოდება არაობიექტური ინფორმ-აცია საქართველოში და გამორჩევით მის სამხრეთ ნაწილში კომ-პაქტურად ჩამოსახლებული სომხური ეთნოსის ისტორიული სამკვ-იდროს, ქართველთა მიერ მათი თითქოსდა შევიწროების შესახებ და ა.შ. ეს კი ხელს უწყობს ამ ძირძველ ქართულ რეგიონში მცხოვრებ უცხოტომელთა შორის შოვინისტური და სეპარატისტული ამბიციების გაღვივებას[38]. უკანასკნელ პერიოდში ქართულ ისტორი-ოგრაფიაშიც გაჩნდა ინტერესი სამხრეთ საქართველოში სხვადასხვა დროს სომეხ კოლონისტთა და ლტოლვილთა ჭარბად ჩამოსახლება-დამკვიდრებით წარმოქმნილი ამგვარი პრობლემებისადმი, რამაც 1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ აშკარად იჩინა თავი სამცხე-ჯავახეთში, ხოლო 1918 წ. დეკემბერში სომხეთ-საქართველოს შო-რის ომიც კი მოჰყვა[39].

უკანასკნელ პერიოდში გაძლიერდა ინტერესი საქართველოს სახე-ლმწიფოებრიობის აღდგენისადმი. კერძოდ, 1914-1918 წლებში გერმ-

---

36 დ.კოპორიძე, სამცხე-ჯავახეთი - წარსული და დღევანდელობა, თბ., 1987.

37 ირ.ქავჟარაძე, ვალმოხდილი, ბათ., 1984.

38 ალ.აბდალაძე, მეტი ობიექტურობა, ჟურნ. „მნათობი", 1998, №3-4.

39 თ.ფუტკარაძე, ეთნიკური სტრუქტურა და ეროვნულ-დემოგრაფიული პროცესები სამცხე-ჯავახეთში, ბათ., 1998; შ.თეთვაძე, ო.თეთვაძე, სომხები საქართველოში (უძველ-ესი დროიდან დღემდე), თბ., 1998; დ.ჭუმბურიძე, საქართველო-სომხეთის ურთიერთობა 1918-1921 წლებში და ქართული საზოგადოებრივი აზრი, თბ., 1999; რ.ცუხიშვილი, ინ-გლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წწ. თბ., 1995; ნ.ვაშაყმაძე, სომხეთ-საქარ-თველოს ომი 1918 წ. დეკემბერში. - ჟურნ. „საქართველო", 1999, №1-2.

ანიასა და ოსმალეთში მოღვაწე „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისა“ და მისი ლეგიონისადმი. მათზე გამოქვეყნდა რამდენიმე ნაშრომი და მონოგრაფია[40], რომლებშიც წარმოჩენილია აღნიშნული ეპოქის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის რიგი საკითხიც.

მკვლევართა ინტერესების სფეროში მოექცა აგრეთვე დამოუკიდებლობის კომიტეტის ცალკეულ წევრთა და ამავე კომიტეტის მიერ დაწესებული „თამარის ორდენით“ დაჯილდოებულ პირთა კვლევის საკითხი[41]. თუმცა, მათში წამოყენებული ზოგი დებულება, ჩვენი აზრით, საჭიროებს კორექტივს, რის შესახებაც სათანადო ადგილას (თ. III, § 3) შევნიშნავთ კიდეც.

ქართული ემიგრაციის ეროვნულ-განმათავისუფლებელი საქმიანობის შესასწავლად საყურადღებოა პროფ. დ. შველიძის მონოგრაფია[42] და სხვა პუბლიკაციები გასული საუკუნის 90-იან წლებში.

ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხებზე სერიოზული გამოკვლევები ეკუთვნით პროფ. ა. სილაგაძეს, ვ. გურულს, მ. ვაჩნაძეს და შ.ვადაჭკორიას[43]. მათი მონოგრაფიები დაწერილია

---

40 კ.სალია, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი პირველი მსოფლიო ომის დროს. - ჟურნ. „ბედი ქართლისა“, პარიზი, 1962, № 39-40; აბ.სურგულაძე, კ.სურგულაძე, ქართული ლეგიონი თურქეთში, ბათ., 1994; რ.გრძელიძე, საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი (1914-1918 წწ.), თბ., 1995; მ.ხიორიძე, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918), ბათ., 1998; მისივე, ასლან აბაშიძის ბიოგრაფიისათვის, ჟურნ. „საისტორიო მაცნე“, 2000, № 9.

41 გ.შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წ.1-3 თბ., 1993; მისივე. მემედ აბაშიძე, თბ.-ბათ., 1995; აბ.სურგულაძე, ყადრი შერვაშიძე - თამარ მეფის ორდენის რაინდი, ქუთ., 1998; ნ.ჯავახიშვილი, ქართული ფალერისტიკა, თბ., 1995., მისივე, თამარ მეფის ორდენი, თბ. 1998.

42 დ.შველიძე, პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში, ნაკე. I, ფედერალისტები, თბ., 1993;

43 ა.სილაგაძე, ვ.გურული, სამი ისტორიულ-პოლიტიკური ესე, თბ., 1996; მათივე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1917-1918, თბ., 1998; ვ.გურული, მ.ვაჩნაძე, ნაციონალ-სოციალიზმი საქართველოში, თბ., 1998; მათივე, ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია (1892-1918), თბ., 1999; შ.ვადაჭკორია, პოლიტიკური პარტიები და საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა (1917), თბ., 1998; მისივე, ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიიდან (1917 წ. მარტი – 1918 წ. მაისი), თბ., 1999. მისივე, ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბ., 2001.

საარქივო პირველწყაროებზე დაყრდნობით და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოაქვთ ბევრი მანამდე უცნობი ან ნაკლებად ცნობილი მასალა. მათში ნაჩვენებია პირველი მსოფლიო ომის გავლენა ქართველთა პოლიტიკურ აზროვნებაზე, ეროვნული საკითხის ევოლუცია სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში და მის ლიდერთა როლი სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხში. ავტორთა დასკვნით, 1917-1918 წლების საქართველოში, გარდა სოციალ-დემოკრატიული პარტიისა, არ არსებობდა რეალური პოლიტიკური ძალა, რომელიც თავზე აიღებდა ქვეყნის დამოუკიდებლობის მძიმე ტვირთის პასუხისმგებლობას. აღნიშნული ავტორები განიხილავენ აგრეთვე ოსმალეთთან გამართულ ტრაპიზონის და ბათუმის საზავო კონფერენციებზე ქართველ დიპლომატთა გეგმებს, პრაქტიკულ საქმიანობას და სხვ.

მოკლედ, ასეთია ის წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც დაიწერა წინამდებარე წიგნი.

თავი II

სამხრეთ-დასავლეთი საქართველო პირველი მსოფლიო ომის წინ

§1. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა

სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს მშობლიურ წიაღში დაბრუნება დაემთხვა კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებას, რამაც მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ამ მხარის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, უპირველესად კი ქალაქებისა და საქალაქო მეურნეობის განვითარებაში.

რეგიონში ყველაზე მსხვილ საქალაქო ცენტრად ბათუმი იქცა, რაც განაპირობა მისმა ბუნებრივად პირველხარისხოვანმა ნავსადგურმა, რომელზეც მოდიოდა ამიერკავკასიის ექსპორტ-იმპორტის 2/3. მაგალითად, 1902 წ. მან შეადგინა 108,3 მილიონი ფუთი, 1903 წ. – 107,7 მლნ., 1904 წ. – 106,7 მლნ. ფუთი[1]. შემდეგ წლებში, საერთო ეკონომიკური კრიზისის შედეგად, იგი მკვეთრად შემცირდა. ამას დაერთო ბათუმში გაშლილი მძლავრი საგაფიცვო მოძრაობა. საპასუხოდ ნავთობმრეწველებმა აქ დახურეს და ხმელთაშუა ზღვისპირეთში გადაიტანეს საწარმოები.

ბათუმის ეკონომიკური ცხოვრება კვლავ გამოცოცხლდა 1910 წლიდან. შესამჩნევად იმატა გემების მიმოსვლამ. მაგ., 1911 წ. ბათუმის ნავსადგურში შემოვიდა უცხოეთის 1010, ხოლო 1912 წ. - 1937 გემი.[2] აღმავლობით ვითარდებოდა ტვირთბრუნვაც. 1910 წ. მან შეადგინა 63,6 მლნ. ფუთი, 1911 წ. – 68,6, 1912 წ. – 74,2, 1913 წ. – 91,2 მლნ. ფუთი, ხოლო 1914 წ. პირველ ნახევარში – 56,5 მლნ. ფუთამდე მიაღწია[3].

---

1 აცსა, ფ. 16, ან. 1, ს. 42, ფურც. 143.

2 „ქართული გაზეთი" (ბერლინი). 11 ივნისი, 1918 წ., №15 (52), გვ. 6. სხვა ცნობით: 1911 წ. ბათუმში შემოვიდა უცხოეთის 1803 გემი (იხ. „ბათუმის გაზეთი", 13 იანვარი, 1912 წ., № 10).

3 აცსა, ფ. 16, ან. 1, ს. 101, ფურც. 46; ს.133, ფურც. 5.

ბათუმის როლი მნიშვნელოვანი იყო საკაბოტაჟო ტვირთბრუნვაშიც. ბათუმიდან მცირე კაბოტაჟი ინტენსიურად ხორციელდებოდა შავი და აზოვის ზღვების აუზში, ხოლო დიდი საკაბოტაჟო ოპერაციები პეტერბურგთან და თვით ვლადივოსტოკთანაც. 1913 წ. ბათუმის საკაბოტაჟო ტვირთბრუნვამ გადააჭარბა 17,2 მლნ. ფუთს[4].

აღსანიშნავია, რომ ბათუმის ნავსადგურით ტვირთბრუნვაში უმთავრესი წილი კვლავ ექსპორტზე მოდიოდა. მაგ., 1913 წ. მან გადააჭარბა 71 მლნ. ფუთს[5]. ეს მიუთითებს ბათუმის უაღრესად დადებით როლზე საგარეო აღებ-მიცემობაში.

ექსპორტის უმთავრესი საგანი იყო ბაქოს ნავთობი. ბათუმით მისი გატანა დაიწყო 1883 წელს და 1904 წლამდე გიგანტურად იზრდებოდა. (მაგ., 1903 წ. მან შეადგინა 78, 5 მლნ. ფუთი). ამის წყალობით ბათუმი გადაიქცა მსხვილ სანავსადგურო და საავჭრო-სამრეწველო ცენტრად. შეიქმნა ნავთობპროდუქტების დახარისხებასა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული მყარი ინფრასტრუქტურა. კერძოდ, ბათუმი ბაქოს შეუერთდა რკინიგზით და ნავთსადენით, შეიქმნა ნავთის ტარის (თუნუქის ბიდონების და ხის კასრების) დამამზადებელი 9 მსხვილი და ათეულობით წვრილი საწარმო, აიგო დიდი ტევადობის 150-მდე რეზერვუარი, ნავთობპროდუქტების გემებში ჩასატვირთავად ნავსადგურში მოეწყო 30-ზე მეტი ჩამომსხმელი სადგური და ელევატორი. კეთილმოეწყო ნავსადგური, ქალაქის ძირითადი ქუჩები და ა.შ.

1905 წლიდან ნავთობის გატანა თითქმის 1/3-ით შემცირდა. ეს უმეტესწილად შეეხო გაწმენდილ ნავთს, რომელიც გათბობისა და განათებისათვის გამოიყენებოდა. ახალი ეკონომიკური აღმავლობის წლებში (1910-1914 წწ.) კვლავ გამოიკვეთა ნავთობის ექპორტის ზრდის ტენდენცია. 1911 წ. მან შეადგინა 27,2 მლნ., 1912 წ.-33,8 მლნ., 1913 წ. კი 38,7 მლნ. ფუთი[6]. აღსანიშნავია, რომ ეს ზრდა ამჯერად ძირითადად მოდიოდა წასაცხებ ზეთებზე, რომელსაც ჭარბად მოითხოვდა ევროპის ქვეყნების საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა. მაგ., 1913 წ.

---

4 იქვე, ფ.6, ან.1, ს.789, ფურც. 30.
5 იქვე.
6 იქვე, ფ. 16, ან. 1, ს. 133, ფურც. 6.

გატანილი 38,7 მლნ. ფუთი ნავთობიდან-14 მლნ-მდე ფუთს წასაცხები ზეთები შეადგენდა. ამდენად, ექსპორტის არასტაბილურობის მიუხედავად, ნავთობის მსოფლიო ბაზრისათვის ბრძოლაში ბათუმმა მაინც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ომამდელ პერიოდში (1883-1913 წწ.) აქედან საზღვარგარეთ (რუსეთის ჩაუთვლელად) სულ გაიტანეს 1,4 მილიარდ ფუთამდე სხვადასხვა სახის ნავთობპროდუქტი, რომელთა საერთო ღირებულებამ 800 მლნ. რუბლს გადააჭარბა[7].

აღსანიშნავია, რომ ბათუმის ნავსადგურით იგეგმებოდა გურიის ნავთობის ექსპორტიც. 1878 წ. დაწყებული საძიებო სამუშაოების შედეგად ნავთობი აღმოჩნდა მდ. სუფსის და ნატანების სანაპიროებზე. ბელგიური და ინგლისური ფირმები დაინტერესდნენ მათი საფუძვლიანი გამოკვლევით, მაგრამ, ქართული პრესის რწმუნებით, მსხვილმა ბაქოელმა ნავთობმრეწველებმა შეაფერხეს ეს საქმე, რადგან არ სურდათ ნავთობის ახალი საბადოების აღმოჩენა-ექსპლოატაცია და ბაზარზე ახალი კონკურენტების გაჩენა[8].

ახალი ეკონომიკური აღმავლობის წლებში გურიის ნავთობის საბადოები კვლავ დადგა დღის წესრიგში. 1911 წლიდან აქ აქტიურად საქმიანობდა გერმანული ფირმა „ზიბერტი და კომპანია", 1912 წლიდან კი ინგლისური „გურია პეტროლეუმ კორპორეიშენი". მათ სოფ. ომფარეთში, სამხვთოში, სუსკურასა და ჩოჩხათში ივკარით აიღეს მიწები, აღმართეს კოშკები და შეუდგნენ ბურღვას. საქმეს სასიკეთო პირი უჩანდა, მაგრამ მსოფლიო ომის დაწყების გამო საძიებო სამუშაოები შეწყდა[9].

ბათუმის ნავსადგურმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული მარგანეცით მსოფლიო ვაჭრობაშიც. მართალია, მარგანეცი ძირითადად ფოთით გაჰქონდათ, მაგრამ მისი ნავსადგური ბუნებრივად დაუცველი იყო და ქარიშხლის დროს ჭიანურდებოდა გემების დატვირთვა. ამიტომ, ბა-

---

7 **მ.ხიორიძე**, ბათუმის როლი ნავთობის მსოფლიო ბაზრისათვის ბრძოლაში (1883-1918 წწ). - ბათუმის სახ. უნივერსიტეტის შრომები I (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია), ბათ., 1995, გვ.82.

8 „ბათუმის გაზეთი", 21 ივლისი, 1911 წ., № 6.

9 იხ. **Бежанов И.Г., Буленшвили Д.А.**, История развития нефтяной промышленности в Грузии, Тб., 1975.; **ვ.ხ.**, გურიის ნავთი და ბ-ნნი ზიბერტი და შმედელი, ბათ., 1912 წ; **მ.ხიორიძე**, ევროპელი მრეწველები და ნავთობსაძიებო სამუშაოები დასავლეთ საქართველოში 1878-1914 წლებში.- საქ. მთ. საარქივო სამმართველოს „სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი", 1987, №51-52, გვ.104-108.

თუმამდე რკინიგზის გაყვანის (1883 წ.) შემდეგ, მარგანეცის ექსპორტი აქედანაც დაიწყო. 1884-1914 წლებში ფოთით სულ გაიტანეს 522,2 მლნ. ფუთი მარგანეცი, ხოლო ბათუმით – 97,5 მლნ. ფუთი, რაც ქართული მარგანეცის საერთო ექსპორტის თითქმის 1/6-ს შეადგენდა. აგრეთვე, თუ 1909 წლის ჩათვლით ბათუმის ნავსადგურის ხვედრითი წილი ჭიათურის მარგანეცის საერთო ექსპორტში 2-5% იყო, 1913 წ. მან შეადგინა 40%-ზე მეტი. ამასთან, მარგანეცის ექსპორტის ზრდის ტემპით ბათუმმა ომის წინა პერიოდში აშკარად დაჩრდილა ფოთი (იხ. ცხრილი)[10].

მარგანეცის ექსპორტი 1910-1914 წლებში
(მილიონი ფუთობით)

გაიტანეს	1910 წ.	1911 წ.	1912 წ.	1913 წ.	1914 წ. I ნახევარში	სულ 1910-1914 წ.წ.
ფოთიდან	37,0	29,2	39,2	41,7	27,2	174,3
ბათუმიდან	2,7	8,0	18,1	26,7	12,0	67,5

ნავთობის და მარგანეცის გარდა საზღვარგარეთ ბათუმიდან გაჰქონდათ აგრეთვე 45-მდე დასახელების სხვადასხვა საქონელი: ხე-ტყე, სიმინდი, მატყლი, აბრეშუმის პარკი, ბამბა, ძირტკბილა, თამბაქო და სხვ. ხოლო ევროპიდან შემოჰქონდათ და აქედან მთელს ამიერკავკასიაში ვრცელდებოდა 25-ზე მეტი სახის საქონელი: გოგირდი, საღებავები, სამრეწველო მანქანები და მოწყობილობები, ლითონის ნაწარმი, მანუფაქტურა, ყავა, ავეჯი, მარმარილო, აგური, კრამიტი, თუნუქი და სხვა.

---

10 იხ. აცსა, ფ.16, ან.1, ს. 133, ფურც.6; სცსსა, ფ.13, ან.12, ს.274, ფურც.7; გაზ. „აზრი", 19 ივნისი, 1914 წ., №75; გაზ. „ახალი აზრი", 24 იანვარი, 1915 წ., № 126.

აღსანიშნავია, რომ ბორჯომის სამკურნალო-მინერალურმა წყალმაც მიიპყრო უცხოელ ექპორტიორთა ყურადღება. გადაწყდა მისი ფართოდ შეტანა ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში. 1914 წ. განზრახული იყო 14 მილიონი ბოთლი ბორჯომის ჩამოსხმა და გატანა,[11] მაგრამ მსოფლიო ომის დაწყებამ და სრუტეების ჩაკეტვამ ეს საქმეც შეაფერხა.

პირველი მსოფლიო ომის წინ ბათუმის ნავსადგურით ტვირთი მიმოჰქონდა 16 ქვეყნის 30-ზე მეტ სანაოსნო კომპანიას. ბათუმში საქმიანობდა ათეულობით სავაჭრო და სამრეწველო ფირმა, მათ შორის ისეთი მსხვილი კომპანიები, როგორიც იყო „სიმენსი და ჰალსკე", „შუტცი და ციმერმანი", „ვარნეკე და კომპ.", „ძმები ნობელები", „კორნარო და კომპ.", „ფ. ბურკგარდტი და კომპ." და სხვ.

ექსპორტ-იმპორტში აქტიურად ჩაებნენ ბათუმში მოქმედი ბანკებიც. ისინი აფინანსებდნენ, აგრეთვე, ქალაქის ადგილობრივ მრეწველობას და მრავალგვარი ნედლეულის წარმოებას დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონში. ამრიგად, ბათუმში სახეზე იყო სამრეწველო, სავაჭრო და საბანკო კაპიტალის შერწყმა-დაახლოების ტენდენციები[12].

ახალი ეკონომიკური აღმავლობის წლებში ბათუმში საგრძნობლად იმატა საქმიანი უცხოელების მიმოსვლამ. მათი და აქ მოქმედი უცხოური სავაჭრო-სამრეწველო ფირმების ინტერესების დაცვისათვის ბათუმში გაიხსნა არაერთი ქვეყნის საკონსულო და წარმომადგენლობა[13].

ბუნებრივად პირველხარისხოვანი ბათუმის ნავსადგური ყველაზე რენტაბელური იყო აღმოსავლეთ შავზღვისპირეთში. 1910 წ. 1 იანვრისათვის ბათუმის ნავსადგურის საბაჟო შემოსავლებით ხაზინას მიღებული ჰქონდა 11,2 მლნ. ოქროს რუბლი. მაშინ როცა ამ ნავსადგურის კეთილმოწყობაზე გაწეულმა სახელმწიფო ხარჯმა,

---

11 სცსსა, ფ.1891, ან.1, ს.634, ფურც.19.

12 ალ.ბენდიანიშვილი, საქალაქო თვითმმართველობა და ბრძოლა მისი დემოკრატიზაციისათვის საქართველოში 1875-1917 წლებში, გვ.226; ვ.ხიჭინაკა, ბათუმის ისტორიიდან, გვ. 164-169.

13 აბ.სურგულაძე, მ.ხიორიძე, პორტო-ფრანკო ბათუმში, გვ. 43.

პორტის ადმინისტრაციის და მუშა-მოსამსახურეთა ხელფასების ჩათვლით, ამავე პერიოდისათვის სულ შეადგინა 7 მლნ. რუბლი[14].

1910-იანი წლებიდან ტვირთბრუნვის აღმავალმა ზრდამ დაარწმუნა მთავრობა, რომ აუცილებელი იყო ინტენსიური სამუშაოების ჩატარება ნავსადგურის შემდგომი სრულყოფისათვის. ამიტომ, რუსეთის იმპერიის ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის ბრძანებულებით, „ფოთის, ბათუმისა და სოხუმის ნავსადგურების კეთილმოწყობის სამუშაოთა მწარმოებელი სამმართველო“ 1914 წ. მარტში ფოთიდან ბათუმში გადმოიტანეს[15], თუმცა ნავსადგურის გაღრმავება-გაფართოების სამუშაოები ვეღარ მოესწრო ომის დაწყების გამო.

ექსპორტ-იმპორტის ზრდას და სამრეწველო განვითარებას მოჰყვა ბათუმის მოსახლეობის სწრაფი მატება. 1879-1913 წლებში, ე.ი. 35 წლის განმავლობაში, იგი 3 ათასიდან – 33 ათასამდე გაიზარდა[16]. ცარიზმის მიერ ამ მხარის ინტენსიური რუსული და სომხურ-ბერძნული კოლონიზაციის მიუხედავად, ბათუმში საგრძნობლად იმატა ქართულმა მოსახლეობამ და XX ს. დასაწყისისათვის ცალკეულად ყველა ერის წარმომადგენელს გადააჭარბა. ეს იყო შედეგი ღვაწლისა, რაც ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამოსანგრეებმა გასწიეს ბათუმის საქალაქო თვითმმართველობიდან „ჭრელი ხალხის“ ჩამოშორებისათვის, ქალაქის ბედ-იღბლით დაინტერესებული ერის შვილების (ლ. ასათიანი, ივ. მესხი, გრ. ვოლსკი და სხვ.) იქ მიზიდვისა და ამ საფუძველზე თვითმმართველობის შემდგომი დემოკრატიზაციისათვის.

1905-1907 წწ. რევოლუციის ჩახშობის შემდეგ, რეჟიმის გამკაცრებისა და იმპერიული შოვინიზმის ზრდის მიუხედავად, ბათუმის თვითმმართველობაში შენარჩუნებული იქნა პროგრესული ქართველების ბირთვი. ქალაქისთავი იყო ივანე ანდრონიკაშვილი, მისი მოადგილე ევგენი კრინიცკი, გამგეობის წევრი რეჯებ ბეგ ნიჟარაძე, გამგეობის მდივნად კვლავ ივანე მესხი მუშაობდა. საქმის

---

14 Газ.„Батумская правда“, 16 июня, 1912 г., №107.

15 სცსსა, ფ.13, ან.12, ს. 240, ფურც.14.

16 შდრ. Батум и его окрестности, с. 460-461; აცსა, ფ.6, ან. 1, ს.778, ფურც. 2-3.

მწარმოებლებად მიხეილ ჩხატარაშვილი და გიორგი ელიავა, ქალაქის გამგეობის ბუღალტერი იყო კირილე ჩიხლაძე, მისი თანაშემწე – იასონ სიორიძე, ქალაქის მთავარ ექიმად კვლავ რჩებოდა გრიგოლ ელიავა, სანიტარიულ ექიმად კი ლუკა ჩხენკელი[17].

პროგრესისტი ქართველებით დაკომპლექტებული თვითმმართველობის ინიციატივით ბევრი გაკეთდა ქალაქის და ნავსადგურის კეთილმოწყობისათვის, რის მეოხებითაც ბათუმმა ევროპული ქალაქის იერი მიიღო. ეს ძირითადად შესაძლებელი გახდა 1904 წლამდე ქალაქის მზარდი საშემოსავლო ბიუჯეტით, რაც წლიურად საშუალოდ 0,5 მლნ. რუბლს აღემატებოდა. ამ თანხებით ბათუმში აიგო ქალთა და ვაჟთა გიმნაზიების, სახანძრო რაზმის, სასაკლაოს და სხვა შენობები. 1901 წ. მწყობრში შევიდა თბოელექტროსადგური და ცენტრალური ქუჩები ელექტრონულ განათებაზე გადაიყვანეს. 1908 წ. აიგო ახალი, 38 ვერსის საერთო სიგრძის წყალსადენი. ზღვისპირას მოეწყო ბულვარი. მასთან დაარსდა სანერგე, დაიწყო ჭაობების ამოშრობა, აიგო ახალი 120-საწოლიანი საავადმყოფო 6 შენობა-განყოფილებით (1902 წ.), სანიტარიულ-ვეტერინარული სადგური, სადეზინფექციო კამერა და სხვ.

ქალაქის საშემოსავლო ბიუჯეტი დგებოდა მოქალაქეთა უძრავ-მოძრავი ქონების, სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებების, მომსახურების ობიექტების, სხვადასხვა სახის სატრანსპორტო საშუალებების დაბეგვრით, აგრეთვე, ქალაქში მიწის ნაკვეთების და შენობა-ნაგებობების იჯარაზე გაცემით; ელექტროსადგური, წყალსადენის, სასაკლაოს, ქალაქის ლომბარდის და სხვა ობიექტების მომხმარებელთაგან ამოღებული შემოსავლებით. ბიუჯეტის შევსების უმთავრესი წყარო იყო ნავთობის საექსპორტო ტარის დამამზადებელი საწარმოები და 1889 წ. დაწესებული საფუთო გამო-

---

17 იხ. აცსა, ფ.6, ან.1, ს.253, ფურც. 165-177. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ საქართველოსაგან განსხვავებით, სადაც საქალაქო თვითმმართველობებში უპირატესობა სომეხ ბურჟუაზიას ჰქონდა მოპოვებული, დასავლეთ საქართველოში ძლიერი იყო ეროვნული ბურჟუაზია და მას წამყვანი პოზიციები ეკავა თვითმმართველობებში, მათ შორის ქ. ბათუმშიც (ალ.ბენდიანიშვილი, საქართველოს ისტორია 1801-1921, თბ., 1999, გვ.220).

საღები. ეს უკანასკნელი 1901 წ. გააუქმა მთავრობამ. ამას დაერთო ეკონომიკური კრიზისი, ნავთობის ექსპორტის დაცემა და ვაჭრობა-მრეწველობის დაქვეითება. 1904 წლიდან ბათუმის ბიუჯეტი დეფიციტური გახდა. ჭარბი გასავალი იფარებოდა აღმავლობის პერიოდში შექმნილი სარეზერვო თანხებით და სესხებით. 1910 წ. 1 ივლისისათვის ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის ვალი ერთ მლნ. რუბლს აჭარბებდა[18]. 1914 წ. 1 იანვრისათვის კი მან 2,4 მლნ. რუბლი შეადგინა[19].

ფინანსური კრიზისისაგან თავის დასაღწევად ბათუმის თვითმმართველობა ითხოვდა ნებართვას ობლიგაციური სესხის (ჯერ 3,4 მლნ., შემდეგ კი 1,9 მლნ. რუბლის ოდენობით) გამოშვებაზე, მაგრამ უშედეგოდ. დადებითად გადაწყდა მხოლოდ ბათუმის სასარგებლოდ საფუთო მოსაკრებლის (ისიც არაუმეტეს 1/4 კაპიკისა ფუთზე) აღდგენის საკითხი, რაც 1914 წ. 1 იანვრიდან შევიდა ძალაში და პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ქალაქის ხაზინას ყოველთვიურად, საშუალოდ, 15 ათას რუბლს მატებდა[20].

მდგომარეობის გამოსწორებისათვის ბათუმის თვითმმართველობამ აქცენტი გადაიტანა მუნიციპალური საწარმო-დაწესებულებების და შენობა-ნაგებობების შენახვის ხარჯების შემცირებასა და მათ რენტაბელურ ექსპლოატაციაზე. საგრძნობლად შეზღუდა ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოებიც. 1912 წლიდან თვითმმართველობა ცდილობდა მომავალი წლების ბათუმის ბიუჯეტი დაეგეგმა რეალობების გათვალისწინებით. ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა შედეგად, 1913 წ. საშემოსავლო ბიუჯეტში გარღვევა 19%-მდე შემცირდა (დაგეგმილი 548,5 ათასიდან ბიუჯეტში არ შესულა მხოლოდ 105,6 ათასი რუბლი).[21]

უაღრესად პერსპექტიული ჩანდა 1914 წელი, როცა ქალაქის საშემოსავლო ბიუჯეტი 545,7 ათასი რუბლით იყო განსაზღვრული.

---

18 ალ.ბენდიანიშვილი, საქალაქო თვითმმართველობა და ბრძოლა მისი დემოკრატიზაციისათვის საქართველოში, გვ.275.

19 აცსა, ფ. 6. ან.1. ს.789, ფურც. 6-7.

20 იქვე, ს. 790, ფურც.7.

21 ალ.ბენდიანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 258, 280.

რეალურად კი, მხოლოდ წლის პირველ 6 თვეში ბათუმის შემოსავალმა გადააჭარბა 390 ათასს, რაც წინა 1913 წ. პირველ 6 თვესთან შედარებით ორჯერ მეტი იყო[22]. ეს მნიშვნელოვანწილად განაპირობა საფუთო მოსაკრებელის აღდგენამ.

დეფიციტური ბიუჯეტის გამო მიმდინარე ხარჯების შემცირებების მიუხედავად, ქალაქის თვითმმართველობას გაუმართლებლად მიაჩნდა დაფინანსების შემცირება სამედიცინო, სანიტარიული და სახანძრო სამსახურებისათვის, ელექტროსადგურის, წყალგაყვანილობისა და დაწყებითი სკოლებისათვის.

პირველი მსოფლიო ომის წინ ბათუმში ფუნქციონირებდა ორი გიმნაზია (ვაჟთა და ქალთა), მარინეს სასწავლებელი (ქალთა), 6 კლასიანი საქალაქო (ანუ უმაღლესი დაწყებითი) სკოლა. აგრეთვე 6 დაწყებითი, რომლებშიც 1913 წ. 905 მოსწავლე იყო. კერძოდ, პირველ ქართულ დაწყებით სასწავლებელში – 120, მეორე ქართულში (ადგილობრივ მუსლიმან ბავშვთა განყოფილებით) – 188, პუშკინის სასწავლებელში (ანუ პირველ რუსულში) – 148, გოგოლის (ანუ მეორე რუსულში) – 135, სომხურში – 166 და ბერძნულ სასწავლებელში – 148 მოსწავლე[23]. ეს დაწყებითი სკოლები მართალია რუსეთის იმპერიის განათლების სამინისტროს ბალანსზე ირიცხებოდნენ, მაგრამ მნიშვნელოვანწილად ქალაქის ბიუჯეტიდან ფინანსდებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ იმპერიის მთავრობა უკვე 1908 წლიდან შეუდგა საყოველთაო სახალხო განათლების პროექტის განხორციელებას. ადგილობრივ თვითმმართველობებს სახელმწიფო ხაზინიდან ყოველწლიურად უნდა მიეღოთ 420 რუბლი თითოეული კლას-კომპლექტისათვის (ერთ კლას-კომპლექტად ითვლებოდა 50 მოსწავლე)[24]. ამ დებულების საფუძველზე ბათუმს ყოველწლიურად გამოეყო დაფინანსება დაწყებითი სკოლის 9 კლას-კომპლექტისათვის. მოსახლეობის მოთხოვნილება განათლებაზე კი ყოველწლიურად იზრდებოდა. 1910 წელს ბათუმის დაწყებით სკოლებში უკვე

---

22 აცსა, ფ.6, ან.1,ს.759, ფურც.222; ს.790, ფურც. 7-8.

23 იქვე, ს.603, ფურც. 218.

24 Подготовительные работы по введению всеобщего обучения в России (выпуск восьмой), СПБ., 1914 г., с. 3.

10 კლას-კომპლექტი იყო, 1911-1913 წლებში კი 14, თუმცა, ქალაქი სუბსიდიას წინანდებურად 9 კლას-კომპლექტზე იღებდა[25], დანარჩენი თანხა მთლიანად ქალაქის ბიუჯეტიდან იფარებოდა. კიდევ მეტი, ფინანსური სიძნელეების მიუხედავად, 1914 წ. 28 თებერვალს ქ. ბათუმის სათათბირომ მიიღო დაწყებითი სკოლის ქსელის შექმნის და დაფინანსების გეგმა და გადაწყვიტა 1914 წ. 1 სექტემბრისათვის დაწყებით სკოლებთან დამატებით გაეხსნა 5 ახალი კლას-კომპლექტი. თუმცა სკოლის გარეთ რჩებოდა ათასზე მეტი მოზარდი. ამიტომ, ბათუმის გამგეობამ შეიმუშავა გეგმა, რომლითაც 1921 წ. ბათუმში უნდა დასრულებულიყო საყოველთაო დაწყებით სწავლებაზე გადასვლა[26]. შეადგინა აგრეთვე სათანადო ხარჯთაღრიცხვის პროექტი, რომლითაც 1915-1921 წლებში ახალი დაწყებითი სასკოლო-კომპლექტების გახსნისთვის საჭირო სახსრების 2/3-ს კისრულობდა ქალაქის თვითმმართველობა, დანარჩენი კი სახელმწიფო ხაზინას უნდა გაეღო[27].

ზემოაღნიშნულ დაწყებით და სახაზინო სასწავლებლებს გარდა, ბათუმის თვითმმართველობა ფინანსურად ეხმარებოდა კერძო და საზოგადოებრივ სკოლებს. თავისი ხარჯით ინახავდა პედაგოგიურ კურსებს, საქალაქო მუზეუმს და სხვა საგანმანათლებლო და კულტურულ დაწესებულებებს. ამგვარად, სახალხო განათლებაზე ბათუმის თვითმმართველობა ყოველწლიურად ხარჯავდა თავისი შემოსავლების 10-15%. მაგ., 1913 წ. ქალაქის საგასავლო ბიუჯეტიდან (546 ათასამდე რუბლი) 54,5 ათასი რუბლი სახალხო განათლებას მოხმარდა[28].

ბიუჯეტის 11-14% ხმარდებოდა ქალაქის სანიტარიული, სამედიცინო და ვეტერინარული მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამ მიზნით, 1913 წ. დაიხარჯა 69 ათასი რუბლი[29]. ამ ტიპის დაწესებულებებიდან მოგებიანი იყო მხოლოდ ქალაქის სასაკლაო, ნაკლებრენტაბელური – წყალგაყვანილობა. მოგებიანი საწარმო გახდა

---

25 აცსა, ფ.6, ან. 1,ს. 603, ფურც. 270-271.
26 იქვე, ფურც. 219.
27 იქვე, ფურც. 214.
28 იქვე, ს.759, ფურც. 222.
29 იქვე.

თბოელექტროსადგურიც. ახალი ეკონომიკური აღმავლობის წლებში გაიზარდა ელექტროენერგიის მომხმარებელთა რაოდენობა. თუ 1911 წ. აბონენტთა რიცხვი 40 (ძირითადად ორგანიზაციებს) შეადგენდა, 1914 წ. დასაწყისისათვის მან 600-ს მიაღწია. მათ შორის ნახევარზე მეტი კერძო მობინადრე იყო[30]. ელექტროსადგურის სიმძლავრის შემდგომი გაზრდისათვის ბათუმის გამგეობამ გადაწყვიტა ფირმა სიმენსისათვის 300 ც.ძ. სიმძლავრის ორი ახალი დინამომანქანის შეკვეთა, აგრეთვე, ნაგავსაწვავის და მიწისქვეშა კანალიზაციის მოწყობა, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ ეს გეგმები სამომავლოდ გადადო.

ბათუმის შემდეგ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში გარკვეულ როლს ასრულებდნენ შედარებით მომცრო ქალაქები და დაბები: ართვინი, არტანუჯი, არტაანი, ოლთისი, ყარსი, ახალციხე, ახალქალაქი და სხვ. 900-იან წლებში მათშიც მომრავლდა სახელოსნოები და ევროპული ტიპის სავაჭროები, სადაც დაქირავებულ შრომას იყენებდნენ. ფერადი მეტალურგიის განვითარების შედეგად მოზრდილ სამრეწველო დაბებად გადაიქცნენ ადრე პატარა სოფლები: მურღული, ხოდი და კვარცხანა. მათ ჰქონდათ თავიანთი შემოსავალ-გასავლის ბიუჯეტი, რომელიც წლიურად საშუალოდ 1-2 ათასიდან – 10-12 ათასამდე რუბლს შეადგენდა. მათგან მხოლოდ ქ. ყარსის შემოსავალი აღემატებოდა 70 ათას რუბლს. ბიუჯეტი დგებოდა დაბა-ქალაქების საკუთრებაში მყოფი მიწის ნაკვეთების და ობიექტების იჯარით, სავაჭროებზე, სახელოსნოებსა და მოქალაქეთა უძრავ ქონებაზე შეწერილი გადასახადებით. თუმცა, საგასავლო ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი პოლიციის და ჯარის საჭიროებას ხმარდებოდა. განათლების, სამედიცინო-სანიტარიული სამსახურის და დაბა-ქალაქების კეთილმოწყობისათვის ნაკლები თანხა რჩებოდა[31]. ამას ძირითადად იწვევდა ადგილებზე მუნიციპალური თვითმმართველობის არქონა. პირველი მსოფლიო ომის წინ ამ სიკეთით სარგებლობდა

---

30 იქვე, ს. 788, ფურც. 1.

31 Обзор Батумской области за 1910 год. Бат., 1910, с. 130-131; Обзор Карсской области за 1908 год, Карс, 1908, см. приложение: ведомость №9

რეგიონის მხოლოდ რამდენიმე ქალაქი (ყარსი, ახალციხე, ახალქალაქი), მაგრამ, ისინიც შეზღუდულად ფუნქციონირებდნენ, დანარჩენ დაბა-ქალაქებს უწინდებურად პოლიცია განაგებდა.

* * *

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ომის წინ წამყვან როლს ასრულებდა ჭოროხის აუზის სამთო-მეტალურგიული მრეწველობა. ჩატარებული საძიებო-გეოლოგიური სამუშაოების შედეგად აქ აღმოჩნდა სპილენძის 45 და ტყვია-ვერცხლის 30-მდე საბადო. დადგინდა აგრეთვე გოგირდის, თუთიის, რკინის, გრაფიტის, მარგანეცის და სხვა სასარგებლო წიაღისეულის არსებობაც. სამრეწველო ეპოქის ხასიათიდან გამომდინარე უპირატესობა მიენიჭა სპილენძის წარმოებას, რადგან მასზე დიდად იყო დამოკიდებული სამხედრო მრეწველობის, გემთმშენებლობის, კავშირგაბმულობის და სხვა ახალი ტექნიკური დარგების განვითარება. ამიტომაც, სპილენძის მადნით უმდიდრესმა ართვინის მხარემ მიიღო ამ დარგში მკვეთრად სპეციალიზებული რეგიონის სახე. უცხოური კაპიტალის აქტივობის შედეგად აქ ერთიმეორის მიყოლებით ამოქმედდა სამთო-მომპოვებელი საწარმოები და სპილენძსადნობი ქარხნები: ჭინკათხევ-ძანსულის (იგივე მურღულის, რუსულ წყაროებში კი „ალექსანდროვსკის“) უმსხვილესი კომპლექსი (1903-1918 წწ), ხოდის (1908-1914 წწ.) და კვარცხანაბეშაულისა (1914-1921 წწ). 1911 წლამდე ზიგზაგებით მუშაობდა ბათუმთან ახლომდებარე ერგეს სპილენძსადნობი ქარხანაც. იგი 1890 წ. შევიდა ექსპლოატაციაში და ამ დარგის პირველი სამრეწველო საწარმო იყო რეგიონში.

ფერადი მეტალურგიის ყველაზე მსხვილ ცენტრად იქცა ჭინკათხევ-ძანსულის (მურღულის) კომპლექსი, რომელიც მოაწყო ინგლისურ-ამერიკულმა კორპორაციამ - „კავკასიის სპილენძის სამრეწველო საზოგადოებამ“. ამ საქმისათვის მან მდ. ჭოროხის მარცხენა შენაკადის მურღულ-სუს (შეერთვის ბორჩხასთან) ხეობაში დააბანდა იმ დროისათვის უზარმაზარი კაპიტალი – 20 მლნ. რუბლი,

რითაც იქ ააგო საკუთარი ჰიდროელექტროსადგური, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სპილენძსადნობი ქარხანა, 4 მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკა. ისინი მაღაროებს უკავშირდებოდნენ საჰაეროსაბაგირო გზებით. ყველა მაღაროს ჰქონდა მადნის სამსხვრევი ფაბრიკა. მადნის მოპოვება ხდებოდა პნევმატური ბურღვის და ელექტრომექანიკური ნიჩბის მეშვეობით. მაღაროებიდან მადანი სამსხვრევ ფაბრიკებამდე გამოჰქონდათ რკინიგზის ვაგონეტებით. ყველა საწარმო ერთმანეთთან დაკავშირებული იყო ტელეფონით და ა.შ. ამ სპილენძსადნობი კოპლექსის საწვავით შეუფერხებლად მომარაგებისათვის ბათუმიდან ჭოროხის და მურღულის ხეობებით გაიყვანეს 60 ვერსის სიგრძის ნავთსადენი მილი. მზა სპილენძი ბათუმში გადაჰქონდათ ფურგონებით და ორთქლის მანქანებით (მაგონებით), ზოგჯერ მდ. ჭოროხითაც – ნავებზე დატვირთული.

ჭინკათხევ-ძანსულის სპილენძსადნობ კომპლექსში 1913 წ. დასაქმებული იყო 2.500-მდე მუშა, ხოლო ადმინისტრაცია 100 კაცამდე აღწევდა[32]. მუშათა საცხოვრებელი სახლები, საავადმყოფო, ადმინისტრაციული შენობები და სავაჭრო დუქნები განთავსებული იყო სოფ. ძანსულში, რომელშიც XX ს-ის დასაწყისში მხოლოდ 10-15 კომლი გამაჰმადიანებული ქართველი ცხოვრობდა, „ომის წინ იგი პატარა ქალაქი გეგონებოდათ და მცხოვრებთა რიცხვიც 3 ათასამდე აღწევდა“[33].

1913 წ. რუსეთის იმპერიის სამ უმთავრეს სპილენძის მომპოვებელ რეგიონში - ურალში, ამიერკავკასიასა და ყირგიზეთში ერთად გამოადნეს 1933 ათასი ფუთი სუფთა (წითელი) სპილენძი[34]. აქედან მარტო ჭინკათხევ-ძანსულის კომპლექსის წილი 206 ათას ფუთს შეადგენდა, ხოლო 1914 წ. პირველ 10 თვეში აქ გამოადნეს 179 ათას ფუთზე მეტი სუფთა სპილენძი[35].

---

32 ადმინისტრაციის ბირთვი ამერიკელებისა და ინგლისელებისაგან შედგებოდა. ომის წინ კომპლექსის დირექტორი იყო უაიტი, მაღაროების მმართველი ნილანდი. მისი მოადგილე დევიდი (სცსსა, ფ.13, ან.27, ს.3589, ფურც.12; ან.30, ს.27, ფურც.20).

33 გაზ. „თანამედროვე აზრი“, 8 მარტი, 1915 წ., № 7.

34 გრ. მარგიანი, დასახ. ნაშრ., გვ.349-350.

35 თ.ვახტანგიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ.121-129; მ.სიორიძე, დასახ. ნაშრ., - აჭარის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, VIII, გვ. 144-145.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სპილენძის მრეწველობაში მეორე ადგილზე იდგა მსხვილი გერმანული ფირმის „სიმენსი და ჰალსკე“-ს კავკასიური ფილიალის „ძმები სიმენსები“-ს კუთვნილი მაღაროები და საწარმოები, რომლებიც ბათუმიდან 71 ვერსის დაშორებით მდებარეობდა ართვინის მხარეში სოფ. კვარცხანასა და ბეშაულში. 1912-1914 წლებში ფირმის მიერ გამოყოფილი 1 მლნ. რუბლით იქ აიგო უახლესი ტექნიკით აღჭურვილი მსხვილი სპილენძსადნობი ქარხანა, ჰიდროელექტროსადგური და მექანიკური სახელოსნოები, მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკა, მოეწყო ლაბორატორია. მაღაროები ქარხანას დაუკავშირეს საჰაერო-საბაგირო გზებით. კვარცხანის ქარხნიდან ბათუმ-ართვინის გზატკეცილამდე გაიყვანეს სამანქანე გზა. მასზე სამოძრაოდ გერმანიიდან ჩამოიტანეს საბარგო ავტომობილებიც.

კვარცხანის სპილენძსადნობი ქარხანა უნდა აემუშავებიათ 1914 წლის დამლევს და მას წლიურად უნდა გამოედნო 100 ათასი ფუთი სუფთა სპილენძი, მაგრამ კავკასიის ფრონტის გახსნის შემდეგ ის ოსმალების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდა.

მნიშვნელოვან სპილენძსამრეწველო რაიონად იქცა აგრეთვე ართვინის ოკრუგის სოფ. ხოდი. ის ბათუმიდან 140 ვერსზე მდებარეობდა. აქედან თავდაპირველად ერგეს ქარხანა მარაგდებოდა მადნით, მაგრამ 1908 წლიდან ადგილზევე დაიწყეს სპილენძის გამოდნობა, რამაც 1560 ფუთი შეადგინა. მწარმოებლურობის გაზრდის მიზნით გადაწყდა მისი მოდერნიზაცია. 1914 წ. ხოდში აშენდა 500 კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური, დაიწყო საკომპრესოროს (პნევმატური ბურღვისთვის) მშენებლობა; აგრეთვე, ხოდიდან ბათუმ-არტაანის გზეტკეცილთან დამაკავშირებელი გზის გაყვანაც, მაგრამ კავკასიის ფრონტის გახსნამ ეს სამუშაოებიც შეაჩერა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამთო მეტალურგიაში უცხოტომელ – თურქებს, სომხებს და სპარსელებს გარდა ძირითად მუშათა უმრავლესობას შეადგენდნენ ადგილობრივი ქართველები, აგრეთვე, მინდვრის სამუშაოებისაგან თავისუფალ დროს აქ სეზონურად მომუშავე ლაზეთის, შავშეთ-იმერხევის, მაჭახლის, აჭარის და დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონების გლეხობა. მათი

ოჯახებისათვის ეს იყო დამატებითი შემოსავლის წყარო. გამომუშავებული ფულით ისინი ადგილზევე იძენდნენ სამრეწველო ნაწარმს. საქარხნო წარმოების ცენტრები გარდაიქმნენ მუშათა რიცხვმრავალ დაბებად. სამთამადნო წარმოების გარდა, დიდძალი მუშახელი იყო დასაქმებული ამ რეგიონში გზების მშენებლობაზე, ხე-ტყისა და ნახშირის დამზადებაზე[36].

ამრიგად, ომის წინ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო გახდა რუსეთის იმპერიის ფერადი მეტალურგიის უმსხვილესი რეგიონი, რაც სასიკეთო პერსპექტივებს ქმნიდა მომავალში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვისაც.

* * *

ფულად-სასაქონლო წარმოებისათვის საჭირო სპეციალიზაციით წარიმართა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობაც: ზღვისპირეთში წამყვანი გახდა სუბტროპიკული კულტურები (ჩაი, ციტრუსი); ართვინის მხარეში-მეხილეობა (ძირითადად ზეთისხილი) და მევენახეობა; არტანუჯში, ქვემო აჭარასა და გონიოს უბნის ნაწილში – მეთამბაქოეობა; ზემო აჭარაში, შავშეთ-იმერხევსა და არტანუჯის მთიან ნაწილში კი მეცხოველეობა.

ომამდელი პერიოდი თამბაქოს პლანტაციების გაძლიერებული ზრდით აღინიშნა. 1909-1912 წლებში მას ეკავა 500 დესეტინა ფართობი, 1913 წ. - 652 და 1914 წ. - 1014 დესეტინა. მოსავლის მატებამ შესაბამისად შეადგინა: 38 ათასი, 53 ათასი და 68,5 ათასი ფუთი. აღსანიშნავია, რომ აქ თამბაქოს მოსავლიანობა საქართველოს თამბაქოს მწარმოებელ სხვა მხარეებთან (აფხაზეთი, გურია, კახეთი) შედარებით ყველაზე მაღალი იყო და 1 დესეტინაზე საშუალოდ 70-82 ფუთს შეადგენდა[37].

მოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს მოიხმარდა ბათუმში არსებული თამბაქოს ორი ფაბრიკა (ისინი ეკუთვნოდნენ ეროვნებით ბერ-

---

36 ნ.კახიძე, დასახ. ნაშრ., გვ.45-47.

37 იხ. აჭარის ასსრ სტატისტიკური კრებული (1913-1923 წწ.), ბათ., 1924. გვ. 196-197.

ძენ მეწარმეებს ბინიატ-ოღლის და კანდილს). 1909-1912 წწ. მათ წლიურად საშუალოდ გადაამუშავეს 23 ათასამდე ფუთი, 1913 წ. - 25,1 ათასი, 1914 წ. კი მხოლოდ 18,5 ათასი ფუთი თამბაქო[38]. რეგიონში მოწეული თამბაქოს დანარჩენი ნაწილი უმთავრესად რუსეთში გაჰქონდათ.

1914 წ. ქ. ბათუმში ფუნქციონირებდა თამბაქოს ნედლეულის შემსყიდველი 6 საბითუმო საწყობი[39]. მათი მეპატრონეები უცხოტომელები იყვნენ. თამბაქოს ნედლეულის დამამზადებელი ათეულობით პუნქტი და კაპიტალისტური მეურნეობა იყო ართვინსა და არტანუჯში, რომლებიც თითქმის მთლიანად სომეხი ვაჭარ-საქმოსნების ხელთ იყო მოქცეული. ძირითადად საიჯარო მიწებზე იქმნებოდა მეთამბაქოეობის კაპიტალისტური მეურნეობები. თუმცა, თამბაქოს უმეტესი რაოდენობა 4 ათასამდე წვრილ გლეხურ მეურნეობაში მოჰყავდათ, რაც მათ გარკვეულ შემოსავალს აძლევდა. თამბაქოს წარმოება იყო სახელმწიფო ხაზინის შევსების ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი წყაროც. მაგ., 1914 წ. ბათუმის ოლქში სააქციზო შემოსავალმა სულ 3 მლნ. რუბლი შეადგინა. აქედან 713 ათასამდე რუბლი თამბაქოსა და მის ნაწარმზე მოდიოდა[40].

ომის წინ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი გადაიქცა რუსეთის იმპერიის ჩაის წარმოების უმთავრეს კერად. 1914 წ. აქ სულ ჩაის 167 პლანტაცია იყო, რომელთა საერთო ფართობმა 809 დესეტინა შეადგინა. მათგან 604 დესეტინაზე გაშენებული იყო 6 მსხვილი მეურნეობა: საუფლისწულო მამულის - ჩაქვში, პოპოვის - ჩაქვში, სალიბაურსა და კაპრეშუმში, სინიცინების - სოფ. ყარადერეში (ამჟამად სოფ. განთიადი), ზვერევის – ბარცხანაში და დიადიუშის - სოფ. ფერიასა და სოუქსუში. მათ ჰქონდათ საკუთარი ჩაის ფაბრიკა ან საწნეხი, ნედლეულს ადგილზევე ამუშავებდნენ და იღებდნენ მზა პროდუქციას. აღნიშნულ მეურნეობებში ასეულობით მუდმივი და სეზონური მუშა იყო დასაქმებული. მაგ., 1914 წ. ჩაქვ-

---

38 საქართველოს სტატისტიკური კრებული (1909-1921 წწ.). ტფ.,1923, გვ. 51.

39 К. К., ИА 1916 г. (отд. статист.) Тифл., 1915, с.80.

40 იქვე. გვ. 84; შევნიშნავთ, რომ სააქციზო შემოსავლის უმთავრესი წილი კვლავ ნავთობზე მოდიოდა და მან 1914 წ. გადააჭარბა 2 მლნ. რუბლს.

ის საუფლისწულო მამულის ჩაის პლანტაციებში 900 მუშა აღირიცხა, პოპოვის მეურნეობაში კი 200-მდე[41]. მათი 80% ქალები და მოზარდები იყვნენ. მუშათა უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ. შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები იყო მძიმე, რის გამოც მუშათა შორის ხშირი იყო დაავადებები.

ზემოაღნიშნული 6 მსხვილი მეურნეობის გარდა, აჭარის ზღვისპირეთში გაშენდა აგრეთვე ჩაის 160-ზე მეტი საშუალო და მცირე პლანტაციაც, რომელთა საერთო ფართობმა 1914 წ. 205 დესეტინამდე მიაღწია. მათ მფლობელთა შორის იყვნენ ქართველი მეურნეებიც: ჭელიძე, კოპლატაძე, მელია, საბაშვილი, გუგუშვილი, მახარაძე და სხვ. პლანტაციების გაშენებას ხელმძღვანელობდნენ ჩინეთიდან და იაპონიიდან მოწვეული სპეციალისტები. მათ შორის იყო ლაო ჯონ-ჯაუ, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის აჭარაში ჩაის მეურნეობის განვითარებაში[42].

ჩაის კულტურის განვითარება აჭარის ზღვისპირეთში ახალი ეკონომიკური აღმავლობის წლებში შემდეგ სურათს გვაძლევს[43]:

წლები	პლანტაციების და მათ მეპატრონეთა რაოდენობა	ჩაის პლანტაციების ფართობი (დესეტინებში)	მწვანე ჩაის მოსავალი (გირვანქებში[44])	ჩაის მზა პროდუქცია (გირვანქებში)
1910	104	624,8	961 121	239 317
1911	112	644,5	882 885	210 748
1912	122	711	1 106 598	268 540
1913	146	788,7	1 332 866	313 934
1914	167	809,3	1 357 817	328 328

41 Журн. «Русские субтропики», 1916 г., № 1, с.42* К.К. на 1916 г., с.89.

42 იხ. Друг издалека. Сост. Л. Каландаришвили и Б. Пирадов, Бат., 1958.

43 იხ. К.К. На 1916г. (Отд.Статист.), с. 88-89* საქართველოს სტატისტ. კრებული 1909-1921, გვ. 52; Тимофеев С.Н. Культура чайного куста и производство чая в Западном Закавказье, - журн. @Русские субтропики#, 1917, №1-2, с.6; ჯ.კარალიძე, დასახ. ნაშრ; გვ.113.

44 „გირვანქა" რუსული „ფუნტის" შესატყვისი წონის ერთეულია და უდრის 409,5 გრამს.

ჩაის წარმოება საკმაოდ შემოსავლიანი დარგი იყო. ერთ დესეტინა სრულმოსავლიან ფართობზე მოჰყავდათ 3-3,4 ათასი ფუთი მწვანე ჩაი, ხოლო წმინდა მოგება 170-200 რუბლს შეადგენდა, საკუთარი ჩაის ფაბრიკის მქონე მეურნეობისათვის კი 350-400 რუბლამდეც ადიოდა[45].

ქართული ჩაი ძირითადად საღდებოდა რუსეთის მსხვილ ქალაქებში. ამიტომ ომამდე ჭარბობდა მაღალი ხარისხის ჩაის პროდუქცია. ომის დაწყების შემდეგ კი იგი არმიისათვის დაიჯავშნა, მთავარი გახდა რაოდენობრივი მხარე და აქცენტი გადაიტანეს III-IV ხარისხის და ე.წ. „ნამცეცა", ანუ „სოლდატსკი ჩაის" წარმოებაზე.

სასაქონლო მნიშვნელობა ჰქონდა ზეთისხილსაც. ის ძირითადად ხარობდა ქ. ართვინის შემოგარენ სოფლებში: გვერდა, დოლისყანა, ლომაშენი, სვეტიბარი, სინკოთი, თოლგომი, ცრია და სხვ. ამ დარგის გაფართოებისათვის რუსეთის მიწათმოქმედების დეპარტამენტმა ართვინში ჯერ კიდევ 1899 წ. შექმნა ზეთისხილის სანერგე. აქვე დაარსდა სპეციალური კურსები ამ კულტურის გაშენების მსურველთა საკონსულტაციოდ. სოფ. ლომაშენში მოაწყვეს ზეთის სახდელი ქარხანა, რომელიც წლიურად 150-200 ფუთამდე ზეითუნის ზეთს აწარმოებდა[46].

1914 წ. ართვინის რაიონში აღირიცხა 110 ათასამდე ზეთისხილის ხე. საშუალო წლიური მოსავალი 50-60 ათას ფუთს შეადგენდა. მათგან ნახევარს ადგილზე მოიხმარდნენ, დანარჩენი გაჰქონდათ ბაზარზე საქართველოსა და შავიზღვისპირეთის ქალაქებში. ერთი ფუთი ზეთისხილის საბაზრო ფასი იყო 2,5-4,5 რუბლი[47].

ჩაის, ციტრუსების და სხვა სასაქონლო კულტურების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა „ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ", რომელიც 1908 წელს დაარსდა. მას ჰქონდა თავისი ყოველთვიური ბეჭდური ჟურნალი „ბატუმსკი სელსკი ხოზიაინ", რომელსაც შემდეგ სახელი შეუცვალეს და „რუსკიე სუბტროპიკი" უწოდეს. 1915 წ. დასაწყისისათვის „სოფლის მეურნეობის საზოგადოება" აერთიანებდა 216 მეურნეს. მათ შორის იყვნენ ადგილობრივ მკვიდრთა წარმომადგენლებიც: რ. ნიჟარაძე, ფ. აბაშიძე, დ. ქიქავა, შ.ჯიჯავაძე, ჯ.ხიმშიაშვილი.

---

45 Тимофеев С.Н., დასახ. ნაშრ., გვ.14-17.

46 Журн. „Русские субтропики" 1912, №5, с.263-266.

47 ი.თურმანიძე, აჭარის სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან, ბათ., 1973 წ., გვ.69.

საზოგადოებას ჰქონდა 14 სექცია, რომელთა პროგრამები ითვალისწინებდა ძვირფასი კულტურების, ძირითადად სუბტროპიკული მცენარეების გაშენების მსოფლიო პრაქტიკის შესწავლას და ადგილობრივ პირობებში დანერგვას[48]. ამ მიზნით, 1912 წ. „საზოგადოებამ" სოფ. ახალშენში, 4 დესეტინა ფართობზე, მოაწყო საკუთარი სანერგე. აღსანიშნავია, რომ ამ ბაზაზე საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოეწყო ციტრუსების მსხვილი მეურნეობა.

„საზოგადოების" მესვეურები უპირატესობას ანიჭებდნენ ჩაის გაშენებას ინდივიდუალურ მეურნეობებში, რომლის მოვლა-პატრონობაში ოჯახის წევრები იქნებოდნენ ჩაბმული. მათ მიერ მოწეული ჩაის ფოთლის გადამუშავებისათვის „საზოგადოებამ" განიზრახა ჩაის ამხანაგობების და მიკრო-ფაბრიკების მოწყობა მახინჯაურში, ჩაქვში და სხვა 4-5 კმ-ით ერთმანეთისაგან დაშორებულ პუნქტებში. ამისათვის მიწათმოქმედების დეპარტამენტმა 15 ათასი რუბლიც გამოჰყო, მაგრამ ომის დაწყებამ ეს საქმეც შეაფერხა[49].

მნიშვნელოვანი სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობა გაიშალა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში, რომელიც 1912 წელს დაარსდა პროფ. ა. კრასნოვის ინიციატივით და მოკლე დროში მოიპოვა საერთაშორისო აღიარება.

1913 წ. პეტერბურგში მოეწყო კავკასიის შავი ზღვის სანაპიროს სასოფლო-სამეურნეო მიღწევათა გამოფენა „რუსკაია რივიერა". ექსპერტთა საბჭომ სუბტროპიკული კულტურების დარგში მოპოვებული სამაგალითო მიღწევებისათვის „ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოება" დააჯილდოვა დიდი ოქროს მედლით, ხოლო ბოტანიკური ბაღი და ართვინის ზეთისხილის სანერგე პატარა ოქროს მედლებით.

ამრიგად, პირველი მსოფლიო ომის წინ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობაც ფართოდ ებმებოდა კაპიტალისტურ ურთიერთობებში, რაც აქ იწვევდა ახალი სასაქონლო დარგების დაჩქარებულ განვითარებას და შესაბამის მეურნეობათა შექმნას.

---

48 Журн. «Батумский сельский хозяйн», 1909, №5.,с.133.

49 Тимофеев Н.С. [illegible].-Журн. «Русские субтропики», 1917, №1-2, с. 13-

§2. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება

სპეციფიკურობით გამოირჩეოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში პირველი მსოფლიო ომის წინ შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, რაც უპირველსად გამოიწვია ცარიზმის აგრარულ-კოლონიურმა და ანტიქართულმა პოლიტიკამ.

შარიათის კანონმდებლობით ოსმალეთის იმპერიის მიწები სულთნის საკუთრება იყო. ის ქვეშევრდომებს ეძლეოდათ მოსარგებლის უფლებით. ბათუმის, არტაანის და ყარსის ოლქების შემოერთების შემდეგ, რუსეთის მთავრობამ განიზრახა მიწათსარგებლობის ამ წესის უცვლელად შენარჩუნება და მთელი მიწის სახაზინო საკუთრებად გადაქცევა. ამის გამო მკვიდრი მოსახლეობა გამოთქვამდა უკმაყოფილებას და მოითხოვდა ოსმალთა მფლობელობის პერიოდიდან მათ სარგებლობაში მყოფი მიწების კერძო საკუთრებაში დაკანონებას, ისევე, როგორც ეს რეფორმის შემდგომ რუსეთში იყო მიღებული. ითხოვდა აგრეთვე მუჰაჯირთა მიწებით სარგებლობას. ამ წინააღმდეგობის დასარეგულირებლად, 1888 წლიდან მოყოლებული, სხვადასხვა ინსტანციებში შედგა მთავრობისათვის სასარგებლო რამდენიმე კანონპროექტი, მაგრამ ყველა მათგანი მიუღებელი იყო აქაურ მცხოვრებთათვის და სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევდა. მხოლოდ 1912 წ. შედგენილი პროექტი აყენებდა საკითხს მოსახლეობის სასარგებლოდ, ოღონდ მათ მიწის საკუთრებაში დამტკიცებისათვის უნდა გადაეხადათ გამოსასყიდი თანხა, აგრეთვე, მიწათმოწყობაზე გაწეული ხარჯები[1]. თუმცა ამ პროექტის განხილვა პეტერბურგში გაჭიანურდა. ამასობაში დაიწყო პირველი მსოფლიო ომიც და მისი გადაწყვეტა სამომავლოდ გადაიდო.

ადგილობრივი ზედაფენების ინტერესების იგნორირება იმითაც გამოიხატა, რომ თანამოძმე ქრისტიან წარჩინებულთა მსგავსად, მეფის მთავრობას ოფიციალურად არ უღიარებია მათი მაღალი სოციალური მდგომარეობა, არ გამოუცალკევებია ისინი სოფლის საზოგადოებებისაგან და არ შეუქმნია მათი საკრებულოები, როგ-

---

1 ალ.ბენდიანიშვილი, აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890-1917 წლებში, თბ., 1965, გვ. 176-177.

ორც ეს ჰქონდა თბილისის და ქუთაისის გუბერნიების თავადაზნაურობას. ყოველივე ეს სამაჰმადიანო საქართველოს ზედაფენებს განაწყობდა რუსეთის ხელისუფლების საწინააღმდეგოდ. მართალია, ფეოდალთა (ბეგი, აღა) რიცხვი საქართველოს სხვა რაიონებთან შედარებით აქ მცირე იყო[2], მაგრამ ამ პატრიარქალურ მხარეში მათი გავლენა გაცილებით დიდი გახლდათ.

მოსახლეობის სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევდა აგრეთვე ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა, რომელიც საზღვრისპირა ბათუმის და ყარსის ოლქებში უპირატესად რუსების ჩამოსახლებას ითვალისწინებდა. მათთვის მიწების გამოსათავისუფლებლად, ცარიზმის მოხელეები გეგმავდნენ ადგილობრივი მოსახლეობის აყრა-გადასახლებას.

1910 წ. 23 სექტემბერს ბათუმის ოლქის გუბერნატორი ბ. რომანოვსკი-რომანკო მეფისნაცვალს მოახსენებდა: „სახელმწიფო ინტერესების თვალსაზრისით ფრიად სასურველია მუსლიმანების განდევნა კინტრიშის, გონიოს და ართვინის უბნებიდან, რადგან აღნიშნული მიდამოების ნიადაგი და კლიმატური პირობები, მთების სიმდიდრე, ზღვისპირი, სტრატეგიული მოსაზრება ბუნებრივად აყენებენ საკითხს გამოყენებული იქნან ისინი უმაღლესი (სასოფლო-სამეურნეო) კულტურებისათვის და რუსი ხალხის გადმოსასახლებლად. ეს უნდა განხორციელდეს სამხედრო უწყების, ადმინისტრაციის, საგადასახლებო და სამთო სამმართველოების მიერ წინასწარ მოფიქრებული და დამუშავებული გეგმით... აჭარის სხვა ნაწილებიდან მუსლიმანების განდევნა, ჩემის აზრით, სასურველი არ არის, რადგან ზემოაღნიშნული უბნების გარდა, აჭარის ტერიტორია წარმოადგენს მთიანსა და მიუვალ ადგილებს, რომლებიც რუსების დასასახლებლად საესებით უვარგისიაო“[3].

ბათუმის და ყარსის ოლქების მასობრივი კოლონიზაცია მეფის მთავრობამ დაგეგმა მათი შემოერთების დღიდანვე და XIX ს. 80-

---

2 1897 წ. აღწერით ბათუმის ოლქში აღირიცხა მემამულეთა (ბეგი, აღა) დაახლ. 200-მდე, ხოლო არტაანსა და ოლთისის ოკრუგებში 50-მდე კომლი (Первая всеобщая перепись населения Российской империи 1897 года, Кутаисская губерния, СПб. 1905 г., с. 38-39; იგივე. Карсская область, СПб. 1904г., с.2).

იანი წლებიდან შეუდგა კიდეც მის განხორციელებას, მაგრამ პირველ მსოფლიო ომამდე რუს კოლონისტთა აქ ჩამოსახლება შეფერხებებით მიმდინარეობდა. ეს განაპირობა რიგმა ობიექტურმა გარემოებამ, პირველ ყოვლისა, მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის საკითხის ბოლომდე გადაუწყვეტლობამ ამ ოლქებში, აგრეთვე, აქაურმა მთაგორიანმა რელიეფმა, დასახლების სიმჭიდროვემ და ნაყოფიერი მიწების სიმცირემ.

გასათვალისწინებელია კოლონიზაციის ხელშემშლელი სუბიექტური ფაქტორებიც. კერძოდ, თავდაპირველად თვითონ მთავრობა იყო წინააღმდეგი საზღვრისპირა - სტრატეგიულ პუნქტებში ჩამოესახლებინა სექტანტები. რუსი მართლმადიდებლები კი ადგილმონაცვლეობის დიდ სურვილს არ ამჟღავნებდნენ. ამასთან, რუსი მოახალშენეები ძნელად ეგუებოდნენ ადგილობრივ პირობებს და სოფლის მეურნეობის ტრადიციულ დარგებს, რის გამოც მათი მნიშვნელოვანი ნაწილი უკან ბრუნდებოდა. თავის მხრივ, მკვიდრი მოსახლეობაც ეწინააღმდეგებოდა უცხოთა ჩამოსახლებას.

კოლონიზაციის ყველაზე აქტიურ ეტაპზეც კი, რაც სტოლიპინის მმართველობის პერიოდში გატარდა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში რუს მოახალშენეთა ყველაზე მცირე რაოდენობა ჩამოსახლდა. 1908-1914 წლებში კოლონიზაციის შედეგად კავკასიის სამეფისნაცვალოში სულ აითვისეს 285 ათასი დესეტინა მიწა, რომელზეც 50 ათასი სული ჩამოასახლეს. მათგან: ყარსის ოლქში - 1520, ბათუმის ოლქში კი მხოლოდ 273 სული, მაშინ როცა, შავი ზღვის გუბერნიაში ჩაასახლეს 4 ათასზე მეტი, აფხაზეთში - 6518, თბილისის გუბერნიაში - 3263, ბაქოს გუბერნიაში კი - 24 ათასამდე კოლონისტი[4].

ყარსის ოლქში საკოლონიზაციოდ შეარჩიეს არტაანის მხარე, რომელიც გამოირჩეოდა ნაყოფიერი მიწებით და ხორბლეული კულტურების უხვმოსავლიანობით[5]. ბათუმის ოლქში პირველ მს-

---

4 К.К. на 1916 г. (Отд. статис.), с. 101-102.

5 1903 წ. ამ მხარეში იყო 5 რუსული დასახლება (გიულგერანი, ოდინცოვკი, პლოდოროდნენსკი, გოლიცინსკი, პეტროპავლოვსკი), რომლებშიც 1365 რუსი მოახალშენე ცხოვრობდა (ო.თურმანიძე, რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა და რუსული ახალშენები საქართველოში - ჟურნ.„ ჭოროხი", 1994, № 1-2, გვ. 197).

ოფლიო ომამდე ძირითადად ათვისებულ იქნა თანამედროვე აჭარის ზღვისპირეთი, რომელიც ნაკლებად იყო დასახლებული და ადგილობრივი მკვიდრნი მას ძირითადად საძოვარ-სათიბებად იყენებდნენ. კოლონიზაციის ინტერესებს დაუქვემდებარეს აგრეთვე მუჰაჯირთა მიწებიც. ასე შეიქმნა, XIX ს. 80-იანი წლებიდან - პირველ მსოფლიო ომამდე, რუს მოახალშენეთა დასახლებები ქობულეთის მხარეში („სმეკალოვკა", „კომაროვკა", „რომანოვკა"[6], აგრეთვე რამდენიმე ოჯახი მდ. კინტრიშის დაბლობში), ბათუმის შემოგარენში („ხოლოდნაია სლობოდა", „გოროდოკი") და მდ. ჭოროხის დელტაში (სოფლებში: თხილნარი, ჭარნალი, ახალსოფელი, გონიო, ზღვის შესართავთან კი -„ ალექსეევკა").

რუსული ახალშენის თავისებურ ნაირსახეობას წარმოადგენდა ჩაქვის საუფლისწულო მამული. მისი ადმინისტრაციული აპარატი და მუდმივი მუშახელის მნიშვნელოვანი ნაწილი რუსები იყვნენ, აგრეთვე, ბათუმ-ქობულეთის დაბლობ რაიონებში 200-მდე არაქართველი ვაჭარ-მრეწველის მიერ მოწყობილი და დაქირავებულ შრომაზე დაფუძნებული ჩაის და სუბტროპიკული მეურნეობები. ამათ ემატებოდა მაღალჩინოსანი მოხელეების ზღვისპირა აგარაკები მახინჯაურიდან — ციხისძირამდე. მაგ., 1914 წ. მაისისათვის მწვანე კონცხზე აღირიცხა 15 წელს ზემოთ ასაკის 195 მოახალშენე, ჩაქვში - 840 სული, მახინჯაურში - 202 სული (49 აგარაკი), ხოლო ციხისძირში - 52 აგარაკი, რაც საგრძნობლად აღემატებოდა ამ სოფლებში ადგილობრივ მოსახლეობას[7].

1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში სხვადასხვა დროს შემოვიდა და კომპაქტურად დასახლდა სომხების დიდი რაოდენობა (რაც შეეხება ართვინ-არტანუჯის მხარეს და არტაან-ყარსს, მათი აქ დამკვიდრება დაიწყო უფრო ადრე, ოსმალთა ბატონობის ხანაში). ინგლისის ტრაპიზონელი კონსული ჯ. პალგრეევი 1872 წ. ბათუმში მიუთითებდა 120 სომეხზე, 1880 წლის ერთდღიანი აღწერით კი

---

6 ასგხ. ს.ს. 212, 248. აღნიშნული სახელები ახალშენებს შეერქვა მათი დამაარსებელი ბათუმის ოლქის გუბერნატორების საპატივცემულოდ

7 აცსა, ფ. 1, ან. 1, ს.697, ფურც. 4-101.

მათ შეადგინეს 908 სული[8]. XIX ს. 90-იან წლებსა და პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში, ოსმალეთში მოწყობილი ხოცვა-ჟლეტების შემდეგ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოაწყდა სომეხ ლტოლვილთა ახალი ტალღები. 1916 წლის 1 იანვრისათვის ქ. ბათუმში უკვე აღირიცხა 5524 სომეხი, ართვინის ოკრუგში 9400-ს გადააჭარბა, ხოლო ყარსის ოლქის 365-ათასიანი მოსახლეობიდან სომხობა შეადგენდა 118 ათასზე მეტს. მათგან 33500-მდე იყო ლტოლვილი[9].

აღსანიშნავია, რომ სომეხთა ანტიოსმალური განწყობილება, აგრეთვე, ისტორიული ქართული ტერიტორიების ე.წ. მომავალ „დიდ სომხეთში" ჩართვის ამბიციური იდეა, გარკვეულწილად პასუხობდა ცარიზმის საგარეო-პოლიტიკურ და კოლონიურ მისწრაფებებსაც. ამიტომ, სომეხი ლტოლვილი-მოახალშენეების ჩამოსახლება მისი მფარველობა-ხელშეწყობით ხდებოდა.

1877-1878 წლების ომის შემდეგ ბათუმსა და მის მიდამოებში ოსმალეთიდან ჩამოსახლდნენ ბერძნებიც, რომელთა რაოდენობამ 1907 წ. აქ 6 ათასამდე მიაღწია[10]. აქვე ცხოვრობდნენ აგრეთვე ებრაელები, მუჰაჯირი აფხაზები და სპარსეთიდან ლტოლვილი ქურთები, თითოეული მათგანი არაუმეტეს 800-1000 სულისა. შემოხიზნულები ძირითადად საცხოვრებლად ირჩევდნენ ქალაქს და სავაჭრო-სახელოსნო დაბებს.

უცხოეთნიკური ელემენტების მოძალებამ მნიშვნელოვნად შეცვალა რეგიონის, და პირველ ყოვლისა, ბათუმის დემოგრაფიული სიტუაცია. ამის მიუხედავად, გარდა ყარსის ოლქის გარკვეული ტერიტორიებისა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ძირითად ნაწილს მაინც ქართველობა შეადგენდა. ამრიგად, რუსული ელემენტით რეგიონის კოლონიზაციის გეგმა 1914 წლისათვის ჯერ კიდევ განუხორციელებელი რჩებოდა.

---

8 ვ. ხიჟინავა, ბათუმის ისტორიიდან, გვ. 110-111.

9 К.К. на 1917 г. (Отд. статист.), с. 198-200.

10 ი.ხიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ტოპონიმიკა, ტ. II, ბაი., 1959, გვ. 41.

* * *

სამუსლიმანო საქართველოში ცარიზმი ატარებდა ფრთხილ და შემპარავ ანტიქართულ პოლიტიკას. პირველ ყოვლისა სცადა შუღლის ჩამოგდება ქრისტიან და მაჰმადიან თანამოძმეებს შორის, რათა არ მომხდარიყო მათი გაერთიანება. ამგვარი პროვოკაციის მოწყობის ცდებს ადგილი ჰქონდა რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში, მაგრამ უშედეგოდ.

რევოლუციის შემდეგ ცარიზმმა ტაქტიკა შეცვალა და განიზრახა ქართველ მაჰმადიანებზე ზემოქმედებით მათი გაქრისტიანება. ამ მიზნით რუსეთის სინოდთან არსებულმა „კავკასიაში ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოების" მმართველმა საბჭომ, 1909 წ. დამდეგს, ბათუმის ოლქში საგანგებო მისიონერად და ხულოს წმინდა გიორგის ეკლესიის მოძღვრად დანიშნა იერომონახი გაბრიელი (აბაშიძე). საქმიანობის ორი წლის თავზე (1911 წ. 10 დეკემბერს) მის მიერ შედგენილი ანგარიშიდან ჩანს, რომ ამ მიმართებით მოღვაწეობა უშედეგო დარჩა. მდგომარეობის გამოსწორებისთვის მისიონერი იძლეოდა რეკომენდაციას, რომ მთავრობას შეეცვალა საკადრო პოლიტიკა. მოხელეები, - წერდა ის, - „სოფლის მამასახლისების ჩათვლით უნდა შედგებოდნენ არა ადგილობრივი პირებისგან, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ეროვნებით რუსი ქრისტიანებისაგანო"[11].

უფრო ადრე (1910 წ. 23 სექტემბერს) ბათუმის ოლქის გუბერნატორიც აძლევდა მთავრობას მსგავს რეკომენდაციას - სამსახურში (თუნდაც ჩაფრად) შესვლის მსურველ ადგილობრივ პირს უნდა სცოდნოდა რუსული ენა და წერა-კითხვა. მას საჭიროდ მიაჩნდა, აგრეთვე, რაიმე სახის რუსული სკოლის გახსნა მაჰმადიან სასულიერო პირთათვის, აჭარის წარჩინებული გვარებიდან ახალგაზრდობის ოფიცრებად მიზიდვა არმიაში და სხვ. გუბერნატორის აზრით, ეს იქნებოდა საფუძველი სამომავლოდ ქართველი მაჰმადიანების ჯარში გაწვევის და კაზაკებივით ერთგული კასტის შესაქმნელად, რომელიც დაიცავდა საზღვარს ოსმალეთთან.[12]

---

[11] ასგსფ., ს. 94, ფურც. 204-206.

[12] იქვე, ფურც. 197-198; 208-209.

რუსეთის ეკლესიის სინოდი იგივე პოლიტიკას განაგრძობდა პირველი მსოფლიო ომის დროსაც. მოწინავე ქართველმა ინტელიგენციამ თავიდანვე გაილაშქრა ამის წინააღმდეგ, რადგან აშკარა იყო, რომ რუსეთის ამგვარი საეკლესიო-საგანმანათლებლო პოლიტიკა ვერ შეასრულებდა სხვადასხვა აღმსარებლობის ქართველთა „ეროვნული გამთლიანების და დულაბის როლს". პირიქით, მას მხოლოდ დიამეტრალურად საწინააღმდეგო შედეგი მოჰქონდა. ამიტომ, ქართული ჟურნალ-გაზეთები უკვე XX ს. დასაწყისიდან აშკარად გამოვიდნენ რუსული ქრისტიანული პოლიტიკის წინააღმდეგ. მ.აბაშიძე, ზ.ედილი, გ.კაჭახიძე და სხვები პუბლიცისტურ წერილებში პირდაპირ მიუთითებდნენ, რომ იმ ეტაპზე ეროვნული გამთლიანებისათვის უმთავრესი იყო ქართულ ენაზე სწავლა-განათლება[13].

* * *

ახალი ეკონომიკური აღმავლობის წლებში ბათუმშიც საგრძნობი გახდა პოლიტიკური გააქტიურება. მასზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა 1912 წ. აპრილში, მდ. ლენას ოქროს საბადოების მუშათა დახვრეტამ. მოკლე დროში ჩამოყალიბდა ასოთამწყობთა, სავაჭროების, თუჯის ჩამომსხმელი და საზეინკლო სახელოსნოების, მენავთობეთა და სხვა მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირები. ამ გამოცოცხლებას მოჰყვა გაზ. „ბატუმსკაია პრავდას" გამოცემა (რედაქტორი სოციალ-დემოკრატი ს. ყუფარაძე)[14]. 1911 წლიდან ბათუმში ქართულ ენაზე გამოდიოდა ასევე სოციალ-დემოკრატიული მიმართულების „ბათუმის გაზეთი" (რედ. სპ. ჭელიძე).

თავი იჩინა სოციალურმა მოძრაობამაც. 1913 წ. ბათუმში მოხდა მუშათა ორი, შედარებით მსხვილი, ეკონომიკური ხასიათის

---

13 ვ.ტარტარაშვილი, მეფის რუსეთის საეკლესიო - საგანმანათლებლო პოლიტიკა აჭარაში და ქართველი საზოგადოებრიობის ბრძოლა მის წინააღმდეგ (1978-1917 წწ.). - „რელიგიის ისტორიისა და ათეიზმის საკითხები საქართველოში", VI, თბ., 1980, გვ. 33-37.

14 ასგხვ, ს. 94, ფურც. 261-263.

გაფიცვა. პირველად გაიფიცნენ ბერტმანის და კარპოვსკის საღებავების ქარხნის მუშები. მათ მოითხოვეს ხელფასის 40% - ით გაზრდა. ამ ქარხანაში 50 კაცი მუშაობდა და პოლიციამ ადვილად ალაგმა ისინი. მეორე გაფიცვა დაიწყო ოქტომბერში სიდერიდისის ნავთობის ჩამომსხმელ ქარხანაში, სადაც 300 მუშა იყო. ისინი მეტი დარაზმულობით გამოირჩეოდნენ. მოითხოვეს ხელფასის 20%-ით გაზრდა, რასაც ორკვირიანი გაფიცვის შედეგად მიაღწიეს კიდეც.

1914 წ. პირველ ნახევარში გაიფიცნენ ბათუმის სტამბების და სახელოსნოების მუშები - 8-საათიანი სამუშაო დღის მოთხოვნით.

გააქტიურდნენ სოფლის მეურნეობის მუშებიც. 1913-1914 წწ. გაიფიცნენ სინიცინის, მახინჯაურის, მწვანე კონცხის და ჩაქვის საუფლისწულო მამულის ჩაის პლანტაციების მუშები. გარდა სანიცინის მეურნეობისა, გაფიცულებმა მიაღწიეს დღიური ანაზღაურების გაზრდას.

1913 წ. დამლევს ბათუმში მოქმედებდა სოციალ-დემოკრატების, სოციალისტ-ფედერალისტების, სომეხ დაშნაკთა, რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) და კონსტიტუციურ-დემოკრატიული (კადეტთა) პარტიული ორგანიზაციები. ეს უკანასკნელი ძირითადად რუს ჩინოვნიკებს აერთიანებდა. ბოლშევიკების პარტიული ორგანიზაცია ამ დროისათვის ბათუმში არ არსებობდა[15]. აღსანიშნავია, რომ პარტიებს შორის ხშირად თავს იჩენდა ხოლმე მწვავე დაპირისპირება, რის შესახებაც იუწყებოდა ბათუმური პრესაც[16].

ზემოაღნიშნულ პოლიტიკურ პარტიათა გავლენა ფაქტობრივად ბათუმს ვერ სცილდებოდა. გამონაკლისს წარმოადგენდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკთა) ბათუმის კომიტეტი, რომელიც ყველაზე რიცხვმრავალი და გავლენიანი იყო. მას აქ ჰქონდა სამი ორგანიზაცია: ერთი თვით ქალაქში, ხოლო დანარჩენი ორი მის შემოგარენში - ბარცხანასა და გოროდოკში. ომის წინ შეი-

---

15 ო.გოგოლიშვილი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში 1910-1918 წლებში, ბათ., 1999, გვ. 28-30.

16 ჯ.კარალიძე, პოლიტიკური პარტიები ბათუმის ოლქში (აჭარაში) პირველი მსოფლიო ომის წინ. - ბსუ შრომები, III (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია), ბათ., 1999, გვ.250.

მჩნეოდა ამ პარტიის გავლენის გავრცელების ტენდენციები რეგიონის სხვა მცირე ქალაქებსა და მუშათა დაბებშიც.

ორგანიზაციულად და ფინანსურად საკმაოდ მყარი იყო დაშნაკთა ნაციონალისტური პარტიის ბათუმის კომიტეტიც. მას ორგანიზაციები ჰქონდა ართვინში, არტანუჯში, არტაანსა და ყარსში, სადაც სომხები კომპაქტურად ცხოვრობდნენ. ამ პარტიას ჰყავდა კარგად შეიარაღებული „სამხედრო ბირთვი" და მჭიდრო კავშირები ჰქონდა ოსმალეთში მცხოვრებ სომხებთან.

ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების პარტია, სოციალ-დემოკრატებთან შედარებით მცირერიცხოვანი იყო, მაგრამ ბევრი თანამოაზრე ჰყავდა ინტელიგენციაში. ბათუმში ამ პარტიის საქმიანობას ხელმძღვანელობდა 4-კაციანი ბიურო. მათ ქალაქის თითქმის ყველა დაწესებულებაში ჩამოაყალიბეს მხარდამჭერი კომიტეტები. სოციალისტ-ფედერალისტებს სამთავრობო წრეებში „ნაციონალისტების" რეპუტაცია ჰქონდათ. ამდენად, ჟანდარმერიაც აქტიურად ეძებდა მათ შესაძლო კავშირებს უცხოეთის სპეცსამსახურებთან.

ომის წინ სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს სოფლებში საგრძნობლად გააქტიურდნენ ოსმალთა აგენტები. ისინი შეუდგნენ პროკლამაციების და იარაღის ფარულად შემოტანა-გავრცელებას[17], რაც ყველაზე მეტად საზღვრისპირა ართვინ-არტაანის მხარეში შეიმჩნეოდა. ამავე რაიონებში, მთავრობის ხელშეწყობით, აქტიურად იარაღდებოდა სომხური მოსახლეობა, რომელიც რევანშისტულად იყო მომართული ოსმალების და საერთოდ მაჰმადიანების წინააღმდეგ.

შექმნილ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა შორის ჯერ კიდევ არსებული გაუცხოების აღმოფხვრას და საერთო-ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებას. აღსანიშნავია, რომ ომის წინ ასეთი მოძრაობა დაიწყო ოსმალეთში

---

17 Пипиа Г.В., Германский империализм в Закавказье в 1910-1918 гг., М., 1978; ო.გოგოლიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 6-25; მ.სიორიძე, გერმანია-თურქეთის სადაზვერვო - ძირგამომთხრელი საქმიანობა ბათუმის ოლქში პირველი მსოფლიო ომის წინ - „მაცნე" (ისტორიის სერია), 1985, № 4, გვ 74-81.

მცხოვრებ ქართველ მუჰაჯირებშიც. ამას ხელი შეუწყო „ახალგაზრდა ოსმალთა“ 1908 წლის რევოლუციამ და კონსტიტუციის შემოღებამ, რითაც, პირველ ეტაპზე, გარკვეული თავისუფლება მიეცა ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას. დაუშვეს კლუბების და კავშირების შექმნა, მშობლიურ ენაზე გაზეთების გამოცემა და სკოლების გახსნა. ისახებოდა ოსმალეთის იმპერიაში შემავალი არათურქი ხალხებით კომპაქტურად დასახლებული ოლქების ავტონომიურად მოწყობის პერსპექტივებიც[18]. თუმცა 1913 წლიდან, ბალკანეთის ომებში დამარცხების შემდეგ, ოსმალეთის მმართველ წრეებში მტკიცედ დამკვიდრდა რევანშისტულ-თურანისტული იდეები და ზემოაღნიშნული თავისუფლებები გააუქმეს.

1908 წლის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებებით სათანადოდ ისარგებლეს ოსმალეთის ქვეშევრდომმა ქართველებმაც. კონსტანტინოპოლში მოღვაწე ევგენი დალეჯიო დ'ალესიოს ცნობით: „1910 წლის დამლევიდან 1914 წლამდის უკვე მათში თამამად შეიძლებოდა არა მარტო სჯა-ბაასი ეროვნულ საკითხებზე, არამედ თვით კრიტიკაც მათი, ვინც ასე თუ ისე უნაღვლელობას იჩენდნენ“[19].

ოსმალეთის ქვეშევრდომ ქართველ მაჰმადიანთა გამოფხიზლებაზე დადებითი ზეგავლენა მოახდინა 1905-1907 წლებში ქართველი ხალხის განმათავისუფლებელმა ბრძოლამ, რევოლუციის შემდეგ საზღვარგარეთ ქართველი პოლიტიკური ემიგრანტების მომრავლებამ და მათ მიერ ეროვნული საქმიანობის გააქტიურებამ.

ოსმალეთის ქართველებს შემონახული ჰქონდათ მშობლიური ენა, ნაწილმა იცოდა ქართული წერა-კითხვა. ბევრსაც სურდა მისი შესწავლა. დიდი მოთხოვნა იყო ქართულ წიგნებზეც. ამ დეფიციტის შევსება უკვე XX ს. დასაწყისიდანვე უცდიათ სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანის მოღვაწეებს, ჯერ პატრ ანდრია

---

18 Мандельштам А.Н., Младотурецкая держава, М., 1915, с. 9-11, 20-21.

19 ე.დალეჯიო დ'ალესიო, ქართველები კონსტანტინოპოლში. - იხ. „ქართველები კონსტანტინოპოლსა და სპარსეთში“, თბ., 1990, გვ. 3-4.

წინამძღვრიშვილს, ხოლო 1910-იანი წლებიდან ეს საქმე გაუგრძელებია პატრ შალვა ვარდიძეს, რომელიც „ასწავლიდა ქართულ ენას და საქართველოს ისტორიას, ურიგებდა წიგნებს მათ, რომელთაც იცოდნენ ქართული კითხვა“[20], მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. ქართველი მაჰმადიანები გამოთქვამდნენ სურვილს მათი შვილებისათვის ქართული სკოლების გახსნის თაობაზე. ამ ეროვნული საქმის მებაირახტრობა მემედ აბაშიძემ იკისრა.

1908-1913 წლებში, მეფის მთავრობის მიერ შევიწროებული მემედ აბაშიძე, ასლან და ზია აბაშიძეებთან ერთად ოსმალეთში იყო გადახვეწილი. მემედს სათანადოდ გამოურკვევია იქაურ თანამემამულეთა ეროვნულ-საგანმანათლებლო მისწრაფებები და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სპეციალურად ჩასულა თბილისში-ქ.შ.წ.-კ.გ. საზოგადოებაში. ამის შესახებ ბათუმის ოლქის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის 1914 წლის 22 აპრილის შეტყობინებაში ვკითხულობთ: „19 აპრილს მიღებული აგენტურული ცნობებით მართლმადიდებელ და მაჰმადიან ქართველთა გაერთიანების და თურქეთში მცხოვრებ ქართველებში ქართული წერა-კითხვის გავრცელების მიზნით, ფედერალიზმის ერთი მომხრეთაგანი - მემედ ბეგ აბაშიძე, კინტრიშის უბნიდან ქემალ ნოღაიდელი, რამდენიმე მოლას თანხლებით,. რამდენიმე დღის წინ გაემგზავრნენ თბილისში, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარი კომიტეტის წევრებთან, თხოვნით - აღძრან შუამდგომლობა თურქეთის მთავრობის წინაშე ნებართვისათვის, გახსნან კონსტანტინოპოლში ქართული სკოლები, სადაც ადგილობრივი ქართველი მაჰმადიანები შეძლებენ ქართული ენის შესწავლას“[21].

ამგვარი საქმიანობისათვის მყარი საფუძველი ოსმალეთში, და კერძოდ, მის დედაქალაქში უკვე არსებობდა. იქ 900-იან წლებში მოღვაწეობდა სახელმწიფო და სამხედრო სამსახურში დაწინაუ-

---

20 იქვე, გვ. 15.

21 სცსსა, ფ. 157, ან. 1, ს. 312, ფურც. 106-107, 109; აღნიშნული დოკუმენტი მცირეოდენი შემოკლებით, მაგრამ აზრდარღვევით მოტანილი აქვს პროფ. გურამ შარაძესაც: „... რამდენიმე დღის წინათ მემედ-ბეგ აბაშიძის ერთ-ერთი თანამებრძოლი ქემალ ნოღაიდელი რამდენიმე ხოჯის თანხლებით გაემგზავრა ქ.თბილისში...) და შემდეგ ისე, როგორც ზემოთ მოგვაქვს. (იხ. გ.შარაძე, მემედ აბაშიძე, გვ.132).

რებულ ქართველ მაჰმადიანთა მთელი ბირთვი. პირველი მსოფლიო ომის წინ ეროვნული თვითშეგნების ამაღლების ტენდენციები მათშიც გაჩნდა. ამის დასტურია მათ მიერ „ქართველთა თვითგამორკვევის საზოგადოების“ (დაახლ. 1910 წ.) დაფუძნება, „ქართული კლუბის“ (1911 წ.) შექმნა სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანესთან და მათი თანამშრომლობა. აგრეთვე, 1913 წელს ოსმალეთის მეჯლისში რუსეთთან ბუფერული ერთიანი საქართველოს (საქრისტიანოს და სამაჰმადიანოს) სახელმწიფოს აღდგენის საკითხის დასმა მაჰმუდ ფაშა თავდგირიძის მიერ[22].

აღსანიშნავია, რომ ოსმალეთის ქართველ მაჰმადიანთა ასეთ პატრიოტულ ინიციატივას უაღრესად პოზიტიური როლის შესრულება შეეძლო თვით რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი ქართველი მაჰმადიანების ეროვნული გათვითცნობიერების საქმეშიც, მაგრამ პირველმა მსოფლიო ომმა და მისმა თანმდევმა მოვლენებმა ჩაშალა ეს დიდი ზოგადქართული წამოწყება. ომის დაწყების გამო ვეღარ მოესწრო მემედ აბაშიძის და მის თანამოაზრეთა ზემოაღნიშნული შუამდგომლობის განხორციელება. თუმცა, ერთი რამ ფაქტია, თანამოძმე მაჰმადიანების მშობლიურ ენაზე სწავლების იდეა ქართველ მოღვაწეთა შორის მტკიცედ დამკვიდრდა და მის განხორციელებაზე ზრუნვა დაიწყო მაშინვე, როგორც კი 1915-1916 წლების სამხედრო კამპანიის შედეგად ოსმალთაგან გათავისუფლდა ჭოროხის აუზის ქართული ტერიტორიები და ძველი ლაზეთი. თუმცა ამაზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ შევჩერდებით.

---

22 მ.სიორიძე, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918 წწ.), გვ. 30-33, 66.

თ ა ვ ი III
საომარი მოქმედებები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1914-1916 წლებში

§ 1. სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ოსმალეთის გეგმებში

გერმანიის და მისი მოკავშირეების გეგმებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ამიერკავკასიას და იქედან რუსეთის განდევნას. პან-გერმანიზმის იდეოლოგები პერიოდული პრესით დაუფარავად ქადაგებდნენ, რომ გერმანიას ისევე უნდა განედევნა სლავები კავკასიიდან, როგორც ეს გააკეთა რვა საუკუნის წინ მდ. ელბისპირეთიდან მათი გაძევებით[1]. ინტერესთა ამ ერთიანობამ განაპირობა მასთან ოსმალეთის დაახლოება, რასაც საფუძველი ჩაეყარა „ახალგაზრდა თურქთა" 1908 წლის რევოლუციის შემდეგ. მათი პარტიის („ერთიანობა და პროგრესი") ლიდერები: ენვერ ფაშა (სამხედრო მინისტრი და ოსმალეთის ფაქტობრივი დიქტატორი), თალაათ ფაშა (შინაგან საქმეთა მინისტრი, 1916 წლიდან დიდი ვეზირი) და აჰმედ ჯემალ ფაშა (სამხედრო-საზღვაო ფლოტის მინისტრი) აშკარა გერმანოფილობით გამოირჩეოდნენ.

გერმანიასთან დაახლოების შემდეგი მძლავრი სტიმული იყო ოსმალეთის დამარცხება ბალკანეთის ომებში (1912-1913 წწ.). ოსმალეთში პოზიციების შემდგომი განმტკიცებისა და მისი არმიის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის გერმანიის გენშტაბმა გადაწყვიტა იქ გაეგზავნა ახალი სამხედრო მისია გენერალ ლიმან ფონ სანდერსის მეთაურობით. ამ გეგმით აღფრთოვანებული გერმანიის კონსტანტინოპოლელი ელჩი ბარონი ვანგენჰაიმი 1913 წლის 26 აპრილს კანცლერ ბეტმან-ჰოლვეგს სწერდა: „სახელმწიფო, რომელიც კონტროლს უწევს არმიას, თურქეთში ყოველთვის იქნება ყველაზე ძლიერი"[2].

---

1 Pernot M.. La Question Turque, Paris 1923, p. 227.

2 Die Großе politik der Europaischen Kabihette 1871-1914, Bd., 38, Berlin 1926, s. 200.

თავის მხრივ „ახალგაზრდა თურქები“ ფიქრობდნენ რა, სწრაფად მოეხდინათ ბალკანეთის ომებში დამარცხებული თავიანთი არმიის და შეიარაღების მოდერნიზაცია, სიხარულით შეხვდნენ გერმანიის წინადადებას და აღნიშნული მისია ოსმალეთში მიიწვიეს. 1913 წ. ოქტომბერში გერმანიასთან დაიდო ხელშეკრულება, რომელიც სანდერსის სამხედრო მისიას ფართო უფლებებს აძლევდა[3]. გერმანიის სამხედრო მისიამ, ომის დაწყებამდე, ოსმალეთში ჩაატარა დიდი სამუშაო. მისიის წევრებმა საპასუხისმგებლო თანამდებობები დაიკავეს ადგილობრივ გენშტაბში, სასაზღვრო კორპუსებსა და სიმაგრეებში.

1914 წ. 1 აგვისტოს ევროპაში დაიწყო მსოფლიო ომი. მეორე დღესვე ოსმალეთმა გერმანიასთან გააფორმა საიდუმლო სამხედრო-სამოკავშირეო ხელშეკრულება. 3 აგვისტოს ოსმალეთის მთავრობამ გამოაქვეყნა დეკლარაცია ნეიტრალიტეტის შესახებ. ეს იყო დიპლომატიური დემარში, რომ მოედუნებინათ ანტანტის სახელმწიფოების სიფხიზლე. ამის შესახებ ჯემალ ფაშა თავის მემუარებში წერს: „ჩვენ ნეიტრალიტეტი გამოვაცხადეთ მხოლოდ იმიტომ, რომ დრო მოგვეგო. ველოდით მომენტს, როდესაც მობილიზაცია დამთავრდებოდა და შევძლებდით ომში ჩაბმას“[4].

დროის მოსაგებად ოსმალებმა ანტანტის ქვეყნებთან მოლაპარაკება გამართეს. ენვერ ფაშა კონსტანტინოპოლში რუსეთის სამხედრო ატაშეს – გენერალ ლეონტიევს არწმუნებდა, რომ ოსმალეთში გამოცხადებული მობილიზაცია არ იყო რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიება და რუსეთის მთავრობის სურვილის შემთხვევაში, ოსმალეთი ჯარებს გაიყვანდა კავკასიის საზღვრებიდან. ენვერ ფაშამ რუსეთს კავშირიც კი შესთავაზა, იმ პირობით, თუ მას დაუბრუნებდნენ დასავლეთ თრაკიას და ეგეოსის ზღვის კუნძულებს. ენვერი კონსტანტინოპოლში რუსეთის ელჩს – გირსს უმტკიცებდა, რომ რუსეთის მიერ ამ პირობების მიღების შემთხვევაში ის მზად იყო გერმანიის სამხედრო მისიაც კი გაეძევებინა[5]. იმავე 9-10 აგვისტოს, როცა

---

3 **Larcher M.**, La guerre Turque dans la guerre mondiale, Paris, 1926, pp. 609-610.

4 Джемал-паша, Записки,1913-1919 гг., Тифл.,1923, сс. 101-102.

5 **Renouvin P.**, La crise Européenne et la première guerre mondial (1904-1918), Paris, 1969, p. 260-261; **Миллер А.Ф.**, Очерки новейшей истории Турции, М.- Л., 1948, сс. 32-37.

ენვერი ამ წინადადებებს აყენებდა, გერმანელებმა შავ ზღვაში შემოიყვანეს და ოსმალებს გადასცეს ჯავშნოსანი დრედნოუტი „გებენი“ (ოსმალებმა მას უწოდეს „იავუზ სულთან-სელიმი“) და კრეისერი „ბრესლაუ“ (უწოდეს „მიდილი“) - ადმირალ სუშონის მეთაურობით (მალე იგი გახდა ოსმალეთის საზღვაო ძალების მთავარსარდალი). ამის გამო პეტერბურგში ოსმალეთის დაპირებების არ სჯეროდათ.

აღსანიშნავია, რომ რუსეთს არც აწყობდა ოსმალეთის ნეიტრალიტეტი, რადგან გეგმავდა მასთან წარმატებული ომით გადაეწყვიტა შავი ზღვის სრუტეებზე, აგრეთვე, მახლობელ და შუა აღმოსავლეთში გაბატონების ორსაუკუნოვანი პოლიტიკური ამოცანა[6]. 12 აგვისტოს რუსეთის მთავრობამ კავკასიაში გამოაცხადა სამხედრო წესები. ოსმალეთის მთავრობას კი ულტიმატუმის წესით მოსთხოვა დემობილიზაცია. ამაოდ, ოსმალეთი განაგრძობდა გაძლიერებულ მზადებას. ომში ჩაბმის მომენტისათვის მას უკვე ჰყავდა 400 ათასი ჯარისკაცი და 24 ათასი ოფიცერი, რაც შეადგენდა 38 დივიზიას[7]. აქედან კავკასიის ფრონტზე დააჯგუფეს 150 ათასამდე მებრძოლი[8]. ამას ემატებოდა ჟანდარმთა და სასაზღვრო ნაწილები, სარეზერვო პოლკები და ქურთთა საკავალერიო დივიზია. ამგვარად, კავკასიაში დისლოცირებული მე-3 არმია სულ 180 ათასამდე კაცს მოითვლიდა[9]. მასში საკომანდო პოსტები გერმანელ ოფიცრებს ეკავათ. რუსეთის კონსტანტინოპოლელი ელჩი გირსი იუწყებოდა: „მთელი თურქეთი გადაქცეულია სამხედრო ბანაკად და განწყობაც მეომრულია“[10].

---

6 Renouvin P., დასახ. ნაშრ., გვ. 261; Корсун Н.Г., Первая мировая война на Кавказском фронте, М.,1946, с.3.

7 ო. გოინიშვილი, თურქეთი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა. თბ., 1963, გვ. 100-101.

8 Larcher M., დასახ. ნაშრ., გვ. 73.

9 Лудшувейт Е.Ф., Турция в годы Первой мировой войны, М., 1966, с. 63; 1914 წლის შუა დეკემბრისათვის თურქთა კავკასიის მე-3 არმია 190 ათასამდე ჯარისკაცს და 300 ქვემეხს მოითვლიდა (Вержховский Д.В., ЛяховВ.Ф., Первая мировая война 1914 -1918 гг., М.,1964, с. 87).

10 АВПР, Ф. „Канцелярия“, оп. 470, д. 109,т. I, л. 22-23, 66.

გერმანია-ოსმალეთის სარდლობამ არზრუმთან თავი მოუყარა ჯარების დიდ რაოდენობას. იქვე გადაისროლეს თვითმფრინავები, რომელსაც გერმანელი პილოტები მართავდნენ[11]. ძალების კონცენტრაცია ხდებოდა ლაზეთშიც. „ერთიანობის და პროგრესის" პარტიის ტრაპიზონის კომიტეტი შეუდგა არარეგულარული „ჩეთეს"[12] რაზმების ფორმირებას. მათთვის ზღვით შემოიტანეს სამხედრო აღჭურვილობა[13]. არმიის მომარაგების უზრუნველსაყოფად გამოცხადდა სურსათ-სანოვაგისა და საჭაპანო ტრანსპორტის რეკვიზიცია[14].

ამიერკავკასიის დაპყრობის გეგმებში უპირატესი პლაცდარმის როლი ენიჭებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს. ამიტომ, ოსმალთა სარდლობამ ჯარებს ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დაუსახა ბათუმ-ყარსის დაკავება. 1914 წ. სექტემბრის დასაწყისში ენვერ ფაშამ მესამე არმიას მისცა შემდეგი დირექტივა: „არმია კონცენტრირებული უნდა იქნეს არზრუმის რაიონში იმ ანგარიშით, რომ მან შეძლოს, რუსეთის არმიის შემოტევის შემთხვევაში, თვითონვე შეუტიოს ჭარბი ძალებით და გადალახოს საზღვარი... ასეთ შეტევას აქვს წარმატების შესაძლებლობა, თუ მას მიმართულება ექნება ბათუმისა და არტაანისაკენ, ვინაიდან ეს მოგვიტანს ბატონობას შავ ზღვაზე, რაც ჩვენთვის აუცილებელია რუსების მიერ ყარსის ძლიერი გამაგრების გამო"[15].

კავკასიის ფრონტის გახსნას მნიშვნელოვან როლს ანიჭებდა ავსტრია-უნგრეთის სამეფო კარიც. ავსტრიის კონსტანტინოპოლელი ელჩი მარკგრაფი პალავიჩინი ოსმალეთის მთავრობას ჯერ კიდევ 1914 წ. აგვისტოს დასაწყისში მიუთითებდა ამიერკავკასიაში,

---

11 სცსსა. ფ. 13, ან. 27. ს. 3361, ფურც. 5, 13.

12 „ჩეთე" (Gete) - პარტიზანული, აჯანყებულთა მომცრო რაზმი (იხ. Турецко-русский словарь, сост. Д.А. Магазаник. М., 1945, с. 116). „ჩეთნიკებად" იწოდებოდნენ სხვადასხვა მოტივით (რელიგიური ფანატიზმი, შურისძიება, ალაფის შოვნა, და სხვ.) თავმოყრილი მოხალისე მაპმადიანები, რომლებიც ოსმალეთის რეგულარულ ჯართან ერთად იბრძოდნენ.

13 АВПР, Ф. „Политархив", оп. 482, д. 1433, л.276,287.

14 იქვე, ფურც. 283.

15 Мюльман К., Германо-Турецкий военный союз в мировой войне, с.29.

კერძოდ, ბათუმის მიმართულებით აქტიური მოქმედებისაკენ. ამით შემსუბუქდებოდა ავსტრიის სამხედრო მდგომარეობა აღმოსავლეთ ევროპის ასპარეზზე. ოსმალეთის ფრონტზე რუსეთის ძალების მოზიდვისათვის ვენელი პოლიტიკოსები გეგმავდნენ აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის მაჰმადიანთა აჯანყების ორგანიზებას 1914 წ. ნოემბრისათვის. ამავე მიზნით, ავსტრიის ტრაპიზონელმა კონსულმა კვიატკოვსკიმ კონტაქტები დაამყარა კავკასიის ნაციონალისტურ ჯგუფებთან.

კავკასიის ასპარეზზე ოსმალთა გამოსვლის წახალისების მიზნით, ვენელი პოლიტიკოსები სტამბოლს გარკვეულ გარანტიებსაც აძლევდნენ. მაგალითად, ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრის დავალებით დიდ ვეზირს აცნობეს, რომ ომში გამარჯვების შემდეგ ოსმალეთი შეძლებდა საზღვრების რეგულირებას კავკასიის მაჰმადიანური რეგიონების ხარჯზე[16].

ოსმალეთის წინაშე დაისახა საომარი მოქმედების სამი ძირითადი მიმართულება: ეგვიპტე, ბალკანეთი და კავკასია. მათგან გერმანია ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად თვლიდა სუეცის არხისა და ეგვიპტიდან ინგლისელების განდევნას[17] და ამისკენ დაჟინებით მოუწოდებდა თავის მოკავშირეს. მაგრამ დიდი თურქული სახელწიფოს („თურანი") შექმნის გეგმით შეპყრობილ ენვერ ფაშას უპირველეს ამოცანად მიაჩნდა კავკასიის დაპყრობა, აქედან შუა აზიასა და ვოლგისპირეთში გაჭრა და მაჰმადიანებით დასახლებული ამ რეგიონების შეერთება. ამიტომაც, მსოფლიო ომის მთელ პერიოდში, კავკასიის საკითხი წარმოადგენდა ოსმალეთის მმართველი წრეებისათვის საგარეო ექსპანსიონისტური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას.

გერმანიამ და ავსტრიამ ომის პირველსავე თვეებში სერიოზული დამარცხებები იწვნიეს ევროპის ფრონტებზე. შექმნილ ვითარებაში, მათ დაჟინებით მოითხოვეს ომში ოსმალეთის დაუყოვნებლივ ჩაბმა

---

16 გ. **მანჯგალაძე**. ავსტრია-უნგრეთის პოლიტიკა ამიერკავკასიის მიმართ პირველი მსოფლიო ომის წლებში.- „საქართველო და ევროპის ქვეყნები". IV, თბ., 1989, გვ. 44-53; **Bihl W.**, Die Kaukasus Politik der Mittelmdchte, t.I (1914-1917), s. 127-129.

17 **Э. Фалькенгайн**. Верховное командование 1914 -1916 гг. в его важнейших решениях, сс. 54-55.

და მეორე ფრონტის გახსნა, რათა აეძულებინათ მოწინააღმდეგეები თავიანთი ჯარები ევროპიდან აზიაში გადაესროლათ.

ენვერ ფაშა და მისი თანამოაზრეები მზად იყვნენ ომში ჩასაბმელად, მაგრამ სულთანმა ანგარიში გაუწია მინისტრთა კაბინეტის ომის მოწინააღმდეგე უმრავლესობას და მანიფესტს ომის გამოცხადების შესახებ, იმჯერად, ხელი არ მოაწერა[18].

შექმნილ ვითარებაში ენვერ ფაშამ და სანდერსმა გადაწყვიტეს გერმანია-ოსმალეთის ფლოტით მოულოდნელად დაებომბათ რუსეთის შავიზღვისპირა ქალაქები და ამით სულთანი დაეყენებიათ „მომხდარი ფაქტის" წინაშე. გაიცა შესაბამისი საიდუმლო ბრძანებაც. 27 ოქტომბერს, სამხედრო წვრთნის მომიზეზებით, ფლოტი ზღვაში გავიდა. ხოლო 29-30 ოქტომბერს მან დაბომბა სევასტოპოლი, ოდესა, ფეოდოსია, ნოვოროსიისკი, ჩაძირა რუსეთის რამდენიმე გემი და ერთი ფრანგული სავაჭრო ხომალდი. ამავე დროს ოსმალეთის ჯარებმა კავკასიაშიც დაიწყეს მოქმედება. 2 ნოემბერს რუსეთმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს. 12 ნოემბერს სულთანმა გამოაცხადა „საღვთო ომი" ანტანტის წინააღმდეგ.

ანტანტის წინააღმდეგ ომში ოსმალეთის ჩაბმით აღფრთოვანებული გერმანიის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ციმერმანი 1914 წ. 27 ნოემბრის მემორანდუმში წერდა: „თუ შეეძლებთ კონსტანტინოპოლამდე უსაფრთხო ტრანსპორტირების პირობების შექმნას და თურქეთს სწრაფად მივაწოდებთ ბრძოლისთვის საჭირო იარაღს და აღჭურვილობას, მაშინ ეს მოკავშირე, თავისი 800-ათასიანი არმიით, ფლოტით და ისლამური „საღვთო ომის" გამოცხადებით აღმოსავლეთსა და აფრიკაში დიდ სამსახურს გაგვიწევს ჩვენი მტრების წინააღმდეგ"[19].

გერმანიის მაღალ წრეებში იმედოვნებდნენ აგრეთვე, ოსმალთა აგენტების გამოყენებით ბაქოს ნავთობსარეწების განადგურებას, რითაც ვარაუდობდნენ რუსეთისათვის გადამწყვეტი დარტყმის მიყენებას[20].

---

18 სცსსა. ფ. 13, ან. 22, ს. 476, ფურც. 1.

19 L.allemagne et les problèmes de la paix pendant la Première Guerre Mondiale (Documents...). T. I (août 1914 - 31 janvier 1917). Paris. 1962, doc. 117, p 27.

20 იქვე. იხ. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის, რიჰარდ ფონ კიულმანის 1915 წ. 10 იანვრის ნოტა, doc.№ 102, p. 122.

§ 2. საბრძოლო ოპერაციები

გერმანია-ოსმალეთის სარდლობამ იზრუნა ბათუმზე და ჭოროხის ხეობაში შეტევის გეგმის შენიღბვისათვის. მათ რუსეთის კონტრდაზვერვას შეაპარეს დეზინფორმაცია, რომ ამ მიმართულებით არ ჰქონდათ განზრახული დიდი მასშტაბის სამხედრო ოპერაციები და ძირითადად შემოიფარგლებოდნენ „ჩეთეს“ რაზმების მოქმედებით[1]. რუსეთის სარდლობამ ირწმუნა ეს და სერიოზული ყურადღება არ მიაქცია ბათუმის ოლქის სასაზღვრო ზოლის დაცვის გაძლიერებას. პირიქით, აქედან მოხსნეს და დასავლეთ ფრონტზე გადაიყვანეს მნიშვნელოვანი სამხედრო ძალა, რის გამოც ბათუმის ზღვისპირეთში დარჩა მხოლოდ 6 ბატალიონი, 1 მესანგრეთა ასეული და 8 ქვემეხი.

აღსანიშნავია ისიც, რომ იაპონიასთან ომში პორტ-არტურის ძლიერი ციხესიმაგრის დაკარგვის (1905 წ.) შემდეგ რუსეთის სარდლობამ უაზრობად ჩათვალა სანაპირო დაცვის მეორეხარისხოვან ციხესიმაგრეთა შენარჩუნებისათვის სახსრების გაღება. გასაუქმებელთა სიაში მოხვდა ბათუმის მიხეილის სიმაგრეც[2]. უკვე 1907 წლიდან აქ აღარ არსებობდა სამხედრო ნავმისადგომი და გემების მომსახურებასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა. დაიწყო მისი განიარაღებაც. აქ მოხსნეს და სხვაგან გადაიტანეს რამდენიმე შორსმსროლელი ქვემეხი. სამხედრო-საზღვაო უწყება კი ენერგიულად მოითხოვდა ფლოტისათვის ამ ხელსაყრელი ბაზის შენარჩუნებას. ამის წყალობით ის გადარჩა, მაგრამ ომის საწყისი ეტაპისათვის ბათუმის გამაგრებული რაიონის სანაპირო არტილერია თავისი წინანდელი შემადგენლობის ნახევარსღა მოითვლიდა.

---

1 სცსსა, ფ. 157. ან. 1, ს. 320, ფურც. 107.

2 წმ. მიხეილის სიმაგრე, ანუ ბათუმის გამაგრებული რაიონი, მოიცავდა ქ. ბათუმს (საფორტიფიკაციო სიმაგრეებითურთ) და მის მიმდებარე შემდეგ ტერიტორიებს: ჩრდილოეთით საზღვარი გადიოდა მდ. ჩაქვისწყალზე; აღმოსავლეთით - სოფლების: დიდი ჯამეს (ჩაქვის ჩაისუბანი), ჩაქვის, ყოროლისთავის, ახალშენის, ჯოჭოს, სიმონეთის და მირვეთის ხაზზე; სამხრეთით - მდ. ჭოროხზე და დასავლეთით - შავ ზღვაზე (ასცა, ფ. 1, ან.1, ს. 688, ფურც. 1). 1914 წ. 13 იელისიდან გამაგრებული რაიონის ტერიტორიაზე გამოცხადდა სამხედრო მდგომარეობა.

ომის დაწყებამ სარდლობას აშკარად დაანახა ზემოაღნიშნულ სალიკვიდაციო ღონისძიებათა მცდარობა. სევასტოპოლიდან სასწრაფოდ გამოითხოვეს სამხედრო გემების რაზმი ბათუმში მუდმივი ადგილსამყოფელით. მათთვის ელემენტარული ბაზის მოწყობას 2 თვეზე მეტი დასჭირდა[3]. ამ ხნის მანძილზე ბათუმი სუსტად იყო დაცული ზღვიდან და ხმელეთიდანაც, რამაც ზღვისპირეთში მოქმედ ოსმალებს გაუადვილა წინსვლა.

ოსმალეთის სარდლობამ ბათუმის მიმართულებით თავი მოუყარა ძალების ჭარბ რაოდენობას – ფეხოსანთა 14 ბატალიონს (წინააღმდეგ რუსეთის 6 ბატალიონისა), აგრეთვე, ხოფაში ზღვით გადაიყვანეს კონსტანტინოპოლის პირველი კორპუსის 2 ოსმალური პოლკი გერმანელი პოდპოლკოვნიკის შტანკეს მეთაურობით. ეს დაჯგუფება გააძლიერეს „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ მიერ შექმნილი „ქართული ლეგიონით“. მათთან ერთად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში უნდა ემოქმედა 6 ათასამდე „ჩეთნიკს“. საომარი მოქმედების დაწყების წინ ოსმალებმა ამიერკავკასიაში შემოაგზავნეს სადივერსიო ჯგუფები, რკინიგზის და ტელეგრაფის ხაზების მწყობრიდან გამოსაყვანად[4].

1914 წლის 30 ოქტომბერს ოსმალებმა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შემოუტიეს ზღვის სანაპიროს გასწვრივ (ლიმანი, მაკრიალი, გონიო) - ბათუმისაკენ და ართვინის ოკრუგში - მურღულისა და ჩხალის[5] ხეობებით.

შეტევის წარმატების შემთხვევაში ოსმალეთის სარდლობა ვარაუდობდა გადაეწყვიტა რამდენიმე ამოცანა: 1. გაემაგრებინა ფრონტის ეს უბანი, რათა აღეკვეთა რუსების აქედან კონტრშეტევა არზრუმზე (მე-3 არმიის ძირითად ბაზაზე); 2. ტრაპიზონიდან ჯარები გადაეყვანა ოლთისისა და არტაანის მიმართულებით შეტევის წამოსაწყებად (ეს მათ გააკეთეს კიდეც); 3. დაუფლებოდა ართვინის

---

3 Новиков Н., Операции флота против берега на Черном море в 1914-1917 гг. М., 1937. сс. 104 -106.

4 Корсун Н. Г., Первая мировая война на Кавказском фронте, сс. 30-33.

5 მდ. ჩხალის ხეობაში გადიოდა 20 კმ სიგრძის ბილიკი თურქეთის ზღვისპირა სოფ. ხოფადან, ცხარისთას უღელტეხილის გადავლით, სოფ. ბორჩხასაკენ (იხ. ნ.კეზერელი-კოპაძე, საქართველოს ძველი ხიდები, თბ., 1972, გვ. 128-129).

მხარის სპილენძის საწარმოებს (ამას მოითხოვდნენ გერმანელები); 4. შეეტია საქართველოს შიდა რაიონებისაკენ 5. აღეკვეთა ბათუმის ნავსადგურით რუსეთის ევროპული ფრონტისთვის ნავთობის მიწოდება.

ჩხალისა და მურღულის ხეობებით ართვინის ოკრუგში შემოჭრილი მოწინააღმდეგე რუსეთის სასაზღვრო დაცვამ ვერ შეაჩერა და უკან დაიხია. უკვე 1 ნოემბერს 500-მდე ოსმალთა „ჩეთე" გამოჩნდა ჭინკათხევ-ძანსულის სპილენძსადნობი კომპლექსის მიდამოებში. მესაზღვრეთა ნაწილები არ იყო საკმარისი თავდასაცავად. ამიტომ, ართვინის ოკრუგის უფროსის, პოლკოვნიკ ლავროვის ინიციატივით ქარხნისა და მაღაროების მუშა-მოსამსახურეთაგან სასწრაფოდ შედგა მოხალისეთა რაზმი, რომელიც ქარხნის მისადგომებს იცავდა 3 ნოემბრამდე, ბათუმიდან დამხმარე ძალების მოსვლამდე[6]. ამავე დროს ათასამდე ოსმალომ ჭოროხის დინების მიმართულებითაც შემოაღწია საზღვრებში და ქ. ართვინს შეუტია, მაგრამ ისინი უკუაგდეს.

ოსმალეთის ფეხოსანთა რაზმებმა და „ჩეთემ" შემოუტია ზღვის სანაპირო ზოლითაც. 1 ნოემბერს მათ ალყაში მოაქციეს ლიმანის საგუშაგო. მესაზღვრეები ერთი დღე-ღამის განმავლობაში იცავდნენ თავს. მეორე დღეს ბათუმიდან დამხმარე ძალა და არტილერია მოვიდა. ოსმალებმა მათ კონტრიერიშს ვეღარ გაუძლეს და უკუიქცნენ[7]. თუმცა, რამდენიმე დღეში მდგომარეობა გამოასწორეს, ლიმანი დაიკავეს და გონიოსკენ გაიჭრნენ.

ართვინის ოკრუგში რუსეთის ჯარი კვლავ უკან იხევდა. ოსმალები ცდილობდნენ სწრაფად დაუფლებოდნენ სტრატეგიულად მნიშვნელოვან სოფ. ბორჩხას. აქედან იხსნებოდა გზა მდ. ჭოროხის გასწვრივ, როგორც ბათუმისაკენ, ისე ართვინ-არტაანისა და ყარსისაკენ. ამიტომაც 3 ნოემბერს ბორჩხაში შტაბითურთ ჩავიდა ბათუმის გამაგრებული რაიონის გენერალ-გუბერნატორი ელშინი. ადგილზე ვითარების გაცნობის შემდეგ, მან მეორე დღისთვის დაგეგმა კონტრშეტევა. იგი უნდა წარემართათ ორი პუნქტიდან -

6 Газ. „Закавказская речь", 29 ноября, 1914 г., № 272.
7 სცსსა, ფ. 157, ან. 1, ს. 320, ფურც. 370.

ძანსულის სპილენძსადნობი ქარხნიდან და სასაზღვრო საგუშაგო „კურა“-დან. ქარხნიდან შემტევი რაზმის უფროსობა დაევალა გენ. ელშინის თანაშემწე როტმისტრ ლაჩინოვს, მაგრამ მას ოსმალებმა დაასწრეს, დაიკავეს საწარმოს ირგვლივ სიმაღლეები და თვითონ გადმოვიდნენ შეტევაზე. მალე ბრძოლა გაჩაღდა ქარხნის ტერიტორიაზე. ელშინმა ვერ გამოიჩინა გამჭრიახობა, დაიბნა და პასიური თავდაცვით შემოიფარგლა[8] (ასე გრძელდებოდა მისი სარდლად ყოფნის მთელ მანძილზე). იმავე 4 ნოემბრის საღამოს ოსმალებმა დაიკავეს ქარხნის ტერიტორია.

ჭოროხის ხეობაში წარუმატებლად დამთავრდა მეორე კონტრშემტევი რაზმის მოქმედებაც. ის შედგებოდა შერეული სახეობის 8 ასეულისაგან. გენ. ელშინმა რაზმის უფროსად დანიშნა ართვინის ოკრუგის უფროსი პოლკოვნიკი ლავროვი, რომელიც დიდი ხნის ჩამოშორებული იყო სამხედრო სამსახურს. სწორედ მისი უუნარობის გამო, აღნიშნული რაზმი ბრძოლაში დამარცხდა, დაკარგა ორი ქვემეხი და ტყვეთა სახით რამდენიმე ათეული მებრძოლი.

4-5 ნოემბრის ღამით რუსეთის სარდლობამ მიიღო ცნობა, რომ მოწინააღმდეგემ მნიშვნელოვანი შეკვრა მიიღო შეტევის გასაგრძელებლად. გენ. ელშინი შეშინდა, ბრძოლას თავი აარიდა და ართვინში, არტანუჯსა და ორჯოხში გამაგრებულ ჯარებს უბრძანა დაეხიათ სოფ. ბორჩხასკენ, აეფეთქებინათ ქ. ართვინთან მდ. ჭოროხზე მდებარე ხიდი[9]. თუმცა, ელშინმა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სოფ. ბორჩხას შენარჩუნებაც ვერ შეძლო. სწრაფად დატოვა ჭოროხის ხეობა და მდ. აჭარისწყლის მარჯვენა ნაპირის გამაგრებას შეუდგა.

რუსეთის ჯარების მოულოდნელმა უკანდახევამ გამოიწვია ამ მხარის მოსახლეობის, განსაკუთრებით კი სომხების პანიკა და აყრა-გამოქცევა ბათუმისაკენ[10]. საევაკუაციო ციებ-ცხელება გაჩნდა ბათუმშიც. 6 ნოემბერს გამოქვეყნდა პოლიცმაისტერ პრიშელცევის

---

8 აცსა, ფ. 67, ან. 1, ს.13, ფურც. 17.

9 Масловский Е.В., Мировая война на Кавказском фронте 1914-1917 гг., Париж, 1933, с.67.

10 სცსსა, ფ. 157, ან. 1, ს. 320, ფურც. 387.

ბრძანება, რომლითაც სამი დღის ვადაში ბათუმიდან ევაკუაცია უნდა მოეხდინა ყველა სამოქალაქო დაწესებულებას და მშვიდობიან მოსახლეობას. ქალაქიდან გასვლა ეკრძალებოდათ მხოლოდ ხელოსნებს, მეფაიტონეებსა და მედროგეებს, რომლებიც აუცილებელნი იყვნენ ქალაქის თავდაცვის მოსაწყობად[11].

ბორჩხას დაკავების შემდეგ ოსმალთა ძალები ორად გაიყო. ერთი ნაწილი, გენერალ ხუსეინ ავნი ფაშას (წარმოშობით ქობულეთელი) მეთაურობით უკანდახეულ ელშინს დაედევნა. პოდპოლკოვნიკ შტანკეს შენაერთი კი ჭოროხს აღმა აუყვა და მალე დაიკავა ართვინი და არტანუჯი. აქედან აღმოსავლეთით გზა იხსნებოდა არტაან-ახალქალაქისაკენ.

ამრიგად, მურღულის და ჩხალის ხეობებში მოწინააღმდეგის შემოჭრით და ბორჩხას დაკავებით ფაქტობრივად დაირღვა სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს, როგორც ერთიანი მაღალმთიანი სტრატეგიული რეგიონის თავდაცვის ხაზი. აქ უკვე შეუფერხებლად შემოდიოდნენ ოსმალთა ჯარები და აძლიერებდნენ მდ. ჭოროხის აღმა-დაღმა მოქმედ მათ სამხედრო ნაწილებს. ოსმალთა შემოტევის პირველი ეტაპი წარმატებით დასრულდა. ამიერიდან მათ ეძლეოდათ საშუალება განევითარებინათ შეტევა მთელი სამაპმადიანო საქართველოს დასაკავებლად, ხოლო შემდეგ საქართველო-ამიერკავკასიის სიღრმეში შესაჭრელადაც.

მოწინააღმდეგემ სცადა ზღვიდან შემოტევაც. 27 ნოემბერს (ახ. სტ. 10 დეკემბერს) გერმანულმა კრეისერმა „გებენმა", ორი სამხედრო გემის თანხლებით, ყუმბარები დაუშინა ბათუმს და მის სიმაგრეებს. სანაპირო არტილერიის ძლიერი საპასუხო ცეცხლის გამო, მოწინააღმდეგის გემებმა მხოლოდ 15 ჭურვის გასროლა მოასწრეს და მიიმალნენ. ყუმბარების უმრავლესობა ჭაობში ჩაცვივდა. ქალაქში დაინგრა ორიოდე შენობა, დაიჭრა 5 და გარდაიცვალა 1 მოქალაქე. ბათუმის ოლქის ჟანდარმერიის უფროსის ცნობით: „დაბომბვა 15-20 წუთს გაგრძელდა, მაგრამ მოსახლეობაზე დამთრგუნველად იმოქმედა"[12]. მოწინააღმდეგის ფლოტმა შემდეგაც სცადა

11 აცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 269, ფურც. 201.
12 იქვე, ფურც. 505.

ბათუმზე თავდასხმა. 1914 წ. 11 (24) დეკემბერს ღამით ბათუმს მოადგა კრეისერი „ჰამიდიე“[13], მაგრამ სანაპირო დაცვის სიმარჯვ-ის გამო მან მხოლოდ რამდენიმე გასროლა მოასწრო.

აღნიშნულთან დაკავშირებით ახალ ამპლუაში წარმოჩნდა გენე-რალ ელშინის „სარდლური ნიჭი“. ზღვიდან პირველი დაბომბვის შემდეგ ელშინს განუზრახავს ბათუმის ბულვარში მოეჭრა მაღალი ხეები, რაც, მისი აზრით, შეიძლებოდა მტერს სამიზნედ გამოეყ-ენებინა. მაგრამ ბათუმის ქალაქისთავის ივ. ანდრონიკაშვილის პრ-ინციპული პოზიციის წყალობით (ამისათვის ის მეფისნაცვალთანაც კი ჩავიდა) ქალაქის ბაღი გადაურჩა განადგურებას. სამაგიეროდ გენერალმა გული სხვა ხეებზე იჯერა და ბათუმიდან - ჭოროხის ზღვასთან შესართავამდე ყველა მაღალი ხე მოაჭრევინა იმ მოსა-ზრებით, რომ ჭოროხისპირეთში შემოჭრილი მოწინააღმდეგისათვის ცეცხლის დაშენაში რუსეთის ზარბაზნებს ხელი არ შეშლოდა[14].

ჭოროხის ხეობით მდ. აჭარისწყლის შესართავთან გაჭრილმა ოსმალებმა მოქმედება განავითარეს ორი მხრით: დასავლეთით ბათუმისაკენ და აღმოსავლეთით - ზემო აჭარისაკენ. ამ უკანასკნელი მიმართულებით შემტევი რაზმი, რომელსაც გერმანელი ოფიცერი მეთ-აურობდა, ნოემბრის დამლევს ქედაში შევიდა[15]. დეკემბრის დასაწყი-სში ოსმალთა ათასკაციანმა რაზმმა თითქმის უბრძოლველად დაიკავა ხულო. ზემო აჭარის უბნის ადმინისტრაციამ, მათ შემოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე დატოვა ეს პუნქტი და ახალციხეს გადავიდა[16]. შემოჭრისთანავე ოსმალებმა პროპაგანდისტები დაგზავნეს სოფლებში, მოსახლეობას მოუწოდეს ჩაწერილიყვნენ „ჩეთნიკებად“ და ებრძოლათ რუსეთის წინააღმდეგ. პროპაგანდისას ოსმალთა აგენტები, რელიგიურ ფანატიზმთან ერთად იყენებდნენ მუქარის, საზოგადოებიდან გარიყვა-მოკვეთით დაშინების და იძულების სხვა ფორმებს. ამის მიუხედავად ოსმალთა აგიტაციას მნიშვნელოვანი წარმატება არ მოჰყოლია[17]. ად-

---

13 იქვე, ფ. 13, ან. 27, ს. 3550, ფურც. 4.
14 ასგხფ, ს. 94, ფურც. 267.
15 სცსსა, ფ. 157, ან. 1, ს. 320, ფურც. 487.
16 იქვე, ფ. 114, ან. 1, ს. 2354, ფურც. 1,2.
17 აცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 708, ფურც. 43.

გილი ჰქონდა მხოლოდ ცალკეული პირების გადასვლას ოსმალთა მხარეს და ეს ბუნებრივიცაა, რადგან მსგავსი გამოვლინება თან ახლავს ნებისმიერ ომს.

წარუმატებლად დამთავრდა რუსეთის ზღვისპირეთის რაზმის თავდაცვითი ბრძოლებიც. მოწინააღმდეგემ აიღო გონიო და მდ. ჭოროხის ზღვასთან შესართავს მოადგა. ამის შემდეგ, ოსმალთა სარდლობამ სცადა, მიხეილის სიმაგრის გვერდის ავლით, განევითარებინა შეტევა გურიისა და ქუთაისის მიმართულებით. „ჩეთეს" მოზრდილმა რაზმმა მთის ბილიკებით გააღწია კიდეც სოფ. ჩაქვში, შეეცადა მოსახლეობის ამბოხებას და ბათუმ-ნატანების რკინიგზის აფეთქებას[18]. გეგმავდნენ ბათუმის სასმელი წყლის სათავის მოშლასაც, მაგრამ ხელისუფლებამ დროზე მიიღო ზომები. გააძლიერა წყალსადენის და რკინიგზის მაგისტრალის დაცვა, რითაც აღკვეთა მტრის ჩანაფიქრის განხორციელების შესაძლებლობა[19].

გერმანია-ოსმალეთის უმაღლესმა სარდლობამ სცადა ფრონტზე მიღწეული პირველი წარმატებების გამოყენება ამიერკავკასიის სიღრმეში შეტევისათვის, მაგრამ მე-3 არმიის სარდალი ხასან იზეთ ფაშა და ზოგიერთი კორპუსის მეთაური ამას პესიმისტურად შეხვდა, მათ საჭიროდ მიაჩნდათ არმიის დასვენება და შევსება. დასავლეთის ფრონტზე წარუმატებლობით შეშფოთებულმა გერმანიის გენშტაბმა კი მოითხოვა დაუყოვნებლივ შეტევა. ამიტომ, გენერალ სანდერსის რჩევით, ხასან იზეთ ფაშა გადააყენეს და მე-3 არმიის სარდლობა თავის თავზე აიღო ოსმალეთის სამხედრო მინისტრმა ენვერ ფაშამ. არმიის შტაბის უფროსად დაინიშნა გერმანელი გენერალი ბრონსარტ ფონ შელენდორფი. მის თანაშემწედ - მაიორი ფელდმანი[20]. შტაბის მთავარ განყოფილებებს სათავეში ჩაუყენეს გერმანელი ოფიცრები. გერმანელი მეზარბაზნეებით დაკომპლექტდა საარტილერიო ბატარეები[21]. ოსმალეთის მე-3 არმიას ამოცანად დაუსახეს - სარიყამიშის რაიონში განლაგებული რუსეთ-

---

18 იქვე. ფურც. 23.

19 სცსსა. ფ. 13, ან. 27, ს. 3193. ფურც. 33.

20 Корсун Н. Г., დასახ. ნაშრ., გვ.32.

21 Пипия Г.В. Германский империализм в Закавказъе в 1910-1918 гг., с. 54.

ის ჯარების განადგურება, ხოლო შემდეგ ბათუმის და ყარსის აღება. მარცხენა ფლანგის უშიშროების უზრუნველსაყოფად შტანკეს რაზმს დაეკისრა არტაანის დაკავება.

სარიყამიშის ოპერაცია დაიწყო 1914 წ. 22 დეკემბერს. ოსმალეთის არმია მთელ ფრონტზე შეტევაზე გადმოვიდა. 25 დეკემბერს მან დაიკავა გამაგრებული პუნქტები სარიყამიშის მარჯვენა ფლანგზე. იმავე დღეს შტანკეს რაზმმა აიღო არტაანი. აქ მას ებრძოდა რუსეთის ჯარი გენერალ გენიკის მეთაურობით. არტაანის დატოვების შემდეგ იგი მძიმე პირობებში აღმოჩნდა, რადგან რიცხობრივად ჭარბი შტანკეს რაზმი წინ მოიწევდა ახალქალაქისაკენ.

ოსმალთა წარმატებით შეშინებულმა რუსეთის კავკასიის არმიის შტაბის უფროსმა გენერალმა ალ. მიშლაევსკიმ ფრონტი მიატოვა, სასწრაფოდ თბილისში დაბრუნდა და რუსთა ჯარების კავკასიიდან გაყვანის სამზადისს შეუდგა. ქართველებს კი მოუწოდა სახლ-კარი გადაებუგათ, სანოვაგე გაენადგურებიათ, რომ „შემოსეულ მტერს საქართველო დახვედროდა როგორც უდაბნო“ და თვითონაც გაჰყოლოდნენ რუსის ჯარს, „თბილისსა და სხვა ქართულ ქალაქებზე ჩვენ თვითონ ვიზრუნებთ: ისე ავაფეთქებთ, რომ მათგან ოსმალთა თავშესაფრად ქვა ქვაზე აღარ დარჩესო“[22]. მოსახლეობა პანიკამ მოიცვა. შეძლებულებს ბანკებიდან გამოჰქონდათ ფული, ძვირფასეულობა და რუსეთისაკენ იჩქაროდნენ.

განსაცდელისაგან ქვეყანა იხსნა გენერალ ალექსანდრე გაბაშვილის გამჭრიახობამ და თავდადებამ, რომელმაც ოსმალებს სარიყამიშთან კატასტროფა შეუმზადა. მან ჯერ შეაჩერა შტანკეს რაზმი, შემდეგ კი შეუტია და დაატყვევა მოწინააღმდეგის ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი. 3 იანვარს ბრძოლით დაიბრუნა ქ. არტაანი, შემდეგ ოლთისი. შტანკემ ართვინისკენ დაიხია[23].

რუსეთის ჯარებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს ფრონტის სხვა უბნებზეც. სარიყამიშის ოპერაცია ოსმალთა სრული განადგურებით დამთავრდა. მათ აქ დაკარგეს 90 ათასი ჯარისკაცი,

---

22 ლ.სანიკიძე. მესამე დასის საქართველო, გვ. 254.

23 Корсун Н.Г., დასახ. ნაშრომი, გვ. 33-37.

ძალიან 30 ათასი მოყინულის სახით. რუსთა დანაკარგი შედარებით უმნიშვნელო იყო – 20 ათასი მოკლული და 6 ათასი მოყინული[24].

პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე რუსეთის გამარჯვებების ღირსეული თანამონაწილეები იყვნენ ქართველებიც. დღემდე მიჩნეულია, რომ მათი რაოდენობა 200 ათას კაცს შეადგენდა. ცნობილი დრამატურგი ალ. სუმბათაშვილ-იუჟინი კი, რომელიც პეტროგრადის ქართველთა სათვისტომოს ხელმძღვანელი იყო და, ჩანს, სათანადო მასალასაც ფლობდა, ჯერ კიდევ 1919 წელს მიუთითებდა 320 ათასი ქართველის მონაწილეობაზე[25]. მას შემდეგ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ საკითხს სერიოზულად არავინ ჩაღრმავებია. გამონაკლისია მკვლევარი გიორგი გოცირიძე. მან არა მარტო გაიზიარა ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის ზემოაღნიშნული მონაცემები, არამედ ის ქართულ პრესაში (იხ. გაზ. „საქართველო", 20 ივნისი, 1915 წ.) გამოქვეყნებული იმ ცნობითაც შეამაგრა, რომ 200 ათასი კაცი საქართველოდან გაწვეული იყო 1915 წ. ზაფხულის დამდეგისათვის[26]. შევნიშნავთ, რომ ეს ციფრი პრესაში უფრო ადრე გამოჩნდა. უკვე 1914 წ. ნოემბერში აკაკი წერეთელი წერდა: „200 ათასი მეომარი გამოიყვანა ჯერჯერობით ამ პატარა საქართველომ და იძულებითი არა ყოფილა რა. ყველა თავის სურვილ-ნებითა და სიხარულით მიისწრაფოდა რუსის ჯარებთან ერთად თავდასაცავად შორეულ ქვეყნებში". ამ შემართების საფუძვლად აკაკის მიაჩნდა რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლების განცხადება, რომელშიც ის ჩაგრული ერების მოსარჩლედ და თანასწორობის, ძმობის, ერთობისა და სიყვარულის მომხრედ გამოვიდა. დასასრულ, აკაკი იმედს გამოთქვამდა, რომ საქართველოც მიიღებდა ნანატრ ავტონომიას[27].

ალ. სუმბათაშვილ-იუჟინი, სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, აგრეთვე გვიდასტურებს, რომ მოსახლეობის რაოდენობის პროცენტული თანაფარდობის მიხედვით ქართველებმა ორჯერ მეტი

---

24 Вержховский Д. В., Ляхов В.Ф., Первая мировая война, с.88.

25 Сумбатов А., В мощных объятиях, Пг., 1919, с. 87.

26 გ.გოცირიძე, დასახ.საკანდ. დისერტ. ხელნაბეჭდი, გვ.85.

27 იხ. ჟურნ. „ანთიადი", 1914, №9.

ჯარისკაცი მისცეს ფრონტს, ვიდრე მთელმა რუსეთმა ერთად. 1914 წ. იმპერიის მოსახლეობა შეადგენდა 170 მლნ. სულს, აქედან არმიაში მობილიზებული იყო 12 მლნ. ე.ი. მთელი მოსახლეობის 7%. საქართველომ კი გამოიყვანა თავისი 2,3 მლნ. მოსახლეობის 14% (320 ათასი), რომლის ნახევარი ამ ომსვე შეეწირა[28].

ალ. სუმბათაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, აგრეთვე, ამ ომში ქართველთა მონაწილეობის მაღალხარისხობრივ მხარეს, რაც, მისი აზრით, მათივე ეროვნული ფსიქიკიდან გამომდინარეობდა. კერძოდ, ქართველთა ბუნებით ერთგული ხასიათიდან, ტრადიციული მეომრული თვისებებიდან და ნაკისრი მოვალეობის აღსრულების მაღალი შეგნებიდან[29].

სამხედრო სამსახურისკენ ქართველთა ლტოლვა განსაკუთრებით გააქტიურდა კავკასიის ფრონტის გახსნის შემდეგ, რაც მადლიერებით შეაფასა ხელმწიფე-იმპერატორმაც[30].

საქართველომ მსოფლიო ომს მისცა ბრწყინვალე ოფიცრობა — პოლკოვნიკები: მაზნიაშვილი, ნიჟარაძე, წულუკიძე, და სხვ. გენერლები: გაბაშვილი, ნათიშვილი, კვინიტაძე, ბარათაშვილი... ეს უკანასკნელი სარდლობდა კავალერიის საექსპედიციო კორპუსს, რომელიც 1915 წ. ოქტომბერში კასპიის ზღვით გადავიდა სპარსეთის ნავსადგურ ენზელში და გაანადგურა გერმანელების მიერ აქ ჩამოყალიბებული დივერსიული რაზმები. გენერალ ბარათაშვილის ენერგიული მოქმედებით რუსეთი გადარჩა მის წინააღმდეგ სპარსეთისა და ავღანეთის ომში ჩაბმისაგანაც[31].

თავდადების და მოვალეობისადმი ერთგულების ნიმუშად გამოდგება ორი ქართველი მოწყალების დის — კაპიტოლინა ნიჟარაძის და ნინა სადრაძის საბრძოლო ბიოგრაფიაც. ისინი სარიყამიშის ჰოსპიტალში მსახურობდნენ, როცა ამ უბანზე ოსმალებმა გენერალური შეტევა წამოიწყეს. ბევრი შეშინებული ყარსისკენ გაიქცა, მაგრამ ქართველი ქალები ადგილზე დარჩნენ და ბოლომდე უვლიდნენ

---

28 **Сумбатов А.**, დასახ. ნაშრ., გვ. 86-87.

29 იქვე, გვ. 92-101.

30 სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს. 3160, ფურც. 91.

31 **Вержховский Д.Б., Ляхов В.Ф.**, დასახ. ნაშრ., გვ. 143.

დაჭრილ მეომრებს. მათი ეს თავდადება გიორგის მე-4 ხარისხის მედლებით აღინიშნა[32].

საარაკო გმირობით და შეუპოვრობით გამორჩეული იყო ტარასი ვაშაკიძე („შაითან კაპიტანი"), რომელმაც ერთი ასეულით სარიყამიშთან უმსხვერპლოდ დაატყვევა 2 ათასი ასკერი, ასზე მეტი ოფიცერი და მე-9 კორპუსის გენერალიტეტი ისხან ფაშას მეთაურობით. ამ ფაქტმა დიდი რეზონანსი გამოიწვია. მასზე წერდნენ იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთები. რუსეთის მთავრობამ იგი დააჯილდოვა ოქროს იარაღით და გიორგის ჯვრით. საფრანგეთის მთავრობამ კი - მედლით[33]. გულსატკენია, რომ კაპიტან ვაშაკიძის გმირობის შესახებ ერთი სიტყვაც არ თქმულა რუსულ ისტორიოგრაფიაში. თვით გენერალ ნ. კორსუნის წიგნში „სარიყამიშის ოპერაცია", ისხან ფაშას კორპუსის დატყვევებაზე ზოგადად წერია, როგორც რუსეთის არმიის მორიგ წარმატებაზე.

ქართველთა ასეთ თავდადებას, ალ. სუმბათაშვილის მიერ დასახელებულ მოტივთა გარდა, ჩვენი შეხედულებით, განაპირობებდა ეროვნული მისწრაფებებიც: პირველ ყოვლისა, სამუსლიმანო საქართველოს დაცვა-შენარჩუნება, აგრეთვე, ჯერ კიდევ ოსმალეთის ხელთ დარჩენილი ისტორიული ტერიტორიების (ლაზეთი და სხვ.). გამოხსნა-დაბრუნება და ბოლოს, გაერთიანებული ქვეყნის „აღდგომა".

სარიყამიშთან გამარჯვების შემდეგ რუსეთის ჯარმა საომარი მოქმედება მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე გადაიტანა. ოსმალთა მიერ ოკუპირებული რჩებოდა მხოლოდ ართვინის ოკრუგი. ეს მხარე მთაგორიანია და ძნელად გასავალი. ამის გამო შეძლეს ოსმალებმა იქ გამაგრება. 1914 წ. დეკემბრის დამლევს მათ ამ რეგიონში ჰყავდათ 15 ათასამდე მებრძოლი[34]. ამ მხარეში ოსმალებმა კოლონიზატორული რეჟიმი დაამყარეს. ადგილობრივ მოსახლეობას იყენებდნენ სხვადასხვა სამუშაოზე. აიძულებდნენ უვალ მთებში ზუ-

---

32 დ. დათუაშვილი, სარიყამიშის გმირი ტარასი დავითის ძე ვაშაკიძე. - „საისტორიო მოამბე", თბ., 1974, №29-30, გვ. 518-519.

33 იქვე, გვ. 515-545; იხ. აგრეთვე ზ. დათუაშვილი, ტრაქტატი მეფე-მთავართა – ორასწლოვანი სვედა, ქუთ; 1993, გვ. 85-98; ი. უგულავა, სარიყამიში, ჟურნ. „მხედარი", 1991, №3, გვ. 45-53.

34 სცსსა, ფ. 157, ან. 1, ს. 320, ფურც. 607.

რგით გადაეტანათ სურსათი და იარაღი[35]. „ჩეთე“ ძარცვავდა და აწიოკებდა მცხოვრებთ, განსაკუთრებით კი სომხებს[36].

ოსმალებმა ართვინის ოკრუგის უფროსად დასვეს პოლკოვნიკი მუსტაფა ანჩელოღლი. დანიშნეს შავშეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელიც[37]. სარიყამიშთან მარცხის შემდეგ ოსმალეთის სარდლობა ცდილობდა ართვინის მხარესა და ზღვისპირეთში მაინც შეენარჩუნებინა პოზიციები. ენვერ ფაშა სასწრაფოდ ჩავიდა ვიწეში[38], იქვე გადაიყვანა 8 ათასი მებრძოლი, მაგრამ მათი აქ ბატონობა ხანმოკლე აღმოჩნდა.

სარიყამიშთან გამარჯვების შემდეგ რუსეთის სარდლობამ ბათუმის გარნიზონი შეავსო დამატებითი ძალებით. სანაპირო დაცვის გასაძლიერებლად კრონშტადტიდან გადმოიტანეს და ბათუმში დაამონტაჟეს ორი 10-დიუმიანი (შორსმსროლელი) ქვემეხი[39]. ცვლილებები მოხდა ჯარების ხელმძღვანელობაშიც. მეფისნაცვლის 1914 წლის 8 დეკემბრის ბრძანებულებით გენ. ელშინი გადააყენეს და ბათუმის სამხედრო გუბერნატორად და ოლქის ჯარების სარდლად დაინიშნა გენერალი ვლ. ლიახოვი. მან 1915 წ. იანვარში დაიწყო კონტრშეტევა. ბათუმიდან უტევდა ორი რაზმი: ერთი - მდ. ჭოროხის გასწვრივ, მეორე - ზღვის სანაპიროს მიმართულებით. ამ უკანასკნელს ეხმარებოდა შავი ზღვის ფლოტიც. 15 თებერვალს ზღვისპირეთის რაზმმა ბრძოლით დაიკავა ხოფა. 2 მარტს კი – პორტი არხავე. მოწინააღმდეგემ კონტრშეტევით სცადა მათი დაბრუნება, მაგრამ დამარცხდა და უკუიქცა[40]. ხოფას და არხავეს დაუფლებით მჭიდროდ ჩაიკეტა ზღვისპირეთიდან - ართვინისკენ ჩხალისა და მურღულის ხეობებით მიმავალი გზები.

---

35 იქვე. ფ. 114, ან. 1. ს. 2284, ფურც. 2.
36 იქვე. ან., 3, ს.3, ფურც. 8-12.
37 ასცა, ფ. 1, ს. 708, ფურც. 17, 21.
38 სცსსა, ფ. 157, ან. 1 , ს. 390, ფურც. 2.
39 Масловский Е.В. დასახ. ნაშრომი, გვ. 68.
40 სცსსა, ფ. 1438, ან. 1, ს. 239, ფურც. 4.

წარმატებით განავითარა შეტევა ჭოროხის რაზმმაც (სარდალი გენ. მილერი, შტაბის უფროსი როტმისტრი ლაჩინოვი). თებერვლის შუა რიცხვებში მან აიღო ბორჩხა. ხოლო მარტის დამდეგს დაიკავა ძანსულის სპილენძის მაღაროები და ქარხნები, რითაც სრულებით განდევნა ოსმალები მურღულის ხეობიდან. ამის შემდეგ ჭოროხის რაზმმა შეუტია ართვინისკენ, რომელიც ოსმალებს კარგად ჰქონდათ გამაგრებული[41]. არტანუჯის გათავისუფლების შემდეგ აქეთკენ გამოემართა არტაანის რაზმიც. 16 მარტს ჭოროხის და არტაანის რაზმებმა ორმხრივი დარტყმით გაათავისუფლეს ქ. ართვინი. იმავე თვის ბოლოს მათ მოწინააღმდეგე უკუაგდეს ოლთისსა და არტანუჯს შორის მდებარე გამაგრებული მთაგორიანი ადგილებიდან, რითაც ძირითადად დაამთავრეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მტრისგან გაწმენდა.

უკანდახევისას ოსმალებმა თან გაიყოლეს ადგილობრივი მოსახლეობა. ამის შესახებ ქართული პრესა იუწყებოდა: „...ყველაზე მეტად განადგურებულია გონიის „უჩასტკა", შავი ზღვისპირათ მცხოვრებნი და მდ. ჭოროხის პირათ მდებარე სოფლები აჭარისწყლიდან – ართვინამდე. აქ მცხოვრებნი თითქმის აღარ არიან - ვინც არ მოკლეს, ოსმალებმა ტყვედ წაასხეს"[42].

1915 წ. აპრილში ოსმალებმა ზღვისპირეთში კონტრშეტევა წამოიწყეს, მაგრამ რუსეთის ჯარებმა ჯერ შეაჩერეს მოწინააღმდეგე, შემდეგ გაარღვიეს მათი თავდაცვა და დაიკავეს ლაზეთის მნიშვნელოვანი პუნქტები: ვიწე, ათინა, სიურმენე, რიზე და ოფი. ეს ადგილები მთაგორიანია, ამიტომ ამ პუნქტების დაუფლება უმთავრესად საზღვაო დესანტით ხდებოდა. ოპერაციებს ახორციელებდა რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ბათუმის ესკადრა, რომელშიც 1916 წ. დასაწყისში 15-მდე სხვადასხვა სახის სამხედრო გემი შედიოდა, მათ შორის: 1 კრეისერი, 2 საკანონერო ნავი, 8 ნაღმოსანი, 3 საზღვაო ტრანსპორტი, აგრეთვე, ქვემეხებით შეიარაღებული კატერები. ესკადრას ხელმძღვანელობ-

---

41 აცსა. ფ. 1, ს. 708. ან. 1, ფურც. 94.
42 გაზ. „თანამედროვე აზრი",10 აპრილი, 1915, № 32.

და ბათუმის სამხედრო პორტის უფროსი, პირველი რანგის კაპიტანი რიმსკი-კორსაკოვი[43].

რუსეთის ჯარებმა წარმატებით შეუტიეს ფრონტის სხვა უბნებზეც. 1916 წ. თებერვალში მათ ბრძოლით დაიკავეს არზრუმი. ამან ძლიერ შეაშფოთა გერმანიისა და მისი მოკავშირეების მმართველი წრეები. ბერლინიდან სტამბოლში სასწრაფოდ მიავლინეს ფელდმარშალი მაკენზენი. შედგა სამხედრო საბჭოს თათბირი[44]. მე-3 არმიის სარდლად დანიშნეს გენერალი მეჰმედ ვეჰიბ ფაშა, რომელიც ამ პოსტზე დარჩა 1918 წ. ივნისამდე[45]. თათბირზე გადაწყდა, კონრტშეტევით დაებრუნებინათ არზრუმი. ამ მიზნით პალესტინის ფრონტიდან გადმოიყვანეს ოსმალთა მნიშვნელოვანი ძალები, რამაც გააუმჯობესა იქ ინგლისელების მდგომარეობა.

რუსეთის სარდლობისათვის ცნობილი გახდა აღნიშნული თათბირის და გეგმების შესახებ. გადაწყდა დაესწროთ მოწინააღმდეგისათვის და არ მიეცათ ძალების თავმოყრის საშუალება. ამიტომ, საჭიროდ ჩათვალეს უმოკლეს დროში აეღოთ ქ. ტრაპიზონი, რომელიც წარმოადგენდა სტამბოლთან მე-3 არმიის დაკავშირების და მომარაგების ძირითად საზღვაო პუნქტს.

ტრაპიზონზე შეტევისათვის მზადების პერიოდში რუსეთის სარდლობამ დააჯგუფა მნიშვნელოვანი ძალები. 5-7 აპრილს აქ ნოვოროსიისკიდან ზღვით გადმოიყვანეს პლასტუნთა ორი ბრიგადა, სამთო-საარტილერიო დივიზიონი და სხვა ნაწილები, სულ 18 ათასზე მეტი კაცი. ოპერაციის დაწყების წინ ზღვისპირეთის რაზმის (სარდალი გენ. ლიახოვი) პირადი შემადგენლობა 32500 მებრძოლს მოითვლიდა[46].

ტრაპიზონზე შეტევა დაიწყო 14 აპრილს. რუსეთის საზღვაო და სახმელეთო ძალების ენერგიული მოქმედებით შეშინებულმა ოსმალებმა 16 აპრილს ღამით ქალაქი უბრძოლველად დატოვეს.

---

43 **Новиков Н.**, დასახ. ნაშრომი, გვ. 121-126.

44 გაზ.„თანამედროვე აზრი", 12 და 29 მარტი, 1916, № 62, № 71.

45 **Лудшувейт Е.Ф.**, დასახ. ნაშრ., გვ. 69.

46 История Первой мировой войны, т. 2, М., 1975, сс. 224, 270-272. სხვა ცნობით, ტრაპიზონთან რუსებს 28 ათასამდე ჯარისკაცი ჰყავდათ, ოსმალებს კი 20 ათასამდე (**Новиков Н.**, დასახ. ნაშრ., გვ. 202).

ამის შესახებ იქაურმა ბერძნებმა მეორე დღესვე აცნობეს გენერალ ლიახოვს და ისიც 18 აპრილს ტრაპიზონში თოფის გაუსროლელად შევიდა. ამით ოსმალებმა დაკარგეს მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი. ამიერიდან, რუსეთის სარდლობას საშუალება მიეცა მოემარაგებინა არა მარტო ზღვისპირეთში მოქმედი ჯარები, არამედ არზრუმის რაიონში დისლოცირებული სამხედრო ნაწილებიც. მალე რუსები შეუდგნენ ტრაპიზონში სამხედრო პორტის მოწყობას, საავტომობილო გზის გაყვანას, 1916 წ. ივლისიდან კი ბათუმ-ტრაპიზონის რკინიგზის მშენებლობასაც[47].

ოსმალეთის გენშტაბში სათანადოდ შეაფასეს არზრუმის და ტრაპიზონის დაკარგვის მოსალოდნელი შედეგები. ამიტომ დაგეგმეს ფართო კონტრშეტევა. აპრილის დამლევს ოსმალებმა არზრუმის მიმართულებით შემოუტიეს. აქ მათ გაიუმჯობესეს მდგომარეობა ალაშქერთის რაიონში, მაისში ბრძოლით დაიბრუნეს ქ. მამახათუნი. ამას მოჰყვა რუსთა საპასუხო და წარმატებული კონტრშეტევა. 16 ივლისს მათ აიღეს ბაიბურთი, 25 ივლისს კი ერზინჯანი.

ამავდროულად ბრძოლები მიმდინარეობდა ტრაპიზონის რაიონშიც. აქ რუსებმა ქ. ჯივიზლაკთან გაანადგურეს კონტრშეტევაზე გადმოსული მოწინააღმდეგე, აიღეს აგრეთვე ქ. გიუმუშხანე, ხოლო შემდეგ საზღვრისპირა პუნქტი ფოლომი (ფოლა). ამ ბრძოლებში ოსმალეთის მე-2 და მე-3 არმიები განადგურების პირას მივიდნენ[48].

აღსანიშნავია, რომ რუსეთის მთავარსარდლობას ჰქონდა განზრახვა ერზინჯანიდან სივასისკენ შეეტია და ანატოლიის სიღრმეში შეჭრილიყო. ზღვისპირეთში კი იგეგმებოდა ოპერაციები სინოპის მიმართულებით. მაგრამ კორპუსის სარდლები წავიდნენ ამის წინააღმდეგ, რადგან ზურგში საინტენდანტო სამსახურის მოუწყობლობის პირობებში ჯარების წინსვლა უაზრო რისკთან იქნებოდა დაკავშირებული. ამას დაემატა 1916-1917 წწ. უაღრესად მკაცრი ზამთარი, შიმშილი და ეპიდემიები, რის შედეგადაც რუსეთის კა-

---

47 Сиоридзе М.М., Батум-Трапезундская военная железная дорога. - Проблемы историографии всеобщей истории. Белгород , 2000, сс. 29-34.

48 Зайончковский А.М., Мировая война 1914-1918 гг. т. II (кампания 1916-1918). М., 1938, сс. 76-77.

ვკასიის არმიამ 100 ათასზე მეტი ჯარისკაცი დაკარგა[49]. რუსეთის მოქმედ არმიასა და ზურგში შეირყა გამარჯვებისადმი რწმენა, გაჩნდა ფრონტიდან თავის არიდების ტენდენცია და გაჭიანურებული ომისადმი საპროტესტო განწყობილება[50].

1916 წ. სამხედრო კამპანიის შედეგად კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ოსმალეთი. მას უკვე აღარ შესწევდა ძალა სერიოზული შეტევითი ოპერაციებისათვის, ოსმალეთის გენშტაბის უფროსი გენერალი ფონ ბრონსარტი 1917 წ. 2 ივნისს ლუდენდორფისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში წერდა, რომ 3 მილიონი მებრძოლიდან, რომელიც ოსმალეთს ომის დასაწყისში ჰყავდა, 1917 წ. 1 მარტისათვის ცოცხალი დარჩა 1,2 მილიონი კაციო[51]. ფრონტზე დამარცხებებმა და მომარაგებაში არსებულმა უკიდურესად მძიმე პირობებმა გახრწნა ოსმალეთის არმია, ჯარისკაცებში გახშირდა დეზერტირობა[52].

ამრიგად, ომის პერიოდში სამხრეთ-დასავლეთი საქართველო მოწინააღმდეგე მხარეებისათვის რჩებოდა ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ მიმართულებად. რუსეთის მრავალეროვნულმა არმიამ, რომლის თვალსაჩინო ნაწილს ქართველობა შეადგენდა, შეძლო არა მარტო ამ რეგიონის შენარჩუნება, არამედ ისტორიული ჭანეთის (ლაზეთის) და სხვა ქართული ტერიტორიების გათავისუფლებაც. ამის მიუხედავად, 1916 წ. შემოდგომიდან მებრძოლ მხარეებს აღარ ჰქონდათ სერიოზული სამხედრო კამპანიის წარმოების რეზერვები და ისინიც „პოზიციურ ომზე“[53] (თავდაცვაზე) გადავიდნენ. ასე გაგრძელდა 1917 წ. ბოლომდე, ხოლო მომდევნო 1918 წლისათვის ნიშანდობლივი გახდა რუსეთის არმიის მიერ ბრძოლით მოპოვებული ტერიტორიების დაკარგვა.

---

49 **Вержховкский Д.В., Ляхов В.Ф.**, დასახ. ნაშრ., გვ. 214.

50 ალ. წერეთელი, ახლო წარსულის მასალები... „საქართველოს არქივი“, წ. III, თბ., 1927, გვ. 36-61.

51 **Мюльман К.**, დასახ. ნაშრ., გვ. 252.

52 **Миллер А.Ф.**, Очерки новейшей истории Турции, сс. 67-68.

53 **Табагуа И.М.**, Позиционная война. - „საქართველო და ევროპის ქვეყნები,“ V, თბ., 1991, გვ. 55-68.

§ 3. „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ და „ქართული ლეგიონი“ ოსმალეთში

„დამოუკიდებლობის კომიტეტის“ და „ქართული ლეგიონის“ პრობლემა სათანადოდაა შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში.[1] ამიტომ, მათზე დაწვრილებით აღარ შევჩერდებით. საკვანძო მოვლენების აღნუსხვასთან ერთად, შევეცდებით გამოვარკვიოთ და გავაანალიზოთ „დამკომისა“ და მისი ლეგიონისადმი სამაპმადიანო საქართველოს მკვიდრთა დამოკიდებულების ნაკლებადცნობილი მომენტები, რაც შეზღუდულად იყო წარმოდგენილი აღნიშნულ საკითხზე ჩემს მონოგრაფიაშიც.

„დამოუკიდებლობის კომიტეტი“ დაარსდა 1914 წ. აგვისტოში, რუსეთ-გერმანიას შორის ომის დაწყებისთანავე. მისი დამფუძნებლები იყვნენ ეროვნულ პოზიციებზე მდგომი ემიგრანტები: პეტრე სურგულაძე (თავმჯდომარე), ძმები გიორგი და ლეო კერესელიძეები, ნესტორ მაღალაშვილი, მიხეილ წერეთელი, ვარლამ ჩერქეზიშვილი და გიორგი მაჩაბელი. შემდეგ მათ მიემატნენ ოსმალეთში მოღვაწე ემიგრანტები: ზია აბაშიძე, შალვა ვარდიძე, მელიტონ ქარცივაძე, სავარაუდებელია, რომ სტამბოლში მცხოვრები გენერალი ბაპრი ფაშა თავდგირიძეც და სხვ. „დამკომის“ ხელმძღვანელი ჯგუფი დაფუძნდა ბერლინში. მას ფილიალები ჰქონდა სტამბოლში, ტრაპიზონსა და თბილისში (დ.ვაჩნაძე, სპ.კედია და რ.გაბაშვილი). ეს უკანასკნელი შეიქმნა 1914 წ. დამლევს, გ.მაჩაბლის ვიზიტის შემდეგ.

„დამოუკიდებლობის კომიტეტმა“ გერმანიის მთავრობის წინაშე ივალდებულა შეიარაღებული აჯანყების ორგანიზება საქართველოკავკასიაში, მობილიზაციის ჩაშლა და რუსეთისათვის ხელშემშლელი სხვა ღონისძიებების განხორციელება კავკასიის არმიის ზურგში. „დამკომელთა“ გეგმით აჯანყების ბირთვი უნდა გამხდარიყო

---

1 დაწვრილებით იხ. კ.სალია, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი პირველი მსოფლიო ომის დროს. - „ბედი ქართლისა“, პარიზი, 1962, № 39-40; ალ.სურგულაძე, კ.სურგულაძე, ქართული ლეგიონი თურქეთში, ბათ.,1994. რ.გრძელიძე, საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი (1914-1918), თბ., 1995; მ.სიორიძე, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918), ბათ., 1998.

კავკასიის ფრონტზე „ქართული ლეგიონის“ გამოჩენა. ის უნდა დაკომპლექტებულიყო ქართველი სამხედრო ტყვეებისა და ემიგრანტი მოხალისეებისაგან. გ.მაჩაბელი იმედოვნებდა 50 ათასი თანამემამულის აჯანყებას და მოითხოვა მათთვის საბრძოლო იარაღის მომზადება. მალე, ბერლინის მითითებით, ფრონტზე მართლაც დაიწყეს ნადავლი რუსული იარაღის შეგროვება.[2]

„დამკომის“ ეროვნული მისწრაფებები პასუხობდა გერმანიის და მისი ბლოკის სამხედრო-პოლიტიკურ მიზნებს რუსეთთან მიმართებაში. ამიტომ, თავის მხრივ, ბერლინმაც ივალდებულა დამკომისათვის ხელის შეწყობა, ხოლო ომში გამარჯვების შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა და მომავალ საზავო კონგრესზე მისი საერთაშორისო აღიარებისათვის მხარდაჭერა. 1914 წ. სექტემბერში გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და დამოუკიდებლობის კომიტეტს შორის გაფორმდა შესაბამისი შეთანხმებაც.

სტამბოლში კი ამისგან თავი შეიკავეს, მომავალი საზღვრების საკითხზე კამათის გამო. ოსმალები თანახმა იყვნენ ეცნოთ მხოლოდ საქრისტიანო საქართველოს დამოუკიდებლობა, ხოლო მის სამაჰმადიანო ნაწილს მთლიანად თავისთვის იჩემებდნენ. მათ უკიდურესად აღიზიანებდათ, აგრეთვე, ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსის პრეტენზია „ოსმალეთის ლაზეთზე“. ბოლოს საქმეში ჩაერივნენ გერმანელები და ოსმალებიც დათანხმდნენ „დამკომთან“ შეთანხმებაზე ხელმოწერას. საქართველო-ოსმალეთს შორის მომავალ მიჯნად განისაზღვრა 1914 წ. ომამდელი საზღვარი. არსებულ ვითარებაში ეს იყო ქართველთა დიდი მიღწევა.

---

[2] Bihl W, Die Kaukasus politik der Mittelmächte. t. I (1914-1917). Wien-Köln-Graz, 1975, გვ. 64-65. აღსანიშნაია, რომ შემდეგში „დამკომმა“ გაითვალისწინა ოსმალეთში მოღვაწე გერმანელი ფელდმარშალის ფონ დერ პოლცის გულშემატკივრული რჩევა და თავი შეიკავა აჯანყების აქტიურად მზადებისაგან, რათა გამძვინვარებული რუსი მხედრობის მხრივ არ გამოეწვია ერის ფიზიკური განადგურება, იგივე აზრის იყვნენ თბილისელი პოლიტიკოსებიც. მაგრამ ოსმალეთის მმართველ წრეებში ანტიქართული განწყობილების ზრდის კვალობაზე, „დამკომიც“ იძულებული იყო დროდადრო ამ მიმართებით, გარეგნულად მაინც, გადაედგა გარკვეული ნაბიჯები. მითუმეტეს, რომ დამკომელთა რადიკალური ნაწილი (გ.მაჩაბელი და სხვ.) 1917 წ. შუახანებამდეც ძელებურად იმედოვნებდა აჯანყების მოწყობას და პრაქტიკულადაც ღღვწოდა საამისოდ (მ.სიორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 50-62).

ოსმალთა უკმაყოფილებას აძლიერებდა ისიც, რომ ამიერკავკასია მათ ტრადიციულად მიაჩნდათ თავიანთი ინტერესების სფეროდ და ვერ ურიგდებოდნენ აქ სხვის, თუნდაც მოკავშირე გერმანიის აქტიურობას. მითუმეტეს, რომ ქართული გასამხედროებული ნაწილების შექმნის ინიციატივა ოსმალებს ეკუთვნოდათ და 1914 წ. აგვისტო-სექტემბერში დაიწყეს კიდეც მისი შედგენა მაჰმადიან და ქრისტიან ქართველ მოხალისეთაგან, მაგრამ შემდეგ მასზე მეურვეობა გერმანელებმა იგდეს ხელთ და ყველა ოსმალურ სამხედრო ნაწილზე ბევრად უკეთ ამარაგებდნენ. სტამბოლში ეს შეაფასეს გერმანიის შორსგამიზნულ პოლიტიკად საქართველო-კავკასიაში. ამიტომ, განაწყენებული ოსმალები ყოველნაირად ავიწროებდნენ ლეგიონს, ხელოვნურად აბრკოლებდნენ მის რიცხობრივ ზრდას (ქართველ მაჰმადიანებზე ზემოქმედებდნენ რელიგიური მოტივებით, დაშინებით და ა.შ.). ზოგჯერ კი ითვისებდნენ გერმანელების მიერ ლეგიონისათვის გამოგზავნილ იარაღს და ამუნიციას.[3]

1914 წ. სექტემბრიდან 70-კაციანი „ქართული ლეგიონი" დაფუძნდა ზღვისპირა პუნქტ ვიწეში და შეუდგა მოხალისეთა მიზიდვას იქ მცხოვრები ქართველი მაჰმადიანებისგან. მათ შორის მრავლად იყვნენ მუჰაჯირები, რომლებსაც სისხლხორცეულად აინტერესებდათ სამშობლოში დაბრუნება. ოსმალეთში მცხოვრებ თანამემამულეთა ქართულ ლეგიონში გაერთიანებისათვის გეგმაზომიერად მუშაობდნენ აქედან გადახვეწილ ცნობილ საგვარეულოთა (აბაშიძეები, თავდგირიძეები და სხვ.) წარმომადგენლები, რომელთაც იქ ბევრი ნათესავი და ახლობელი ჰყავდათ. ამის შედეგად, 1914 წ. დეკემბერში 600 კაცისგან შემდგარი „ქართული ლეგიონი" ლეო კერესელიძის მეთაურობით, შტანკეს რაზმთან ერთად მონაწილეობდა ართვინ-არტაანის ოპერაციებში და, გერმანული წყაროების მოწმობით, დიდი ზარალიც მიაყენა მოწინააღმდეგეს.[4]

ამ გარემოებამ გერმანელებს კიდევ უფრო განუმტკიცა რწმენა ლეგიონის სარგებლიანობაში. მართალია, არტაანთან საერთო წარუმატებლობისა და უკანდახევის პირობებში, ქართველ მაჰმადი-

---

3 ბ. ხიორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 64-66, 77-78.
4 Bihl W. დასახ. ნაშრ., გვ. 67.

ანთაგან ბევრი მოხალისე ჩამოშორდა ნაწილს, მაგრამ ამან მაინც ვერ შეაცვლევინა მათ შეხედულება ლეგიონზე. გერმანიის მთავრობამ კომიტეტთან პოლიტიკურ კომისრად დანიშნა გრაფი შულენბურგი.[5] მას დაევალა: „მომზადება და განხორციელება აქციებისა, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა ანტირუსული განწყობილების გაღვივება და აჯანყების ორგანიზაცია" საქართველოსა და კავკასიაში[6]. მასვე უნდა გაეძლიერებინა თანამშრომლობა „დამკომსა" და ოსმალეთის ხელისუფლებას შორის ლეგიონის პირადი შემადგენლობის გაზრდისა და საბრძოლველად მომზადებისათვის.

შულენბურგი საქმეს ენერგიულად მოეკიდა. მან ლეგიონი ტრაპიზონში გადაიყვანა და შეუდგა მისი ახალი ძალებით შევსებას. საქმეში ენერგიულად ჩაერთნენ თვალსაჩინო დამკომელი ზია აბაშიძე და მისი თანამოაზრე ქართველი მაჰმადიანები. გატარებულ ღონისძიებათა შედეგად ლეგიონის პირადი შემადგენლობა დღითიდღე იზრდებოდა: თუ 1915 წ. აპრილში ის მხოლოდ 100 მებრძოლს აერთიანებდა, იმავე წლის ნოემბრის დასაწყისისათვის მათი რიცხვი უკვე 450 შეადგენდა, ნოემბრის დამლევს – 600, დეკემბრის ბოლოს კი – 800. ამის შემდეგ, ზღვისპირეთში რუსთა ჯარების წარმატების გამო, ლეგიონი ტრაპიზონიდან სამსუნში გადაიყვანეს და იქ განაგრძეს მისი შევსება. 1916 წ. იანვარში ლეგიონში უკვე 835 მებრძოლი იყო, შუა თებერვალში - 1000, მარტში - 1200, 1916 წ. ბოლოსათვის კი - 1300. ლეგიონი ძირითადად ფეხოსანთა ჯარის სახეობას წარმოადგენდა, მაგრამ ჰყავდა ცხენოსანთა ორი და მეტყვიამფრქვევეთა ერთი ასეულიც.[7] დ.ლენგის ცნობით, ლეგიონს გირესუნში ჰქონდა ლაზარეთი და საწყობები. მას თითქოს ემსახურებოდა 234-კაციანი დამხმარე პერსონალიც. გადაჭარბებულად ჩანს დ.ლენგის ის ცნობაც, რომ ლეგიონი დაკომპლექტებული იყო „დაახლოებით 7 ათასი ძლიერი მამაკაცისგან"[8].

---

5 შემდეგში გერმანიის ელჩი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მოგვიანებით კი საბჭოთა კავშირში.

6 Пипия Г. В., Германский империализм в Закавказье 1910-1918 гг., с. 66-67.

7 Bihl W., დასახ. ნაშრ., გვ. 75-77; იხ. აგრეთვე აცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 765, ფურც. 18, 23.

8 Lang D. A modern history of Georgia, London, 1962, s. 183.

ოსმალთა სარდლობა კვლავ ცდილობდა ლეგიონის დისკრედიტაციას და მისი სამხედრო მნიშვნელობის ნულამდე დაყვანას. ამიტომ ეწინააღმდეგებოდა ლეგიონერთა ფრონტზე გაგზავნას, მათ იყენებდა ზურგში დეზერტირების სადევნად და სხვა უწესრიგობების აღსაკვეთად. ამის მიუხედავად, ფრონტთან სიახლოვის დროს, ლეგიონერთა ცალკეულ რაზმებს დროდადრო მაინც უხდებოდათ ბრძოლებში ჩაბმა. ლეგიონზე მიმაგრებული გერმანელი ოფიცრები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ლეგიონერები ოსმალთა საუკეთესო სამხედრო ნაწილებზე უფრო გაბედულად და საზრიანად მოქმედებდნენ.

ლეგიონერთა საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1915 წ. თამარ მეფის ორდენის („სამახსოვრო ნიშნის") დაწესებას. მისი შემოღების, აღწერილობისა და დაჯილდოების განაწესში[9] აღნიშნულია, რომ ის მიენიჭებოდათ „იმ პირთ, რომლებმაც რაიმე თვალსაჩინო სამსახური გაუწიეს ქართულ საქმეს და იმ პირთ, რომელთა გავლენასაც შეუძლია სამსახური გაუწიოს ამავე საქმეს".

ლეგიონში მწვავედ იგრძნობოდა სამხედრო კადრების ნაკლებობა. ამიტომ, გადაწყდა, მიეზიდათ ევროპის ტყვეთა ბანაკებში გამოკეტილი ქართველები. პროფ. რ.გრძელიძის სიტყვით მათი რიცხვი „მარტო გერმანიაში აღწევდა 15 ათას კაცს"[10]. ავსტრიის მხოლოდ ერთ ქალაქ ეგერის ბანაკში 1916 წ. მაისის დამლევს ათასი ქართველი სამხედრო ტყვე აღირიცხა[11]. მ. წერეთლის და სხვა დამკომელების მუშაობას ამ მიმართებით მცირე წარმატება ჰქონდა. ლეგიონში ძირითადად ეწერებოდნენ განათლებული ქართველი ოფიცრები, რომელთა შორის ეროვნული განწყობილება უფრო მაღალი იყო. ქართველ ტყვეთა უმრავლესობა ლეგიონისგან თავს შორს იჭერდა. ამას რამდენიმე მიზეზი განსაზღვრავდა: პირველ ყოვლისა, რუსეთის იმპერატორისათვის მიცემული ფიცისადმი ერთგულება;

---

9 იხ. სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს. 5430, ფურც: 49-50.
10 რ. გრძელიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 13.
11 Bihl W. დასახ. ნაშრ., გვ.131.

ბევრი მათგანისათვის უცხო და შორეული იყო ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა, ნაწილს კი აეჭვებდა ომში გერმანიის გამარჯვება და მისი მეშვეობით საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შესაძლებლობა. და ბოლოს, მათ აფრთხობდა სამშობლოს თავისუფლებისათვის ოსმალთა მხარდამხარ ბრძოლის პერსპექტივა[12].

პროპაგანდის ეფექტურობისათვის გადაწყდა სტამბური გაზეთის გამოცემა. ადრე ბანაკებში ვრცელდებოდა ერთიანი შინაარსის ხელნაწერი გაზეთები ყველა იმ ენაზე, რომლებზეც ტყვეები ლაპარაკობდნენ. გაზეთის ქართულ ვარიანტს ერქვა „კავკასია", მაგრამ იგი არაპოპულარული იყო ქართველ ტყვეებში. ამიტომ, ჟენევაში არსებული ქართული სტამბა ბერლინში გადაიტანეს და 1916 წ. 28 მარტიდან იწყეს ნაბეჭდი „ქართული გაზეთის" გამოცემა (რედ. გ. კერესელიძე). იგი თვეში ორჯერ გამოდიოდა 8 გვერდის მოცულობით. გაზეთმა ტყვეებში მალე მოიპოვა პოპულარობა, რის გამოც ნოემბრიდან მისი მოცულობა 12 გვერდამდე გაზარდეს. ამავე სტამბაში ბეჭდავდნენ პატარა წიგნებსაც. ამ პუბლიკაციებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართველ ტყვეთა ეროვნულ გათვითცნობიერებაში. ამაზე მეტყველებს მათი 1200-ზე მეტი ბარათი გაზეთის რედაქციისადმი.[13]

ლეგიონში ჩაწერის სურვილი ქართველ ტყვეთაგან სულ 200-მდე კაცმა გამოთქვა. ამიტომ მისი რიცხობრივი ზრდა უმთავრესად ხდებოდა ქართველ მაჰმადიანთა ხარჯზე, თუმცა, მათ შორის უმნიშვნელო იყო ლაზების რაოდენობა.

ლეგიონერები მტკიცედ იცავდნენ კონსპირაციას საქართველოში მყოფი მათივე ახლობლების უსაფრთხოების მიზნით. ამის მიუხედავად, ხერხდება ზოგიერთი მათგანის ვინაობის დადგენა. ბათუმის ოლქის ჟანდარმერიის სამმართველოში 1917 წ. დასაწყი-

---

12 მ. სიორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 91-93.

13 იხ. სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს.ს. 5414-5422; „ქართულმა გაზეთმა" იარსება 2,5 წელი. მისი უკანასკნელი 58-ე ნომერი გამოვიდა 1918 წ. 12 სექტემბერს (გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, გვ. 49).

სში თავმოყრილი არასრული ინფორმაციით, მარტო თანამედროვე აჭარის მცხოვრებთაგან ქართულ ლეგიონში მსახურობდა 16 კაცი. მათ შორისაა: ისა-ბეგ თავდგირიძე, ფეიზულ-ბეგ სურმანიძე (ლეგიონის ოფიცერი, რომელმაც 200-მდე მებრძოლი შეაგროვა), სოფ. ბორჩხას „სტარშინა" მემედ აღა თონიალ-ოღლი, შუქრი ხალვაში, იუსუფ ბეგ ასაბ-აღა-ზადე მაჭახლიდან, მისი ნათესავები: რიფარი, რიზა, მემედი და იზეთი, ისა-ბეგ გვარიოღლი, აგრეთვე ოფიცრები - ოსმან აგაბ-აღა-ზადე ბეგი (გონიოს უბნის სოფ. მაჭახლისპირიდან), სეფერ აღა-ზადე, ბეჟანიძე და სხვ.[14] მათ თანამზრახველები ჰყავდათ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაშიც. მაგალითად, კონტრდაზვერვამ დააპატიმრა სოფ. აჭის (ქობულეთის რ-ნი.) მკვიდრი მამუდ კაკალ-ოღლი (სავარაუდოა კაკალაძე) თანასოფლელებში სააჯანყებო პროპაგანდისათვის. გამოძიების პროცესში დადგინდა, რომ იგი „იყო ოსმალეთიდან გამოგზავნილი ქართული კომიტეტის მიერ 1916 წ. იანვრის დასაწყისში ცნობილ ყაჩაღებთან ხუსეინ გოგიტიძესთან და ძმებთან – მამუდ და საბით ვერულიძეებთან ერთად" ბათუმ-ქობულეთში აჯანყების საქმისათვის[15].

გერმანია-ოსმალეთის სპეცსამსახურების მრავალმხრივი ცდების მიუხედავად, კავკასიის ვერც ერთ მხარეში ვერ მოხერხდა აჯანყების ორგანიზება. ამასობაში ფრონტის ხაზიც ოსმალეთის სიღრმეში გადაიწია და დიდი მანძილით დაშორდა საქართველოს. ამიტომ „დამკომმა" გადაწყვიტა „ქართული ლეგიონის" რუსეთ-გერმანიის ფრონტზე გადაყვანა. ამაში ქართველ ლეგიონერებს, უპირატესად მაჰმადიანებს, დიდი სიძნელეები შეუქმნეს თურქებმა და ცდილობდნენ მათ ოსმალეთის არმიაში გადაბირებას.

ლეგიონის ევროპაში გადაყვანა 1917 წ. მაისამდე გაჭიანურდა. მნიშვნელოვნად შემცირდა მისი პირადი შემადგენლობაც. ევროპაში გადაყვანილი ქართული ლეგიონი 140 მებრძოლსღა მოითვლიდა. მათ შორის ქართველი მაჰმადიანი მხოლოდ 8 იყო.[16] ასე შეთხელებული ქართული ლეგიონის ფრონტზე გაგზავნა ბერლინში მიზ-

---

14 აცსა. ფ. 1, ან. 1, ს. 765, ფურც. 23; ს. ტაბაღუა, ტაბუდადებული დოკუმენტებიდან, გაზ. „აჭარა", 27 თებერვალი, 1993, №32; ან. სურგულაძე, კ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 35.

15 სცსსა. ფ. 13, ან. 27, ს. 5442, ფურც. 1-11.

16 Bihl W. დასახ. ნაშრ., გვ. 79-80.

ანშეწონილად არ ჩათვალეს. მის შემდგომ არსებობას უფრო პოლიტიკური მნიშვნელობა მიანიჭეს და რუმინეთში გადაიყვანეს, ზურგის სამსახურში. ის იქ დარჩა 1918 წ. ივლისამდე, შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში - უკვე დამოუკიდებელ საქართველოში და ეროვნული არმიის შემადგენლობაში ცალკე შენაერთის სახით, პოლკოვნიკ ლეო კერესელიძის მეთაურობით, 1919 წ. დასაწყისში გმირულად იბრძოდა ახალციხის ფრონტზე ე.წ. „ყარსის მთავრობის" ჯარის წინააღმდეგ[17].

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით ამოიწურა „დამკომის" მისიაც და მან ანგარიში ჩააბარა 1918 წ. ივნისში ბერლინში ჩასულ საქართველოს ოფიციალური სამთავრობო დელეგაციის თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელს.

დასასრულ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ცნობილი მოღვაწის მემედ აბაშიძის დამოკიდებულების გარკვევა „დამკომთან" და ლეგიონთან მიმართებაში. პირველად ამ საკითხს შეეხო პროფ. გურამ შარაძე. მანვე მიაწოდა მკითხველ საზოგადოებას ცნობა და ფოტომასალა დამკომის მიერ დაწესებული „თამარის ორდენით" მემედ აბაშიძის დაჯილდოების შესახებ 1918 წ. 10 სექტემბერს[18]. ამ საბუთთან დაკავშირებით გ.შარაძემ სცადა „დამკომთან" და ლეგიონთან მ. აბაშიძის მჭიდრო თანამშრომლობის დასაბუთება, რაც ჩვენი აზრით, ვერ ასახავს სინამდვილეს. კერძოდ, იმ ადგილას, სადაც პატივცემული მკვლევარი მოგვითხრობს ქართული ლეგიონის პირად შემადგენლობაზე, წერს: „ბათუმის ოლქიდან მოსულ მებრძოლთა შორის ვხედავთ მემედ-ბეგს"[19]. შევნიშნავთ, რომ ეს მტკიცება ვერ თავსდება მ.აბაშიძის დღეისათვის ცნობილი ბიოგრაფიის 1914-1918 წლების ქრონოლოგიურ ჩარჩოში. კერძოდ, ნოვოჩერკასკში გადასახლებიდან ბათუმში დაბრუნების შემდეგ, 1914 წ. მარტიდან ის ცხოვრობდა პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ. პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, 1914 წ. შემოდგომაზე,

---

17 გაზ „ ერთობა", 7 თებერვალი, 1919 წ., №30.

18 გ.შარაძე, მემედ აბაშიძე - თამარ მეფის ორდენის კავალერი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", №2, 1994; იგივე გამოკვლევა იხ. მის წიგნში- მემედ აბაშიძე, თბ. - ბათ., 1995., გვ. 85-108; იგივე ნარკვევი შემოკლებული სახით იხ. წიგნში - მემედ აბაშიძე, თხზულებანი. გამოსცა გურამ შარაძემ, თბ., 1998, გვ. 30-37.

19 გ.შარაძე, მემედ აბაშიძე, გვ. 99.

მ. აბაშიძე კვლავ დააპატიმრეს და ერთი წელი მეტეხის ციხეში დაჰყო. ხოლო შემდეგ თბილისში ცხოვრობდა კვლავ პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ. მემედი მხოლოდ 1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა ბათუმში.[20]

ქრონოლოგიური შეუსაბამობის გამო, ვერ ვიზიარებთ პროფ. გ. შარაძის შემდეგ მოსაზრებასაც, რომ „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან ერთობლივი თანამშრომლობით უნდა ავხსნათ კონსტანტინე გამსახურდიას და მემედ აბაშიძის მეგობრობა, რაც დასტურდება ქ. ფოთში 1918 წ. 9 აგვისტოს ერთად გადაღებული მათი ფოტოსურათით (ზუსტად ერთი თვით ადრე ბერლინში მემედ აბაშიძის თამარ მეფის ორდენით დაჯილდოებამდე)“[21].

მიგვაჩნია, რომ ეს ფოტოსურათი ვერ გამოდგება ამ ორი მამულიშვილის ადრინდელი მეგობრობის და, მით უფრო, დამკომთან „ერთობლივი თანამშრომლობის ასახსნელ“ არგუმენტად. მითუმეტეს, რომ მ.აბაშიძის ბიოგრაფიის თანახმად, პირველი მსოფლიო ომის დროს ის არ გასცილებია საქართველოს ფარგლებს და იმყოფებოდა პოლიციის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ. ხოლო მომავალი დიდი მწერალი - კ. გამსახურდია (1893-1975 წწ.) 1911 წლიდან გერმანიაში სწავლობდა და ომსაც იქ შეხვდა.

ქართული კომიტეტის მიერ „თამარის ორდენით“ მემედ აბაშიძის, აგრეთვე, ყადირ შერვაშიძის დაჯილდოების მოტივად ბევრად უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია პრ:ოფ. აბელ სურგულაძის მოსაზრება, რომ „ჩანს კომიტეტმა ისარგებლა გერმანიის დედაქალაქში ყადირ შერვაშიძის ყოფნით და საზეიმოდ გადასცა მაღალი ეროვნული ჯილდო (მემედისათვის გადასაცემად ორდენი ალბათ ზია აბაშიძეს გამოატანეს)“[22].

ამრიგად, მემედ აბაშიძის უშუალოდ, პირადად მონაწილეობა დამკომის ან ლეგიონის საქმიანობაში დოკუმენტურად არ დას-

---

20 მემედ აბაშიძის ავტობიოგრაფიული ცნობები იხ.: მ.აბაშიძე, რჩეული ნაწერები, ბათ., 1973, გვ. 54-56; ა.სილაგაძე, ვ.გურული, საქართველოს განუყოფლობის ბრძოლის ისტორიიდან, ნაკვ. I, მემედ-ბეგ აბაშიძე, დოკუმენტები და მასალები (1917-1923), თბ., 1996. გვ. 47-49.

21 გ.შარაძე, მემედ აბაშიძე, გვ. 105-106; ავტორი იგივეს იმეორებს წიგნში - მემედ აბაშიძე, თხზულებანი, გვ. 36.

22 აბ. სურგულაძე, ყადირ შერვაშიძე თამარის ორდენის რაინდი, ქუთ., 1998, გვ. 73. სარწმუნოდ მოჩანს ის მოსაზრებაც, რომ იგივე ჯილდო უნდა მინიჭებოდა, აგრეთვე. ზია აბაშიძეს, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღოდა „ქართული ლეგიონის“ ფორმირებაში (აბ.სურგულაძე, კ.სურგულაძე, ქართული ლეგიონი თურქეთში, გვ 26).

ტურდება და მისი იმდროინდელი ბიოგრაფიიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ეს შეუძლებელიც იყო.

შევნიშნავთ, რომ ზემოაღნიშნული არ გამორიცხავს მ.აბაშიძის პირად ნაცნობობა-ურთიერთობას „დამკომის" ცალკეულ წევრებთან, მათ თანამზრახველობას, ასევე კომიტეტთან და ლეგიონთან არაპირდაპირ თანამშრომლობას. მითუმეტეს, ისტორიოგრაფიაში უკვე დადგენილია, რომ მემედის ბიძაშვილი და თანამებრძოლი ზია აბაშიძე იყო „დამკომის" თვალსაჩინო მოღვაწე და მისი ტრაპიზონის განყოფილების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ჩვენს მიერ მოპოვებული საარქივო დოკუმენტების და თანამედროვეთა გადმოცემების ურთიერთშეჯერება-ანალიზით დგინდება აგრეთვე, რომ მემედის უმცროსი ძმა ასლან აბაშიძე, ოსმალეთში ქართველ მუჰაჯირთაგან „ჩეთეს" რაზმების ორგანიზებასთან ერთად, რასაც თავისი მოტივები ჰქონდა, იმავდროულად მჭიდროდ, მაგრამ ფარულად უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ქართულ კომიტეტთან და მის ლეგიონთან.[23] ამდენად, ზია და ასლან აბაშიძეების ამ მხრივ საქმიანობაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ამრიგად, სამუსლიმანო საქართველოს მოწინავე მამულიშვილთა პოზიტიურმა დამოკიდებულებამ საერთო ქართული საქმისადმი დადებითი როლი შეასრულა თანამემამულე მაჰმადიანთა „ქართულ ლეგიონში" მიზიდვასა და მისი ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნებაში. ამავდროულად, სხვადასხვა აღმსარებლობის თანამოძმეების მხარდამხარ ბრძოლას სამომავლოდაც ჰქონდა დიდი ეროვნული მნიშვნელობა, რადგან ხელს უწყობდა საერთო ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნების თუ შეხედულების ჩამოყალიბებას.

---

23 იხ. მ. ხიორიძე, ასლან აბაშიძის ბიოგრაფიისათვის. - „საისტორიო მაცნე", 2000, №9, გვ.13-19.

თავი IV

სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება 1914-1916 წლებში

§ 1. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა

მსოფლიო ომმა მილიონობით სიცოცხლესთან ერთად მოითხოვა უზარმაზარი მატერიალური რესურსები, მაგრამ რუსეთის დაბალგანვითარებულმა მეურნეობამ და უუნარო სახელმწიფო აპარატმა ვერ უზრუნველყვეს ომის მოთხოვნილებანი. ქვეყანაში დაიწყო სწრაფი სამეურნეო ნგრევა. ეს მით უფრო გამოიკვეთა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, რომელიც საომარი მოქმედებების ასპარეზად იქცა.

სერიოზულად დაზიანდა ტექნიკის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული სპილენძის მრეწველობა ართვინის მხარეში, რომელიც ოსმალთა მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდა. ჭინკათხევ-ძანსულის კომპლექსი მოწინააღმდეგემ 1914 წ. 4 ნოემბერს დაიკავა. გერმანელი ოფიცრების განკარგულებით ოსმალებმა დაიწყეს ქარხნის საწყობებში დარჩენილი 3 ათას ფუთამდე მზა სპილენძის გაზიდვა ხოფასაკენ. ოკუპაციის სამი თვის მანძილზე, უგზოობისა და დიდთოვლობის გამო, მოასწრეს მხოლოდ 2500 ფუთამდე სპილენძის გატანა. დანარჩენი კი რუსთა კოტრშეტევის დროს, მდ. ჭოროხში ჩაძირეს.[1]

გერმანელები აპირებდნენ სპილენძსადნობი საწარმოების ამუშავებასაც, მაგრამ სათანადო სპეციალისტების ადგილზე არყოლის და საწვავის უქონლობის გამო ეს ვერ მოახერხეს.[2]

1915 წ. იანვარ-თებერვალში, უკანდახევისას, ოსმალებმა გაძარცვეს სპილენძის ქარხნები, დაიტაცეს სამუშაო იარაღები, დაანგრიეს საცხოვრებელი სახლები, დაწვეს ბორანი მდ. ჭოროხზე, გაანადგურეს სატელეფონო და ელექტროგაყვანილობა.

---

1 სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს. 3586, ფურც. 14.

2 Газ., «Закавказская речь», 28 февраля, 1915 г., № 48; газ. «Русское слово», 21 марта, 1915 г., № 66.

წარმოების აღდგენის მიზნით „კავკასიის სპილენძის სამრეწველო საზოგადოებას“ რუსეთის მთავრობამ სესხად გამოუყო 1 მლნ. რუბლი, რითაც 1916 წ. ბოლოს აღადგინეს წარმოება. 1917 წ. 8 იანვარს ქარხანამ გამოადნო პირველი სპილენძი 266 ფუთი, მეორე დღეს კი 533 ფუთი. სულ, 15 სექტემბრამდე აქ ამოიღეს 1,4 მლნ. ფუთი მადანი და გამოადნეს 28 ათასამდე ფუთი სუფთა სპილენძი.[3]

ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდა სიმენსების კვარცხანის ქარხანაც, თუმცა, როგორც გერმანული ფირმის საკუთრება, ნგრევას გადაურჩა და მცირე რეკონსტრუქციის შემდეგ, 1915 წ. შემოდგომაზე წარმოება განაახლა. ამ დროიდან, 1918 წ. მარტამდე, კვარცხანაში სულ გამოადნეს 220 ათასი ფუთი სუფთა სპილენძი.[4] ოსმალთა განდევნის შემდეგ ეს ქარხანა რუსეთის სამხედრო საჭიროებისთვის მუშაობდა, მაგრამ ხელისუფლება უნდობლად ეკიდებოდა მის გერმანულ ადმინისტრაციას. მათ სპეციალური მეთვალყურეებიც მიუჩინეს, „რომ ქარხანა განგებ არ გაეფუჭებიათ“[5].

სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი მწვავედ წარმოჩნდა ართვინის სამრეწველო რაიონშიც. მითუმეტეს, რომ აქ მუშახელი ძალზე იაფი იყო, ხოლო შრომისა და უსაფრთხოების პირობები მეტად მძიმე. არასრული ცნობებით, 1917 წელს კვარცხანის და მურღულის ქარხნებსა და მაღაროებში მუშაობდა 1200-ზე მეტი კაცი.[6] 1917 წლიდან წარმოქმნილი მზარდი ეკონომიკური სიდუხჭირის და ანარქიის პირობებში მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა, მუშათა უთანხმოება ადმინისტრაციასთან სერიოზულ ხასიათს იღებდა.[7]

დროებითი მთავრობის ბათუმის საოლქო ხელისუფლება (აღმასკომი) 1917 წ. 1 ივნისს „ოზაკომს“ აცნობებდა, რომ მურღულსა და კვარცხანაში აუცილებელი იყო „პოლიციის განსაკუთრებული კომისარიატების“ შენარჩუნება.[8] ცხადია, ყოველდღიურად მზარდი ინფლაციის პირობებში მარტო რეჟიმის გამკაცრება საქმეს ვერ

---

3 შდრ. სცსსა, ფ. 264, ან. 1, ს, 5555, ფურც. 2; ა. ფარსადანიშვილი, დასახ. დისერტ. გვ. 117-118.

4 სცსსა, ფ. 1891, ან. 1, ს. 643, ფურც. 29.

5 გაზ. „თანამედროვე აზრი“, 30 მარტი, 1916 წ., № 72.

6 ა. ფარსადანიშვილი, დასახ. დისერტ. გვ. 119.

7 იხ. ა. ვაშაკიძე, მუშათა კლასი საქართველოში (ბათუმის ოლქი) პირველი იმპერიალისტური ომის წლებში (1914-1917 წწ.) - „საისტორიო მოამბე“, 1978, №37-38, დოკ. №№ 17, 20, 23, 27, 33, 38.

8 სცსსა, ფ. 2080, ან. 1, ს. 76, ფურც. 1.

შველოდა. ამიტომ, ქარხნების ადმინისტრაციამ ხელისუფლებას მოსთხოვა სპილენძზე შესასყიდი ფასების გაზრდა, რომ უზრუნველეყო მუშათა ხელფასების მომატება, წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმოებას შეწყვეტდნენ.[9]

1917 წ. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ შეწყდა სპილენძის რუსეთში გატანა. ქარხნების ადმინისტრაციას ნება დართეს მზა სპილენძი გაესაღებინა სპარსეთში, მაგრამ ეს ვერ განხორციელდა, 1918 წ. გაზაფხულზე ოსმალთა მიერ სამუსლიმანო საქართველოს ხელახალი ოკუპაციის გამო.

ამრიგად, ომის დასაწყისში ჭოროხის აუზის სპილენძის წარმოების სერიოზულად დაზიანების მიუხედავად, იგი თანდათან გამოცოცხლდა და პროდუქტიულობით ორჯერ და მეტად გაუსწრო დანარჩენი ამიერკავკასიის შესაბამისი დარგის საწარმოებს. კერძოდ, 1916-1917 წლებში თბილისის გუბერნიის (ბორჩალოს მაზრა) ქარხნებში, რომლებსაც ომის შედეგად ნგრევა არ განუცდიათ, გამოადნეს მხოლოდ 103,4 ათასი ფუთი სუფთა სპილენძი.[10] ამავე პერიოდში ართვინის რაიონის ორ ქარხანაში (მურღულსა და კვარცხანაში), როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოებულმა სპილენძმა 250 ათასამდე ფუთი შეადგინა. ეს შესაძლებელი გახდა თვით ამ ქარხნების მაღალი მწარმოებლურობით, ადგილზე სპილენძის მადნის სიუხვით და მისი მოპოვება-გადამუშავების მაღალტექნიკური აღჭურვილობით, აგრეთვე, ამ საწარმოთა ადმინისტრაციის პროფესიონალიზმით და თვით რუსე-თის მთავრობის დაინტერესებით – სწრაფად აღედგინა სამხედრო უწყებისათვის აუცილებელი საწარმოები.

* * *

ბევრად მძიმე მდგომარეობა იყო სოფლად. მთელი ეს მხარე, გარდა ბათუმ-ქობულეთისა, ომის მოედნად იქცა. გადაიწვა და განადგურდა ათასობით ჰექტარი სავარგული, ხეხილის და მარცვლეულის ფართობები. საგრძნობლად დაზარალდა მეურნეობის წამყვანი და ტრადიციული დარგი – მეცხოველეობა[11].

---

9 იქვე. ფ. 264, ან. 1, ს. 5348, ფურც. 41-42.

10 იქვე. ს. 5554, ფურც. 13-16.

11 1913 წელთან შედარებით 1916 წ. ნათესი ფართობები შემცირდა 39% -ით,

საშინაო ბაზრის კრიზისისა და მარცვლეულზე მოთხოვნილების ზრდის გამო, 1915 წლიდან მნიშვნელოვნად შეიკვეცა მეთამბაქოეობა. თუ 1914 წ. თამბაქოს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ეკავა 1014 დესეტინა ფართობი, ხოლო მოსავალმა შეადგინა 68,5 ათასი ფუთი, 1916 წ. თამბაქოს ფართობი 247 დესეტინამდე, ხოლო მოსავალი 11,2 ათას ფუთამდე შეიკვეცა[12]. ეს დარგი ყველაზე მეტად დაზარალდა ართვინის მხარეში. 1915 წ. ბოლოს აქ აღირიცხა მხოლოდ 40 პლანტაცია, რომელთა საერთო ფართობი 1,3 დესეტინას შეადგენდა, ხოლო მოსავალი 400 ფუთს[13].

აღსანიშნავია, რომ მოსავლიანობის ასეთი დაცემა არ შეხებია თამბაქოს წარმოებას, რაც ომის დროს მის ნაწარმზე მოთხოვნილების გაზრდით იყო გამოწვეული. 1914 წ. ბათუმში არსებულ თამბაქოს ორ ფაბრიკაში დაამზადეს 11,7 ათასი ფუთი, 1915 წ. - 11 ათასამდე, ხოლო 1916 წ. - 13,6 ათასამდე ფუთი სხვადასხვა სახის და ხარისხის თამბაქოს ნაწარმი[14].

ერთგვარი მატებით აღინიშნა ჩაის მოყვანა და წარმოება, თუმცა იგი ომამდელ დონეს აშკარად ჩამოუვარდებოდა (იხ. ცხრილი).[15]

	მთელ აჭარის ზღვისპირეთში		ჩაქვის საუფლისწულო მამულში		
წელი	ჩაის პლანტაციების ფართობი (დესეტინებში)	მწვანე ჩაის მოსავალი (გირვანქებში)	ჩაის პლანტაციების ფართობი (დესეტინებში)	მწვანე ჩაის მოსავალი (გირვანქებში)	ჩაის მზა პროდუქცია
1914	809,3	1 357 817	500	1 052 508	247 648
1915	823,8	1 570 808	500	1 256 619	295 675
1916	837,0	1 412 271	500	931 909	219 979
1917	837,0	956 082	500	826 666	194 511
1918	837,0	659 484	500	431 021	101 417

12 აჭარის ასსრ სტატისტიკური კრებული, 1913-1923, ბათ., 1924, გვ. 196.

13 К.К. на 1917 г., Тиф., 1916, (Отд. статис.). с. 349.

14 საქართველოს სტატისტიკური კრებული 1909-1921, თბ., 1923, გვ. 51.

15 აჭარის ასსრ სტატისტიკური კრებული, გვ. 194-195.

ამრიგად, ომის წლებში ჩაქვის საუფლისწულო მამულზე მოდიოდა აჭარის ჩაის საერთო მოსავლის 80%. მისი მთავარი მომხმარებელი იმ დროს იყო არმია. ამიტომ, წარმოებულ ჩაიში, ჭარბობდა დაბალი ხარისხის და განსაკუთრებით ე.წ. „ნამცეცა", ანუ „სოლდატსკი ჩაი".

ომის დროს ჩაიზე გაზრდილ მოთხოვნილებას პასუხობდნენ სხვა მეურნეობებიც. მაგ., 1916 წ. კ. პოპოვის ჩაის პლანტაციებს უკვე ეკავა 105 დესეტინამდე ფართობი, რომელზეც 300 ათასამდე გირვანქა მოსავალი მოიწიეს[16].

ზემოაღნიშნულ მეურნეობებში დასაქმებული იყო მუდმივ და სეზონურ მუშათა მნიშვნელოვანი რაოდენობა. ომის დროს, ცხოვრების პირობების გაუარესების გამო, აქ კიდევ უფრო დაიძაბა სოციალური ვითარება. მუშათა შორის იყვნენ რუსეთიდან ჩამოყვანილებიც, რომელთაგან ზოგი რევოლუციონერიც გამოდგა. ისინი ჩაქვის საუფლისწულო მამულის მუშებში ეწეოდნენ ანტისამთავრობო აგიტაციას, რასაც 1916 წ. მარტში მოჰყვა გაფიცვა. ამავე პერიოდში გაიფიცნენ პოპოვის მეურნეობის მუშებიც და მოითხოვეს ხელფასის 50%-ით გაზრდა. ხელისუფლებამ ჩაახშო ეს გაფიცვები. აქტივისტები დააპატიმრა და ბათუმის ოლქიდან გაასახლა[17].

სოფლის მეურნეობის მუშათა მოძრაობა გააქტიურდა 1917 წ. გაზაფხულიდან. გაფიცვები კვლავ ეკონომიკური ხასიათისა იყო. მოითხოვდნენ ხელფასის გაზრდას, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, რვასაათიან სამუშაო დღეს და ა.შ.

თებერვლის რევოლუციის გავლენით გამოცოცხლდა გლეხთა აგრარული მოძრაობაც. მათ ჯერ ჩაქვის საუფლისწულო მამულის მიწების დატაცება დაიწყეს, შემდეგ მოითხოვეს მემამულეთა მიწების დანაწილებაც[18].

---

16 Журн. «Русские субтропики», 1917 г., № 1-2, с. 5.

17 ო. გოგოლიშვილი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში 1910-1918 წლებში, გვ. 94-96.

18 ბ. ცქვიტარია, აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები წ. II (1914-1921 წწ.) გვ.38.

აღსანიშნავია, რომ ომის დროს ჩაის გაშენებას ბევრმა ახალმა მეურნემაც მოჰკიდა ხელი. თუ ომამდელ, 1914 წელს, აჭარის ზღვისპირეთში 167 ჩაის მეურნეობა იყო, 1915 წ. მათი რაოდენობა 194 - მდე გაიზარდა და ეს ციფრი შენარჩუნებული იქნა ომის მთელ მანძილზე.

ჩაის ფართობები გაიზარდა დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებშიც, კერძოდ, გურიასა და სამეგრელოში. თუმცა მათი მოსავლიანობა აჭარასთან შედარებით დაბალი იყო და წლიურად საშუალოდ 3500-მდე გირვანქა მზა ჩაის აწარმოებდნენ. პლანტაციების ზრდის მასშტაბები აქაც თვალსაჩინო იყო. 1914 წ. მონაცემებით ჩაის პლანტაციებს დასავლეთ საქართველოში (აჭარის ჩათვლით) 840 დესეტინა ეკავა, 1916 წელს კი მან 960 დესეტინას მიაღწია[19].

დასავლეთ საქართველოში ჩაის გაშენების დიდი პროპაგანდისტი იყო „ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოება" და მისი ჟურნალი „რუსკიე სუბტროპიკი". მისი შეფასებით დასავლეთ საქართველოს შეეძლო დაეკმაყოფილებინა რუსეთის იმპერიის მოთხოვნილება ჩაიზე და მისი იმპორტიორი ქვეყნიდან ექსპორტიორადაც კი გადაქცეულიყო. ჟურნალი აყენებდა აგრეთვე საკითხს ფალსიფიკაციისაგან დაეცვათ ქართული ჩაის ღირსება. მისი ავტორიტეტის ზრდას ხელს უშლიდა მოცვის ჩაი, რომელიც ქუთაისის გუბერნიიდან ყოველწლიურად საშუალოდ 30 ათასი ფუთის ოდენობით იგზავნებოდა ოდესაში, კიევსა და მოსკოვში, სადაც ხშირ შემთხვევაში იყიდებოდა დაფასოებული სახით, როგორც „კავკასიური ჩაი". ის ნამდვილი ჩაის არომატისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა. ამიტომ, რუსეთის მომხმარებელი სიფრთხილით ეკიდებოდა ნამდვილი ქართული ჩაის შეძენასაც, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდებოდა ჩინურს[20].

ჟურნალი აყენებდა წინადადებას გაეფართოებინათ ჩაის წარმოება, ჩინეთიდან და ცეილონიდან ჩამოეყვანათ ინსტრუქ-

---

19 Журн. «Русские субтропики»: 1917г., № 1-2. с. .23.33, 40.

20 იქვე, 36-39; Тимофеев С.Н., Культура чайного куста и производство чая в западном Закавказье, СПб., 1916 г.

ტორები, ვიდრე ადგილზე არ გამოიზრდებოდა სათანადო კადრები.

ამ მიმართებით პრაქტიკული საქმიანობა „ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ“ დაიწყო 1916 წ. გაზაფხულიდან, როცა სალიბაურში შეუდგა ჩაის ფაქტორიის მოწყობას. შემოდგომაზე მოელაპარაკა ინგლისური მანქანათმშენებელი ფირმის - „დევიდსონი და კომპანიის“ წარმომადგენელს ფაქტორიის ჩაის ფაბრიკის პროექტის შემუშავების საკითხზე. მას კრეფის ერთ სეზონზე (6 თვეში) უნდა გამოეშვა 60 ათასამდე გირვანქა ჩაის მზა პროდუქცია. დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები: ქალაქიდან გაიყვანეს სამანქანე გზა, მოაწყვეს წყალსაწრეტი თხრილები, გაამაგრეს მდინარის სანაპიროები, შემოღობეს ფაბრიკის ტერიტორია და ააგეს დამხმარე ნაგებობაც[21]. მაგრამ 1917 წ. არეულობების გამო ჩაის ფაბრიკა ვეღარ მოეწყო.

ომის პერიოდში გაიზარდა ინტერესი ციტრუსებისადმი, სხვა კულტურებისადმი. მხოლოდ 1916 წ. „ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ სოფ. ახალშენის სანერგემ ბათუმის ოლქის და ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობაზე გასცა 72 ათასამდე მანდარინის, 800-მდე ფორთოხლის და ლიმონის, 500-ზე მეტი დრაცენის, 100-ზე მეტი მუშმულის და სხვა ნერგები[22].

1916 წ. დასაწყისში „საზოგადოებამ“ ქართულ და რუსულ ენებზე დასტამბა და მეურნეებს დაურიგა სპეციალური ფურცლები მეთოდური რჩევა-დარიგებებით, ციტრუსების დარგვისა და მოვლა-პატრონობის თაობაზე[23].

ოსმალთა მიერ ართვინის მხარის ოკუპაციის პერიოდში ძლიერ დაზარალდა სოფ. ლომაშენის ზეთისხილის სანერგე მეურნეობა. ოსმალებმა წამებით მოკლეს მისი გამგე ს.ანდრონაკი და გაძარცვეს წარმოება. 1915 წ. სანერგე გადაეცა „ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებას“ და უშუალოდ ბოტანიკურ ბაღს დაექვემდებარა. ბათუმის საოლქო აგრონომიულმა სამსახურმა გ. გამხარ-

---

21 Журн. «Русские субтропики», 1917г., № 5-6, с. 72.

22 იქვე. გვ. 74.

23 იქვე. გვ. 83.

აშვილის თაოსნობით მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია ზეთისხილის ნარგავების გადასარჩენად. 1917 წ. ზაფხულისათვის სანერგე ფაქტობრივად აღდგენილი იყო. იქვე მუშაობდა კურსები ზეთისხილის მეურნეთათვის[24]. ბოტანიკური ბაღის ხელმძღვანელობამ დააყენა ზეთსახდელი ქარხნის აღდგენის საკითხიც[25], მაგრამ 1917 წ. დამლევიდან ამ მხარეში შექმნილი რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გამო ვერც ეს გეგმა განხორციელდა.

* * *

ყოველგვარ ომიანობას თან სდევს მკვიდრი საცხოვრისიდან ადამიანთა იძულებითი აყრა და მასობრივი გადასახლება. ოსმალებს გამოქცეული სომეხ და ბერძენ ხიზანთა მრავალათასიანი მასა ომის დასაწყისშივე მძიმე ტვირთად დააწვა მთელ საქართველოს და განსაკუთრებით ბათუმს.

თავის მხრივ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოც დაიცალა ადგილობრივ მკვიდრთაგან. ოსმალთა შემოსევით შეშინებული მოსახლეობის ერთმა ნაწილმა საქართველოს სხვადასხვა რაიონებს შეაფარა თავი, ხოლო მეორე ნაწილი, მოწინააღმდეგემ 1915 წ. თებერვალ-მარტში უკანდახევისას წაიყვანა ოსმალეთში. განსაკუთრებით დაზარალდნენ ფრონტისპირა რაიონები: გონიოს უბანი, ლაზეთი, ართვინ-არტაანის მხარე, მაჭახლის და აჭარისწყლის ხეობების სოფლები. ამის თვითმხილველი მწერალი დავით კლდიაშვილი წერს: „საოცარ სანახაობას წარმოადგენდა ეს მხარე აჭარისწყლიდან დაწყებული. უკან დახევაზე ოსმალებს თან გაერეკათ მცხოვრებნი და სრულიად დაეცალათ აქური სოფლები. შემდეგ აქ გადაიარა რუსის ჯარმა - ყაზახ-პლასტუნებმა, განთქმულმა თავისი მხეცობით, შეუბრალებლობით და მძარცველობით. ამათ სულ ერთიანად მოფშვნეს ღვთის ანაბრად მიტოვებული სო-

---

24 იქვე. გვ. 57.

25 იქვე. გვ. 63.

ფლები... არავითარი ჭაჭანება ადამიანისა, ეგერ-აგერ ისმოდა მხოლოდ ძაღლის ყმუილი, საზარელი, გულის მომკვლელი"[26].

მოსახლეობის ნაწილი თვითონ გაერიდა საომარი მოქმედებების ასპარეზს და რუსეთის ჯარის მხრივ რეპრესიების თავიდან ასაცილებლად, ოსმალთა ჯარის უკანდახევასთან ერთად, მიატოვა სახლ-კარი. თუმცა ბევრმა, დიდთოვლობის გამო, სამშვიდობოს ვერ გააღწია და გზაშივე მოიყინა. განსაკუთრებით მძიმე იყო მდგომარეობა მაჭახლის ხეობაში (ხერთვისის სასოფლო ოკრუგი). აქედან 7 ათასამდე სული გადაიხვეწა. მათი სახლ-კარი განადგურდა ჯერ ოსმალთა შემოჭრის შედეგად, შემდეგ რუსთა ჯარების მიერ. ამ უკანასკნელმა სოფ. აჭარისაღმართის 41 კომლიდან გადაწვა ორმოცდაერთივე, სოფ. ქედქედში 20 კომლიდან – 2, სოფ მაღლაკონში 10-დან - 8, სოფ. უჩხითში 50-დან - 9, სოფ. კირნათში 47-დან - 7 და ა.შ. სულ ხერთვისის თემში ომამდე ითვლებოდა 786 კომლი. მათგან გადაწვეს 196, გადაიკარგა 295 ოჯახი და 50 ცალკე პირი[27]. ზემო აჭარაში კი 15 სოფელი ააწიოკეს და 347 საცხოვრებელი სახლიდან 206 გაანადგურეს[28].

1915 წ. ნოემბრიდან ბათუმში, როტმისტრ მ.ლაჩინოვის ხელმძღვანელობით, მუშაობას შეუდგა მთავრობის მიერ შექმნილი ომისაგან დაზარალებულთა დახმარების ბათუმის საოლქო კომიტეტი. მის განკარგულებაში იყო ამ მიზნისათვის გამოყოფილი უმნიშვნელო თანხა 68,5 ათასი რუბლი. ლტოლვილთა რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ ერთ სულზე დღიურად მხოლოდ 15 კაპიკის გამოყოფა გახდა შესაძლებელი. საარქივო საქმეში არის ერთი ფანქრით ნაწერი უმისამართო ფურცელი, ჩანს ლტოლვილთა აღწერის მასალებიდან, რომელშიც ვკითხულობთ: „ბეჟანიძეები აჭარის ქედის უჩასტკიდან, სოფელი ზუნდაგა, მთელი ქონების დაკარგვის გარდა დღეს ბანკის შენობაში ვართ. არც ქვეშაგებელი და არც საბანი, სხვის ნათხოვარ ლოგინში ვწევართ". იმავე ფურცე-

---

26 დ. კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათ., 1984, გვ. 192; ბათუმის ოლქის ჟანდარმერიის უფროსის აღიარებით, კაზაკთა მხეცობამ რუსეთისათვის „არასასურველი ზეგავლენა იქონია გურიისა და, საერთოდ, ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობის განწყობილებაზეც"(აცსა, ფ.1, ან. 1, ს.708, ფურც. 47).

27 ანგარიში ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოებისა, 1915, თბ., 1916, გვ. 8.

28 ასგხფ., ფ. 4. ს. 90, ფურც. 4-5; ს. 89, ფურც. 36-38.

ლზე აღნიშნულია მაპმუდ ვარშანიძის 4-სულიანი და ქუჩუქ-აღა ვარშანიძის 10-სულიანი დაზარალებული ოჯახები, რომლებიც ითხოვდნენ დახმარებას[29].

ომით დაზარალებულთა და ლტოლვილთა აღრიცხვა დამთავრდა 1916 წ. მარტში. დასახმარებელთა სიაში თავდაპირველად შეიტანეს 27 ათასამდე კაცი, მაგრამ პოლიტიკური მოტივით („სახელმწიფო ღალატში" ბრალდება) მასში მხოლოდ 6 ათასი სული დატოვეს[30]. მათი აბსოლუტური უმრავლესობაც სომეხი და ბერძენი ლტოლვილები იყვნენ. ძირითადად მათვე მოხმარდა ქალაქების კავშირის კავკასიის კომიტეტის მიერ გამოყოფილი თანხებიც.

შექმნილ ვითარებაში ომით დაზარალებული ქართველი მაპმადიანების დახმარების ორგანიზაცია ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოებამ — (თავმჯდომარე მიხ.მაჩაბელი) იტვირთა და ამ საქმეს 1915 წ. დასაწყისიდან შეუდგა. მაგ., 1915 წ. 10 აპრილს ქ.შ.წ.-კ.გ. საზოგადოების ბაქოს განყოფილებამ ბათუმში გადმოგზავნა 2 ათასი რუბლი ომით დაზარალებულ თანამოძმეთათვის[31]. ეს თანხა ჩაბარდა ახალდაარსებულ ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების ბათუმის განყოფილებას, რომელშიც შედიოდნენ: ქალაქისთავის მოადგილე ევგენი კრინიცკი (თავ-რე), რეჯებ ნიჟარაძე, გრიგოლ ელიავა, სიმონ მდივანი, ილია მელია, ისმაილ ლორთქიფანიძე, გიორგი ანჯაფარიძე და კაპიტონ გოგოლაძე[32].

1916 წ. ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილება შეიქმნა არტაანშიც (თავ-რე ტ. კეზელი, შემდეგ - გ. სალარიძე)[33].

ბათუმის ოლქის სოფლები მოხუცების, ბავშვების და ქალების ამარა იყო დარჩენილი. 1916 წ. დასაწყისში ოსმალეთიდან დაბრუნდა ლტოლვილი მამრობითი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი და შეუდგა გაპარტახებული მეურნეობის აღდგენას, მაგრამ გარედან დახმარების მიღების გარეშე ცხოვრების ხელახლა მოწყობა მეტად რთული ჩანდა. „საშიში სურათია, - წერდა კორესპონდენტი აჭარიდან,

---

29 აცსა, ფ. 6., ან. 1,ს. 795, ფურც. 7, 18.

30 პ.ცქვიტარია, დასახ. ნაშ. გვ. 12-13.

31 აცსა, ფ. 6, ან. 1, ს. 817, ფურც. 1.

32 იქვე, ფურც. 2; ანგარიში ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების მოქმედებისა 1915, გვ. 32.

33 დ. გურეშიძე, ქველმოქმედება საქართველოში, ქუთ., 1993, გვ. 147.

- გამხდრები, თმა-წვერმოშვებულები, ტიტვლები. მათი ნახვა უფრო გულშემზარავია, ვიდრე მკვდრებით მოფენილი ბრძოლის ველისა...“[34].

ასეთი განსაცდელის ჟამს ქართველ მაჰმადიანებს უშურველი დახმარება შეიძლებოდა მიეღოთ მხოლოდ თანამოძმეთაგან. განგაშის ზარი პირველად ჩამოჰკრა უხუცესმა მამულიშვილმა გულო კაიკაციშვილმა თბილისში აკაკი წერეთლის დაკრძალვაზე წარმოთქმულ სიტყვაში[35]. 1915 წ. 10 მარტს გაზეთ „სამშობლოში“ გამოქვეყნდა ჰაიდარ აბაშიძის წერილი „კვლავ მოწოდება, კვლავ საყვედური“, რომელმაც გამოაფხიზლა მთელი საქართველო. ამის დასტურია ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული საპასუხო თანაგრძნობის წერილები[36]. განსაკუთრებით მგრძნობიარე დარჩა პოეტი მანდილოსნის დომინიკა ერისთავის (განდეგილი) მიმართვა ქართველი ქალებისადმი: „ხმა მივცეთ გულდაკოდილ თანამოძმეებს, - წერდა პოეტი, - ვაცნოთ, რომ ქართველ ქალთა ნაზი გრძნობა არ გამქრალა. იგი ერთგვარის სიყვარულით ექცევა როგორც ქრისტიან ისე მუსლიმან ქართველს; ვაუწყოთ, რომ ჩვენ ერთის დედმამის შვილები ვართ, ერთი ცის ქვეშ დაბადებულნი და აღზრდილნი, რომ არ არის ორი საქართველო, იგი მხოლოდ ერთია ქვეყანაზე და მისი შვილების უბედურება გულს გვიკლავს, რა სარწმუნოებისაც უნდა იყვეს იგი. ქართ-ველო ქალებო! დავეხმაროთ ჩვენს მოძმეებს, გავიღოთ ჩვენი წვლილი, ვის რამდენიც შეგვიძლია და, სიკვდილს და გასაჭირს გადავარჩინოთ ჩვენი ძმები და შვილები!“.

მთელ საქართველოში შიმშილობის მიუხედავად, ქართველმა ხალხმა გულთან მიიტანა მოძმეთა გასაჭირი და ყოველმხრივ დაეხმარა სამაჰმადიანო საქართველოს მოსახლეობას. ჟურნალ-გაზეთების რედაქციების მისამართით ფინანსური შემოწირულობები იგზავნებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, ფრონტიდან და პოლიტიკურ პატიმართა გადასახლების ადგილებიდანაც. გროვდებოდა სურსათი და ტანსაცმელი[37]. ამის შესახებ მემედ აბაშიძე

34 გაზ. „თანამედროვე აზრი“, 27 ოქტომბერი, 1915, №195.

35 „აჭარა გაოხრებულია - უთქვამს გ. კაიკაციშვილს - აჭარა უყურადღებოდაა მიტოვებული... მოგვეშველეთ. ჩვენც თქვენი ძმები ვართ. მართალია საუკუნეთა ქარტეხილმა ერთმანეთს დაგვაშორა, მართალია რჯულით სხვადასხვაობა ჩამოვარდა ჩვენს შორის, მაგრამ გულით ერთნი ვართ, ერთურთისაგან განუყოფელი, როგორც მარჯვენა და მარცხენა ხელი“ (ჟურნ. „ალდე“, 1915, №8; აბ.სურგულაძე, გულო კაიკაციშვილი, თბ., 1972).

36 აბ. სურგულაძე. ცხოვრება და ღვაწლი ჰაიდარ აბაშიძისა, ბათ., 1994.

37 აბ.წულაძე. ძმური სიტყვა, ბათ., 1991, გვ. 58-73.

მოგვიანებით წერდა: „საქართველოში მოუსავლიანობის გამო მაშინ შიმშილობა იყო, მაგრამ საქართველომ თვით მიიკლო ლუკმა და ჩვენ მოგვაწვდინა სურსათ-სანოვაგე, ფეხსაცმელ-ტანსაცმელი. ყოველი ქართველი დიდი ხალისით მზად იყო დაგვხმარებოდა, რითაც კი შეეძლო. ყველა ამბობდა: ქართველ მუსლიმან ძმებს უჭირთ, არაფერი დავიშუროთ მათთვისო, და მართლაც რომ არაფერს იშურებდნენ. დიდი, პატარა, ქალი, კაცი, ყველა მზად იყო დახმარების ხელი გამოეწოდა ჩვენთვის. ქალიშვილები, სხვა რომ არ გააჩნდათ რა, ნაწნავებს იკრეჭდნენ და ყიდდნენ ჩვენდა დასახმარებლად“.

ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების გამოანგარიშებით სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობის გამოსაკვებად 1915-1916 წლების ზამთარში, ახალი მოსავლის აღებამდე, საჭირო იყო 180 ათასი რუბლი. 1915 წ. ივნისამდე შეგროვდა 11 ათასი. ამ თანხით საქველმოქმედო საზოგადოების ბათუმის განყოფილებამ შეისყიდა სიმინდი, საპონი, ნავთი, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. მათ გასანაწილებლად საუბნო ადმინისტრაციის ცენტრებში - ხულოში, ქედაში, ართვინში და სხვ. შეიქმნა სასურსათო კომისიები. იქვე მოეწყო კვების, სამედიცინო და სანიტარიული დახმარების პუნქტები[38].

1916 წ. საქველმოქმედო საზოგადოებამ მოსახლეობას დაურიგა 15 ათასი ფუთი სიმინდი და 7 ათასი რუბლი. ლაზეთში მარტო ჰ. აბაშიძემ უხელმძღვანელა 700 ფუთი სიმინდის ჩატანას და დარიგებას. მართალია ეს დახმარება არ იყო საკმარისი. მას უფრო მორალური და ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა. ამის შესახებ ქართული პრესის ძველი კორესპონდენტი სოფ. ქედიდან აბდულ მიქელაძე გაზ. „თანამედროვე აზრს“ სწერდა: ვიცით, რომ ამ შემწეობით ჩვენი დახოცილი მკვდრები არ გაცოცხლდებიან, გადამწვარი სახლ-კარი არ აშენდება, ნალიები არ აივსება, მაგრამ თანამოძმეთა მიერ გაღებული თითოეული კაპიკი ჩვენთვის მილიონია, თანაგრძნობის სიტყვა კი მალამოაო[39]. ამასთან ეს დახმარება „არსებითად იყო დიდი სახალხო მოძრაობა, რომელმაც მაშინ სული მოათქმევინა ხალხს“[40].

---

38 Газ. “Закавказская речь”, 17 мая 1915 г., № 114.

39 აბ. წულაძე, ძმური სიტყვა, გვ. 110.

40 აბ. ხურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 34.

§ 2. საქალაქო ცხოვრება

ომის გამო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში საგრძნობლად დაქვეითდა საქალაქო ცხოვრება. მოსახლეობისაგან დაცარიელდა ქალაქები: ართვინი, არტანუჯი, არტაანი, ოლთისი, აგრეთვე, საავაჭრო-სამრეწველო დაბები. მათში საქალაქო ცხოვრება და მეურნეობა ომამდეც სუსტად იყო განვითარებული. საბრძოლო მოქმედებების და ოსმალთა დროებითი ოკუპაციის შედეგად კი იმდენად დაზარალდნენ, რომ დიდხანს ვერ აღიდგინეს პირვანდელი სახე. ისინი ძირითადად გადაიქცნენ ჯარის განთავსების და საინტენდანტო მომსახურების მცირე პუნქტებად, საიდანაც ხდებოდა სამხედრო საჭურველის და სხვა ტვირთის გადანაწილება ფრონტის ახლო უბნებზე. ამიტომ, მათ შესახებ მეტად ძუნწი ცნობები გვაქვს.

ომი მძიმე ტვირთად დააწვა ბათუმსაც. დაიხურა ნავთობის ექსპორტთან დაკავშირებული საწარმოების უმრავლესობა[1]. კავკასიის ფრონტის გახსნის შემდეგ კი ბათუმი გადაიქცა მნიშვნელოვან სამხედრო-საზღვაო პუნქტად. აქ დაფუძნდა რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ესკადრა. ბათუმი გახდა კავკასიის ფრონტის ტრაპიზონის მიმართულების მასაზრდოებელი კვანძი. ქალაქში განთავსდა დიდი სამხედრო საწყობები და ჰოსპიტლები.

მსოფლიო ომში მოუმზადებლად ჩაბმული რუსეთის სამხედრო მრეწველობა სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებდა არმიის მოთხოვნილებებს იარაღსა და საჭურველზე. ამიტომ მეფის მთავრობამ გადაწყვიტა სამხედრო დაკვეთები მიეცა კერძო მეწარმეებისთვისაც. შექმნილ ვითარებაში ფრონტისპირა ბათუმი, თავისი ტექნიკურად კარგად აღჭურვილი ფაბრიკა-ქარხნებით, გახდა სამხედრო წარმოების ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი პუნქტი. მისთვის მიცემული სამხედრო დაკვეთების ღირებულებამ 1916 წ. ზაფხულისათვის გადააჭარბა 6,9 მლნ. რუბლს, რაც მთელ ამიერკავკასიაში ყველა სამხედრო დაკვეთის 29,6%-ს შეადგენდა[2].

---

1 ბათუმიდან ზღვით ნაეთის გატანა განახლდა 1917 წ. დასაწყისში და ისიც მხოლოდ რუსეთში.

2 Церцвадзе И.В., Революционное движение в Грузии в 1914-1917 годах. ч. 1, с. 144.

ბათუმში ყველაზე მსხვილი სამხედრო საწარმო გახსნა პეტროგრადელმა საქმოსანმა გ.პიტოევმა. მან ცენტრალური სამხედრო-სამრეწველო კომიტეტისგან მიიღო ხელყუმბარების დიდი პარტიის (3 მლნ.ერთეული) დამზადების დაკვეთა. 1915 წ. დამლევს იჯარით აიღო „ბნიტოს" (ყოფ. როტშილდის), არვანიტიდის და ხაჩატურიანცის ქარხნები. აღჭურვა ისინი ხელყუმბარების დამზადებისათვის საჭირო ტექნიკით და 1916 წ. 1 თებერვალს აამუშავა კიდეც. პიტოევის სამხედრო ქარხანაში 4-5 ათასამდე მუშა იყო დასაქმებული[3]. წლის ბოლოსათვის აქ დამზადდა 1 მლნ. ცალი ხელყუმბარა. მათ შორის საკმაოდ იყო წუნდებული ნაწარმიც. ამასობაში შიდა რუსეთშიც ამუშავდა ხელყუმბარების ბევრად უფრო სრულყოფილი ქარხანა, ამიტომ, 1917 წლისათვის პიტოევს შეუკვეთეს ნაღმის გამსროლი დანადგარების დამზადება. მეწარმე შეუდგა მათ გამოშვებასაც, მაგრამ მომარაგებაში შექმნილი სირთულეების გამო, ახალი სახეობის სამხედრო საჭურველი ვერ აითვისა. იმავე 1917 წ. გაზაფხულზე საწარმო დაიხურა.

ომის დროს ბათუმში მოქმედებდა და სამხედრო უწყების დაკვეთებს ასრულებდა აგრეთვე: „შელენგოვსკის და კომპანიის" სააქციო საზოგადოების მოსათუთიებელი ქარხანა; ვ.კაპლანის მექანიკური ქარხანა, რომელმაც 1916 წ. შემოდგომამდე 2 ათასი ცალი ნაღმი გამოუშვა; ბათუმის სახარატო სასწავლებელი, სადაც 2700-მდე ნაღმი დამზადდა[4]. ბათუმში მუშაობდა ფანერის ფაბრიკაც, სადაც მზადდებოდა ყუთები (ტარა) ადგილობრივ ქარხნებში გამოშვებული საჭურველისა და სხვა სამხედრო ტვირთისათვის.

მნიშვნელოვანწილად ფრონტის საჭიროებისათვის მუშაობდა ბათუმის სასაკლაო. ამაზე მიგვითითებს სტატისტიკური მონაცემები: 1915 წ. მანძილზე აქ დაიკლა 14 ათასზე მეტი ხარი, 6567 ძროხა, 2300-ზე მეტი კამეჩი, 20 ათასზე მეტი ცხვარი და თხა, 4 ათასზე მეტი ღორი და სხვ.[5] 1916 წ. განმავლობაში კი - 7 ათასზე მეტი ხარი, 3 ათასამდე კამეჩი, 6 ათასზე მეტი ძროხა, 15 ათასამდე

---

3 ა.ეაშაკიძე, გლეხთა მოძრაობა საქართველოში... (1914-1917 წწ.), გვ.71.

4 გ. მარგიანი, საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი.., გვ. 187-188.

5 აცსა ფ. 6, ან 1, ს. 810, ფურც.2-39.

ცხვარი და თხა, 5 ათასამდე ღორი[6]. ბათუმის სასაკლაოზე ხდებოდა ტყაეის პირველადი დამუშავებაც. შემდეგ იგი მოეწოდებოდა თავდაცვაზე მომუშავე ფაბრიკებს - ჩექმების, ქურთუკების, ხელთათმანების, უნაგირების და ა.შ. დასამზადებლად.

ამრიგად, ომის შედეგად წარმოქმნილი სამეურნეო ნგრევის მიუხედავად ბათუმის მრეწველობა არ ჩამკვდარა, მან პროფილი შეიცვალა და სამხედრო წარმოების გზას დაადგა.

კავკასიის ფრონტის გახსნის შემდეგ ქ. ბათუმის გიმნაზიებში, დაწყებით სკოლებში, საზოგადოებრივ შენობებსა და მოქალაქეთა კერძო სახლებში განათავსეს მრავალი სამხედრო ნაწილი, საევაკუაციო პუნქტი, ლაზარეთი და ა.შ. ქალაქისთავ ივ.ანდრონიკაშვილის ცნობით, 1915 წ. მარტში ბათუმში იყო 1,5-ჯერ მეტი სამხედრო პირი, ვიდრე თვით ქალაქის მოსახლეობა[7].

სამხედროები და მათი ცხენები იწვევდნენ ქუჩების და ეზოების სერიოზულ დანაგვიანებას, რაც ქმნიდა ინფექციური დაავადებების აფეთქების საშიშროებას. ამიტომ, ქალაქის თვითმმართველობამ სადეზინფექციო სამსახური 36 კაცამდე გაზარდა. ისინი ადრე დილიდან - დაღამებამდე ახდენდნენ ჯარის განლაგების ადგილების უწყვეტ დეზინფექციას.

1915 წ. აპრილის დასაწყისში, ბათუმის თვითმმართველობის დაჟინებული მოთხოვნით, ჯარების უმრავლესობა ქალაქიდან გაიყვანეს და ბათუმის შემოგარენში კარვებში განალაგეს. ამის შემდეგ ქალაქის სანიტარიულ სამსახურს ერთ თვეზე მეტი დასჭირდა სამხედროთაგან გამოთავისუფლებული შენობების, ეზოების და თავლების საფუძვლიანად დასუფთავებისათვის[8].

---

6 იქვე. ს. 861. ფურც. 1-37.

7 იქვე. ს. 796. ფურც. 4-6; 1914-1915 წლებში ბათუმში თავმოყრილი სამხედროების საერთო რაოდენობის დადგენა ვერ მოხერხდა, რადგან იგი ძალიან მერყეობდა. აჭარის სახელმწიფო არქივის ქალაქის გამგეობის ფონდში (№6), შემონახულია სიები იმ სამხედრო ნაწილებისა და ობიექტებისა, რომლებიც სარგებლობდნენ ქალაქის წყალგაყვანილობის მომსახურებით და ეკისრებოდათ შესაბამისი გადასახადი. თუ 1913 წ. ბათუმში იყო 17 სამხედრო ნაწილი და ობიექტი, 1914 წ. - 28, ხოლო 1915 წ. 33 სამხედრო ობიექტი იქნა დაფიქსირებული (იქვე ს. 726, ფურც. 60-62). მათ შორისაა ყუბანელ კაზაკ-პლასტუნთა სამი ბატალიონი, გეორგიევსკის 264-ე და თურქესტანის მე-19 ფეხოსანთა პოლკები, საზღვაო ფეხოსანთა სათადარიგო ბატალიონები, საარტილერიო ნაწილები და სხვ.

8 იქვე. ს. 796. ფურც.10-25, 58.

ჯარის ნაწილები სხვა მხრივაც არღვევდნენ ბათუმის მშვიდობიანი ცხოვრების რიტმს. ველური ქცევითა და თავაშვებულობით გამოირჩეოდნენ კაზაკ-პლასტუნები, რომლებმაც მოღალატეობის ბრალდებით ააწიოკეს სამაჰმადიანო საქართველო. 1915 წ. ოქტომბერში მათ ყაზარმაში უცნობმა შურისმაძიებელმა ბომბი შეაგდო. დაიღუპა ორი და დაიჭრა ერთი კაზაკი. გამძვინვარებული კაზაკები ქუჩაში გამოცვივდნენ და მშვიდობიან მოსახლეობას დაერივნენ. დაარბიეს ქალაქის ცენტრალური-მარინეს პროსპექტი. ამავე მიზნით მიიჭრნენ ქალაქის თვითმმართველობის შენობასთან, რომელიც მათი სიტყვით იყო „ტუზემცების" მთავარი შტაბი. ვითარება იმდენად გართულდა, რომ თვით ოლქის გენერალ-გუბერნატორი გამოვიდა ქუჩაში კაზაკების დასამშვიდებლად. დარბევის დროს დაიღუპა 5 მშვიდობიანი მოქალაქე, ხოლო რამდენიმე დასახიჩრდა. ამის გამო, მეორე დღეს, ქალაქის აზიზიეს მოედანზე გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, სადაც სულეიმან ნაკაიძემ, ეუბ დიასამიძემ, ხასან ტაკიძემ, სოციალისტ-ფედერალისტმა დავით ლაღიძემ და სხვ. გამოთქვეს აღშფოთება და პროტესტი კაზაკების მიერ ქალაქში დატრიალებულ უბედურებაზე[9].

1915 წ. დამლევს ხელისუფლების ორგანოებმა ბათუმში მრავლად აღმოაჩინეს ფრონტიდან გამოქცეული დეზერტირები. ისინი დღისით იმალებოდნენ, ღამით კი მრავალგვარ დანაშაულს ჩადიოდნენ. ამით დაშინებული ქალაქის მოსახლეობა ერიდებოდა ფორმიან ადამიანებს. დაკავებული დეზერტირების უმრავლესობას კვლავ ფრონტზე გზავნიდნენ, ნაწილს კი სამუშაოდ ამწესებდნენ ბათუმის სამხედრო ქარხნებში ან პორტში, იქედან დათხოვნილი ქართველი მუშების სანაცვლოდ. ასეთი მოქმედებაც ცარიზმის კოლონიური პოლიტიკიდან გამომდინარეობდა.

ხელისუფლება ცდილობდა მოსახლეობიდან იარაღის ამოღებას. ამ მიზნით, 1916 წ. მეორე ნახევარში ეგზეკუციები მოეწყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რიგ სოფლებში, რასაც ხალხის ხელახალი დარბევა მოჰყვა. თუმცა ეს საქმეს ვერ შველოდა, რადგ-

---

9 ო.გოგოლიშვილი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში 1910-1918 წლებში, გვ. 86-88.

ან ბათუმის საწყობებიდან იარაღს ჰყიდდნენ თვით რუსი სამხედროები. რამდენიმე მათგანი ტრიბუნალს გადასცეს და დახვრიტეს კიდეც, მაგრამ იარაღით ვაჭრობა საბოლოოდ მაინც ვერ აღმოფხვრეს. იარაღის ძირითადი ნაწილი ხვდებოდა ყაჩაღების და სხვა დამნაშავე ელემენტების ხელში, რომლებიც იმ დროს საგრძნობლად მომრავლდნენ[10].

1917 წ. თებერვლის შემდეგ ბათუმში იმატა კრიმინალების, მათ შორის თავაშვებულ მატროსთა და ჯარისკაცთა მხრივ დანაშაულებმა, რასაც ხაზგასმით აღნიშნავდა ქალაქის მილიციის უფროსი კაპიტანი ძამოევი. ბათუმის აღმასკომის გადაწყვეტილებით 1 მაისიდან ქალაქის მილიციის შემადგენლობა 22 კაცით გაიზარდა. 1917 წ. შუახანებიდან კრიმინალური ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა. აგვისტოს დამლევს ქალაქის მილიციის უფროსმა მოითხოვა რიგით მილიციელთა რიცხვის 120-დან 150-მდე გაზრდა. დააყენა აგრეთვე წინადადება ცალკე შექმნილიყო ბათუმის სისხლის სამართლის მილიცია 14 საშტატო ერთეულით[11].

* * *

ფრონტისპირა ქალაქად გადაქცევამ მნიშვნელოვნად შეაფერხა ბათუმის თვითმმართველობის ორგანიზაციული საქმიანობა. საზღვაო ექსპორტ-იმპორტის შეწყვეტის და საწარმოების დახურვის გამო ბათუმის შემოსავალი მნიშვნელოვნად დაეცა. ქალაქის ბიუჯეტის დეფიციტმა 1915 წ. შეადგინა 100 ათასამდე რუბლი[12].

1915 წ. მარტში ქალაქის თვითმმართველობამ მთავრობისგან მიიღო თანხმობა 300 ათასი რუბლის ოდენობის მოკლევადიან სესხზე. აქედან, პირველ წელს გამოეყო მხოლოდ 100 ათასი, თვეში 15 ათასი რუბლის გახარჯვის უფლებით[13]. მაგრამ ეს მინ-

10 იქვე. გვ.90-100.

11 აცსა, ფ. 6, ს. 901, ფურც. 2-13.

12 იქვე, ს. 828, ფურც. 7.

13 იქვე, ს. 643, ფურც. 210.

იმალურადაც ვერ პასუხობდა ბათუმის საჭიროებებს. ამის გამო, ომის წლებში, თითქმის შეჩერდა სამუშაოები ქალაქის კეთილმოწყობისათვის.

1916 წ. ბიუჯეტი უფრო პრაქტიკულად დაიგეგმა. შემოსავალი განისაზღვრა 679 ათასი რუბლით. რეალურად კი შემოვიდა 628 ათასი. თუმცა ყველა კაპიკის დაზოგვით და მომჭირნეობითი ხარჯვით დეფიციტი თავიდან იქნა აცილებული და გასავალმაც მხოლოდ 625 ათასი რუბლი შეადგინა: სახალხო განათლებაზე დაიხარჯა - 77,6 ათასი, სამედიცინო, ვეტერინარულ და სანიტარულ ნაწილზე - 57 ათასი, პოლიციის შენახვაზე - 37,5 ათასი, სახანძრო რაზმზე - 18,7 ათასი რუბლი[14].

შემოსავლის ძირითადი წყაროები იყო: წყალგაყვანილობა (79 ათასი), ელექტროსადგური (65 ათასამდე) და სასაკლაო (29 ათასამდე რუბლი). ამ თანხების უმთავრესი ნაწილი გაიღო სამხედრო უწყებამ შესაბამისი მომსახურების საფასურად. გარდა ამისა, საშემოსავლო გადასახადებით ბათუმის ბიუჯეტი შეივსო 103 ათასამდე რუბლით, მრეწველობის და რეწვის შემოსავალმა შეადგინა 12 ათასი რუბლი, ქალაქის მიწების და შენობების იჯარით შემოვიდა 25 ათასამდე რუბლი და ა.შ.

130 ათასი რუბლით დეფიციტური გახდა 1917 წ. ბიუჯეტი. ამის მიზეზი იყო წყალგაყვანილობის, ქალაქის სასაკლაოს და ელსადგურის შემოსავლების სამჯერ და მეტად შემცირება, ფასების მკვეთრად აწევა და ინფლაცია, აგრეთვე, ბათუმში წარმოების და საქონელბრუნვის შემდგომი დაცემა და მსხვილ გადამხდელთა უკიდურესად შემცირება[15]. ფინანსური კრიზისის მოსალოდნელობა პირველივე თვეებში გამოჩნდა. ამიტომ, ქალაქის თვითმმართველობამ ხარჯვითი ნაწილი მნიშვნელოვნად შეამცირა: ქალაქის კეთილმოწყობაზე 60 ათასი რუბლით, სახალხო განათლებაზე - 33 ათასით, სახანძრო რაზმზე - 2 ათასით და ა.შ., თუმცა მძიმე სანი-

---

14 იქვე, ს. 861, ფურც. 1-37; ს. 877, ფურც. 1-31.

15 იქვე, ს. 929, ფურც. 1-2; 1917 წ. ბათუმში აღირიცხა გადასახადის მხოლოდ 194 გადამხდელი იურიდიული და ფიზიკური პირი. მათგან ყველაზე მსხვილმა გადამხდელმა ხუთმა ფირმამ ერთად ამ წელს ქალაქის სალაროში შეიტანა 11 ათასამდე რუბლი, დანარჩენები კი შედარებით წვრილი გადამხდელები იყვნენ (იქვე, ფურც. 77-79).

ტარიული პირობების გამო, თვითმმართველობა იძულებული იყო ამ მიზნით გაეღო განსაზღვრულზე (110 ათასი რუბ.) 6 ათასით მეტი, რამაც ქალაქის საერთო შემოსავლის 12,1% შეადგინა[16].

ომმა მოშალა რუსეთთან სატრანსპორტო ურთიერთობები. მეტად სახიფათო გახდა საზღვაო მიმოსვლა, ხოლო სარკინიგზო ტრანსპორტი ფაქტობრივად დაექვემდებარა სამხედრო უწყებას. ამიტომ გაძნელდა ერთდროულად არმიისა და მოსახლეობის საჭიროებათა დაკმაყოფილება.

მოიშალა ადრე კარგად ორგანიზებული საშინაო ვაჭრობაც. დაეცა ფულის კურსი და ფასებმა პირველი მოთხოვნილების საგნებზე საშუალოდ 300%-ით გადააჭარბა ომამდელ დონეს. სურსათის უკმარისობა ბათუმში საგრძნობი გახდა 1915 წ. მარტ-აპრილიდან. 1 კგ. საქონლის ხორცის ფასმა მიაღწია 8 რუბლს, ღორის ქონი გახდა - 20, ხახვი, ჭარხალი და კარტოფილი - 2 რუბლი და ა.შ. დეფიციტური იყო პური, შაქარი, კარაქი, ქვანახშირი და სხვ.

მზარდი სიძვირისა და მისგან გამომდინარე მოსალოდნელი სოციალური გართულებების თავიდან ასაცილებლად კავკასიის ხელისუფლება მთელი 1915 წლის განმავლობაში თათბირებს თათბირებზე იწვევდა ამიერკავკასიის ქალაქისთავებისა და საზოგადო მოღვაწეების მონაწილეობით. მიიღეს რიგი გადაწყვეტილებები სიძვირისა და სპეკულაციის წინააღმდეგ[17]. დაწესდა ნორმირებული ფასები პირველი მოთხოვნილების საგნებზე, მაგრამ ვაჭრებმა ბოიკოტს მიმართეს და ხელოვნურად შეაჩერეს რუსეთში შესყიდული სურსათის შემოტანა. მართალია, პოლიციამ გამოავლინა სპეკულაციაში ჩაბმული კერძო პირები და ბანკებიც[18], მაგრამ ბევრ მა-

---

16 იქვე. ფურც. 3-5.

17 ამ მხრივ აღსანიშნავია კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა IV ყრილობა, რომელიც 1915 წ. მაისში ჩატარდა ქ. თბილისში (იხ. ალ.ბენდიანიშვილი, საქალაქო თვითმმართველობა და ბრძოლა მისი დემოკრატიზაციისათვის საქართველოში, გვ.300-301; შ.ვანიშვილი, ამიერკავკასია რუსეთის მმართველობის სისტემაში 1864-1917 წწ., გვ. 247-248). ყრილობაზე მოხსენებით გამოსულმა ბათუმის ქალაქისთავმა ივ. ანდრონიკაშვილმა წარადგინა სიძვირესთან ბრძოლის უაღრესად საყურადღებო რეკომენდაციები, რომლებიც თითქმის მთლიანად აისახნენ ყრილობის დადგენილებაში, თუმცა, მათი უმრავლესობა ვერ განხორციელდა (აცსა, ფ.6. ან.1, ს. 808, ფურც. 1-67).

თგანს ჰყავდა საიმედო მფარველი და, ამდენად, ხელოვნური სიძვირის საწინააღმდეგო ღონისძიებებს ეფექტური შედეგი არ ჰქონდა.

ბათუმის თვითმმართველობა ცდილობდა პირველი მოთხოვნილების საქონელი შეეძინა მათივე დამზადების ადგილებში, მაგრამ რკინიგზის ტრანსპორტის გადატვირთულობისა და საზღვაო მიმოსვლის შეწყვეტის გამო, ბათუმისათვის შეძენილი ფქვილი და შაქარი თვეობით ელაგა ქერჩის, სტავროპოლის, ეკატერინოდარის, ნოვოროსიისკის საწყობებში. 1916 წ. მაის-ივნისიდან განახლდა სურსათის ზღვით შემოტანაც, თუმცა მეტად შეზღუდულად. კერძო სანაოსნო კომპანიები, მოწინააღმდეგის სამხედრო ფლოტის შიშით ვერ ბედავდნენ რეგულარულ მიმოსვლას. სამხედრო ტრანსპორტის მიღება კი დიდ პრობლემებთან იყო დაკავშირებული, რადგან ისინი სამხედრო დანიშნულების ტვირთს ეზიდებოდნენ ტრაპიზონის მიმართულებით.

მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა 1916 წ. .მეორე ნახევრიდან[19]. ბათუმში შემოტანილი სურსათის ისედაც მწირი რაოდენობა, გარდა ქალაქისა და სამხედრო ობიექტებისა, ნაწილდებოდა ბათუმის ოლქის და ომით გათავისუფლებული ლაზეთის მოსახლეობაზეც. ხშირად ამას ემატებოდა რიზე-ხოფას შორის მოქმედი წითელი ჯვრის, საერობო და ქალაქთა კავშირების ლაზარეთები, სამედიცინო და კვების პუნქტები, აგრეთვე, ტრაპიზონის მიმართულებით საავტომობილო გზატკეცილის და რკინიგზის გაყვანაზე დასაქმებული ათასობით მუშახელი. საყოველთაო სიძვირის პირობებში ხელფასები უმნიშვნელოდ გაიზარდა, რის გამოც მოსახლეობის მხრივ უკმაყოფილების გამოვლენის ცალკეული ფაქტები უკვე სახეზე იყო[20].

---

19 1917 წ. სექტემბრის მონაცემებით, 1914 წელთან შედარებით ფასები პროდუქტებზე 900 %-ით იყო გაზრდილი (აცსა, ფ. 6, ს. 854, ფურც. 13). ამ დროისათვის ბათუმში პურის ფქვილის ორი თვის მარაგი იყო, ისიც უაღრესად ეკონომიურად ხარჯვის შემთხვევაში.

20 1915 წელს ეკონომიკური ხასიათის მცირე გაფიცვებს ადგილი ჰქონდა ბათუმის მექანიკურ ქარხანაში, ჩაქვის საუფლისწულო მამულში, კვარცხანის სპილენძსადნობ ქარხანაში. 1916 წ. იელისში ბათუმ-ხოფას გზატკეცილის მშენებლობაზე 2000-ზე მეტმა მუშამ მოითხოვა საბოლოო ანგარიშსწორება სურსათით ცუდად მომარაგების გამო და სხვ.(ა.ეაშაკიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 130-131, 145, 166).

აქვე შევნიშნავთ, რომ დებულება პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ბათუმში და საერთოდ კავკასიაში რევოლუციური გამოსვლების და მათში ბოლშევიკთა ხელმძღვანელი როლის შესახებ, რის დადასტურებასაც ცდილობდა საბჭოური ისტორიოგრაფია, ტენდენციურად გადაჭარბებულია და დოკუმენტურად არ დასტურდება. საარქივო საბუთები ხაზგასმით მიუთითებენ მუშათა და მოსახლეობის სხვა ფენების უკმაყოფილების შესახებ ეკონომიკურ ნიადაგზე.

ამგვარი ხასიათის ყველაზე მრავალრიცხოვან და თან სტიქიურ გამოსვლას ბათუმში ადგილი ჰქონდა 1916 წ. 7 აგვისტოს, რომელშიც უმთავრესად მონაწილეობდნენ ქალები. მათ დაარბიეს ნურიის ბაზარი, სარძევე დუქნები და მაღაზიები. წესრიგის აღსადგენად გამოყვანილ პოლიციას დაუშინეს ქვები და დააზიანეს რამდენიმე პოლიციელი. მართალია საქმე იარაღის გამოყენებამდე არ მისულა, მაგრამ მხოლოდ დღის ბოლოს გახდა შესაძლებელი გამოსვლის აღკვეთა. დააპატიმრეს 24 ქალი და 7 მამაკაცი. ისინი პასუხისგებაში არ მიუციათ, რადგან ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორმა, ქალაქში „ახალი უწესრიგობის" თავიდან აცილების მიზნით, ამაზე თვითონ იშუამდგომლა მეფისნაცვალთან[21].

მსგავსი სტიქიური „ბუნტები", რომლებმაც ომის დროს მთელ რუსეთს გადაუარა, ცხადია არ წარმოადგენდნენ ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულ რაიმე ენერგიულ რევოლუციურ ღონისძიებას. თუმცა, ასეთი არეულობების დროს ნადგურდებოდა ისედაც მცირე მარაგი თუ მატერიალური ფასეულობანი, ფეხს იკიდებდა მასობრივი უკმაყოფილება, რაც შემდგომში კარგად გამოიყენეს პოლიტიკურმა პარტიებმა. ეს სასურსათო ბუნტები იყო ობიექტური შედეგი იმ მზარდი სიძნელეებისა, რაც მეურნეობის სხვადასხვა დარგების ნგრევამ წარმოშვა და მოწმობდა იმპერიული ხელისუფლების კრიზისზე, მის უუნარობაზე ეპოვა მდგომარეობიდან რეალური გამოსავალი[22].

---

21 სცსსა, ფ. 13, ან. 31, ს. 1053, ფურც. 1-12.

22 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI გვ. 380.

ფრონტისპირა ბათუმიდან სამოქალაქო დაწესებულებათა და მცხოვრებთა ნაწილის ევაკუაციის მიუხედავად, ქალაქის გამგეობა ადგილზე დარჩა და განაგრძობდა მუშაობას. 1915 წ. ჩატარებული თვითმმართველობის არჩევნებით ქალაქის სათათბირო 41 ხმოსნით დაკომპლექტდა. ქალაქისთავად კვლავ ივანე ანდრონიკაშვილი აირჩიეს, მის მოადგილედ - ევგენი კრინიცკი, გამგეობის წევრად კი - რევაზ ნიჟარაძე[23]. 1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა კვლავ მოითხოვა თვითმმართველობის ახალი არჩევნების ჩატარება. სათათბიროსა და გამგეობაში ისევ გავიდნენ დემოკრატი ქართველები. ქალაქისთავი გახდა კონსტანტინე საბახტარაშვილი, მისი მოადგილე - გრიგოლ სოღორაშვილი, გამგეობის წევრი - ისმაილ ლორთქიფანიძე[24].

გამგეობის წევრებს შორის, ომის დროს, ფუნქციები შემდეგნაირად ნაწილდებოდა: ქალაქისთავი უშუალოდ ხელმძღვანელობდა ფინანსურ ნაწილს, ქალაქის კეთილმოწყობას და სურსათის მომარაგება-განაწილებას; მოადგილის განკარგულებაში იყო სახალხო განათლება, ვაჭრობა და ლომბარდი; გამგეობის წევრი კი ზედამხედველობდა ქალაქის ბაზრებს, სასაკლაოს, წყალმომარაგებას, სამედიცინო, სანიტარიულ და ვეტერინარულ სამსახურებს, სამხედრო ნაწილების ქალაქში განთავსებას და სახანძრო რაზმს[25].

ომის პერიოდში ქალაქის თვითმმართველობის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო ბრძოლა მწვავე ეპიდემიურ სნეულებათა წინააღმდეგ. მას ხელმძღვანელობდა სპეციალური საექიმო-სანიტარიული საბჭო: რ.ნიჟარაძე (თავ-რე), გ.ელიავა, ყ.შერვაშიძე, კ. მხეიძე, ს. წერეთელი, ა. ბეთანელი, პ. გიგინეიშვილი, მ.ლოლუა და მ. მარუაშვილი.

1914 წ. მეორე ნახევარში ბათუმში დაფიქსირდა მწვავე ინფექციით (ტიფი, ხოლერა, ყვავილი, დიფტერია და ა.შ.) დასნებოვნების 50 შემთხვევა[26]. როგორც წესი, მათი აფეთქების პერი-

---

23 აცსა, ფ.7 ან.1, ს.580, ფურც. 134; ს. 602, ფურც. 11.
24 იქვე ფ.6, ს.922, ფურც. 29-39.
25 იქვე, ს. 846, ფურც. 2-3.
26 აცსა, ფ.6, ან. 1, ს. 813, ფურც. 6; მთელი 1914 წ. მანძილზე აღირიცხა მწვავე ინფექციანი 339 ავადმყოფი (იქვე).

ოდი გაზაფხულზე იწყებოდა და გვიან შემოდგომამდე გრძელდებოდა. ეპიდემიურ საშიშროებას კიდევ უფრო ზრდიდა ბათუმში სამხედროების და ლტოლვილების დიდი რაოდენობით თავმოყრა. ამიტომ, 1915 წ. თებერვალში, ქალაქის საავადმყოფოს 6 შენობიდან - 2 გადაკეთდა ე. წ. „ხოლერის ბარაკებად". მათში დაიდგა 45 საწოლი, მოეწყო ააბაზანო პროფილაქტიკური მკურნალობისათვის და გამოიყო სათანადო სამედიცინო პერსონალი. შეიძინეს 2 სადეზინფექციო კამერა. მათგან ერთი დაიდგა „ხოლერის ბარაკებში", მეორე კი გამოიყო თავშესაფრებში ღამის მთეველთა წინასწარი დეზინფექციისათვის. დაიხურა ქალაქთან ახლომდებარე ნაგავსაყრელი და მას დაუყენეს დარაჯი. ახალი ნაგავსაყრელი გახსნეს ქალაქის მოშორებით, მდ. ჭოროხის სანაპიროზე[27].

სანიტარიული ზედამხედველობის თვალსაზრისით ქალაქი გაიყო ორ ექიმს შორის. გარდა ამისა, საპოლიციო უბნების მიხედვით იგი დაიყო 5 სანიტარიულ უბნად. მათ დაენიშნათ სათანადო სანიტარიული აგენტები. ისინი ყოველდღიურად მოახსენებდნენ მდგომარეობას სანიტარიულ ექიმებს. ეს უკანასკნელნი კი ქალაქის გამგეობას, სადაც ამ სფეროს ხელმძღვანელობდა რეჯებ ნიჟარაძე[28].

თვითმმართველობამ იკისრა ბათუმის გარეუბნების სანიტარიული მეურვეობაც. ამისათვის გამოიყო სპეციალური ექიმი, რომელიც ყოველდღიურად შემოივლიდა ბარცხანას, „ხოლოდნაია სლობოდას" და ჭაობის დასახლებებს[29]. სანიტარიული უსაფრთხოებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ გარეუბნების წყლით მომარაგებას. ამიტომ, მთავრობისაგან მიღებული დაფინანსებით, გარეუბნებიც ჩართეს წყალგაყვანილობის მაგისტრალში[30].

აღნიშნულ ღონისძიებათა შედეგად მწვავე ინფექციურ დაავადებათა მატებას 1915 წ. ადგილი აღარ ჰქონია, პირიქით, წინა 1914 წ. შედარებით (339 ავადმყოფი) დაიკლო კიდეც და 270-მდე ავადმყოფი დაფიქსირდა[31]. 1916 წ. აღინიშნა ინფექციურ დაავადებათა

---

27 იქვე. ს. 797. ფურც. 4-7, 15,16; ს.ს. 801,802.

28 იქვე. ს. 797. ფურც. 37-39.

29 იქვე. ფურც. 51.

30 იქვე. ს.813. ფურც. 1-5.

31 იქვე. ფურც. 6.

გაძლიერებით და აღირიცხა 341 ავადმყოფი. მათგან: 190 - ქალაქში, 41-შემოგარენში და 110 - ლტოლვილთა და ჩამოსულ მუშათა შორის[32]. 1917 წ. სხვადასხვა ინფექციით დაავადდა 359 ადამიანი[33].

ბათუმის სანიტარიული სამსახურის 1916 წლის მუშაობის ანგარიშში ხაზგასმულია, რომ ქალაქი იდგა ეპიდემიური საფრთხის წინაშე. არ იყო საკმარისი იზოლირებული საავადმყოფო პალატები, რის გამოც ინფიცირებულ სნეულთა დიდი ნაწილი სახლში რჩებოდა. სანიტარიული ნაწილი ახდენდა მათი ეზო-კარის დეზინფექციას, მაგრამ ღარიბთა კვარტლებში ამას მცირე შედეგი მოჰქონდა, რადგან ერთოთახიან საცხოვრებელში შეუძლებელი იყო ინფიცირებული ავადმყოფის იზოლაცია ოჯახის დანარჩენი წევრებისგან. განსაკუთრებით მძვინვარებდა ყვავილი და მალარია, რითაც ბევრი დაიღუპა ან დასახიჩრდა.

მწვავე ინფექციით დასნებოვნებისაგან მოსახლეობის დახსნის საიმედო საშუალება იყო აცრა, მაგრამ ქალაქის ღარიბ მოსახლეობას ამის საშუალება არ ჰქონდა. არც ქალაქის ხაზინას გააჩნდა მასობრივი აცრების ჩატარების სახსრები. მედიკამენტები ომის პერიოდში რამდენჯერმე გაძვირდა. ამის მიუხედვად, 1916 წ. ქალაქის თვითმმართველობამ მაინც მოახერხა აცრები თავისი ხარჯით ჩაეტარებინა 2 ათასზე მეტი მოზარდისათვის[34]. გაძლიერდა სანიტარიული ზედამხედველობაც. 1916 წ. შემოწმდა 2240 საცხოვრებელი ეზო და 686 საყოფაცხოვრებო ობიექტი. ამ დროისათვის ბათუმში ფუნქციონირებდა 2 ბაზარი (ნურიის და თურქული), 22 სასტუმრო, 29 რესტორანი და სასადილო, 86 ჰურ-ფუნთუშეულის საცხობი, 4 ძეხვეულის საამქრო, თამბაქოს ორი და კანფეტის ერთი ფაბრიკა, რამდენიმე კარგად გამართული მცირე ტიპოგრაფიული საწარმო, ათეულობით აბანო, სამრეცხაო და საპარიკმახერო, აგრეთვე, 99 დუქანი, რომელთაგან 11 ჰქონდა ღამის სათევიც[35]. სანიტარიულ ნორმებთან შეუსაბამობის გამო რამდენიმე მათგანი დახურეს.

---

32 იქვე, ს. 855, ფურც. 138-139.

33 იქვე, ს. 856, ფურც. 138-139.

34 იქვე, ფურც. 146.

35 ა.ვაშაკიძე, მუშათა კლასი საქართველოში (ბათუმის ოლქი) პირველი იმპერიალისტური ომის წლებში, „საისტორიო მოამბე", 1978, № 37-38, გვ. 245-247; აცსა, ფ.6, ან.1, ს.855, ფურც. 147.

1916 წ. დასაწყისში ბათუმში, სხვადასხვა სამუშაოზე გამოსაყენებლად, ჩამოიყვანეს და ბულვარის განაპირა ბარაკებში განათავსეს 60-მდე ოსმალო სამხედრო ტყვე. გაზაფხულზე მათში თავი იჩინა პარტახტიანმა ტიფმა. მათი გამოჯანსაღებისათვის ზრუნვაც ქალაქის სანიტარიულმა სამსახურმა იტვირთა[36].

ბათუმისა და საერთოდ ზღვისპირეთისათვის დამახასიათებელი მძიმე სნეულება იყო მალარია. იგი გაზაფხულზე იჩენდა ხოლმე თავს, რის შედეგად ბევრი ადამიანი კვდებოდა ან ინვალიდდებოდა. ბათუმის ანტიმალარიული სადგური (შეიქმნა 1913წ.) თითქმის უმოქმედოდ იყო, რადგან არ გააჩნდა ძვირადღირებული ქინინი - მასობრივი აცრებისათვის. გაძვირდა ქინაქინის აბებიც. ამის მიუხედავად, ქალაქის გამგეობამ 1915 წ. ზაფხულში მაინც მოახერხა 10 კგ. ქინაქინის შეძენა და ქალაქის ღარიბი მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომ ფასად (1 გრ.-6 კაპ.) მიწოდება, მაგრამ მომდევნო 1916 წ. აღინიშნა წამლების მრავალჯერადი გაძვირებით[37]. ამიტომაც გადაწყდა მალარიის წინააღმდეგ ბრძოლა ტრადიციული საშუალებებით. ექიმ ა.ბეთანელის ხელმძღვანელობით შეიქმნა სათანადო რაზმი. მას გამოეყო 150 ფუთი მაზუთი, რომლითაც დაფარეს დაჭაობებული ადგილები და ტბები ქალაქსა და შემოგარენში[38].

ქალაქის მწირი ბიუჯეტის მიუხედავად, ომის პერიოდში ამოაშრეს ზოგიერთი დაჭაობებული ადგილი. ჩატარდა სამღებრო სამუშაოები ქალაქის ლომბარდსა და ბიბლიოთეკაში. მოეწყო რამდენიმე აბანო და სამრეცხაო. ქალაქის გამგეობა ცდილობდა უზრუნველეყო წყალსადენის გამართული მუშაობა, რისთვისაც ფინანსურად ყველაზე მძიმე 1917 წელსაც კი ბათუმის წყალმომარაგების მეურნეობაში მუდმივ შტატზე ინარჩუნებდა 20-კაციან მუშათა და ტექნიკურ პერსონალს[39].

---

36 იქვე, ს. 797, ფურც. 57-58.

37 იქვე, ს. 798, ფურც. 14.

38 იქვე, ფურც. 2-11.

39 იქვე, ს. 928, ფურც. 14.

* * *

მკვეთრად დეფიციტური ბიუჯეტის პირობებშიც კი, თვითმმართველობა ზრუნვას არ აკლებდა განათლების და კულტურის სფეროს.

1914 წ. ოქტომბრის დამლეგს, ბათუმის ციხესიმაგრის კომენდანტის განკარგულებით, ქალაქის სახაზინო სასწავლებლები (ქალთა და ვაჟთა გიმნაზიები, მარინეს ქალთა სასწავლებელი და უმაღლესი დაწყებითი სკოლა) და მათი პედაგოგები სასწავლო პროცესის გასაგრძელებლად ქუთაისში იქნენ ევაკუირებული.

მეცადინეობა შეწყდა, აგრეთვე, ქალაქის ექვსივე დაწყებით სკოლაში, სადაც ძირითადად ღარიბთა შვილები სწავლობდნენ. არც ქალაქის თვითმმართველობას ჰქონდა ფინანსები მათი ოჯახებიანად ქუთაისში გადასაყვანად და იქ სწავლის გასაგრძელებლად. ამის მიუხედავად, ქალაქის გამგეობას უყურადღებოდ არ დაუტოვებია უმუშევრად და უხელფასოდ დარჩენილი დაწყებითი სკოლების მასწავლებლები. ისინი დროებით დაასაქმეს ქალაქის გამგეობის კანცელარიაში, ბუღალტერიასა და ლომბარდში[40].

1915 წ. 1 სექტემბრიდან ბათუმის ყველა ტიპის სასწავლებელში განახლდა სასწავლო პროცესი. მანამ კი ქალაქის გამგეობის მეცადინეობით მოწესრიგდა გიმნაზიების და სხვა სასწავლებლების შენობები, რომლებიც ომის პირველ თვეებში ჯარის სადგომებად იყო გამოყენებული.

თვითმმართველობა განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა ქალაქის დაწყებითი სასწავლებლებისადმი. როგორც ამ წიგნის მეორე თავის პირველ პარაგრაფში აღვნიშნავდით, 1908 წ. მაისში რუსეთის მთავრობამ მიიღო საყოველთაო დაწყებითი განათლების განხორციელების პროექტი, რომლითაც საქალაქო თვითმმართველობებს ყოველი კლას-კომპლექტისათვის (50 მოსწავლე) სახელმწიფო ხაზინიდან წლიურად უნდა მიეღო 420 რუბლი. ბათუმის სათათბირომაც დაადგინა საყოველთაო დაწყებითი სწავლების შემო-

---

40 იქვე, ს. 774, ფურც. 1-24.

ღება. 1909 წ. ბათუმში 9 დაწყებითი კლას-კომპლექტი იყო. ამის შემდეგ მოსწავლეთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდებოდა: 1910 წ. იყო უკვე - 10 კლას-კომპლექტი, 1911-1913 წწ. - 14, 1914 წ. - 19, 1915 წ. - 23, 1916 წ. - 25. ამის მიუხედავად ბათუმი სუბსიდიას ადრინდულად მხოლოდ 9 კლას-კომპლექტზე იღებდა[41].

1915-1916 სასწავლო წლის დასაწყისისათვის ბათუმის 6 დაწყებით სკოლაში სულ ირიცხებოდა 1039 მოსწავლე, უადგილობის გამო სკოლის გარეთ დარჩა 272 ბავშვი[42], რომელთა სწავლების უზრუნველსაყოფად მომდევნო 1916-1917 სასწავლო წლისათვის 5 დამატებითი კლას-კომპლექტი მაინც იყო საჭირო. მათთვის ცალკე შენობის დაქირავების ფინანსური შესაძლებლობა ქალაქს არ ჰქონდა, ამიტომ, სათათბიროს გადაწყვეტილებით, დაწყებითი სკოლები გადავიდნენ ორ ცვლაში სწავლაზე. გამოიძებნა დამატებითი თანხები ახალი ჯგუფების მასწავლებელთა ხელფასებისთვისაც. თუმცა, ყველა ბავშვის სკოლაში მიღება მაინც ვერ მოხერხდა.

1916 წ. შემოდგომაზე და 1917 წ. გაზაფხულზე ბათუმის გამგეობამ რამდენჯერმე სთხოვა მთავრობას დაწყებით სკოლებში დამატებითი კლასების გახსნისათვის საჭირო თანხის გამოყოფა, მაგრამ უშედეგოდ. ამის მიუხედავად, საქალაქო თვითმმართველობა მტკიცედ ადგა საყოველთაო დაწყებითი განათლების უზრუნველყოფის გეზს. 1917 წ. ბათუმის ბიუჯეტში, რომელიც 850 ათასამდე რუბლით განისაზღვრა, განათლებაზე გათვალისწინებული იყო 107 ათასი რუბლი, მათგან დაწყებით სკოლაზე - 78 ათასი, რაც შეადგენდა ქალაქის საერთო ბიუჯეტის 9,1%[43]. ამას გარდა, თვითმმართველობა ფინანსურად ეხმარებოდა ქალთა და ვაჟთა გიმნაზიებს, უმაღლეს დაწყებით სკოლას, თბილისის პოლიტექნიკუმს და ქალაქში არსებულ სხვა ტიპის სასწავლებლებს. იგი საგრძნობ დახმარებას უწევდა აგრეთვე ქ.შ.წ.-კ.გ. საზოგადოებას სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სკოლების ქსელის ჩამოყალიბებაში.

---

41 იქვე, ს. 603, ფურც. 270-271.

42 იქვე, ფურც. 255

43 იქვე, ფურც. 261-262, 272.

ბათუმის თვითმმართველობის სპეციალური დადგენილებით, 1917 წ. სექტემბრიდან ქალაქის გიმნაზიებსა და უმაღლეს დაწ-ყებით (6-კლასიან) სკოლაში მოსამზადებელ და პირველ კლასებში ცალკე გამოიყო ქართული ჯგუფები, რითაც ამ რუსულ სასწავ-ლებლებშიც დაიწყო ქართულ ენაზე სწავლება[44].

* * *

ბათუმი იყო მესამე ქალაქი, თბილისის და ქუთაისის შემდეგ, სადაც შეიქმნა პროფესიული ქართული თეატრი (1912 წ.). მას ეწ-ოდა „მოგზაურთა დასი" და ხელმძღვანელობდა მწერალი შალვა დადიანი[45]. მის რეპერტუარში იყო: ალ.სუმბათაშვილის „ღალატი", ვ.გუნიას „აღლუმი", ნ.ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე?", ნ.შიუკა-შვილის „მთის ზღაპარი" და სხვ[46]. ამ რეპერტუარით წარუდგა ომ-ის წლებში ბათუმის თეატრი თანაქალაქელ და ქუთაისელ მაყუ-რებელს.

ამ პერიოდის ბათუმში არსებობდა აგრეთვე რამდენიმე ქარ-თული და რუსული სცენისმოყვარეთა წრე. მათ შორის აღსანი-შნავია მსახიობ ა. ჯაყელის მიერ 1916 წ. დასაწყისში შექმნილი თეატრალური წრე, რომელმაც დადგა რამდენიმე წარმოდგენა: ა.ცაგარელის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ", ა. წერეთლის „პატარა კახი", დ. ერისთავის „სამშობლო" და სხვ.[47]

ბათუმის თეატრალურ ცხოვრებას განამტკიცებდა დრამატული საზოგადოება, რომელიც 1913 წელს დაარსდა ივ. მესხის თავ-მჯდომარეობით. მისი ინიციატივით 1914 წ. 25 სექტემბერს ბათუ-

---

44 იქვე, ს. 891, ფურც. 1-25.

45 გ.ბუხნიკაშვილი, ბათუმის თეატრი, თბ., 1979, გვ.49.

46 თ.კომახიძე, აჭარის კულტურის ისტორია, ბათ., 1999, გვ. 194.

47 გ.ბუხნიკაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 59-62., თ.კომახიძის ცნობით, ა.ჯაყელის მიერ შექმნილ სცენისმოყვარეთა წრეს მალე სათავეში ჩაუდგა „გამოცდილი რეჟისორი ე.შალ-იკაშვილი". 1916 წ. სექტემბერში მას დაუდგამს ი.გომართელის პიესა „ქოხში". 1917 წ. კი ზ.ანტონოვის „მე მინდა ენეინა გავხდე"(თ.კომახიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 195).

მში გაიმართა ამ კუთხის დიდი მოამაგის - დავით კლდიაშვილის საპატივცემულო საღამო. დასასრულ, მსახიობებმა მაყურებელს უჩვენეს სპექტაკლი, დ.კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“.

ადგილობრივი თეატრალები და საგასტროლოდ ჩამოსული დრამატული თუ საოპერო დასები, თავიდან წარმოდგენებს მართავდნენ ბათუმის საკრებულოს შენობის ვრცელ დარბაზში. 900-იან წლებში კი ქალაქს ორი დიდი თეატრალური შენობა შეემატა. 900 ადგილიანი ე.წ. „რკინის თეატრი“[48] და ცნობილ პოლიგრაფისტ ს.შმაევსკის მიერ 1916 წ. აგებული სპეციალური დიდი შენობა[49].

ბათუმის კულტურული ცხოვრების სათანადოდ აღქმა წარმოუდგენელია მისი პოლიგრაფიული წარმოებისა და საგამომცემლო საქმის წარმოჩენის გარეშე. 1879-1920 წლებში ამ პატარა ქალაქში 20-ზე მეტი სტამბა მოქმედებდა. მათგან მხოლოდ რამდენიმე გამოირჩეოდა სიდიდით, ტექნიკური აღჭურვილობით და წარმოების კულტურით. არასრული ცნობებით აქ სულ 316 დასახელების წიგნი დაიბეჭდა, მათგან 116 ქართულ ენაზე. ბათუმში გამოიცა შოთას, ილიას; აკაკის, ნ.ბარათაშვილის, მ.გურიელის და სხვათა ლექსები, დ.კლდიაშვილის, ე.ნინოშვილის, ს.გუგუნავას, შ.დადიანის და სხვ. ცალკეული ნაწარმოებები, ზ.ჭიჭინაძის და აპ.წულაძის ნაშრომები. აქვე იბეჭდებოდა ბათუმში გამომავალი ჟურნალ-გაზეთები.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდშიც კი ბათუმში ათამდე სტამბა მოქმედებდა. მათ შორის აღსანიშნავია ალ.მახარაძის, ნ.ხვინვიას, გ.თავართქილაძის, ს.შმაევსკის ტიპოგრაფიული საწარმოები, სადაც გარდა წიგნებისა, იბეჭდებოდა გაზეთები: „ბატუმსკიე ვესტი“ (1913-1916 წწ.), „ბატუმსკი დენ“ (1915-1916 წწ.), „დენ სვობოდი“(1917 წ.), „იზვესტია“ (1917 წ.), „ტალღა“(1917 წ.), „მუშის სიმართლე“ (1918 წ.), „სვობოდნაია ჟიზნ“ (1917-1918

48 თავდაპირველად ეს იყო რკინის ნაკეთობათა დიდი საწყობი, ამჟამინდელი ცირკის ადგილას, რომელიც შემდეგ გადააკეთეს თეატრად, ამიტომაც სიმბოლურად მას ეწოდა „რკინის თეატრი“.

49 თ. კომახიძის ცნობით შმაევსკის თეატრი მდებარეობდა ამჟამინდელი ი. ჭავჭავაძის სახ. თეატრის შენობის ადგილას – (დასახ. ნაშრ., გვ. 181).

წწ.), „ბატუმ“ (1918 წ.) და სხვა, აგრეთვე, ლეგალური თუ არალეგალური გამოცემები.

ბათუმში დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ წიგნით ვაჭრობასაც. ამ მხრივ გამოირჩეოდნენ ნიკო ნიკოლაძის ძმის, მიხეილ ნიკოლაძის და სპირიდონ ჭელიძის წიგნის და ბუკინისტური მაღაზიები, რომლებიც აქაური ინტელიგენციის შეხვედრა-საუბრების ერთგვარ სალონებსაც წარმოადგენდნენ[50].

ამრიგად, სამხედრო ოპერაციებისა და ომის შედეგად წარმოქმნილმა სამეურნეო ნგრევამ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სერიოზულად დააზარალა საქალაქო ცხოვრება და მრეწველობა. იგი მინავლდა ფრონტისპირა ბათუმშიც, მაგრამ არ ჩამკვდარა. ბათუმი, შეზღუდული რიტმით, კვლავ განაგრძობდა ბურჟუაზიული ქალაქისათვის დამახასიათებელ ცხოვრებას, რაც, პირველ ყოვლისა, იყო მისი თვითმმართველობის ხელმძღვანელი ბირთვის მიზანმიმართული დემოკრატიული და ეროვნული მოღვაწეობის შედეგი.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას აგრეთვე, რომ ბათუმის საქალაქო თვითმმართველობამ პირველი მსოფლიო ომის წლებშიც უაღრესად დადებითი როლი შეასრულა საქალაქო ცხოვრებისა და კომუნალური მეურნეობის დაცვა-შენარჩუნების თვალსაზრისით. ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლებისა და კულტურის სფეროებისადმი შეუნელებელი ყურადღებით აშკარად უჩვენა, მუნიციპალიტეტის უფლება-კომპეტენციების გაფართოების შემთხვევაში, მისი ამ მხრივ საქმიანობის ფართო შესაძლებლობები.

---

50 დ.კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, გვ. 72.

§ 3. „სახელმწიფო ღალატში“ ბრალდება და რეპრესიები

ომისათვის თანამდევ უკუღმართობებთან ერთად სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობა რუსეთის ხელისუფლების მიერ უსამართლოდ იქნა დარბეული „საერთო სახელმწიფო ღალატში“ ბრალდებით. ამის საფუძველს ხელისუფლება იმაში ხედავდა, რომ ომის წინა პერიოდში ოსმალეთისა და გერმანიის სპეცსამსახურებმა ამ რეგიონში ჩაატარეს ფართო სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა, რომლის მიზანსაც შეადგენდა მოსახლეობის მომზადება რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებისათვის, რაც კავკასიის ფრონტის გახსნისთანავე უნდა გაჩაღებულიყო[1]. ამ ცდებს მხოლოდ მცირე წარმატება ჰქონდა.

მართალია ცალკეული პირები, როგორც ეს საერთოდ ხდება ყოველგვარი ომიანობის ვითარებაში, სხვადასხვა მოტივით გადავიდნენ მოწინააღმდეგის მხარეს, მაგრამ მოსახლეობის ორგანიზებულ და ერთიან გამოსვლას რუსეთის ადმინისტრაციის ან ჯარების წინააღმდეგ ადგილი არ ჰქონია. პირიქით, მათ ოსმალთაგან დაიფარეს და გადამალეს არაერთი სომეხი და ბერძენი, რითაც საკუთარი თავი ჩაიგდეს საფრთხეში.

ხელისუფლებამ ქართველ მაჰმადიანთა მოღალატედ გამოცხადების ერთ-ერთ მტკიცებულებად წარმოადგინა აჭარის მოხალისეთა ქვეითი ბატალიონის (ე.წ. „აჭარული დრუჟინის“) შედგენის ჩაშლაც. მსგავსი გასამხედროებული ნაწილები, გერმანიასთან ომის დაწყების შემდეგ, მთელ კავკასიაში იქმნებოდა. ამავე მიზნით, 1914 წ. აგვისტოში, ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორმა ბ. რომანოვსკიმაც მოიარა აჭარა. მის მოწოდებას გამოეხმაურა მოსახლეობის ახალგაზრდული ნაწილი. კინტრიშის უბნიდან ბატალიონში ჩაეწერა კიდეც ორასამდე მოხალისე, რომლებიც თბილისში ჩაიყვანეს გასაწვრთნელად[2].

1 მ.ხიორიძე. გერმანია-თურქეთის სადაზვერვო-ძირგამომთხრელი საქმიანობა ბათუმის ოლქში პირველი მსოფლიო ომის წინ, „მაცნე“ (ისტორიის სერია), 1985, №4, გვ. 70-81.

2 მოხალისეთა ამ ბატალიონის ერთ-ერთი წევრის ცნობით „დრუჟინაში“ 500-მდე კაცი იყო მთელი აჭარიდან. თბილისში მათგან 5 ასეული შეიქმნა (ასგხფ, ს. 248, ფურც. 4-13).

ბატალიონი გამიზნული იყო დასავლეთის ფრონტზე გასაგზავნად. ომში ოსმალეთის ჩაბმის შემდეგ კი გავრცელდა ხმები, რომ მას გადაიყვანდნენ ოსმალეთის ფრონტზე – სარიყამიშთან. მოსახლეობაში ჩაკვდა ბატალიონში გაერთიანების სურვილი. „სალდათად“ გაწვევისაგან თავის ასაცილებლად ზოგიერთს იარაღიც აუსხამს და სოფლიდან გადახვეწილა. ეს კარგადაა ასახული სასიმღეროდ ქცეულ ხალხურ ლექსში „ფირალზე“[3]. უკვე ჩაწერილთაგანაც ბევრმა მიატოვა „დრუჟინა“. მათთვის გაუგებარი იყო, თუ რატომ უნდა გაეგზავნა მშობლიური ადგილებიდან შორს და ისიც კარსმომდგარი საფრთხის ვითარებაში. მობილიზაციის ჩაშლაში მნიშვნელოვანი იყო რელიგიური ფაქტორიც, რაც მორწმუნეს ბოჭავდა თავისივე აღმსარებლობის ოსმალებთან ბრძოლისაგან.

ბათუმის ოლქის ადმინისტრაციული უბნების უფროსებმა ბატალიონის ფორმირების ჩაშლა დააბრალეს ადგილობრივ გავლენიან პირებს და ათამდე კაცი ქობულეთიდან და ქედიდან პასუხისგებაშიც მისცეს,[4] რითაც გაამწვავეს ურთიერთობა აჭარის მოსახლეობასთან.

მაჰმადიან ქართველთა „მასობრივ ღალატში“ ბრალდების ინიციატორები იყვნენ კავკასიის სამხედრო ხელისუფალნი. ისინი, ჩანს, ამით ფიქრობდნენ უმაღლესი მთავრობის წინაშე გაემართლებინათ ფრონტზე თავდაპირველი წარუმატებლობები. ამიტომ, უკვე 1914 წ. დამლევს სპეცსამსახურებს მიეცათ განკარგულება შეეკრიბათ მასალები მოღალატე მაჰმადიანების შესახებ. პეტროგრადშიც გაიგზავნა დაუსაბუთებელ ვარაუდებზე აგებული შეტყობინებები. 1915 წ. 12 იანვარს კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწე პეტერსონი იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრს სწერდა: „მართალია, ჯერ ზუსტად გამორკვეული არ არის მოღალატეთა რაოდენობა ბათუმის და ყარსის ოლქებიდან, მაგრამ მათი რიცხვი 5 ათასზე ნაკლები არ იქნებაო“[5]. გენერალი ლიახოვი კი მეფისნაცვლის კანცელარიას „მოღალატეების“ შესახებ ახალი ცნობებით ამარაგებდა.

---

3 ბსკიფა, ს. 219, ფურც. 76-77

4 სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს. 3388, ფურც. 1-21; აცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 708, ფურც. 11-12.

5 სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს. 3966, ფურც. 7.

მის 1915 წ. 16 იანვრის ტელეგრამაში ნათქვამია: „ჯერჯერობით მარტო ქვემო აჭარის უბანში საქმე აღძრულია ათასზე მეტ მოღალატეზე. ზემო აჭარისა და გონიოს უბნების შესახებ კი ცნობები იკრიბება“[6].

„სახელმწიფო ღალატის“ ინსპირირებულ საქმეს აჭარიდან ოსმალთა განდევნისთანავე შეეწირა სამი ქართველი[7]. რომლებსაც დაბრალდათ „ჩეთეში“ გარევა. ისინი, სათანადო გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე, სოფ. ხიჭაურში ჩამოახრჩო კაზაკ-პლასტუნთა მეთაურმა გენერალმა გუბსკიმ. ეს ტრაგედია აისახა ცნობილი სახალხო მთქმელის და თვითმხილველის აქიფ ქათამაძის ლექსში „ჭვანის აჯანყებაზე“[8]. მართალია, მასში მხოლოდ ჭვანის ხეობის აწიოკებაა აღწერილი, მაგრამ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში დატრიალებულ უბედურებაზე. ოსმალთა „ჩეთემ“ ხალხი გაძარცვა, ამბობს სახალხო მთქმელი, წასვლის წინ დუქნები დააცია და ჯამ-ჭურჭელიც კი გაიტაცა. შემდეგ რუსის ჯარი მოვიდა და ხალხის აწიოკება დაიწყო. ამიტომ, თავის დასაცავად, „ხალხმა სილახი (იარაღი – მ.ს.) მოძებნა...“ ეს რომ „გასაცვეთელმა (სასიკვდილე – მ.ს.) კამანდირმა გუბსკიმ“ გაიგო გამძვინვარდა და ბრძანა „ვინაც ჩვენ თოფი გვესროლა... უნდა გავჟლიტოთ ბოლომდე, ცხვირში გავადინოთ ძმარი“ და ზემოაღნიშნული უბედურებაც დაატრიალაო.

გუბერნატორ ლიახოვის ბრძანებით 1915 წ. იანვარში სოფ. ჩანჩხალოშიც გაიგზავნა კაზაკ-პლასტუნთა ეგზეკუცია[9]. ასევე გაავერანეს აჭარისწყლის ხეობის ზოგიერთი სხვა სოფელიც. ხულოს სკოლის მასწავლებელი რაფიელ აცანელი (ჩხაიძე) შენიშნავდა: კახაბრიდან ქედამდე სოფლებში მამალიც აღარ ჰყივის. სოფლები გადამწვარია და გავერანებული, შენობები გაძარცვული[10].

---

6 იქვე. ფურც. 4.

7 მათგან ცნობილია თუფან თავდგირიძე (ს.ბარათაულიდან) და შახველედ დიასამიძე (ს.ჩანჩხალოდან).

8 ა.ახვლედიანი, ე.დავითაძე, ჩამოთქვი ჩემო ჩონგურო, გვ. 61; საომარ მოქმედებათა შედეგად სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს გაჩანაგება აისახა, აგრეთვე, ცნობილი მოღვაწის და მთქმელის ხასან თხილაიშვილის ლექსებში „ხალხი შიმშილით წყდებოდა“ და „ისტორიულად აჭარლებს“ (იქვე, გვ. 118-119).

9 აცსა, ფ. 3, ან. 1, ს. 16, ფურც.5.

10 გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915, №№ 36-39.

ლიახოვი მზად იყო სისხლით მოერწყო ჭოროხის ხეობის სოფლებიც, მაგრამ, როგორც თვითონ შენიშნავდა გენერალ მოკულსკისადმი 1915 წ. 11 იანვრის ტელეგრამაში, - ვიდრე ართვინის მხარე ოსმალებს ეპყრათ, საჭირო იყო რეპრესიებისაგან თავის შეკავება, რათა თავიდან აეცილებიათ ქართველ მაჰმადიანთა მასობრივი აჯანყება[11].

რუსეთის სარდლობის უკანონო მოქმედება შეაჩერა ბათუმის და ყარსის ოლქებიდან სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად არჩეულმა აკაკი ჩხენკელმა. ის სასწრაფოდ ჩავიდა პეტროგრადში, შეხვდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა.გორემიკინს და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მასთან. ოფიციალური პრესის ცნობით: „გორემიკინი თანაგრძნობით მოეკიდა ჩხენკელის განცხადებას და შესთავაზა შესაბამისი მოხსენება წარედგინა უმაღლესი სამხედრო ხელისუფლებისათვის“.[12]

ხალხის გადარჩენის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის მთელ ქართველ საზოგადოებას და პრესას. მათი გავლენით რუსულენოვან დემოკრატიულ პრესაშიც გაჩნდა წერილები, რომლებიც ამხელდნენ „საერთო სახელმწიფო ღალატში“ ბრალდების არაობიექტურობას. გაზეთმა „ზაკავკაზსკაია რეჩ“ მურღულის ხეობაში მომხდარის მაგალითზე ამცნო საზოგადოებას ამ კამპანიის სიყალბე. გაზეთის ცნობით, რომელიც ეყრდნობოდა თვითმხილველის ინფორიაციას, მურღულის ხეობის ოკუპაციის შემდეგ ოსმალებმა მოთხოვეს მამაკაცებს „შესულიყვნენ მათ ჯარში. მოსახლეობიდან არჩეულმა წარმომადგენლებმა ხალხის სახელით უარი განაცხადეს ამაზე, რისთვისაც დააპატიმრეს... 1915 წ. თებერვალში, უკანდახევისას, ოსმალებმა უბრძანეს მურღულის მცხოვრებთ დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ ხეობა და გადასახლებულიყვნენ თურქეთში. მცხოვრებთ არ უნდოდათ თავიანთი სახლ-კარის დატოვება, მაგრამ აიძულეს. ამავე დროს მოლები ქადაგებდნენ, რომ ვინც დარჩებოდა, ყველას გაწყვეტდნენ კაზაკები, როგორც მათ ეს გააკეთეს აჭარაში“[13]. გადასახლებას გადაურჩა მცირე

---

11 სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს. 3966, ფურც.13.

12 Газ. «Русское Слово», 10 февраля, 1915, № 32.

13 Газ. «Закавказская Речь», 28 февраля, 1915, № 48.

ნაწილი, ვინც ისარგებლა არეულობით და ტყეს შეაფარა თავიო - დასძენდა გაზეთი.

ქართული პრესა კი შენიშნავდა: „ბათუმის ოლქში უკანდახევის დროს რუსებს რამდენჯერმე მართლაც დაუშინეს უკნიდან ტყვია, მაგრამ ისინი მთავრობის მიერ ძებნილი ავაზაკები იყვნენ. ამის მიუხედავად, რუსეთის მხედრობამ ეს ხელზე დაიხვია, გადაწვა და გააპარტახა სოფლები, ნამუსს ხდიდნენ ქალებს, სარჩობელებზე ჰკიდებდნენ მათთვის საეჭვო პირებს"[14].

სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგ მასობრივი რეპრესიების დაწყებაში საეტაპო როლი შეასრულა 1915 წლის 4 მარტის „საიდუმლო დეპეშამ", რომელიც რუსეთის კონტრდაზვერვის ინფორმაციით თითქოსდა გერმანიის ემისარმა ქ. ვიწედან გაგზავნა კონსტანტინოპოლის საელჩოში. მასში ნათქვამია: „სამაჰმადიანო საქართველოს ორგანიზაცია კარგადაა მოწყობილი. იარაღი დანაწილებულია, მაჰმადიანები მთებში წავიდნენ. რუსეთის ჯარებმა უკან დაიხიეს საზღვრიდან მდ. ჩორუქისაკენ (ჭოროხისაკენ – მ.ს.) და იქ გამაგრდნენ... საქრისტიანო საქართველოც მომზადებულია ჩვენი პროკლამაციების შემწეობით...", მაგრამ ის ყოყმანობს და საკმარისია რამდენიმე ასეული გერმანელი მეზღვაურის დესანტად გადასხმა, რომ ისიც უთუოდ ფეხზე დადგება და რუსეთის მტრებს მიეკედლებაო.

ეჭვგარეშეა ზემოაღნიშნული დეზინფორმაცია, რომელიც 3-4 თვის წინათ უნდა ყოფილიყო შედგენილი, გერმანიის დაზვერვამ შეგნებულად გახადა ხელმისაწვდომი რუსეთის კონტრდაზვერვისათვის[15]. ჩაეშალათ რა სამაჰმადიანო საქართველოში ანტირუსული აჯანყების მოწყობის თავდაპირველი გეგმა, გერმანია-ოსმალეთის სარდლობამ გადაწყვიტა ხელოვნურად გამოეწვია მეფის მთავრობის რეპრესიები ამ რეგიონის მოსახლეობისადმი და ამით მათში ხელახლა შეექმნათ საჯანყებო განწყობილება.

ტელეგრამის სრული ტექსტი ყოველგვარი კომენტარის გარეშე გამოაქვეყნა პეტროგრადის დეპეშათა სააგენტომ, რის შემდეგაც ის გადაბეჭდეს როგორც რუსეთის, ასევე უცხოეთის გაზეთებმა.

---

14 გაზ. „თანამედროვე აზრი", 1915, №№ 36-39.

15 Басилая Ш.И., Закавказье в годы первой мировой войны, с. 94.

ამ ცილისმწამებლური დოკუმენტის გამოქვეყნებამ ქართველი ხალხის სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. 6 მარტს თბილისში შეიკრიბა თავადაზნაურობის დეპუტატთა, ქართულ კულტურულ დაწესებულებათა და პრესის წარმომადგენელთა საგანგებო თათბირი. აქ მიღებული საპროტესტო რეზოლუცია თათბირზე არჩეულმა დეპუტაციამ (მ.სუმბათაშვილი, გ.ყაზბეგი, ნ.ჩხეიძე, გ.ჟურული, მ.მაჩაბელი, დ.ჯორჯაძე, გ.დიასამიძე და ცინცაძე) წარუდგინა მეფისნაცვალს.[16]

ზემოაღნიშნული სიყალბის წინააღმდეგ გაილაშქრა ქართულმა პრესამ და დემოკრატიული მიმართულების რუსულმა გაზეთებმაც. მასობრივ სახელმწიფო ღალატში მაჰმადიან თანამოძმეთა დადანაშაულება აღქმული იქნა როგორც „ეროვნული შეურაცხყოფა და უდანაშაულოდ დასჯა მთელი ქართველი ერისა“[17]. პრესის კომენტარით: „მართალია თითო-ოროლა აჭარელი ოსმალებმა აიყოლიეს, მაგრამ ეს მოხდა ძალდატანებით. მერე რა გასაკვირველია, რომ მთელ მხარეში რამოდენიმე მოღალატე აღმოჩნდეს? აკი ამას წინათ პეტროგრადშიც დაატუსაღეს რამოდენიმე ყოფილი ჟანდარმი, რომელთაც ჯაშუშობა ბრალდებათ. ნუთუ ამის გამო მთელი რუსეთის ერის ერთგულებაში უნდა დავეჭვდეთ?.. ქართველი დემოკრატია დაუყონებლივ მოითხოვს ამ ყალბი დეპეშის გაბათილებას. დეე იმავე ხელმა, რომელმაც რუსეთის ერს ქართველთა ღალატის ეჭვი აღუძრა, რუსეთს აცნობოს, რომ ღალატი მხოლოდ გერმანელთა ემისრების ოცნებას შეადგენდა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება პროვოკაციული დეპეშის მიერ გამოწვეული ბოროტების რამდენიმეთ მაინც გაბათილება“[18].

წინააღმდეგობა იმდენად ძლიერი დარჩა, რომ 10 მარტს პეტროგრადის დეპეშათა სააგენტომ გააკეთა მობოდიშების ტონის შემცველი ოფიციალური განცხადება, რომელიც აღიარებდა, რომ 4 მარტის დეპეშის ავტორთა მიზანი იყო უნდობლობის და უთან-

---

16 გაზ. „თანამედროვე აზრი“, 10 მარტი, 1915, №8; გაზ. „სახალხო ფურცელი“, 8 მარტი, 1915, №229.

17 გაზ. „საქართველო“, 27 სექტემბერი, 1915, №103.

18 გაზ. „თანამედროვე აზრი“, 8 მარტი, 1915, №7.

ხმოების ატმოსფეროს შექმნა; რომ მიმდინარე ომში ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი მხურვალე პატრიოტიზმი და ერთგულება. ამიტომ, „პეტროგრადის დეპეშათა სააგენტომ აღარ ჩათვალა საჭიროდ ამ ტელეგრამის გამოქვეყნებისას რაიმე კომენტარის გაკეთებაო“[19].

მიუხედავად ამისა, 4 მარტის დეპეშა ცარიზმის შოვინისტი მოხელეებისათვის გახდა დამატებითი არგუმენტი, რომ აეგორებინათ საქმე „აჭარლების ღალატის“ შესახებ და ამ საფუძველზე მოეწყოთ სანიმუშო სასამართლო პროცესები. მოღალატეთა ახალ-ახალი სახელების „გამოვლენაში“ წამყვანი როლი შეასრულეს ართვინელი და არტანუჯელი სომხების წერილობითმა დასმენებმა ამა თუ იმ კონკრეტულ პირსა და ადამიანთა ჯგუფებზე. ეჭვგარეშეა, რომ ეს ყალბისმქმნელი ინფორმატორები ოსმალთა ჯავრის ამოყრას მაჰმადიან ქართველებზე ფიქრობდნენ. ისინი ღალატში ბრალდებულთა სასამართლო პროცესებზეც ცრუ მოწმეებად გამოდიოდნენ. ბათუმის ოლქის ჟანდარმერიის უფროსის, პოდპოლკოვნიკ გავრილოვის აღიარებით: „უსამართლობა იქნებოდა იმის არ აღნიშვნა, რომ სომხების მოქმედებაც თავის მხრივ გამომწვევია, უმთავრესად მათი სამღვდელოებისა, რომლის გავლენაც მრევლში ბატონობს“[20].

უფრო მეტიც, მოღალატედ შერაცხული ქართველი მაჰმადიანების დარბევა სომეხთა რაზმების მიერ იმდენად გახშირდა, რომ კავკასიის არმიის მთავარმა შტაბმა 1915 წ. 9 მარტს ოფიციალურად გააფრთხილა გენერალი ლიახოვი რათა აღეკვეთა „სომეხთა ბრბოებისაგან მშვიდობიანი მაჰმადიანური მოსახლეობის ძარცვა და ძალადობა“[21].

იგივე მდგომარეობა იყო მესხეთშიც. ახალციხის მაზრის უფროსის 1915 წ. 12 თებერვლის ცნობით - მაზრაში მცხოვრები სომხების პროვოკაციული დასმენის გამო, თითქოს აქაური მაჰმადიანები ინახავდნენ იარაღს, რუსეთის ჯარის ნაწილები აწიოკებდნენ მოსახლეობას. შემდეგ აღწერილია პლასტუნთა მე-15 ბატალი-

---

19 ჟურნ. „კლდე“, 1915, №10, გვ. 10.

20 აცსა, ფ. 1, ს.764, ფურც.7.

21 სცსსა, ფ. 157, ან. 1, ს. 345, ფურც. 10.

ონმა, 1915 წ. 12 იანვარს, ამგვარი დასმენის საფუძველზე თუ როგორ გაჩხრიკა, დაარბია და გაძარცვა მაზრის სოფლები ასპინძა, ოთა და მინაძე. „ჩხრეკის შედეგად იარაღი არავისთან არ აღმოჩენილაო“ – დასძენდა მაზრის უფროსი. ბოლოს ის თხოვდა თბილისის გუბერნატორს მიეღო ზომები, რომ სამხედრო ნაწილებისათვის აეკრძალათ ამგვარი საქციელი, რათა „ლოიალურად განწყობილი მუსლიმანები არ ექციათ მტრებად.“[22]

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ჩამოსახლებული და დამკვიდრებული სომხების ზემოაღნიშნულ უმსგავსობებს თავისებური ეკონომიკური და გეოპოლიტიკური საფუძველიც ჰქონდა. კერძოდ, ომის შედეგად გაჩნდა ფართო პერსპექტივები, ხელთ ეგდოთ ღალატისათვის რეპრესირებულ და მოქალაქეობაჩამორთმეულ ადგილობრივ მკვიდრთა მიწები. ამით შეიქმნებოდა აგრეთვე სომხეთიდან მესხეთ-ჯავახეთით და აჭარა-ართვინით შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვების და სანაპიროს ხელში ჩაგდების შესაძლებლობა, რაზედაც უკვე XIX ს. შუახანებიდან ოცნებობდა სომხური ბურჟუაზია. ეს პროცესი დაიწყო კიდეც. ართვინელი და არტანუჯელი სომხების მიერ ახალი დროის მუჰაჯირთა მიერ დატოვებული მიწების დატაცებამ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ ზოგიერთი სომხური გაზეთიც კი იძულებული გახდა თანამემამულეთა საქციელი საჯაროდ გაეკიცხა.[23]

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისეთ მხარეებში კი, სადაც უცხოტომელები კომპაქტურად არ მოსახლეობდნენ და მხოლოდ აღებ-მიცემობის სადავეები ეპყრათ ხელთ, იყო ცდები, რომ ოსმალთა „ჩეთეს“ მიერ მათთვის მიყენებული მატერიალური ზარალი ადგილობრივი ხალხის ზურგზე აენაზღაურებინათ. უმაღლესი მთავარსარდლობისაგან „აჭარლების საქმის“ გამოსაძიებლად გამოგზავნილ გენერალ ნიროდს 1915 წ. 17 დეკემბერს დაბა ხულოში მოსახლეობის წარმომადგენლებმა დაკითხვის დროს განუცხადეს: ოსმალთა განდევნისა და რუსეთის ხელისუფლების დაბრუნების შემდეგ „ჩვენ მტრად გაგვიჩნდნენ აქაური ბერძენი და სომეხი

22 იქვე ფ. 17, ან. 1, ს. 9529, ფურც. 1-2.

23 გაზ. „სახალხო ფურცელი“, 17 თებერვალი, 1916, №505.

ვაჭრები. იმ ზარალის ანაზღაურება, რაც მათ ჩეთემ მიაყენა, ამათ ჩვენგან მოინდომეს. დაგვიწყეს მუქარა - თუ არ გადაგვიხდით ჩვენს ზარალს, მთავრობასთან დაგაბეზღებთ და თქვენს თავს დავაჭერინებთო. ასეთმა მუქარამ ბევრი ჩვენგანი შეაშინა და ვისაც ცოტა შეძლება ჰქონდა, თავი იხსნეს განსაცდელიდან და ვინც კი ღარიბი იყო, ისინი შეიქმნენ მსხვერპლი ვაჭრების დაბეზღებისა. ეხლა ჩვენი თხოვნა ის არის, რომ ჩვენ, როგორც უდანაშაულონი ყველა იმ საქმეებში, რაც აქ მოხდა (პასუხისგებისაგან — **მ.ს.**) გაგვათავისუფლოთ და დაუბრუნოთ თავიანთ ოჯახებს ის პირები, რომლებიც დღეს სატუსაღოში იმყოფებიან".[24]

მოძმეთა დასაცავად ამჯერადაც ხმა აიმაღლა ქართველმა საზოგადოებამ. ამაში განუზომელია, ჩვენს მიერ ზემოთ მოხსენიებული, რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის აკაკი ჩხენკელის ღვაწლი. მან რამდენიმეჯერ შემოიარა ბათუმი, ქედა, ხულო, მურღული, ართვინი, არტანუჯი, შავშეთი, იმერხევი, არტაანი და ყარსი. 1916 წ. 11 თებერვალს სახელმწიფო სათათბიროში წარმოთქვა შთამბეჭდავი სიტყვა აჭარის საკითხზე. მისი განცხადებით ოსმალეთში გადახვეწილთა გარდა, ადგილზე დარჩენილი მოსახლეობაც ლტოლვილის მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან სარდლობამ აუკრძალა მათ რუსის ჯარის ზურგში დარჩენა და დახვრეტის მუქარით გარეკა ზემო აჭარისაკენ. „1915 წ. 9 იანვარს რუსმა მხედართმთავარმა პირადად მითხრა, - თქვა დეპუტატმა, - რომ მას მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვისგან ნაბრძანები ჰქონდა დაკავებული ადგილები გაეწმინდა არა მარტო თურქთაგან, არამედ მშვიდობიანი მოსახლეობისგანაც... შედეგად კი ათეულობით და ასეულობით სოფელი გაუკაცრიელდა". იქვე ა.ჩხენკელმა გაიხსენა ანალოგიური ეთნიკური წმენდის მაგალითები სამცხე-ჯავახეთში და იქ სომეხთა ჩამოსახლება. დასასრულ მან უნდობლობა გამოუცხადა მთავრობას და მოითხოვა მისი გადადგომა[25]. სომეხთა მფარველ მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვის პოლიტიკა, რომელიც კავკასიის ხალხებს შორის შუღლსა და მტრობას თესავდა, თავის სიტყვაში, სათათბიროს იმავე სხდომაზე, დაგმო დეპუტატმა კარლო ჩხეიძემაც.

---

24 გაზ. „საქართველო", 30 დეკემბერი, 1915, №179.

25 გაზ. „სახალხო გაზეთი", 1996, №65., (გ. ხაითაძის პუბლიკაცია).

ქართველ მაჰმადიანთა დაცვა-გადარჩენის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის აგრეთვე თავად არჩილ აბაშიძეს[26], რომელმაც თავისი მამხილებელი წერილებით ხელისუფლებისა და სამხედრო უწყების სხვადასხვა ინსტანციებში ბევრ შეთითხნილ ბრალდებას მოჰფინა ნათელი. იგივე ითქმის ზემო აჭარის სოფ. ფურტიოს კანცელარიის მწერალ სტეფანე ქემხაძეზე, რომლის გაბედულებამ ბევრი განწირული იხსნა სასჯელისაგან[27].

ქართველი საზოგადოებრიობის პროტესტი იმდენად ძლიერი იყო, რომ უმაღლესმა ხელისუფლებამ დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად 1915 წ. დასაწყისში პეტროგრადიდან გამოგზავნა გენერალ-ლეიტენანტი პოროშინი, იმავე წლის დეკემბერში – გენერალი ნიროდი, ხოლო შემდეგ – სენატორი გოლიცინი. მათი დასკვნები ერთსახოვანი იყო, რომ „ოლქის მუსლიმანური მოსახლეობის საერთო ღალატს ადგილი არ ჰქონია. იყო მხოლოდ ცალკეულ დამნაშავე პირთა ღალატი“[28].

ბათუმის ოლქის გუბერნატორ რომანოვსკის შეფასებითაც მოსახლეობა არასდროს არ ავლენდა ორგულობას მეფის ხელისუფლების მიმართ და ყოველთვის ასრულებდა ხელისუფლების მოთხოვნებს. „ხალხი სრულებით არ თანაუგრძნობდა ოსმალთა შემოჭრას, მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთის ჯარმა და ადმინისტრაციამ ეს მხარე მიატოვა, მას არ ჰქონდა არავითარი საშუალება წინ აღდგომოდა მტერს. ხოლო ოსმალთა შემოჭრის შემდეგ მათი მომარაგება და მეგზურობა იყო იძულებითიო“[29] – დაასკვნიდა გუბერნატორი.

თვით იმპერატორმა ნიკოლოზ II თავის 1915 წ. 2 მარტის ტელეგრამაში მეფისნაცვალ ვორონოცოვ-დაშკოვისადმი ბათუმის და ყარსის ოლქების მოსახლეობისადმი თავსდატეხილი განსაცდელი შეაფასა არა „ღალატად“, არამედ „უბედურებად“[30].

---

26 არჩილ გრიგოლის ძე აბაშიძე 1878-1891 წლებში მსახურობდა ბათუმის გუბერნატორის კანცელარიაში და კარგად იცნობდა ადგილობრივ ქართველებს, რომლებიც მისი შეფასებით „მამაცი და ამაყი ხალხია“.

27 სტ.ქემხაძე, მოგონებები, ბათ., 1958.

28 სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს. 3193, ფურც.221, 224.

29 იქვე, ს. 3561, ფურც. 12-13

30 იქვე, ს, 3193, ფურც. 224.

უზენაესი მთავრობის ასეთი პოზიციის შემდეგ ბათუმისა და ყარსის ოლქებში შეწყდა სამხედრო ეგზეკუციები და მასობრივი სადამსაჯელო ოპერაციები. სამაგიეროდ მთელი შესაძლებლობებით ამოქმედდა რუსეთის საიმპერიო თემიდის შოვინისტური მანქანა. კავკასიის არმიის შტაბის სამხედრო სასამართლო ნაწილის უფროსის მიერ 1916 წ. 10 ივლისს ა. ჩხენკელისათვის გადაცემული ოფიციალური ცნობით - ბრალდებულთა სიაში შეტანილი 3 ათასამდე კაციდან „სახელმწიფო ღალატისათვის" პასუხისგებაში მისცეს 388 კაცი. მათგან: 217 გაამართლეს - ქართული საზოგადოების დაწოლით. სასჯელი დაედო 171 კაცს. აქედან სამუდამო კატორღა მიესაჯა - 8-ს, 20 წლით - 9 კაცს, სხვადასხვა ვადით კატორღა - 103-ს, ციხეში ჩასვეს 22 და საცხოვრებელი ადგილებიდან გაასახლეს 28 კაცი. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად სიკვდილი მისჯილი ჰქონდა 60 ბრალდებულს, მაგრამ შემდეგ მათ სასჯელის უმაღლესი ზომა შეუცვალეს ციხით ან გადასახლებით[31].

ღალატისათვის რეპრესირებულ სამაჰმადიანო საქართველოს კვლავ მოედვნენ გერმანია-ოსმალეთის ემისრები, ისინი მოსახლეობას აჯანყებისაკენ მოუწოდებდნენ, მაგრამ მათი ცდები უშედეგო დარჩა. ანალოგიური მდგომარეობა იყო კავკასიის სხვა მაჰმადიანურ ოლქებშიც. ენვერ ფაშა იძულებული გახდა თავისი ჯარისკაცებისადმი მიმართვაში ეღიარებინა: „ჩვენი ერთმორწმენეები, რომელთა დახმარების იმედიც გვქონდა, ულირსნი აღმოჩნდნენ ატარონ მუსლიმანის სახელი"[32].

1915-1916 წლებში ქართველი მაჰმადიანების წინააღმდეგ სულ მოეწყო 27 სასამართლო პროცესი[33]. მათგან მნიშვნელოვანი იყო „49 არტანუჯელისა" და „9 აჭარელის" პროცესები. ამ უკანასკნელთა გასამართლება მოხდა 1915 წ. 17-19 სექტემბრს. განსასჯელთა სკამებზე ისხდნენ ზემო აჭარის მკვიდრთაგან 9 ქართველი: ღვაწლმოსილი მამულიშვილი, ხულოს მეჯლისის ყადი – 65

---

31 იქვე, ფ. 1831, აწ. 1, ს. 1, ფურც. 1-9.

32 Пипия Г.В., Германский империализм в Закавказье в 1910-1918 гг., с, 62.

33 ლ. გურეშიძე, ქველმოქმედება საქართველოში, ქუთ., 1993, გვ. 157.

წლის ნური ბერიძე, ახმედ ბეჟანიძე, ოსმან ჩაგნიძე (ალბათ ჭაღალიძე), ფერათ მეხეშიძე, დურსუნ ბოლქვაძე, იუნუს მელაძე, ხუსეინ ირემაძე, მერჯან დევიძე და მეხტი გორგაძე. მათ ბრალად ედებოდათ ოსმალეთისადმი მიმხრობა და რუსთა ჯარის წინააღმდეგ იარაღით მოქმედება. „მოწმეები – თითქმის ყველა სომხებია" - შენიშნავდა გაზეთი[34]. ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების ბათუმის განყოფილების (თავმჯდომარე ე.კრინიცკი) ინიციატივით ბრალდებულთ იცავდნენ ცნობილი იურისტები: მ.ფაღავა, ი.მაჭავარიანი, ე.გეგეჭკორი, ა.მუატი, გ.ანჯაფარიძე და გ.სახნოვსკი. ბრალდებულთაგან პირველი სამი გაამართლეს, დანარჩენ ექვსს კი ჩამოხრჩობა მიესაჯა, თუმცა ადვოკატების პროტესტის გამო სასამართლო იძულებული გახდა თვითონვე ეშუამდგომლა მეფისნაცვალთან განაჩენის შემსუბუქების თაობაზე.

1915 წ. 29 სექტემბერს ბათუმის საზოგადო საკრებულოს ვრცელ დარბაზში მიხეილის სიმაგრის სამხედრო სასამართლომ (თავმჯდომარე გენერალ-მაიორი პოტაპოვი) დაიწყო სახელმწიფო ღალატში ბრალდებული „49 არტანუჯელის" საქმის განხილვა. განსასჯელთა ასაკი 17-დან - 60 წლამდე იყო. გარდა „ჩეთნიკობისა", მათ ბრალად ედებოდათ სომხების ძარცვა, რბევა, კვლა და ქალების გაუპატიურება. თუმცა საქმიდანვე ჩანდა, რომ ბევრ მათგანს ოსმალთა დროებითი ოკუპაციის დროს მრავალი სომხის ოჯახი შეუფარებია და გადაურჩენია სიკვდილისაგან. „არც ერთმა ბრალდებულმა სახელმწიფო ღალატში თავი დამნაშავედ არ ცნო. თავის გასამართლებლად თქვეს: როდესაც ადმინისტრაცია და რუსის ჯარი არტანუჯიდან გავიდა, ჩვენ დავრჩით. ეს ადგილები ოსმალეთის ჯარმა და ჩეთნიკებმა დაიკავეს და მოგვთხოვეს ჩეთნიკებად ჩავწერილიყავით. გვეზიდა მათთვის სურსათი და გვემუშავა მათი ბრძანებით. ვინც ამას არ შეასრულებდა, ხოცავდნენ. ბევრი ტყეში და მთებში გაიჭრა; ცოლშვილი ამოგვიწყვიტეს და ვინც დარჩა უკანდახევისას თან გაიყოლეს"[35].

---

34 გაზ. „საქართველო", 25 და 26 სექტემბერი 1915, №№101, 102.

35 გაზ. „მეგობარი", 1 ოქტომბერი, 1915, №1.

ბრალდებულებს ამჯერად იცავდნენ: გ.ანჯაფარიძე, გ.სახნოვსკი, ა.საყვარელიძე, ა.მუატი, ი.ფირცხალაიშვილი, მ.ფუკსი, გ.ლალიძე. მალე თბილისიდან მათ შეუერთდნენ ნაფიცი ვექილები: ს.მესხიშვილი, ო.ბარათაშვილი, პ. გედევანიშვილი, ნ.ქარცივაძე და გ.ანდრეევი. პროცესის პროკურორი იყო პოდპოლკოვნიკი ივაშჩენკო. დარბაზი სანახევროდ დაკავებული ჰქონდათ მოწმეებს. პროკურორს გამოძახებული ჰყავდა 88 მოწმე (მათგან 70-ზე მეტი სომეხი ეროვნებისა იყო), დაცვას კი - 112[36].

სამხედრო სასამართლომ 49 ქართველი ბრალდებულიდან 16 გაამართლა, 30-ს მიესაჯა კატორღა სხვადასხვა ვადით, სამს კი სასჯელის უმაღლესი ზომა. ამ შემთხვევაშიც, ადვოკატების დაწოლით, სასამართლო იძულებული გახდა ეშუამდგომლა მთავრობასთან სასიკვდილო განაჩენის შემსუბუქების თაობაზე[37].

როგორც აღვნიშნეთ, „9 აჭარელისა“ და „49 არტანუჯელის“ სასამართლოს მიერ სიკვდილმისჯილები გადაურჩნენ სასჯელს. ამ და სხვა სასიკვდილო განაჩენის გაუქმებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კავკასიის ახალმა მეფისნაცვალმა, ხელმწიფე-იმპერატორის ბიძამ ნიკოლოზ რომანოვმა, რომელიც, მისი წინამორბედისაგან განსხვავებით, ქართველი ხალხისადმი კეთილგანწყობით გამოირჩეოდა.

1915 წ. 4 ოქტომბერს ახალ მეფისნაცვალს წარუდგნენ ქართული საზოგადოებრივი და კულტურული ორგანიზაციების წარმომადგენლები. მათ სიტყვიერ მოხსენებაში[38] ფაქტებით იყო დასაბუთებული ქართველ მაჰმადიანთა „სახელმწიფო ღალატში“ ბრალდების უსაფუძვლობა. ქართველთა დეპუტაციამ მოითხოვა საკითხის უმოკლეს დროში გარკვევა და სათანადო დადგენილებით ამ მძიმე ბრალდების გაბათილება. „ამასთან უდანაშაულო მშვიდობიან მცხოვრებთ, რომლებიც შიშის გამო გადაიხვეწნენ ან ძალის გამოყენებით გაიყოლეს თურქებმა, უნდა მიეცეთ თავიანთ გაქერანებულ

---

36 Газ. «Закавказская Речь», 3 октября 1915, № 208.

37 Газ. «Закавказская Речь», 14 октября 1915, № 217.

38 იხ. სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს. 3193, ფურც. 215-219.

კარმიდამოში დაბრუნების უფლება". და თუ იყო მოწინააღმდეგის მხარეზე გადასვლის ცალკეული ფაქტები, ეს თვით იმპერიული პოლიტიკის შედეგია, რადგან რუსეთის მთავრობა აჭარლებს თურქებად თვლიდა და ქართულ ენაზე სკოლებს არ უხსნიდა. ამ მხრივ მეტ ყურადღებას უთმობდნენ თურქულ და ადგილობრივთათვის უცხო რუსულ ენაზე სწავლებას. ეს კი საფუძველს უმაგრებდა ოსმალეთიდან ჩამოსულ სასულიერო პირებს ექადაგათ პანისლამიზმი და გაეღვივებინათ რელიგიური ფანატიზმიო.

ქართულმა საზოგადოებამ აუცილებლად ჩათვალა სამაჰმადიანო საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის სხვადასხვა წოდების წარმომადგენელთა დეპუტაციის თბილისში ჩასვლაც. ამას ორი მიზანი ჰქონდა: პირველი, ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა შორის ერთობის განმტკიცება და მეორეც, მათი წარდგენა კავკასიის უმაღლესი ხელისუფლების წინაშე „სახელმწიფო ღალატში" ბრალდების გასაქარწყლებლად.

1916 წ. 2 მარტს ბათუმიდან თბილისში მატარებლით ჩავიდა 20 კაცისაგან შემდგარი დეპუტაცია შემდეგი შემადგენლობით: **ქობულეთიდან** - 1. ღრმად განათლებული სასულიერო პირი სკენდერ ციკაძე, 2. რეჯებ ნიჟარაძე (ბეგი, სოფ. ალამბრიდან), 3. ყემბერ ხარაზი (მემამულე, სოფ. კომაროვსკიდან), 4. რეჯებ შაშიკოღლი (შაშიკაშვილი, მილიციის ოფიცერი, სოფ. ორთაბათუმიდან); **მარადიდიდან** - 5. ისაკ ხალვაში (აზნაური, სოფ. მარადიდიდან), 6. ჰაიდარ ბიბინ-ზადე (ბიბინეიშვილი, ბეგი, სოფ. ერგედან); **ზემო აჭარიდან** - 7. თემურ ხიმშიაშვილი (ბეგი, სამხედრო მოსამსახურე, სოფ. სხალთიდან), 8. ჰასან ირემაძე (დელეგაციის უხუცესი წევრი, 85 წლის, სოფ. ღორჯომიდან), 9. ჯაფარ მიქელაძე (გლეხი, სოფ. ნენიიდან); **ქვემო აჭარიდან** - 10. ჰუსეინ ბეჟანიძე (ბეგი, სოფ. ზენდიდიდან, იმჟამად სოფ. ცხმორისის მამასახლისი), 11. ზექერია შერვაშიძე (ბეგი, სოფ. ქედიდან), 12. შუქრი თურმანიძე; **შავშეთ-იმერხევიდან** - 13. ოსმან კურდიკიძე (ალბათ ქურციკიძე), 14. თორუნ ფანჯიძე, 15. ჰემზი ყუმაძე, 16. შეექეთ გოგორაძე, 17. ასლან ჯიჯარაძე, 18. ჰაჯი შაქრი ჩხეიძე, 19. მოლა მამედ დო-

ლიძე და არტანუჯიდან - 20. შერიფ გეგელიძე[39]. დეპუტაციას თბილ-სში შეუერთდა მემედ აბაშიძე, რომელიც ხელისუფლების მიერ ამ დროს ბათუმის ოლქიდან ადმინისტრაციული წესით იყო გასახლებული.

3 მარტს დეპუტაცია წარუდგა მეფისნაცვალ ნ. რომანოვს, მადლობა მოახსენა ყურადღებისათვის და სთხოვა უკან დაბრუნების ნება მიეცა საომარი მოქმედებების დროს ოსმალეთში გადახვეწილი მაჰმადიანი ქართველებისათვის; დაებრუნებინა თავიანთ სამშობლოში მთავრობის მიერ გადასახლებულნი; მათ ადგილსამყოფელში არ ჩაესახლებინათ ჩამოსული პირები და შეღავათი მიეცათ მსჯავრდებულთათვის. „მეფისნაცვალმა დეპუტატებს დიდის ყურადღებით მოუსმინა და შემწეობა აღუთქვა".

დეპუტაცია ესტუმრა თავადაზნაურთა საკრებულოს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ქართული გაზეთების რედაქციებს „და ყველას მადლობა გამოუცხადა დახმარებისათვის იმ განსაცდელის ჟამს, რომელიც კერძოდ აჭარას და საერთოდ მაჰმადიან ქართველებს დაატყდათ თავს".

დეპუტაციის თბილისში ყოფნა დაემთხვა ქართული პოლიტიკური პრესის არსებობის 50 წლის იუბილეს. ამის აღსანიშნავად და

---

39 ი. არიმათიელი, „ჩატეხილ ხიდზე", ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება", 1916, №11 გვ. 3-5. აქვე შევნიშნავთ, რომ ისტორიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრებით ზემოაღნიშნული დეპუტაცია 26 კაცისაგან შედგებოდა, რაც არ დასტურდება. თუმცა, ბათუმის ოლქის გუბერნატორის წინასწარი შეტყობინებით მეფისნაცვლისადმი ირკვევა, რომ გადაწყვეტილი იყო 26-კაციანი დეპუტაციის გამგზავრება; მათგან ბათუმის ოკრუგიდან (თანამედროვე აჭარის არ) 15-ის, ხოლო ართვინის ოკრუგიდან დანარჩენი 11კაცისა (იხ. სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს. 3193, ფურც. 238-239, 248). გარდა ზემოთ ჩამოთვლილი აჭარიდან წარგზავნილი პირველი თერთმეტი პირისა, დეპუტაციის გუბერნატორისეულ სიაში იყვნენ აგრეთვე: ზია ხარაზი (მეურნე, ქობულეთიდან), შაინ აღა ხალილ ოღლი (მილიციის იუნკერი, სოფ. ანგისადან), ჯემალ ხიმშიაშვილი (ბეგი, სოფ. ხულოდან) და შაია ბოლქვაძე (გლეხი, სოფ. ხულოდან). მაგრამ ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზის გამო ისინი თბილისში არ გამგზავრებულან. ხოლო სიისათვის მეთორმეტე წევრად დაუმატებიათ შუქრი თურმანიძე (ქვემო აჭარის უბნიდან). ასევე 3 კაცით შემცირდა ართვინის ოკრუგის წარმომადგენლობაც (შდრ. სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს. 3193, ფურც. 238-239 და ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება", 1916, № 11).

ძვირფასი სტუმრების საპატივცემულოდ 4 მარტს გაიმართა დიდი ნადიმი, რომელსაც „დაესწრნენ ქართული ჟურნალ-გაზეთების და ქართველთა თითქმის ყველა წოდების და ხელობის 200-მდე წარმომადგენელი. ნადიმს თამადობდა დამსახურებული მოღვაწე გენერალი გიორგი ყაზბეგი, რომელმაც (XIX ს. – მ. ს.) 70-იანი წლებში თითქმის პირველმა გასდო ხიდი სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს შორის. ქართველ მაჰმადიანთა მხრივ ნადიმზე გულში ჩამწვდომი სიტყვები წარმოთქვეს ხოჯა ისკანდერ ეფენდი ცივაძემ, რეჯებ-ბეგ ნიჟარაძემ და მემედ-ბეგ აბაშიძემ“. 5 მარტს ქართველ მაჰმადიანთა დეპუტაცია ბათუმს გამოემგზავრა.

ამ შეხვედრის შემდეგ კამპანია „მოღალატეთა“ შესახებ მართალია შესუსტდა, მაგრამ მაინც არ შეწყვეტილა. გაზ. „პეტერბურგსკიე ვედომოსტის“ (№81, 1916 წ.) ცნობით: „19 აპრილს აჭარელთა საქმე ხელახლა გაირჩევა ბათუმში“. ქართული პრესა გულისწყრომით გამოეხმაურა ამ ინფორმაციას[40]

რუსეთის სამხედრო უწყების საგამომძიებლო მანქანა „მოღალატეთა“ შესახებ ახალი საქმეების აღძვრას განაგრძობდა 1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგაც. მაგალითად, ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორმა 9 მარტს გასცა განკარგულება დაეწყოთ წინასწარი ძიება ართვინის ოკრუგში მცხოვრებ 4 მაჰმადიანზე, რომლებსაც ბრალდებოდათ 1914 წ. ნოემბერში მოწინააღმდეგის მხარეზე გადასვლა და „ჩეთეში“ ყოფნა. ამგვარ საქმეთა გამოძიებას ზედამხედველობდა პეტროგრადში მმართველ სენატთან შექმნილი საგანგებო საგამოძიებო კომისია[41].

„მოღალატე“ მაჰმადიანთა შესახებ კამპანია ოფიციალურად შეწყდა მხოლოდ ამიერკავკასიის კომისარიატის 1918 წ. 26 იანვრის სპეციალური დადგენილებით. ეს ინიციატივა ეკუთვნოდა ამავე მთავრობის შინაგან საქმეთა კომისარ ა.ჩხენკელს. მოხსენება ამ საკითხზე ამიერკავკასიის კომისარიატის მცირე საბჭოზე გააკეთა იურისტმა გრ. რცხილაძემ. ამიერკავკასიის დროებითი მთავრობის გადაწყვეტილებით: „1917 წ. 16 ივნისამდე ჩადენილი სახელმწიფო

---

40 გაზ. „საქართველო“, 22 აპრილი, 1916, №89.

41 სცსსა, ფ. 114, ან. 3, ს. 3, ფურც. 2, 7.

დანაშაულისათვის ბათუმის და ყარსის ოლქების მუსლიმანური მოსახლეობიდან სახელმწიფო ღალატის ბრალდებით უკვე მსჯავრდებული ან იგივე ქმედებაში ბრალდებული პირების მიმართ სამუდამოდ შეწყდეს სისხლის სამართლებრივი საქმეების აღძვრა და წარმოება"[42].

ამ დადგენილების საფუძველზე თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან დააბრუნეს „სახელმწიფო ღალატის" ბრალდებით 1915-1916 წლებში მსჯავრდებული 120-მდე კაცი ყარსისა და ბათუმის ოლქებიდან[43].

აღსანიშნავია, რომ დაპატიმრებულ-გადასახლებულ ქართველ მაჰმადიანთა გათავისუფლება გაცილებით ადრეც დაიწყო. მისი ინიციატორები იყვნენ თავდადებული მამულიშვილები, რომლებიც არ მოერიდნენ ხელისუფლების მხრივ მოსალოდნელ რისხვას. გაზეთის ცნობით: მეტეხის ციხიდან ხარკოვში გადაუსახლებიათ ბათუმის ოლქიდან ადმინისტრაციული წესით გაძევებული 57 მაჰმადიანი ქართველი. მათგან 47 ბორჩხადან, სოფ. დევსკელიდან ყოფილა. გადასახლებულები საცხოვრებლად შეუყრიათ ცირკის შენობის დერეფანში, სადაც არც საწოლები იდგა და არც სკამები. ხარკოვში მცხოვრებ ქართველობას და სტუდენტებს რაც შეეძლოთ ყველაფერი გაუკეთებიათ მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. ისინი სამსახურშიც კი მოუწყვიათ რკინიგზაზე. საქმეში ჩარეულა, აგრეთვე, დროებით ხარკოვში მცხოვრები ქართველი გენერალი ნიკოლოზ დუმბაძე. მან ბათუმის გენერალ-გუბერნატორს გამოუგზავნა იქ გადასახლებულთა სია, თან აღძრა შუამდგომლობა მათი უდანაშაულობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების შესახებ. გენერლის ჩარევამ ნაყოფი გამოიღო. მალე ბათუმიდან ხარკოვში მიიღეს მათი სამშობლოში დაბრუნების წერილობითი ნებართვა[44].

უსამართლოდ დასჯილ თანამემამულეთა დახსნას ცდილობდა ქართველი სამღვდელოებაც. მისი ინიციატივით მოხერხდა 1915 წ. თებერვალში საქართველოს რუსი ეგზარქოსის პიტირიმის ბათუმში

---

42 იქვე. ფურც. 23.

43 იქვე. ს. 5, ფურც. 1-188.

44 გაზ. „თანამედროვე აზრი", 6 სექტემბერი, 1915, №154.

ჩამოყვანა, რამაც გარკვეული როლი შეასრულა „სახელმწიფო ღალატში“ ბრალდების გაფერმკრთალებაში[45]. მათივე შუამდგომლობით მოხდა აჭარელთა დეპუტაციის შეხვედრა ბათუმში მყოფ ეგზარქოსთან. შეხვედრისას თ. ხიმშიაშვილს წარმოუთქვამს ჩინებული სიტყვა: „თქვენო მეუფებავ! თქვენ გამოგზავნილი ხართ იმ ღვთისაგან, რომლის სიაში ირიცხებიან ყველანი განურჩევლად სარწმუნოებისა; აჭარლები მაჰმადიანები ვართ, მაგრამ ჩვენი ღვიძლი ძმები არიან ქრისტიანი ქართველები, რომლებიც შეადგენენ თქვენს სამწყსოს. გთხოვთ გვიშუამდგომლოთ მთავრობასთან, რომ ლმობიერად მოეპყრას ჩვენს მხარეს და არ დასაჯოს უბრალო ხალხი“. გულაჩუყებულ ეგზარქოსს მეტად მგრძნობიარე სიტყვა უთქვამს დეპუტაციისათვის და შუამდგომლობაც აღუთქვამს[46].

ქართველი სასულიერო მოღვაწეები ამის შემდეგაც არ აკლებდნენ ცდას რომ შეემსუბუქებინათ მოძმეთა განსაცდელი. საგაზეთო ქრონიკის ცნობით, 1915 წ. მაისის დასაწყისში „ბათუმის მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღვარმა მ. ჩხიკვაძემ საქართველოს ეგზარხოსის წინაშე აღძრა ოფიციალური შუამდგომლობა სამშობლოში დაებრუნებიათ რიაზანის გუბერნიაში გადასახლებული 18 ქართველი მუსლიმანი“[47].

მსჯავრდებულთა ნაწილის გათავისუფლებაში დიდია სიო ჭანტურიშვილის ღვაწლიც. 1917 წ. მარტში ის დაინიშნა ყუბის (ბაქოს გუბერნია) აღმასკომის თავმჯდომარედ. ამ დროს ყუბის საეტაპო საპყრობილეში მოთავსებული იყო 108 მაჰმადიანი ქართველი, რომლებიც გაათავისუფლეს ს. ჭანტურიშვილის შუამდგომლობით[48].

---

45 აპ. წულაძე, ძმური სიტყვა, გვ. 46.

46 გაზ. „სახალხო ფურცელი“, 11 თებერვალი, 1915, №207; ეგზარქოს პიტირიმის მოგზაურობას ბათუმის ოლქში ჩანს იმდენად დიდი რეზონანსი ჰქონია, რომ პეტროგრადულ გაელენიან გაზეთ „რუსკოე სლოვო“-ს ამ ფაქტისათვის ერცელი პუბლიკაციაც მიუძღვნია (იხ. იქვე).

47 Газ. „Кавказское Слово“, 5 мая, 1915, №101.

48 პ.ცქვიტარია, აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები, წ. 2

§ 4. კოლონიზაციის დასრულების რუსეთისეული ცდები; ეროვნული გათვითცნობიერებისათვის ბრძოლის გააქტიურება

ქართველ მაჰმადიანთა საერთო ღალატის კამპანიის წამოწყებისთანავე ცარიზმის მოხელეებმა იზრუნეს ამ მხარეში ადრე დაწყებული რუსული კოლონიზაციის შემდგომი გაფართოებისთვისაც. მითუმეტეს, რომ ომიანობის გამო მოსახლეობის მასობრივად აყრისა და ოსმალეთში გახიზვნის შემდეგ, დაცარიელდა ვრცელი ტერიტორიები. შექმნილ ვითარებაში, მათ „სახელმწიფო ღალატში" ბრალდებამ წარმოშვა სამართლებრივად საფუძველი ლტოლვილთა უძრავ-მოძრავი ქონების ჩამორთმევისა და ხაზინის საკუთრებაში გადაცემისათვის. ცარიზმს მიეცა უაღრესად ხელსაყრელი შემთხვევა ერთხელ და სამუდამოდ სისრულეში მოეყვანა ოსმალეთთან მოსაზღვრე განაპირა ყარსისა და ბათუმის ოლქების ერთგული ელემენტებით დასახლების ძველი გეგმა, რითაც, მისი აზრით, სამხრეთული საზღვრების უშიშროების პრობლემა საბოლოოდ გადაწყდებოდა.

ჯერ კიდევ 1914 წ. 15 დეკემბერს გენერალ-გუბერნატორი ლიახოვი კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწე პეტერსონს სთხოვდა ნებართვას ოსმალთა უკანდახევის დროს მათთვის გაყოლილი ქვემო აჭარის მცხოვრებთა მიერ მიტოვებულ სოფლებში ჩაესახლებიათ ომის დასაწყისში „ჭოროხის იქეთა მხრიდან ბათუმში ლტოლვილი რუსული მოსახლეობა". ამასთან იძლეოდა წინადადებას რუსეთის ჯარების მიერ მომავალში გათავისუფლებულ და მოსახლეობისაგან დაცლილ რაიონებში ჩაესახლებიათ რუსები, სომხები და ბერძნები[1], ხოლო 29 დეკემბერს უკვე ითხოვდა 200-300 რუსულ კომლს ჭოროხის დელტაში დასასახლებლად[2].

1915 წ. 10 იანვარს მეფისნაცვლის ხელისუფლებამ გამოსცა განკარგულება სამხედრო მოქმედების ადგილებში მცხოვრები „მო-

---

1 სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს. 3193, ფურც. 72.

2 იქვე, ს. 3963, ფურც. 1.

ღალატე პირების" ქონების ჩამორთმევისა და ხაზინისათვის გადაცემის შესახებ[3].

1915 წ. 28 აპრილს რუსეთის მინისტრთა კაბინეტმა სპეციალურად განიხილა საკითხი - „ბათუმისა და ყარსის ოლქების რუსეთის ქვეშევრდომი მუსლიმანების ერთგულებისა და მათ მიმართ ზოგიერთი სადამსჯელო ღონისძიების განხორციელების შესახებ" და დაადგინა: „1. ბათუმისა და ყარსის ოლქების რუსეთის ქვეშევრდომი მუსლიმანები, რომლებიც მოღალატურად მოქმედებდნენ ჩვენი ჯარების წინააღმდეგ მტრის რაზმების ინტერესებით და მათთან ერთად წავიდნენ თურქეთში, ამორიცხულ იქნენ რუსეთის მოქალაქეობიდან, რუსეთის იმპერიის საზღვრებში შემოსვლის მუდმივად აკრძალვით, და ჩამოერთვათ სარგებლობაში მყოფი მიწები. 2. ბათუმისა და ყარსის ოლქებში ამჟამად მცხოვრები რუსეთის ქვეშევრდომი მუსლიმანები, რომლებიც კავკასიის მთავარსარდლის განკარგულებით შექმნილი კომისიების მიერ ცნობილნი იქნებიან დამნაშავეებად რუსეთის წინააღმდეგ მოღალატურ მოქმედებებში, გადასახლებული იქნენ ციმბირში მათ სარგებლობაში მყოფი მიწების ჩამორთმევით. 3. პირველი და მეორე მუხლებით მუსლიმანებისათვის ჩამორთმეული მიწები გადაეცეს მიწათმოწყობისა და სახელმწიფო ქონების მთავარ სამმართველოს, რათა მათზე დაასახლოს მიმდინარე ომში თავგამოჩენილი პირები არმიიდან"[4].

ბათუმის და ყარსის ოლქების კოლონიზაციის ცარიზმისეული გეგმების თავის სასარგებლოდ გამოყენების პერსპექტივა შეექმნა აქაურ სომხობასაც. ამიტომ, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მათ გააძლიერეს ცილისმწამებლური დასმენები და ძალადობა მეზობელ მაჰმადიანურ მოსახლეობაზე.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რუსული კოლონიზაციის გეგმის ერთ-ერთი ვარიანტი ითვალისწინებდა ადგილობრივი მოსახ-

---

3 აცსა, ფ. 1, ან. 1. ს. 725, ფურც. 1; აღსანიშნავია, რომ კავკასიის არმიის საველე შტაბის უფროსმა, ინფანტერიის გენერალმა მიშლიაევსკიმ 21 იანვარს გამოთქვა მოსაზრება, რომლითაც ნააღრევად მიიჩნია „ომის დამთავრებამდე კოლონიზაციის საკითხის აღძვრა" (სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს. 3963, ფურც. 5).

4 იქვე, ს. 3193, ფურც. 212-213.

ლეობის აყრა-გადასახლების მზაკვრული ჩანაფიქრის განხორციელებას ქრისტიანი ქართველების ხელით. ამიტომ, თბილისის და ქუთაისის გუბერნიის ქართველ მოხალისეთა ათასეულებს კავკასიის მთავარსარდლობამ მისცა შესაბამისი განკარგულებაც: „ამ დრუჟინებმა, კაზაკებთან ერთად, უნდა აჭყაროთ მთელი აჭარის მოსახლეობა და გადარეკოთ ოსმალეთში, და როცა გათავდება ომი, გათავისუფლებული ადგილები მიეკუთვნება იმერეთის მცირემიწიან მოსახლეობას დასასახლებლად"[5].

ამ უმაგალითოდ ვერაგული და პროვოკაციული პოლიტიკის გამო ქართველმა საზოგადოებამ ისეთი ცეცხლი დაანთო, რომ ცარიზმი იძულებული გახდა საერთოდ უარი ეთქვა თავის ბოროტ განზრახვაზე[6].

თბილისის გუბერნიის ქართველთა ათასეულის უფროსმა, მოხუცმა გენერალმა ალექსანდრე ვაჩნაძემ ასე დამოძღვრა და დალოცა აჭარისკენ მიმავალი მოხალისეები: „თქვენ მიდიხართ საქართველოს ისეთ ნაწილში საბრძოლველად, საცა ჩვენი ძმანი აჭარელნი ომის გამო განიცდიან დიდ გასაჭირსა და შევიწროებას. თქვენი მოვალეობა ორნაირი იქნება, - დაიცვათ მტრისაგან და ყველაფრით დაეხმაროთ გაჭირვებაში, როგორც თქვენ საკუთარ ძმებსა და დებს. ღმერთმა გზა მშვიდობისა მოგცეთ, რადგან ვიცი მხნედ და კეთილშობილად შეასრულებთ, როგორც ქართველ მეომრებს სჩვეოდათ, - თქვენს მოვალეობას!"[7].

---

5 რ.გაბაშვილი. მოგონებები... გვ.154.

6 აღსანიშნავია, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავზღვისპირეთში ჩამოსახლების მსურველი ამის შემდეგაც საკმაოდ იყო. 1916 წ. ზაფხულში მარტო პოლტავის გუბერნიიდან 18 თავადაზნაურმა შეიტანა წერილობითი თხოვნა ბათუმ-ტრაპიზონს შორის ზღვისპირა ზოლში მათთვის მიწების გამოყოფის შესახებ, სუბტროპიკული კულტურების გასაშენებლად (სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს. 4676, ფურც. 9). გარდა ამისა, ხელისუფლება ახორციელებდა შეფარულ კოლონიზაციასაც. მაგ., პიტოეის და ბათუმის სხვა სამხედრო ქარხნებში დასაქმებულთა უმრავლესობა იყენენ იმპერიის სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოყვანილი კვალიფიცირებული რუსი მუშები. ისინი აქ ხალისით მოდიოდნენ, რადგან სამხედრო ქარხნებში მომუშავენი „ჯავშნის უფლებით" სარგებლობდნენ და ფრონტზე არ მიჰყავდათ (ასგხფ, ფ. 11, ს. 5, ფურც. 13). მხოლოდ 1915 წ. მაის-ივნისში ბათუმში რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან სამუშაოდ ჩამოსულა 400-მდე კაცი (ო. გოგოლიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ 82). რუსეთის მთავრობა გეგმავდა აგრეთვე ქურთების აყრას ბაიაზეთის და ალაშქერთის ნაყოფიერი რაიონებიდან და იქ კაზაკთა ჩასახლებას (ხ. ესაძე, ქურთთა საკითხი იმპერიალისტური ომის დროს... - „საქართველოს არქივი", თბ.,1927, წ. II, გვ. 83).

7 რ.გაბაშვილი. მოგონებები... გვ. 156.

ანჩისხატის ეკლესიიდან გამოტანილი ძველისძველი, დაფლეთილი ქართული სამხედრო დროშის ქვეშ გაერთიანებულმა მოხალისეებმა მართლაც ღირსეულად აღასრულეს მამა-პაპათა ანდერძი: „ძმა ძმისთვისა და შავი დღისათვისაო“ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ყოფნის მთელ მანძილზე მთავრობის სადამსჯელო ექსპედიციებისაგან თუ უცხოტომელთა ბრბოებისაგან თანამოძმე მაჰმადიანთა დაცვა-გადარჩენის საიმედო გარანტი გახდნენ.

თბილისის ქართული ათასეულის ოფიცრის, ცნობილი ეროვნულ-დემოკრატის, დავით ვაჩნაძის სიტყვით: „ამ ქართული დრუჟინების მთავარი დანიშნულება, თანახმად ქართული საზოგადოების ფარული სურვილისა, იყო ოსმალეთის ფრონტზე და მის ახლო-მახლო მდებარე ქართველი მუსლიმანების და მათი სოფლების რუს კაზაკ-სამხედროების რბევისაგან დაცვა ბათუმ-არტანუჯის ხაზზე, რაც ორივე ქართულმა რაზმმა ბრწყინვალედ შეასრულა“[8].

მაჰმადიან თანამოძმეთა ხსნა სრულიად ქართველთა დიდი გამარჯვება იყო. „არ არის აჭარაში არც ერთი კუთხე, არც ერთი კუნჭული, რომ ლოცვა-კურთხევით არ იხსენებდნენ ქართველებს მათი მზრუნველობისათვის. ამ დიდმა ჭირმა აგვიხილა თვალი და დაგვიმტკიცა, რომ ქართველები ნამდვილი ჩვენი ძმები ყოფილან, უბედურებაში მოგვხედეს და დაგვიფარეს“[9]. ცოტა მოგვიანებით კი მემედ აბაშიძე მადლიერებით წერდა: „როცა მოღალატის სახელი გვიწოდეს და სახრჩობელაზე გეგზავნიდნენ, როცა ჩვენი სახლკარი გადაწვეს და გადასახლება მოგვინდომეს, რათა იქ უცხოელები დაესახლებინათ, მთელი ქართველი ხალხი, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგა და გაბედულად განაცხადა - თუ ეს გაგიბედნიათ, ჩვენ ავჯანყდებით და შესაფერ პასუხს გაგცემთო“[10].

სამუსლიმანო საქართველოში ჯერ ოსმალთა ხანგრძლივმა ბატონობამ, ხოლო შემდეგ ცარიზმის რუსიფიკატორულმა და ანტიქართულმა პოლიტიკამ გამოიწვია ადგილობრივი მოსახლეობის კულ-

---

8 დ.ვაჩნაძე, სამშობლოს სამსახურში (მოგონებანი). - ქართულ - ევროპული ინსტიტუტის ჟურნ. „ივერია“, თბ.,- პარიზი, 1992, №1, გვ. 126.

9 ანგარიში ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მოქმედებისა 1915 წელს, თბ., 1916, გვ. 12.

10 გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, 17 თებერვალი, 1920, № 295.

ტურული და ეროვნული ჩამორჩენილობა. მათ გაუჩნდათ ერთიანი ქართული სხეულისგან განსხვავება-განცალკევებულობის ილუზია. საჭირო იყო გაუცხოების ამ ბურუსის გაფანტვა და აჭარელის ცნობიერების ისევ ქართულ სამყაროში დაბრუნება.

ქართველმა საზოგადოებრიობამ სწორად გაითვალისწინა, რომ ამისათვის აუცილებელი იყო მათში ეროვნული კულტურის და განათლების შემოტანა. ამიტომ ქართველთა საქველმოქმედო და ქ.შ.წ.-კ.გ. საზოგადოებებმა ერთად დაიწყეს ზრუნვა ამ რეგიონში ქართული სკოლების ქსელის შესაქმნელად. ამ მიზნით გამოიყო 16 ათასი რუბლი, ხოლო ყოველთვიური ხარჯებისათვის - 8 ათასი. საქმის საერთო ხელმძღვანელობა დაევალა ცნობილ პედაგოგებს ერემია გულისაშვილს და არსენ წითლიძეს. 1916 წ. 2 იანვარს ბათუმში შეიქმნა ქ.შ.წ.-კ.გ. საზოგადოების ადგილობრივი განყოფილება რეჯებ ნიჟარაძის თავმჯდომარეობით. მათი ინიციატივით და სოფელ ადგილებში პატრიოტ · მამულიშვილთა დახმარებით მარტო 1916 წ. პირველ ნახევარში გაიხსნა 6 დაწყებითი ქართული სკოლა: ყოროლისთავში (ორკომპლექტიანი), ჩხუტუნეთში (ერთკომპლექტიანი), ხუცუბანში (სამკომპლექტიანი), ალამბარში (ორკომპლექტიანი)[11], ქედის აგარაში (ერთკომპლექტიანი) და ხულოს აგარაშიც (ერთკომპლექტიანი). მალე დაწყებითი სკოლები გაიხსნა შავშეთის სოფ. წყალსიმერში, ზემო აჭარის სოფ. თხილვანასა და ოლადაურში[12]. ამ სკოლებში სწავლობდნენ მეზობელი სოფლების ბავშვებიც.

სკოლების გახსნაში აქტიურად მონაწილეობდნენ: უხუცესი მამულიშვილი გულო-აღა კაიკაციშვილი, ჰაიდარ აბაშიძე, რეჯებ ნიჟარაძე, ისმაილ ლორთქიფანიძე და სხვ. ისინი განუმარტავდნენ თანასოფლელებს ეროვნული სკოლის უდიდეს მნიშვნელობას მათი შვ-

---

11 ალამბრის სკოლაში აღიზარდნენ ცნობილი ქართველი მეცნიერები, თსუ პროფესორი, ქიმიკოსი ალექსანდრე (ახმედ) ნოღაიდელი და მისი ძმა, ბათუმში მოღვაწე ენათმეცნიერი, ჯემალ ნოღაიდელი.

12 ე.ცივაძე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის განვითარება აჭარის ასსრ-ში, ბათ., 1970, გვ. 20; გრ.ბაბილოძე, ნარკვევები განათლებისა და კულტურის ისტორიიდან აჭარაში, ბათ., 1995, გვ. 32; აბ.სურგულაძე, პირველი სკოლა ხუცუბანში, ჟურნ. „ჭოროხი", 1987, № 4; ე.წულუკიძე, განათლების ისტორიისათვის აჭარაში, ბათ., 2002.

ილებისათვის. შედეგიც სახეზე იყო: მაგ., გახსნისთანავე ხუცუბნის სკოლაში 127 მოსწავლე მიიღეს, მათ შორის 45 გოგონა, ხოლო ალამბრის სკოლაში 80-ზე მეტი ვაჟი და გოგონა შეუდგა სწავლას. მაჰმადიან ქალთა ქართულ სკოლაში წასვლის თვით ფაქტსაც კი იმ დროისათვის უდიდესი ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა.

ზემოაღნიშნული დაწყებითი სკოლების მასწავლებლები იყვნენ მეზობელი გურიიდან და საქართველოს სხვა რაიონებიდან. მათ შორის აღსანიშნავია: ელენე ციცქიშვილი, ჰელო გელაშვილი, ბაბო ბრეგვაძე, თამარ დარეჯანაშვილი, ეთერ რაზიკაშვილი, არსენ წითლიძე, ავქსენტი ჩხაიძე, სტეფანე ნიკოლაიშვილი, ნიკიფორე გოგელია, ნიკოლოზ ქამუშაძე და სხვ. ისინი ამავე სოფლებში დასახლდნენ და სკოლისაგან თავისუფალ დროს ცდილობდნენ მოსახლეობაში კულტურის შეტანას და ეროვნული შეგნების გაღვიძებას. ამ მიზნით ცოდნის მსურველ ზრდასრულთათვის შექმნეს საკვირაო სკოლა. ასწავლიდნენ წერა-კითხვას, ესაუბრებოდნენ საჭირბოროტო საკითხებზე. იგივე საქმიანობას სოფლის დიასახლისებში ეწეოდნენ ქალი მასწავლებლები. ამგვარი მუშაობით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ეროვნულ განათლებას და გაღვივდა მისდამი ინტერესი[13].

ალამბრის სკოლის დამაარსებელის და ცნობილი პედაგოგის სტ. ნიკოლაიშვილის მოგონების თანახმად: „აჭარა-ქობულეთში ქართული სკოლების ნაყოფიერი მუშაობა, ამ სკოლებში მოსწავლეთა სიმრავლე და მოზრდილთათვის საკვირაო სკოლების არსებობა ძილს უფრთხობდა მაშინდელ ხელისუფლებას და განიზრახეს მათი დახურვა". ჯერ მთავრობის ერთგული ხოჯა-მოლების მეშვეობით დაიწყეს ქართული სკოლების საწინააღმდეგო პროპაგანდა მოსახლეობაში, მაგრამ ამას მათთვის სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. შემდეგ, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველ რუდოლფის განკარგულებით ჩატარდა ხუცუბნის, ალამბრის და ყოროლისთავის სკოლების ინსპექტირება, იმ საბაბით, თითქოს იქ არ ასწავლიდნენ რუსულ ენას და ამით არღვევ-

---

13 ასგხფ. ს. 179, ფურც. 2-4.

დნენ მთავრობის დებულებას, მაგრამ აქაც არ გაუმართლდათ იმედები. ბოლოს იერიში მიიტანეს თვით ქართული სკოლის მასწავლებლებზე. ისინი გამოაცხადეს არაკეთილსაიმედოდ და გადაუწყვიტეს ბათუმის ოლქიდან გასახლება, მაგრამ, ამასობაში, მოხდა 1917 წ. თებერვლის რევოლუცია და ძველი რეჟიმიც დაემხო[14].

საქველმოქმედო საზოგადოების ხარჯით ქობულეთში გაიხსნა ბიბლიოთეკა, საავადმყოფო და თავშესაფარი უპატრონო ბავშვებისათვის. ზემო აჭარაში კი მიავლინეს ინსტრუქტორები აგრონომიასა და მეფუტკრეობაში. ხულოში გაიხსნა სახელოსნო სასწავლებელიც.

ომით აოხრებული აჭარა-ქობულეთიდან ჰაიდარ აბაშიძის თაოსნობით თბილისსა და ქუთაისში წაიყვანეს და სხვადასხვა სასწავლებლებში მიაბარეს განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდები (სკენდერ მოწყობილი, ჯემალ ნოღაიდელი, ელიას ქათამაძე, ნური ლორთქიფანიძე, ხუსეინ ბეჟანიძე, იუსუფ ქათამაძე, ორთაბათუმელი ფაღავა და სხვ.), რომელთაგან ბევრი შემდგომში გახდა გამოჩენილი პიროვნება.

სამაჰმადიანო საქართველოს მკვიდრ მოღვაწეებზე დაყრდნობით, ეროვნული ერთიანობის იდეის პროპაგანდა დაიწყო ბათუმიდან საკმაოდ დაშორებულ ართვინ-არტაანში და ახლად გათავისუფლებულ ლაზეთშიც. იგეგმებოდა მოსამზადებელი სამუშაოები ამ კუთხეებში ქართული სკოლების გასახსნელადაც, მაგრამ 1917 წ. მეორე ნახევრიდან აქ შექმნილი მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გამო ეს ეროვნული წამოწყება ვეღარ განხორციელდა.

---

14 იქვე. ფურც. 12-14.

თავი V

სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის („ოზაკომი"), კომისარიატის და სეიმის მმართველობის პერიოდებში

§ 1. ხელისუფლების რეორგანიზაცია. პოლიტიკური პარტიების და საზოგადოებრივი ძალების დამოკიდებულება მიმდინარე მოვლენებისადმი

1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ხელისუფლების სათავეში მოქცეულმა რუსეთის დროებითმა მთავრობამ, IV სახელმწიფო სათათბიროს ხუთი დეპუტატისაგან, 9 მარტს პეტროგრადში შექმნა კოლეგიური მმართველობის ორგანო - ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (რუსული შემოკლ. - „ოზაკომი") და შესაბამისი რწმუნებით თბილისში გამოისტუმრა.

„ოზაკომის" ჩამოსვლამდე (18 მარტი) ამიერკავკასიას ფაქტობრივად მართავდა თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი, რომელშიც წამყვან როლს ქართველი სოციალ-დემოკრატები ასრულებდნენ. სწორედ მათი დამსახურება იყო, რომ აქ საქმე არ მისულა სამოქალაქო ომამდე. საბჭოები ამიერკავკასიაში ძალაუფლების დაპყრობისაკენ კი არ მიისწრაფოდნენ, არამედ თავიანთი მოღვაწეობის უმთავრეს მიზნად თვლიდნენ 1917 წ. თებერვალ-მარტის რევოლუციის მონაპოვართა დაცვას და განმტკიცებას. ამდენად, მათ მისაღებად ჩათვალეს პეტროგრადიდან გამოგზავნილი ახალი სამხარეო ხელისუფლება. თუმცა სოციალ-დემოკრატიულ პრესაში არაერთხელ დაიბეჭდა „ოზაკომის" მოღვაწეობის კრიტიკა, რადგან „მისი შემადგენლობა თაკისი უმრავლესობით" და პრაქტიკული საქმიანობა მთლიანად ვერ იყო კავკასიის დემოკრატიის ინტერესების გამომხატველი[1].

---

[1] ვ. გურული, მ. ვაჩნაძე, ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია, თბ., 1999, გვ. 283-284.

თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭომ ახალი ხელისუფლების ყველაზე მისაღებ ორგანოდ მიიჩნია „აღმასრულებელი კომიტეტი“, რომელიც კოალიციურ პრინციპზე უნდა შეედგინათ პარტიების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან. 15-კაციანი ასეთი წარმომადგენლობითი ორგანო თბილისში აირჩიეს 6 მარტს. შემდეგ აღმასკომები შეიქმნა სხვა ქალაქებსა და მაზრებშიც. ბათუმის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარედ 1917 წ. 28 მარტს აირჩიეს ევგენი კრინიცკი. ბათუმის აღმასკომის ბეჭდვითი ორგანო იყო გაზ. „დენ სვობოდი“, რომელიც 1917 წ. 15 აპრილიდან - ნოემბრამდე გამოდიოდა ყოველდღიურად. გაზეთს რედაქტორობდა სოციალ-დემოკრატი გრ. სოლორაშვილი.

თბილისში ჩამოსვლის შემდეგ „ოზაკომიც“ შეუდგა საკუთარი ხელისუფლების განხორციელებას. მაზრებსა და ოლქებში დანიშნა კომისრები და ჩამოაყალიბა ხელისუფლების ოფიციალური ორგანოები - კომისარიატების სახით. მათ პარალელურად, მაზრებსა და ოლქებში მოქმედებას განაგრძობდნენ დემოკრატიული ძალების მიერ არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოები — აღმასრულებელი კომიტეტები. ამრიგად, რუსეთის მსგავსად ამიერკავკასიაშიც შეიქმნა ორხელისუფლებიანობა.

თებერვლის რევოლუციის შედეგად წარმოქმნილმა ორხელისუფლებიანობამ ყველა პოლიტიკურ ძალას შეუქმნა პერსპექტივა, რომ გარდამავალი პერიოდი თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა და მასებში ერთპიროვნული გავლენის მოპოვებისათვის ებრძოლა.

ბათუმში მოქმედი პოლიტიკური ძალებისაგან, პარტიული რიგების შევსების თვალსაზრისით, ყველაზე შედეგიანი იყო სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკების) პარტია. 1917 წ. მარტში მას აქ უკვე 1200-მდე წევრი ჰყავდა, ამიტომ დაისვა რსდმპ ბათუმის კომიტეტის შექმნის საკითხი. დამფუძნებელი კრება შედგა 3 აპრილს, აირჩიეს პარტიის ბათუმის დროებითი კომიტეტი: ალ. შატილოვის (თავმჯდომარე), გრ.სოლორაშვილის, გ.ანჯაფარიძის, კ.გოგოლაძის, ო.რამიშვილის და სხვ. შემადგენლობით. დაადგინეს რაიონებშიც აერჩიათ კომიტეტები.

1917 წ. აპრილ-მაისში ქ. ბათუმში, საპოლიციო-ადმინისტრაციული უბნების მიხედვით, შეიქმნა რსდმპ ხუთი რაიონული ორგ-

ანიზაცია. ივნის-ივლისში კი რაიონული ორგანიზაციები შეიქმნა ქობულეთში, ჩაქვში, კვარცხანასა და ძანსულში, სადაც მუშათა გარკვეული რაოდენობა იყო თავმოყრილი. რაც შეეხება სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს სოფლის მოსახლეობას, სოციალ-დემოკრატებმა იმჯერად არ იზრუნეს, რომ მათშიც შეექმნათ თავიანთი ორგანიზაციები და გაეჩინათ მხარდამჭერები. ამის მიუხედავად, 1917 წ. სექტემბრისათვის, რსდმპ წევრთა რიცხვი ქ. ბათუმსა და რეგიონში 8 ათასამდე აღწევდა. ივნისის დამლევს კომიტეტმა დაიწყო რუსულ გაზეთ „ნაბატ"-ის გამოცემა[2].

1917 წ. ოქტომბრის დასაწყისში რსდმპ ბათუმის კომიტეტთან შეიქმნა ახალგაზრდული ორგანიზაციაც, რომელშიც წამყვანი ადგილი ეკავა ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის მოწაფეებს. მათი ხელმძღვანელობით 6-7 ოქტომბერს გაიფიცნენ გიმნაზიის უფროსკლასელები, მოითხოვეს ძველი რეჟიმის მასწავლებლების დათხოვნა და პედაგოგიურ საბჭოზე მოსწავლეთა წარმომადგენლების დასწრება. გაფიცულებმა მიზანს მიაღწიეს[3].

მრავალრიცხოვანი გახდა სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის (ესერები) ბათუმის ორგანიზაციაც. თუ თებერვლის რევოლუციის დღეებში იგი 70-მდე წევრს აერთიანებდა, იმავე წლის მაისისათვის 1500-მდე გაიზარდა. ასეთ წარმატებას ძირითადად მიაღწიეს ჯარისკაცების გაწევრიანებით, რადგან მათი უმრავლესობა გლეხური წარმოშობისა იყო. ესერების პარტიამ მიიზიდა აგრეთვე ბათუმის მუშა-მოსამსახურეთა მნიშვნელოვანი ნაწილიც. ესერების ბათუმის კომიტეტის თავმჯდომარე 1917 წ. მაისამდე იყო პიტოევის ქარხნის მთავარი ინჟინერი ა. ბულგაკოვი, შემდეგ - ა. ლევინი[4]. მათი ორგანო იყო გაზ. „გოლოს მორია ი ზემლი", რომელიც გამოდიოდა 1917 წ. ივნისიდან, კვირაში სამჯერ.

---

2 შდრ. ჰ. ცქვიტარია, აჭარის კომუნისტური ორგანიზაციის ისტორიიდან (1917-1922 წწ.), ბათ., 1973, გვ. 13-15; ს.ყუჟარაძე. მოგონებები.- ასგხფ, ს. 94, ფურც. 295-299; იქვე, ს. 81, ფურც. 18-38.

3 Газ. «День свободы», 12 октября 1917 г., №155.; გაზ. „ერთობა", 15 ოქტომბერი, 1917, № 171. ბათუმელი გიმნაზიელების ს.-დ. ორგანიზაცია ყოველკვირეულად უშვებდა ხელნაწერ ჟურნალს „ზა სვობოდუ".

4 Газ. «День свободы», 9 мая, 1917г., №28.

1917 წ. 4 ივლისს დროებითმა მთავრობამ პეტროგრადში დაარბია გრანდიოზული დემონსტრაცია, გარეკა საბჭოები და ამით ბოლო მოუღო ორხელისუფლებიანობას. ამის საპროტესტოდ და თებერვლის რევოლუციის მონაპოვრების დასაცავად ბათუმელმა სოციალ-დემოკრატებმა და ესერებმა 13 ივლისს ქალაქის ცენტრალურ (აზიზიეს) მოედანზე მოაწყვეს ხალხმრავალი მიტინგი[5]. იყო სამხედროების ხელში ძალაუფლების გადასვლის საშიშროებაც. საბოლოოდ ბათუმის მუშათა და ჯარისკაცების დეპუტატების საბჭომ ორი მეთვალყურე მიავლინა მიხეილის ციხესიმაგრის კომენდანტთან და მიაღწია, რომ ამ უკანასკნელს ისინი ბრძანებით დაენიშნა თავის თანაშემწეებად[6].

აღსანიშნავია, რომ რუსეთისაგან განსხვავებით ორხელისუფლებიანობა ამიერკავკასიაში ბოლომდე იქნა შენარჩუნებული[7]. დემოკრატიული ძალების დიდი გავლენის გამო, მთავრობამ ვერ გაბედა აქაური დეპუტატების საბჭოების განდევნა და თავისი ძალაუფლების დამყარება. თუმცა დანიშნული კომისრების მეშვეობით „ოზაკომი" ცდილობდა თავისი პოლიტიკის გატარებას და საბჭოების (მათი აღმასკომების) შეზღუდვას, რის გამოც ამ უკანასკნელთა მხრივ სერიოზულ წინააღმდეგობას აწყდებოდა.

თებერვლის რევოლუციის შედეგად მიღებული თავისუფალი პოლიტიკური მოღვაწეობის უფლება კარგად გამოიყენეს ბოლშევიკებმაც. 1917 წ. ივნისში ისინი გამოეყენენ ერთიან სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტს და დამოუკიდებელ პოლიტიკურ ორგანიზაციად გაფორმდნენ. მაგრამ წევრთა მცირერიცხოვნობის[8] გამო თავს უწოდეს „ბოლშევიკური ჯგუფი". მის ხელმძღვანელად აირჩიეს ბათუმის გარნიზონის ოფიცერი ს.განშინი, მისი რუსეთში დემობილიზაციის შემდეგ, 1917 წ. ნოემბრიდან - გ.რამიშვილი.

---

5 Газ. «День свободы», 13 июля, 1917 г., № 85.

6 Борьба за победу Советской власти в Аджарии. Документы и материалы (1917-1921 гг.). с. 59.

7 Стуруа Н.И., Грузия в 1917 году, с. 79-85.

8 პროფ. ბ. ცქვიტარიას ცნობით - 1917 წ. მარტის დამდეგს ბათუმში მხოლოდ „ხუთი ბოლშევიკი იყო სახეზე", ივნისისათვის კი „40-50 კაცს არ აღემატებოდა" (იხ. გვ. 12, 14). მსგავს მონაცემებს გვაწვდის ისტ. მეცნ. დოქტ. ი.ჩულოკიც. (იხ. გვ. 239, 242).

1917 წ. ზაფხულში ბოლშევიკური ორგანიზაცია შექმნეს ქ. ართვინშიც, რომელიც თითქმის მთლიანად სომხებისაგან შედგებოდა[9].

ბოლშევიკები ცდილობდნენ ახალგაზრდობის მიზიდვასაც, მაგრამ მათში სოციალ-დემოკრატების გავლენის გამო, მხოლოდ 1917 წ. დამლევს მოახერხეს მცირერიცხოვანი ორგანიზაცია „სპარტაკი"-ს ჩამოყალიბება და ისიც „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციიდან გადაბირებულთა საფუძველზე[10].

ბათუმელ ბოლშევიკებს ჰქონდათ თავიანთი რუსული ბეჭდვითი ორგანო გაზეთი „ბურევესტნიკ" (გამოდიოდა 1917 წ. ნოემბრიდან - 1918 წ. მარტამდე). ამავე პერიოდში გამოვიდა სამი სხვადასხვა დასახელების ბოლშევიკური გაზეთის რამდენიმე ნომერიც[11].

ბოლშევიკების გავლენის ზრდა ბათუმსა და ფრონტისპირა ტრაპიზონში საგრძნობი გახდა 1917 წ. დამლევიდან. ეს უმთავრესად განაპირობა ჯარისკაცთა უარყოფითმა დამოკიდებულებამ გაჭიანურებული ომისადმი, აგრეთვე, აქ რუსი ეროვნების ლუმპენპროლეტარული მასების სიჭარბემ, რომლებშიც, მათივე ფსიქიკური წყობიდან გამომდინარე, ყველაზე მეტი გასავალი ჰქონდა მემარცხენე, ძალისმიერ და ექსტრემისტულ იდეოლოგიას. იგივე ითქმის სომხურ დიასპორაზეც, რომელიც უცხო ტერიტორიაზე დამკვიდრებას და „სასიცოცხლო სივრცის" უზრუნველყოფას ტრადიციულად გეგმავდა ძლიერი რუსეთის (განურჩევლად მონარქისტულის თუ ბოლშევიკურის) ხელშეწყობით.

სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს სომხებით დასახლებულ რაიონებში (ართვინი, არტაანი, ყარსი) და თვით ბათუმშიც საკმაოდ მრავალრიცხოვანი ორგანიზაციები ჰქონდა დაშნაკების პარტიასაც.

პოლიტიკურ სარბიელზე პირველობისათვის ბრძოლის პროცესში ყურადღებას იქცევს ბათუმის პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა ძველი პროფკავშირების აღდგენისა და მათში გავლენის მოპოვებისათვის, რადგანაც პროფკავშირები, როგორც ყველაზე

---

9 ა.ცქეიტარია, დასახ. ნაშრ., გვ. 16-17.

10 Чулок И.С., დასახ. ნაშრ., გვ. 247.

11 ეს გაზეთებია: ბერძნული - „ხავარგი" („განთიადი") - გამოდიოდა 1917 წ. მაისში, ქართული - „მუშის სიმართლე" (1918 წ. იანვარში) და სომხური „ბანეორ ეკ ზინეორ" („მუშა და ჯარისკაცი") - 1918 წ. თებერვალში.

მასობრივი ორგანიზაცია, წარმოადგენდა ეფექტურ საშუალებას ხალხის არაპოლიტიზირებულ ნაწილზე ზემოქმედებისათვის.

1917 წ. ივნისის დამლევს ქ. ბათუმში 14 პროფესიული კავშირი მუშაობდა. მათ შორის ყველაზე მსხვილი იყო: მელითონეთა (500 წევრი), სავაჭრო ფლოტის მეზღვაურთა (500), მშენებელ მუშათა (400), თერძების (300), ქალაქის თვითმმართველობის და სხვა მოსამსახურეთა (288), მედროგეთა და მეეტლეთა (200), სასტუმროების და რესტორნების მოსამსახურეთა (185) და სხვ.[12] ისინი ცდილობდნენ თავიანთ წევრთა ყოფითი საკითხების (ნორმირებული სამუშაო დღის, მზარდი სიძვირის შესატყვისი ხელფასების, შვებულებების და ა.შ.) მოწესრიგებას.

ბათუმში დარგობრივი პროფკავშირების ჩამოყალიბების შემდეგ დაისვა მათი ცენტრალური ბიუროს შექმნის საკითხიც. დამფუძნებელი კრება შედგა 1917 წ. 4 ივლისს. მას ესწრებოდა თოთხმეტივე პროფკავშირის წარმომადგენელი. კრებამ აირჩია ცენტრალური ბიურო და სამდივნო 9 კაცის შემადგენლობით. თავმჯდომარე გახდა ბათუმის ესერების ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი რ. კრასევიჩი[13]. ამის შემდეგ პროფმოძრაობა გასცდა ბათუმის ფარგლებსაც. ჩაქვში, მწვანე კონცხზე, ციხისძირსა და მახინჯაურში შეიქმნა სოფლის მეურნეობის მუშაკთა, ხოლო კვარცხანასა და მურღულში სამთამადნო მუშათა პროფკავშირები.

პროფკავშირების ხელმძღვანელობა ძირითადად სოციალდემოკრატების და ესერების ხელში მოექცა. თუმცა ორიოდე მათგანში გარკვეული გავლენა ჰქონდა ბოლშევიკებსაც.

* * *

„ოზაკომის“ მიერ 1917 წ. 27 აპრილს მიღებული საარჩევნო დებულების საფუძველზე მაისიდან ბათუმის ოლქშიც დაიწყო ახალი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების – კომისარიატების

12 სცსსა, ფ. 2080, ან. 1, ს. 487, ფურც. 12.

13 Газ. «День свободы», 8 июля, 1917 г., № 77.

ჩამოყალიბება. ეს პროცესი ძველისა და ახლის ჭიდილში, აგრეთვე, ეროვნული და კონფენსიური სიჭრელით გამორჩეულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გარკვეულ სირთულეებს წააწყდა.

ტერიტორიულად ვრცელი ბათუმის ოლქი (6500 კვ.კმ) ადმინისტრაციულად იყოფოდა ორ ოკრუგად: საკუთრივ ბათუმისა და ართვინის, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფოდნენ უბნებად (რაიონებად). ესენია: კინტრიშის (ცენტრით ქ. ქობულეთში), გონიოს (სოფ. ზემო მარადიდი), ქვემო აჭარის (ს. ქედა), ზემო აჭარის (ს. ხულო), ართვინის (ქ. ართვინი), არტანუჯის (ქ. არტანუჯი) და შავშეთ-იმერხევის (ს. სათლელ-რაბათი).

ბათუმის დემოკრატიულმა საზოგადოებამ მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ ოფიციალური ხელისუფლებისაგან დანიშნული კომისარიატების გვერდით, ოლქის ყოველ ადმინისტრაციულ ერთეულში შეექმნა სახალხო ხელისუფლების არჩევითი ორგანოები აღმასკომების სახით. ამ მიზნით 1917 წ. 14 მაისს ბათუმში, საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ევგ. კრინიცკის ინიციატივით, გაიმართა ოლქის მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობა, რომელსაც ესწრებოდა სხვადასხვა ეროვნებისა და პოლიტიკური მრწამსის 55 დელეგატი. ყრილობის პრეზიდიუმში მაჰმადიან ქართველთაგან აირჩიეს მემედ აბაშიძე. ყრილობამ შეიმუშავა საარჩევნო კამპანიის გეგმა და შესაბამისი დებულება[14].

„ოზაკომი“ იძულებული გახდა ანგარიში გაეწია დემოკრატიული საზოგადოებისათვის. ამიტომ დათანხმდა ადგილებზე კოალიციური აღმასკომების არჩევნებს. ამასთან გადაწყვიტა თვითონვე ემართა ეს პროცესი, რისთვისაც ოლქებსა და მაზრებში დანიშნა თავისი წარმომადგენლები. ბათუმის ოლქში „ოზაკომის“ რწმუნებულებად დაინიშნენ რევჯებ ნიჟარაძე და კაპიტონ გოგოლაძე,

---

14 ხ. ახელედიანი, საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აჭარაში (1917-1921 წწ.). ბათ., 1971, გვ. 15; საარჩევნო დებულების განხილვისას კამათი გამოუწვეია არჩევნებში ქალთა მონაწილეობის საკითხს. მაჰმადიანი სასულიერო პირები მოითხოვდნენ ამ მუხლის ამოღებას. ყრილობის დელეგატებმაც ანგარიში გაუწიეს რეალურ მდგომარეობას და საარჩევნო დებულებაში შეიტანეს შესწორება, რომლითაც არჩევნებში ქალების მონაწილეობა მხოლოდ ქ. ბათუმით შემოიფარგლა.

მათ თანაშემწეებად - ხასან ლორთქიფანიძე და ვლასა მგელაძე[15].

საარჩევნო კამპანია სოციალურად და პოლიტიკურად მძაფრ ვითარებაში ჩატარდა, უსაშველოდ გაჭიანურდა და ოქტომბრამდე გაგრძელდა, ხოლო შავშეთ-იმერხევში საერთოდ ვერც შედგა. კინტრიშისა და გონიოს უბნებში, სადაც რუს კოლონისტთა დასახლებები („სმეკალოვკა", „ალეკსეევკა", „რომანოვკა", „უსპენსკი" და სხვ.) იყო, განსაკუთრებით აქტიურობდნენ რუსი შავრაზმელები მეფის ყოფილი მოხელის კორიბუტ-დაშკევიჩის მეთაურობით. მათი მიზეზით ქობულეთში, ჩაქვში, მწვანე კონცხზე, მახინჯაურში და რუსებით დასახლებულ სხვა სოფლებში არჩევნები რამდენჯერმე ჩაიშალა. კორიბუტ-დაშკევიჩმა და „სახალხო თავისუფლების პარტიის" ბათუმის ორგანიზაციამ (იგი აერთიანებდა 500-მდე წევრს) „ოზაკომში" იჩივლეს - რეჯებ ნიჟარაძე ტენდენციურად იქცევა, ერთმანეთისაგან განასხვავებს ადგილობრივებს და რუსებს, ეს უკანასკნელნი საარჩევნო სიებში არც კი შეჰყავთო[16].

ამ ცილისწამების შესახებ 1917 წ. 15 ივლისს კ. გოგოლაძემ და რ.ნიჟარაძემ „ოზაკომს" მოახსენეს: კინტრიშის მაზრაში რუსი მოაგარაკეების დიდი რაოდენობა ცხოვრობს. შავრაზმელები მათში ეწევიან პროპაგანდას, რომ ქართველებს უნდათ რუსების კავკასიიდან გარეკვა. ქართველ მუსლიმანებში კი ავრცელებენ ხმებს, რომ თანამოძმე ქრისტიანებს უნდათ წაგართვან საარჩევნო უფლებაო. მათ ასეთ აგიტაციას ზოგჯერ აქვეყნებს ბათუმელი ესერების გაზეთიც. ამის მიუხედავად კინტრიშის მაზრაში უკვე შექმნილია აღმასკომები, არჩეულია სოფლების და უბნების კომისრებიო.[17]

ვითარება დაიძაბა ზემო აჭარაშიც. იქ ხელისუფლებამ კომისრად დანიშნა პოლიციის ყოფილი ოფიცერი თემურ ხიმშიაშვილი, მაგრამ 11 სოფლის ახალთაობა ამის წინააღმდეგ წავიდა და საკუთარი კანდიდატურა წამოაყენა. კონფლიქტის აღმოსაფხვრელ-

---

15 ვლ. მგელაძემ უარი განაცხადა. მის მაგიერ დაინიშნა ერმალო შარაშიძე, თუმცა ისიც, შვილის მძიმედ ავადმყოფობის გამო, არჩევნების მომზადებაში ფაქტობრივად ვერ მონაწილეობდა (სცსსა, ფ. 2080, ს. 479, ფურც. 17-18).

16 სცსსა, ფ. 2080, ს. 479, ფურც. 28-31.

17 იქვე, ს. 495, ფურც. 1-2; დოკუმენტს თან ერთვის ბათუმელი ესერების გაზ. „ჯოლოს მორია ი ზემლი"-ს 1917 წ. 5 (18) ივლისის (№5) ეგზემპლარიც.

ად და ხელახალი არჩევნების ჩასატარებლად ხულოში მიავლინეს ხ.ლორთქიფანიძე. მან თ.ხიმშიაშვილი დაითანხმა გადადგომაზე, მაგრამ ივნისის დამდეგს ბეგის მომხრეებმა მოახერხეს ზემო აჭარის კომისრად თ. ხიმშიაშვილის ვაჟის შეკქეთის არჩევა. ხულოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ ჯეფერ ხიმშიაშვილი გავიდა. ქვემო აჭარის - დაუთ დიასამიძე, კინტრიშის უბნის - არსენ წითლიძე. საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ე. კრინიცკი მთავრობამ დანიშნა ბათუმის ოლქის კომისრადაც[18].

გარდა აღნიშნულისა, ბათუმის ოლქში ოფიციალური ადმინისტრაციული ხელისუფლება ადგილებზე შემდეგი სახით წარმოგვიდგებოდა: კინტრიშის უბნის კომისრად თავდაპირველად დაინიშნა ივან ევსეიჩიკი, რომელიც თავისი საქმიანობით არაპოპულარული იყო. ამიტომ ის გადააყენეს და 1917 წ. 2 სექტემბერს ეს თანამდებობა ჰაიდარ აბაშიძემ დაიკავა; არტანუჯის უბანში თავდაპირველად სამი კომისარი დაინიშნა: პეტროს კაიტანჯიანი, მასწავლებელი ლოგუა და ვართან მაზმანიანი. 1917 წ. 1 სექტემბრიდან კი ეს თანამდებობა დაიკავა პოლიციის პრაპორშიკმა ჰაიდარ ბიბინზადემ (ბიბინეიშვილმა). გონიოს უბნის კომისარი იყო სილოვან გაბელაშვილი, ქვემო აჭარის უბნისა - გიორგი ჭელიძე, ართვინის უბნისა - მასწავლებელი ბართლომე მეგრელიძე.[19]

1917 წ. 14-20 მაისს ბათუმში ჩატარდა ოლქის აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა ყრილობა, რომელმაც ცვლილებები შეიტანა ადმინისტრაციულ სტრუქტურაში. გააუქმა ბათუმისა და ართვინის ოკრუგების მმართველობა, როგორც ზედმეტი რგოლი და შეინარჩუნა მხოლოდ ზემოაღნიშნული შვიდი უბნის მმართველობა. ამასთან დაადგინა ართვინსა და არტანუჯში საქალაქო თვითმმართველობის შემოღება. ამავე ყრილობაზე გადაწყდა ბათუმის ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის დაკომპლექტება

---

18 ე. კრინიცკი ამ თანამდებობაზე მუშაობდა 1918 წ. 11 მარტამდე. ჯიდრე ის თავის ბინასთან არ მოკლეს ტერორისტებმა - შეწირულმა და ვასაძემ (სცსსა, ფ. 1818, ან. 1, ს. 37, ფურც. 19, 30).

19 შდრ: სცსსა, ფ. 1818, ან. 1, ს. 28, ფურც. 10; ფ. 2080, ან. 1. ს. 513, ფურც. 20-21; ბართლომე იყო ცნობილი ქართველი მეცნიერების პროფ. იოსებ და შამშე მეგრელიძეების მამა.

შემდეგი არჩევითი წარმომადგენლობით: ორ-ორი კაცი ყოველი ადმინისტრაციული უბნიდან, ორ-ორი ქ. ართვინიდან და არტანუჯ-იდან და ექვს-ექვსი წარმომადგენელი ქ. ბათუმის აღმასკომიდან, ბათუმის მუშათა დეპუტატების საბჭოსა და ბათუმის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსაგან[20].

ამ პერიოდში ბათუმში მიმდინარეობდა საქალაქო თვითმმართველობის წინასაარჩევნო კამპანია. საკუთარი პლატფორმითა და საარჩევნო სიით გამოვიდა 10 ორგანიზაცია. წამყვან როლს ასრულებდნენ სოციალ-დამოკრატები და ესერები (ბოლშევიკებმა სწორად შეაფასეს თავიანთი ძალების სისუსტე და მონაწილეობა არ მიიღეს). არჩევნები ჩატარდა 1917 წ. 9 ივლისს. სოციალ-დემოკრატების სიამ (№1) მიიღო 9577 ხმა (მათგან 5828 ხმა მოქალაქეთაგან და 3749 - სამხედრო პირთაგან), სოციალისტ-რევოლუციონერების (ესერები) სიამ - 10627 ხმა (მოქალაქეთა - 2050 და სამხედრო პირთა - 8577). სხვა პოლიტიკურ ძალებს ხმა მისცა ამომრჩეველთა უმნიშვნელო რაოდენობამ. ადგილებიც სათათბიროში შესაბამისად განაწილდა: ესერი - 26, სოციალ-დემოკრატი - 24, დაშნაკი - 4, კადეტი - 2 და სოციალისტ-ფედერალისტი - 1. ქალაქისთავად აირჩიეს სოციალ-დემოკრატი კონსტანტინე საბახტაშვილი. ქალაქის გამგეობაც სოციალ-დემოკრატებითა და ესერებით დაკომპლექტდა[21].

---

20 სცსსა, ფ. 1818, ან. 1. ს. 271, ფურც. 1; შემდეგ ზემოაღნიშნულ შემადგენლობას დაემატა ბათუმის საქალაქო სათათბიროდან 10 წარმომადგენელი, აგრეთვე, ორ-ორი პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან (საბირჟო კავშირი, ქალაქთა კავშირი, კოოპერატორების და ა. შ.) 1917 წ. ივლისში ბათუმის საოლქო აღმასკომი 52 წევრისგან შედგებოდა (სცსსა, ფ. 2080, ან. 1, ს. 487, ფურც. 12).

21 ჰ. ცქიტარია, დასახ. ნაშრ., გვ. 25-26. აღსანიშნავია, რომ ბათუმის სათათბიროს არჩევნებში ესერების მიერ წარმოდგენილ 35-კაციან სიაში 6 ქართველიც იყო: მე - 4 ნომრად - ხასან ლორთქიფანიძე, №7 - ილარიონ მელქაძე, №26 - კირილე თავბერიძე, №28 - კონსტანტინე კაზაიშვილი, № 29 - რიზა აბაშიძე და № 31 ხასან ვარშანიძე - Газ. «Голосъ моря и земли», 5 (18) июля 1917 г., №5 (იხ. სცსსა, ფ. 2080, ან 1, ს. 495, ფურც. 3.).

* * *

საარჩევნო კამპანია რთულ ვითარებაში ჩატარდა სამუსლიმანო საქართველოს დანარჩენ კუთხეებშიც, კერძოდ, ყარსის ოლქში. ეს რეგიონი ტერიტორიულად და მოსახლეობითაც, ბათუმის ოლქზე გაცილებით ვრცელი იყო (17560-მდე კვ.კმ.), მაგრამ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გააქტიურება აქ მხოლოდ 1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაიწყო. ივლისში იქ უკვე მოქმედებდა 4 პოლიტიკური პარტიის ცალკე ორგანიზაცია: „დაშნაკცუტუნსა" და „გნჩაკში" იქაურ სომეხთა წარმომადგენლები შედიოდნენ. გარკვეული პოზიციები მოიპოვეს სოციალ-დემოკრატებმა და ესერებმა. მათში ძირითადად გაწევრიანდნენ ჯარისკაცები და სხვადასხვა დაწესებულების მუშა-მოსამსახურეები. ქ. ყარსში შეიქმნა ჯარისკაცთა, მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებიც[22]. სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები ან პროფესიული კავშირები იმდროისათვის ყარსის ოლქში არ დაფიქსირებულა.

ახალი ხელისუფლების ორგანიზაციისათვის „ოზაკომმა" ყარსის ოლქში თავის სრულუფლებიან წარმომადგენლებად დანიშნა თავადი იოსებ არღუთინსკი და რიზა-ბეგ ყარაშაროვი[23].

ყარსის ოლქი ადმინისტრაციულად იყოფოდა 4 ოკრუგად: არტაანის, ოლთისის, ყაღიზმანის და საკუთრივ ყარსის. ბათუმთან შედარებით, ამ რეგიონში საქალაქო ცხოვრება სუსტად იყო განვითარებული. მოსახლეობაც ძირითადად სოფლად ცხოვრობდა და მკვეთრად მრავალეროვნული იყო. ქართველ მაჰმადიანებს გარდა, რომლებიც ძირითადად არტაანის და ოლთისის ოკრუგებში ცხოვრობდნენ, აქ ცალკე სოფლებში კომპაქტურად იყვნენ აგრეთვე სხვადასხვა დროს ჩამოსახლებული ქურთები, სომხების ჭარბი რაოდენობა, ბერძნები და რამდენიმე ათასი რუსი კოლონისტი. ბევრ სოფელში იყო შერეული მოსახლეობაც. ამიტომ, მთავრობა ცდილობდა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დაკომპლექ-

---

22 სცსსა, ფ. 2080, ან. 1, ს. 513, ფურც. 2.

23 იქვე. ფურც. 20.

ტებისას ანგარიში გაეწია ამ ეროვნული და კონფესიური სიჭრელისათვის, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ამას ვერ ახერხებდა, რაც ერებს შორის დამატებით ძაბავდა ურთიერთობას.

ახალი ხელისუფლების ორგანიზაცია ქ. ყარსშიც სტიქიურად დაიწყო და უკვე 1917 წ. 7 მარტს შეიქმნა საოლქო აღმასკომი ნაფიცი ვექილის გრ. ძამოევის ხელმძღვანელობით. ის ამავდროულად იყო ყარსის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარეც. მისი მეთაურობით ყარსში საოლქო აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებდა სამი კომისარი: ნაფიცი ვექილის თანაშემწე ალიხან კანტემიროვი, მასწავლებელი მიხეილ სიტინი და მაქსიმ ფეოდოროვი.

ყარსის საოლქო აღმასკომი პირველად დაკომპლექტდა 28 წევრით (4-4 წარმომადგენელი ყოველი ოკრუგიდან, 6 - ქ. ყარსის აღმასკომიდან და 3-3 - ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოებისაგან). შემდეგ მისი შემადგენლობა გაიზარდა სასურსათო კომიტეტის, საგამომძიებლო კომისიის, მიწის კომიტეტის და სხვა წარმომადგენლებით[24].

ყარსის საოლქო აღმასკომის მსგავსად ჩამოყალიბდა ოკრუგების აღმასკომებიც (თავმჯდომარე და 3-3 კომისარი). 1917 წ. ივლისასთვის მათი შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა: არტაანის ოკრუგში - გამომძიებელი კარაიძე (აღმასკომის თავ-რე), კომისრები - კიასუმბეკოვი, დავითიანი და ქსანფოპულო; ოლთისის ოკრუგში - პრაპორშიკი გვარამაძე (აღმასკომის თავ-რე), კომისრები - დონსკოი, გაშიმბეკოვი და ბაბაიანცი; ყაღიზმანის ოკრუგში - ექიმი ჩიბასი (აღმასკომის თავ-რე), კომისრები - სიმფოროკი, კანანოვი და იდრისი; ყარსის ოკრუგში - მასწავლებელი სარიევი (აღმასკომის თავ-რე), კომისრები - ალახვერდოვი, ხალილბეკოვი და კოლომინი[25].

ადგილებზე ახალი ხელისუფლების ორგანიზაციას „ოზაკომი" ხშირ შემთხვევაში ავალებდა შემთხვევით და შეუმოწმებელ პირებს, რომლებიც არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ იქ მოქმედ

---

24 იქვე, ს, 467, ფურც.2.

25 იქვე, ს. 513, ფურც. 24.

აღმასკომებს და თვითნებობდნენ. მაგ., 1917 წ. 6 ივნისს „ოზაკომმა“ არტაანის ოკრუგში თავის რწმუნებულად დანიშნა ფოცხოველი მსხვილი მემამულე ათაბეგოვ ქვაბლიანელი[26], შემდეგში ცნობილი სერვერ-ბეგ ათაბეგი (ჯაყელი), რომელმაც 1918-1919 წლების მიჯნაზე ორჯერ დაანთო აჯანყების ცეცხლი სამცხეში და სხვა ბეგ-აღალარებთან ერთად შექმნა სეპარატისტული მაჰმადიანური სახელმწიფო, თუმცა საბედნიეროდ, მათი არსებობა დღემოკლე გამოდგა[27].

სწორედ ამ პირს დაავალა მთავრობამ არტაანის მხარეში სასოფლო და საუბნო აღმასკომების ორგანიზაცია, რაც მის მიერ საარჩევნო ინსტრუქციის დარღვევით და პირადი სარგებლიანობით განხორციელდა. მაგ., ქვაბლიანის უბნის კომისრად დანიშნა ასევე ცნობილი ბახში-ბეგ მაჩაბელი, რომელიც უკვე 1917 წ. ოქტომბერში „ოზაკომში“ შესული ცნობებით იყო: „არტაანის ოკრუგში მოქმედი ბანდის მფარველი“, რის გამოც კრიმინალური დანაშაულები ამ მხარეში საგრძნობლად გახშირებულა[28].

ათაბეგოვ - ქვაბლიანელის თვითნებობის შესახებ საჩივრები მთავრობაში უკვე 1917 წ. ივლისიდან შედიოდა, მაგრამ მას მფარველებიც ჰყავდა და ამ თანამდებობას ოქტომბრის ბოლომდე ინარჩუნებდა, ვიდრე იძულებით არ გადააყენა არტაანის საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტმა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ[29].

---

26 იქვე. ს. 467, ფურც.1.

27 იხ. შ.ლომსაძე. შესხები. ახალციხური ქრონიკები II, თბ., 1996 წ., გვ 297-304; დ. კოჟორიძე, სამცხე-ჯავახეთი - წარსული და დღევანდელობა, თბ., 1987, გვ. 115-131; მ. სიორიძე, „ყარსის რესპუბლიკა“, ჟურნ. „საისტორიო მაცნე“, ბათ., 1995, ნაკვ.I, გვ. 24-28.

28 სცსსა, ფ. 2080, ან. 1, ს. 467, ფურც.45.

29 იქვე. ფურც. 13,49.

* * *

ეროვნული შემადგენლობით არაერთგვაროვანი იყო სამცხე-ჯავახეთიც. მის ძირძველ მოსახლეობას შეადგენდნენ ქართველები. მათი უმრავლესობა გამაჰმადიანებული იყო, შედარებით მცირე ნაწილი კი კათოლიკები და მართლმადიდებლები. აღსანიშნავია, რომ რუსეთთან შემოერთებისთანავე აქაურმა სანჯაყ-ბეგებმა განაცხადეს მზადყოფნა თავიანთი ქვეშევრდომებით დაბრუნებოდნენ წინაპრების სარწმუნოებას, თუ რუსეთის მთავრობა მათ ქართველი თავადაზნაურობის ხარისხში აიყვანდა და ქართველ მეფეთა მიერ სიგელებით ნაწყალობევ მამულებს დაუბრუნებდა. „ეს იყო სერიოზული და დიდი მნიშვნელობის მოთხოვნა", მაგრამ პეტერბურგში ის უგულებელჰყვეს, საჭიროდ ჩათვალეს ამ საზღვრისპირა რეგიონიდან ადგილობრივი მოსახლეობის აყრა-გადასახლებისათვის ხელშეწყობა და აქ იმპერიისათვის სანდო ხალხის ჩამოსახლება[30]. ასეთად მიიჩნიეს ოსმალეთის სომხობა, რომელთა პირველი ჭარბი რაოდენობა მთავარმართებელ პასკევიჩისა და ბებუთოვის ინიციატივით უკვე XIX ს. 30-იან წლებში ჩამოასახლეს არზრუმიდან ბაიაზეთიდან და ცალკე სოფლებში განათავსეს[31].

სამაზრო ცენტრ ახალციხის ძირძველ მოსახლეობას შეადგენდნენ ქართველები და ებრაელთა მცირე რაოდენობა, რომლებიც ქალაქის ძველ ნაწილში, ე.წ. „რაბათში" ცხოვრობდნენ. ქალაქის ახალი ნაწილი კი თითქმის მთლიანად სომხებმა აითვისეს. ქალაქის თვითმმართველობასა და პოლიციაში მათ წაბყვანი თანამდებობები მოიპოვეს. 1876-1917 წლებში ახალციხეში 9-ჯერ გამოიცვალა ქალაქისთავი. ყველა მათგანი სომეხი იყო. ქალაქის გამგეობაც და სათათბიროც ერთპიროვნულად ეპყრათ სომხური ბურჟუაზიის წარმომადგენლებს[32]. სამაზრო ადმინისტრაცია-პოლიცია კი

---

30 შ. ლომსაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 240.

31 თ.ფუტკარაძე, ეთნიკური სტრუქტურა და ეროვნულ-დემოგრაფიული პროცესები სამცხე-ჯავახეთში, გვ. 6-8.

32 ი.გვენეტაძე, ახალციხის საქალაქო თვითმმართველობა 1876-1917 წწ. - „მაცნე", 1979, №4, გვ. 96-103.

ძირითადად მოექცა არამკვიდრი მაჰმადიანების: ინგუშების, ლეკების და აზერბაიჯანელების ხელში.

ახალქალაქის სამაზრო და საქალაქო მმართველობაშიც სომხები ლიდერობდნენ. ამრიგად, სამცხე-ჯავახეთის ძირძველი მოსახლეობა ორივე მაზრაში ხელისუფლებაში მონაწილეობისაგან ფაქტობრივად იზოლირებული იყო.

მთავრობისაგან ზურგშექცეულმა ქართველმა მაჰმადიანებმაც პირი სტამბოლისკენ ჰქნეს. თანდათან დაივიწყეს მშობლიური ქართული ენა, შეიცვალეს ქართული გვარები, რადგან „ქართველი" მათ შეგნებაში ქრისტიანს ნიშნავდა[33]. აქაური ბეგ-აღალარები თავიანთ შვილებს განათლების მისაღებად აგზავნიდნენ ოსმალეთში ან ბაქოში, საიდანაც ისინი ბრუნდებოდნენ წრეგადასულ ფანატიკოსებად და პანთურქისტებად[34].

მოკლედ, ასეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობით შეხვდა სამცხე-ჯავახეთი 1917 წ. თებერვლის რევოლუციას.

რევოლუციის შემდეგ აქაც სტიქიურად მოხდა ახალი ხელისუფლების ორგანიზაცია. 116-ე პოლკის ახალგაზრდა ოფიცრის შალვა მაღლაკელიძის გადმოცემით, ხელისუფლების ასეთი ორგანო პირველად მან და მისმა რევოლუციურად მოაზროვნე მეგობარმა ოფიცრებმა შექმნეს და უწოდეს „ახალციხის გარნიზონის სამხედრო პრეზიდიუმი"[35], რომელმაც მხარი დაუჭირა რუსეთის დროებით მთავრობას. შემდეგ შეიქმნა საბჭოებიც.

ახალციხეშიც იფეთქა რევოლუციურმა სულმა. თვითმხილველ ე. სიმონიანის გადმოცემით: „ამ პატარა ქალაქში ხშირად ერთმანეთისაგან დაშორებით იმართებოდა რამდენიმე ტრიბუნა და ეწყობოდა მიტინგები, რომლებზეც ერთდროულად გაისმოდა სხვადასხვა ენაზე წარმოთქმული, ერთმანეთის საწინააღმდეგო და განსხვავებული პოზიციების გამომხატველი სიტყვები"[36]. მისივე ცნობით, ის-

---

33 თ.ფუტკარაძე. დასახ. ნაშრ., გვ.7.

34 შ. ლომსაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 240-241.

35 ქართველები გერმანული დროშის ქვეშ..., გვ. 36, 237.

36 სჯმხფ. ს. 4641, ფურც. 49.

ინი იყვნენ სოციალ-დემოკრატების, ესერების, ქართველი ფედერალისტების, რუსი კადეტების, სომეხი „დაშნაკების“ და „გნჩაკის“ პარტიების წარმომადგენლები. მათი მონაწილეობით 1917 წ. 1 ოქტომბერს ჩატარდა ახალციხის საქალაქო თვითმმართველობის არჩევნები. სოციალ-დემოკრატებმა სათათბიროში გაიყვანეს 5 კაცი, სომხების ეროვნულმა პარტიამ („გნჩაკი“) - 1, ესერებმა – 12, დაშნაკებმა – 15 და რაბათის ჯგუფის ქართველებმა - 3 კაცი[37]. ქალაქისთავად გავიდა დაშნაკი ზ. ზორიანი.

ხელისუფლების ძველი სტრუქტურების დარღვევის შემდეგ, „ოზაკომმა“ სამცხე-ჯავახეთშიც მოახდინა ახალი ხელისუფლების ორგანიზაცია, მაგრამ აქაც იგივე შეცდომები გაიმეორა. ახალციხის მაზრის კომისრად დანიშნა ამავე მაზრის ყოფილი უფროსი, ტომით ინგუში როტმისტრი ომარ გუდიევი, აწყურის ბოქაულად - ტომით ლეკი მურსალ მუსაკიევი, მაზრის ექიმი იყო აზერბაიჯანელი აზიზბეგ კადიმბეკოვი. ახალციხის აღმასკომის თავმჯდომარედ ერთხანს მუშაობდა ომარ ფაიკი (ყიფიანი), მოადგილედ კი მისივე დისწული ახმედ-ბეგ პეპინოვი (ფეფინაშვილი), მაზრის აგრონომად ზია-ბეგ ავალოვი (ავალიშვილი) და სხვ.[38] მათი უმრავლესობა წარსულში იყვნენ ოსმალეთის აგენტები და პანისლამიზმის მქადაგებლები, ხოლო 1917 წ. შემოდგომიდან, როცა კავკასიის ფრონტის რღვევა დაიწყო, აშკარად გამოამჟღავნეს სეპარატისტული მისწრაფებები და სამცხე-ჯავახეთის ხელში ჩაგდება მოინდომეს.

მაზრის კომისრად დანიშნული როტმისტრი გუდიევი ცდილობდა დროებითი მთავრობის დისკრედიტაციას და ფაქტობრივად თავი დამოუკიდებლად ეჭირა. მან თბილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტის რწმუნებულსაც კი არ მისცა ახალციხეში მუშაობის საშუალება. სამაგიეროდ, თვითონ შექმნა სასურსათო ორგანიზაცია, რომლის მეშვეობით ახალციხისა და აჭარისათვის მიღებულ პროდუქტებს თავისი შეხედულებისამებრ ანაწილებდა. ეს მისთვის, როგორც პანთურქისტისთვის, ხალხში გავლენის მოპო-

---

37 დ. კოჟორიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 102.

38 ქართველები გერმანული დროშის ქვეშ..., გვ. 239.

ვების და პროპაგანდის ძლიერი საშუალება იყო[39]. ამასთან გუდიევი დადიოდა მაზრის სოფლებში და შეკრებებზე ხალხს უცხადებდა, რომ ყველა ოჯახს უნდა ჰყოლოდა 1 დედალი და 200 კვერცხი (ე.ი. მოამზადეთ 1 შაშხანა და 200 ვაზნაო).

კომისარმა გუდიევმა ფორმალურად ჩაატარა სასოფლო და საუბნო აღმასკომების არჩევნებიც და ისინი დააკომპლექტა მისთვის სასურველი პირებით. მანვე გააუქმა აწყურის სახელმწიფო სასწავლებელი და იქ მოაწყო კურსები მუსლიმანი მასწავლებლებისათვის. მას სათავეში ჩაუყენა ომარ ფაიკი, რომელიც თავის 40 მსმენელს პანისლამიზმის და სეპარატიზმის პროპაგანდისტებად წვრთნიდა[40].

ყოველივე ზემოაღნიშნული ძლიერ ზემოქმედებდა გაუნათლებელ და კულტურულად ჩამორჩენილ მაჰმადიანური მოსახლეობის უმრავლესობაზე, რომელიც თანდათან რწმუნდებოდა მთავრობის სისუსტეში, რაც მათში ბეგ-აღალარების ისედაც ძლიერ ავტორიტეტს განამტკიცებდა. ამიტომ, 1917 წ. ივლისში გუდიევი დააპატიმრა ახალციხეში ჩასული სამხედრო ნაწილის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ[41]. ამის გამო ადგილობრივმა მაჰმადიანებმა კოლექტიური საპროტესტო წერილით მიმართეს „ოზაკომს" და აშკარა ბოიკოტი გამოუცხადეს მის მიერ საქმის გამოსარკვევად ახალციხეში გაგზავნილ წარმომადგენლებს[42].

ძველი ჩინოვნიკების ხელში მოექცა ახალქალაქიც. აქ სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარედ გავიდა ვინმე მანდადოვი (მანდადიანცი), რომელიც რევოლუციამდე ამავე მაზრის სამმართველოს

---

39 სცსსა, ფ. 2080, ან. 1, ს. 333, ფურც. 8.; ქართველები გერმანული დროშის ქვეშ... გვ. 229-230.

40 სცსსა, ფ.2080, ან.1, ს.333, ფურც. 9; ამ 40 მასწავლებელთაგან 30 იყო აზერბაიჯანელი, ხოლო 10 - მესხეთ-ჯავახეთის მაჰმადიან ქართველთა წარმომადგენელი.

41 იქვე. ფურც. 4.

42 იქვე. ფურც. 6-7. „ოზაკომის" საგანგებო-საგამოძიებო კომისიამ გუდიევი მხოლოდ „უხეშობის" ბრალდებით გადაყენა თანამდებობიდან, მაგრამ პასუხისგებაში არ მიუცია. ამის შემდეგ ის აზერბაიჯანში გადაიხვეწა. ახალციხის მაზრის კომისრად დაინიშნა პრაპორშიკი შ. მაღლაკელიძე, რომელიც მანამდე ამავე მაზრის კომისრის მოადგილედ მუშაობდა.

მდივანი იყო[43]. მისი ხელმძღვანელობით ახალქალაქის სამაზრო აღმასკომი სომეხი შოვინისტებით გაივსო.

ზემოაღნიშნული დარღვევების გამო 1917 წ. ზაფხულში დაიწყო და ოქტომბერში ძირითადად დამთავრდა ახალქალაქის და ახალციხის მაზრების და ყარსის ოლქის სასოფლო და სამაზრო აღმასკომების ხელახალი არჩევნები[44]. თუმცა თვისობრივად, პირველ ყოვლისა ეროვნული თვალსაზრისით, არაფერი გაუმჯობესებულა. ახალქალაქის სამაზრო აღმასკომი, რომელიც 41 კაცისაგან შედგებოდა, ძირითადად კვლავ სომხებით დაკომპლექტდა.

იგივე მდგომარეობა იყო ქალაქის თვითმმართველობაშიც. მათ 1918 წ. 2 იანვარს დაადგინეს ახალქალაქის მაზრის თბილისის გუბერნიისაგან გამოყოფა და ალექსანდროპოლის მაზრასთან გუბერნიად გაერთიანება, რასაც „ასაბუთებდნენ" სომხეთთან ახალქალაქის მაზრის გეოგრაფიული, ეკონომიკური, სამეურნეო და ეთნიკური ერთობით, თითქოს ახალქალაქის მაზრაში მოსახლეობის 76% იყო სომეხი და ა.შ.[45]. ამ ვერაგულ იდეას მხარდამჭერები ჰყავდა ამიერკავკასიის კომისარიატის სომეხ ლიდერებს შორისაც, მაგრამ ის ვერ განხორციელდა თვით ახალქალაქის მაზრის ქართული მოსახლეობის ენერგიული პროტესტის და ამიერკავკასიის შინაგან საქმეთა კომისარ აკ. ჩხენკელის მტკიცე პოზიციის გამო. თუმცა სომეხთა მხრივ ტერიტორიული ამბიციების აშკარად გამოვლენის ფაქტი უკვე სახეზე იყო, რამაც შემდეგ კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო.

---

43 იქვე. ს. 459, ფურც. 13-14.

44 იქვე. ს.ს. 431, 442, 448, 451.

45 იქვე. ფ. 2081, ან. 1, ს. 90, ფურც. 1-7.

1917 წ. ახალქალაქის მაზრაში ცხოვრობდა 110 ათასი სული, მათგან 70 ათასი სომეხი. მაზრის 112 სოფლიდან, ქართველი ქრისტიანებით დასახლებული იყო 12 სოფელი, მაჰმადიანებით - 22, დუხობორებით - 9, სომხებით - 61, დანარჩენ სოფლებში

იყო შერეული მოსახლეობა (ცენტრ. ს. 3428, ფურც. 207-201

* * *

ხელისუფლების ახალი ორგანოების შექმნასთან დაკავშირებით გამორჩეულად სპეციფიკური და რთული ვითარება შეიქმნა ომის შედეგად დაკავებულ ლაზეთსა და მთელ ტრაპიზონის ვილაიეთში[46].

1917 წ. 6 აპრილს „ოზაკომმა" ტრაპიზონის და მისი რაიონის დროებით კომისრად დანიშნა I სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატი ფიოდორ ტატარინოვი[47], მაგრამ მისი ხელისუფლება მნიშვნელოვნად იყო შეზღუდული რევოლუციური ორგანოს - ტრაპიზონის „უკრეპრაიონის" (გამაგრებული რაიონის) ჯარისკაცთა აღმასკომის მიერ, რომელიც სტიქიურად შეიქმნა ჯერ კიდევ 9 მარტს. მას ხელმძღვანელობდა 7 კაცისაგან შემდგარი აღმასკომის პრეზიდიუმი, პრაპორშიკ ბროკის თავმჯდომარეობით[48].

ტრაპიზონის აღმასკომი თავის შეხედულებისამებრ ახდენდა რიგი მაღალი რანგის მოხელეების გადაყენება-დანიშვნას. ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესების იგნორირებით დაიწყო აგრეთვე ქალაქსა და სოფლებში არსებული თვითმმართველობების შეცვლა აღმასკომებით[49]. ქ. პლატანის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა კი თვითნებურად მოახდინა თამბაქოს რეკვიზიცია. ამასთან, მის მიერ შემუშავებული და არავისგან დამტკიცებული დებულებით, შეუდგა საქალაქო თვითმმართველობის და სასამართლოს ჩამოყალიბებას[50].

ყოველივე ეს ადგილობრივი მოსახლეობის სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევდა, რაც ტრაპიზონის „უკრეპრაიონის" უფროსს, გენერალ კოლოსკოვსკის პირადად განუცხადა იქაურმა ბერძენმა

---

46 ტრაპიზონის ვილაიეთში შედიოდა 4 სანჯაკი (ოლქი). მათ შორის ერთ-ერთი იყო ლაზისტანის. ის იყოფოდა რიზეს, ოფის, ათინას და ხოფის კაზებად (მაზრა). Корсун Н. Г., Военный обзор Турецкого передового и причерноморского (на участке Батум-Инеболи) театров.., ч. II вып. II, Тифл., 1915, с. 32.

47 სცსსა, ფ.1818; ან. 2, ს. 122, ფურც. 2.

48 იქვე, ფურც. 60-62.

49 იქვე, ს.467, ფურც.55-56.

50 იქვე, ფურც. 50.

მიტროპოლიტმა ხრისნაფმა. ამის შესახებ თვითონ გენერალი ატყობინებდა „ოზაკომს“ და სამართლიანად შენიშნავდა: „არ შეიძლება დაპყრობილი ტერიტორიების ხალხთა რევოლუციური მეთოდებით მართვა, რადგან ამ ხალხს რევოლუციები არ მოუხდენიაო“[51].

1917 წ. სექტემბრისათვის ტრაპიზონის მხარეში ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს გარდა მოქმედებდა ათზე მეტი ეროვნული ორგანიზაცია და კავშირი: ბერძენთა გაერთიანება, სამხედრო მუსლიმანთა კავშირი (220 წევრით), თურქული საზოგადოება (100 წევრი), ტრაპიზონის ებრაელთა წრე, პოლონელთა წრე (400 წევრი), სომხური პარტია „დაშნაკცუთიუნი“ (200 წევრი) და სხვ.[52] აქვე ფუნქციონირებდა ე.წ. „სომეხთა ტრაპიზონის კომიტეტი“, რომელიც 1917 წ. 30 მაისს „ოზაკომმა“ ოფიციალურადაც კი აღიარა[53].

სომეხთა ზღვარსგადაცილებულ გააქტიურებას ხელი შეუწყო რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ 1917 წ. 26 აპრილს მიღებულმა აშკარად ტენდენციურმა და ნაჩქარევმა კანონმა, რომლითაც ომით დაკავებული ოსმალეთის ტერიტორიები და მათ შორის ლაზეთიც, გამოცხადდა ე. წ. „თურქეთის სომხეთად“. მისი საბოლოო სტატუსი უნდა განსაზღვრულიყო მომავალი საზავო ტრაქტატით. „თურქეთის სომხეთის გენერალურ კომისრად“ დაინიშნა გენერალ-ლეიტენანტი ავერიანოვი, მის თანაშემწეებად ივანიცკი და ზავრიანცი[54].

აღნიშნულმა კომისარიატმა მიაღწია იმასაც, რომ მისი სპეციალური ნებართვის გარეშე, 1917 წ. 1 სექტემბრიდან ომით დაკავებულ ოსმალეთის ტერიტორიებთან აიკრძალა საქონელგაცვლა. ეს მძიმე მდგომარეობაში აყენებდა იქაურ მცხოვრებთ, რომელთა 2/3-ზე მეტი ქართული წარმოშობის (ლაზი) იყო. ისინი თავიანთ მოსავალს (დაფნა, თხილი, თამბაქო, ტყავეულობა და სხვ.) ბათუ-

---

51 იქვე. ფ. 1854, ან. 1, 563, ფურც. 5.

52 იქვე. ფ. 1838, ან. 2, ს. 125, ფურც. 51.

53 იქვე. ფ. 2081, ან. 1, ს. 227, ფურც. 7.

54 იქვე. ფურც. 9.

მში ასაღებდნენ და სანაცვლოდ იქვე ყიდულობდნენ მათთვის აუცილებელ საქონელს (სიმინდს, შაქარს, მარილს, ნავთს, ასანთს, მანუფაქტურულ ნაწარმს).

ამ აკრძალვის გასაუქმებლად მემედ აბაშიძემ, ქართველ მუსლიმანთა საქველმოქმედო საზოგადოების სახელით, აღძრა შუამდგომლობა ჯერ ბათუმის საბაჟოს, ხოლო 14 ოქტომბერს „ოზაკომის" წინაშეც[55], მაგრამ უშედეგოდ.

1917 წ. 17 ნოემბერს მ. აბაშიძემ საქონელგაცვლის აღდგენის შესახებ შუამდგომლობა აღძრა ახლად ფორმირებული ამიერკავკასიის კომისარიატის წინაშეც. მას სათანადო საბუთიანობით დაუჭირეს მხარი ბათუმის ოლქის კომისარმა და აღმასკომის თავმჯდომარე ევ.კრინიცკიმ, აკ.ჩხენკელმა და სხვა მოღვაწეებმა. შედეგი მიღწეული იქნა[56].

ომით დაკავებულ ოსმალეთის ტერიტორიაზე სომეხთა გააქტიურებამ ეგზეკუციური ხასიათი მიიღო, რაც ადგილობრივ მაჰმადიანთა უკიდურესი შევიწროებით, რბევით და ჟლეტითაც კი გამოიხატა. მაგალითად, მხოლოდ 1918 წ. 23 იანვარს, ცნობილი შოვინისტის, სურენ უჩინჯიანის მეთაურობით შექმნილი სომეხთა სამხედრო ნაწილის მსხვერპლი გახდა 20 მაჰმადიანი, უფრო მეტი დაჭრილი და დასახიჩრებული იქნა. ამის შესახებ 1918 წ. 30 იანვარს ქართველთა ეროვნული საბჭოს აღმასკომს ბათუმიდან აცნობებდა მემედ აბაშიძე და შენიშნავდა: რომ არა ქართველთა და მუსლიმანთა სამხედრო ნაწილების ჩარევა, მსხვერპლი გაცილებით მეტი იქნებოდაო[57].

ამრიგად, თებერვლის რევოლუციის შემდეგ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, გარდა მთავრობის მიერ დანიშნული კომისრებისა, მრავალგვარი ძველი და ახლად შექმნილი ორგანო თუ პოლიტიკური ძალა ცდილობდა ხელისუფლებაში წილის დადებას. ასეთი

---

55 იქვე, ს. 372, ფურც. 1,6.

56 იქვე, ფურც. 12-14.

57 იქვე, ფ.1836, ან.1, ს. 100, ფურც. 1-2.

მრავალწყობიანობა სერიოზულად ართულებდა ომით გათავისუფლებული ტერიტორიების მართვას და ადგილობრივ მოსახლეობაში აძლიერებდა საპროტესტო განწყობილებას.

ამას ემატებოდა ის სპეციფიკური ვითარებაც, რომ აქ კომპაქტურად მცხოვრები არაქართველები და სხვა გარეშე ძალები ფიქრობდნენ ესარგებლათ რევოლუციის შემდგომი არასტაბილურობით, რათა მოსალოდნელი ანარქიის პირობებში მზად ყოფილიყვნენ ამ რეგიონში თავისი პოლიტიკური ხელისუფლების დამკვიდრებისათვის. ამავე მიზნით შეიქმნა სხვადასხვა მოდგმის ხალხთა „ნაციონალური კომიტეტები". ასეთ ვითარებაში აუცილებელი გახდა სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობაში ეროვნული თვითშეგნების დამკვიდრების, ამ კუთხის ისტორიული წარსულისა და ქვეყნის ერთიანობა-მთლიანობის იდეის პროპაგანდის გაძლიერება, რათა მოსახლეობა მზად ყოფილიყო ყოველგვარი მოსალოდნელი ხიფათის თავიდან ასაცილებლად. ამ მიზნით, მოწინავე ქართველმა მოღვაწეებმა: სულეიმან დიასამიძემ, ჰაიდარ აბაშიძემ, ზექერია შერვაშიძემ, ხასან ვარშანიძემ, ჯემალ ქიქავამ და სხვ. მემედ აბაშიძის თავმჯდომარეობით დააარსეს „ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმანთა კომიტეტი", რომელიც 1917 წ. ზაფხულის დამლევს დაამტკიცა აზიზიეს მეჩეთში შემდგარმა მაჰმადიან ქართველთა წარმომადგენლების კრებამ[58].

დაახლოებით ამავე პერიოდში მ. აბაშიძის ინიციატივით ბათუმში ჩამოყალიბდა აგრეთვე „ქართველ მუსლიმანთა საქველმოქმედო საზოგადოება", რომელიც ზემოაღნიშნულ კომიტეტთან მტკიცე კონტაქტში მუშაობდა (შემდეგ ორივე ორგანიზაცია გაერთიანდა კიდეც) და იდეურად ებრძოდა თურქოფილებს, კერძოდ, ბათუმში არსებულ ბაქოს მუსლიმანთა საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილებას.

ბაქოელთა აღნიშნული განყოფილება ბათუმში დაარსდა ჯერ კიდევ 1916 წ. გაზაფხულზე, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ქ.შ.წ.-კ.გ.ს მიერ აჭარის სოფლებში ქართული სკოლების გახსნამ.

---

58 იხ. მ. აბაშიძე. რჩეული ნაწერები, ბათ., 1973, გვ. 60-61.

ბაქოელ პანისლამისტებს უკვე აღარ აეჭვებდათ მსოფლიო ომში ოსმალეთის დამარცხება და თვლიდნენ, რომ უნდა ეკისრათ კავკასიის მაჰმადიანური მოსახლეობის გამაერთიანებლისა და წინამძღოლის ფუნქცია. მშობლიურ ენაზე სწავლება კი მათ ხელიდან გამოაცლიდა ქართველ მაჰმადიანებს და ბზარს გაუჩენდა ერთიანი ისლამისტური კავკასიის შექმნის იდეას. ამიტომ, ქართული სკოლების საწინააღმდეგო პროპაგანდასთან ერთად, აჭარაში შეუდგნენ თურქულენოვანი აზერბაიჯანული სკოლების გახსნას და იქ მაჰმადიანი ბავშვების მიზიდვას. მათ იმასაც მიაღწიეს, რომ რამდენიმე ოჯახს ქალიშვილები გააგზავნინეს ბაქოს სასწავლებელში, რათა მოემზადებინათ კადრები თურქულენოვანი სკოლებისათვის.

მსგავსი მდგომარეობა იყო სამცხე-ჯავახეთშიც, სადაც კავკასიის მუსლიმანთა შეკავშირების იდეას ომის დასაწყისიდანვე ქადაგებდნენ ბაქოს მუსლიმანთა საქველმოქმედო საზოგადოების რწმუნებულები ექიმ სულთანოვის მეთაურობით. მათ გვერდში დაუდგნენ ტომით ინგუშები, ჩვენს მიერ ზემოთ მოხსენიებული, 1910 წლიდან ახალციხის მაზრის უფროსი გუდიევი და მისი მოადგილე მუსაკიევი. თანამედროვე პირთა ჩვენებით: „ისინი ფანატიკური გატაცებით ებრძოდნენ ყოველნაირ ქართულ მუშაობას ადგილობრივ და გაცხარებული სიმხნევით აქეზებდნენ მუსლიმანობას ქართველების სამტროდ. აშკარად ლაპარაკობდნენ – ქრისტიანმა ქართველებმა რომ 10-15 წლის განმავლობაში კულტურული მუშაობა აწარმოონ ახალციხის მაზრაში, ადგილობრივი ხალხი კვლავ საქართველოს დაუბრუნდება და ეს კავკასიის მუსლიმანების გაერთიანების საქმეს დიდად ავნებსო. შემდეგ მათ აყვნენ ადგილობრივი ბეგებიც.“ თანამედროვეთა მოწმობით „...ამათი განზრახვა იყო გაერთიანება ბათუმ-ყარსის ოლქებისა, მესხეთ-ჯავახეთისა და ოსმალეთის ფარგლებში ავტონომიის მოპოვება, ან დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა“[59].

ამგვარ სეპარატისტულ იდეას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ 1917 წ. აპრილში, როდესაც ბაქოს საქველმოქმედო ისლამური სა-

---

59 სჯმხფ. 3428, ფურც. 19.

ზოგადოების ინიციატივით ქ. ყარსში ჩამოყალიბდა „საიდუმლო ისლამური კომიტეტი“. მალე აბასთუმანში ჩატარდა სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მაჰმადიანთა ყრილობა, რომლის რეზოლუციაშიც ხაზგასმული იქნა ამ რეგიონის ამიერკავკასიისაგან გამოყოფის მიზანშეწონილობა[60].

მათივე მეთაურობით 1917 წ. შემოდგომაზე ახალციხეში ჩატარდა კავკასიის მუსლიმანების (მთიელთა, აზერბაიჯანელთა, ყარსის და ბათუმის ოლქების) წარმომადგენელთა ყრილობა. მისმა მონაწილეებმა დაბეჯითებით მოითხოვეს საქართველოსთან ყოველგვარი პოლიტიკური და კულტურული კავშირის გაწყვეტა[61].

მოწინავე ქართველებმა მაშინვე გაილაშქრეს პანთურქისტების საქმიანობის წინააღმდეგ. ამ მხრივ აღსანიშნავია პრესაში გამოქვეყნებული ჰაიდარ აბაშიძის საპროტესტო წერილები[62], რასაც ფართო გამოხმაურება მოჰყვა და ბაქოელთა მთავარი პროპაგანდისტი და რეზიდენტი რიზა-ბეგი იძულებული გახდა აჭარას გასცლოდა.

ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა ერთობას ხელს უშლიდა აგრეთვე ეროვნულ საკითხზე მარქსისტების კოსმოპოლიტური შეხედულებებიც. მათი აზრით ყოველ მოქალაქეს თვითონ უნდა გადაეწყვიტა თუ რომელ ეროვნებას ეკუთვნოდა. ასეთივე პოზიცია ეკავა ქართველი სოციალ-დემოკრატების გაზეთს „თანამედროვე აზრი“. ამით შეშფოთებული მემედ აბაშიძე წერდა: „სამაჰმადიანო საქართველოს ერთმა ნაწილმა თუ სთქვა, მე ქართველი არ ვარ და თურქი ვარო, ეს მათს შეუგნებლობას უნდა მივაწეროთ და ჩვენი მშობლიური მზრუნველობა არ მოვაკლოთ; უნდა შევიტანოთ მათში ეროვნული შეგნება და მეტყველება, შევასწავლოთ სამშობლო ქვეყნის ისტორია, ლიტერატურა და გეოგრაფია, უნდა შევქმნათ

---

60 Esin (Derinsu) Dayi S., Elviye-i Selase (Kars, Ardahan ve Batum)'de Millo :Teşekilatlanma, Doktora tezi, Erzurum,1991, s.32.

61 სჯმხფ., 3428, ფურც. 20.

62 იხ. მისი „მაჰმადიან ქართველებში“, „ღია წერილი ჩვენს ერთმორწმუნე კავკასიელ თურქებს“ და სხვ. (ჰ. აბაშიძე, წერილები, თბ., 1963 წ., გვ. 93-101). „ჩვენ, ქართველი მაჰმადიანები არავის მივცემთ ნებას, რომ ჩვენ საყვარელ დედაენაზე იერიში მოიტანოსო“ - წერდა ჰ.აბაშიძე.

ისინი ჩვენი ქვეყნის ნამდვილ შვილებად და ჭირსა და ლხინში გამოვიყენოთ... მაგრამ ჩვენი თანამემამულე „თანამედროვე აზრელები“ სულ სხვა რჩევას იძლევიან,“ რასაც ჩვენ ვერ დავყაბულდებით. საოცარია მათი თეორიაო, - განაგრძობს მ. აბაშიძე, - თუ ხალხს მესვეური მართლაც არ ესაჭიროება, მაშინ სოციალ-დემოკრატებმა რაღად შესწირეს „ამდენი მსხვერპლი და ენერგია, რათა შეგნება შეეტანათ პროლეტარიატში, რომ გამხდარიყვნენ ჭეშმარიტი სოციალისტები? განა არ შეეძლო პროლეტარიატს თვით გადაეწყვიტა თავისი ვინაობა?“[63].

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და ეროვნული გათვითცნობიერებისათვის ბრძოლის გაძლიერების შემდგომი ეტაპი იყო საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევა (1917 წ. ნოემბერი), ეროვნული საბჭოს არჩევა და მასთან სამაჰმადიანო საქართველოს საქმეთა სექციის შექმნა[64]. მასში აქტიურად თანამშრომლობდნენ მემედ და ჰაიდარ აბაშიძეები, რეჯებ ნიჟარაძე, ჯემალ ხიმშიაშვილი, ივანე გომართელი, გრიგოლ ვეშაპელი, პართენ გოთუა და სხვ.

სექციაში განიხილავდნენ ბათუმის ოლქის, სამცხე-ჯავახეთის, ლაზეთის და სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს სხვა კუთხეების მოსახლეობის მდგომარეობას, ოსმალური გავლენისაგან მათი გათავისუფლების ღონისძიებებს, მსჯელობდნენ სკოლებში დედაენაზე სწავლების საკითხზე. ამის მიუხედავად, ქართველ მაჰმადიანთა სექციის საქმიანობას, მისი თანამედროვე მოღვაწეები მაინც არადამაკმაყოფილებლად აფასებდნენ, რადგან მუშაობა მიდიოდა ზანტად და არაინტენსიურად[65].

---

63 მ. აბაშიძე. „თანამედროვე აზრი“ და სამაჰმადიანო საქართველო. - იხ. მისი, რჩეული ნაწერები, გვ. 15-17.

64 იხ. შ.ვადაჭკორია, პოლიტიკური პარტიები და საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა (1917), თბ., 1998.

65 დ. ჭუმბურიძე, აჭარის საკითხი 1918-1921 წლებში და ქართული საზოგადოებრივი აზრი, თბ., 1999, გვ. 18-20; ვ. გურული, მ.ვაჩნაძე, ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია (1892-1918), თბ. 1999, გვ.255-300; ა. ხილაგაძე, ვ.გურული, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა (1917-1918), თბ., 2000, 83. 27-34.

* * *

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1917 წ. შემოდგომიდან მწვავე პრობლემად იქცა სურსათით მომარაგება. მასზე ფასები მნიშვნელოვნად აიწია. სავაჭროებში დარჩენილი მარაგის გაყიდვა ხელისუფლების მიერ დაწესებული ნიხრით წაგებიანი გახდა. ამიტომ ვაჭრებმა საქონელი გადამალეს. დაიწყო სპეკულაცია.

ოქტომბრისათვის ბათუმში პურის ფქვილის მხოლოდ ორი თვის მარაგი იყო. ბათუმის საქალაქო სათათბირომ დაადგინა პურის ნორმირებული გაცემა 1 სულზე - 0,5 ფუნტის (200 გრ.) ოდენობით დღეში[66]. ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ რუსეთი ქაოსმა მოიცვა, შეწყდა სატრანსპორტო მიმოსვლა და იქიდან პროდუქტების მიღების ყოველგვარი იმედი გადაიწურა. ამიტომ, ბათუმის სათათბიროს 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით, დადგინდა პურის ფქვილის მცირე მარაგში სიმინდის ფქვილის გარევა და მხოლოდ ამგვარად დღიური მინიმალური ულუფის (200 გრ. სულზე) მოსახლეობისათვის მიწოდება[67].

შექმნილ ვითარებაში ხალხიც ინდეფერენტული გახდა საზოგადო სიმდიდრისადმი. 1917 წ. ნოემბრის დასაწყისში აჭარის ტყეებში, „ღორჯომიდან დაწყებული ჩაქვამდე", გაჩნდა ძლიერი ხანძარი. მის ჩასაქრობად ხალხი არ გამოვიდა, რადგან მთავრობამ არ მისცა მიწა და ტყეო - შენიშნავდა კორესპონდენტი[68].

საზოგადოების მოწინავე ნაწილში დამკვიდრდა აზრი, რომ შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან ქვეყნის გამოყვანისათვის აუცილებელი იყო საფუძვლიანი ეკონომიკური ღონისძიებების გატარება. ამ მიზნით, კვლავ წამოიჭრა ამიერკავკასიის შავიზღვისპირეთში თავისუფალი ნავსადგურის დაფუძნების საკითხი. საზოგადოების ერთი ნაწილი თვლიდა, რომ პრიორიტეტი ამჯერად ფოთის ნავსადგურს უნდა მინიჭებოდა, ხოლო მეორენი ბათუმის ნავსადგურის უპირატესობას ასაბუთებდნენ. ამ მხრივ აღსანიშნავია ბათუმის გამგე-

---

66 აცსა, ფ. 7, ან. 1, ს. 684, ფურც. 6; ფ.6. ს. 894, ფურც. 1-3;

67 იქვე, ფ. 7, ს. 673, ფურც. 6-7.

68 გაზ. „ერთობა", 11 ნოემბერი, 1917, № 193.

ობის მდივნის ივანე მესხის წერილები „ბათუმის თავისუფალი ნავსადგურის საკითხისათვის“, რომელიც 1918 წლის იანვარში გამოქვეყნდა გაზეთ „იუჟნაია რეჩში“. ამ საკითხზე იმსჯელეს ქალაქის სათათბიროშიც.

ი.მესხის განმარტებით მსოფლიო ომამდე შავ ზღვაზე, ოდესის შემდეგ, ბათუმის ნავსადგურს ტვირთბრუნვით მეორე ადგილი ეკავა. ამასთან, ბათუმს წარსულში უკვე ჰქონდა ამგვარი გამოცდილება. ავტორი ყურადღებას მიაქცევდა იმ გარემოებასაც, რომ ბათუმ-ართვინის სამთო-სამრეწველო რაიონში უცხოელ ინვესტორთა აქტიურობაც[69] ქმნიდა საფუძველს ბათუმის ნავსადგურის მნიშვნელობის შემდგომი გაზრდისთვის. აქედან გამომდინარე ი. მესხი დაასკვნიდა, რომ ამიერკავკასიაში ყველაზე უფრო ხელსაყრელი იყო ბათუმის თავისუფალ ნავსადგურად გამოცხადება[70].

სამწუხაროდ, 1918 წ. გაზაფხულზე ამიერკავკასიაში ოსმალეთის ექსპანსიამ ჩაშალა ამ პროექტის პრაქტიკულად განხორციელება.

* * *

ხელისუფლებაში შექმნილ ანარქიულ მდგომარეობას და ცხოვრების პირობების მკვეთრად გაუარესებას, განსაკუთრებით 1917 წ. მეორე ნახევარში, მოჰყვა კრიმინოგენური ვითარების გამწვავება მთელ ამიერკავკასიაში. მდგომარეობას ამძიმებდა კავკასიის ფრონტიდან თვითნებურად დაძრული და სამშობლოსკენ მიმავალი, დემორალიზებული და მარადიორად ქცეული ჯარისკაცობა და ათასობით ლტოლვილი. ბათუმში მოიყარა თავი თბილისიდან და ქუთაისიდან დევნილმა სისხლის სამართლის დამნაშავეთა დიდმა ნაწილმაც.

---

69 ი.მესხის ცნობით, ამ რეგიონში უკვე მოქმედი კომპანიების გარდა, ომის წინ შექმნილა კიდევ ერთი ძლიერი ფირმა „ჭოროხის სპილენძის და მადნეულის საქციო საზოგადოება“ 8 მილიონი რუბლის დამფუძნებელი კაპიტალით. (აცსა, ფ. 16, ან 1, ს. 133, ფურც. 11).

70 ი.მესხის წერილები იხ. აცსა, ფ. 16, ან. 1, ს. 133, ფურც. 7-11.

შექმნილი ფეთქებადსაშიში ვითარების გამო, 1917წ. 5 დეკემბერს, სპეციალურად შეიკრიბა ბათუმის ქალაქის სათათბირო[71]. სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ „უკანასკნელ დროს ბათუმში დაიწყო მანამდე არნახული და არგაგონილი ძარცვები, მკვლელობები, წესრიგის ყოველგვარი დარღვევა და ხულიგნობა". დამნაშავეები უმეტესად გამოწყობილი იყვნენ ჯარისკაცის ფორმაში, რაც მათ საშუალებას აძლევდა დღისით თავისუფლად ემოძრავათ ქალაქში, ხოლო ღამით მათი თარეში იწყებოდა. „ამ დამნაშავე ელემენტებთან ბრძოლა გართულებულია იმით, - ითქვა თათბირზე, - რომ დაკავებისას ისინი დასახმარებლად უხმობენ ჯარისკაცებს და ყვირიან, რომ სამოქალაქოები ურტყამენ, რომ ქართველებს უნდათ რუსების ამოწყვეტა და ა.შ. ეს პროვოკაცია ხშირად აღწევს თავის მიზანს: ქურდს ათავისუფლებენ, ხოლო დამკავებელს სასტიკად სცემენ და ემუქრებიან თვითგასამართლებით". ასეთ ვითარებაში ქალაქის მილიცია უუნაროა, მისი მცირერიცხოვნობის გამოო.

მდგომარეობის გამოსწორებისათვის მიზანშეწონილად მიიჩნიეს: ქალაქის ქუჩების განათების უზრუნველყოფა, ცალკეულ კვარტლებში მოქალაქეთაგან წესრიგის დამცველი რაზმების შედგენა და ღამით მორიგეობა, მილიციის და მისი დაზვერვის სამსახურის რიცხობრივი გაზრდა (რისთვისაც მოსახლეობის ნაწილს მიმართეს ფულადი დახმარებისათვის), ქალაქში მყოფი ქართული ბატალიონის ჯარისკაცთა პატრულირება მთელი ღამით; გაურკვეველი საქმიანობის პირთა ქალაქიდან გასახლება, აგრეთვე, სისხლის სამართლის დამნაშავეთა ხელშემწყობების დაპატიმრება; ქალაქში შემომსვლელ-გამსვლელებზე მკაცრი კონტროლის დაწესება.

გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, 1918 წ. დასაწყისში ვითარება არ შეცვლილა. 3 თებერვალს ბათუმის ოლქის კომისარი თბილისში ხელმძღვანელობას მოახსენებდა: „ძარცვა და ყაჩაღობა უსაზღვროდ გაიზარდა. მასთან საბრძოლველად იქმნება საოლქო მილიციის რეზერვი 150 კაცის შემადგენლობით"[72].

---

[71] აცსა, ფ. 7, ან. 1, ს. 676, ფურც. 13-14.

[72] სცსსა, ფ. 2081, ან. 1, ს. 32, ფურც.1.

ქ. ბათუმსა და მის ოლქში შექმნილი ზემოაღნიშნული ვითარება ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა ყოველგვარი უწესრიგობისა და ავანტიურიზმისათვის, რის ტონის მიმცემნიც 1917 წლის ოქტომბრის შემდეგ უპირატესად იყვნენ ბოლშევიკები. მათივე პარტიული პრესის მოწმობით: უკვე ნოემბრის დასაწყისში ბათუმში გამართულა ბოლშევიკთა და მათ თანამგრძნობთა 1500-კაციანი კრება, რომელიც მიესალმა „რუსეთის დიდ რევოლუციას და მის შემოქმედს - პეტროგრადის პროლეტარიატს". 3 დეკემბერს მათი თაოსნობით ჩატარებულმა სახალხო კრებამ კი ჭეშმარიტ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებად ცნო რუსეთის სახალხო კომისართა საბჭო და სრული ნდობა გამოუცხადა მას[73].

ბოლშევიკების გამოღვიძება-გააქტიურებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იმანაც, რომ ბათუმის ოლქის რუსულ მოსახლეობაში და ტრაპიზონის ფრონტიდან თვითნებურად დაძრულ ჯარისკაცებში აშკარად შეიმჩნეოდა ველიკოდერჟავული სულისკვეთება, ანტიპათია რუსეთისაგან გამოცალკევებული ამიერკავკასიისადმი და სიმპათიები რუსულ-ბოლშევიკური ხელისუფლებისადმი. ბოლშევიკები სწორედ ამ ძალებზე დაყრდნობით გეგმავდნენ საბჭოთა ხელისუფლების გავრცელებას სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზეც. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გაძლიერდა 1918 წ. იანვრიდან, მას შემდეგ, რაც ლენინის მიერ საგანგებო კომისრად დანიშნული სტ. შაუმიანი თბილისში ჩამოვიდა ამიერკავკასიის გასაბჭოებისათვის გამოყოფილი 0,5 მილიონი ოქროს რუბლით. მარტის დასაწყისში ბოლშევიკებმა ამ მიმართებით პრაქტიკული ნაბიჯები ქ. ბათუმშიც გადადგეს, მაგრამ უშედეგოდ. ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით ამავე თავის მესამე პარაგრაფში შევჩერდებით.

---

73 Газ. «Кавказский рабочий», 1917, №№ 194, 223.

§2. ფრონტის რღვევა და პოლიტიკური სიტუაციის გამწვავება

1917 წ. ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ხელისუფლებაში მოსული საბჭოთა მთავრობა არ ცნეს რუსეთის მოკავშირე ანტანტის სახელმწიფოებმა. ასევე არ მიიღეს მისი 1917 წ. 8 ნოემბრის[1] დეკრეტი უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის შესახებ. ახალი ხელისუფლება არ აღიარა რუსეთის გენერალიტეტმა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების უმრავლესობამ, მათ შორის ამიერკავკასიამაც.

იზოლაციაში მოქცეულმა ბოლშევიკურმა მთავრობამ, რომელიც თავდაპირველად მეტად სუსტად გამოიყურებოდა, ძირითად ამოცანად დაისახა მსოფლიო ომიდან სასწრაფოდ გამოსვლა და მთელი ძალების მობილიზაცია ქვეყნის შიგნით ძალაუფლების შენარჩუნება-განმტკიცებისათვის.

ომის დასკვნით ეტაპზე რუსეთთან ზავი აწყობდათ ორ ფრონტზე მებრძოლ გერმანიას და მის მოკავშირეებსაც. 15 დეკემბერს მათ შორის ბრესტ-ლიტოვსკში კიდეც გაფორმდა დროებითი დაზავების ხელშეკრულება, რითაც შეწყდა სამხედრო მოქმედება რუსეთის დასავლეთ ფრონტზე. 22 დეკემბერს იქვე დაიწყო მოლაპარაკება საბოლოო ზავის პირობების შესამუშავებლად, რაც თავიდანვე დაძაბულად წარიმართა და 1918 წ. 3 მარტამდე გაგრძელდა.

1917 წ. 18 დეკემბერს ერზინჯანში ამიერკავკასიასა და ოსმალეთს შორის ხელმოწერილი დროებითი ზავით საომარი მოქმედება შეწყდა კავკასიის ფრონტზეც. ოსმალეთი ჩქარობდა საბოლოო ზავის გაფორმებასაც. ამიტომ, 1918 წ. 14 იანვარს ამიერკავკასიის მთავრობას ოფიციალურად შესთავაზა სეპარატული მოლაპარაკების დაწყება, 16 იანვარს კი - ბრესტში მიმდინარე საზავო კონფერენციაზე დელეგაციის გაგზავნა[2].

---

[1] ამიერიდან ყველა თარიღი მოტანილია ახალი სტილით - მ.ს..

[2] იხ. Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тифл., 1919, с. 24-25, 52.

ამიერკავკასიელმა პოლიტიკოსებმა ეს წინადადებები უპასუხოდ დატოვეს, რადგან მიაჩნდათ, რომ ბოლშევიკების ხელისუფლებაში ყოფნა იყო დროებითი, მათ მიერ დადებული ზავი კი – დღემოკლე.

სამწუხაროდ, იმდროინდელი წამყვანი პოლიტიკოსები ასევე არ გამოეხმაურნენ „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" მიერ 1917 წ. დეკემბერში ბერლინიდან გამოგზავნილ შეტყობინებას, რომ გერმანიის მთავრობა მზად იყო ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და დაეცვა მისი ინტერესები საზავო კონგრესზე. „დამკომი" მოითხოვდა არ დაეყოვნებინათ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და ბერლინში ოფიციალური დელეგაციის გაგზავნა, ან ასეთი რწმუნებით თვით „დამკომი" აღეჭურვათ. იმავდროულად, გიორგი მაჩაბელი ბერლინიდან გადავიდა ბრესტში და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მოლოდინში, 1918 წ. შუა თებერვლამდე, როგორც „უმანდატო", უშუალოდ აკონტროლებდა მოლაპარაკების მსვლელობას, რომ იქ არ დაეშვა საქართველოსათვის რაიმე ტერიტორიული დანაკარგი.

1918 წ. იანვარში ბრესტის საზავო კონფერენციაზე ოსმალებმა სცადეს დაესვათ ბათუმ-ყარს-არტაანის დაბრუნების საკითხი, მაგრამ „დამკომმა" მაშინვე წერილობით მიმართა გერმანიისა და მისი მოკავშირეების მთავრობებს. მასში დასაბუთებული იყო, რომ „აჭარა და ბათუმი საქართველოს ისტორიული კუთვნილებაა". ამდენად, ოსმალთა მიერ ამ საკითხის დასმა საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევად განიხილებოდა. ამავე საკითხზე გიორგი მაჩაბელი პირადად შეხვდა ოსმალეთის დიდ ვეზირს და ბრესტის კონფერენციაზე საზავო დელეგაციის მეთაურ თალაათ ფაშას. კიდევ მეტი, გ. მაჩაბელმა „იმდენი მოახერხა, – წერს მ. წერეთელი, – რომ გერმანელების გაელენით (ბრესტში) შეადგინეს პროტოკოლი, რომელზედაც ხელს აწერდა სამი წარმომადგენელი ოსმალეთისა, რომ საქართველოს ზემოხსენებულ ნაწილებზე პრეტენზიას არ აცხადებდნენ თანახმად ჩვენს კომიტეტთან წინანდელი ხელშეკრულებისა"[3].

---

[3] მ. ხიორიძე, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, გვ. 102-104; იგულისხმება „დამკომსა" და ოსმალეთის მთავრობას შორის 1915 წ. სექტემბერში დადებული ხელშეკრულება, რომლითაც ეს უკანასკნელი ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას 1914 წ. ომამდელ საზღვრებში.

სამწუხაროდ, ქართველი სოციალისტები არ გამოეხმაურნენ გერმანიის ზემოხსენებულ წინადადებას. ამგვარი პოზიციით მნიშვნელოვნად შეფერხდა არა მარტო ქვეყნის დამოუკიდებლობის, არამედ მისი სახელმწიფოებრივი მშენებლობის და განმტკიცების საქმეც. ამასთან, ხელიდან გაუშვეს 1914 წ. რუსეთ-ოსმალეთის საზღვრებში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესაძლებლობაც.

საქართველოს დამოუკიდებლობა შედიოდა გერმანიის ინტერესებშიც, რადგან ის გეგმავდა რუსეთის იმპერიის დანაწევრებას, უპირველესად კი მისგან განაპირა ეროვნული ერთეულების ჩამოცილებას. გერმანელებმა უკრაინის დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ცნეს იგი და მიაღწიეს მისი წარმომადგენლების დაშვებას ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციაზე. ამავე მიზნით მოლაპარაკებას შეუდგნენ სამხრეთი რუსეთის ავტონომიურ წარმონაქმნებთანაც.

ამიერკავკასიაში კი ამ დროს დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები არ ჩამოყალიბდა. სახეზე იყო მხოლოდ საბჭოთა რუსეთისაგან განმდგარი ამიერკავკასია კომისარიატით სათავეში, რომელიც თავს იკავებდა დამოუკიდებლობის გამოცხადებისაგან. ერთიანი რუსეთის აღდგენის მოტრფიალე ამიერკავკასია კი არც ოსმალეთს აწყობდა და არც გერმანიას. ამას დაემატა ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა დელეგაციის მხრივ, დროის გაყვანის მიზნით, მოლაპარაკების ხელოვნურად გაჭიანურება[4]. ამიტომაც, 9 თებერვლის ულტიმატუმზე ლ.ტროცკის უარის შემდეგ, 11 თებერვალს გერმანიის გენშტაბიდან ოსმალეთს მისცეს წინადადება კავკასიის ფრონტზეც განეკითარებინა შეტევა, რათა უფრო დამთმობი გაეხადათ რუსეთის მთავრობა. ოსმალებმაც დაუყოვნებლივ ისარგებლეს ხელსაყრელი შემთხვევით და მეორე დღესვე შემოუტიეს.

ჩვენი აზრით, ზოგადად რუსეთზე და მათ შორის ამიერკავკასიელ პოლიტიკოსებზე გერმანელების გაგულისებითაც იყო გამოწვეული, რომ 23 თებერვალს საბჭოთა დელეგაციისათვის გადაცემულ ნოტაში (მე-5 პუნქტში) ოფიციალურად პირველად დასვეს ბათუმის, ყარსის და არტაანის ოსმალეთისათვის გადაცემის მოთხოვნაც[5].

---

[4] იხ. История дипломатии, т . III, М., 1965, с. 85-91.

[5] იქვე, გვ. 93.

გერმანიის ამ ულტიმატუმის გარკვეულწილ გასანეიტრალებლად, მე-5 პუნქტის შესახებ, საბჭოთა მთავრობამ აცნობა ამიერკავკასიის ხელისუფლებასაც. ამ უკანასკნელმა მაშინვე საპროტესტო ნოტებით მიმართა ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციას და მასში მონაწილე სახელმწიფოთა დედაქალაქებს[6], მაგრამ ფორმალურად კვლავ რუსეთის შემადგენლობაში მყოფი ამიერკავკასიის ხელისუფლების პროტესტი სათანადო იურიდიულ ძალას მოკლებული იყო. გარდა ამისა, შექმნილ ვითარებაში, რაიმეს შეცვლაც აღარ შეიძლებოდა. 3 მარტს ბრესტში ხელმოწერილი საბოლოო ზავის მე-4 მუხლით ყარსის, არტაანის და ბათუმის ოკრუგების თვითგამორკვევის საფუძველზე ამიერკავკასიაში უნდა აღდგენილიყო რუსეთ-ოსმალეთის 1877 წ. სახელმწიფო საზღვარი[7].

დროებით დაზავების შემდეგ გაძლიერდა რუსთა ჯარების მიერ ფრონტის თვითნებურად მიტოვება. თუმცა, თანამედროვე სამხედრო პირთა ცნობით, „დეზერტირობამ შეზღუდული ფორმით თავი იჩინა უკვე თებერვლის რევოლუციის მომდევნო თვეებში"[8]. ფრონტის რღვევის საწყისი მიზეზი იყო დისციპლინის მოშლა არმიაში და მისი პოლიტიზირება, რასაც სათავე დაუდო პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს №1 ბრძანებამ, რომლითაც ჯარისკაცებს მიეცათ ჩვეულებრივი მოქალაქის ყველა უფლება. ამიერიდან სამხედრო ნაწილებში ირჩევდნენ ჯარისკაცთა საბჭოებს, კომიტეტებს, აწყობდნენ მიტინგებს და ა.შ. ჯარი თანდათან გამოვიდა მეთაურთა მორჩილებიდან.

---

6 Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, с. 85-86.

7 ბრესტის საზავო ხელშეკრულების ტექსტი იხ. Международные отношения и внешняя политика СССР (Сб. документов) 1871-1957 гг., М., 1957, с. 55-56.

8 ვ.თევზაძე, ქართველი ოფიცრის ჩანაწერები, თბ., 1990, გვ. 11. ფრონტიდან გამოპარვის გარდა ჯარში ფეხი მოიკიდა დეზერტირობის სხვა, უფრო შენიღბულმა ფორმამაც. კერძოდ, შვებულებით მიდიოდნენ სახლში და უკან აღარ ბრუნდებოდნენ. ეს გაადვილდა 1917 წ. ზაფხულიდან, როცა დროებითი მთავრობის კანონით შვებულება ეძლეოდა ჯარისკაცს თუკი გარდაეცვლებოდა მამა, ან ძმები უნდა გაყრილიყვნენ და მიეღოთ თავიანთი წილი მემკვიდრეობა. „ასეთი შვებულების მისაღებად საკმარისი იყო სასოფლო თემის კომისრის მიერ ბეჭდით დამოწმებული ცნობის გაგზავნა სამხედრო ნაწილში". ასეთი ბეჭდიანი ცნობის შოვნა კი ძნელი არ იყო - შენიშნავს მემუარისტი (სჯმხფ, ს. 4641, ფურც. 53).

არმიაში გავლენის მოპოვებას ცდილობდა ყველა პოლიტიკური ძალა. ამ მხრივ აღსანიშნავია ბოლშევიკური პარტია, რომელმაც სათანადოდ შეაფასა გაჭიანურებული ომისადმი ხალხის მზარდი უკმაყოფილება და გააჩაღა ანტისაომარი პროპაგანდა. ბოლშევიკების გავლენა კიდევ უფრო გაიზარდა რუსეთში ხელისუფლების სათავეში მათი მოსვლის, აგრეთვე, „ზავის" და „მიწის" შესახებ დეკრეტების გამოქვეყნების შემდეგ. ამანვე გააძლიერა ფრონტის რღვევაც. ჯარისკაცთა მასა, რომელიც ძირითადად გლეხებისგან შედგებოდა, შინისაკენ ისწრაფვოდა, რათა მემამულეთა და სამონასტრო მიწების დანაწილებისას არ დაეკარგათ თავიანთი წილი.

ვითარება დაიძაბა კავკასიის ფრონტზეც. ჯარების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოვიდა მეთაურთა მორჩილებიდან, მოითხოვა ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტა და ზავის დადება. ამის წინააღმდეგი წავიდა ტრაპიზონის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ესერული ხელმძღვანელობა. მაშინ მე-8 არმიის ჯარისკაცებმა განაცხადეს, რომ მთავრობის უარის შემთხვევაში, თვითონ დადებდნენ ზავს[9]. 39-ე დივიზიის ჯარისკაცებმა კი ფრონტი ერთიანად მიატოვეს და რუსეთისკენ გაუდგნენ გზას[10].

ასეთ ხელსაყრელ პირობებში ტრაპიზონელი ბოლშევიკებიც გაემიჯნენ ერთიან სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და 1917 წ. დეკემბრის დამლევს ტრაპიზონის დეპუტატების საბჭოს ხელმძღვანელობაშიც მოიპოვეს უმრავლესობა. მის თავმჯდომარედ გავიდა ბოლშევიკი ბესარიონ კვირკველია, სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარედ კი - დათიკო ნასარიძე[11].

ფრონტის მოშლა ბოლშევიკებმა დაიწყეს ჯერ კიდევ დროებითი მთავრობის პერიოდში, როდესაც კურსი აიღეს მისი შეიარაღებული აჯანყებით დამხობისა და ძალაუფლების დაპყრობისაკენ. ასეთი ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობით მათ, ფაქტობრივად, მეხუთე

---

9 ჯ. ცქვიტარია, აჭარის კომუნისტური ორგანიზაციის ისტორიიდან (1917-1922), გვ. 51.

10 Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, с. 71.

11 ჯ. ცქვიტარია, დასახ. ნაშრ., გვ. 52-55.

კოლონის როლი შეასრულეს რუსეთთან მებრძოლი გერმანიისა და მისი მოკავშირეებისათვის.

უკანასკნელ პერიოდში არაერთი დოკუმენტი გამოქვეყნდა გერმანიის და მისი მოკავშირე სახელმწიფოების სპეცსამსახურებთან ბოლშევიკთა ზოგიერთი ლიდერის პირდაპირი თუ არაპირდაპირი თანამშრომლობის შესახებ. ამ მხრივ გამონაკლისი არც ტრაპიზონელი ბოლშევიკები იყვნენ. უცხოეთის სპეცსამსახურთან დაკავშირებული პირის აღიარებით: გერმანიის დაზვერვის ემისარმა ფონ კუნმა „მოახერხა ტრაპიზონის აღმასკომის თავმჯდომარის ბ. კვირკველიას და მისი ამხანაგის დ. ნასარიძის მოსყიდვა. მათ უნდა მიეღოთ ზომები იმისათვის, რომ ჯარისკაცები თვითნებურად წასულიყვნენ ტრაპიზონიდან სამშობლოში - რუსეთში. ამ სახით მათ ბიძგი უნდა მიეცათ ჯარისკაცთა ბოლშევიკურ კრებებზე... დაახლოებით სექტემბრის ბოლოს (1917 წ. - მ.ს.) კვირკველიამ და ნასარიძემ ჩემი თანდასწრებით ფონ-კუნისაგან მიიღეს ფული - კვირკველიამ –180 ათასი, ნასარიძემ 100 ათასი რუბლი; ორივეს ფული გადაუხადეს ოქროთი, თურქული მარკებით"[12].

ფრონტის რღვევამ იმდენად სტიქიური ხასიათი მიიღო, რომ კავკასიის არმიის II ყრილობის მიერ არჩეულმა ბოლშევიკური ორიენტაციის სამხარეო საბჭომაც კი, 1918 წ. 11 იანვარს, ჯარისკაცებს მიმართა მოწოდებით: „არ დატოვოთ პოზიციები თვითნებურად, სახკომსაბჭოს და არმიის სამხარეო ცენტრის გადაწყვეტი-

---

[12] იხ. სცსსა, ფ. 1854, ს. 725, ფურც. 1-24. ეს აღიარება შედგენილია 1918 წ. 10 მაისს, თბილისის ციხეში დაკითხვის დროს და ეკუთვნის ოზურგეთის მაზრის მცხოვრებს, 23 წლის ლევან ლევარსის ძე ბოლქვაძეს. ის 1910-1914 წლებში სწავლობდა ქ. სამსუნის ფრანგულ კოლეჯში, სადაც მსოფლიო ომის წინ გადაბირეს. ომის პერიოდში ასრულებდა მეკავშირის როლს „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" ტრაპიზონის განყოფილებასა და საქართველოში მის თანამოაზრეთა შორის. მისივე სიტყვით, ფონ-კუნი მას გაუცნია 1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ტრაპიზონში. 1918 წ. იანვარში ის ფონ-კუნთან ერთად ჩამოსულა ბათუმში, სადაც ამ უკანასკნელს კვირკველია-ნასარიძის ხელშეწყობით მოუსყიდია აქ მყოფი რუსეთის ფლოტი, რომ მას მიეტოვებინა ბათუმი, ასევე მფრინავი იუნკეროვი და ბათუმის გარნიზონის ზოგიერთი სხვა ოფიცერი. მათ ოსმალთა შემოტევის დროს უნდა აეფეთქებიათ ბათუმის ფორტები. ბოლოს ლ. ბოლქვაძე, როგორც თვითონ აღნიშნავს, მიმხვდარა, რომ ანტიქართულ საქმეს აკეთებდა და თაეისი ფეხით გამოცხადებულა ბათუმის სიმაგრის კომენდანტთან.

ლების გარეშე. ფრონტიდან გამოუტანელი დარჩება სურსათის და იარაღის მარაგი და ასეულობით მილიონი რუბლის სხვა ქონება. თქვენ არ უნდა გააშიშვლოთ ფრონტი და მიატოვოთ მოსახლეობა... მძარცველი ბანდების ამარა, დროებითი ზავი დადებულია, საბოლოო ზავიც ახლოსაა, კავკასიის არმიის ახალი სამხარეო საბჭო დაუყოვნებლივ შეუდგება არმიის გეგმაზომიერ დემობილიზაციას"[13].

ფრონტის რღვევასთან დაკავშირებით ბოლშევიკების მიერ ტაქტიკის შეცვლა საგარეო საფრთხის გარდა უფრო იმით იყო ნაკარნახევი, რომ პეტროგრადსა და მოსკოვში ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ, პირველ თვეებში, საბჭოთა ხელისუფლება ინერციის ძალით დამყარდა რუსეთის შიგა გუბერნიებში და აქტიურად მოიწევდა სამხრეთისკენ. შექმნილ ვითარებაში ამიერკავკასიელი ბოლშევიკების წინაშე ცენტრმა დასვა ორი პარალელური ამოცანა: ერთი მხრივ, უზრუნველეყოთ მათ გავლენაში მყოფი ჯარების მნიშვნელოვანი ნაწილის გადაყვანა ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად; მეორე მხრივ, მათზე დაყრდნობით მოეხდინათ ამიერკავკასიის გასაბჭოებაც. ეს გეგმა არ გამორიცხავდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას „ოსმალეთის ლაზეთშიც". ამისათვის, როგორც აღვნიშნეთ, ტრაპიზონელი ბოლშევიკები უკვე 1917 წ. დეკემბრიდან ემზადებოდნენ, მაგრამ ბრესტის ზავმა ჩაშალა აქ მათი სახელისუფლებო გეგმები. მათ ვერც ფრონტის რღვევის სტიქიური პროცესის შეჩერება შეძლეს.

ფრონტის რღვევას გარკვეული სტიმული მისცა ამერკავკასიის მთავრობის უუნარობამ მინიმალურად მაინც უზრუნველეყო მოქმედი არმიის მომარაგება. ამ მიზეზით, 1916-1917 წწ. ზამთრის კამპანიის დროს კავკასიის ფრონტზე შიმშილით, სურავანდით და სხვა ავადმყოფობებით მწყობრიდან გამოვიდა ჯარისკაცთა მნიშვნელოვანი რაოდენობა[14]. ფურაჟის უქონლობის გამო დაკარგეს ცხენების დიდი

---

13 Борьба за победу Советской власти в Аджарии. Сб. документов, с. 102-103.

14 პროფ. ს. ჩხარტიშვილის ცნობით უკვე 1916 წ. ოქტომბრისათვის კავკასიის ფრონტის თითქმის 600-ათასიანი ჯარისკაცთა შემადგენლობიდან, 145 ათასზე მეტი იმყოფებოდა ლაზარეთებში და გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში (ს. ჩხარტიშვილი, რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში (1914-1917 წწ.) თბ., 1957, გვ.143).

ნაწილი. უარესი მდგომარეობა ისახებოდა დამდეგი 1917-1918 წწ. ზამთრისათვის. ამის შესახებ დაუფარავად განაცხადა კავკასიის ფრონტის შტაბის უფროსმა გენერალმა ლევანდოვსკიმ ამიერკავკასიის გუბერნიების კომისრების და ქალაქისთავების ყრილობაზე, რომელიც ჩატარდა თბილისში 1917 წ. 21-23 ოქტომბერს[15]. გენერლის თქმით, არმიის მომარაგებაში შექმნილი მწვავე კრიზისის გამო, აუცილებელი იყო დაზამთრებამდე ზურგში გადმოეყვანათ მთელი კავალერია (ფრონტზე რჩებოდა ცხენების მხოლოდ 1/100), არტილერიის 1/2 და ფეხოსანთა ჯარის 1-3 ნაწილი. მათგან, სარდლობა, ჩრდილოეთ კავკასიაში მხოლოდ კავალერიის გადაყვანას თვლიდა შესაძლებლად, ხოლო დანარჩენი სახეობის ჯარები ამიერკავკასიაში უნდა განეთავსებინათ. ამ გადაწყვეტილებას წინ აღუდგნენ ყარსის და ბათუმის ოლქების კომისრები და ქალაქისთავები, რადგან ამ მხარეში უკვე ისედაც ჭარბად იყვნენ ლტოლვილები და ჯარები (მარტო ბათუმსა და მის შემოგარენში ამ დროისათვის 20 ათასამდე ჯარისკაცს მოითვლიდნენ, ხოლო ქუთაისში - 11 ათასს). ისინი, სურსათის მწვავე ნაკლებობის და მძიმე სანიტარიული მდგომარეობის პირობებში, ჯარისკაცთა ახალი კონტინგენტის მათ ოლქებში განთავსებას შეუძლებლად მიიჩნევდნენ. ამასთან ხაზგასმით მიუთითეს, რომ დისციპლინადავიწყებულ ჯარებს ადგილებზე შემოჰქონდათ ანარქია.

გენერალმა ლევანდოვსკიმაც აღიარა ჯარებში დისციპლინის მორყევა, ამიტომ მხარი დაუჭირა „ოზაკომის" წინადადებას ეროვნული პოლკების შექმნის შესახებ და ითხოვა ეროვნული კომიტეტების თანადგომა ამ საქმეში. მისი აზრით, რკინიგზის ყველა საკვანძო სადგურში უნდა განლაგებულიყო ეროვნული სამხედრო ნაწილები, რომლებიც აღმოფხვრიდნენ გაუგებრობებს ჯარის ნაწილების ზურგში გადმოყვანისას.

1917 წ. 1 დეკემბერს გამოქვეყნდა კავკასიის არმიის სარდლის გენერალ პრჟევალსკის ბრძანება, რომლითაც „ფრონტის სურსათით მომარაგებაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო" გა-

---

15 იხ. სცსსა, ფ. 2080, ან. 1, ს. 428, ფურც. 3-21.

მოცხადდა 1901-1905 წწ. გაწვევის ჯარისკაცთა დემობილიზაცია[16]. შემუშავდა მათი ევაკუაციის გრაფიკი და მარშრუტი, რომლითაც მე-5 კორპუსის ნაწილები ტრაპიზონიდან ზღვით უნდა გადაეყვანათ ევპატორიაში ან ნიკოლაევში; თურქესტანის მე-5 დივიზია ტრაპიზონიდან-ბათუმსა და ფოთში, აქედან კი რკინიგზით - ბაქოში, შემდეგ - კასპიის ზღვით თურქესტანის მხარეში; კავკასიის სასაზღვრო ფეხოსანთა დივიზია - სტავროპოლის მხარეში და ა.შ.[17] მაგრამ ჯარისკაცები დემობილიზაციის გეგმას არად აგებდნენ და იარაღასხმულები ფეხით მოეშურებოდნენ ფრონტიდან. 1918 წ. იანვრის დასაწყისში ბათუმის ციხე-სიმაგრის კომენდანტი კავკასიის ფრონტის სარდალს ატყობინებდა, რომ გახშირდა ფრონტიდან ჯარების თვითნებურად მოსვლა. „გთხოვთ გამოუცხადოთ ჯარებს, რომ ბათუმში საერთოდ არაა თავისუფალი შენობები. სურსათი დალევის პირზეა... ჯარების გეგმაზომიერ ევაკუაციაში უკვე ქაოსია"[18].

ჩრდილოეთ კავკასიაში ვითარების გამწვავების გამო, მალე ამიერკავკასიის რკინიგზაზეც შეწყდა მოძრაობა და ბაქოს გავლით ჯარების ევაკუაცია შეუძლებელი გახდა. 25 იანვარს კავკასიის ფრონტის შტაბის უფროსი სევასტოპოლის, ნოვოროსიისკის და ბათუმის საზღვაო კომიტეტებს ატყობინებდა — ამ საშინელ ყინვაში გზაზე მყოფ ჯარებში მოსალოდნელია ბუნტი. ამიტომ, აუცილებელია მათი ევაკუაცია მოხდეს ზღვით, ბათუმის პორტიდანო[19].

ამიერკავკასიის მთავრობამ ფრონტის დაცარიელებული უბნების შევსება დაიწყო ახალშექმნილი და მცირერიცხოვანი ქართული[20]

---

16 იქვე. ფ. 1818, ან. 2, ს. 34, ფურც. 39.

17 იქვე. ფურც. 82.

18 იქვე. ფურც. 94; იქვე, ფ. 1968, ან. 1, ს.22, ფურც. 60.

19 იქვე. ფ. 1818, ან. 2, ს. 34, ფურც39.

20 უმეტეს შემთხვევაში ქართველი მებრძოლები არ ტოვებდნენ პოზიციებს. მაგალითად, 1918 წ. იანვარში ტრაპიზონიდან დემობილიზებული თურქესტანის კორპუსის 2 ათასამდე ქართველი ჯარისკაცი ადგილზე დარჩა, რომელთაგან შტაბს - კაპიტანმა კაპანაძემ შექმნა 2 ბატალიონი (იქვე, ფურც. 138). შეენიშნავთ, რომ ქართ-
ველი ინვალიდების ერთეული მოქალაქეები ასრულებდა, ხოლო საერთოდ
წ�ბრძოლებში.

და სომხური ნაწილებით. თუმცა ამ უკანასკნელში აშკარად შეიმჩნეოდა სამხედრო ვალდებულების თავიდან აცილების ტენდენცია. მაგალითად, ახალქალაქის მაზრის კომისარი ი. პიგიკიანი 1917 წ. 25 ოქტომბერს თბილისის გუბერნიის კომისრისათვის წარდგენილ ანგარიშში იძულებული იყო ეღიარებინა შემდეგი: „ჯარში გაწვეულთა 50%-ზე მეტი კვლავ მაზრაში დასეირნობს, ჩვენი არავითარი მოწოდება მასებზე არ მოქმედებს. ვაწყობთ ალყებსაც, ვაპატიმრებთ დეზერტირებს მთელი სოფლიდან, მაგრამ ისინი გზიდან ახერხებენ გაქცევას და უკან ბრუნდებიან. ერთი კვირის შემდეგ ეს სოფელი კვლავ ივსება დეზერტირებით"[21]. გარდა ამისა, სომეხთა ცალკეულ რაზმებში აშკარად შეიმჩნეოდა ფრონტის წინა ხაზზე წასვლისაგან თავის არიდების მისწრაფება. ამჯობინებდნენ ზურგში დარჩენას, ადგილობრივ მაჰმადიანთაგან სომხური მოსახლეობის დაცვის მომიზეზებით.

ერზინჯანში, ოლთისში, ყაღიზმანში და ზოგ სხვა პუნქტში ადგილი ჰქონდა სომეხი რაზმელების მიერ ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის დარბევის ფაქტებს, აგრეთვე, მათ შორის სისხლისმღვრელ შეტაკებებს. ეს კარგად გამოიყენა ოსმალეთის მხარემ და ამიერკავკასიის მთავრობასთან არაერთხელ იჩივლა 1918 წ. იანვარ-თებერვლის ნოტებით[22]. მათში ფაქტები გაზვიადებულად იყო წარმოდგენილი და ჩანს, მიზნად ისახავდა ნიადაგის მომზადებას ოსმალეთის არმიის წინ წამოსაწევად.

12 თებერვალს კავკასიის არმიის სარდალმა, გენერალ-ლეიტენანტმა ი.ოდიშელიძემ ვეჰიბ ფაშასგან მიიღო უფრო პრეტენზიული ტელეგრამა, რომელშიც მუქ ფერებში იყო დახატული მუსლიმანურ მოსახლეობაზე სომეხთა ძალადობა. „მე ველარ შევძლებ ჩემი ჯარების შეჩერებას მდუმარე მოწმეების როლშიო" - იტყობინებოდა ოსმალთა მთავარსარდალი, - მათი სიცოცხლის და ქონების დაცვის მოვალეობა მაიძულებს დავიკავო ის ადგილები, რომელიც დატოვეს რუსეთის ჯარებმა[23].

---

21 სჯმხფ. ს. 3428. ფურც. 108-109.

22 Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, с. 41-46.

23 იქვე. გვ. 49-50.

კავკასიის ფრონტის სარდალმა გენ. ლებედინსკიმ, ძალების მცირერიცხოვნობის გამო თავი აარიდა ოსმალებთან შეტაკებას, უბრძანა ჯარებს დაეტოვებინათ სადემარკაციო ხაზი და დაეხიათ ახალ თავდაცვით მიჯნაზე. ამასთან, მან, 14 თებერვალს ვეპიბ ფაშასადმი გაგზავნილი დეპეშითა და მორიგების წინადადებით სცადა ოსმალთა შემოტევის შეჩერება[24], მაგრამ უშედეგოდ, მოწინააღმდეგე მთელ ფრონტზე განაგრძობდა წინსვლას.

ამიერკავკასიის ჯარების ზურგში ამოქმედდნენ ქურთების და „ჩეთეს" რაზმები. ისინი წვავდნენ ხიდებს, აზიანებდნენ გზებს, რითაც აფერხებდნენ მოწესრიგებულ უკანდახევას. ვერ მოხერხდა არტილერიისა და მოძრავი ტრანსპორტის დიდი ნაწილის ევაკუაცია. ძლიერი სიცივეების გამო უკანდახეულმა მეომრებმა და ლტოლვილებმა ასეულობით კაცი დაკარგეს მოყინულთა სახით. ამას დაერთო ძლიერი სულიერი დეპრესიაც. ერზინჯანის რაზმის უფროსის, პოლკოვნიკ მორელის ცნობით: „სამხედროთა და მოხალისეთა შორის შეიმჩნევა ძლიერი სწრაფვა ზურგში წასვლისაკენ. ასევე დაქვეითებულია მებრძოლი სული ოფიცერთა დიდ ნაწილშიც"[25].

შექმნილ ვითარებაში ოსმალთა ჯარები სწრაფად წამოვიდნენ წინ. 13 თებერვალს დაიკავეს ქ. ერზინჯანი, შემდეგ - გიუმუშხანე, ბაიბურთი და ტრაპიზონი, 12 მარტს დაეცა არზრუმი, ხოლო 19 მარტს - არტაანიც. ამით მათ გადმოლახეს რუსეთ-ოსმალეთის 1914 წ. საზღვარი.

უკანდახეულ ჯარს წინ უძღოდა ლტოლვილთა დიდი მასა, რომელთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა თავი მოიყარა ბათუმში. ამის შესახებ კორესპონდენტი იუწყებოდა: „ოსმალეთის ფრონტის დაცარიელებამ (უმთავრესად ტრაპიზონის ფრონტის დაცლამ) ბათუმი ჭრელი ხალხით ააესო. ვინ გინდა, რომ დღეს ბათუმში არ იყოს: ეპოლეტახდილი გენერალ-აფიცრები, ჯარისკაცები, მატროსები, ბედის მაძებარი სპეკულანტი მოიჯარადრენი, ინჟინრები, უსახ-

---

[24] Документы и материалы по внешней политике ... с. 49-51.

[25] იქვე, გვ. 57-60.

ლკარო ბერძნები, სომხები და სხვები. ქალაქი საესეა ლტოლვილებით...“[26].

ამრიგად, ფრონტის მოშლა და განადგურების პირას მყოფი ოსმალეთის სამხედრო წარმატება ამიერკავკასიაში განაპირობა რუსეთის 1917 წ. თებერვლის რევოლუციის და ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების შედეგად წარმოქმნილმა საერთო ანარქიამ და ქაოსმა; არმიის პოლიტიზირებამ და ამ საფუძველზე მხედრული დისციპლინის მოშლამ; ბოლშევიკების ვიწრო პოლიტიკურმა ინტერესებმა, რაც ნაკარნახევი იყო არმიაზე დაყრდნობით ცენტრში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და განაპირა რეგიონებში მისი გავრცელების მისწრაფებებით. ამას ემატებოდა ამიერკავკასიის მთავრობის ძალაუფლების შეზღუდულობა და უუნარობა ერთიან სახელმწიფოებრივ საწყისებზე მოეწყო ქვეყნის თავდაცვა; აშკარად იგრძნობოდა ის წინააღმდეგობანიც, რაც არსებობდა ამ მხარეში ფეხმომაგრებულ სოციალისტურ პარტიებს, აგრეთვე, ამიერკავკასიის სხვადასხვა მენტალიტეტის, რელიგიური აღმსარებლობის და პოლიტიკური ორიენტაციის ხალხებს შორის, რასაც კიდევ უფრო ამწვავებდა მოწინააღმდეგის მიერ კარგად მომზადებული სადაზვერვო და პროპაგანდისტული აპარატის ძირგამომთხრელი საქმიანობა.

§3. 1918 წლის მარტის მოვლენები ბათუმში

1918 წ. მარტში ქ.ბათუმში განხორციელდა მნიშვნელოვანი სამხედრო და პოლიტიკური ღონისძიებები, რამაც გააუნებელყო მეკობრედ ქცეული რუსეთის მეზღვაურები და ბათუმის ბოლშევიკური გვარდია (ე.წ. „საზღვაო ასეული“), ქალაქში აღსდგა წესრიგი და ახლად ჩამოყალიბებულმა ამიერკავკასიის ფედერაციამ შეინარჩუნა დასაკარგავად განწირული სამხედრო-საზღვაო ფლოტი.

---

[26] გაზ. „ერთობა“, 21 თებერვალი 1918 წ., №42.

აღნიშნული საკითხები საბჭოთა ისტორიოგრაფიაში წარმოჩენილი იყო არაობიექტურად, ბოლშევიკური პრიზმით[1]. ამგვარ ქარგას, თავის დროზე, ვერ გავცდით ჩვენც[2]. ამიტომ, კვლავ დავუბრუნდით აღნიშნულ პრობლემას[3].

„საზღვაო ასეული" შეიქმნა 1917 წ. დეკემბერში, ბოლშევიკური პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის დადგენილებით, დასავლეთი საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან მობილიზებულთაგან. ოფიციალურად მას დაერქვა „ცენტროფლოტის დამცავი რაზმი", რადგანაც ის განაოავსეს ბათუმის პორტის ტერიტორიაზე და ფორმალურად დაუქვემდებარეს სამხედრო-საზღვაო კომიტეტს (ამდენად მას „საზღვაო ასეულსაც" უწოდებდნენ). რაზმი პარტიული ხაზით ემორჩილებოდა ბოლშევიკების ბათუმის კომიტეტს, სამხედრო თვალსაზრისით კი – ხელმძღვანელ შტაბს[4].

შევნიშნავთ, რომ „საზღვაო ასეულის" შექმნა, თავდაპირველად, მნიშვნელოვანწილად განაპირობა სოციალ-დემოკრატი მენშევიკებისადმი წამბაძველობამ, რომლებმაც 1917 წ. შემოდგომაზე ბათუმელი მუშებისაგან შექმნეს დისციპლინებული და კარგად შეიარაღებული გვარდია. ლიდერობისათვის მებრძოლმა ბოლშევიკებმაც გადაწყვიტეს არ ჩამორჩენოდნენ მოვლენებს და ბათუმის მოსახლეობაში თავიანთი ძალმოსილების დემონსტრირებისათვის შექმნეს საკუთარი გვარდია. 1918 წ. თებერვლიდან, ამიერკავკასიის გასაბჭოებისათვის აქტიურად მზადების ვითარებაში, ბოლშევიკუ-

---

[1] მ.ჯიჯეიშვილი, ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის აჭარაში /1917-1921 წწ./, ბათ., 1957; ზიხიეე, საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოს მშრომელთა ბრძოლის ისტორიიდან /1918 წ. 5 (18) მარტის ამბები ბათუმში/. -საქ. მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტის შრომები, ტ. III, თბ., 1958; ჯ. ცქვიტარია, რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები აჭარაში, წ. 2 /1914-1921 წწ./, ბათ., 1962; Чулок И.С., Очерки истории Батумской коммунистической организации /1917-1921 гг./, Бат., 1987.

[2] ბ. ხიორიძე, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა აჭარაში, ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი", №5, 1989;

[3] ბ. ხიორიძე, კიდევ ერთხელ 1918 წლის 5(18) მარტის მოვლენების შესახებ ბათუმში - ბათუმის შ. რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის შრომები, III (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია), ბათ., 1999.

[4] ასგხფ. ფ. 11, ს. 5, ფურც. 3-6.

რმა სამხარეო კომიტეტმა „საზღვაო ასეულს“ დააკისრა: საბრძოლო იარაღის შოვნა და გადაგზავნა დასავლეთი საქართველოს სხვადასხვა რაიონში წითელგვარდიელთა რაზმების შესაქმნელად; ფრონტიდან დემობილიზებულ ჯარისკაცთა შორის საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლო აგიტაცია და მათი ზღვით ორგანიზებულად გადაყვანის უზრუნველყოფა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში თეთრგვარდიელების წინააღმდეგ საბრძოლველად; ფრონტიდან მოსული გემების გაჩხრეკა და ანტიბოლშევიკურად განწყობილ სამხედროთა განიარაღება; ტრაპიზონელ თანამოაზრეებთან მჭიდრო კავშირის დამყარება საბჭოთა რუსეთში იარაღის და ამუნიციის გადასროლის მიზნით[5]. მართალია, ყველა ამ დავალებას რაზმმა თავი ვერ გაართვა, მაგრამ 1918 წ. გაზაფხულზე სამეგრელოსა და აფხაზეთში ბოლშევიკების მიერ პროვოცირებული „საბჭოთა აჯანყებების“ იარაღით მომარაგება მნიშვნელოვანწილად მან უზრუნველყო[6], რითაც ფაქტობრივად მეხუთე კოლონის როლი შეასრულა ფრონტზე ოსმალთა შემოტევის ვითარებაში.

1918 წ. მარტის დამდეგს ბოლშევიკებმა ბათუმშიც დაგეგმეს ძალაუფლების ხელში აღება, ამიტომ დაუკავშირდნენ აქ მყოფი სამხედრო ფლოტის მეზღვაურებს, რომლებიც ასევე ბოლშევიკობას იჩემებდნენ, თუმცა მათში ანარქიზმი უფრო სჭარბობდა.

სამხედრო-საზღვაო ფლოტში ყველაზე მძიმედ იჩინა თავი დისციპლინის მოშლამ. გალოთებული და გათავხედებული მატროსები არავითარ ვალდებულებას აღარ სცნობდნენ. ოფიცრები დააშინეს და გემები საკუთარი ნება-სურვილით მიმოყავდათ. მათ ხელში მოხვდა ტრაპიზონის სამხედრო ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი, რითაც ვაჭრობდნენ კერძო პირებზე და თურქებთანაც კი. მაშინ როცა ბათუმის მოსახლეობა შიმშილობდა, მათთვის განკუთვნილი 32 ათასი ფუთი პურის ფქვილი დაისაკუთრეს „ტრანსპორტ 84“-ის მატროსებმა და გასაყიდად ტრაპიზონსა და კერასუნტში გააქანეს. ასევე არ აღწევდა დანიშნულების ადგილს ბათუმიდან სევასტოპოლში „ცენტროფლოტისათვის“ გაგზავნილი ბენზინის, მაზუთის

---

[5] იქვე. ფურც. 7.

[6] იქვე. ფურც. 26-28.

და ნავთის მნიშვნელოვანი ნაწილი. მათ მატროსები გზადაგზა ჰყიდდნენ და შემოსავალს იჯიბავდნენ. ამგვარი საქმიანობით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ კრეისერ „კაროლ კარლის“ და ნაღმოსან „სარატოვის“ ეკიპაჟები[7].

მატროსებმა დაიწყეს მეკობრეობაც. მაგ., 1917 წ. 10 აგვისტოს თურქეთის ქ. ორდუში რუსეთის სამხედრო ფლოტმა გადასხა დესანტი, მაგრამ ისინი ძარცვით გაერთნენ და პოზიციები ვერ შეინარჩუნეს. ამის შემდეგ ბათუმის ქუჩებში დაიწყეს ნაძარცვი ქონების გაყიდვა. ბათუმის აღმასკომის ცნობით მარტო „ნაღმოსან „სტროგი“-დან ამოიღეს 3 ყუთი ოქრო, მაღვიძარა საათები, თეთრეული და სხვ.“[8] აღნიშნული საქმე შეისწავლა კავკასიის არმიის ჯარისკაცთა დეპუტატების სამხარეო საბჭოს აღმასკომის საგანგებო-საგამოძიებო კომისიამ[9], მაგრამ მაროდიორობა მაინც ვერ აღმოიფხვრა. თანამედროვეთა მოწმობით, სამხედროების მიერ დატაცებული ნივთების ბაზარზე გამოტანას იმდენად ფართო ხასიათი მიეღია, რომ ბათუმში ახალი სავაჭრო მოედნებიც კი გაჩენილა. იქ მოკალათებულ ვაჭარ-ჯარისკაცთა გასაფანტავად ხელისუფლება იძულებული იყო მენშევიკური გვარდია გამოეყენებია[10].

მთვრალი მატროსები ბათუმის ქუჩებში დაეხეტებოდნენ და აფრთხობდნენ მშვიდობიან მოსახლეობას.

გაბოლშევიკებული მატროსები არ სცნობდნენ ამიერკავკასიის ხელისუფლებასაც. ტრაპიზონის კონფერენციაზე სამთავრობო საზავო დელეგაციის ბათუმიდან გადაყვანისათვის კრეისერ „კაროლ კარლის“ ეკიპაჟმა მოითხოვა დიდი თანხა, 16 მარტს კი დელეგაცია თვითნებურად მიატოვა და ბათუმში დაბრუნდა.

ბრესტის ზავმა აზრთა სხვადასხვაობა წარმოშვა ბოლშევიკებში. ერთნი მიიჩნევდნენ, რომ საბჭოთა მთავრობის მიერ ბათუმის დათმობა გამორიცხავდა იქ ძალაუფლების ხელში აღებას, მე-

---

7 Борьба за победу Советской власти в Аджарии. Документы и материалы /1917-1921 гг./, с. 113-116; რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს.- იხ. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა „დაბრუნება“, ტ. 3, გვ. 195-196.

8 სცსსა, ფ. 1854, ან. 1, ს. 515, ფურც.2.

9 იქვე. ფურც. 3-30.

10 ასგხუ. ს. 94, ფურც. 300.

ორე ჯგუფი კი აყენებდა საპირისპირო წინადადებას. გაიმარჯვა ამ უკანასკნელმა. გადაწყდა ძალაუფლების აღება და „ოსმალთა კონტრრევოლუციური შემოტეევისაგან ბათუმის დაცვა". მეზღვაურთა მიმხრობის მიზნით რსდმპ ბოლშევიკთა ბათუმის კომიტეტის წევრს ვ. ძნელაძეს დაევალა მათთან მოლაპარაკება. „კრებაზე ყველაფერი კარგად მიდიოდა,- იგონებს ვ. ძნელაძე, - მაგრამ იქ გამოცხადდა სამხარეო კომიტეტის წარმომადგენელი ბ. ლომინაძე. მან არ იცოდა ბათუმის კომიტეტის გადაწყვეტილება და მეზღვაურებს განუცხადა, — ჩვენ დღესვე ვტოვებთ ქალაქს და მის დასაცავად ბრძოლას არ ვაპირებთო. ამ განცხადებამ აზრთა სხვადასხვაობა წარმოშვა მეზღვაურებში და ფლოტის ნაწილი ბათუმიდან მაშინვე წავიდა" სევასტოპოლში.[11]

სამხედრო-საზღვაო ფლოტს დიდ მნიშვნელობა ენიჭებოდა ბათუმის გამაგრების სისტემაში. ხელისუფლებამ ნავსადგურში დარჩენილი სამხედრო გემების წარმომადგენლებს შესთავაზა, შესაბამისი ანაზღაურების ფასად, მიეღოთ მონაწილეობა ოსმალთაგან ქალაქის დაცვაში[12]. პირველად პასუხი იყო მიკიბულ-მოკიბული, რომ ისინი გასამრჯელოსთვის მზად იყვნენ გემებზე გადაეტანათ და „გადაერჩინათ" ქონება, თუკი ოსმალები მოადგებოდნენ ბათუმს. შემდეგ მათ განაცხადეს, რომ ფლოტი საერთოდ დატოვებდა ქალაქს.

16 მარტს ჩატარდა ბათუმის სავაჭრო ფლოტის მეზღვაურთა ყრილობა. მან მხარი დაუჭირა ბათუმის დაცვის აუცილებლობას, მოითხოვა სამხედრო ფლოტის გაძლიერება და ქალაქის დაცვის საკითხზე ცენტროფლოტის (სევასტოპოლის) პოზიციის გაცნობა[13].

17 მარტს, ბათუმის დაცვის საკითხებთან დაკავშირებით, ნ. ჟორდანიას ინიციატივით მოიწვიეს პოლიტიკური პარტიების და დეპუტატების საბჭოს გაერთიანებული სხდომა. დაარსდა ერთიანი რევკომი, რომელშიც შევიდა ბოლშევიკების წარმომადგენელიც. ფორმალური თვალსაზრისით ეს ნიშნავდა ბათუმის თავდაცვის

---

11 იქვე, ფ. 11, ს. 5, ფურც. 9, 24.

12 გაზ. „ერთობა", 7(20) მარტი, 1918, № 53.

13 მ.ჯიჯეიშვილი, საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოს მშრომელთა ბრძოლის ისტორიიდან (1918 წ. 5 (18) მარტის ამბები ბათუმში), გვ. 127-128.

ერთიანი ფრონტის შექმნას[14]. ამავე პერიოდში ქალაქში გავრცელდა არცთუ უსაფუძვლო ხმები მტრის მიერ ფლოტის მეზღვაურების მოსყიდვის შესახებ. ბოლშევიკების წინააღმდეგობისა და ნ. ჟორდანიას შემრიგებლობის გამო აღნიშნულ სხდომაზე არ მოხერხდა დადგენილების გამოტანა სამხედრო ფლოტის განიარაღების თაობაზე.

17 მარტს ბათუმში ჩამოვიდა ამიერკავკასიის ეროვნებათაშორისი სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე ნოე რამიშვილი. რ. გაბაშვილის მოწმობით: მან „როგორც კი გაიგო საქმის ვითარება, ცეცხლივით დატრიალდა, შეაგროვა გვარდიელები და განთიადისას, შორიდან ვუყურებდით, ქართველებმა როგორ თოფის გაუსროლელად ჩაიგდეს ხელში ჯავშნიანი გემი, გამოიყვანეს თვალმოუფშვნეტელი, პირდაუბანელი 250 მატროსი და ბათომის ციხეში უკრეს თავი"[15]. იმავდროულად დააპატიმრეს ნაღმოსანი „სარატოვი" და ათამდე მომცრო სამხედრო გემი 300-ზე მეტი მატროსით.

იმავე 18 მარტს, დილით, სამთავრობო ჯარმა დაიკავა ბათუმის რადიოსადგურიც. „საზღვაო ასეულის" გაუვნებელყოფის მიზნით, მას ალყა შემოარტყა გვარდიის რაზმმა შალვა კიღურაძის მეთაურობით[16]. ბოლშევიკურ ასეულს მიეცა წინადადება დაეყარა იარაღი. ამ უკანასკნელმა, შტაბის გადაწყვეტილებით, დროის გაყვანის მიზნით დაიწყო მოლაპარაკება. იგი დღის ბოლომდე გაგრძელდა. საღამოს კი ბოლშევიკმა რაზმელებმა ისარგებლეს სიბნელით და პატარ-პატარა ჯგუფებად გავიდნენ ქალაქიდან[17]. ასე დასრულდა ბოლშევიკების „საზღვაო ასეულის" არსებობა.

ფლოტის ხელში ჩაგდების შემდეგ დადასტურდა მატროსთა მარადიორობის ფაქტები. გაზ. „კავკაზსკოე სლოვოს" მიხედვით „დაპატიმრებისას „კაროლ კარლზე" აღმოჩნდა ტყავის, საკვები პროდუქტების და სხვა საქონლის მნიშვნელოვანი მარაგი, აგრეთ-

---

[14] მისივე, ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის აჭარაში (1917-1921), გვ. 49-50.

[15] რ.გაბაშვილი, დასახ. მოგონება, გვ. 196.

[16] ასგხუ, ფ. 11. ს. 5, ფურც. 3.

[17] იქვე. ფურც. 10.

ვე, 5 ათასი შაშხანა. არანაკლები მარაგი იყო „სარატოვზეც“. ჩხრეკისას მატროსებს უპოვეს სულ 800 ათასი რუბლი, საშუალოდ ყოველ დაპატიმრებულზე მოდიოდა 2 ათასი რუბლი ჯიბის ფული“[18].

იგივე გაზეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამიერკავკასიის მთავრობის მიერ ფლოტის ხელში ჩაგდებას. „ამით ჩვენ გაბატონებულ მდგომარეობას ვიძენთ ზღვაზე. ასევე დაზღვეული ვართ თურქეთის სადესანტო ოპერაციებისაგან და, საერთოდ, ფლოტის დაუფლებით თავდაცვის საკითხი სანახევროდ გადაწყვეტილიაო“ - შენიშნავდა კორესპონდენტი.

იმავე დღეს დაიწყო ზრუნვა ფლოტის რეორგანიზაციისა და ქალაქის თავდაცვისათვის. ნ. რამიშვილმა დეპეშით შეატყობინა თბილისს 18 მარტს ბათუმში მომხდარი ამბები და მოითხოვა იქ გაეგზავნათ მატროსები, აგრეთვე, არტილერისტები „არანაკლებ 30 კაცისა“.[19]

ახალშეძენილი ფლოტის სარდლად დაინიშნა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოფიცერი ჭავჭავაძე. აღსანიშნავია, რომ ამ მოვლენების თანამედროვე რ. გაბაშვილის ცნობა, თითქოს ჭავჭავაძე ფლოტის სარდლად დაინიშნა სრულიად შემთხვევით, ბათუმში მისი ყოფნის გამო[20], სინამდვილეს არ შეეფერება. საარქივო დოკუმენტებით დასტურდება, რომ ჯერ კიდევ 1918 წ. 24 იანვარს ამიერკავკასიის კომისარიატის ეროვნებათაშორისი სამხედრო საბჭოს მიერ ლეიტენანტი ჭავჭავაძე დაინიშნა „შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს და ამიერკავკასიის პორტების უფროსად“, ბათუმში მუდმივი ადგილსამყოფელით[21]. მას მაშინვე დაევალა „გემების დაკავება და ბოლშევიკებისაგან მათი გაწმენდა“.[22]

---

18 Борьба за победу Советской власти в Аджарии (сб. докум.), с. 116. რ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 194-195.

19 Борьба за победу Советской власти в Аджарии, сс. 112-113

20 რ.გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 197

21 სცსსა, ფ. 1968, ან. 1, 19, ფურც. 4.

22 იქვე, ფურც. 1-2.

აღსანიშნავია, ისიც, რომ ხელთჩაგდებული ფლოტის ოფიცერთა უკრაინულმა და რუმინულმა პერსონალმა, რომლებიც გახარებულნი იყვნენ მეამბოხე მატროსთა ტყვეობიდან გათავისუფლებით, თანხმობა განაცხადა დარჩენილიყო და ემსახურა ამიერკავკასიის ფლოტში.

სამწუხაროდ, სოციალ-დემოკრატი მმართველები იწყებდნენ კარგად და ამთავრებდნენ ცუდად, რაც იყო მათი მოღვაწეობის თანამდევი ერთ-ერთი მთავარი ნაკლი. მაგ., 19 მარტს გამართულ თათბირზე ფლოტის ახალმა სარდალმა დააყენა გემების ძველი ეკიპაჟების კრიმინალური ნაწილის სამხედრო ტრიბუნალში მიცემის და მათი ახალი შემადგენლობით შეცვლის საკითხი, რაც არ გაიზიარეს სოციალ-დემოკრატმა მენშევიკებმა, „პროლეტარული სოლიდარობის" ინტერესებიდან გამომდინარე[23].

იმავე 19 მარტს, ბოლშევიკების ინიციატივით, მოიწვიეს „მუშათა კონფერენცია" წინა დღის ამბების გამოსარკვევად. შეკრებილ მუშათა წინადადებით ამ დღის ორივე თავყრილობა გაერთიანდა. ბოლშევიკებმა კატეგორიულად მოითხოვეს დაპატიმრებული მეზღვაურების გათავისუფლება, გემებზე გაშვება და ჩამორთმეული „პირადი ქონების" დაბრუნება. მათ მხარი დაუჭირეს მენშევიკებმაც. თანაპარტიელთა მხრივ ასეთმა წინააღმდეგობამ, უდრეკი ნ. რამიშვილიც გასტეხა. ენდნენ მატროსთა სიტყვიერ დაპირებას, რომ ნებაყოფლობით დაქირავებულის პრინციპით იმსახურებდნენ ამიერკავკასიის ფლოტში, ამიტომ, პატიმრობიდან გაათავისუფლეს და გემებზე გაამწესეს.

ახალშეძენილი ფლოტი რამდენიმე დღის მანძილზე სათანადოდ უზრუნველყოფდა ბათუმის არა მარტო ზღვიდან უშიშროებას, არამედ საარტილერიო ცეცხლით აფერხებდა მისკენ ოსმალთა სახმელეთო ძალების წინსვლასაც. მაგრამ მალე საფლაგმანო კრეისერ „კაროლ კარლის" ეკიპაჟმა ისარგებლა ხელისუფლების მხრივ სიფხიზლის მოდუნებით და ბათუმიდან გაიპარა. ამასთან დაკავშირებით ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა არაობიექტური შეხედულება, რომლის მიხედვით ფლოტი გაიტაცეს მასზე მყოფმა ბოლშევიკმა მატროსებმა და სევასტოპოლს მიაშურეს.

---

[23] რ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 198.

ზემოაღნიშნული მოვლენების თანამედროვის, სოციალ-დემოკრატ სერგო ყუფარაძის ცნობით, მეზღვაურებში ბათუმის დატოვების ტენდენცია წარმოშვა საერთო ქაოსმა და პანიკამ. ამის მიზეზი იყო აგრეთვე, მოსალოდნელი შურისძიების შიში სევასტოპოლის ბოლშევიკური ფლოტის მხრივ. კერძოდ, მაშინ გავრცელებული ხმების თანახმად, ბათუმის დაცვის გასაძლიერებლად მთავრობას თითქოს გამოწვეული ჰყავდა ორი დრედნოუტი სევასტოპოლიდან. ამასთან უნდა ითქვას, რომ კრეისერი „კაროლ კარლი" რუსეთის ხელში ჩავარდნამდე, რუმინეთის საკუთრება იყო. ეკიპაჟის მნიშვნელოვან ნაწილსაც რუმინელები შეადგენდნენ. ამდენად, გასაგებია მათი სამშობლოსკენ ლტოლვაც. 28 მარტს ღამით მათ ისარგებლეს ფლოტის სარდლის და ქართველ მეზღვაურთა ძირითადი ნაწილის ნაპირზე გადასვლით, დატოვეს ბათუმი და 4 დღეში კრეისერი რუმინეთს მიაყენეს. მასზე დარჩენილი ათამდე ქართველი მეზღვაური ორი კვირის შემდეგ გაათავისუფლეს და ისინიც ოდესის გავლით სამშობლოში დაბრუნდნენ[24]. უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნდა განსხვავებული ცნობებიც[25], რომელთაგან ზოგიერთი დაზუსტებას საჭიროებს.

საფლაგმანო კრეისერის დაკარგვამ საგრძნობლად დასცა ბათუმის დამცველთა საბრძოლო სულისკვეთება, რამაც იმ დროს შექმნილ საგარეო და საშინაო პოლიტიკურ გარემოებებთან ერთად მნიშვნელოვანწილად განაპირობა ბათუმის თითქმის უბრძოლველად დათმობა მოწინააღმდეგისათვის.

---

24 ასგხუ, ს. 94, ფურც. 319-321.

25 პარიზში მცხოვრებ აკაკი ნოეს ძე რამიშვილის რადიოგადაცემის საგაზეთო ვარიანტის თანახმად: კრეისერი „კაროლ კარლი", „მისი დამხმარე გემებით, საქართველოს ხელში დარჩა 1921 წ. მარტამდე. შემდეგ კი გადაეცა რუმინეთს". აგრეთვე, „კაროლ კარლის" საქვაბეში გაბოლშეეიკებულ მატროსებს ცოცხლად დაუწვაეთ ლეიტენანტი ცაგარელი (რ. გაბაშვილის ცნობით კი - თავადი ემხვარი), რის გამოც ქართველებმა ამ გემს „ცაგარელი" დაეარქვითო. და ბოლოს, 5(18) მარტის ოპერაციაში მონაწილეობდნენ ალ. დგებუაძის 150 მუშა - გვარდიელი და 100 ქართველი ჯარისკაცი ოფიცერ დავით მიქელაძის მეთაურობით. (იხ. გაზ. „ახალი ტალღა", 22 ოქტომბერი, 1999, №8).

§ 4. სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს საკითხი ტრაპიზონის კონფერენციაზე და ამიერკავკასიის სეიმში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1918 წ. 12 თებერვალს ოსმალეთმა დაარღვია დროებითი ზავი და კავკასიის ფრონტზე განაახლა საომარი მოქმედება. შექმნილ ვითარებაში, 14 თებერვალს, ამიერკავკასიის ხელისუფლებამაც გადაწყვიტა შესდგომოდა ოსმალეთთან სეპარატულ საზავო მოლაპარაკებას[1]. ორივე მხარე შეთანხმდა, რომ იგი გამართულიყო ქალაქ ტრაპიზონში.

.I მარტს ამიერკავკასიის სეიმმა ტრაპიზონის საზავო კონფერენციისათვის აირჩია დელეგაცია: ა. ჩხენკელი (თავმჯდომარე), ჰ. აბაშიძე, მ. გაჯინსკი, ი. გაიდაროვი, გ.გვაზავა, რ.კაჩაზნუნი, გ.ლასხიშვილი, დ.ღამბაშიძე, მ.მეხტიევი, ჰ. ხას-მამედოვი, ა.ხასიტოვი და ა.შეიხ-ულ-ისლამოვი. იმავე სხდომაზე სეიმმა, ზავის პირობების შემმუშავებელი კომისიის დასკვნების საფუძველზე, დაამტკიცა „ძირითადი დებულებები", რომელიც მოლაპარაკების საფუძვლად ადგენდა რუსეთ-ოსმალეთის 1914 წ. ომამდელ საზღვრებს. ამასთან, ამიერკავკასიის საზავო დელეგაციას უნდა მიეღწია აღმოსავლეთი ანატოლიის ხალხთა თვითგამორკვევისათვის, კერძოდ, „თურქეთის სომხეთის ავტონომიისათვის თურქული ხელისუფლების ჩარჩოებში".[2]

1918 წ. 8 მარტს, საღამოს, ამიერკავკასიის საზავო დელეგაცია, როგორც ითქვა, კრეისერ „კაროლ კარლით" ბათუმიდან ტრაპიზონში ჩავიდა. ოსმალეთის დელეგაცია კი შეგნებულად იგვი-

---

[1] აღსანიშნავია, რომ სეიმის ამავე სხდომაზე აირჩიეს ზავის პირობების შემმუშავებელი კომისია – ნ. რამიშვილის თავმჯდომარეობით. მან მოითხოვა მოლაპარაკება არა მარტო ოსმალეთთან, „არამედ ცენტრალური სახელწმიფოების ბლოკთან". ეს წინადადება არ აისახა სეიმის დადგენილებაში, გადაწყდა დიალოგი მხოლოდ ოსმალეთიდან (Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, с. 56).

[2] იქვე. გვ. 83-84. საყურადღებოა, რომ ნ. რამიშვილის კომისიის პროექტში აღმოსავლეთი ანატოლიის ხალხთა თვითგამორკვევის შესახებ, გარდა ე.წ.„ოსმალეთის სომხეთისა", ფიგურირებდა ასირიელების და ლაზების საკითხიც (იქვე, გვ. 57), სამწუხაროდ, არც ეს წინადადება აისახა სეიმის დადგენილებაში.

ანებდა. ამდროისათვის ტრაპიზონი ფაქტობრივად ოსმალების ხელთ იყო გადასული.

ოსმალებმა ტრაპიზონის მისადგომებს ჯერ კიდევ იანვრის დამლეგს შეუტიეს. თავდაცვის ორგანიზების მაგიერ, ტრაპიზონის დეპუტატების საბჭოს ბოლშევიკურმა აღმასკომმა მოლაპარაკება დაიწყო ოსმალებთან, ხოლო 24 თებერვალს მათ ქალაქი უბრძოლველად ჩააბარა[3]. ამან ჩაშალა სამხედრო უწყების საევაკუაციო გეგმა, რაც ტრაპიზონის დაცლას 1 მარტისათვის ითვალისწინებდა. ამის გამო ვერ მოესწრო მრავალმილიონიანი ქონების გამოტანა. მართალია, ამის შემდეგ, ორივე მხარის სარდლობის შეთანხმებით, შეიქმნა სპეციალური შერეული კომისია, რომელსაც უნდა უზრუნველეყო ტრაპიზონში ჩარჩენილი რუსეთის ქონების რეგისტრაცია, საწყობებში დალუქვა და ეტაპობრივად გამოტანა. ოსმალებმა ივალდებულეს საწყობების დაცვაც, მაგრამ შემდეგ დაიწყეს აღწერის ხელოვნურად გაჭიანურება, ბოლოს კი რუსთა ჯარის ინტენდანტებს საწყობებთან ახლოსაც არ უშვებდნენ. ამის გამო სამხედრო ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილზე დარჩა[4].

ტრაპიზონში ოსმალთა შესვლის მიუხედავად, აქ ფორმალურად ჯერ კიდევ ფუნქციონირებდა „ტრაპიზონის გამაგრებული რაიონის („უკრეპრაიონის") კომენდატურა" (უფროსი გენერალი კოლოსკოვსკი). იგი, 8 მარტს, ტრაპიზონში ჩასულ ამიერკავკასიის საზავო დელეგაციას კრეისერის ტრაპთან შეხვდა საპატიო ყარაულით. თავის მხრივ, 11 მარტს ამიერკავკასიის დელეგაციაც ეწვია „უკრეპრაიონის" კომენდატურას, სადაც ა.ჩხენკელმა სამხედრო აღლუმიც მიიღო. მაგრამ მდგომარეობას ეს ვერ ცვლიდა. ქალაქს ფაქტობრივად ოსმალები პატრონობდნენ და კონფერენციის დაწყებამდე შეეცადნენ თავისი უპირატესობა ეჩვენებინათ ამიერკავკასიის საზავო დელეგაციისათვის.

---

[3] გერმანული წყაროების მოწმობით, ამ დროისათვის ქ. ტრაპიზონში იყო რუსეთის 8 ათასი ჯარისკაცი (იხ. Г. Лорей, დასახ. ნაშრ., გვ. 295). უკანასკნელი რუსი სამხედროები კი აქედან საზღვაო ტრანსპორტით გაიყვანეს 1918 წ. 28 მარტს (სცსსა, ფ. 1796, ან. 1, ს. 86, ფურც. 3).

[4] სცსსა, ჰარვარდის უნივერსიტეტის მიკროფირების ფონდი (შემოკლ. ХФ), ს. 17, ფურც. 1-4.

ტრაპიზონის ახალდანიშნულმა ვალიმ (გუბერნატორმა) მეჰმედ ალი ედდინმა ამიერკავკასიის დელეგაციას არ მისცა უფლება კრეისერიდან ქალაქში გადაეყვანა 50-კაციანი შეიარაღებული დაცვა. ოსმალებმა აგრძნობინეს ა.ჩხენკელს, რომ მათ სტუმრად თვლიდნენ და მათ დაცვასაც თავად კისრულობდნენ. მეორეს მხრივ, 22 მარტს ტრაპიზონის ვალიმ რუსეთის სამხედრო მისიას გენერალ კოლოსოვსკის მეთაურობით მოსთხოვა ქალაქის დაუყოვნებლივ დატოვება. ეს უკანასკნელნიც იძულებულნი გახდნენ ძალას დამორჩილებოდნენ.[5]

ტრაპიზონში მოლაპარაკებისათვის მზადების პარალელურად, 1918 წ. 10 მარტს, ოსმალეთის მთავარსარდლობამ ოფიციალურად მოსთხოვა ამიერკავკასიის მხარეს ბრესტის ხელშეკრულების თანახმად მისთვის დათმობილი „ბათუმის, ყარსის და არტაანის სანჯაყებში მყოფი ჯარების უმოკლეს დროში ევაკუაცია“ და მათი 1877 წ. საზღვრებში გაყვანა. ზემოაღნიშნული მოთხოვნა და ოსმალთა ჯარების მიერ ტრაპიზონის დაკავება მოასწავებდა, რომ ამიერკავკასიისათვის მისაღებ ზავზე ლაპარაკი ფუჭი ოცნება იქნებოდა. სეიმის წინაშე დადგა კითხვა - ომი თუ ზავი? მის გადასაწყვეტად 11 მარტს თბილისში ჩატარდა სეიმის საგანგებო სხდომა[6]. ნ. ჟორდანიამ წარმოთქვა შთამბეჭდავი სიტყვა, რომელშიც ამიერკავკასიისათვის ბათუმისა და ყარსის სასიცოცხლო მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია მოუწოდებდა მათი დაცვისაკენ. დაშნაკების პარტიამ გამოთქვა მზადყოფნა ომის გაგრძელებისათვის, თუკი ტრაპიზონში საზავო მოლაპარაკება ჩაიშლებოდა. მუსავატელებმა არ გაიზიარეს ომისთვის მზადების პოზიცია. სეიმის წევრ ხან-ხოისკის სიტყვით, ვიდრე არ გაირკვეოდა ტრაპიზონში მოლაპარაკების შედეგი, მანამ მობილიზაციაზე და ომისათვის მზადებაზე ლაპარაკიც კი დიპლომატიურ უტაქტობას წარმოადგენდა და ამიერკავკასიის დელეგაციას ჩააყენებდა უხერხულ მდგომარეობაში. ამასთან, მუსავატელებმა მოითხოვეს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება.

---

[5] იქვე. ფურც. 5-10

[6] იხ. Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, сс. 89-106.

მუსავატელთა, ამ ერთი შეხედვით თითქოსდა, საქმიან სიტყვებს მიღმა იმალებოდა განზრახვა, რომ ამიერკავკასიის მთავრობა დადგომოდა ლოდინის გზას და არ დაეწყო სამზადისი თავდაცვისათვის, რაც სეიმის სხდომაზე კარგად შენიშნა ესერმა გ.ლორქიფანიძემ. სამწუხაროდ, სეიმის წამყვანმა პოლიტიკოსებმა, რომლებიც თავადაც შესანიშნავად ხედავდნენ საფრთხეს და თავიანთ გამოსვლებში ბუქს აყენებდნენ ქვეყნის საგარეო პრობლემებზე, საჭირო გადაწყვეტილება ვერ გამოიტანეს. სეიმის სხდომის ორაზროვან და არაფრისმთქმელ დადგენილებაში მინიშნებაც კი არ იყო მობილიზაციის გამოცხადებასა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაზე. ეს გაუმართლებელი ჩანდა ერზინჯანის დროებითი დაზავების შემდეგ ოსმალთა შემოტევის მთელი პერიოდისათვის. მითუმეტეს, როგორც მოვლენების შემდგომმა მსვლელობამ აჩვენა, მუსავატელები არა მარტო სეიმში, არამედ საზავო დელეგაციის შემადგენლობაშიც ოსმალებს უჭერდნენ მხარს და მათ მოთხოვნებს ეთანხმებოდნენ.

ასეთ ვითარებაში, 1918 წ. 12 მარტს ტრაპიზონში ჩავიდა ოსმალეთის დელეგაციაც. მას თავმჯდომარეობდა საზღვაო დეპარტამენტის უფროსი, I რანგის კაპიტანი ჰუსეინ რაუფ ბეი[7]. წევრები იყვნენ: საგარეო საქმეთა სამინისტროს საიურისკონსულო განყოფილების გამგე მეჰმედ-ნუსრედ-ბეი; ოსმალეთის კავკასიის ფრონტის მთავარი ექიმი, პოლკოვნიკი თევფიკ სალიმ ბეი; კავკასიის არმიის ოპერატიული განყოფილების უფროსი, მაიორი - იუსუფ რიზა ბეი; სტამბოლის უნივერსიტეტის პროფესორი ისმაილ ჰამი ბეი (დელეგაციის პირველი მდივანი); ფლოტის I რანგის კაპიტანი ჰამიდ ბეი, დელეგაციის თავმჯდომარის ადიუტანტი და მდივანი ლეიტენანტი აბდურაჰმანი[8].

იმავე დღეს შედგა დელეგაციის მეთაურთა შეხვედრა. 13 მარტი კი დელეგაციათა ურთიერთვიზიტებს და გაცნობას მოხმარდა.

---

[7] ზ.ავალიშვილის ცნობით: „რაუფ-ბეი ტომით აფხაზია, სოხუმის ოლქიდან "(იხ. ზ.ავალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 116). ამასვე ადასტურებს რ. გაბაშვილიც და თან დასძენს: „ამბობენ, რაუფ-ბეი ა. ჩხენკელის მეზობელი სოფლიდან იყო" (რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს, იხ. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა „დაბრუნება", ტ. 3, გვ. 190).

[8] სცსსა, ფ. 1819, ან. 1. 17, ფურც. 13.

ტრაპიზონის საზავო კონფერენცია ოფიციალურად მიმდინარეობდა 1918 წ. 14 მარტიდან - 5 აპრილამდე. ამ ხნის მანძილზე შედგა კონფერენციის ექვსი პლენარული სხდომა, ორი თათბირი და მრავალი კერძო ხასიათის შეხვედრა-საუბარი.

კონფერენციის პირველი ორი სხდომა პროტოკოლით გათვალისწინებული საკითხების გადაწყვეტაზე გაიწელა. აშკარად ჩანდა, რომ მხარეები ერთმანეთს ზვერავდნენ და საზღვრების შესახებ საუბრის დაწყებას განგებ აჭიანურებდნენ[9]. მხოლოდ კონფერენიის მესამე სხდომაზე (16 მარტი) წარმოადგინა ოსმალეთის დელეგაციამ ბრესტის საზავო ხელშეკრულება და მოითხოვა მისი აღიარება ამიერკავკასიის მიერ. ა.ჩხენკელმა უპასუხა, რომ მისი მთავრობა, სხვა ქვეყნების მიერ დადებულ ხელშეკრულებას არ სცნობდა სავალდებულოდ ამიერკავკასიის რესპუბლიკისათვის.

რაუფ ბეიმ განმარტა, რომ საერთაშორისო სამართლით ორ სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულება, მართალია, არ იყო სავალდებულო მესამე სახელმწიფოსათვის, მაგრამ ამიერკავკასიას დღემდე არ გამოუცხადებია დამოუკიდებლობა, რის გამოც ის ცალკე სახელმწიფოდ ვერ ჩაითვლებოდა. თუ ამიერკავკასიას სურს გახდეს დამოუკიდებელი სამართალსუბიექტი, მაშინ მისმა მთავრობამ ეს სათანადო აქტით უნდა გამოაცხადოს და ის ცნონ სხვა სახელმწიფოებმაცო. შემდეგ, რაუფ ბეიმ შენიშნა, რომ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის აწინდელ აღიარებას ვერ ექნებოდა უკუქმედების ძალა, რადგან ბრესტის ხელშეკრულების დადების მომენტში ის რუსეთის ნაწილად ითვლებოდა[10].

ოსმალეთის დელეგაციამ მოითხოვა ოფიციალურად განესაზღვრათ ამიერკავკასიის მმართველობის ფორმა, სახელმწიფო საზღვრები, სახელმწიფო ენა და რელიგია, აგრეთვე, წარმოედგინათ ამიერკავკასიის მთავრობის საზავო დებულება და პოზიცია ოსმალეთის იმპერიასთან დამოკიდებულების საკითხში.

---

9 იხ. Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, с. 113-116.

10 იქვე. გვ. 110, 118-119.

იმავე 16 მარტს, როგორც ზემოთაც აღინიშნა, კრეისერ „კაროლ კარლის“ გაბოლშევიკებულმა მატროსებმა ხომალდი თვითნებურად გაიყვანეს ტრაპიზონიდან და ბათუმში დაბრუნდნენ. ამან ამიერკავკასიის დელეგაცია მორალურად მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. ოსმალები კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ მოწინააღმდეგე მხარის სამხედრო და ორგანიზაციულ სისუსტეში[11].

17 და 19 მარტის კერძო შეხვედრები, აგრეთვე, კონფერენციის მეოთხე სხდომა (20 მარტი) ბრესტის ზავის ცნობა-არცნობის საკითხზე მხარეთა მიერ წარმოდგენილი არგუმენტების განხილვას მოუნდა[12].

კონფერენციის მეხუთე სხდომაზე (21 მარტი) რაუფ-ბეიმ კვლავ დაჟინებით მოითხოვა ბრესტის ზავის პირობების მიღება და ბათუმ-ყარს-არტაანის სანჯაყების გადაცემა. პასუხად ა.ჩხენკელმა აღნიშნა, რომ ამიერკავკასიის დელეგაცია კვლავ არ სცნობდა ბრესტის ხელშეკრულებას. შემდეგ მან წარმოადგინა სეიმის მიერ 1 მარტს შემუშავებული პირობები და განაცხადა: „საზავო ხელშეკრულებას საფუძვლად უნდა დაედოს რუსეთ-ოსმალეთის სახელმწიფოებრივი საზღვრების აღდგენა 1914 წლის ფარგლებში“, „თურქეთის სომხეთისათვის“ ავტონომიის მინიჭება და ამიერკავკასიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარება.

ამ მოთხოვნებმა ოსმალთა დელეგაციის მწვავე პროტესტი გამოიწვია. „ოსმალეთის სომხეთის“ ავტონომიის საკითხის სამშვიდობო კონფერენციაზე განხილვას ისინი თვლიდნენ მათი ქვეყნის შინაურ საქმეში ჩარევად. რაც შეეხებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობას და მასთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას, ამის შესახებ ლაპარაკი შეიძლება დაიწყოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამიერკავკასია უარს იტყვის

---

11 აღსანიშნავია, რომ 18 მარტის შემდეგ, როცა ამიერკავკასიის ხელისუფლებამ შეძლო ფლოტზე კონტროლის დაწესება, 22 მარტიდან ტრაპიზონის ნავსადგურში რეიდზე დადგა სამხედრო გემი „ვეჩე“, რამაც დელეგაციას საშუალება მისცა აღედგინა რადიოკავშირი თბილისთან (სცსსა, ფ. 1796, ან. 1, ს. 86, ფურც. 3).

12 Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, с. 132-136.

თავის პრეტენზიებზე ბათუმის, არტაანის და ყარსის სანჯაყების მიმართთ[13].

ამიერკავკასიის დელეგაციის მოთხოვნით, საკუთარ მთავრობასთან საკითხის შესათანხმებლად, გადაწყდა კონფერენცია შეეწყვიტათ გარკვეული ხნით. 22 მარტს დელეგაციის რამდენიმე წევრი (რ. კაჩაზნუნი, ი. გაიდაროვი და გ. ლასხიშვილი) თბილისში გამოემგზავრა სეიმისათვის მოხსენების გასაკეთებლად. დელეგაციის ძირითადი ნაწილი ა.ჩხენკელის მეთაურობით ტრაპიზონში დარჩა და მუშაობას განაგრძობდა.

ტრაპიზონის კონფერენცია ფრონტზე შემოტევის პირობებში მიმდინარეობდა. ოსმალეთის სარდლობამ და იდეოლოგიურმა აპარატმა ყველა შესაძლებლობა გამოიყენეს ამიერკავკასიის ჯარების ზურგში პარტიზანული მოძრაობის გასაძლიერებლად, მასში ქურთების მოთარეშე რაზმებისა და ადგილობრივი მაჰმადიანური მოსახლეობის ჩასაბმელად, ამ უკანასკნელებთან სომხების დასაპირისპირებლად.

შექმნილ მძიმე საშინაო და საგარეო პირობებში ამიერკავკასიის წამყვანმა პოლიტიკურმა პარტიებმა, კერძოდ, დაშნაკებმა და მუსავატელებმა საქმიანობა წარმართეს არა ხალხთა სოლიდარობის დროშით, არამედ ნაციონალური პრინციპით, რაც კიდევ უფრო აღრმავებდა ერთაშორის დაპირისპირებას. ამ გამოვლინებამ აშკარა და მწვავე ხასიათი მიიღო ამიერკავკასიის სეიმში, სადაც ორივე პარტია ურთიერთბრალდებების კორიანტელს აყენებდა. დაშნაკები მუსავატელებს ადანაშაულებდნენ პროოსმალურ განწყობაში და არცთუ უსაფუძვლოდ. ეს უკანასკნელნი კი დაშნაკებს ბრალს დებდნენ პრობოლშევიკურ ტენდენციებსა და საქმიანობაში.[14]

---

13 იქვე, გვ. 137-139; იხ. აგრეთვე, გაზ. „ერთობა", 16 (29) მარტი, 1918, № 61.

14 1918 წ. 20 მარტის სხდომაზე მუსავატელთა ფრაქციის წევრმა აგაევმა სეიმს გააცნო დაშნაკთა ფრაქციის დეპუტატის, ყარსის ოლქის კომისარ მ. არზუმანოვის 23 იანვრის წერილი ბოლშევიკ სტ. შაუმიანისადმი. მასში აღნიშნული იყო, რომ ელისავეტოპოლის გუბერნიაში მაჰმადიანმა გლეხებმა, მიწების მითვისების მიზნით, მოკლეს მათივე თანამორწმუნე 30-მდე მემამულე, „მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ყოველმხრივ შეუწყობთ ხელს ამ მოძრაობის განვითარებას. ამის შესახებ იცის სეიმის წევრმა გაიკ მელქონიანმაც, რომელიც ქ. ელისავეტოპოლშია დაბადებული. შენი მიშა არზუმანოვი" (იხ. Стенографический отчет 16-го заседания (первой сессии) Закавказского сейма, Тифл., 1918, с. 14). საყურადღებოა, რომ ამ ბრალდებისაგან თავის დასაცავად დაშნაკებს ხმაც არ ამოუღიათ.

ფრონტზე მდგომარეობა ყოველდღიურად რთულდებოდა. მარტის შუა რიცხვებში მოწინააღმდეგემ ალყაში მოაქცია არტაანი და სხვა პუნქტები. დაიწყო ძალების დაჯგუფება ყარსზე და ბათუმზე შემოტევისათვის. გაძლიერდა სომხებით და ბერძნებით დასახლებული სოფლების ძარცვა და აწიოკება. ძლივს მოხერხდა ქრისტიანი მოსახლეობის ევაკუაცია. საგრძნობლად დაიძაბა მდგომარეობა ახალციხის მხარეში და ბათუმის ოლქში. აქაც გადაიკეტა გზები და გართულდა მოძრაობა. ნ.ჟორდანიას შეფასებით, ამის ინიციატორები იყვნენ პროვოკატორები „დაინტერესებულნი იმით, რომ ჩვენ ამ კრიტიკულ დროს ვერ გადავიყვანოთ ჯარები, რომ ჩვენი ეშელონები გზაზე გაიხირონ, რომ ჩვენმა ჯარებმა ვერ მიაღწიონ იმ საზღვრებამდე, რომელიც უნდა დაიცვან".[15]

ასეთ ვითარებაში ამიერკავკასიის სეიმი სხდომებს სხდომებზე იწვევდა, ცალკეულად განიხილავდა არტაანის, ართვინის, ყარსის და საერთოდ ამიერკავკასიის საზღვრების დაცვის, სომეხ-თათართა მწვავე კონფლიქტის ლიკვიდაციის ღონისძიებებს და საშინაო პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებს. იქმნებოდა პრობლემების შემსწავლელი კომისიები. ადგილებზე მდგომარეობის გამოსარკვევად იგზავნებოდა სეიმის წევრები. მათ მიერ წარმოდგენილი მასალებით აშკარად ჩანდა ქვეყანაში შექმნილი ანარქიული მდგომარეობა, ფრონტის და ზურგის მოშლა, ამიერკავკასიის მრავალპარტიული ხელისუფლების უუნარობა ემართა მრავალეროვნული ქვეყანა, დაპირისპირებული ინტერესებით. ეროვნული ნიშნით შედგენილი ამიერკავკასიის არმია თავს ვერ ართმევდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. სეიმის მიერ მიღებული ტრაფარეტული და ზოგადი ხასიათის დადგენილებები საქმეს ვერ შველოდა.

ასევე არაკორექტული იყო სეიმის 25 მარტის სხდომაც,[16] რომელმაც მოისმინა ამიერკავკასიის დელეგაციის მოხსენება ტრაპიზონში მიმდინარე მოლაპარაკების შესახებ. გ. ლასხიშვილმა, დე-

---

15 იქვე, გვ. 26.

16 იხ. Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, с. 139-146.

ლეგაციის სახელით, მოითხოვა ახალი დირექტივები მოლაპარაკ-ების გაგრძელებისათვის. კერძოდ, განსაზღვრა იმ მაქსიმალური და მინიმალური დათმობებისა, რომელთა ფარგლებშიც ამიერკავკასიის დელეგაცია თავისუფლად იმოქმედებდა.

სხდომაზე მუსავატელთა ფრაქციამ კვლავ დასვა ამიერკავკასი-ის დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხი, რასაც ასე დაჟინებით მოითხოვდნენ ოსმალები. სეიმის უმრავლესობამ ეს ნაადრევად ჩათ-ვალა იმ მოტივით, რომ მისი გამოცხადების შემთხვევაში, დამოუკი-დებლობის აქტში უნდა დაფიქსირებულიყო ამიერკავკასიის საზღვრე-ბიც. მასში ბათუმის, ყარსის და არტაანის სანჯაყების შეყვანას „შეიძლებოდა გამოეწვია ომი თურქეთთან". ბრესტის ხელშეკრუ-ლების ფარგლებში დამოუკიდებლობის გამოცხადება კი მიუღებლად მიიჩნიეს. შეთანხმდნენ, რომ დამოუკიდებლობის საკითხი გადაეწყვი-ტათ ტრაპიზონში მოლაპარაკების დროს, როცა გაირკვეოდა ოსმალეთთან ამიერკავკასიის მომავალი საზღვრები.

სხდომის დასასრულს სეიმმა მიიღო ნ. რამიშვილის ფორმული-რება და დაადგინა, რომ ის უარყოფს ბრესტის ხელშეკრულებას და საზავო დელეგაციის მეთაურს აძლევს დამოუკიდებლად მოქმე-დების საგანგებო ფართო უფლებამოსილებას.

29 მარტს ტრაპიზონში ფაქტობრივად ხელცარიელი დაბრუნ-დნენ სეიმში წარგზავნილი დელეგატები. ა.ჩხენკელისათვის მარტო დეკლარაციული „ფართო უფლებამოსილების" მინიჭება მდგ-ომარეობას ვერ ცვლიდა, რადგან ბრესტის ზავისადმი სეიმის დამოკიდებულებაში ცვლილებები არ იყო და არც დათმობის მაქ-სიმუმი იყო განსაზღვრული. ეს კი დელეგაციას არ აძლევდა მანე-ვრირების საშუალებას, რის აუცილებლობაც მკვეთრად გამოჩნდა იმავე 29 და 30 მარტს, როცა დელეგაციათა მეთაურების შეხვედ-რების დროს რაუფ-ბეიმ უკვე კატეგორიულად მოითხოვა ბრესტის ზავის ცნობა.

ტერიტორიული დათმობების ნაცვლად, ამიერკავკასიის დელ-ეგაციამ ჩანს საჭიროდ ჩათვალა ოსმალებისათვის შეეთავაზებინა რუსეთთან მიმართებაში არა მარტო ბუფერული ამიერკავკასიის, არამედ ერთიანი ამიერ და იმიერკავკასიური სახელმწიფოს შექმნ-ის პერსპექტივაც. მითუმეტეს, რომ ასეთი ტენდენცია საგრძნობი

იყო ჩრდილოეთი კავკასიის მთიელ ხალხებში. სავარაუდებელია, რომ ამავე მიზნით გადაწყდა ტრაპიზონში მათი დელეგატების ჩამოყვანა, რისთვისაც იმავე 30 მარტს ჩრდილოეთ კავკასიაში მიავლინეს დელეგაციის ყველაზე „უკომპრომისო და მოუსყიდველი" წევრი ჰაიდარ აბაშიძე.[17] ათი დღის შემდეგ (9 აპრილს) იგი დაბრუნდა ჩეჩნების და დაღესტნის წარმომადგენლების ტ. ჩერმოევის და ჰ. ბამატის თანხლებით.[18] ამ დროს ტრაპიზონის კონფერენცია ფაქტობრივად უკვე დასრულებული იყო.

1 აპრილს კვლავ შედგა ამიერკავკასიის საზავო დელეგაციის შიგა თათბირი ტერიტორიული დათმობების საკითხზე. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, შეთანხმდნენ კვლავ უარეყოთ ბრესტის ხელშეკრულება და უკან დაეხიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოსმალები არ წავიდოდნენ არავითარ დათმობაზე. თათბირზე განიხილეს აგრეთვე ამიერკავკასიის მთავრობის წინადადება ოსმალებისათვის შეეთავაზებინათ, ბრესტის ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებლად, თვითგამორკვევისათვის პლებისციტის მოწყობა ბათუმისა და ყარსის ოლქებში. თუმცა დელეგაციამ ოსმალთა მხარის ამაზე დათანხმება მიუღწეველ ოცნებად შეაფასა. ამიტომ გადაწყდა კვლავ გამოეთხოვათ სეიმისა და მთავრობისაგან კონკრეტული გადაწყვეტილება ოსმალებისათვის შესაძლო დათმობის თაობაზე[19].

ამასობაში ოსმალებმა დაიწყეს თავიანთი ძალების დემონსტრირება. 2 აპრილს ტრაპიზონში ჩავიდა კავკასიის ფრონტის მთავარსარდალი ვეჰიბ ფაშა. აშკარა ხაზგასმით ტარდებოდა ბათუმზე შეტევის სამზადისი. 4 აპრილს ოსმალეთის მთავარსარდლობამ მოაწყო ჯარების აღლუმი, რომელზეც „პატივისცემის ნიშნად" მიიწვია ამიერკავკასიის დელეგაციაც.[20] იმავე 4 აპრილს, ვეჰიბ ფა-

---

17 ტრაპიზონში ჰ.აბაშიძისათვის ოსმალებს მიუგზავნიათ ემისარი - „ოღონდ ნეიტრალურ პოზიციაზე დადექი და ყელამდე ოქროში ჩაგსვამთ". ჰ.აბაშიძეს მისთვის კარისაკენ მიუთითებია (აბ. ხურგულაძე, ცხოვრება და ღვაწლი ჰაიდარ აბაშიძისა, გვ. 49-50).

18 სცსსა, ფ. 1796, ან. 1, ს. 86, ფურც. 4.

19 Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, с.156-157.

20 სცსსა, ფ. 1796, ან. 1, ს. 86, ფურც. 4.

შას ბრძანებით, ასკერებმა ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე გადმოლახეს ბათუმის ოლქის საზღვრები და მალე ქ. ბათუმს 10 კილომეტრზე მოუახლოვდნენ.

5 აპრილს შედგა ტრაპიზონის კონფერენციის მეექვსე, უკანასკნელი სხდომა. ოსმალებთან შეთანხმების ვერმიღწევის შემდეგ, ამიერკავკასიის დელეგაციამ განაცხადა, რომ თანახმაა იმსჯელოს მთელი ოლთისის ოკრუგის, არტაანის სამხრეთი ნაწილის, ყარსის ოკრუგის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის და ყაღიზმანის დასავლეთი ნაწილის შესახებ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ბათუმის დათმობაზე; ამასთან, დათანხმდა, რომ „ოსმალეთის სომხეთის" საკითხი გადაეწყვიტათ სტამბოლის მთავრობისათვის მისაღები ფორმით. ა.ჩხენკელმა დააყენა, აგრეთვე, ოსმალეთიდან ლტოლვილ სომეხთა, ბერძენთა და სხვ. უკან დაბრუნების და მათი მშვიდობიანი ცხოვრების გარანტირების საკითხი.[21]

ოსმალეთის დელეგაციამ მოითხოვა გამოეცხადებინათ შესვენება, რათა თავისი მთავრობისაგან მიეღო ინსტრუქციები. მეორე დღეს, 6 აპრილს, ა.ჩხენკელს გადასცეს ოსმალეთის წერილობითი ულტიმატუმი, რომელიც მოითხოვდა ბათუმის, ყარსის და არტაანის სანჯაყებს და წინადადებას აძლევდა ამიერკავკასიის დელეგაციას 48 საათის განმავლობაში განეცხადებინა თავისი საბოლოო გადაწყვეტილება.[22]

8 აპრილს ა.ჩხენკელმა, ამიერკავკასიის მთავრობის თანხმობით, ოსმალეთის დელეგაციას შესთავაზა შემდეგი ტერიტორიული დათმობები: „1. მთელი ყარსის ოლქი ქ. ყარსით, გარდა მისი აღმოსავლეთი ნაწილისა და არტაანის ოკრუგის ჩრდილოეთი ნაწილისა, სადაც სომხები ცხოვრობდნენ. 2. ბათუმის ოლქში -

---

[21] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, с 152-154.

[22] იქვე, გვ. 155. ულტიმატუმის წარმოდგენამდე, 6 აპრილს დილით ა.ჩხენკელი შეხვდა რაუფ-ბეის და ვეპიბ-ფაშას. მათთან საუბარში შეეხო სამ სანჯაყში პლებისციტის ჩატარების საკითხსაც, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ოსმალებმა თავი შორს დაიჭირეს. მათ არ დაუმალავთ, რომ მოლაპარაკების უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში გადაწყვეტილი პქონდათ შეიარაღებული ძალით დაეპყროთ ეს ტერიტორიები.

მთელი ართვინის ოკრუგი, გარდა ართვინის უბნისა",[23] მაგრამ თურქები შეუვალნი იყვნენ და ბრესტის ზავის უპირობოდ მიღებას მოითხოვდნენ.

იმავე საღამოს, ამიერკავკასიის დელეგაციის ერთობლივი დადგენილების საფუძველზე, ა.ჩხენკელი ე. გეგეჭკორისადმი დეპეშაში აღნიშნავდა - თქვენი დავალებით პროტესტი განვაცხადე ოსმალეთის ჯარების წინსვლის თაობაზე, მაგრამ „კონსტანტინოპოლიდან მიიღეს კატეგორიული ბრძანება წავიდნენ წინ, სანამ ჩვენ არ ჩავაბარებთ ყველა პოზიციას. მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა; ფრონტზე ვითარება კიდევ უფრო მძიმეა, არტაანი აღებულია, ყარსის ბედიც ამ დღეებში გადაწყდება, თურქები ბათუმიდან 8 ვერსზე იმყოფებიან. ჩვენმა ტაქტიკამ - არ ვიჩქაროთ, სანამ არ მოვემზადებით, არ გაამართლა; ჩვენი ჯარები და მათი წინამძღოლები არ არიან სათანადო სიმაღლეზე. ქვეყანას არ შეუძლია იომოს ხელისუფლებისა და დისციპლინის გარეშე". ა.ჩხენკელს აუცილებლობად მიაჩნდა ბრესტის ხელშეკრულების ცნობა, რადგან მხოლოდ ამ საფუძველზე იქნებოდა შესაძლებელი კონფერენციის გაგრძელება და ბათუმ-ყარსის ოლქებში საზღვრების გასწორების საკითხის დასმა.[24]

თბილისიდან პასუხი არ ჩანდა. ულტიმატუმის დრო კი იწურებოდა. ამიტომ ამიერკავკასიის დელეგაციამ, თავის კერძო სხდომაზე, დაადგინა და 10 აპრილს წერილობით აცნობა ოსმალთა მხარეს, რომ სცნობს ბრესტის საზავო ხელშეკრულების იმ მუხლებს, რომლებიც ამიერკავკასიას შეეხებიან და მზად არის ამ საფუძველზე განაგრძოს მოლაპარაკება ოთხთა კავშირის სახელმწიფოებთან[25]. შევნიშნავთ, რომ თბილისიდან პასუხი მოვიდა დაგვიანებით, 10 აპრილს ღამით. თუმცა ის ამიერკავკასიის დელეგაციის გადაწყვეტილების საპირისპირო იყო. მთავრობა ბრესტის

---

[23] იქვე, გვ. 156-157.

[24] იქვე, გვ. 159-160.

[25] იქვე. გვ.160

ზავის ცნობას შეუძლებლად თვლიდა. „ჩვენ არ შეგვიძლია მისი მიღება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩვენი სამხედრო მდგომარეობა სრულიად უიმედო იქნება“ - ეწერა მთავრობის მითითებაში[26].

აღსანიშნავია ისიც, რომ ბრესტის საზავო ხელშეკრულების ცნობის გადაწყვეტილებას ამიერკავკასიის საზავო დელეგაციის ყველა წევრმა დაუჭირა მხარი, გარდა ჰაიდარ აბაშიძისა,რომელმაც განაცხადა: „მე ვლაპარაკობ ბათუმის ოლქის ნაწილთან დაკავშირებით. უფრო მისი ორი მონაკვეთის გამო - კინტრიშის და გონიოს. ამ ნაწილის მოსახლეობა საქართველოს დანარჩენ ნაწილთან დაკავშირებულია ძალიან მჭიდროდ... მათ ვერც კი წარმოუდგენიათ თავისი არსებობა საქართველოს გარეშე. გონიოს და ქობულეთის (უბნების - მ.ს.) დაბრუნება თურქეთისათვის უზარმაზარი დარტყმა იქნება აქ მცხოვრები მოსახლეობისათვის. მე, როგორც ამ კუთხის შვილი, როგორც სამუსლიმანო საქართველოს შვილი, სასტიკ პროტესტს გამოვთქვამ თქვენი გადაწყვეტილების გამო“[27].

ამიერკავკასიის საზავო დელეგაციის მიერ ბრესტის ზავის ცნობის შემდეგ გენერალმა ვეჰიბ ფაშამ შეაჩერა სამხედრო მოქმედება და 11 აპრილს ბათუმის გამაგრებული რაიონის კომენდანტს, გენერალ გ. მდივანს გაუგზავნა ულტიმატუმი, რომლითაც მოსთხოვა 13 აპრილის შუადღემდე დაეცალა ქალაქი და დაეხია 1877 წ. საზღვრებში. ულტიმატუმზე პასუხისათვის გენერალ მდივანს მიეცა 12 საათი. ამ უკანასკნელმა მოითხოვა ულტიმატუმის ვადის გაგრძელება კიდევ 24 საათით, რომ შეჰკითხოდა თბილისს და მიეღო ამ საკითხზე სეიმის გადაწყვეტილება[28]. ვეჰიბმა ამაზე უარი განაცხადა და 13 აპრილს განაახლა ბათუმზე იერიში.

იმავე 13 აპრილს ა.ჩხენკელმა ორჯერ უდეპეშა ბათუმის გამაგრებული რაიონის კომენდანტს და იქ მყოფ შინაგან საქმეთა მინისტრ ნ. რამიშვილს, რომ კონფერენციის გაგრძელებისათვის აუცი-

---

26 მ.ჯიჯეიშვილი, ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის აჭარაში, გვ. 65.

27 იხ. „ტრაპიზონის საზავო კონფერენცია“ (დოკუმენტების კრებული, გამოსცა ნ.ზოსიძემ), ბათ., 1998, გვ. 130.

28 სცსსა, ფ. 1818, ან. 1, ს. 179, ფურც. 284.

ლებელი იყო ბათუმის ნებაყოფლობით დაცლა. ნ.რამიშვილი კი ძველებურად მოითხოვდა მის შენარჩუნებას.

აღსანიშნავია, რომ დიპლომატიური გზით ბათუმის შენარჩუნებას ტრაპიზონში მხარს უჭერდნენ დელეგაციის აზერბაიჯანელი წევრებიც[29]. მათთვის უფრო ხელსაყრელი იყო ბაქოს ნავთობის ექსპორტი ერთიან ამიერკავკასიაში შემავალი ბათუმის ტრადიციული გზით, რადგან მისი, თუნდაც ერთმორწმუნე ოსმალეთის ხელში გადასვლა ახალ ბარიერებს შექმნიდა ამ საქმეში.

ა.ჩხენკელმა დიპლომატიური გზით სცადა ოსმალთა შეტევის შეჩერება, მაგრამ უშედეგოდ. იმავე 13 აპრილს, რაუფ-ბეიმ მას უპასუხა, რომ ოსმალეთის მთავრობამ სიამოვნებით მიიღო შეტყობინება ამიერკავკასიის დელეგაციის მიერ ბრესტის ზავის ცნობის თაობაზე და მზად არის განაგრძოს მოლაპარაკება მასთან „მეგობრობის ხელშეკრულების“ დასადებად. მაგრამ ამისათვის ჯერ აუცილებელია ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებაო[30].

ასეთ ვითარებაში, 13 აპრილს, თბილისში შეიკრიბა ამიერკავკასიის სეიმი[31]. მთავრობის თავმჯდომარემ – ე.გეგეჭკორმა შეკრებილთ გააცნო ტრაპიზონის კონფერენციის უკანასკნელი მოვლენები და აღნიშნა, რომ ბრესტის ზავის ცნობა მოხდა ამიერკავკასიის დელეგაციის პირადი ინიციატივით, სეიმისა და მთავრობისაგან სათანადო უფლებამოსილების გარეშე. ამის მიუხედავად ოსმალებმა ბათუმზე შემოტევა განაახლესო. მისივე განცხადებით - „ყველაფერი გაკეთდა, რათა საქმე არ მისულიყო საზავო მოლაპარაკების ჩაშლამდე. ამიტომ, მოლაპარაკების მსვლელობაში, თურქების მიერ ერზინჯანის ზავის დარღვევის არც ერთ ფაქტს ჩვენ არ ვუპასუხეთ სამხედრო მოქმედებით. ახლა კი სხვა გზა არ არის გარდა ომისა“, ოღონდ მთავრობა ითხოვს პარტიების შეკავშირებასო. შემდეგ ე.გეგეჭკორმა ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებები ფრონტზე მდგომარეობის შესახებ. მისი განცხადებით, ტექნიკური თვალსაზრისით ბათუმის დაცვა სათანადო სიმაღლეზე იდგა.

---

29 Аркомед С.Т., Материалы по истории отпадения Закавказья от России, Тифл., 1932, с. 55.

30 Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, с. 162.

31 იხ. Стенографический отчет Закавказского сейма 31-го марта (13 апреля).

კამათში გამოსულმა სეიმის წევრებმა, ორატორული თვალსაზრისით, ამჯერადაც დიდებული სიტყვები წარმოთქვეს - შეეკავშირდებით და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დავიცავთ დემოკრატიასო. თვით მაჰმადიანურმა ფრაქციებმაც კი ხმა მისცეს ომის სასარგებლოდ. თუმცა აქვე გამოიკვეთა ის რეალური მდგომარეობაც, რომ აზერბაიჯანი, ძირითადად სარწმუნოებრივი პრინციპიდან გამომდინარე, უშუალოდ ვერ ჩაებმებოდა ომში და მხოლოდ ზურგის სამსახურის უზრუნველყოფის პირობას იძლეოდა.

ბოლოს, სეიმმა, ნ.ჟორდანიას მიერ შემოთავაზებული ფორმულირების საფუძველზე, ერთხმად დაადგინა: 1. ამიერკავკასიის საზავო დელეგაციის გამოწვევა ტრაპიზონიდან; 2. ქვეყანაში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადება; 3. ომის ხელმძღვანელობისათვის საგანგებო კოლეგიის შექმნა სამხედრო, შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრების შემადგენლობით, 4. სათანადო მანიფესტით ამიერკავკასიის მოსახლეობისათვის მიმართვა.

14 აპრილს ოსმალეთის და ამიერკავკასიის საზავო დელეგაციების მეთაურები „დიპლომატიურ ენაზე" შეთანხმდნენ, რომ შექმნილი მდგომარეობა ჩაეთვალათ არა განხეთქილებად, არამედ შესვენებად კონფერენციის მუშაობაში[32]. იმავე 14 აპრილს, ოსმალებმა აიღეს ბათუმი და განაგრძეს შეტევა ოზურგეთისაკენ.

ამიერკავკასიის საზავო დელეგაციის თბილისში წამოსვლის შემდეგ ტრაპიზონში დარჩნენ დაღესტან-ჩეჩნეთის წარმომადგენლები – ტ. ჩერმოევი და ჰ.ბამატი, აგრეთვე, ამიერკავკასიის საზავო დელეგაციიდან - მაჰმადიანთა კომიტეტის წარმომადგენლები მ.გაჯინსკი და ა.პეპინოვი, საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასკომის პრეზიდიუმის წევრი გრ.ვეშაპელი. დელეგატები ელოდნენ ტრაპიზონში ენვერ ფაშას ჩასვლას და ვარაუდობდნენ მასთან შეხვედრით მიეღწიათ ოსმალთა შეტევის შეჩერებისა და სამშვიდობო მოლაპარაკების განახლებისათვის.

ენვერ ფაშა ტრაპიზონში 16 აპრილს ჩავიდა. მას თან ახლდნენ სულთნის ბიძაშვილი, პრინცი ომარ ფარუქი და გერმანელი

---

32 Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, с. 184.

სამხედრო პირები[33]. ტრაპიზონიდან ენვერი მიეშურებოდა ახალ-დაპყრობილ ბათუმში. მან დელეგატებს შესთავაზა იქამდე გემით ერთად მგზავრობა და გზაში მოლაპარაკება.

ენვერ ფაშასთან მოლაპარაკებას არ მოჰყოლია ფრონტზე სამხედრო მოქმედების შეწყვეტა. ენვერსაც განუცხადებია, რომ ამისათვის აუცილებელი იყო ამიერკავკასიის მიერ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობების შესრულება. იქვე დაურთავს, რომ თვითონ და, საერთოდ, ოსმალეთის უმაღლესი ხელისუფლება „იყვნენ მომხრე საქართველოს სახელმწიფოს და მთავრობის აღდგენისა". თან მიუნიშნებია, რომ ე. გეგეჭკორის მთავრობის შეურიგებელი პოზიცია ოსმალეთისადმი, საფრთხეში აგდებდა მთელ კავკასიას და „უმთავრესად კი — საქართველოს"[34].

ამრიგად, ტრაპიზონის სამშვიდობო კონფერენცია უშედეგოდ დამთავრდა, მხარეთა ინტერესების მკვეთრად განსხვავებულობის გამო. ამიერკავკასიელი პოლიტიკოსების აზრით, მას უნდა მოეტანა საბოლოო ზავი ოსმალეთთან ომამდელ საზღვრებში. ამ მოტივით ისინი ბოლო მომენტამდე ერიდებოდნენ კონფერენციის ჩაშლას და დანაშაულებრივ უმოქმედობას იჩენდნენ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში. აშკარად დაგვიანდა ომის გამოცხადებაც, შეიქმნა გაურკვეველი სიტუაცია და იძალა დაბნეულობამ, რაც გახდა სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს და თვით ბათუმის დაკარგვის ძირითადი მიზეზი. ოსმალეთი კი ამ მოლაპარაკებას მიიჩნევდა ტრამპლინად, რომლითაც ამიერკავკასიის მიერ ბრესტის ზავის პირობების ცნობისა და დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ამ ქვეყანასთან უნდა მიეღწია ახალი ხელსაყრელი საზავო ხელშეკრულებისათვის. მისწრაფებათა ამ სხვადასხვაობისა და ამიერკავკასიის სამხედრო-პოლიტიკური სისუსტის ვითარებაში, ოსმალეთი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაეუფლა ძალმომრეობით და თვითგამორკვევისათვის რეფერენდუმის გვერდის ავლით, რითაც უხეშად დაარღვია საერთაშორისო სამართლის ნორმები და თვით ბრესტის ხელშეკრულებაც.

---

33 გაზ. „საქართველო", 1(13) მაისი, 1918, № 84. ამავე გაზეთის მოწმობით ომარ-ფარუქის დედა იყო ქობულეთელი.

34 იქვე.

თავი VI
ოსმალთა ექსპანსია და ოკუპაცია
(1918 წ. აპრილი - დეკემბერი)

§1. ბათუმის თავდაცვა; საბრძოლო ოპერაციები ჩოლოქ-ოზურგეთსა და სამცხე-ჯავახეთში

1918 წ. მარტში, ამიერკავკასიაში ოსმალთა ჯარების შემოტევის პარალელურად, სასაზღვრო რაიონებში აქტიურად ამოქმედდნენ მათი მომხრეები და შექმნეს „ჩეთეს" რაზმები. გადაიკეტა გზები და გართულდა მოძრაობა. ამიერკავკასიის მთავრობა დაგვიანებით შეუდგა თავდაცვისათვის მზადებას. ფორმირების პროცესში მყოფი ეროვნული საჯარისო შენაერთები ერთდროულად ვერ ახერხებდნენ ფრონტის და ზურგის უშიშროების უზრუნველყოფას, რის გამოც მოწინააღმდეგე სწრაფად მოიწევდა წინ.

ოსმალთა შეტევის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ბათუმისკენ იყო. ამიტომ დაიწყეს მისი თავდაცვის მოწყობა. ამიერკავკასიის არმიის შტაბის ოპერატიული ცნობებით, 1918 წ. მარტის დამლევს ბათუმის მისადგომებს იცავდნენ შემდეგი არასრულად ფორმირებული სამხედრო ნაწილები: ლიმან-მაკრიალის რაიონს მე-3 ცხენოსანთა პოლკის ერთი ასეული და მე-4 ქართული პოლკის სამი ასეული; სოფ. აჭარისწყლის მისადგომებს - აფხაზავას გვარდიული რაზმი, პოდპოლკოვნიკ დევიძის 230-კაციანი ოფიცერთა რაზმი და ბათუმის ქართული პოლკის ორი ასეული (80 მებრძოლი). სოფ. გონიოს იცავდა მე-5 ქართული პოლკის[1] ორი არასრული ასეული 4 ტყვიამფრქვევით, პოდპოლკოვნიკ შერვაშიძის მეთაურობით. ამათ ემატებოდა 4 აეროპლანი და სამხედრო-საზღვაო ფლოტი.

---

[1] ზემოაღნიშნული „პოლკები", ფაქტობრივად იყვნენ ლეგიონები, მაგრამ წყაროებში ძირითადად პოლკებად იწოდებიან, რადგან გათვალისწინებული იყო მათი სათანადოდ შევსება და რიცხობრივად პოლკამდე აყვანა.

აღნიშნულ ძალებს გარდა, ახლად მობილიზებული რეზერვისტებისგან ქ.ბათუმში ფორმირების პროცესში იყო: 1-ლი ქართული პოლკი – გენერალ ართმელაძის მეთაურობით, ქართველ ოფიცერთა ლეგიონი – კაპიტან ლორთქიფანიძის მეთაურობით, მე-3 ცხენოსანთა პოლკის მეორე ასეული, სამთო-საცხენოსნო ბატარეა და მე-4 ქართული პოლკის დანარჩენი ასეულები[2].

საქართველოს ეროვნული საბჭოს მოწოდებით ბათუმში ყველა კუთხიდან მოეშურებოდნენ მოხალისეთა ახალ-ახალი რაზმები. აპრილის დასაწყისში აქ 8 ათასამდე მებრძოლმა მოიყარა თავი. ქ. ბათუმში გამოცხადდა აგრეთვე 60 წლამდე ასაკის ბრძოლისუნარიანი მამაკაცების მობილიზაცია[3]. მალე ქალაქის დამცველთა რიცხვი 12 ათასამდე გაიზარდა. ციხესიმაგრის ფორტებზე განალაგეს 70-მდე ქვემეხი[4], მაგრამ მებრძოლთა უმრავლესობა იყო სახალხო მოლაშქრე და მათ სამხედრო ყაიდაზე მოწყობას გარკვეული დრო სჭირდებოდა. თანამედროვეთა ცნობით, ერთადერთ „დისციპლინებულ და სანდო ძალას წარმოადგენდა მცირერიცხოვანი მენშევიკური გვარდია და არტილერისტები“[5].

ბათუმის ციხესიმაგრე თავისი ფორტებით: „ანარია“, „სამება“, „კახაბერი“, „ერგე“, „ბარცხანა“, „სტეფანოვკა“, „ბურუნ-თაბიე“, „ჰამიდიე“ და სხვ. ქმნიდა თავდაცვის სამ ხაზს და მთლიანობაში წარმოადგენდა ერთიან გამაგრებულ რაიონს. სპეციალისტთა დასკვნით, იგი იძლეოდა ნახევარი წლით ქალაქის დაცვის გარანტიას სათანადო მხედრული დისციპლინის, ხელმძღვანელობისა და ორგანიზებულობის ვითარებაში.

სამწუხაროდ, ეს პირობა თავიდანვე დაირღვა. მარტის დამლევს ბათუმის გამაგრებული რაიონის კომენდანტად დაინიშნა გენერალი გ. მდივანი, ხოლო ფორტების საერთო ხელმძღვანელად გენერალი ა. გედევანიშვილი. სამხედრო საქმისათვის მეტად საზიანო ასეთი ორხელ-

---

2 სცსსა ამფ, ს. 28 (ფურცლები დაუნომრავია).

3 აცსა, ფ. 67, ან. 1, ს. 14, ფურც. 126.

4 გ.კეინიტაძე, მოგონებები, I (საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921), თბ., 1998, გვ. 36-37.

5 ასგხფ, ს. 94, ფურც. 310, 319-320.

ისუფლებიანობის დაკანონება განაპირობა ქართველ სოციალ-დემოკრატთა უნდობლობამ ძველი რეჟიმის გენერლებისადმი. ამით მნიშვნელოვნად შეფერხდა თავდაცვის ორგანიზაცია. კიდევ მეტი, სამხედრო პირები თავიანთ გადაწყვეტილებებსა და მოქმედებაშიც შეზღუდულები იყვნენ ბათუმის დეპუტატების საბჭოს მიერ, რომელიც ითვლებოდა ქალაქის თავდაცვის ორგანიზაციის მთავარ ხელმძღვანელად[6].

ბათუმის თავდაცვის ხელმძღვანელობა (ნ. რამიშვილი და სხვ.) დაჟინებით მოითხოვდა ციხესიმაგრის გარნიზონის გაზრდას. ე. გეგეჭკორიც სამტრედიიდან ბათუმისკენ მოხალისეთა ახალ-ახალ ძალებს გზავნიდა. სარდლობას კი მიაჩნდა, რომ ბათუმის ციხესიმაგრის შენარჩუნებისათვის აღარ იყო საჭირო მისი, რიცხობრივად ისედაც ჭარბი (12 ათასი კაცი) გარნიზონის კიდევ უფრო გაზრდა, აუცილებელი იყო რეზერვისათვის თავი მოეყარათ ჩაქვის რაიონში, რომ გარედან შემოვლითი მოქმედებით არ დაენებებინათ მოწინააღმდეგისათვის ბათუმის მთლიანად ალყაში მოქცევა. ამის აუცილებლობაში ბოლოს სოციალ-დემოკრატი ლიდერებიც დარწმუნდნენ, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო[7].

ოსმალთა შემოტევის დროს ბათუმის გამაგრებული რაიონი გადაიყვანეს საალყო მდგომარეობაზე. ციხესიმაგრის კომენდანტთან შეიქმნა სადემობილიზაციო კომისია, რომელსაც სათავეში ჩაუყენეს ქალაქის სათათბიროს თავმჯდომარე ბულგაკოვი. ამ დროს ბათუმის პორტის საწყობებში იყო 22 მლნ. ფუთი მარგანეცი, 100 ათასი ფუთი ხე-ტყე, 46 ათასი ფუთი შეშა ფლოტისათვის და სხვ. სახაზინო თუ კერძო პირთა საკუთრება[8]. დაწესებულებებს დაევალათ მათი ქონების ევაკუაციისათვის მომზადება, მაგრამ ამ საქმეს აფერხებდნენ ბათუმში მოკალათებული მოწინააღმდეგის ემისრები და ქაოტური ვითარებით ხელის მოთბობის მოსურნე ადამიანები. მაგალითად, ნავთსადენი მილით ერთი კვირის მანძილზე მიმდინარეობდა „ნობელის“ ფირმის ბათუმის რეზერვუარებში არსებული

---

6 აცსა, ფ. 67, ან. 1, ს. 14, ფურც. 126-127.

7 გ. კვინიტაძე, მოგონებები, გვ. 37-40.

8 სცსსა პმფ., ს. 19, ფურც. 6.

ნავთის მარაგის სამტრედიაში გადაქაჩვა. შემდეგ გამოირკვა, რომ გადაუქაჩავთ წყალი, ხოლო ნავთი ბათუმში დარჩა. დადგინდა, რომ ეს ჩაიდინეს ამ ფირმის ბათუმის კანტორაში მოკალათებულმა მოსყიდულმა პირებმა[9].

ბათუმის დამცველებზე დამთრგუნველად იმოქმედა მოწინააღმდეგის აგენტურის მიერ სოფ. ორთაბათუმში ქალაქის წყალსადენის სათავის მოშლამ, რამდენიმე ადგილას რკინიგზის დაზიანებამ, ჩაქვის მთიან ზოლში „ჩეთეს" გამოჩენამ და მათ მიერ სოფ. ხალას დაკავებამ. 8 აპრილიდან ბათუმი ფაქტობრივად ალყაში მოექცა. რკინიგზით და ავტომაგისტრალით სამტრედიისკენ მოძრაობა სახიფათო გახდა. საზღვაო ტრანსპორტი კი არ იყო საკმარისი. ამის გამო საინტენდანტო უწყებამ მოასწრო მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობის ტვირთის რკინიგზით სამტრედიაში გადატანა. მათ შორის იყო ჩაქვის სახაზინო მამულის 8 ვაგონი ჩაი და 25 ვაგონი წითელი ჯვრის კუთვნილი ქონება და ინვენტარი[10]. გაუტანელი ხე-ტყის და სხვა ტვირთის საწყობები დანაღმეს, რომ ქალაქის დატოვების შემთხვევაში გაენადგურებიათ.

მსგავსი მოვლენები უარყოფითად ზემოქმედებდა მებრძოლთა სულიერ განწყობილებაზე. გამარჯვების რწმენის შერყევა და თავდაცვისადმი ინდიფერენტიზმი განსაკუთრებით გამოიკვეთა მას შემდეგ, რაც 10 აპრილს ღამით ბათუმიდან გაიპარა „კაროლ კარლი" და სამხედრო გემების დიდი ნაწილი[11], რითაც ქალაქი ზღვიდან დაუცველი დარჩა.

თავდაცვის საკითხებთან დაკავშირებით ბათუმში ჩამოდიოდნენ ე. გეგეჭკორი, ვ.ჯუღელი, ნ.ჟორდანია, ნ.რამიშვილი, ვლ.მგელაძე და საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასკომის სხვა წევრები. ისინი მიტინგებსა და შეხვედრებზე შეკრებილთ მოუწოდებდნენ არ აჰყოლოდნენ „ბოლშევიკურ პროვოკაციებს" და სისხლის უკანასკნ-

---

9 Борьба за победу Советской власти в Аджарии. Документы и материалы, с. 124-125.

10 სცსსა, ფ. 1818, ან. 2, ს. 283, ფურც. 13, 21.

11 ასგხფ, ს. 94, ფურც. 321.

ელ წვეთამდე დაეცვათ ბათუმი. მაგრამ, თანამედროვეთა მოწმობით, ორატორთა ლამაზი ფრაზები ქართველ მებრძოლებზე სათანადო გავლენას ვეღარ ახდენდა[12].

ამ პერიოდში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გააქტიურდნენ თურქოფილები. ისინი ხალხს მოუწოდებდნენ ოსმალთა მხარეზე გადასვლას. პროპაგანდას თან ახლდა მიზანმიმართული დეზინფორმაცია, რომ სულთანი მზად იყო სამაჰმადიანო საქართველოსათვის მიეცა ავტონომია. ამას ემატებოდა ადგილობრივი გავლენიანი პირების განაწყენება და წოდებრივი პრივილეგიების დაკარგვის შიში მმართველი პარტიების სოციალისტურ ქადაგებათა გამო. ამიტომ, სამწუხაროდ, ალაგ-ალაგ ადგილი ჰქონდა მოსახლეობის დეზორიენტაციას და ოსმალთა მხარდასაჭერად „ჩეთეს" რაზმების შექმნას.

ეს გამოიწვია მოსახლეობის გარკვეული ნაწილის „პოლიტიკურმა დაბნეულობამაც", ისლამისადმი ერთგულებამ და ერთმორწმუნე ოსმალეთისადმი სოლიდარობის გამოხატვის იმ წამბაძველობამ, რის ტონის მიმცემნიც იყვნენ „ოსმალთა ბატონობის პერიოდში აჭარაში ჩამოსახლებულ არაქართველ (თურქთა, ქურთთა და სხვ. - მ.ს.) კოლონისტთა შთამომავლები"[13].

შექმნილ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადგილობრივ მკვიდრთა ქართულ ორიენტაციაზე გადმოყვანის ღონისძიებებს, უკიდურეს შემთხვევაში, მათი ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფას. ამ მიზნით ბათუმიდან ზემო აჭარაში ავიდა დელეგაცია საოლქო კომისარ ევგენი კრინიცკის, ბათუმის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე გიზო ანჯაფარიძის, მემედ აბაშიძის და სხვ. შემადგენლობით. გურულების ცალკე დელეგაცია ჩავიდა ქედაშიც, მაგრამ უშედეგოდ. იქაურ მაღალ წრეებში ოსმალოფილური განწყობილების ზრდის გამო ვერ მოხერხდა „ჩეთეს"

---

12 გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი, გვ. 26.

13 ნ.ზოსიძე. პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წლებში, ბათ., 1995, გვ. 29-30.

რაზმების დაშლა[14]. კიდევ მეტი, 1918 წ. მარტის შუა რიცხვებიდან მათ დაიკავეს სოფ. აჭარისწყლის მაღლობები და ჩაკეტეს სამიმოსვლო გზები. მსგავსი მდგომარეობა იყო ბორჩხა-მარადიდის მიმართულებითაც[15].

უკეთესი ვითარება იყო გურიის მეზობელ კინტრიშის მაზრაში. ქობულეთში გამართულ ქართულ ორიენტაციის მხარდამჭერთა ხალხმრავალ კრებაზე გულო კაიკაციშვილმა, სულეიმან ჭყონიამ, ბექირ აბუსერიძემ, ოსმან ბასილაძემ და სხვ. გამოხატეს მოსახლეობის უმრავლესობის სურვილი ქრისტიან ძმებთან ერთად ებრძოლათ მომხვდურთა წინააღმდეგ[16]. ასევე დამთავრდა კრება დაბა ჩაქვში[17]. ამის მიუხედავად, კინტრიშის მაზრაშიც იგრძნობოდა პანთურქისტების გაძლიერებული მუშაობა, რაც მოსახლეობის გარკვეული ნაწილის დეზორიენტაციას იწვევდა. ეს გამოჩნდა კიდეც 1918 წ. აპრილში ქართული ჯარის ბათუმ-ჩოლოქის თავდაცვითი ოპერაციების დროს, როცა კინტრიშის მაზრის ზოგიერთი წარმომადგენელი გაერია „ჩეთეში".

შექმნილ ვითარებაში, 1918 წ. 5 აპრილს, ბათუმში შეიკრიბნენ ეროვნული ორიენტაციის ქართველ მუსლიმანთა წარმომადგენლები და გადაწყვიტეს ქალაქის დასაცავად ადგილობრივი მოსახლეობისაგან შეექმნათ მენშევიკური „გვარდიის მსგავსი" შეიარაღებული რაზმი[18], რომელიც იქნებოდა აგრეთვე სტიმულის მიმცემი მერყევი პირების ეროვნულ ორიენტაციაზე გადმოსაყვანად. ქართველ მაჰმადიანთა კომიტეტმა ეროვნული საბჭოს წინაშე აღძრა ამ რაზმისათვის საბრძოლო იარაღის გამოყოფის საკითხიც[19], მაგრამ მისი განხორციელება ვეღარ მოესწრო ბათუმის მალე დაცემის გამო.

---

14 მ. აბაშიძე, რჩეული ნაწერები, ბათ., 1973, გვ. 61; ასგხუ, ს. 94, ფურც. 310-312.

15 სცსსა ᲐᲛᲤ, ს. 28 (ფურცლები დაუნომრავია).

16 ასგხუ, ს. 94, ფურც. 316.

17 ვ.გოგუაძე, მოგონებანი. - ქართული ემიგრანტული ლიტერატურა „დაბრუნება", წ. 3, თბ., 1992, გვ. 436.

18 ასგხუ, ფ. 4, ს. 67, ფურც. 117.

19 დ. ჭუმბურიძე, აჭარის საკითხი 1918-1921 წლებში და ქართული საზოგადოებრივი აზრი, თბ., 1999, გვ. 17.

ამავე ომში ცნობილია ადგილობრივ მკვიდრთა ქართული ჯარ-ისადმი თანადგომის სხვა ფაქტებიც, რამაც საშუალება მისცა სარ-დლობას ბათუმ-ქობულეთს შორის ჯავშნოსანი მატარებლით ეწარ-მოებინა მანევრები და ეზრუნა ამ გზაზე მოჩიხული ქართული ნაწი-ლების გამოხსნისათვის[20].

ბათუმს უტევდა 4 ათასამდე ოსმალო ჯარისკაცი და რამდენი-მე ათასი მოლაშქრე („ჩეთნიკი"). ეს ძალა ვერ ჩაითვლებოდა ქა-ლაქის გარნიზონისათვის სერიოზულ მოწინააღმდეგედ, მაგრამ მო-წოდების სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდნენ სამხედრო ხელმძღვანელები, რომლებმაც აშკარა დაუდევრობა გამოიჩინეს ფორტების გამაგრე-ბისადმი.

უარესი მდგომარეობა იყო ჯარის ნაწილებში. გენერალ გ. მა-ზნიაშვილის ცნობით: „ფრონტზე ნამყოფ ძველ ჯარისკაცებს დავ-იწყებული ჰქონდათ დისციპლინა, მოვალეობა და მხოლოდ თავის გადარჩენაზე ფიქრობდნენ"[21]. მათ უბრძოლველად მიატოვეს პო-ზიციები. მათვე აჰყვნენ მოხალისე-მოლაშქრეებიც. იგივეს გვიდა-სტურებს პოლკოვნიკი ვალერიან თევზაძე, რომელიც იმ დღეებში მიავლინეს ბათუმში პრაპორშიკთა ათასეულის მეთაურად. ეს ნა-წილი, შტაბში არსებული ცნობებით, განლაგებული უნდა ყოფი-ლიყო რკინიგზის სატვირთო სადგურის მისადგომებთან, მაგრამ ადგილზე მისულ მეთაურს იქ მხოლოდ ერთი ასეული დახვედრია[22]. ლეგენდარული ვალოდია გოგუაძე კი იძულებული გამხდარა ბათუმის ფრონტის ერთ-ერთი უბნიდან გამოქცეული ჯარისკაცები ჯავშნოსანი მატარებლიდან ტყვიის დაშენის მუქარით მიებრუნებინა უკან[23].

ამიერკავკასიის არმიის შტაბის ოპერატიული ცნობებით[24], 1918 წ. აპრილის დასაწყისში ოსმალებმა თითქმის უბრძოლველად და-იკავეს მდ. ჭოროხის მარცხენა ნაპირი, აგრეთვე, ჯარების მიერ მიტოვებული ერგეს მთა, საიდანაც იშლება კახაბრის ველი. ეს მნ-

---

20 ვ. გოგუაძე, დასახ ნაშრ., გვ. 438-439.

21 გ.მაზნიაშვილი, მოგონებანი, გვ. 25-26.

22 ვ. თევზაძე, ქართველი ოფიცრის ჩანაწერები, გვ. 19-20.

23 ვ. გოგუაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 437.

24 იხ.Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, с. 193-1

იშვნელოვანი შენაძენი იყო მოწინააღმდეგისათვის. სარდლობამ სცადა ამ შეცდომის გამოსწორება და ერგეს მთის უკან დაბრუნება, მაგრამ უშედეგოდ. მალე დაეცა ერგეს ფორტიც, რაც სამხედროების შეფასებით „შემდგომში ბათუმის დაცემის მიზეზიც გახდა“[25].

ასეთ ვითარებაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, 10 აპრილს, ამიერკავკასიის საზავო დელეგაციამ ტრაპიზონში სცნო ბრესტის ზავი. მეორე დღესვე ვეჰიბ ფაშას მიერ გამოგზავნილმა ოფიცერმა ბათუმის კომენდანტს გადასცა ულტიმატუმი, რომელიც მოითხოვდა 48 საათის განმავლობაში ქალაქის დაცლას და ჯარების გაყვანას 1877 წლის საზღვრებში. ამან დამთრგუნველად იმოქმედა ბათუმის დამცველებზე.

13 აპრილს მოწინააღმდეგემ ბათუმის სიმაგრის მესამე ხაზსაც შემოუტია სამი მხრიდან: სოფ. ერგედან - კახაბრის ფორტს, ჭოროხისპირიდან - ზღვის სანაპიროს გასწვრივ და სოფ. ფერიასოუქსუდან - ანარიის ფორტს. პირველი შემოტევები მოგერიებულ იქნა. ქართული ჯარი კონტრშეტევაზეც კი გადავიდა და ზოგან მოწინააღმდეგეს უკანაც დაახევინა. ქალაქის თავდაცვის შტაბს იმედი მიეცა, რომ დამხმარე ძალების მოსვლამდე შეძლებდნენ ქალაქის შენარჩუნებას, მაგრამ 14 აპრილს დღის 11 საათიდან ვითარება საპირისპიროდ შეიცვალა. დისციპლინადავიწყებულმა ჯარისკაცებმა, სარდლობის ბრძანების გარეშე, უბრძოლველად მიატოვეს კახაბრის და ანარიის ფორტები. ამის მიზეზად თვითმხილველს. ყუფარაძეს მიაჩნია ფრონტის ხაზის გასწვრივ თეთრბაირალიანი ეტლის გაბედულად ჩარბენა, რომელშიც იჯდა რამდენიმე პროვოკატორი და გაიძახოდნენ მშვიდობა მიღწეულია, გაუმარჯოს ზავსო. „ამის დანახვაზე, – წერს ს.ყუფარაძე, – როგორც ბათუმის გორაკების კალთებიდან, ისე ჭოროხის მარჯვენა ნაპირიდან მოიხ-

---

25 ამ ბრალდებით კახაბერ-ერგეს რაიონში მოქმედი ჯარების სარდალ გენერალ მუსხელიშვილზე ბათუმის სამხედრო-რევოლუციურ ტრიბუნალშიც აღიძრა საქმე. მისი თავმჯდომარე სიკირკოვის ცნობით ბათუმზე ოსმალთა შემოტევის მთელ პერიოდში „სამხედრო-რევოლუციურ ტრიბუნალში განიხილებოდა საქმეები პოზიციების თვითნებურად მიტოვების თაობაზე“ (Борьба за победу Советской власти в Аджарии. Документы и материалы (1917-1921гг.), с. 127).

სნა ჩვენი ჯარის ნაწილები და ყველა მოაწყდა ქალაქს"[26]. მხოლოდ ანარიას იცავდა სიცოცხლის ბოლომდე 50-მდე პატრიოტი, ამავე ფორტის კომენდანტის, კაპიტან შავგულიძის მეთაურობით. მასთან ერთად გმირულად დაეცნენ კაპიტანი დოლიძე, პრაპორშიკები ხარაიძე, ვანიძე და სხვ.[27] თუმცა საერთო ქაოსის ვითარებაში მსგავსი მსხვერპლი და თავგანწირვა უშედეგო აღმოჩნდა.

შუადღისას ფრონტის ხაზმა რკინიგზის საბარგო სადგურთან და მენავთობეთა დასახლებაში (თანამედროვე „ბონი") გადმოინაცვლა. დაიწყო მოქალაქეთა და ჯარების პანიკური ევაკუაცია. ბათუმის ქალაქის სათათბიროს თავმჯდომარე ბულგაკოვის ცნობით, ამ დროს მომხდარა თვითმმართველობის სტიქიურად შეცვლაც: „ბათუმის სათათბიროს დარბაზში, გაურკვეველია თუ ვისი ინიციატივით, მოწვეული იქნა გარკვეულ პირთა კრება, რომელმაც შეადგინა ქალაქის ახალი თვითმმართველობა ეროვნული ნიშნის მიხედვით. ამ თათბირზე გამოიძახეს ქალაქისთავიც და მოსთხოვეს ცნობები სასურსათო მდგომარეობის შესახებ. შემდეგ მათ ციხესიმაგრის კომენდანტს გაუგზავნეს დელეგაცია და მისცეს წინადადება, მშვიდობიანი მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, ქალაქი უომრად ჩაებარებია"[28].

შექმნილ ვითარებაში თავდაცვის შტაბში გადაწყდა ნავსადგურიდან სასწრაფოდ გაეყვანათ ყველა მცურავი საშუალება, ბარჟები და ამწეები. უკანასკნელი კატერით ბათუმი დატოვეს ნ. რამიშვილმა, ბულგაკოვმა და გენერალმა მდივანმა. სარდლობამ გაითვალისწინა ბათუმში დარჩენილი მშვიდობიანი მოქალაქეების ინტერესები და ევაკუაციის წინ არ აუფეთქებია წინასწარ დანაღმული ფორტები და საწყობები.

ამრიგად, ბათუმის ევაკუაცია უგეგმოდ და სტიქიურად მოხდა. ამის გამო ქალაქიდან გაუყვანელი დარჩა რიგი სამხედრო ნაწილები, ზოგმა მათგანმა ბრძოლით გაიკაფა გზა ქობულეთისკენ, ხოლო 2 ათასამდე კაცი (ძირითადად ბათუმის მოქალაქეები), ოსმა-

---

26 ასგხფ, ს.94, ფურც.322.

27 გ.კეინიტაძე, მოგონებები, გვ. 36-37. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება", 1918, №8, გვ. 5.

28 Борьба за победу Советской власти в Аджарии. Документы и материалы, с. 123-124.

ლთა ტყვე აღმოჩნდა და ე.წ. „არდაგანის ყაზარმებში“ მოათავსეს[29]. ისინი აღრიცხვაზე აიყვანეს, უვნებლობის პირობა ჩამოართვეს და მეორე დღესვე გაათავისუფლეს.

ტყვედ ჩავარდნილთა უმრავლესობა იყვნენ ფეხის ხმას აყოლილი ადამიანები, რომლებმაც პანიკურად მიატოვეს ბრძოლის ველი, მიაშურეს თავშესაფარს და ხეირიანად თოფიც არ გაუსვრიათ საკუთარი ქალაქის გადასარჩენად. ასეთი სამწუხარო და სამარცხვინო შედეგი მაინც ვერ ამცირებს ბათუმის დაცვისათვის დაღუპულთა და ცოცხლად გადარჩენილი მეომრების იმ ნაწილის დამსახურებას, რომლებმაც ბოლომდე ერთგულად მოიხადეს თავიანთი პატრიოტული და მხედრული ვალი.

ისტორიული სამხრეთ-დასავლეთის ტერიტორიების დაკარგვა მწვავედ აღიქვა ქართველმა ხალხმა, რაც კარგად გამოხატა ტიციან ტაბიძემ: „ბათომი მისცეს და ორპირზე მოდის თათარი, ატმის ყვავილით სისხლიანი სტირის აპრილი“[30]. დ. ჭანჭათელი (ლექსში „ბათომს“) დამწუხრებული წერდა: „დაგტოვეთ ჩვენო მშვენებავ გულის ტკენით და იარით“ და იქვე იმედიანად შენიშნავდა „მოვალთ... გიხილავთ... მოგიკლით და ისევ აგაზურმუხტებთ!“[31] ოპტიმისტმა პაოლო იაშვილმა კი რევანშისკენ მოუწოდა: „ან დავიბრუნოთ ჩვენი აჭარა, ანდა ბათომთან დავტოვოთ ძვლები“[32]. იგივეს მოითხოვდა ქართული სატირული პოეზიაც: „გული ბაქოში არ მიწევს, არც ყარსში არც ერევანში, ჩემს გულს ოცნებად დარჩება მხოლოდ ბათომის რევანში“, ან კიდევ – „ველსა ხვრელით გამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი, ზავს აკაკი (ჩხენკელი – მ.ს.) ვერ მოგვიტანს თუ არ მივაშველეთ ჯარი“[33].

---

29 იქვე, გვ. 125; სხვა ცნობით ოსმალებმა ბათუმში დაატყვევეს 5 ათასი მებრძოლი (რ.გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ.200), რაც გადაჭარბებულად გვეჩვენება.

30 ტ. ტაბიძე, „ორი აპრილი“. - იხ.მისი, ლექსები,პოემები, პროზა, წერილები, თბ., 1985, გვ.83.

31 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1919, №1, გვ. 8.

32 პ.იაშვილი, „დაცემულ ბათომს“. - იხ. მისი, ერთტომეული. პოეზია, პროზა, თარგმანები, თბ., 1965, გვ. 106.; ეს ლექსი დაუთარიღებელია, მაგრამ თემატიკიდან გამომდინარე, 1918 წ. აპრილ-ივნისის მოვლენებს ასახავს. ამდენად, სავარაუდებელია, რომ იგი ამ დროს უნდა იყოს დაწერილი.

33 დ.ჭუმბურიძე, აჭარის საკითხი 1918-1921 წლებში და ქართული საზოგადოებრივი აზრი, გვ. 34-35.

ბათუმის დატოვების შემდეგ, როცა ქართული ჯარის სარდლობა „მდგომარეობაში ვერ ერკვეოდა“ და „შტაბშიც ძუნწი ცნობები ჰქონდათ“ უკანდახეული ჯარების ადგილსამყოფელის შესახებ[34], შეუძლებლად ჩაითვალა ახალი თავდაცვითი მიჯნის მოწყობა ბათუმ-ქობულეთს შორის. მით უმეტეს, რომ ქართული ჯარის ზურგში მოქმედებდნენ ოსმალეთის მოლაშქრეები.

უკანდახეული ქართული სამხედრო ნაწილები გაერთიანდნენ დივიზიად გენერალ გ.მაზნიაშვილის მეთაურობით და განლაგდნენ მდ. ჩოლოქის გასწვრივ, მაგრამ ვაკეზე მდებარე ეს პოზიცია არახელსაყრელი იყო. ამიტომ, სტრატეგიული უპირატესობის მოსაპოვებლად, გ.მაზნიაშვილმა 17 აპრილს დაიკავა სარკინიგზო ხიდი მდ. ოჩხამურზე და იქ გახსნა საგუშაგო. ამის შემდეგ ქართულ ჯარს მიეცა საშუალება ჯავშნოსანი მატარებლით მოწინააღმდეგის ზურგში მოეწყო რეიდები ქობულეთის მისადგომებამდე.

ოსმალთა შემოსევის რეალურმა საფრთხემ მძლავრი სტიმული მისცა საერთო - სახალხო მოძრაობას მთელ საქართველოში. გ. მაზნიაშვილის ცნობით: „ამ დროისათვის ყოველ საათში მოდიოდა მცირერიცხოვანი რაზმები, თითო 100-150 კაცამდე“, მაგრამ მარტო პატრიოტიზმი არ კმაროდა. მოხალისეთა უმეტესობა მხედრული წრთობის გარეშე იყო და ნაკლებად სცნობდნენ დისციპლინას. იყო შემთხვევები, როცა ცალკეული რაზმელები ერთი-ორი დღით წაიბრძოლებდნენ და შემდეგ უკან წასასვლელად ეშურებოდნენ, შინაური საქმეების მომიზეზებით[35].

ამასობაში ოსმალებმა ზღვით ბათუმში გადმოსხეს და ქობულეთში ჩაიყვანეს გალიპოლის დივიზია 7 ათასი ჯარისკაცის შემადგენლობით[36]. აშკარად ჩანდა, რომ ისინი საფუძვლიანად ემზადებოდნენ საქართველოს სიღრმეში შემოჭრისათვის. გადაწყდა იქეთ შეეტიათ რიცხვმრავალი მტრისათვის, რაც 19 აპრილს ბრწყინვალედ განახორციელეს ქართველებმა. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით

---

34 ე. თევზაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 20.

35 გ.მაზნიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ.34, 45-46.

გამოიჩინა თავი ვ. გოგუაძის ჯავშნოსანმა მატარებელმა. ოჩხამურ-ნატანებს შორის მინდორი ოსმალთა ასკერების გვამებით მოიფინა. მოკლულთა სახით მათ დაკარგეს 1015 მებრძოლი და 600 დაჭრილი. ქართველთა დანაკარგი კი უმნიშვნელო იყო - 4 მოკლული და 30 დაჭრილი. ამის შემდეგ ოსმალებმა შეწყვიტეს ჩოლოქზე შეტევა, დაიხიეს მდ. ოჩხამურის მარცხენა ნაპირზე, სადაც დაიწყეს სანგრების გათხრა და თავდაცვითი მიჯნის მოწყობა[37].

ფრონტის მარჯვენა უბანზე ბრწყინვალე გამარჯვების სიხარული დაჩრდილა მარცხენა, ოზურგეთის უბანზე წარუმატებლობამ, რაც პირველ ყოვლისა ამ მონაკვეთის სარდლის, პოლკოვნიკ სვიმონ წერეთლის უპასუხისმგებლობის ბრალი იყო. მის განკარგულებაში მყოფი მე-4 ქართული პოლკი შედგებოდა სამი ათასეულისაგან. მათ პოზიციები ეკავათ სოფ. ლიხაურთან, შემოქმედთან და ვაშნარის გზის გასწვრივ. ამით ქ. ოზურგეთი სამივე მისადგომი მხრიდან იყო დაცული. ელოდნენ არტილერიის და ახალი ნაწილების მისვლასაც, მაგრამ ოზურგეთის დამცველები დაფრთხნენ, როცა ღამით, მთის გზით მათ ზურგში შეაღწია „ჩეთეს“ რაზმმა. ხოლო, როცა 18 აპრილს სილაურ-ლიხაურის გზით შემოუტიეს ოსმალთა რეგულარულმა ნაწილებმა, ათასეულებმა თითქმის უბრძოლველად მიატოვეს პოზიციები და ს. წერეთლის ბრძანებით ნასაკირალისკენ დაიხიეს. მათვე გაჰყვნენ და გაიხიზნენ ოზურგეთის საზოგადოებრივი და სახელმწიფო დაწესებულებები. 19 აპრილს ოსმალებმა უბრძოლველად დაიკავეს მიტოვებული ქალაქი[38].

ოზურგეთის დაკარგვა ქმნიდა ახალ სტრატეგიულ საფრთხეს. მოწინააღმდეგეს უკვე შეეძლო ნასაკირალის უღელტეხილის გვერდის ავლით და შემოქმედ-ხიდისთავ-ჩოხატაურზე გადავლით შეჭრილიყო საჯავახო-სამტრედიაში. ამით პირველ ყოვლისა, გზას გადაუჭრიდნენ ოჩხამურ-ნატანების რაიონში მოქმედ გენერალ მა-

---

37 სცსსა ამფ, ს. 28 (ფურცლები დაუნომრაეია); გ. მაზნიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 40-41.

38 იქვე, გვ. 36-42.

ზნიაშვილის ძირითად ძალებს და ალყაში მოაქცევდნენ მათ. მეორე მხრივ, საჯავახოდან იშლება მდ. რიონის ვაკე, რაც აიოლებდა ოსმალთა შეტევას ქუთაისის მიმართულებით. მაგრამ, ჩოლოქთან განცდილი მარცხით შეშინებული მოწინააღმდეგე ოზურგეთში შეყოვნდა და შეტევის გაგრძელება დააგვიანა. გ. მაზნიაშვილმაც მიიღო სათანადო ზომები. პოლკ. სვ. წერეთელი შეცვალა პირველ მსოფლიო ომში სახელგანთქმულ გენერალ გიორგი სუმბათაშვილით. ნასაკირალში გადაიყვანეს პოლკოვნიკ სოლომონ ყარალაშვილის მე-2 პოლკის ქვეითი ნაწილები, ხოლო ნაგომრის უღელტეხილი გაამაგრეს ახალციხის ფრონტიდან გადმოყვანილი პოლკოვნიკ ს.გედევანიშვილის ე.წ. „ფედერალისტთა რაზმით“[39].

24 აპრილის დილით ქართულმა ჯარმა დაიწყო მასირებული კონტრშეტევა ოზურგეთის გამოსახსნელად. მოწინააღმდეგე თანდათან შეიბოჭა და ქალაქის დატოვებასაც აპირებდა. ამ დროს გენერალ მაზნიაშვილს მიუვიდა მთავრობის ბრძანება - დაუყოვნებლივ შეეწყვიტა სამხედრო მოქმედება, ოსმალეთთან დროებითი ზავის დადების გამო[40]. ამის შემდეგ, გერმანელების დაწოლით, თურქები დათანხმდნენ ტრაპიზონში შეწყვეტილი საზავო მოლაპარაკების ბათუმში განახლებას.

* * *

არანაკლებ მძიმე ვითარება შეიქმნა ყარს-არტაანსა და სამცხე-ჯავახეთში. 1917 წ. ოქტომბრის ბოლშევიკური სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ იქაური აღა-ბეგები დარწმუნდნენ ხელისუფლების სისუსტეში. მათ ადგილობრივი მაჰმადიანური მოსახლეობისაგან შექმნეს შეიარაღებული რაზმები, ურჩობა გამოუცხადეს

---

39 იქვე. გვ. 43-44.

40 იქვე. გვ. 48-50; Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. с.226.

ამიერკავკასიის მთავრობას და სეპარატიზმის გზას დაადგნენ. იმავე 1917 წ. 27 დეკემბერს ისინი გარს შემოერტყნენ ქ.ახალციხეს და მოითხოვეს იარაღის საწყობის და ყაზარმების დათმობა[41]. მოჯანყეთა ერთ-ერთი მეთაური ბახში-ბეგ მაჩაბელი იმდენად გაიტაცა სომხების ამოწყვეტის იდეამ, რომ შეეცადა ამის აუცილებლობაში დაერწმუნებინა თვით მაზრის კომისარი შალვა მაღლაკელიძე[42].

გაჭირვების ჟამს ახალციხეს მიაშურა 30-მდე ქართველმა მოხალისე პატრიოტმა ოფიცერმა. მათ შორის იყო გენერალი ბალო მაყაშვილი, რომელიც მისი თავდაცვის ხელმძღვანელი გახდა. სახელდახელოდ გაკეთდა სამხედრო გამოცდილების ახალციხელთა მობილიზაცია. 1918 წ. იანვრის დასაწყისში აქ შეიქმნა ქართველთა სამი ბატალიონი პოლკოვნიკ კობეშავიძის მეთაურობით. მათ საფუძველზე შემდეგ ჩამოყალიბდა მე-9 ქართული პოლკი. შეიქმნა სომეხთა ათასეულიც. ამ ძალებმა ენერგიულად შეუტიეს და მოჯანყეებს მალე უკან დაახევინეს[43]. ამის მიუხედავად ახალციხე ფაქტობრივად მაინც ალყაში რჩებოდა მის ირგვლივ მდებარე მაჰმადიანებით დასახლებული სოფლების: ურაველის, ლებისის, ასპინძის, აწყურის, ადიგენის, ფოცხოვის, ქვაბლიანის და სხვ. მიერ[44].

ახალციხის თავდაცვის მონაწილე ზ.დიდიმამიშვილი თავის დღიურში შენიშნავდა, რომ „ამ სამოქალაქო ომის ატეხაში" სერიოზული ბრალი მიუძღოდათ სომხებს, რომლებიც შესევიან მაჰმადიანთა სოფლებს, გაუძარცვავთ და ზოგი მათგანი (ზედა წრუთი, ანდა და სხვ.) გადაუწვიათ კიდეც. ეს იწვევდა მაჰმადიანთა საპირისპირო მოქმედებას, რის გამოც ორივე მხარის მოსახლეობა ზა-

---

41 სჯმხუ, ს. 3428, ფურც. 92; შ. მაღლაკელიძე. ნაწყვეტი ახლო წარსულიდან. მესხეთის გარშემო. - „ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში", თბ., 1994, გვ. 242-244.

42 შ. მაღლაკელიძე, დასახ. მოგონება, გვ. 42.

43 იქვე, გვ. 244.

44 დ.კოჟორიძის ცნობით ამბოხებულთა რაზმებში 45 ათასამდე შეიარაღებული კაცი იყო გაერთიანებული (იხ. მისი, სამცხე-ჯავახეთი. წარსული და დღევანდელობა, გვ. 104). შევნიშნავთ, რომ ეს ციფრი გადაჭარბებულია და წყაროებით არ დასტურდება.

რალდებოდა[45]. იგივეს ჩიოდნენ ახალციხეში საგანგებოდ ჩამოსული ქართველი ქრისტიანებით დასახლებული სოფლების წარმომადგენლები და ხელისუფლებას სთხოვდნენ აღეკვეთათ მაჰმადიანთა სოფლების რბევა და ძარცვა[46].

1918 წ. თებერვლის დამლევს ვნებათაღელვა დროებით ჩაცხრა. ამბოხებულებმა შეწყვიტეს ალყა და ახალციხის ბაზარზე სურსათის შემოტანაც დაიწყეს. თუმცა ტრაპიზონის საზავო კონფერენციის პერიოდში, ოსმალთა მიერ შეტევის განახლებამ და პირველმა წარმატებებმა, მათ ხელახალი სტიმული მისცა აჯანყებისათვის. ამაში უდიდესი როლი შეასრულეს ოსმალთა ემისრებმა და პროპაგანდისტებმა.

უმძიმესი მდგომარეობა შეიქმნა არტაანის მხარეში. მარტის დამლევს ის უკვე „ჩეთეს" ხელში იყო. მომეტებულად აქტიურობდნენ ადგილობრივი ქურთები, ვინმე აბდულას მეთაურობით. ოლთისიდან ლტოლვილი ერთი ქართველი კათოლიკე ქალის ცნობით, „ჩეთნიკებს" იმ მხარეში ხალხი მთლიანად გაუძარცვავთ და ბევრი ქრისტიანიც გაუწყვეტიათ[47].

არტაანის, ერუშეთის, შავშეთის და ფოცხოვის მეამბოხე ბეგები შეუკავშირდნენ ადიგენ-ქვაბლიანის მხარის მმართველთა შთამომავალ სერვერ-ბეგ ათაბეგს (ჯაყელი), აწყურელ ომარ-ფაიკს (ყიფიანი), ადიგენელ ბახში-ბეგ მაჩაბელს, ხერთვისელ ბილალი-ბეგ ვაჩნაძეს და სხვ. მარტის დამლევს მათ ხელახლა ააბუნტეს ხალხი. დაიკავეს ქვაბლიანი, აწყური, ასპინძა და გადაკეტეს გზა ბორჯომთბილისისაკენ.

1918 წ. 26 აპრილიდან ახალციხე კვლავ იქნა ალყაშემორტყმული. მას შემოეხიზნა უდედან, არალიდან და სხვა სოფლებიდან ლტოლვილი მოსახლეობა, რაც მძიმე ტვირთად დააწვა ქალაქს. 26 მაისს ზ. დიდიმამიშვილი თავის დღიურში წერდა: „ერთი თვე შესრულდა, რაც ქალაქ ახალციხის მცხოვრებნი ტყვეობაში იმყოფებიან.

---

45 სჯმხფ, ს. 1136, ფურც. 2.

46 შ.ლომშაძე, მესხები. ახალციხური ქრონიკები II, გვ. 274.

47 სჯმხფ, ს. 1136, ფურც. 111; სცსსა ამფ, ს. 28 (ფურცლები დაუნომრავია).

ხალხის გაჭირვება უმაღლეს წერტილამდე აღწევს, გამოილია ფქვილი, მეოთხე დღეა ქალაქში პური არ იშოვება. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი იკვებება აჯეჯილებული და გაფუჭებული კარტოფილით, მალე ისიც გამოილევა"[48]. მსგავს გაჭირვებაში იმყოფებოდა აგრეთვე ახალქალაქის და მთელი ჯავახეთის მოსახლეობა.

მძიმე მდგომარეობის და ალყის მიუხედავად ახალციხის დამცველები არ გატეხილან. მათ ბოლომდე იბრძოლეს და შეინარჩუნეს მშობლიური ქალაქი. 3 მაისს, გენერალ მაყაშვილის ბრძანებით, ახალციხის მაზრაში გამოცხადდა სამხედრო მდგომარეობა. ქალაქის სამხედრო კომენდანტად დაინიშნა პოლკოვნიკი ყანჩელი. ახალციხე კვლავ იქცა ორგანიზებული თავდაცვის ცენტრად. მობილიზებული იქნა 16-დან - 60 წლამდე ასაკის ყველა მამაკაცი. ახალციხელმა ხელოსნებმა მოაწყვეს ვაზნების დამამზადებელი მექანიკური დაზგაც. ყველა მოქალაქე ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო სანგრების გათხრაში და სხვა სამუშაოებში. თვით ბავშვებიც თავდაცვაზე მუშაობდნენ, წმენდდნენ იარაღს, საბრძოლო მასალა გადაჰქონდათ საჭირო ადგილას და ა.შ. იგივე მდგომარეობა იყო სოფლებშიც. ყოველი მათგანი წარმოადგენდა საბრძოლო ერთეულს, თავისი შტაბით და საგუშაგოებით[49].

ქალაქის და ქრისტიანებით დასახლებული სოფლების კოორდინირებულ თავდაცვას ხელმძღვანელობდა ახალციხის თავდაცვის შტაბი გენერალ მაყაშვილის მეთაურობით. ამის პარალელურად, ახალციხელმა სომხებმაც შექმნეს თავიანთი „ქალაქის თავდაცვის ცენტრი", რომელსაც ხელმძღვანელობდა ქალაქისთავი დაშნაკი ზორიანი. ფაქტობრივად ის აკონტროლებდა სომხებით დასახლებული სოფლების საქმიანობასაც. ასე შეიქმნა თავდაცვის საქმისათვის მეტად მავნე ორხელისუფლება. გარდა ამისა, ალყაშემორტყმულ ახალციხეში თავიანთი პარტიული პოლიტიკის გატარებას ცდილობდნენ სოციალ-დემოკრატების, დაშნაკების, ესერების, კადეტების და სხვ. ადგილობრივი ორგანიზაციები[50]. ასეთი მრავალხელისუფ-

---

48 სჯმხუ, ს. 1136, ფურც. 32.

49 იქვე, ს. 4641, ფურც. 19-39.

ლებიანობა კი ჯარისკაცებსა და მოსახლეობაში უდისციპლინობას იწვევდა. ალყის მიუხედავად, ქალაქის განაპირა იელიტის ბაღში კვლავ გრძელდებოდა დუდუკებით და არღნით ქეიფი, რასაც, ზ.დიდიმამიშვილის ცნობით, უმეტესწილად ქართველი და სომეხი მებრძოლები აკეთებდნენ[51].

1918 წ. 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შესახებ ახალციხეში გვიან შეიტყვეს. ამის გამო, 2 ივნისს დილის 11 საათზე, ადგილობრივ ქართველთა ეროვნულმა საბჭომ (თავ-რე ექიმი ივ. ასათიანი) რაბათში მოიწვია სახალხო კრება, რომელიც მიესალმა ამ უდიდეს ისტორიულ ნაბიჯს და სთხოვა საქართველოს მთავრობას ახალციხის დაცვა, აგრეთვე სომხეთის რესპუბლიკის დაცვაც, „ვინაიდან, - ეწერა კრების რეზოლუციაში, - სომხის ერის განადგურება იქნება საქართველოს რესპუბლიკის დაუძლურებაო“[52].

სომხებით დაკომპლექტებულმა ახალციხის თვითმმართველობამაც გადაწყვიტა ანგარიში გაეწია კონიუნქტურისათვის და იმავე 2 ივნისს, საღამოს 8 საათზე, მოიწვია საერთო-საზოგადო კრება საქართველოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. კრებას ხელმძღვანელობდა ახალციხის სათათბიროს თავმჯდომარე ჩილინგარიანი (ესერი). სიტყვით გამოვიდნენ ქალაქის თავი ზორიანი, მისი მოადგილე აივაზიანი, ხმოსანი ტერ-გრიგორიანი (კადეტი), ახალციხელი დაშნაკების ბელადი ზარაფიანი და სხვ. მათ ქართველებს მიულოცეს დამოუკიდებლობა და დიდი პათოსით ილაპარაკეს სომეხ-ქართველთა მეგობრობაზე.

ზ.დიდიმამიშვილის შეფასებით, ზემოაღნიშნულ ორატორთაგან საქართველოსთან კავშირის რეალური მომხრე იყო მხოლოდ ქალაქის თავის მოადგილე აივაზიანი. ყველა დანარჩენი კი სომხურ ნაციონალისტურ მიმართულებას წარმოადგენდნენ და ყბადაღებული ე.წ. „დიდი სომხეთის“ აღდგენისათვის, მასში სამცხე-ჯავახეთის გაერთიანებისათვის, შეფარვით თუ აშკარად საქმიანობდნენ. ამავე

---

51 სჯმხფ, ს. 1136, ფურც. 18.

52 იქვე, ფურც. 41.

მიზანს ემსახურებოდა მათი, გარეგნულად სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებში დანაწილებაც, რომ საჭიროებისას იქაც ჰქონოდათ ხმის უფლება და ჰყოლოდათ დასაყრდენი ძალა. ეს შემდეგში არაერთხელ გამოჩნდა[53]. დასასრულ, კრებამ მიიღო დადგენილება, რომლითაც ახალციხის მთავარ ქუჩას ეწოდა 26 მაისის სახელი. დადგინეს აგრეთვე ქალაქის ბიუჯეტის ხარჯზე ქართული სკოლის გახსნა.

26 მაისის დამოუკიდებლობის აქტით გამოწვეული ახალციხელთა აღტაცება და სიხარული დაჩრდილა ბათუმის ზავმა, რომლითაც მთელი სამცხე-ჯავახეთი, გარდა აწყურისა და აბასთუმნისა, ოსმალოს ხელში გადადიოდა. ახალციხე დატოვა აქ ფორმირებულმა მე-9 ქართულმა პოლკმა, რომელიც ამ დროისათვის 1000-ზე მეტ გამობრძმედილ მებრძოლს აერთიანებდა[54]. მათვე მიჰყვა ახალციხელ სომეხთა ბატალიონი და ლტოლვილთა მრავალათასიანი მასა.

ამრიგად, ოსმალეთმა ისარგებლა რუსეთის იმპერიის დაშლით, კავკასიის ფრონტის დარღვევით და დიპლომატიური ნორმების იგნორირებით, იარაღის ძალით დაიპყრო სამხრეთ-დასავლეთ საქართველო.

---

53 იქვე, ფურც. 42.

54 სცსსა ჰმფ, ს. 28 (ფურცლები დაუნომრავია).

§2. ბათუმის საზავო კონფერენცია

ოსმალთა შემოტევის ვითარებაში ამიერკავკასიის სეიმმა დახმარებისაკენ მოუწოდა ყველა შესაძლო ძალას: საზოგადოდ „რუსეთის დემოკრატიას“, მოსკოვის საბჭოთა მთავრობას, სევასტოპოლის „ცენტროფლოტს“, დიდი ბრიტანეთის სარდლობას, მაგრამ უშედეგოდ. დახმარების თხოვნით მიმართეს გერმანელებსაც, რაზედაც უპასუხეს, რომ სანამ ამიერკავკასია იურიდიულად იქნებოდა რუსეთის შემადგენელი ნაწილი, გერმანია კონფლიქტში აქტიურად ვერ ჩაერეოდა.

იზოლაციაში მოქცეული ამიერკავკასიელი პოლიტიკოსებიც დარწმუნდნენ ოსმალეთთან ბრძოლის უშედეგობაში. ამიტომ, 22 აპრილს სეიმმა გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობა, „ოსმალეთთან ომის მომხრე“ ე. გეგეჭკორის მთავრობა ა.ჩხენკელის მეთაურობით შექმნილი ახალი კაბინეტით შეცვალა, რის შესახებაც მეორე დღესვე აცნობა ოსმალეთს და შესთავაზა ტრაპიზონში შეწყვეტილი საზავო მოლაპარაკების განახლება. ამას მოჰყვა ფრონტზე დაზავებაც, მაგრამ ოსმალებს სამხედრო მოქმედება ფაქტობრივად არ შეუჩერებიათ და 25 აპრილს ყარსიც დაიკავეს. ამით მათ იარაღის ძალით დაასრულეს ბრესტის ხელშეკრულებით განსაზღვრული ტერიტორიების დაპყრობა. ამ ზავით გაუთვალისწინებელი ოზურგეთის მაზრიდან და სხვა ტერიტორიებიდან ოსმალთა ჯარების გაყვანის არაერთგზის მოთხოვნაზე კი ა.ჩხენკელს უპასუხეს, რომ საკითხს გადაწყვეტდა მომავალი საზავო კონფერენცია, რომელიც მხარეთა შეთანმებით ბათუმში უნდა გამართულიყო.

ბათუმის საზავო კონფერენცია მიმდინარეობდა ორ ეტაპად (1918 წ. 11-26 მაისი და 31 მაისი-4 ივნისი), პირველად ამიერკავკასიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ოსმალეთს შორის, ხოლო მეორე ეტაპზე ამ უკანასკნელსა და ამიერკავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკებს შორის. კონფერენციის პირველ ეტაპზე, ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის საზავო დელეგაცია შედგებოდა 45 კაცისაგან. მათგან დელეგატი იყო ექვსი: ა.ჩხენკელი (თავმჯდომარე) და ნ.ნიკოლაძე - ქართველთაგან, რ.კაჩაზნუნი და ა.ხატისიანი - სომეხთაგან, მ.გაჯინსკი და რასულ-ზადე - აზერბაიჯ-

ანელთაგან. მათ ახლდათ მრჩეველები, ეროვნული საბჭოების მდივნები, სამხედრო ექსპერტები, პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები და ა.შ. სწორედ ამ უკანასკნელთა ურთიერთუნდობლობამ განსაზღვრა საზავო დელეგაციის ასეთი, პრაქტიკულად არასაჭირო, რიცხვმრავლობა[1]. 6 მაისს ეს შემადგენლობა ბათუმში ჩამოვიდა და დაბინავდა სასტუმრო „ორიენტალში" (დღეს გოგებაშვილის ქ. №10 - მ.ს.).

ბათუმში გასაგზავნ დელეგაციაში ოფიციალურად აღარ ჩაურთავთ ჰაიდარ აბაშიძე. ჩანს, საქართველოს ეროვნული საბჭო მოერიდა ოსმალთა მიერ ოკუპირებულ ბათუმში მის გამოჩენას. ამის მიუხედავად, ჰაიდარი საკუთარი რისკით ჩამოვიდა თბილისიდან მშობლიურ ქალაქში, სადაც მისი ბინა გახდა დელეგაციის ქართველი წევრების ყოველდღიური თავშეყრის და ბჭობის ადგილი. ამიტომაც ისინი, პროფ. სარგის კაკაბაძის გადმოცემით, ჰაიდარს ხუმრობით „დელეგაციის თავს" უწოდებდნენ[2].

ოსმალეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა იუსტიციის მინისტრი-ჰალილ ბეი. დელეგაციაში შედიოდნენ: გენერალი ვეჰიბ ფაშა, ორხან ბეი (დელეგაციის პირველი მდივანი); სახელმწიფო მდივნის თანაშემწე მუხთარ ბეი, სახელმწიფო მრჩეველთა იურიდიული ბიუროს დირექტორი ნუსრეთ ბეი, ნიზამედინ ბეი (დელეგაციის მდივანი), კავკასიის ფრონტის სანიტარიული სამსახურის უფროსი თევფიკ სალიმ ბეი, გენშტაბის ოფიცრები იუსუფ ბეი და სადიკ ბეი[3]. ოსმალეთის დელეგაციას ჩამოჰყვნენ და კონფერენციას დაესწრნენ ახლად გამოცხადებული ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის წარმომადგენელი ჰ.ბამატი და მთავრობის თავმჯდომარე ა.ჩერმოევი.

ბათუმის კონფერენციაზე გერმანიამაც მოაელინა საკუთარი დელეგაცია გენერალ ფონ ლოსოვის (გერმანიის სამხედრო რწმუნებული კონსტანტინოპოლში), გრაფ შულენბურგის (ომამდე გერ-

---

1 ზ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 49.

2 ალ. ხურგულაძე, ცხოვრება და ღვაწლი ჰაიდარ აბაშიძისა, გვ. 50-52.

3 სცსსა, ფ. 1796, ან. 1. 86, ფურც. 5.

მანიის გენერალური კონსული თბილისში) და აღმოსავლეთის საქმეთა სპეციალისტის ო.ვეზენდონკის შემადგენლობით. მათ დავალებული ჰქონდათ აელაგმათ ოსმალთა გაზრდილი ტერიტორიული პრეტენზიები და არ დაეშვათ მათთვის ბრესტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე მეტის დათმობა, რადგან ეს იქნებოდა ამიერკავკასიაში გერმანიის ინტერესების ხელყოფა. მეორე მხრივ, გერმანიის დელეგაციას უნდა მიეღწია კონფერენციის სწრაფად დამთავრებისათვის, რომ კავკასიის ფრონტზე გამოთავისუფლებული ოსმალეთის ჯარები ინგლისის წინააღმდეგ გადაესროლა მესოპოტამიაში.

კონფერენციის პირველ სხდომაზევე (11 მაისი) გამოვლინდა უთანხმოებები, როგორც ამიერკავკასიის და ოსმალეთის, ისე ამ უკანასკნელის და გერმანიის დელეგაციებს შორის. ამიერკავკასიის დელეგაციამ მოითხოვა, რომ მოლაპარაკება წარემართათ ბრესტის ზავის საფუძველზე. იგივე აზრის იყო გერმანიის მხარეც. ჰალილ ბეიმ კი განაცხადა, რომ ამიერკავკასიის მთავრობამ ჩაშალა ტრაპიზონის კონფერენცია, რის გამოც საქმე ხელახალ სამხედრო შეტაკებამდე მივიდა, სისხლი დაიღვარა, ამიტომ, „შემდგომი მოლაპარაკება ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მოთხოვნებს ვერ დაეფუძნებაო". სანაცვლოდ მან ა.ჩხენკელს შესთავაზა საზავო ხელშეკრულების ახალი პროექტი, რომლითაც ოსმალეთის ხელში დამატებით უნდა გადასულიყო ახალქალაქის, ახალციხის, ალექსანდროპოლისა და ეჩმიაძინის რაიონები. ამით ფაქტობრივად აღდგებოდა 1828 წ. საზღვარი.

კონფერენციის მსვლელობისას ამიერკავკასიის დელეგაცია ითვალისწინებდა გერმანიის ინტერესებს ამ რეგიონში და ოსმალეთის მადასთან მის შეუთავსებლობას. ამიტომ ცდილობდა ეს თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. ამ მიზანს ემსახურებოდა 13 მაისის მემორანდუმი, რომელიც მოითხოვდა ოსმალთა მიერ 11 მაისს შემოთავაზებული „ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულების" პროექტის განხილვასა და საბოლოო დოკუმენტების ხელმოწერაში არა მარტო ოსმალეთის, არამედ ოთხთა კავშირის ყველა სახელმწიფოს მონაწილეობას.[4]

---

[4] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, с.268-

ოსმალთათვის ნათელი იყო ამ დიპლომატიური სვლის მიზანი. პასუხად ჰალილ ბეიმ მტკიცედ განაცხადა, რომ ამის გადაწყვეტა „მხოლოდ მოკავშირე მთავრობების საქმეა“ და მას არ შეუძლია მიიღოს ამიერკავკასიის დელეგაციის აზრი ამ საკითხზე. მეტიც, 14 მაისის ნოტით ოსმალეთის დელეგაციამ მოითხოვა ალექსანდროპოლ-ჯულფის რკინიგზის გადაცემა, რასაც იგი ჩრდილოეთ სპარსეთში ინგლისელებთან საბრძოლველად „სტრატეგიული აუცილებლობით“ ასაბუთებდა[5]. 15 მაისს ოსმალებმა დაიკავეს ალექსანდროპოლი. შეუდგნენ მზადებას ერევნის და თბილისის. მიმართულებით შეტევისათვის.

ამჯერად გერმანიის სამხედრო წრეებიც დარწმუნდნენ, რომ „ენვერი და თურქეთის მთავრობა უფრო კავკასიაში თავის პანისლამისტურ მიზნებზე ფიქრობდა, ვიდრე ინგლისთან ომზე“[6]. აღშფოთებულმა გერმანიის გენშტაბის უფროსმა გენერალმა ლუდენდორფმა დაავალა ოსმალეთის გენშტაბის უფროსის მოადგილეს გენერალ ფონ სექტს, რომ ენვერ ფაშას ტერიტორიული პრეტენზიები მოექცია ბრესტის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფარგლებში, შეეჩერებინა ოსმალთა შემდგომი წინსვლა ამიერკავკასიაში და აქ გამოთავისუფლებული მათი ჯარები ირანსა და მესოპოტამიაში გადაეყვანა[7].

„თურანის“ გეგმით შეპყრობილი ოსმალეთის მმართველი წრეები მოკავშირე გერმანიის პროტესტებს ყურადღებას არ აქცევდა. 20 მაისს ენვერ ფაშა ბერლინის წინაშე თავს იმით იმართლებდა, რომ კავკასიაში არის ბოლშევიზმის გავრცელების საშიშროება, რის გამოც ოსმალეთს არ შეუძლია „დარჩეს პასიურ მეთვალყურედ“. ამავე მიზეზით მათი დელეგაცია ბათუმის კონფერენციაზე აყენებდა დიდ ტერიტორიულ და პოლიტიკურ მოთხოვნებს. უკვე 25 მაისს ფონ ლოსოვი თავის მთავრობას ბათუმიდან ატყობინებდა: „ამჟამად თურქეთის ყურადღება მიმართულია ბაქოს,

---

[5] იქვე, გვ. 269-270, 273.

[6] Людендорф Э., Мои воспоминания о войне 1914-1918 гг. т. 2, М., 1924, с. 187.

[7] Мюльман К., დასახ. ნაშრ., გვ. 270-271.

ვლადიკავკაზის და მთელი კავკასიის დაპყრობისაკენ". ამ მიზნით ოსმალებმა კავკასიის მაჰმადიანურ მოსახლეობაში გააძლიერეს საიჯანყებო მუშაობა. გეგმავდნენ, აგრეთვე, ერთი დივიზია თბილისის გავლით გაეგზავნათ ვლადიკავკაზში „დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ჩრდილოეთ კავკასიელი მაჰმადიანების დასახმარებლად"[8].

გერმანელებმა გადაწყვიტეს დაესწროთ ოსმალებისათვის და დაეკავებინათ ამიერკავკასიის ნავთობის და მარგანეცის რაიონები. მით უმეტეს, რომ ამის განხორციელებისათვის რეალური პირობები უკვე არსებობდა. კერძოდ, 1918 წ. მაისის პირველ რიცხვებში გერმანიის საარმიო დაჯგუფება „კიევი"-ს ნაწილებმა დაიკავეს რუსეთის შავი ზღვის თითქმის ყველა ნავსადგური და როსტოვის ოლქი[9], რითაც უშუალოდ დაუმეზობლდნენ საქართველოს. მაისის ბოლოს, საქართველოს ეროვნულ საბჭოსთან შეთანხმებით, ყირიმიდან ფოთში ჩამოვიდა 1800 გერმანელი ჯარისკაცი.

ბათუმის კონფერენციის პერიოდში, სამხედრო ღონისძიებებთან ერთად, ოსმალეთის დელეგაცია ცდილობდა გამოეყენებინა ამიერკავკასიის ეთნიკურად ჭრელი დელეგაციის წევრთა უთანხმოებანი. კერძოდ, გეგმავდა მიეღწია ამიერკავკასიის პოლიტიკური რეორგანიზაციისათვის, მისი გამუსლიმანებისა და „გათურქების" მიზნით. ამის მიღწევას ისინი აპირებდნენ ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის, კავკასიის ერთიან სახელმწიფოდ გარდაქმნით. ამ გეგმით ჩრდილო კავკასიელი მუსლიმანები აზერბაიჯანელებს შეუერთდებოდნენ, მაჰმადიანები უმრავლესობაში აღმოჩნდებოდნენ და კავკასიის სახელმწიფოც, თურქთა აზრით, ოსმალურ ორიენტაციას დაადგებოდა. ამ მიზნით ოსმალებმა ბათუმის კონფერენციის კულუარებში საიდუმლო მოლაპარაკება გააჩაღეს აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის წარმომადგენლებთან.

პროოსმალური კავკასიის სახელმწიფოს შექმნა სამომავლოდ საშიშროებას უქმნიდა ამ რეგიონში გერმანიის ინტერესებს, ხოლო ქართველი და სომეხი ხალხისთვის ასეთ სახელმწიფოში გაერთი-

---

8 იქვე, გვ. 272.

9 История Первой мировой войны (1914-1918 гг.).т. 2, М., 1975, с. 438.

ანება იქნებოდა დამღუპველი. გერმანელებმა ოსმალურ ვარიანტს დაუპირისპირეს კავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დაშლის და ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებად დაყოფის გეგმა. ამ შემთხვევაში ისინი ეყრდნობოდნენ ქართულ ეროვნულ ძალებს, რომლებთანაც ფარულად შეუდგნენ მოლაპარაკებას[10].

შექმნილ ვითარებაში ქართველმა დელეგატებმაც მართებულად ჩათვალეს გამოეყენებიათ მოკავშირეებს შორის არსებული უთანხმოებები, გერმანიის დახმარებით აელაგმათ ოსმალეთის ექსპანსიური მისწრაფებები და გამოეცხადებიათ საქართველოს დამოუკიდებლობა. ამ მხრივ აღსანიშნავია საზავო კონფერენციის პერიოდში ა.ჩხენკელის მიერ ბათუმიდან ნ.რამიშვილისა და სხვა სოციალ-დემოკრატი ლიდერებისადმი გაგზავნილი წერილები.[11] 1918 წ. 12-16 მაისს, ეროვნულ-დემოკრატების ინიციატივით, საქართველოს დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ გამოცხადების საკითხი მწვავედ დაისვა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასკომის სხდომებზეც.[12] თუმცა, ეროვნული საბჭოს სოციალ-დემოკრატიულმა უმრავლესობამ ამისაგან ამჯერადაც თავი შეიკავა.

საერთო მდგომარეობის ადგილზე გამოსარკვევად, 17 მაისს, ბათუმში ჩამოვიდა საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნოე ჟორდანია. აქ მას დახვედრია „შემაძრწუნებელი სურათი". კერძოდ, ოსმალთა არაკომპრომისული და შემტევი განწყობილება, მეორე მხრივ კი ამიერკავკასიის დელეგაციის ერთიანობის არამყარობა, რაც მისი აზერბაიჯანელი წევრების პროოსმალური მისწრაფებებით იყო გამოწვეული. ბათუმში გამოჩნდნენ, აგრეთვე, სამცხე-ჯავახეთის და სხვა რეგიონების მუსლიმანთა კერძო დელეგაციები, რომლებიც „სტამბოლს ეევდრებოდნენ არ დაგვტოვოთ, ჩვენ თქვენთან ვართო". შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსავლად ქართულ დელეგაციას მიუჩნევია სეიმის

---

10 ო. გიგინეიშვილი, ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან. გვ. 148-150.

11 იხ. შ.ვადაჭკორია.ქართული სოციალ-დემოკრატის ისტორიიდან. 1917-1918. გვ.62-64; ალ. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წწ. გვ.214-216.

12 ა.ხილაგაძე. ვ.გურული. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. გვ.39-42.

დაშლა, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და გერმანიის მფარველობაში შესვლა[13]. ნ.ჟორდანიასთვის, კონფიდენციალური შეხვედრის დროს, იგივე ურჩევია გენერალ ფონ ლოსოვსაც.

ზურაბ ავალიშვილის თქმით „ამიერკავკასიის კოალიციის გარდაუვალი დაშლის საიდუმლო ბათუმში განდობილი ჰქონდა მხოლოდ რამდენიმე კაცს". მათგან ნ.ჟორდანიას უნდა ეტვირთა დასახული მიზნისთვის საჭირო აქციების ჩატარება თბილისში (ამიერკავკასიის სეიმის თვითგაუქმება და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება). ნ. ჟორდანია თავდაპირველად მერყეობდა, რაც სავსებით გასაგები იყო; ქვეყნის დამოუკიდებლობის აზრი არ ეგუებოდა მის არც ადრინდელ დოქტრინას, არც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიისადმი კუთვნილებას. ბოლოს მან მაინც „ირწმუნა" და „ოსტატის ხელით შეუდგა ახალი პროგრამის გატარებას"[14].

ბათუმში ერთად ყოფნის ეს დღეები ყველაზე მეტად აღმატებული იყო კონფერენციის კულისებს მიღმა მომუშავე და სამშობლოს ბედის მჭედელი ქართველებისათვის. აქ გვერდიგვერდ იღვწოდნენ სხვადასხვა თაობის და პოლიტიკური მრწამსის ადამიანები: ნოე ჟორდანია და პეტრე სურგულაძე, ნიკო ნიკოლაძე და აკაკი ჩხენკელი, ზურაბ ავალიშვილი და სამარყანდის ოლქის ყოფილი სამხედრო გუბერნატორი, გენერალი ილია ოდიშელიძე. მათთან ტრიალებდა მუდამ საქართველოს დამოუკიდებლობისა და ერთიანობის მოტრფიალე ჰაიდარ აბაშიძე. ისინი რუკაზე აზუსტებდნენ „ჩვენთვის აუცილებელ საზღვრებს", მსჯელობდნენ დეტალებზე და ადგენდნენ თბილისში წასაღებ პროექტებს, სახავდნენ საქართველოს საშინაო მოწყობისა და საგარეო პოლიტიკის ზოგად კონტურებს.

ძირითადი საკითხების გარკვევის შემდეგ, 21 მაისს, საღამოს, ნ.ჟორდანია თბილისში დაბრუნდა. „განსაკუთრებით მხურვალედ ვართმევდით ხელს გამოთხოვებისასო" - იგონებს ზ. ავალიშვილი.[15]

---

13 ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული (მოგონებანი), პარიზი, 1953, გვ. 128-129.

14 ზ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 75.

15 იქვე, გვ. 78.

ბათუმიდან კი გერმანიის დელეგაციის ერთ წევრთან ერთად ბერლინში გაიგზავნა სპირიდონ კედია, საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისა და გერმანიის მფარველობის თხოვნით[16]. ბათუმში დარჩენილი გერმანელი და ქართველი დელეგატები ინტენსიურად შეუდგნენ ამ ორი ქვეყნის მომავალი „ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგების" ხელშეკრულების ტექსტების მომზადებას. მთელი ეს საქმიანობა მიმდინარეობდა კონსპირაციულად.

ამრიგად, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აზრი საბოლოოდ ბათუმში გამოიძერწა და აქ შემუშავებული გეგმით 26 მაისს თბილისში განხორციელდა. ასე დაგვირგვინდა 1801 წელს დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის და ჭიდილის დიდი ეპოქა.

ეროვნულმა საბჭომ ერთსულოვნად მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომელსაც სხვებთან ერთად ხელი მოაწერეს ჰაიდარ აბაშიძემ და ყადირ შერვაშიძემ. ეს იყო არა მარტო მათი ეროვნულ-პატრიოტული საქმიანობის აღიარება-დაფასება, არამედ სამუსლიმანო საქართველოს ვრცელი რეგიონის მოსახლეობისადმი „ჭეშმარიტად სახელმწიფოებრივი ყურადღების გამოხატულებაც"- ამით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ცნობდა, ქრისტიან ქართველებთან ერთად, მაჰმადიანი ქართველების თანაბარ უფლებებს ახალი სახელმწიფოს მშენებლობაში[17].

სამუსლიმანო საქართველოს სახელით მოკლე სიტყვა წარმოთქვა ჰაიდარ აბაშიძემ: „ძვირფასო ძმანო! მე, თქვენი მოძმე ქართველი მაჰმადიანი, სულით და გულით გილოცავთ ამ ბრწყინვალე დღეს, მრავალტანჯული საქართველოს თავისუფლებას. ვუცქერი ამ აქტს და ჩემი სული განიცდის სიხარულსა და სიტკბოებას, მაგრამ დღეს, სამაჰმადიანო საქართველო, ეს თქვენი ღვიძლი ძმები, თქვენთან ვერ არის (ოსმალთა ოკუპაციის გამო - მ.ს.). მამხნევებს იმედი მომავლისა, რომ სამაჰმადიანო საქართველო დღეს თუ არა, ხვალ მაინც თქვენთან იქნება... მაშ, ძმებო, გაუმარჯოს დღეს,

---

16 სცსსა, ფ. 1836, ან. 1, ს. 48, ფურც. 2.

17 ან. სურგულაძე, ყადირ შერვაშიძე - თამარის ორდენის რაინდი, ბათ., 1998, გვ. 31 -

დღევანდელ საქართველოს, ეროვნულად და ტერიტორიულად შეკავშირებულს და შედუღებულს, სამაჰმადიანო საქართველოსთან ერთად".[18]

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე თბილისიდან გურიაში ჩავიდა გრაფ შულენბურგის მიერ გერმანელი ტყვეებისა და კოლონისტებისგან მობილიზებული რაზმი, რომელიც განლაგდა მდ. ჩოლოქის გასწვრივ. იქ მათ აღმართეს გერმანული დროშა, ნიშნად იმისა, რომ ამიერიდან საქართველო იმყოფებოდა გერმანიის მფარველობის ქვეშ.

26 მაისს, საღამოს, ოსმალებმა ამიერკავკასიის დელეგაციას წაუყენეს ახალი ულტიმატუმი, რომელიც მოითხოვდა 11 მაისს მათ მიერ წარმოდგენილი საზავო ხელშეკრულების პროექტის უცვლელად მიღებას. ულტიმატუმზე დართული იყო ახალციხის და ახალქალაქის მუსლიმანური მოსახლეობის ე.წ. „დელეგატთა კრების" დადგენილება (სულ 40 ხელმოწერა), რომელიც მოითხოვდა „დედა ოსმალეთთან" შეერთებას. ულტიმატუმი პასუხისათვის ვადას 72 საათით განსაზღვრავდა და მისი მიუღებლობის შემთხვევაში სამხედრო მოქმედების განახლებით იმუქრებოდა[19].

ულტიმატუმის პასუხად ჰალილ-ბეის ა. ჩხენკელმა განუცხადა, რომ სეიმის გადაწყვეტილებით ამიერკავკასიის ფედერაცია უკვე დაიშალა და ეს საკითხი მანამ ვერ გადაწყდებოდა, ვიდრე ბათუმში არ ჩამოვიდოდნენ საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის რესპუბლიკების საზავო დელეგაციები. ამასვე მოითხოვდა გერმანიის ინტერესებიც. ოსმალეთის დელეგაცია იძულებული გახდა კონფერენციის გაგრძელებას დალოდებოდა.

გერმანიის დელეგაციამ, იმაში დარწმუნებულმა, რომ ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დაშლას წინ ვეღარაფერი დაუდგებოდა, უკვე 25 მაისს დატოვა კონფერენცია და სავაჭრო გემ „მინა-ჰორნ"-ით ბათუმიდან გავიდა. კონფერენციის დატოვების საბაბად ფონ ლოსოვმა გამოიყენა ოსმალთა 26 მაისის ულტიმატუმი, რომლის შემუშავების შესახებ ის ჰალილ-ბეიმ წინასწარ

---

[18] მისივე, ცხოვრება და ღვაწლი პაიდარ აბაშიძისა, გვ. 53.

[19] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, с. 309-312.

გააფრთხილა. ულტიმატუმი ბევრად მეტს მოითხოვდა, ვიდრე ბრესტის ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. ეს კი ლახავდა გერმანიის ინტერესებს ამიერკავკასიაში.

ბათუმიდან გასვლის წინ ფონ ლოსოვმა ოფიციალურად განაცხადა, რომ მიემგზავრებოდა თავის მთავრობასთან კონსულტაციისთვის, მაგრამ „მინა-ჰორნი" ქ. კონსტანცის (რუმინეთი) ნაცვლად 26 მაისს დილით ფოთში შევიდა. აქ, წინასწარი შეთანხმების თანახმად, ფონ ლოსოვი დაელოდა საქართველოს წარმომადგენლებს, რომლებიც ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლის შემდეგ ოფიციალურად ბათუმიდან თბილისში გაემგზავრნენ, სინამდვილეში კი სადგურ სამტრედიიდან ფოთში ჩავიდნენ. სამტრედიაში ქართულ დელეგაციას თბილისიდან შეუერთდა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნ.რამიშვილიც. 28 მაისს „მინა-ჰორნზე", სამ საათიანი აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, ხელი მოაწერეს ბათუმში უკვე წინასწარ შეთანხმებულ ხელშეკრულებებს[20].

საქართველოს მთავრობისადმი ფოთიდან გამოგზავნილი წერილით გენერალი ფონ ლოსოვი კისრულობდა პასუხისმგებლობას, რომ გერმანიის მთავრობა დაეხმარებოდა საქართველოს „რუსეთის მთავრობასთან, რუსეთის იმპერიის შემადგენლობიდან გამოსვლის გამო მოლაპარაკებაში და გამოყოფის შემდეგ სცნობდა საქართველოს თავისუფალ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ". გერმანიის რწმუნებული კისრულობდა აგრეთვე, რომ „გერმანიის სახელმწიფო დაეხმარებოდა საქართველოს საზღვრების დაცვაში და მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის მოგვარებაში".

ამავე წერილში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს საზღვრები მოიცავდნენ ყოფილ თბილისის და ქუთაისის გუბერნიებს და სოხუმის ოკრუგს. ამ განმარტებით სამხრეთ-დასავლეთი ტერიტორიები გამორიცხული იყო საქართველოს საზღვრებიდან, მაგრამ ოსმალთა მიერ ბათუმის კონფერენციაზე წამოყენებულ პრეტენზიებს ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებთან დაკავშირებით, გერმანიის წარმომადგენელი მხედველობაში არ იღებდა. წერილი მთავრდებო-

---

20 იხ. სცსსა, ფ. 1796, ან. 1, ს. 85, ფურც. 1-9; „გერმანელი ოკუპანტები საქართველოში 1918 წ.", (დოკუმენტ. კრებ.), გვ. 38-50.

და ცნობით, რომ ფოთში ჩამოდიოდა გერმანიის ჯარის ნაწილები, რაც იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს აღარ ექნებოდა ოსმალეთის შემოსევის საშიშროება[21].

იმავე 28 მაისს „მინა-ჰორნი" ზღვაში გავიდა და ამჯერად მართლაც აიღო კურსი ქ. კონსტანცისკენ. გემს თან გაჰყვნენ საქართველოს სამთავრობო დელეგაციის წევრები: ა. ჩხენკელი, ნ. ნიკოლაძე და ზ. ავალიშვილი. ისინი მიემგზავრებოდნენ ბერლინში „გერმანიასთან ურთიერთობის საბოლოოდ მოსაგვარებლად" და ქვეყნის დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებისათვის.

საქართველოს დამოუკიდებლობისადმი თავიდანვე მტრულად განეწყვნენ ბოლშევიკები, რომლებიც მუშურ-გლეხური საბჭოების მმართველობის ფორმით ესწრაფოდნენ რუსეთის ყოფილი იმპერიის აღდგენას. ამიტომაც, მათი პროპაგანდისტული მანქანა ამას ასაღებდა „გერმანიის იმპერიალისტების მიერ საქართველოს ოკუპაციად და სრულ დაპყრობად" (ვ.ლენინი, თხზ., ტ.28, გვ.7-8).

უდავოა, რომ გერმანელების მოსვლას საქართველოში მატერიალური საფუძველი ჰქონდა. ჯერ ერთი, ამიერკავკასია სტრატეგიულად იყო მნიშვნელოვანი. გარდა ამისა, მეომარი გერმანიის ეკონომიკას ძლიერ სჭირდებოდა ამ მხარის ძვირფასი ნედლეული (მარგანეცი, სპილენძი, ნავთობი), რაც შემდეგ კონცესიის წესით მიიღო კიდეც. სხვა მხრივ, საქართველოში გერმანელების პრიორიტეტი და სამხედრო ძალაც კი მინიმალური იყო (1.800 ჯარისკაცი) და არაფრით არ შეესაბამებოდა ოკუპირებული ქვეყნის შენარჩუნებისთვის აუცილებელი ჯარის კონტინგენტს.

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ გერმანელები არ ჩარეულან საქართველოს შინაურ საქმეებში და არ შეუზღუდავთ მისი სუვერენიტეტი. მიუხედავად იმისა, რომ გერმანია მონარქისტული სახელმწიფო იყო, მას არ უცდია მსოფლიოში პირველი სოციალისტური ტიპის - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა ან მმართველობის ფორმის შეცვლა. უფრო მეტიც, გერმანია იყო პირველი სახელმწიფო, რომელმაც „დე-ფაქტოდ" ცნო

---

21 ზ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 88-89.

საქართველოს რესპუბლიკა, დაამყარა რა მასთან დიპლომატიური ურთიერთობა და გადადგა ნაბიჯები მისი საერთაშორისო აღიარებისათვის.

ბათუმის კონფერენციის მეორე ეტაპზე (31 მაისი - 4 ივნისი) ოსმალეთთან მოლაპარაკება განაგრძეს ამიერკავკასიის უკვე დამოუკიდებელმა რესპუბლიკებმა. საქართველოს დელეგაციას, რომელიც ბათუმში პირდაპირ ფოთიდან ჩამოვიდა, ხელმძღვანელობდა მთავრობის თავმჯდომარე ნ.რამიშვილი. მის შემადგენლობაში იყვნენ: გენერალი ი.ოდიშელიძე, გ.გვაზავა და გრ.რცხილაძე, მდივნები: ვ.ლამბაშიძე, ს.ახვლედიანი და ი.გოგოლაშვილი[22].

ბათუმში ჩამოვიდა სომხეთის რესპუბლიკის დელეგაციაც (ალ. ხატისიანი, რ.კაჩაზნუნი და მ.პაპაჯანოვი), აგრეთვე, მუსავატელთა ზოგიერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი (სულთანოვი, უსუბეკოვი და სხვ.) ოსმალებთან კონფიდენციალური საუბრისათვის[23]. ოსმალთა დელეგაცია ადრინდელი შემადგენლობით იყო წარმოდგენილი.

საქართველოს დელეგაცია ცდილობდა მოლაპარაკება წარემართა ბრესტის ხელშეკრულების ფარგლებში. ამასთან, იმედოვნებდა რა თუნდაც ბათუმ-აჭარის შენარჩუნებას[24], წინ წამოსწია მოსახლეობის თვითგამორკვევის საფუძველზე სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ბედის გადაწყვეტის საკითხი, მაგრამ „იარაღმოღერებული ოსმალეთი გაშიშვლებული ხმლით თავს დაადგა ახალშობილ რესპუბლიკას“[25] და აიძულა მიეღო 24 მაისის ულტიმატუმი.

---

22 სცსსა, ფ. 1796, ან. 1, ს. 86, ფურც. 5.

23 აცსა, ფ. 67, ან. 1, ს.14, ფურც. 164.

24 სხვათაშორის, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, ეჭვგარეშეა „დამკომის“ გაელენით, ჯერ კიდევ ბათუმის კონფერენციამდე უცდია დაერწმუნებინა სტამბოლი, რომ ბათუმი გადაეცა საქართველოსთვის, რადგან უამისოდ „მოსახლეობის დამოკიდებულებიდან და სამეურნეო ურთიერთობებიდან გამომდინარე, ძნელი იქნებოდა ხანგრძლივი მშვიდობის შენარჩუნება თურქეთსა და საქართველოს შორის“. ამის თაობაზე, 26 მაისს, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო თაეის ელჩს ქ. ვენაში ატყობინებდა: „ჩვენ ვვარაუდობდით მდ. ჭოროხის ჩრდილოეთით ბათუმის რაიონის გაცელას თათრებით (აზერბაიჯანელებით - მ.ს.) დასახლებული ამიერკავკასიის (სხვა) ნაწილზე... მაგრამ მათ (ოსმალებმა – მ. ს.) ყურად არ იღეს ეს რჩევაო“ (იხ.Из истории иностранной интервенции в Армении в 1918 году (документы и материалы), сост. Х.Бадалян, Ереван, 1970, с. 133-134).

25 ვ. ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, გვ. 32-33.

4 ივნისს ოსმალეთის მიერ საქართველოსთვის თავსმოხვეული „ზავის და მეგობრობის ხელშეკრულებით“ (13 მუხლი) ოსმალეთის ხელში, გარდა ბათუმ-ყარს-არტაანის ოლქებისა, დამატებით გადადიოდა ახალქალაქის და ახალციხის მაზრები (აბასთუმნის და აწყურის გამოკლებით). ამით ეროვნულ სხეულს წყდებოდა მთელი სამაჰმადიანო საქართველო, მტკვრის ზემოწელისა და ჭოროხის აუზის ყველა ისტორიული ტერიტორია[26].

იმავე დღეს გაფორმდა ზემოაღნიშნული ძირითადი ხელშეკრულების სამი დანართი (დამატება). პირველი, რომელიც 9 მუხლისგან შედგებოდა, ეხებოდა ამ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის და ნავიგაციის საკითხებს[27]. მეორე დანართი (3 მუხლი) აწესებდა განსაკუთრებულ სამიმოსვლო შეღავათებს საზღვრისპირა 10-კილომეტრიან ზოლში ორივე მხარის მცხოვრებთათვის[28]. მესამე დანართი (7 მუხლი) ეხებოდა საქართველოში მაჰმადიანი სასულიერო პირების უფლებამოსილებებს. მთავრობას მათთვის უნდა გაეწია იგივე შეღავათები და ფინანსური დახმარება, რითაც ისარგებლებდნენ ქრისტიანი სასულიერო პირები; თანაბრად ქართულისა, უნდა გაეხსნა სკოლები მაჰმადიანებისათვის. საქართველოში მცხოვრებ მაჰმადიანებს ენიჭებოდათ უფლება მეჩეთებში ლოცვის დროს ედიდებინათ ოსმალეთის სულთნის სახელი, მართლმსაჯულების განხორციელებისას ეხელმძღვანელათ შარიათით და სხვ.[29]

4 ივნისს ბათუმში გაფორმდა სხვა დამატებითი ხელშეკრულებაც[30], რომლითაც საქართველომ ივალდებულა ოსმალეთისათვის დაეთმო რკინიგზები ჯარების გადასაყვანად და საჭურველის გადასაზიდად; უზრუნველეყო სარკინიგზო შემადგენლობების შეუფერხებელი მუშაობა; მთავარ სარკინიგზო სადგურებში მოეწყობოდა ოსმალეთის სამხედრო წარმომადგენლობები, რომლებიც ადგილზე შეიძენდნენ სურსათს, შესასვენებლად შეჩერებული ჯარების მომარაგებისათვის. დოკუმენტი შეიცავდა სხვა მუხლებსაც, რომლებიც

---

26 Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, с. 343-349.

27 იქვე, გვ. 349-351.

28 იქვე გვ. 351-353.

29 იქვე გვ. 353-357.

30 იქვე გვ. 357-360.

უთანაბრო პირობებში აყენებდა საქართველოს. კერძოდ, მას უნდა მოეხდინა არმიის და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დემობილიზაცია და განიარაღება; საჭიროებისას ოსმალეთის სარდლობის განკარგულებაში გადაეცა ყველა მნიშვნელოვანი გზატკეცილი; საქართველოდან გაეძევებინა ოთხთა კავშირისადმი მტრული სახელმწიფოების სამხედრო და სამოქალაქო პირები.

დამატებით ხელშეკრულებას ჰქონდა განსაკუთრებული დანართი (14 მუხლი), რომელიც აწესრიგებდა საქართველოს და ოსმალეთს შორის ტყვეთა გაცვლას[31]. საამისო პუნქტად მონიშნული იყო ბათუმი, სადაც უნდა შეექმნათ შერეული კომისია. ტყვეთა გაცვლა ძირითადად უნდა დაემთავრებინათ ერთი თვის ვადაში.

4 ივნისს ბათუმში ოსმალეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ცალკე კონვენციას „ბაქო-ბათუმის ნავთსადენის შესახებ"[32]. საქართველოსა და აზერბაიჯანის მხარეები, შესაბამისი საზღაურის ფასად, იღებდნენ ვალდებულებას თავიანთ ტერიტორიებზე „უზრუნველეყოთ ნავთსადენის მუდმივი მოქმედება".

✓ დასასრულ შევნიშნავთ, რომ ერთადერთი პოზიტიური, რაც 4 ივნისის საზავო ხელშეკრულებას გააჩნდა საქართველოსათვის, იყო ოსმალეთის მიერ მისი „დე-ფაქტოდ" აღიარება. ✓

ამრიგად, კავკასიის ფრონტის მოშლის შემდეგ, ამ რეგიონში პირველობისათვის ერთმანეთს მკვეთრად დაუპირისპირდნენ გერმანია და მისი მოკავშირე ოსმალეთი. სწორედ მათმა მეტოქეობამ და ამ საფუძველზე ოსმალეთის მცდელობამ, რაც შეიძლება სწრაფად დაეპყრო ამიერკავკასია, მნიშვნელოვანწილად განაპირობეს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და გერმანიასთან მისი დაახლოება. შექმნილ სიტუაციაში ეს იყო ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი საშუალება. თუმცა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა მარტო გარეშე ძალის ზეგავლენით არ მომხდარა. მას თავისი ისტორიული საფუძველიც ჰქონდა, რასაც 1801 წ. დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის 117-წლოვანი ბრძოლის გამოცდილება განსაზღვრავდა.

---

31 იქვე გვ. 361-363.

32 იქვე გვ. 364.

§3. ოსმალთა საოკუპაციო რეჟიმი განმათავისუფლებელი მოძრაობა

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალებმა თავიანთი მმართველობითი სტრუქტურა შემოიღეს. სოფელს განაგებდა მუხტარი (მამასახლისი), რამდენიმე სოფელს ბაშ-მუხტარი. ის ემორჩილებოდა მუდირს (უბნის უფროსს), შემდეგ მოდიოდა კაიმაკამი (მაზრის უფროსი). ამ აპარატის სათავეში იდგა მუთასერიფი (ოლქის მმართველი, გუბერნატორი).

ბათუმის ოლქი ცალკე საგენერალ-გუბერნატოროდ გამოჰყვეს. მის მმართველად (ვალი) დანიშნული ხემდი ბეი უკვე 1918 წ. 16 აპრილიდან შეუდგა მოვალეობის შესრულებას. ორი დღის შემდეგ ბათუმში ჩამოვიდა ოსმალეთის სამხედრო მინისტრი ენვერ ფაშა. მის შესახვედრად საგანგებოდ გამართულ ქალაქის თვითმმართველობის სხდომაზე, ენვერმა ოსმალთა ჯარების შემოჭრა შეაფასა არა როგორც დაპყრობილ, არამედ ოსმალეთის იმპერიის განუყოფელ ნაწილში შემოსვლად[1]. 15 ივნისს, ახლად დაკავებულ ახალციხეში მსგავსი განცხადება გააკეთა სამცხე-ჯავახეთის მუთასერიფად დანიშნულმა ხალით ფაშამაც[2].

ახალმა ადმინისტრაციამ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ოფიციალურ ენად გამოაცხადა თურქული. მასზე გადავიდა საქმისწარმოება, შემოიღეს მაჰმადიანური წელთაღრიცხვა. თურქულით შეცვალეს ქუჩების სახელწოდებები, სასტუმროების, სავაჭროების და სხვა დაწესებულებების აბრები. შემოიღეს სამართლის თავიანთი ნორმები. დამნაშავედ მიჩნეულ პირს გამოძიების და სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე ქუჩებსა და მოედნებზე სახალხოდ როზგავდნენ (ოსმალურად – „ზოპა“). ოსმალო მოხელეთა უმრავლესობა მოითხოვდა პატივისცემის გამოკვეთილად გამოხატვას. დუქნებთან თუ სახელოსნოებთან მათი გავლისას იქ მყოფნი ფეხზე უნდა წამომდგარიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში თურქი მოხელისაგან ლანძღვა-გინებას და ცემა-ტყეპასაც მიიღებდნენ[3].

---

[1] Борьба за победу Советской власти в Аджарии, с.126.

[2] სჯმხფ, ს. 4641, ფურც. 125.

[3] იქვე, ფურც. 99-100; აცსა, ფ. 6, ან. 1, ს. 8, ფურც. 1-53.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე ოსმალებს არ გაუუქმებიათ საქალაქო თვითმმართველობები, მაგრამ მათი უფლებები მნიშვნელოვნად შეზღუდეს. ბათუმის ქალაქის გამგეობის მდივნის, ივ.მესხის ცნობით: „ქალაქისთავს და გამგეობის წევრებს მუთასერიფი ისე უყურებდა, როგორც თავის საგანგებო მინდობილობის მოხელეს", რომლებსაც საოკუპაციო რეჟიმისათვის უნდა შეეწყოთ ხელი. არაიშვიათად ქალაქის თვითმმართველობებს ევალებოდათ სტამბოლიდან ჩამოსული მაღალი რანგის სტუმრების საკადრისი ბანკეტების მოწყობაც, რის შესახებ სევდიანი იუმორით შენიშნავს ივ. მესხი[4].

ამგვარ დავალებებს გადაჭარბებული მაამებლობით ასრულებდა სომხებით დაკომპლექტებული ქ. ახალციხის თვითმმართველობა, რათა ახალ ბატონთა კეთილგანწყობა მოეპოვებინათ. 1918 წ. ივლისში დამპყრობლებმა დიდი ზეიმით აღნიშნეს „ახალგაზრდა თურქთა" რევოლუციის 10 წლისთავი. სამხედრო აღლუმი მოაწყვეს ახალციხეშიც, ქალაქისთავმა ზორიანმა უზრუნველყო მოქალაქეთა და ამქრების დროშებით გამოყვანა. მანვე სანაქებო ბანკეტები მოუწყო კავკასიის ფრონტის სარდალ ვეჰიბ ფაშას, სულთნის ვაჟს და სხვ[5]. დაცარიელებული სალაროს შესავსებად, ივლისის შუა რიცხვებში, ახალციხის თვითმმართველობამ ქუჩებში გამოაკრა განცხადება და მოუწოდა მცხოვრებთ დროულად შემოიტანეთ გადასახადები, რომ თვითმმართველობამ შეძლოს ეპიდემიების, სიძვირის და უმუშევრობის წინააღმდეგ ზომების მიღებაო[6]. არადა, - შენიშნავს ზ.დიდიმამიშვილი, – ქალაქის სალაროს ფულები თურქების საამებლად მოწყობილ სადილ-ვახშმებს ხმარდებოდა, ხიზილალას, სასმელების და სხვა ნუგბარის შესაძენად სპეციალურად თბილისში მიდიოდნენო.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებს შორის ბათუმის თვითმმართველობა თავიდანვე გამოირჩეოდა დემოკრატიული ტრადიციებით, ქალაქის ერთგულ პირთა მოღვაწეობით და ამ თვ-

---

[4] ასგხფ, ს.36, ფურც. 11; აცსა, ფ.6, ან. 1, ს. 11, ფურც. 1-15.

[5] შ. ლომსაძე, მესხები. ახალციხური ქრონიკები II, გვ. 290-292.

[6] სჯმხფ, ს.1136.ფურც.113.

ისებებს, გარკვეულწილად, ოკუპაციის პერიოდშიც ინარჩუნებდა. ოსმალთა შემოსევის დროს ბათუმი დატოვა სათათბიროს ხმოსანთა დიდმა ნაწილმა. თვითმმართველობა სახელდახელოდ შეავსეს ეროვნული საბჭოების წარმომადგენლებით, რომელთა შორის მედროვეებიც ბლომად გაერივნენ[7]. ამის მიუხედავად, ქალაქის გამგეობასა და სათათბიროში მაინც იქნა შენარჩუნებული დემოკრატ ქართველთა ბირთვი: ქალაქისთავი კ.საბახტარაშვილი, გამგეობის მდივანი ივ. მესხი, ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე და სათათბიროს ხმოსანი გრ. ელიავა და სხვები. ისინი დარჩნენ ოკუპირებულ ბათუმში, რათა დაეცვათ ქალაქის და მის მცხოვრებთა ინტერესები.

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის საქმიანობა ოსმალთა ოკუპაციის პერიოდში ფაქტობრივად შეუსწავლელია. მკვლევარები კმაყოფილდებიან მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ ამ დროს თვითმმართველობა გადაიქცა მარიონეტულ ორგანოდ, რაც მთლიანობაში ვერ ასახავს სინამდვილეს.

ოკუპაციის პერიოდში, უსახსრობის მიუხედავად, ბათუმის თვითმმართველობამ სცადა სასწავლო პროცესის განახლება ქალაქის ყველა ტიპის სკოლაში, მაგრამ ოსმალო გუბერნატორმა ნებართვა გასცა მხოლოდ 4 დაწყებითი სკოლის (ქართველ, რუს, ბერძენ და ებრაელ ბავშვთათვის) გახსნაზე. ამასთან, გუბერნატორის დაჟინებული მოთხოვნით, დამოუკიდებელი დაწყებითი სკოლა გაიხსნა მაჰმადიანი ბავშვებისათვის, რაც მანამ ქართულ სკოლასთან ფუნქციონირებდა ცალკე განყოფილებად.

სწავლის დაწყება ბათუმში მოხერხდა მხოლოდ ოქტომბერში, მას შემდეგ, რაც თვითმმართველობის დასაბუთებული მოთხოვნით, საოკუპაციო ხელისუფლების სხვადასხვა დაწესებულებებმა დაცალეს სასკოლო შენობები. თუმცა, მათში აღარ მოიპოვებოდა მერხები და სხვა ინვენტარი, რაც ჯერ კიდევ ზაფხულში გაზიდეს აქედან, ხანძრით განადგურებული სტამბოლის სკოლების შესავსებად[8].

ბათუმის თვითმმართველობა ცდილობდა ქალაქის და მის მცხოვრებთა ეკონომიკური ინტერესების დაცვასაც. ამ მიზნით შეი-

---

7 აცსა, ფ.7, ან.1, ს. 692, ფურც. 1.
8 ასგხფ. ს. 36, ფურც. 7-9.

ქმნა რამდენიმე კომისიაც, მაგრამ მათი საქმიანობა შეზღუდეს ან შეაჩერეს ოსმალო ხელისუფლებმა. ამის გამო უშედეგოდ დამთავრდა ქალაქის ფარგლებში საოკუპაციო ჯარების განთავსებით შენობებისთვის მიყენებული ზარალის და საიჯარო გადასახადის განმსაზღვრელი კომისიის (თავ-რე მ. კრუტიკი) მუშაობა[9]. საოკუპაციო ხელისუფლებამ აგრეთვე არ გაიზიარა ფასების კომისიის (თავ-რე მ.ურინოვსკი) რეკომენდაციები ქალაქის სასურსათო კრიზისიდან გამოყვანის ღონისძიებათა შესახებ. კერძოდ, ოსმალთა მიერ ბათუმში მონოპოლიზირებული ნავთობის და თამბაქოს დიდი მარაგიდან გარკვეული ნაწილის გატანის თაობაზე სამხრეთ რუსეთში, სურსათზე გადასაცვლელად[10].

ზემოაღნიშნული შეზღუდვების მიუხედავად, ბათუმის გამგეობა მაინც ახერხებდა საქალაქო ცხოვრებისათვის აუცილებელი რიგი სამუშაოების პრაქტიკულად განხორციელებას. მაგალითად, სანიტარიული სამსახური კვლავინდებურად ეწეოდა საოკუპაციო ჯარების მიერ დანაგვიანებული ქალაქის ქუჩების და ეზოების დასუფთავებას[11]. ამით თავიდან იქნა აცილებული ეპიდემიურ ავადმყოფობათა აფეთქების საშიშროება. ამავე მიზნით, აგვისტოში დაიწყო სამუშაოები ქალაქის წყალსადენის სათავე ნაგებობის მოწესრიგებისათვის. ქალაქის გამგეობა იმედოვნებდა, რომ აღნიშნული სამუშაოების ჩატარებისათვის საჭირო თანხებს მიიღებდა ოსმალთა ჯარების, ორგანიზაციების და გემების მიერ მოხმარებული წყლის საფასურის გადახდევინებით. საოკუპაციო ხელისუფლებას წარუდგინეს შესაბამისი ანგარიშიც, მაგრამ უშედეგოდ[12].

სერიოზულ რემონტს საჭიროებდა ბათუმის ელექტროსადგური. მდგომარეობას ამძიმებდა ელექტრონის ბოძებიდან თვითნებურად, ხშირ შემთხვევაში არაიზოლირებული მავთულით, დენის გადაყვანა. ამას მონტაჟის არმცოდნე ოსმალები აკეთებდნენ. არაიზოლი-

---

9 აცსა, ფ.6, ან. 1, ს. 560, ფურც. 28-33.

10 იქვე. ფურც. 15-16.

11 იქვე. ფურც. 18.

12 იქვე. ს. 928, ფურც. 45-46.

რებული სადენები კი მოკლე ჩართვებს იწვევდა, რაც აზიანებდა მთელ ელექტროქსელს, ხოლო ქარის დროს ხანძრის საშიშროებას ქმნიდა. ელექტრომრიცხველების უკმარისობის გამო ვერ ხერხდებოდა დახარჯული ენერგიის აღრიცხვა და ფულის ამოღება. არადა სათბობის დეფიციტის პირობებში, აბონენტები ანგარიშმიუცემლად მოიხმარდნენ დენს[13].

ბათუმის ელექტროსადგურის უფროსის, ინჟინერ გ. აბაშიძის დასკვნით, აღნიშნული დაზიანებების აღმოსაფხვრელად, ქალაქში შესაცვლელი იყო ელექტრონის 97 ბოძი. აუცილებელი იყო აგრეთვე იზოლირებული მავთულების, გამომრთველების, იზოლატორების, მრიცხველების და ა.შ. შეძენა, მათი სამონტაჟო სამუშაოების ჩატარება. წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვით ამისათვის 200 ათასი რუბლი იყო საჭირო. ქალაქის სალაროს ასეთი თანხა არ გააჩნდა. ბათუმის თვითმმართველობამ ოსმალთა ხელისუფლების წინაშე დასვა ამ ფულის გამოყოფის საკითხი, მაგრამ უშედეგოდ. ისინი მოხმარებული ენერგიის საფასურსაც კი არ იხდიდნენ. საოკუპაციო ხელისუფლებამ ასევე რეაგირების გარეშე დატოვა ქალაქის გამგეობის შუამდგომლობა საზამთროდ ელექტროსადგურისათვის საწვავის მარაგის შექმნის თაობაზე[14].

ამრიგად, ოსმალთა ოკუპაციის პერიოდში, უსახსრობის და შეზღუდული უფლებების გამო, ბათუმის თვითმმართველობა შებოჭილი იყო რაიმე ხელშესახები გაეკეთებინა ქალაქის კეთილდღეობისა და კეთილმოწყობისათვის. თუმცა მისი საქმიანობა მაინც არ ჩამკვდარა, კარგად ესმოდა ქალაქის საჭიროებანი და შეძლებისდაგვარად ცდილობდა მათ გადაწყვეტას.

ოკუპაციის პერიოდში სამხრეთ-დასავლეთი საქართველო მოსწყდა გარესამყაროს. ჟურნალ-გაზეთებიც არ შემოდიოდა. ინფორმაციის ერთადერთი წყარო იყო საოკუპაციო ხელისუფლების მიერ ქუჩებში გამოკრული, მწირი და ტენდენციური ცნობების შემცველი ოფიციალური ბიულეტენები. გართულდა თბილისი-ქუთა-

---

13 იქვე. ფურც. 50-60.

14 იქვე. ფურც. 72-75.

ისისკენ მიმოსვლა. საამისოდ საჭირო გახდა სპეციალური საშვი. მატარებელი ბათუმიდან მხოლოდ ნატანებამდე მოძრაობდა და ისიც კვირაში სამჯერ.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე მწვავედ იგრძნობოდა სამრეწველო ნაწარმის, ქსოვილების, საპნის და სხვ. ნაკლებობა. სამცხე-ჯავახეთსა და ყარს-არტაანში განსაკუთრებით ძვირად ფასობდა ნავთი და ერთი გირვანქა 10 რუბლად იყიდებოდა (ამ თანხით ორი ფუთი ქერის შეძენა შეიძლებოდა). თავდაპირველად იქ იაფი იყო მხოლოდ სოფლის ნაწარმი, თუმცა მალე ისიც დეფიციტური გახდა. ოსმალებს რეკვიზიციის წესით მიჰქონდათ ჭირნახულის დიდი ნაწილი. ამიტომ გლეხობა მას მალავდა და ბაზარზეც აღარ გაჰქონდა. ამის გამო სურსათზე ფასები მკვეთრად აიწია და ფართო გასაქანი მიეცა სპეკულაციას[15].

ოსმალთა შემოსევას მოჰყვა ათეულ ათასობით ადამიანის ლტოლვილად გადაქცევა. ქ. ბათუმის 35 ათასი მცხოვრებიდან გაიხიზნა 20 ათასამდე კაცი, რომელთა დიდმა ნაწილმა ქუთაისს მიაშურა. ისინი თურმე ქუთაისის ცნობილ ბაღში იყრიდნენ თავს. თანამედროვის ცნობით: „აქ კლასთა ბრძოლა აღარავის ახსოვდა. ყველა ერთი დარდით იყო შეპყრობილი, თუ როდის ეღირსებოდათ ბათუმში დაბრუნება“[16]. ქუთაისის გუბერნიას შეეფარნენ აგრეთვე ოსმალთა მიერ ოკუპირებული ოზურგეთის მცხოვრებნი.

სომეხ ლტოლვილთა დიდი მასა დაიძრა სამცხე-ჯავახეთიდან. ახალქალაქის მაზრის კომისრის ცნობით, 1918 წ. შუა ივნისისათვის 80 ათასამდე ლტოლვილი განთავსებული იყო ბორჯომ-ბაკურიანის მიდამოებში, 10 ათასამდე კი წალკაში[17]. ამათ ემატებოდა არზრუმიდან, ბითლისიდან და ე.წ. „ოსმალეთის სომხეთის“ სხვა

---

15 სჯმხფ, ს. 1136, ფურც. 119-128; ს.4641, ფურც. 115-116.

16 ასგხფ, ს. 94, ფურც. 324; ბათუმიდან ქუთაისში ლტოლვილთა შორის ყოფილა პოეტი ვარლამ რუხაძეც, რომელსაც, თავი რომ ერჩინა, მისიკე ქუთაისელი ნათესავის კუთვნილ რკინეულობის საავჭროში დაუწყია ნოქრად მუშაობა. ამაზე მეორე ბათუმელს სხარტი ექსპრომეტიც შეუთხზავს: „პოეტი ვარ, რკინას ვყიდი და ჩონგურიც ხელთ მიპყრია, მაგრამ ვაი თუ ვაჭრობამ პოეტს ჩანგი დამიმტვრია“ (იქვე).

17 სჯმხფ, ს. 3428, ფურც. 134-135.

რაიონებიდან დევნილი 200 ათასზე მეტი სომეხი, რომლებიც საქართველოს შემოეხიზნენ[18]. ბუნებრივია, რომ ამ რაოდენობის ლტოლვილთა ბინით უზრუნველყოფა შეუძლებელი იყო და მათაც, ძირითადად, ღია ცის ქვეშ უხდებოდათ ცხოვრება. ამას ემატებოდა შიმშილი და ავადმყოფობა.

ახალშობილი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, რომელსაც სამხრეთ-დასავლეთი რეგიონებიდან ლტოლვილი, ტყეველს შეხიზნული და დამშეული ქართველებიც ბლომად ჰყავდა საპატრონო, შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებდა სომეხ ხიზანთა დასახმარებლადაც. საამისოდ გამოჰყო გარკვეული თანხა, გროვდებოდა შემოწირულობები და სხვ. ეს მაშინ, როცა თვით სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა არიდებდა თავს ოსმალეთიდან ლტოლვილი თანამემამულეების ჭარბად მიღებას და მათ საქართველოსაკენ მოუთითებდა. მათ დასახმარებლად თავი დიდად არც საქართველოში მცხოვრები სომხური ბურჟუაზიის წარმომადგენლებს გამოუდვიათ. უფრო მეტიც, სომხურმა პრესამ უმადურობა გამოიჩინა, აქაც და უცხოეთშიც არაერთი ანტიქართული და ცილისმწამებლური პუბლიკაცია გამოაქვეყნა, რომლებშიც საყვედურობდნენ საქართველოს მთავრობას, რომ თითქოს იგი ზრუნავდა მხოლოდ საკუთარი მოსახლეობისათვის, ხოლო სომეხ ლტოლვილებს არსებობის მინიმალურ პირობებსაც არ უქმნიდა[19]. ასევე გაყალბებული და ქართველთა საზიანო აზრებია გატარებული რიგი თანამედროვე სომეხი ავტორის შრომებსა და წიგნებში[20], რაც სამომავლო სამსახურს ვერ გაუწევს საქართველო-სომხეთის კეთილმეზობლობას.

სომხური პრესის ზემოაღნიშნული გამოხტომის მიზეზად მკვლევარი დ. ჭუმბურიძე მიიჩნევს მათ განაწყენებას საქართველოს

---

18 Заврие Д.С., К новейшей истории северо-восточных вилайетов Турции, с.70-71; სომხეთის მაშინდელი მთავრობის ცნობით ოსმალთა შემოსევას მოჰყვა სულ 600 ათასი სომეხის ლტოლვილობა (იქვე, გვ. 74).

19 დ.ჭუმბურიძე, საქართველო-სომხეთის ურთიერთობა 1918-1921 წლებში და ქართული საზოგადოებრივი აზრი, თბ., 1999, გვ. 14-18.

20 იხ..ალ. ამდალაძე, მეტი ობიექტურობა,-ჟურნ. „მნათობი", 1998, №3-4, გვ. 172-187.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ამიერკავკასიაში ლიდერობის გამო. დაბოღმილმა სომეხმა შოვინისტებმა ბრძოლა დაიწყეს საქართველოს მთავრობისათვის სახელის გასატეხად და მისი არადემოკრატიულობის საჩვენებლად, რათა შექმნოდათ სამხრეთ საქართველოს რიგი რაიონების ხარჯზე თავიანთი ამბიციური ტერიტორიული პრეტენზიების დაკმაყოფილების საფუძველი. მათ ასევე გადაჭარბებით შეაფასეს დიდი ბრიტანეთის სიმპათიები სომხეთისადმი და „გერმანოფილ საქართველოს" უკვე 1918 წ. ოქტომბრიდან წამოუყენეს ტერიტორიული პრეტენზიები ლორეს, ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრებთან დაკავშირებით. 9 დეკემბერს კი სომხეთის მთავრობამ წამოიწყო სამარცხვინო ომი საქართველოსთან, რაც, სამი კვირის თავზე, მათივე დამარცხებით დამთავრდა. ამ დროს სომეხ ლტოლვილთა ძირითადი მასა ჯერ კიდევ საქართველოში იყო თავშემოფარებული და ადგილიდან არ იძვროდა.

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ ჯერ კიდევ ნოემბრის დასაწყისში მიუთითა, რომ სომხებს სურდათ საქართველოს მდიდარი, საზღვრისპირა რაიონების მისაკუთრება, სადაც ცხოვრობდა სომეხთა ანგარიშგასაწევი რაოდენობა და ლტოლვილთა უმრავლესობა. სპ. კედიამ წინადადებაც კი დააყენა ლტოლვილების სამშობლოში დაბრუნების შესახებ და ამაზე ზრუნვისაკენ მოუწოდა სომხეთის მთავრობას. ქართული პრესაც სწორად შენიშნავდა, რომ სომხეთის მთავრობა თანამემამულე ლტოლვილთა საქართველოში შენარჩუნებით ცდილობდა ინგლისელების თვალში უფრო მტკიცე საფუძველი შეექმნა თავისი ტერიტორიული პრეტენზიებისათვის. ამის გამო გაზ. „სახალხო საქმე" (№422) 1919 წ. იანვარში სომეხ ლტოლვილებს ფელეტონითაც კი შეაგონებდა: „დილით ოქრო ხარ სტუმარო, სადილად ვერცხლად იქცევი, თუ ხანი დაგიგვიანდა - სპილენძად გადაიქცევი".

ოკუპაციის პერიოდში მძიმე მატერიალური ზარალი განიცადა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობამ. განადგურდა ლტოლვილობაში მყოფთა სახლ-კარი და სხვა ქონება. ახალციხის საოკუპაციო გარნიზონის ოსმალო ექიმის ცნობით, მუთასერიფ ხალით ფაშას განკარგულებით, ჯავახეთიდან ოსმალეთში გაუზიდავთ

5 მილინონამდე ფუთი ხორბლის ძველი და ახალი მოსავალი[21]. ასევე დიდი რაოდენობის ხორბალი, სურსათი და სხვა საქონელი გაიტანეს ყარსის ოლქიდან[22].

გაიძარცვა კურორტ აბასთუმნის სანატორიუმები და კერძო აგარაკებიც. მათში აყარეს პარკეტი, ჩამოხსნეს და გაზიდეს კარფანჯრები, აბაზანები, წყლის მილები და სხვ. მარტო აბასთუმნის სამხედრო ტაძრიდან გაიტაცეს 0,5 მლნ. რუბლის ნივთები. მათ შორის 5 ფუთზე მეტი ვერცხლეული[23].

იგივე მდგომარეობა იყო ბათუმშიც. სხვა ქონებასთან ერთად, თანამედროვეთა ცნობით, აქედან „უბრალო, თითო აბაზიანი ხის სკამებიც კი ნავებით გაუზიდავთ"[24]. კავკასიის ფრონტის სარდალმა ვეჰიბ ფაშამ კონფისკაცია უყო ბათუმის რეზერვუარებში დარჩენილ 5 ათასამდე ტონა ნავთს, მაგრამ ეს გააკეთა არა ოსმალეთის საჭიროებისათვის, არამედ „საკუთარი მიზნებისათვის"-ნათქვამია გერმანიის სტამბოლელი კონსულის მიერ 1918 წ. 29 ივნისს ბერლინში გაგზავნილ მოხსენებაში. ვეჰიბის დამქაშებს ბათუმიდან ნავთი ინტენსიურად გაჰქონდათ ოსმალეთის ზღვისპირა პუნქტებში და კერძო პირებზე ჰყიდდნენ. ამის შედეგად უკვალოდ გააქრეს 3800 ტონა ნავთი, რის გამოც, ივნისის დამლევს ოსმალეთის მთავრობამ ვეჰიბ ფაშა თანამდებობიდან გადააყენა და შეუდგა ამ საქმის გამოძიებას[25].

---

21 სჯმხფ, ს. 3428 ფურც. 69,72; არსებობს სხვა მონაცემებიც პროფ. შ. ლომსაძის ცნობით ახალციხიდან წასელის წინ ოსმალებმა გაზიდეს 2 მლნ. ფუთი ხორბალი (იხ. მისი, მესხები, გვ.296). სომეხი მემუარისტი მ.სიმონიანი კი მიუთითებს 1 მლნ. ფუთს (სჯმხფ, ს. 4641, ფურც. 114). ოსმალთა ოკუპაციის დროს თბილისში შეხიზნული ახალქალაქის მაზრის სომეხთა სათვისტომოს გამგეობის მიერ 1918 წ. 22 აგვისტოს შედგენილი ცნობით „ახალქალაქის მაზრიდან ოსმალებმა გაიტანეს რამდენიმე მლნ. ფუთი ხორბალი, ათასობით ფუტკრის სკა, გაიტაცეს პირუტყვი... მათ აქ, მიახლოებითი გამოთვლით, მითვისეს არანაკლებ 1 მილიარდი რუბლის სიმდიდრე" (Киракосян Д. С., Младотурки перед судом истории, Ереван, 1989, с.244-245.)

22 Заврнев Д.С., დასახ. ნაშრ., გვ. 76.

23 სჯმხფ, ს. 1136, ფურც. 135; ს. 3428, ფურც. 86-104, 165-166.

24 იქვე, ს. 1136, ფურც. 134.

25 Пипия Г.В., Политика Германии в Закавказье в 1918 году (сб. документов). с. 51, 55, 60.

უნდა შევნიშნოთ, რომ ცალკეული მონაცემების არსებობის მიუხედავად, ოსმალთა ოკუპაციის შედეგად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსათვის მიყენებული მატერიალური ზარალის დაზუსტებით გამოანგარიშება არ ხერხდება. სავარაუდებელია, რომ იგი რამდენიმე ათეულ მილიონ ოქროს რუბლს შეადგენდა.

ცალკე უნდა შევჩერდეთ ოსმალთა მიერ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გამოცხადებულ მობილიზაციაზე. ოსმალთა მიზანი იყო აქაურებით დაეკომპლექტებინა ფრონტზე გასაგზავნი ახალი საჯარისო ნაწილები. ამან ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან ადრე, რუსეთის მმართველობის პერიოდში, ისინი არ ექვემდებარებოდნენ რეგულარულ სამხედრო სამსახურში გაწვევას. ამის მიუხედავად, სამცხე-ჯავახეთში ოსმალებმა შეძლეს 500-მდე კაცის მობილიზაცია. მათ შორის აღმოჩნდნენ წარსულში ოსმალური პოლიტიკის აშკარა მოწინააღმდეგეებიც, როგორც მაგალითად, ქ.შ.წ.-კ.გ. საზოგადოების ახალციხის გამგეობის წევრი მოლა ასლან ჩომახაძე, რომელმაც ოსმალოფილთა მხრივ დაბრკოლებების მიუხედავად, სოფ. კლდეში შეძლო ქართული სკოლის გახსნა[26].

სამხედრო ბეგარისადმი უკმაყოფილებას ზრდიდა ისიც, რომ ოსმალთა საინტენდანტო უწყებამ ვერ შეძლო ახალწვეულთა მინიმალურად უზრუნველყოფა. მათ ვერ მისცეს სამხედრო ფორმა და საკვებიც კი, რითაც ისინი საკუთარი ოჯახებიდან მარაგდებოდნენ[27].

ძალდატანებით ჩატარდა ასკერად მობილიზაცია ბათუმ-აჭარაშიც. მემედ აბაშიძის ცნობით ოსმალებმა სოფლებიდან მოტყუებით ჩამოყვანილი ახალგაზრდები „ჩაკეტეს მეჩეთებში, ყაზარმებში,

---

26 შ.ლომსაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 288; სჯმხუ, ს. 1136, ფურც. 136.

27 შ.ლომსაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 289. თანამედროვეთა ცნობით, ახალციხეში შემოსულ ოსმალო ასკერების ნაწილს ეცვა ნადაელი რუსული სამხედრო ფორმა. თვით ოფიცრებიც კი, ზაფხულის სიცხის მიუხედავად, საზამთრო უნიფორმაში იხუთებოდნენ (სჯმხუ, ს. 4641, ფურც. 47). თანამედროვენი აღნიშნავენ იმ გარემოებასაც, რომ შიმშილობის მიუხედავად, სასჯელით („ზოპა") დაშინებული ოსმალო ასკერები, მართალია მათხოვრობდნენ, მაგრამ არ ქურდობდნენ. თუ ზოგჯერ ასეთ ფაქტს მაინც ექონდა ადგილი, ეს ადგილობრივი ქურდ-ბაცაცების მიერ მათი აყოლიების შედეგი იყო (სჯმხუ, ს. 1136, ფურც.136).

სკოლებში" და სახლში აღარ უშვებდნენ[28]. ამან ააღელვა ადგილობრივი მოსახლეობა. საოკუპაციო ხელისუფლებას განუცხადეს, რომ თუ მათ შვილებს სამხედრო ბეგარისგან არ გაათავისუფლებდნენ, ხალხი იარაღს აისხამდა. ამგვარი პროტესტის გამო ოსმალთა ხელისუფლება იძულებული გახდა ეს საქმე სამომავლოდ გადაედო[29].

საოკუპაციო რეჟიმისადმი უკმაყოფილებამ პრივილეგირებულ ფენებშიც იჩინა თავი. ამის მიზეზი პირველ ყოვლისა ის იყო, რომ ოსმალთა შემოსვლის დროს, მათთვის გაწეული სამსახურის სანაცვლოდ ბეგ-აღალარები ელოდნენ „ოსმალეთის ფარგლებში ავტონომიურად მოწყობილი სამაჰმადიანო საქართველოს სათავეში მოქცევას"[30], მაგრამ ეს იმედები გაუცრუვდათ. ოსმალებმა მათი სახელისუფლებო პრეტენზიები დაბალი სამოხელეო თანამდებობებით (მუხტარი, მუდირი, პოლიციის რაზმის უფროსი და ა.შ.) შემოფარგლეს. მაღალ თანამდებობებზე კი თურქები დანიშნეს. საოკუპაციო რეჟიმისადმი უკმაყოფილება გააძლიერა გადაწყვეტილებამ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მიწათმფლობელობის ოსმალური წესების შემოღების შესახებ. ამის გამო მესხები მოკვლით დამუქრებიან ოსმალთა მთავარ აპოლოგეტ - ომარ ფაიკს (ყიფიანს). ეს უკანასკნელიც შეშინებულა და სტამბოლს წასულა, რომ სულთნისათვის ეთხოვა მიწების კვლავ ძველ მფლობელთა უფლებებში დატოვება[31]. ბათუმის ოლქში კი ოსმალო გუბერნატორმა ნოტარიუსებს აუკრძალა უძრავ-მოძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის დამტკიცება, რასაც ადგილობრივ მესაკუთრეთა მხრივ მოჰყვა საპროტესტო წერილის სტამბოლში გაგზავნა[32]. შევნიშნავთ, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ზემოაღნიშნულ საკითხებზე ოსმალეთის ხელისუფლებამ ვეღარ მოასწრო, რადგან მალე მსოფლიო ომში დამარცხდა და იძულებული გახდა ოკუპირებული ტერიტორიები დაეტოვებინა.

---

28 ა.სილაგაძე, ე.გურული, საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან, მემედ-ბეგ აბაშიძე, დოკუმენტები და მასალები (1917-1923), გვ. 54.
29 ასგხფ, ს.36, ფურც. 6.
30 სცსსა, ფ.1836, ან. 1, ს. 70, ფურც. 30.
31 სუმხფ, ს. 1136, ფურც. 130.
32 ასგხფ, ს.36, ფურც. 11.

უფრო ადრე, 1918 წ. აგვისტოს დამლევს, ოსმალეთის მთავრობა იძულებული გახდა დაეცალა და საქართველოსათვის დაებრუნებინა აბასთუმანი და აწყური, რომელთა ოკუპაცია არ იყო გათვალისწინებული ბათუმის ზავით. ამის გამო, ზ.დიდიმამიშვილის შეფასებით, ოსმალეთმა „დაკარგა ნდობა ადგილობრივი მაჰმადიანებისა", რომლებიც მეტი სერიოზულობით დაფიქრდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის ანგარიშის გაწევაზე. მისივე ცნობით, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად აწყურელი ბეგ-აღალარები იყვნენ საქართველოსგან სამცხე-ჯავახეთის მოწყვეტის ინიციატორები, იგემეს რა ოსმალეთის „ზოპა-ბორკილები", მათი უმრავლესობა მაინც ადგილზე დარჩა და არ გახიზნულა. საქართველოსთან შეერთების სურვილს სამცხე-ჯავახეთის სხვა რაიონების მცხოვრებნიც აღარ მალავდნენ[33].

ოსმალეთის მთავრობა ცდილობდა იარაღით დაპყრობილ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში თავისი უფლებები იურიდიულადაც დაეკანონებინა. ამიტომ საჭიროდ ჩათვალა აქ რეფერენდუმის ჩატარება, რასაც მოითხოვდა ბრესტის ხელშეკრულების მე-4 მუხლი. რეფერენდუმის მზადების პერიოდში კვლავ ამოქმედდნენ ოსმალეთის აგენტები ბათუმში მცხოვრები აზეირბაიჯანელი ექიმების ეფენდიევის, სულთანოვის და სხვათა მეთაურობით. ისინი ხალხს მოუწოდებდნენ ერთმორწმუნე ოსმალეთის სასარგებლოდ მიეცათ ხმა და აშინებდნენ ქრისტიანულ საქართველოსთან შეერთებით[34].

საოკუპაციო ხელისუფლებამ შექმნა 16-კაციანი კომისია, რომელმაც შეიმუშავა რეფერენდუმის მოწყობის დებულება, მაგრამ ოსმალო გუბერნატორმა ის არ გაიზიარა და რეფერენდუმი ღია კენჭისყრით ჩაატარა.

საარჩევნო წესი სხვა მხრივაც დაირღვა: ერთიანი ფორმის ბიულეტენის ნაცვლად კენჭისყრა ჩატარდა ორი სხვადასხვა ფერის ბიულეტენით. თეთრი ოსმალეთთან შეერთებისათვის ხმის მიცემას გულისხმობდა, ლურჯი კი – საქართველოსთვის; ამ დროს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ლტოლვილი იყო და რეფე-

---

33 სჯმხფ, ს. 1136, ფურც. 134-137.

34 სცსსა, ფ. 1864, ან. 1, ს. 6, ფურც. 18-19.

რენდუმში მონაწილეობა არ მიუღია, მაშინ, როცა ამის ნება დართეს ბათუმში შემოხიზნულ და დროებით მცხოვრებ პირებს (სპარსელებს და სხვ.); რეფერენდუმი ჩატარდა საოკუპაციო რეჟიმის და საალყო წესების პირობებში; არ დაუწესებიათ რეფერენდუმის ერთიანი თარიღი და იგი 1918 წ. ივლისის თვეში, სხვადასხვა რაიონში სხვადასხვა დღეს ჩაატარეს; ამასთან, ხმის მიცემა ხდებოდა საოკუპაციო ხელისუფლების წარმომადგენლების და ასკერების თანდასწრებით. ამან დააშინა ამომრჩეველი და რეფერენდუმიც ფორმალურად ოსმალთა სასარგებლოდ დაამთავრა.

რეფერენდუმი ჩაიშალა მხოლოდ კინტრიშის უბანში (თანამედროვე ქობულეთის რნ.). ეს მნიშვნელოვანწილად იყო „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის" ახსნა-განმარტებითი საქმიანობის და გამორჩევით, მისი ახალგაზრდა წევრის, ხასან თხილაიშვილის თავდადების შედეგი. ის არ შეუშინდა ხმის მისაცემ ადგილას თვით მუთასერიფის ყოფნას, დემონსტრაციულად მისცა ხმა საქართველოსთან შეერთების სასარგებლოდ და ხალხსაც ამისკენ მოუწოდა[35]. წაგების შიშმა აიძულა ოსმალები ამ უბანში არჩევნები თვითონვე ჩაეშალათ[36].

ხასან თხილაიშვილი ლექსებითაც ებრძოდა ოსმალებს და მათ ორიენტაციას. ლექსში „მესხეთს" (1918 წ.) ის ოსმალოფილებს უწოდებს ყორნებს, ავსულებს, მტერ-მოყვრის ვერ მცნობს და მოქრთამულებს. მიმართავს თანამემამულეებს: „ავსული აღარ გვშორდება... გამოიღვიძეთ მალეო". იგივე ხასიათისაა მისი ლექსი „მესხებს" (1919 წ.), რომელშიც კვლავ მოუწოდებს მათ: „არა გვაქვს ძილის უფლება", ჩვენი წარსულიც გვავალებს შორს ვაგდოთ შიში და ძრწოლა, გავერთიანდეთ და მტრებს, „იმ შავ ყორნებს ვახალოთ ისარი კარპაჭოსანი"-ო.[37]

---

35 იხ. ე.მესხია,სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, გვ. 27-29.

36 ოსმალთა მონაცემებით, მათ სასარგებლოდ რეფერენდუმში ხმა მისცა 83 ათასმა კაცმა, წინააღმდეგ – 2 ათასმა. იმდროინდელი ბოლშევიკური პრესის მონაცემებით კი რეფერენდუმში მხოლოდ 11 ათასი მონაწილეობდა, რომელთაგან ოსმალეთის სასარგებლოდ ხმა მისცა 8500 კაცმა (Заврнсв Д.С., დასას. ნაშრ., გვ. 72).

37 ა.ახვლედიანი, ე.დავითაძე, „ჩამოთქვი ჩემო ჩონგურო", გვ.117-118.

ოსმალოფილებს და საქართველოსგან მისი სამუსლიმანო ნაწილის მოწყვეტის სხვა მოსურნეებს, თავის იუმორნარევ ლექსებში, დაუნდობლად ამათრახებდა ქართული ორიენტაციის ერთ-ერთი მესაძირკვლის ყურშუმ-აღა ჭყონიას ვაჟი მემედ ჭყონია. ლექსში „მე ერთი ბერიკაცი ვარ" ის წერს: „მტერ-მოყვარეს ვეღარ ვხვდებით, ვიკბინებით, როგორც გველი, მონასტერი აგვერია, გამორჩევა გახდა ძნელი..."[38]

განმათავისუფლებელი მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ოკუპაციის პირველივე დღეებში დაიწყო. ბათუმში ჩამოსულ ენვერ ფაშას, შემდეგ კი ოსმალეთის საზავო დელეგაციას მემედ აბაშიძე მიესალმა როგორც სტუმრებს და ადგილობრივ მცხოვრებთა სახელით მოუწოდა შეეწყვიტათ საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება[39]. იგი გამოვიდა ოსმალთა არმიაში ადგილობრივი ახალგაზრდობის მობილიზაციის წინააღმდეგაც. ამის გამო მემედ აბაშიძე და მისი თანამებრძოლები (ჯემალ ქიქავა, ხოჯა დაუდ სირბილაძე, სულეიმან ბეჟანიძე და ხასან ლორთქიფანიძე) დააპატიმრეს და ტრაპიზონის ციხეში ჩასვეს.

ამ პერიოდისათვის მ.აბაშიძეს უკვე შემუშავებული ჰქონდა საქრისტიანო და სამუსლიმანო საქართველოს პოლიტიკური და სულიერი გამთლიანების მეთოდოლოგია, რომლის საყრდენ პრინციპებს შეადგენდა: ენის ერთიანობა, სარწმუნოებრივ განსხვავებასთან შედარებით ეროვნული ერთიანობის უპირატესობა, ეროვნულ ენაზე განათლება და სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიური მართვა-გამგებლობა[40].

1918 წ. ივლისში მ. აბაშიძე ლაზეთის ქართველი პატრიოტების დახმარებით ციხიდან გამოიქცა, ფოთის გავლით თბილისში ჩავიდა და სათავეში ჩაუდგა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს". ეს ორგანიზაცია ჯერ კიდევ 1918 წ. მაისში შეიქმნა ოსმალთა შემოსევის გამო თბილისში გახიზნული პატრი-

---

38 იქვე, გვ. 34; აჭარის ხალხური პოეზია, I, თბ., 1969, გვ. 75.

39 მ.აბაშიძე, რჩეული ნაწერები, ბათ., 1973, გვ. 68.

40 ი.ბიბილეიშვილი, ო.გვარიშვილი, მემედ-ბეგ აბაშიძე მწერალი და მოაზროვნე, ბ.ა., 1999, გვ. 33-34.

ოტების ჰაიდარ აბაშიძის, ზია აბაშიძის, სულეიმან დიასამიძის, ყადირ შერვაშიძის, ქემალ ნოღაიდელის და ხასან თხილაიშვილის თაოსნობით. მათ კომიტეტის თავმჯდომარედ, დაუსწრებლად, ერთხმად აირჩიეს ჯერ კიდევ ტრაპიზონის ციხეში მყოფი მემედ აბაშიძე. მის მოადგილედ – ჰაიდარ აბაშიძე. კომიტეტის თავმჯდომარეობა დროებით დაეკისრა ზია აბაშიძეს.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე განმათავისუფლებელი მოძრაობის ორგანიზებულად და ეფექტურად წარმართვისათვის კომიტეტმა ოზურგეთსა და ახალციხეში გახსნა თავისი განყოფილებები. მიიზიდა და თავის გარშემო დარაზმა პატრიოტები აჭარიდან, ართვინიდან, შავშეთ-იმერხევიდან, არტანუჯიდან და სხვა კუთხეებიდან.

აღსანიშნავია, რომ ამ კომიტეტის თაოსნობით ოზურგეთში იყო დისლოცირებული „მუსლიმან ქართველთა ბატალიონი," გენერალ ასლან აბაშიძის მეთაურობით. ამას გარდა ქობულეთში მოქმედებდა „მფრინავი რაზმი" 75 მებრძოლით ხასან თხილაიშვილის ხელმძღვანელობით.[41] აქედან გამომდინარე, ყველაზე მეტი მხარდამჭერი განმათავისუფლებელ კომიტეტს ჰყავდა ქობულეთში, რის მეოხებითაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 14 ივლისს საოკუპაციო ხელისუფლებას აქ რეფერენდუმი ფაქტობრივად ჩაეშალა.

განმათავისუფლებელი კომიტეტის ახსნა-განმარტებითი საქმიანობის შედეგი იყო აგრეთვე ბათუმის ოლქის მოსახლეობის მიერ ოსმალეთის სულთნისთვის გაგზავნილი საპროტესტო წერილი რეფერენდუმის გაყალბების თაობაზე, რომელსაც ხელს აწერდა 4 ათასი კაცი[42].

აღსანიშნავია, რომ განმათავისუფლებელმა მოძრაობამ გარკვეული მსხვერპლიც მოითხოვა. ბათუმში საქართველოს მთავრობის რწმუნებულის დიომიდე თოფურიძის მიერ 1918 წ. დეკემბერში შეკრებილი ცნობებით, ოსმალთა აგენტებმა საქართველოს სასარგებლოდ აგიტაციისათვის დაბა ქედასთან დახვრიტეს ქობულეთელი ანანიძე, ხოლო სოფ. ბაბუჩოღლებში, მდ.აჭარისწყლის ნაპირას, 44

---

41 ა.ბ. სურგულაძე, მ. სიორიძე, პორტო-ფრანკო ბათუმში, ბათ., 1996, გვ. 44.

42 ჯ. ცქვიტარია, აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები, წ. II, გვ.94.

კაცი (მათ შორის ორი ძმა რამიშვილი, ცენტერაძე, პოლკოვნიკი კვაჭანტირაძე, რუხაძე და სხვ.)[43]. გაცილებით მეტი მსხვერპლი იყო სამცხე-ჯავახეთში.

„სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ ეროვნული საქმიანობა სათანადოდაა შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში, გამორჩევით დოც. ე. მესხიას სპეციალურ მონოგრაფიაში[44]. ამდენად, მასზე აღარ შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ საოკუპაციო ხელისუფლების (ჯერ ოსმალების, შემდეგ ინგლისელების) მხრივ დევნისა და შევიწროების მიუხედავად, განმათავისუფლებელმა კომიტეტმა მნიშნელოვანი როლი შეასრულა მაჰმადიან ქართველთა ეროვნული გათვითცნობიერების და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში. სწორედ ამ მუშაობის შედეგი იყო, რომ 1919 წ. 31 აგვისტოს ბათუმში ჩატარდა ქართველ მაჰმადიანთა წარმომადგენლების ყრილობა, რომელმაც დაადგინა ამ მხარის დედა-საქართველოსთან დაბრუნება[45]. ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად ყრილობამ მ.აბაშიძის თავმჯდომარეობით აირჩია მეჯლისი, რომელმაც საქართველოსთან მისი სამაჰმადიანო ნაწილის დაბრუნების საკითხი ოფიციალურად დააყენა ანტანტის ქვეყნების მთავრობების წინაშე[46] და პრაქტიკულად იღვაწა ქვეყნის მომავლისათვის ამ დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილების განსახორციელებლად.

---

43 სცსსა, ფ.1864, ან. 1. ს. 5, ფურც.13.

44 ე.მესხია, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან (სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი). ბათ., 1997.

45 დადგენილების დედანი იხ. სცსსა, ფ. 1861, ან. 2, ს. 42, ფურც. 1-3.

§ 4. ოსმალეთ–გერმანიის ინტერესთა დაპირისპირება რეგიონში; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ღონისძიებები მისი დაბრუნებისათვის

ბათუმის კონფერენციის შემდეგ გერმანიასა და ოსმალეთს შორის ურთიერთობა ამიერკავკასიაში კიდევ უფრო დაიძაბა. თავის მხრივ ოსმალებმაც დაიკავეს თბილისი-ალექსანდროპოლის რკინიგზის მაგისტრალი და გერმანელთა საგუშაგოების წინ გახსნეს საკუთარიც. მათ შორის ხშირად ჰქონდა ადგილი კინკლაობას და შეჯახებასაც კი[1]. მსგავსი დამოკიდებულება იყო მდ. ჩოლოქის გასწვრივ განლაგებულ გერმანულ და ოსმალურ სამხედრო ნაწილებს შორისაც[2]. ამასვე ადასტურებდა გერმანიის კონსტანტინოპოლელი კონსული მოხსენებით ბარათში, რომელიც 1918 წ. 29 ივნისს ქ. ბათუმიდან გაუგზავნა თავის მთავრობას[3].

ოსმალთა ზემოაღნიშნულ მოქმედებას მოჰყვა გერმანიის სამხედრო და საგარეო საქმეთა სამინისტროების წერილობითი პროტესტები. კაიზერის კანცელარიიდან ოსმალეთს კონკრეტული თარიღიც დაუდგინეს, რომ 20 ივლისამდე დაეცალა ბრესტის ზავით გაუთვალისწინებელი ტერიტორიები. გერმანიის ამგვარმა პოზიციამ გამოიწვია კონსტანტინოპოლის გაზეთების მკვეთრი რეაქცია. მათში გაიელვა მუქარამაც გერმანიასთან კავშირის გაწყვეტის თაობაზე, თუკი ეს უკანასკნელი წინააღმდეგობებს შეუქმნიდა მოკავშირე ოსმალეთის ღონისძიებებს კავკასიაში[4]. ენვერ ფაშაც გადადგომით იმუქრებოდა და ბერლინს წერდა: „მე შეუძლებლად ვთვლი უკან წავიღო ჩრდილოეთ კავკასიის მაჰმადიანებისათვის ჩვენს მიერ

---

[1] Мюльман К., დასახ. ნაშრომი, გვ. 273.

[2] Renouvin P., La Crise Européenne et la première guerre mondiale (1904-1918), p. 595.

[3] Пипия Г.В., Политика Германии в Закавказье в 1918 году (Сборник документов), Тб., 1971, с.54.

[4] Завриев Д.С., К новейшей истории северо-восточных вилайетов Турции, с. 60-61.

მიცემული დაპირებები მათთვის დახმარების შესახებ; დახმარებისა, რომლის განხორციელებაც უკვე დაწყებულია"[5].

ბოლშევიზმთან ბრძოლის მომიზეზებით ოსმალები გააქტიურდნენ დასავლეთ საქართველოშიც. 1918 წ. ივნისის დამლევს მათ მდ. კოდორის შესართავთან გადმოსხეს დესანტი (800-მდე კაცი) და ემზადებოდნენ სოხუმის დასაკავებლად[6]. მდ. ჩოლოქს კი მიადგა ოსმალთა ჯარით დატვირთული ეშელონი, მაგრამ გერმანელმა ლეიტენანტმა ფონ-უნკემ ის ნატანებისკენ არ გაატარა. მან მდ. ჩოლოქზე სარკინიგზო ხიდიც კი დაანაღმვინა და აფეთქების მუქარით აიძულა ოსმალები ეშელონი ბათუმში დაებრუნებინათ[7].

ბოლოს ოსმალეთი იძულებული გახდა ნაწილობრივ ყურად ეღო მოკავშირის მოთხოვნები და რიგი სამხედრო ნაწილები კავკასიიდან გადაეყვანა ინგლისელების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამის მიუხედავად, გერმანია-ოსმალეთს შორის მეტოქეობა ამიერკავკასიაში პირველი მსოფლიო ომის ბოლომდე გრძელდებოდა. ამიტომ გერმანია ცდილობდა ამიერკავკასიაში ოსმალეთისათვის დაპირისპირებინა საერთო მოკავშირე ავსტრია-უნგრეთი. 1918 წ. აგვისტოში, დაიგეგმა რამდენიმე ავსტრიული ბატალიონის და საარტილერიო ბატარეის გაგზავნა სომხეთში იმ მიზნით, რომ მათ იქ „შეესრულებინათ ანალოგიური ამოცანები, რასაც გერმანელები ახორციელებდნენ საქართველოში". ავსტრია-უნგრეთშიც დაიწყეს მზადება ამ სამხედრო ექსპედიციისათვის, მაგრამ ცენტრალური სახელმწიფოების მსოფლიო ომში დამარცხებამ ჩაშალა ეს გეგმები[8].

ოსმალეთ-გერმანიის დაპირისპირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონი ამიერკავკასიაში იყო სამხრეთ-დასავლეთი საქართველო. მართალია ბათუმ-ყარს-არტაანი გერმანიის მთავრობამ ჯერ კიდევ ბრესტის ხელშეკრულებით სცნო ოსმალეთის უპირატესი გავლენის სფეროდ, მაგრამ მას იქ ომის ბოლომდე ჰქონდა საკუთარი ეკონომიკური ინტერესები, რასაც ოსმალები ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდნენ.

---

5 **Мюльман К.**, დასახ. ნაშრ. გვ. 276.

6 გაზ. „საქართველო", 30 ივნისი,1918, №126.

7 **Заринев Д.С.**, დასახ. ნაშრ., გვ. 63.

8 **გ. მანჯგალაძე**, ავსტრია-უნგრეთის პოლიტიკა ამიერკავკასიის მიმართ პირველი მსოფლიო ომის წლებში.-„საქართველო და ევროპის ქვეყნები", IV, თბ.. 1989, გვ. 52-53.

უნაყოფო გამოდგა გენერალ ლუდენდორფის ის იმედიც, რომ ოსმალთათვის ზემოაღნიშნული სამი სანჯაყის გადაცემას გერმანიისათვის „არ უნდა გაეძნელებინა კავკასიიდან ნედლეულის გატანა“[9]. ოსმალეთის მთავრობამ ჯერ კიდევ ბათუმის ოლქში შემოჭრამდე უბრძანა კავკასიის ფრონტის სარდალ ვეჰიბ ფაშას, რომ მას ხელში აეღო ოკუპირებულ ტერიტორიაზე . არსებული ყველა საწარმო.

1918 წ. 3 ივნისს გერმანიის საიმპერიო ეკონომიკური უწყების წარმომადგენელი ჰ.ვარნეკე ფოთიდან ბერლინს ატყობინებდა: „აქამდე შეუძლებელია კავშირის დამყარება ბათუმთან, რადგან იქ თურქებია და ამჟამად ჩვენ, გერმანელებსაც კი არ შეგვიძლია იქ ჩაღწევა“[10]. ივნისის დამლევს ბერლინს დაახლოებით იგივეს მოახსენებდა გერმანიის კონსტანტინოპოლელი კონსულიც[11].

ოსმალები გერმანელებს განსაკუთრებულ სიძნელეებს უქმნიდნენ ბათუმიდან ნავთობის მიღებაში. როგორც ზემოთაც ითქვა, ვეჰიბ ფაშა მთლიანად დაეპატრონა ბათუმში არსებულ ნავთის მარაგს. მისი ბრძანებით ნავთი აზიურ თურქეთში გაჰქონდათ და კერძო პირებზე ჰყიდდნენ. ვეჰიბის პოლიტიკას აგრძელებდა მისი შემცვლელი და უფროსი ძმა ესად ფაშაც. მან გერმანიის სარდლობის მიერ ბათუმში მოვლინებულ კაპიტან გერლაჰს განუცხადა, რომ ენვერ ფაშას ბრძანების საფუძველზე, არავის მისცემდა უფლებას აქედან გაეტანათ თუნდაც ერთი კასრი ნავთი. ოსმალების მიერ გერმანელებისათვის საწვავის (მაზუთის) მიუწოდებლობის გამო ორთქლმავალთა ნაწილი უმოქმედოდ იდგა, რითაც საფრთხე შეექმნა ჭიათურიდან ფოთის ნავსადგურში მარგანეცის ტრანსპორტირებას[12].

გერმანიის სარდლობამ გადაწყვიტა საქართველოში ენერგიულად ემოქმედა. „ამას მოითხოვდა ნედლეულით ჩვენი მომარაგების პირობები, – წერს ლუდენდორფი, – ამ მხრივ არ შეგვეძლო იმედი გვქონოდა თურქეთისა. ეს ერთხელ კიდევ დაამტკიცა მისმა მოქმე-

---

9 Людендорф Э., Мой воспоминания..., с. 187.

10 Пипия Г.В., დასახ. დოკუმენტ. კრებული, Тб., 1971, с.42.

11 იქვე. გვ. 50-51.

12 იქვე. გვ. 60, 141.

დებამ ბათუმში. ის დაეპატრონა ყველა პროდუქტს, რაც კი იქ აღმოჩნდა. ბაქოდან ნავთობის მიღება ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგვეძლო, თუ მარტო ჩვენს ძალებს დავეყრდნობოდით... პოლკოვნიკ ფონ კრესს უნდა მოეგვარებინა ექსპლოატაცია ბათუმ-თბილისი-ბაქოს რკინიგზისა, სადაც ვაგონ-ცისტერნების დიდი პარკი იყო" [13].

გერმანელები ძლიერ იყვნენ დაინტერესებული ამიერკავკასიაში, ჩრდილოეთ სპარსეთსა და შუა აზიაში დაგროვილი სამრეწველო ნედლეულის – ბამბის, აბრეშუმისა და მატყლის გატანით, მაგრამ აქაც წინ ეღობებოდნენ ოსმალები. აღნიშნულ სიმდიდრეზე ბატონობის მონოპოლია მათ იმდენ მოგებას უქადდა, რომ სტამბოლში მზადყოფნა გამოთქვეს: „ხელი აეღოთ ბათუმის და ყარსის ნედლეულზე", გერმანიის „შემსყიდველი ფირმების მიერ შესაბამისი უკანდახევის შემთხვევაში"[14]. იგულისხმებოდა, რომ გერმანიის სავაჭრო ფირმებს აზერბაიჯანსა და სპარსეთში ნედლეულის უშუალოდ შესყიდვაზე უარი უნდა ეთქვათ და დაკმაყოფილებულიყვნენ ოსმალეთის საშუამავლო ვაჭრობით. სტამბოლში თვლიდნენ, რომ ეს მათ ბევრად მეტ მოგებას მისცემდა, ვიდრე ბათუმის და ყარსის ოლქებში არსებული სიმდიდრეებით ვაჭრობა.

ჩვენი აზრით, აქ გასათვალისწინებელია საკითხის პოლიტიკური მხარეც. კერძოდ, ოსმალთა ვარაუდით, გერმანელი საქმოსნების მუდმივი ყოფნა აღმოსავლეთის ქვეყნებში, მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ამ რეგიონში გერმანიის პოლიტიკური გავლენის გაძლიერებასაც. ეს კი ფრიად დააზარალებდა „თურანის" შექმნის საქმეს. ოსმალეთის ხელისუფლება, ცხადად ხედავდა რა აღმოსავლეთის ქვეყნებისადმი გერმანიის გაზრდილ ინტერესს, ყოველნაირად ცდილობდა მისი ამ მიმართულებით წინსვლის შეჩერებას და ამისათვის გარკვეულ ეკონომიკურ დათმობებზეც მიდიოდა.

სტამბოლის ზემოაღნიშნული წინადადების მიუხედავად გერმანიის ეკონომიკური წრეები ამ რეგიონში დამოუკიდებლად მოქმე-

---

[13] Людендорф Э., დასახ. ნაშრ., გვ. 219-220.

[14] Пишия Г. В., დასახ. დოკუმენტ. კრებ., გვ. 69.

დებისაკენ მიისწრაფოდნენ. ამიტომაც, ოსმალთა მოთხოვნით, აზერბაიჯანის მთავრობამ „აკრძალა ხორბლის, ბამბის, მატყლის და აბრეშუმის ექსპორტი". მათ იაფად შესყიდვას მხოლოდ ოსმალები ახერხებდნენ, შემდეგ ბათუმის ნავსადგურით კონსტანტინოპოლში გაჰქონდათ, სადაც გერმანელებს სთავაზობდნენ გაზრდილ ფასებში.

ოსმალთა ამგვარი მოქმედების გამო, 1918 წ. აგვისტოში გრაფი შულენბურგი გერმანიის გენშტაბს თბილისიდან სწერდა: „თურქეთის კონკურენციას ბოლო უნდა მოეღოს... ჩვენი მიზნის განხორციელებას შეეძლებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოვახდენთ თბილისი-ბაქოს და თბილისი-ჯულფას რკინიგზის ოკუპაციას". კავკასიაში გერმანიის საიმპერიო ეკონომიკური უწყების დელეგაციის წევრის მეიერკორტის აზრით კი, თუ გერმანიის რეიხს სურდა ამიერკავკასიაში დაეცვა თავისი სახელმწიფოს ინტერესები, მას უსწრაფესად და იმდენად უნდა გააძლიერებინა თავისი პოზიციები, რომ მთელ კავკასიაში მიეღწია გაბატონებული მდგომარეობისათვის.[15]

ცნობილია, რომ საქართველოში გერმანიის ინტერესის ერთ-ერთ ძირითად საგანს ჭიათურის მარგანეცი წარმოადგენდა. ოსმალთა მიერ ბათუმის ოკუპაციის შემდეგ, გერმანელები მის ექსპორტს ფოთის ნავსადგურით აწარმოებდნენ. გერმანიის სამხედრო მრეწველობა საჭიროებდა მარგანეცის დიდი რაოდენობით გატანას, რისთვისაც ფოთის ბუნებრივად მოუწყობელი ნავსადგური საკმარისი არ იყო. გერმანულმა სამრეწველო ფირმებმა საკუთარი მთავრობის წინაშე დააყენეს საკითხი, რომ მიეღწიათ ბათუმიდან მარგანეცის ექპორტის განახლებისათვის. ამის მთავარ პირობად კი გერმანული ფირმის „ენკელი და ჰეინის" ხელმძღვანელობას მიაჩნდა „ბათუმში თურქთა მოძალეობის ლიკვიდაცია"[16]. კავკასიაში გერმანიის გენშტაბის რწმუნებულის, მაიორ ჰ.მეის აზრით კი, ბათუმს რომ შეეძინა „საექსპორტო ნავსადგურის ძველი მნიშვნელობა," საჭირო იყო მისი „თავისუფალ ნავსადგურად" გამოცხადება[17].

---

[15] იქვე. გვ. 56-157, 204.

[16] იქვე. გვ. 120.

[17] იქვე. გვ. 76.

ოსმალთა ოკუპაციის პერიოდში გერმანელებმა კვლავ მიაქციეს ყურადღება ჭოროხის აუზის სპილენძსამრეწველო ობიექტებს. იქ არსებული მდგომარეობის შესასწავლად, გერმანიის სამხედრო სამინისტრომ აქ მოავლინა სამთო საქმის სპეციალისტი პროფესორი ე.კეიტმაიერი. ის ადგილზე გაეცნო ვითარებას და ბერლინს მოახსენა, რომ თხევადი საწვავის უქონლობის გამო სპილენძსადნობი ქარხნების ამუშავება შეუძლებელი იყო[18].

გერმანელები ომის ბოლო წელს სურსათის საგრძნობ ნაკლებობას განიცდიდნენ. ამიტომ, ივნისის დასაწყისში მათ საინტენდანტო უწყებაში წარმოიშვა აზრი, რომ ბათუმში აეშენებინათ ხორცის საკონსერვო ქარხანა, სადაც ყარს-არტაანში შეძენილი პირუტყვისგან დაამზადებდნენ კონსერვებს და გერმანიაში გაიტანდნენ. ასევე გეგმავდნენ ბათუმის ნავსადგურით კასპიის ზღვის თევზეულის გატანასაც.[19] გერმანელთა ყველა ზემოაღნიშნული წამოწყება ოსმალთა მხრივ გადაულახავ წინააღმდეგობას აწყდებოდა.

* * *

ოსმალეთ-საქართველოს 1918 წ. 4 ივნისის ზავით, მისი რატიფიკაცია ხელმომწერ მხარეებს უნდა მოეხდინათ ერთი თვის ვადაში. თუმცა ეს არ განხორციელდა, რადგან საქართველომ მაშინვე მიიღო ზომები ზავის მძიმე პირობების შესაცვლელად. ახალშობილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ამ შემთხვევაშიც ცდილობდა ესარგებლა ოსმალეთ-გერმანიას შორის წარმოქმნილი დაპირისპირებებით და ამ უკანასკნელის მეშვეობით აელაგმა ოსმალეთის აგრესიული მისწრაფებები.

6 ივნისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ (პარლამენტმა) გააპროტესტა „ოსმალური ხიშტების ძალდატანებით" თავსმოხვეული ბათუმის ზავი და მოითხოვა მისი გადასინჯვა ოსმალეთის

---

18 იქვე, გვ. 219-220.

19 იქვე, გვ. 44, 46.

ყველა მოკავშირის მონაწილეობით[20]. იმავე 6 ივნისს ბერლინში ახლად ჩასულმა საქართველოს დიპლომატიურმა მისიამ, ა.ჩხენკელის მეთაურობით, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა ნოტა. მასში ხაზგასმულია, რომ 4 ივნისის ზავი იყო იძულებითი და ეწინააღმდეგებოდა 28 მაისს ფოთში გერმანია-საქართველოს შორის ხელმოწერილ შეთანხმებებს, აგრეთვე ბრესტის ზავსაც. იქვე ა.ჩხენკელმა, საქართველოს მთავრობის სახელით, მოითხოვა ახალი საზავო კონფერენციის მოწვევა ოთხთა კავშირის ყველა სახელმწიფოს და ამიერკავკასიის რესპუბლიკების მონაწილეობით, რომელზეც შეიმუშავებდნენ ახალ საზავო ხელშეკრულებას ბრესტის ზავის საფუძველზე[21].

გერმანიის მთავრობამ გაიზიარა საქართველოს დიპლომატიური მისიის მოსაზრებები და ოფიციალურად გამოთქვა მზადყოფნა მხარი დაეჭირა მისი სამართლიანი მოთხოვნისათვის, რაზედაც 11 ივნისს ა. ჩხენკელმა სამადლობელი პასუხი გადასცა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს. იქვე აღნიშნული იყო, რომ ქართულ მხარეს ახალი საზავო მოლაპარაკებისათვის, ტექნიკური თვალსაზრისით, ყველაზე ხელსაყრელ პუნქტად მიაჩნდა ქ. ბერლინი[22].

საქართველოს დიპლომატიურმა მისიამ ბერლინში მოამზადა და გერმანიის მთავრობას წარუდგინა პოლიტიკური და ეკონომიკური მემორანდუმები, რომლებშიც მიუთითებდა საქართველოში გერმანიის სასარგებლო განწყობილების არსებობაზე, აგრეთვე, ამ ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობის და რესურსების გერმანიის ეკონომიკური ინტერესებისათვის სარგებლიანობის შესახებ[23].

ამავე პერიოდში, საქართველოს მთავრობამ გერმანიის მხარეს წარუდგინა რამდენიმე საპროტესტო ნოტა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალთა უკანონო მოქმედებების შესახებ. 1918 წ.

---

20 სცსსა ამფ, ს. 392.

21 იქვე. ს. 721, ფურც. 4-6.

22 იქვე. ფურც. 6-7.

23 იქვე. ფურც.9-26.

20 ივნისის ნოტაში ეწერა: „თურქეთის ხელისუფლება ბათუმში აპატიმრებს ყველა თვალსაჩინო აჭარელს, რომლებიც დგანან ბრესტის ხელშეკრულების თვალსაზრისზე ხალხთა თვითგამორკვევის სახით და, რომლებსაც სურდათ შესაბამისი პეტიციით მიემართათ გერმანიის ხელისუფლებისათვის, ითხოვდნენ მის ავტორიტეტულ ჩარევას. დაპატიმრებულებს ელოდებათ მკაცრი სასჯელი"[24]. 28 ივნისს გაგზავნილი ნოტა კი კონკრეტულად მოითხოვდა ოსმალთა მიერ დაპატიმრებული და ტრაპიზონის ციხეში გადაგზავნილი მემედ აბაშიძის და მისი თანამებრძოლების განთავისუფლებას[25].

საქართველოს მთავრობის სხვა ნოტებში გამოთქმული იყო პროტესტი ოსმალთა დესანტის აფხაზეთში გადმოსხმის, საინგილოში ოსმალთა აგენტების ანტიქართული საქმიანობის, ბათუმის ზავით გაუთვალისწინებელი აბასთუმნის და აწყურის ოსმალთა ჯარების მიერ ოკუპაციის გამო და სხვ.[26]

1918 წ. 24 ივნისს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფონ კიულმანმა რაიხსტაგში წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ოსმალთა ჯარის მარცხენა ფრთამ კავკასიის ფრონტზე გადააბიჯა ბრესტ-ლიტოვსკის ზავით განსაზღვრულ მიჯნებს და ღრმად შეიჭრა ისეთ ტერიტორიაზე, რომლის ხანგრძლივი ანექსია ან ოკუპაცია ოსმალეთის მიერ, ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მიხედვით, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იქნეს დაშვებული...". ფონ კიულმანის სიტყვამ რაიხსტაგში ერთსულოვანი მხარდაჭერა ჰპოვა. ივნისის დამლევს იგივე დაადასტურა საქართველოში ჩამოსულმა გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის და ბულგარეთის გაერთიანებული სამხედრო დელეგაციის ხელმძღვანელმა გენერალმა ფონ კრესმა, რომელმაც ბათუმის ზავს მხოლოდ „წინასწარი" უწოდა[27].

---

24 Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, с. 375.

25 იქვე, გვ. 376.

26 იქვე, გვ. 376-377.

27 დ.ჭუმბურიძე, აჭარის საკითხი 1918-1921 წლებში და ქართული საზოგადოებრივი აზრი, გვ. 28-30.

ოსმალეთის მთავრობა იძულებული გახდა დათანხმებოდა მოკავშირეთა მოთხოვნას ახალი საგანგებო კონფერენციის მოწვევის თაობაზე, ბათუმის ზავის გადასასინჯად, მაგრამ მიაღწია, რომ იგი კონსტანტინოპოლში გამართულიყო. ივნისის დამლევს იქ თავმოყრა დაიწყეს საზავო დელეგაციებმაც. თუმცა, კონსტანტინოპოლის კონფერენცია ყოველთვის გადაიდებოდა ხოლმე სხვადასხვა მიზეზით და საბოლოოდ არც შემდგარა. ომს ჯერ ბულგარეთი გამოეთიშა (სექტემბრის დამლევს), ხოლო შემდეგ (ოქტომბრის დამლევს) ოსმალეთიც და ანტანტასთან დაიწყეს სეპარატული მოლაპარაკება.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო კონსტანტინოპოლის კონფერენციაზეც კვლავ მარტო რჩებოდა, გერმანიის იმედად. სომხეთის დელეგაციამ ავ. აგარონიანის მეთაურობით ბათუმის კონფერენციაზევე მიიღო ოსმალური ორიენტაცია. ის იგივე გეზს ადგა სტამბოლშიც და მზად იყო ოსმალეთის მხრივ სომხეთის ცნობისა და ტერიტორიების დაბრუნების შემთხვევაში თავი გამოეცხადებინა მის მოკავშირედ, ან ლოიალურ სახელმწიფოდ მაინც. კიდევ მეტი, სომეხი პოლიტიკოსები ცდილობდნენ საქართველოსგან მოეგლიჯათ სომხებით კომპაქტურად დასახლებული ახალქალაქის მაზრა. 1918 წ. 22 აგვისტოს თბილისში შემოხიზნული ახალქალაქის მაზრის სომეხთა სათვისტომოს მმართველობა კონსტანტინოპოლის კონფერენციაზე სომხეთის სამთავრობო დელეგაციას ატყობინებდა: „ახალქალაქის გუბერნიის (?!) სომხურ მოსახლეობას სურს გამოეყოს თურქეთს და თავისი ბედი დაუკავშიროს სომხეთის რესპუბლიკასო“.[28]

კონსტანტინოპოლში ახალი საზავო კონფერენციის მოწვევისათვის მზადების პერიოდში, ოსმალეთის მთავრობამ სცადა ბრესტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული რეფერენდუმის ჩატარება, რათა ბათუმ-ყარს-არტაანის ოკუპაციისათვის შეექმნა იურიდიული საფუძველი. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რეფერენდუმი ჩატარდა მნიშვნელოვანი დარღვევებით და გაყალბებით. ამის გამო საქართველოს მთავრობამ 1918 წ. აგვისტოს დასაწყისში საპროტესტო ნოტებით მიმართა ოსმალეთის, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის და ბულგარეთის მთავრობებს[29].

---

[28] Киракосян Д.С., Младотурки перед судом истории, Ереван, 1989, сс. 243-245.

[29] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, сс. 370-371.

თვითნებურად ჩატარებული რეფერენდუმის გამო პროტესტი გამოთქვა გერმანიამაც. სტამბოლში გაგზავნილ სპეციალურ ნოტაში ხაზგასმული იყო, რომ დაირღვა ბრესტის ხელშეკრულების მე-4 მუხლი, რომლითაც ბათუმ-ყარს-არტაანის ოლქებში ახალი წესრიგის დამყარება უნდა მომხდარიყო მოსახლეობის ნების გამოხატვით და მეზობელ სახელმწიფოებთან შეთანხმებით[30].

„სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმაც" ივლისში გაგზავნა დელეგაცია ვენასა და ბერლინში ზია აბაშიძის და ყადირ შერვაშიძის შემადგენლობით. მემედ აბაშიძის ცნობით, ეს დელეგაცია ითხოვდა რომ მოკავშირეებს „მოეხდინათ დაწოლა თურქეთზე, რათა აეძულებინათ ის გაეთავისუფლებინა სამუსლიმანო საქართველო და თუ ბოლოს საქმე მივიდოდა ხელახალ პლებისციტზე, მიეღწიათ ბათუმიდან და აჭარიდან ოსმალეთის ჯარების წინასწარი გაყვანისათვის"[31].

ჩვენი აზრით, სწორედ ამ ისტორიულ ფაქტს უნდა ასახავდეს სახალხო მთქმელის მემედ ჭყონიას ლექსი „დავგლახდი, დავჩაჩანაკდი". მართალია, ზ. აბაშიძის და ყ. შერვაშიძის ბერლინში ელჩობის შესახებ ავტორი არაფერს ამბობს, მაგრამ თვით ლექსის შინაარსიდან ჩანს გერმანიის მეშვეობით სამუსლიმანო საქართველოს გამოხსნის იმედი, რომ მის სამშობლოს „ეშველება მომავალ ენკენის თვეში (სექტემბერში – მ.ს.)". და თუ მაინც „თურქი დარჩა ამ ჩვენ მიწის სათავეში", სხვა დამხმარე უნდა ვეძებოთ „ჩვენს სიმართლეში" და „მაშინაც თუ ვერ გევმარჯვეთ – „ანასინი" ჩვენ საქმეში"[32].

ბერლინში ჩასულ „განმათავისუფლებელი კომიტეტის" დელეგაციას დახმარების თხოვნით მიუმართავს საბჭოთა რუსეთის იქაური წარმომადგენლობისთვისაც. პასუხად იოფეს განუცხადებია, რომ ბრესტის ხელშეკრულებით ეს ოლქები მიეკუთვნა ოსმალეთს, ამიტომ „ჩვენ პროტესტის განცხადება არ შეგვიძლია, ხოლო თუ

---

30 იქვე, გვ. 377-378.

31 ა.ხილაგაძე, ვ.გურული, საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან, ნაკვ. I, მემედ-ბეგ აბაშიძე. დოკუმენტები და მასალები (1917-1923), გვ.55.

32 ა.ახვლედიანი, ე. დავითაძე, ჩამოთქვი ჩემო ჩონგურო, გვ.34-35; აჭარის ხალხური პოეზია, I, თბ., 1969, გვ. 75.

თქვენ შეძლებთ რაიმეს გაკეთებას, ჩვენ ვიქნებით მოხარულნი და გისურვებთ წარმატებებსო"[33].

შევნიშნავთ, რომ რუსეთის საბჭოთა მთავრობამ ოსმალეთს საპროტესტო ნოტა გაუგზავნა მოგვიანებით, 1918 წ. 20 სექტემბერს, მას შემდეგ, რაც ოსმალეთის ჯარმა აიღო ბაქო და შეიჭრა დაღესტანში. ამის გამო საბჭოთა მთავრობა ოსმალეთთან მიმართებაში ბრესტის ხელშეკრულებას გაუქმებულად აცხადებდა და წყვეტდა მასთან დიპლომატიურ ურთიერთობას. ამავე ნოტაში მიუთითებდა, რომ აღარ სცნობდა „ყარსის, არტაანის და ბათუმის ოლქების ოსმალეთის იმპერიასთან შეერთებას და თვლიდა, რომ იქაურ მცხოვრებთ არ გამოუყენებიათ თავიანთი უფლება დაემყარებინათ ახალი წესწყობილება ამ ოლქებში"[34].

ოსმალეთის მთავრობამ განიზრახა კონსტანტინოპოლის მომავალი საზავო კონფერენციისთვისაც მიეცა თავისთვის სასურველი ელფერი. ამიტომ, მასზე მიიწვია ჩრდილოეთი კავკასიის, ვოლგისპირეთის და შუა აზიის მაჰმადიანი ხალხების წარმომადგენლებიც[35].

ახალი საზავო კონფერენციისათვის გაჭიანურებული მზადების ვითარებაში ოსმალეთის მთავრობამ დაგეგმა განმეორებითი რეფერენდუმის ჩატარება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ამისათვის მოსახლეობის მოსამზადებლად გამოგზავნეს პროპაგანდისტები და აამოქმედეს ადგილობრივი ემისრები. შემდეგ სულთანის კარზე გაჩნდა სხვა აზრიც, რომ განმეორებითი რეფერენდუმი მოეწყოთ ინგლისის და საფრანგეთის მისიების თანდასწრებით, მაგრამ მსოფლიო ომში ოსმალეთის მალე კაპიტულაციის გამო არც რეფერენდუმი ჩატარებულა და არც კონსტანტინოპოლის საზავო კონფერენცია[36].

---

33 ა. ხილაგაძე, ე. გურული, დასახ. დოკუმენტები და მასალები, გვ.55.

34 Документы внешней политики СССР, т.I (7 ноября 1917 г. - 31 декабря 1918 г.), М., 1957, сс. 490-492.

35 ზ.ავალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 162; მისივე ცნობით: კონსტანტინოპოლის კონფერენციაზე „გერმანია აპირებდა თურქეთისგან დაჟინებით მოეთხოვა ბათუმის გადაცემა თავისუფალ ნავსადგურად და საქართველოსთან მისი კავშირის გაადვილება" (იქვე, გვ.139).

36 ივ. მესხი, ბათომის თავგადასავალი (მოგონებები) – ხელნაწერი. ასგხფ, ს. 36, ვ3ხ.7.

1918 წ. შემოდგომაზე ოსმალთა პოზიციები საგრძნობლად შეირყა ოკუპირებულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ბათუმის ოსმალურ გარნიზონში თავი იჩინა დეზერტირობამ. სატუსაღო აივსო ოსმალთა პოლიტიკით უკმაყოფილო ქართველი მაჰმადიანებით. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ და „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა" გააქტიურეს ბრძოლა ქართული ორიენტაციისათვის. ამოქმედდნენ საწინააღმდეგო ძალებიც. მაგ., ბათუმში მყოფმა 500-მდე რუსმა ოფიცერმა მოითხოვა ბათუმ-აჭარის დენიკინის „მოხალისეთა არმიისათვის" გადაცემა. მათ მხარს უჭერდა ზოგიერთი ადგილობრივი გავლენიანი პირიც[37].

მსოფლიო ომში დამარცხებულმა ოსმალეთის მთავრობამ გადაწყვიტა გარკვეულად მოეწესრიგებინა ურთიერთობა მეზობელ საქართველოს რესპუბლიკასთან. 1918 წ. ოქტომბრის დამლევს, ოფიციალურად აცნობა თბილისს, რომ 4 ნოემბერს ოსმალეთის ჯარი დაცლიდა ბათუმის ზავის თანახმად ოკუპირებულ სამცხე-ჯავახეთს, აგრეთვე ლორეს მაზრას და მათ დაკავებას საქართველოს მთავრობას სთავაზობდა. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ლორეს მაზრის თაობაზე მსგავსი წინადადებით სომხეთის მთავრობასაც მიმართა ერევანში ოსმალეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა მამედ ალი ფაშამ[38]. აშკარა იყო, რომ ერთი და იგივე ტერიტორიის ორი მეზობელი სახელმწიფოსათვის შეთავაზებით, ოსმალები მიზნად ისახავდნენ მათ ერთმანეთზე წაკიდებას. სამწუხაროდ, ოსმალთა მიერ დაგებულ ხაფანგს შეგნებულად არ აარიდეს თავი სომეხმა შოვინისტებმა[39] და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოსთან ურთიერთობაში ომის გზა აირჩიეს.

---

37 იქვე, ფ. 4, ს.87, ფურც. 257, 259.

38 სცსსა, ფ. 1864, ან.1, ს. 3, ფურც. 5-6.

39 საქართველოს მთავრობამ ჯერ კიდევ 1918 წ. 27 ოქტომბერს ოფიციალურად მიმართა სომხეთს, აზერბაიჯანს და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა კავშირს, რომ 3 ნოემბრისათვის შეკრებილიყვნენ თბილისში, საგანგებო კონფერენციაზე, კავკასიის რესპუბლიკებს შორის სადავო საკითხების გადასაჭრელად. დათქმულ დღეს ყველანი თბილისში შეიკრიბნენ, გარდა სომხეთის წარმომადგენლებისა. ამიტომ, კონფერენციის დაწყება რამდენჯერმე გადასწიეს (ჯერ 10, შემდეგ 20, და ბოლოს, 30 ნოემბრისათვის), მაგრამ უშედეგოდ, სომხეთის წარმომადგენლობის გამოუცხადებლობის გამო კონფერენცია ფაქტობრივად ჩაშალა (Документы и материалы по внешней политике Зак. и Грузии, сс. 428-429).

დასასრულ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ შევჩერდეთ სამცხე-ჯავახეთში ოსმალთა დეოკუპაციის შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე, რომელიც ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის პირველი მსოფლიო ომის შედეგებზე ახალბედა საქართველოს რესპუბლიკისათვის და იმ ძნელად გადასაჭრელ სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებზე, რაც ომის შედეგად წარმოიშვა მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საოკუპაციო რეჟიმმა მეტ-ნაკლებად ოსმალთა წინააღმდეგ განაწყო სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ყველა ფენა. ამის მიუხედავად, ადგილობრივმა ბეგებმა ინგლისელების ომში გამარჯვება ხელსაყრელად მიიჩნიეს და სეპარატული სახელმწიფოს შექმნა განიზრახეს.

1918 წ. ნოემბრის დასაწყისში, როცა გაირკვა, რომ მალე ოსმალები ახალციხე-ახალქალაქის მაზრებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას ჩააბარებდნენ, ახალციხელი ბეგები შეიკრიბნენ მუთასერიფ ხალით ფაშასთან და მოთხოვეს სამცხე-ჯავახეთის მათთვის გადაცემა. მუთასერიფმა ეს თხოვნა ფორმალურად არ შეიწყნარა, მაგრამ ბეგები დამოუკიდებელი მოქმედებისკენ წააქეზა. მათაც, 5 ნოემბერს, შექმნეს ე.წ. „ახალციხის მთავრობა" ომარ ფაიკის (ყიფიანი) მინისტრ-პრეზიდენტობით. სამხედრო მინისტრის პორტფელი ერგო სერვერ ბეგ ათაბეგს (ჯაყელი), მიწათმოქმედებისა - ახალციხის მაზრის აგრონომ ზია ბეგ აგალოვს (ავალიშვილი), ხოლო შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრობა ერთდროულად მიიღო ყოფილმა ბოქაულმა, ტომით ლეკმა, ავანტიურისტმა მურსალ მუსაკიევმა, რომელმაც დიდი როლი ითამაშა სამცხე-ჯავახეთის არეულობებში[40].

ბეგებს შორის თავიდანვე არ იყო ერთიანი აზრი მესხეთის მომავალ ბედზე. პროფ. შ.ლომსაძის ცნობით, მათში სამი მიმართულება არსებობდა: ბეგების ყველაზე რეაქციული ნაწილი მოითხოვდა სამცხე-ჯავახეთში ახალი სახელმწიფოს შექმნას და მის საქართველოსგან ჩამოცილებას. მეორე, ლოიალური ნაწილი, კმაყოფილდებოდა საქართველოს შემადგენლობაში მესხეთის ავ-

---

[40] სჯმხფ. ს. 1136, ფურც. 60.

ტონომიურად გაერთიანებით, ხოლო მესამე, მცირე ნაწილი, მაგ., ბახში ბეგ მაჩაბელი, საქართველოსთან ყოველგვარი ავტონომიის გარეშე, სრული შეერთების საკითხს აყენებდა[41].

ზემოაღნიშნულ მოვლენათა თანამედროვე ზ.დიდიმამიშვილის ცნობით, ბეგებში იყო აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან შეერთების აზრიც[42], მაგრამ ის მალე მოიხსნა დღის წესრიგიდან. სეპარატისტმა ბეგებმა ამჯობინეს ანგარიში გაეწიათ ოსმალეთთან ომში გამარჯვებულ ანტანტაზე ორიენტირებული სომხეთისათვის და ამ უკანასკნელის მეშვეობით მოეპოვებიათ ინგლისელთა კეთილგანწყობა. ამიტომ, ბეგები შეურიგდნენ სომხებს. თავის მხრივ, სომხებით დაკომპლექტებულმა ახალციხის თვითმმართველობამაც თანადგომა გამოუცხადა ბეგების „მთავრობას".

მომავალი ტერიტორიული საკითხების ურთიერთშორის მოსაწესრიგებლად მათ შექმნეს შერეული კომისია, რომელშიც შევიდნენ, ბეგების „მთავრობის" მხრივ - მურთაზ ბეგ ფალავანდიშვილი და მურსალ მუსაკიევი, ხოლო სომეხთაგან - ექიმი ბაღდასარიანცი. წინასწარი შეთანხმებით, ახალციხის მაზრა ბეგების „მთავრობას" უნდა დარჩენოდა, ახალქალაქი კი - სომხებს. 28 ნოემბერს ეს კომისია ახალქალაქის გავლით ერევანს გაემგზავრა და იქედან ინგლისის მისიას კონსტანტინოპოლში გაუგზავნა ტელეგრამა, რომლითაც ითხოვდა მოკავშირეთა მფარველობას ქართველთა წინააღმდეგ და ახალციხე-ახალქალაქის მხარის ცალკე კანტონად გამოყოფას. ამის პარალელურად, სომხები თავიანთი ლტოლვილების ჩასახლებით ფაქტობრივად იპყრობდნენ ახალქალაქის მაზრას[43].

26 ნოემბერს ოსმალები მთლიანად გავიდნენ ახალციხიდან. მეორე დღესვე ბეგების „მთავრობამ" შექმნა სამხედრო შტაბი და გამოაცხადა სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიანი მოსახლეობის მობილი-

---

41 შ.ლომსაძე, მესხები, ახალციხური ქრონიკები II, გვ. 294. ზ.დიდიმამიშვილის ცნობით: 25 ნოემბერს ბეგების „მთავრობას" ბახში ბეგ მაჩაბელი ახალციხის გენერალ-გუბერნატორად დაუნიშნავს, მისი მიმხრობა-გადაბირების მიზნით (სჯმხუ, ს. 1136, ფურც. 67.), თუმცა, ეს უკანასკნელი ბოლომდე მერყეობდა.

42 სჯმხუ, ს. 1136. ფურც. 61.

43 სცსსა, ფ. 1836, ან. 1, ს. 70, ფურც. 30-31; სჯმხუ, ს. 3428. ფურც. 7-8.

ზაცია. ხალხი თავს არიდებდა ჯარში გაწვევას. ამიტომ მათ ქუჩაში იჭერდნენ და ძალდატანებით მიჰყავდათ ყაზარმაში.[44] ბეგების ჯარში მოხალისედ ჩაეწერა 50-მდე ოსმალო ოფიცერი და ჯარისკაცი. ისინი ენვერ ფაშას მომხრენი იყვნენ და მისი დამხობის შემდეგ ვეღარ ბედავდნენ სამშობლოში დაბრუნებას. ახალციხის შტაბში მოკალათებული „სამხედრო მინისტრი" სერვერ-ბეგი უხვად არიგებდა ოფიცრის ჩინებს. ბეგების არმიის ოფიციალური ფორმა იყო ახალციხის საწყობებიდან დატაცებული რუსული სამხედრო ტანსაცმელი[45].

ხალხმა ბეგების მთავრობას მხარი არ დაუჭირა. მათ უარი თქვეს არა მარტო მობილიზაციაზე, არამედ მათთვის სოფლებში გაგზავნილი იარაღის მიღებაზეც[46]. წინააღმდეგობამ იჩინა თავი ბეგების სამხედრო შტაბშიც. როცა შეიტყვეს, რომ ახალციხეს უახლოვდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარი, თვითმარქვია მთავრობა შეშინდა და თავის გადარჩენისთვის დაიწყო ზრუნვა. 1 დეკემბერს მუსაკიევი აწყურში ჩავიდა, შეხვდა საქართველოს მთავრობის მიერ ახალციხე-ახალქალაქის მაზრების დროებით გენერალ-გუბერნატორად დანიშნულ ბ. მაყაშვილს და მოითხოვა ბეგებისათვის ფეოდალური პრივილეგიების შენარჩუნება, აგრეთვე, სამცხე-ჯავახეთის სრული ავტონომია ბეგების „მთავრობის" ხელმძღვანელობით.

გენერალმა მაყაშვილმა ეს ულტიმატუმი არ მიიღო. იგი ბეგებს მხოლოდ ხელშეუხებლობას შეპპირდა და ახალციხეში დარჩენა შესთავაზა, მაგრამ ისინი შეშინდნენ და გაქცევის სამზადისს შეუდგენენ. მათ ზურგი შეაქცია ახალციხის კონიუნქტურულმა თვითმმართველობამაც, რაც გამოჩნდა 2 დეკემბერს გამართულ სხდომაზე. შექმნილ სიტუაციაში სათანადოდ მოუმზადებულმა „ბეგების მთავრობამ" საქართველოს ჯარებისადმი წინააღმდეგობა ვეღარ გაბედა და გაიქცა. 3 დეკემბერს სერვერ-ბეგმა ცეცხლი წაუკიდა

---

44 შ. ლომსაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 294.

45 სჯმხფ, ს. 1136, ფურც. 68.

46 იქვე. ფურც. 70.

საწყობებს და ბათუმისკენ გაიპარა, ბახში ბეგ მაჩაბელმა კი თავ-ის მამულს მიაშურა ადიგენში.

„მინისტრ-პრეზიდენტი" ომარ ფაიკიც აპირებდა თურმე ახალციხიდან წასვლას, მაგრამ მასთან იქური ქართველები მისულან და ახალციხეში დარჩენა უთხოვიათ. ზ. დიდიმამიშვილი წერს - ამ ქართველ პოლიტიკოსებს გულუბრყვილოდ სჯეროდათ, რომ თუ ბეგები ახალციხეს გაეცლებოდნენ, საქართველოს გაერთ-იანების საწინააღმდეგო მუშაობას გააგრძელებდნენ. ხოლო, თუ ჩვ-ენთან დარჩებიან და დავუყვავებთ, მაშინ დანარჩენ სამაჰმადიანო საქართველოსაც შემოგვიერთებენო[47]. ამავე მოტივით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დაპატიმრებული ომარ ფაიკი მალე გაათავისუფლა. ეს იყო მცდარი პოლიტიკა, რადგან ხალხში ამკვ-იდრებდა ცენტრალური ხელისუფლების სისუსტის, აგრეთვე, უკანონობის, დაუსჯელობის და ბეგების უძლეველობის შთაბეჭდ-ილებას.

4 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის ჯარი ახალციხეში შევიდა. „ჯირით მეიდანზე" (რაბათში) მას პურმარილით შეეგებნენ ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლები, ამქრები თავიანთი დროშებით და მოსახლეობა[48].

სამცხე-ჯავახეთიდან გახიზნულმა ლტოლვილებმა დაიწყეს უკან დაბრუნება, მაგრამ უმრავლესობას სახლ-კარი გადამწვარი ან გაძარცვული დახვდა, არ მოიპოვებოდა სურსათ-სანოვაგე. ამის მიუხედავად, მთავარი და აუცილებელი იყო მშვიდობის დამყარება მაჰმადიანებსა და ქრისტიანებს შორის. საამისოდ შექმნილმა სპეციალურმა კომისიებმა მოსახლეობაში გარკვეული მუშაობაც ჩაატარეს[49].

ამ საქმიანობის პარალელურად, მთავრობამ სამცხე-ჯავახეთში ნაჩქარევად დაიწყო სოციალისტური იდეების პროპაგანდა და შესაბამისი აგრარულ-სოციალური პოლიტიკის გატარება. მაგ.,

---

47 იქვე. ფურც. 74-75.

48 იქვე. ფურც. 79.

49 დ. კოჟორიძე, სამცხე-ჯავახეთი. წარსული და დღევანდელობა, გვ. 114.

1919 წ. 1 იანვარს ახალქალაქის მაზრის გლეხთა ყრილობამ, მოისმინა რა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლის მოხსენება, დაადგინა, რომ ის ყოველნაირად დაეხმარებოდა მთავრობას მიწის საკითხის გადაწყვეტაში და ყველა ძალით დაიცავდა საქართველოს დამოუკიდებლობას.[50]

ამავე ყრილობამ მიიღო მიმართვა აჭარა-ქობულეთის, არტაანის და შავშეთის ქართველი მუსლიმანებისადმი და მოუწოდა მათი საქრისტიანო საქართველოსთან გაერთიანებისკენ. სამწუხაროდ, ამ მნიშვნელოვან ეროვნულ დოკუმენტშიც წინა პლანზე სოციალური საკითხი იქნა წამოწეული და მშრომელ ხალხს ყოფილი პრივილეგირებული ფენების წინააღმდეგ მოუწოდებდა: „მშრომელი საქართველოს მტრები, - თესენ მტრობას ქართველ მაჰმადიანებს და ქრისტიანებს შორის. ბეგებს და აზნაურებს არ სურთ, რომ საქართველოს ორივე ნაწილმა იარონ ხელიხელჩაკიდებულებმა, რადგან ეს დაამხობს მათ ბატონობას“[51].

მთავრობის ამგვარმა ნაჩქარევმა და მოუზომავმა პოლიტიკამ სამცხე-ჯავახეთის ლოიალური ბეგებიც კი დემოკრატიული რეს-პუბლიკის წინააღმდეგ განაწყო. მათ, ჰქონდათ რა მნიშვნელოვანი გავლენა საკუთარ ხალხში, დაიწყეს აგიტაცია - თითქოს საქართველოს მთავრობა მათ გააქრისტიანებდა, მაჰმადიან ახალგაზრდებს ჯარში გაიწვევდა, აგრარული რეფორმის შედეგად ადგილობრივთათვის ჩამორთმეულ მიწებზე ქრისტიანებს ჩამოასახლებდა და ა.შ.[52] ამგვარი საქმიანობით ბეგ-აღალარებმა, 1919 წ. იანვრის დამლევს კვლავ მოახერხეს აჯანყების პროვოცირება სამცხე-ჯავახეთში.

საკვლევი პერიოდის ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სეპარატიზმის გამოვლენის ყველაზე სერიოზულ ცდას ადგილი ჰქონდა 1919 წ. იანვარში, როცა გამოცხადდა და ხამ თვეს იარსება „სახელმწიფომ“, რომელსაც ოფიციალურად უწოდეს „სამ-

---

50 Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии., с. 493.

51 იქვე, გვ. 493-494.

52 დ. კოტორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 115.

ხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასია". მისი ცენტრი იყო ქ. ყარსი. ამიტომ მას ყარსის რესპუბლიკის სახელითაც მოიხსენიებენ[53].

აღნიშნული საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში სუსტადაა შესწავლილი, თურქულში კი მას ცალმხრივად და ტენდენციურად წარმოაჩენენ.

ორგანიზატორთა ვარაუდით, ამ „სახელმწიფოს" შემადგენლობაში უნდა მოექციათ ბათუმის, არტაანის და ყარსის ოლქები, ახალციხის და ახალქალაქის მაზრები, აგრეთვე, სურმალოს, ალექსანდროპოლის და ეჩმიაძინის მაზრების მნიშვნელოვანი ნაწილი. „ყარსის რესპუბლიკის" გამოცხადება იყო უკანონო აქტი. ის შეიქმნა საქართველოს და ნაწილობრივ სომხეთის ტერიტორიებზე, რომლებიც პირველი მსოფლიო ომის დასასრულს მიიტაცა ოსმალეთმა, ხოლო შემდეგ გამოცხადდა ინგლისის „მფარველობის" სფეროდ.

„ყარსის სახელმწიფოს" „მშენებლობა" პრაქტიკულად დაიწყო მას შემდეგ, რაც მუდროსის ზავით (30.10.1918წ.) გადაწყდა, რომ ოსმალები დატოვებდნენ ამიერკავკასიას. 1918 წ. ნოემბერ-დეკემბერში ყარსსა და არტაანში მოიწვიეს სამხრეთ-კავკასიელი სეპარატისტების ოთხი წარმომადგენლობითი თავყრილობა, რომლებზეც პრაქტიკულად შემზადდა აღნიშნული არასამართლებრივი პოლიტიკური აქტი.

1919 წ. 17-18 იანვარს ჩატარდა ყარსის III კონგრესი, რომელსაც ესწრებოდა 131 დელეგატი. კონგრესზე ჩამოყალიბდა „სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიის" დროებითი „ეროვნული მთავრობა" ჯიჰანგიროღლუ იბრაიმ ბეის მეთაურობით. მის რეზიდენციად გამოცხადდა ქალაქი ყარსი. „სახელმწიფოს" ჰყავდა მეჯლისი (70 წევრით) დოქტორ ესად ბეის თავმჯდომარეობით, ჰქონდა სამფეროვანი (ალუბლისფერი-თეთრი-მუქი მწვანე) დროშა, სახელმწიფო ენა – თურქული. „მთავრობის" ოფიციალურ ორგანოდ გამიზნული იყო გაზეთი „სედაი მილეთი" („ხალხის ხმა"), რომელიც თურქულ ენაზე იბეჭდებოდა ბათუმში 1919 წ. მარტიდან, კვირაში სამჯერ[54].

---

53 იხ. მ.ხიორიძე, „ყარსის რესპუბლიკა".- „საისტორიო მაცნე", ბათ., №1, გვ. 24-28.

54 Esin (Derinsu) Dayi S., Elviye-i Selâse (Kars, Ardahan ve Batum)'de Millî Teşkilânlanma, Doktora tezi, Erzurum,1991, s. 99-106, 113.

ახალშექმნილი „ყარსის მთავრობა“ ცდილობდა, როგორც დამოუკიდებელ სამართალსუბიექტს, მონაწილეობა მიეღო პარიზის სამშვიდობო კონფერენციაში, რომელიც იმავე 1919 წ. იანვარში გაიხსნა. ამ მიზნით სტამბოლში გაიგზავნა დელეგაცია ანტანტის სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან კონტაქტების დასამყარებლად[55] ეს ცდა უშედეგო დარჩა.

„ყარსის რესპუბლიკის“ შექმნას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ოსმალეთის სარდლობამ. ის ოკუპირებული ტერიტორიებიდან წასვლისას ადგილობრივ ისლამურ საბჭოებს უტოვებდა იარაღს და სურსათ-სანოვაგეს, ჯარისკაცებს და ოფიცრებს. ასე შეიქმნა 8-ათასკაციანი ფორმირება, რომელსაც მდ. არაქსის აუზში უნდა ებრძოლა სომხების და მდ. მტკვრის აუზში - ქართველების წინააღმდეგ.

თურქულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია შეხედულება თითქოს „ყარსის რესპუბლიკის“ ორგანიზატორთა საბოლოო მიზანი იყო ერთმორწმუნე ოსმალეთთან შეერთება[56]. სინამდვილეში ეს იყო სეპარატულად განწყობილი ადგილობრივი ზედაფენების ცდა შეექმნათ სახელმწიფო, რომელიც დამოუკიდებელი იქნებოდა როგორც საქართველოსაგან, ისე ოსმალეთისგანაც. მით უმეტეს, რომ ოსმალეთი მსოფლიო ომში დამარცხდა, რითაც გაუფასურდა მისი, როგორც მაჰმადიანთა გამაერთიანებლის როლი და ავტორიტეტი.

„ყარსის მთავრობის“ და „სახელმწიფოს“ ორგანიზებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ახალციხიდან გაქცეული სერვერ ათაბეგი და სამცხე-ჯავახეთის სხვა სეპარატისტები. ბათუმში მათ შექმნეს ე.წ. „ახალციხის კომიტეტი“. 1919 წ. 21 იანვარს სერვერ ბეგი ომარ ფაიკს თბილისში ატყობინებდა: „ყარსში შედგა სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიის მთავრობა, რომელიც შეუდგა საქმეს. ეროვნული საბჭოს დეპუტატები არტაანიდან, ერევნიდან, ბათუმიდან და ყველა სხვა კუთხეებიდან წავიდნენ ყარსში. ყოველივე შინაური საქმეები ამ მთავრობის ხელშია... ინგლისელები ყარსის მუსლიმანთა მთავრობას ხელს უწყობენ და მასთან კარგ განწყობილებაში არიან“[57].

---

55 იქვე, გვ. 118.
56 იქვე.
57 გაზ. „ერთობა“, 9 თებერვალი, 1919, №32.

ყარსის მთავრობისადმი ინგლისელთა მხარდაჭერა სხვა დოკუმენტებითაც დასტურდება. ჯერ კიდევ ყარსის მე-III კონგრესის დაწყებამდე ორი დღით ადრე, 15 იანვარს, სერვერ ბეგ ჯაყელი ბათუმში შეხვდა გენერალ ფ. უოკერს და გააცნო სეპარატისტული სა-ხელმწიფოს შექმნის გეგმა. კონგრესის შემდეგ, 20 იანვარს კვლავ შედგა შეხვედრა ინგლისელ სამხედრო პირებთან. ბეგებმა მათგან „მიიღეს დამაკმაყოფილებელი პასუხი თავიანთი მიზნების შესახებ"[58].

1919 წ. იანვრის დამლევს სერვერ-ბეგმა ახალციხეში წამოიწყო აჯანყება, მის ლაშქარში იყენენ ოსმალები, ბათუმიდან ჩამოსული რუსი თეთრგვარდიელები და ორი ინგლისელი ოფიცერიც. სერვერმა 12 ათასამდე კაცი გამოიყვანა.[59], 11 თებერვალს ახალციხე აიღო და სამი კვირით ხელისუფლებაც აღიდგინა. სერვერ ბეგმა საქართველოს ხელისუფლებას ნოტაც კი გაუგზავნა, რომლის მიხედვითაც თვითმარქვია „ყარსის სახელმწიფოსა" და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ტერიტორიული გამიჯვნა უნდა მომხდარიყო 1828 წ. რუსეთ-ოსმალეთის საზღვრებში[60].

სერვერ ბეგის ავანტიურამ შეაშფოთა საქართველოს და სომხეთის მთავრობები. მათ პროტესტით მიმართეს კავკასიაში ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებას. 1919 წ. 15 თებერვალს ნ. ჟორდანიამ გენერალ უოკერს განუცხადა, რომ სერვერ ბეგის ავანტიურა „მოფიქრებული იყო ბათუმში და იქედან იცემოდა ყველა განკარგულება"[61]. სამწუხაროდ, ინგლისელები ნაკლებ ანგარიშს უწევდნენ ამგვარ პროტესტებს.

გადაწყდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა საკუთარი ძალებით. გენერალმა გიორგი კვინიტაძემ 7 მარტს გაათავისუფლა ახალციხე და განავითარა შეტევა მხარის სიღრ-

---

58 Esin (Derinsu) Dayi S., Elviye-i Seluse..., s. 98, 101.

59 გაზ. „ერთობა", 27 მარტი, 1920, №70.

60 შ. ლომსაძე, მესხეთი და მესხები, თბ., 2000, გვ. 62.

61 „Демократическое правительство" Грузии и Английское командование, Тифл., 1928, с. 28.

მეში. მაშინ კვინიტაძესთან გამოცხადდა „ყარსის მთავრობის“ წარმომადგენელი ინგლისელი ოფიცრის თანხლებით და სამშვიდობო მოლაპარაკება შესთავაზა. პასუხად გენერალმა მოითხოვა არტაანის დაცლა, სერვერ ბეგის და აჯანყების სხვა მოთავეების ჩაბარება 48 საათის განმავლობაში. ამით გაღიზიანებულმა ინგლისელმა ოფიცერმა გ. კვინიტაძეს დაუფარავად უთხრა: „გესმით თუ არა თქვენ, რომ ხელის აღმართვა „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის ტერიტორიების სახელმწიფოზე“ ამავე დროს ნიშნავს ხელის აღმართვას დიდ ბრიტანეთზე“[62]. მუქარის მიუხედავად ქართველმა სარდალმა განაგრძო მასირებული შეტევა და აპრილის პირველ ნახევარში გაათავისუფლა სეპარატისტი ბეგების საბუდარი ფოცხოვი. ქართული ჯარი შევიდა არტაანშიც. სერვერ ბეგის ავანტიურა ჩაიშალა.

ქართველთა წარმატებამ ინგლისელებს დაანახა მარიონეტულ „ყარსის რესპუბლიკაზე“ გათვლილი პოლიტიკის უპერსპექტივობა. ისინი იმაშიც დარწმუნდნენ, რომ ხელოვნურად შექმნილი ეს სახელმწიფო კავკასიაში უფრო თურქეთის პოზიციებს განამტკიცებდა, ვიდრე ინგლისისას. „ყარსის რესპუბლიკამ“ იმედები ჩაუსახა კიდეც მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ ანატოლიაში თავშეფარებულ ოსმალეთის მმართველ წრეებს[63]. ამასთან, ინგლისელებისათვის ცნობილი გახდა გერმანელების მისწრაფებაც დაკავშირებოდნენ ყარსის მთავრობას და გამოეყენებიათ იგი მაჰმადიანურ აღმოსავლეთში გავლენის აღდგენისათვის[64].

გაითვალისწინა რა ყოველივე, ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებამ აღარ დააყოვნა ყარსის „სახელმწიფოს“ ლიკვიდაცია - 1919 წ. 13 აპრილს დაითხოვა მისი მეჯლისი, ხოლო „მთავრობა“ (12 წევრი) დააპატიმრა და კუნძულ მალტაზე გადაასახლა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სეპარატიზმის გამოვლენის მორიგ სერიოზულ ცდას ადგილი ჰქონდა 1920 წლის გაზაფხულ-

---

62 Esin (Derinsu) Dayi S., Elviye-i Seluse..., s. 142.

63 გაზ. „ერთობა“, 28 იანვარი, 1919, №21.

64 იხ. ბ.სიორიძე, „ყარსის რესპუბლიკა“.- საისტორიო მაცნე, ბათ., №1, გვ. 28.

ზაფხულში, ინგლისელების მიერ ოკუპირებულ ბათუმის ოლქში. ამ დროს ანტანტის უმაღლესი საბჭო აქტიურად განიხილავდა ბათუმიდან საოკუპაციო ძალების გაყვანის საკითხს[65]. უნდა აღინიშნოს, რომ შექმნილ ვითარებაში საქართველოს მეზობელი დიდი თუ მცირე სახელმწიფო (თურქეთი, თეთრგვარდიული და საბჭოთა რუსეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი) ცდილობდა სეპარატიზმის წაქეზებას და მასზე დაყრდნობით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში თავისი შოვინისტური მიზნების განხორციელებას. დიდი ბრიტანეთიც ცდილობდა აქ შეენარჩუნებინა ერთპიროვნული გავლენა და არ დაეშვა რომელიმე ოპონენტის გაძლიერება.

„პატრონ-მზრუნველთა" ასეთი მრავალფეროვნება უარყოფითად მოქმედებდა ამ მხარის მკვიდრი მოსახლეობის პოლიტიკურ ორიენტაციაზე და ხელს უწყობდა სეპარატიზმის გაღვივებას. ასეთ პირობებში, 1920 წ. გაზაფხულზე ბათუმის ოლქის სეპარატისტულ წრეებში, რომლებიც ძირითადად გაერთიანებული იყვნენ ორგანიზაცია „სედაი-მილეთში", წარმოიშვა „დამოუკიდებელი აჭარისტანის" შექმნის იდეა. აირჩიეს „შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი" (ართვინელი ავანტიურისტი მაჰმუდ ქესკინზადე) და „უმაღლესი მმართველობა". ისინი დაუკავშირდნენ თურქეთის ახალ (ანგორის) მთავრობას და საბჭოთა რუსეთს. ცდილობდნენ მიეღოთ მათგან ფული, საბრძოლო იარაღი და გამოცდილი სამხედრო მეთაურები[66]...

აღნიშნული საკითხი სცილდება ჩვენი საკვლევი პერიოდის ქრონოლოგიურ ფარგლებს. ამდენად მასზე დაწვრილებით აღარ შევჩერდებით. მხოლოდ შევნიშნავთ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ენერგიული ღონისძიებებით სეპარატისტთა ეს ცდაც ჩაიშალა.

ამრიგად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში რეგიონალური სეპარატიზმის ზემოაღნიშნული გამოვლინებები გამოიწვია პირველი

---

65 აბ.სურგულაძე, მ.სიორიძე, პორტო-ფრანკო ბათუმში, ბათ., 1996, გვ. 47-48.

66 იქვე, გვ. 75-76.

მსოფლიო ომის და ოსმალური ოკუპაციის შედეგად წარმოქმნილმა მძიმე სოციალურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ, რასაც სტიმულს აძლევდა და ამწვავებდა ქართველთა არაკეთილმოსურნე საგარეო ძალები. მეორე მხრივ, სეპარატიზმის გაღვივებას ხელი შეუწყო კონფესიურმა განსხვავებულობამ, საბოლოოდ ჩამოუყალიბებელმა ერთიანმა ეროვნულმა ცნობიერებამ, ამიერკავკასიის და საქართველოს ხელისუფლების თავდაპირველმა სისუსტემ, მათ მიერ ამ მხარეში მოუზომავად ჩატარებულმა სოციალისტურმა პროპაგანდამ და შესაბამისმა პრაქტიკულმა ღონისძიებებმა, აგრეთვე, პირველი მსოფლიო ომის შედეგად დაწყებულმა ახალ სახელმწიფოთა წარმოქმნის პროცესმა, რაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაუფლების მისწრაფებებს აღუძრავდა ავანტიურისტულ და ხელისუფლების სათავეში მოქცევაზე მეოცნებე ძალებს.

დასკვნები

1914-1918 წლების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის მონოგრაფიულად შესწავლამ და ანალიზმა შემდეგ დასკვნებამდე მიგვიყვანა:

სამხრეთ-დასავლეთი საქართველო პირველი მსოფლიო ომის წინ ეკონომიკურად ერთ-ერთი დაწინაურებული მხარე იყო კავკასიის სამეფისნაცვლოში. კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებამ აქ მძლავრი ბიძგი მისცა საქალაქო ცხოვრებისა და მეურნეობის აღმავლობას.

ყველაზე მსხვილი საქალაქო ცენტრი იყო ბათუმი, თავისი პირველხარისხოვანი ნავსადგურით, რომელიც საერთაშორისო ეკონომიკური კონიუნქტურით გამოწვეული ექსპორტ-იმპორტის არასტაბილურობის მიუხედავად, მაინც ინარჩუნებდა წამყვან როლს ამიერკავკასიის და შუა აზიის სატრანზიტო ვაჭრობაში. ომამდელმა ბათუმმა უკვე მიიღო ევროპული ქალაქის იერი, რაც იყო მისი თვითმმართველობის პროგრესული მოღვაწეობის და ქალაქის შემოსავლების მიზანმიმართულად გამოყენების შედეგი.

მხარის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში ერთგვარ როლს ასრულებდნენ, აგრეთვე, ბათუმთან შედარებით მომცრო ქალაქები: ყარსი, ართვინი, არტაანი, ახალციხე, ოლთისი, და სხვ. 1900-იან წლებში მათშიც მომრავლდა სახელოსნოები და ევროპული ტიპის სავაჭროები, რომლებშიც დაქირავებულ შრომას იყენებდნენ. ფერადი მეტალურგიის განვითარების შედეგად მოზრდილ სამრეწველო დაბებად გარდაიქმნენ ადრე პატარა სოფლები: მურღული, ხოდი და კვარცხანა. ამ დაბა-ქალაქებსაც ჰქონდათ თავიანთი ბიუჯეტი, მაგრამ მოქალაქეთა ინტერესებს მეტად მცირე თანხა ხმარდებოდა, რაც გამოწვეული იყო ადგილებზე მუნიციპალური თვითმმართველობის არარსებობით ან შეზღუდული ფუნქციონირებით.

პირველი მსოფლიო ომის წინ ჭოროხის აუზი გახდა რუსეთის იმპერიის სპილენძის წარმოების უმსხვილესი ცენტრი, რამაც მასში დასაქმებულ შავშეთის, აჭარის, ჭანეთის, ლივანის და სხვა მხარეების მოსახლეობას შეუქმნა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების სასიკეთო პერსპექტივები.

ასეთივე ძვრებს ჰქონდა ადგილი სოფლადაც. იგი ფართოდ ებმებოდა სასაქონლო-ფულად ურთიერთობებში, რაც იწვევდა სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს სხვადასხვა კუთხის სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაციას, ახალი სასაქონლო დარგების (ჩაი, თამბაქო, ციტრუსები, ზეთისხილი) დაჩქარებულ განვითარებას და შესაბამის მეურნეობათა შექმნას.

პირველი მსოფლიო ომის წინ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შეიქმნა სპეციფიკური ვითარება, რაც გამოიწვია ცარიზმის აგრარულ-კოლონიურმა პოლიტიკამ. კერძოდ, მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის საკითხის გადაუწყვეტლობამ, ადგილობრივი აღაბეგების პრივილეგიური სოციალური მდგომარეობის იგნორირებამ და უფლებრივად რიგით მოსახლეობასთან გათანაბრებამ; აგრეთვე, ცარიზმის საგადმოსახლებო პოლიტიკამ, რაც ხორციელდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის წინასწარგანზრახულად შევიწროების და აყრა-გადასახლების ხარჯზე; მეორე მხრივ, იმპერიული ხელისუფლება და რუსეთის ეკლესიის სინოდი მიმართავდნენ სხვადასხვა აღმსარებლობის ქართველთა გაერთიანების საწინააღმდეგო ღონისძიებებს.

ცარიზმის ზემოაღნიშნული პოლიტიკა, მითუმეტეს ომისათვის ოსმალთა აქტიური მზადების და პანისლამიზმის ქადაგების გაძლიერების პირობებში, იძლეოდა უკუშედეგს და მაჰმადიანურ მოსახლეობაში ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა ანტირუსული განწყობილებების გასაღვივებლად.

ახალი ეკონომიკური აღმავლობის წლებში გამოცოცხლებულმა სოციალურ-პოლიტიკურმა მოძრაობამ და ეკონომიკური ხასიათის გაფიცვებმა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გამოიწვია რიგი დარგობრივი პროფკავშირის და პოლიტიკური პარტიის შექმნა. ყველაზე გავლენიანი და რიცხვმრავალი იყო სოციალ-დემოკრატების პარტია; სომხურ დიასპორაში ძლიერი გავლენა ჰქონდათ დაშნაკებს; მცირერიცხოვნობის მიუხედავად, ქართულ ინტელიგენციაში ბევრი თანამგრძნობი ჰყავდათ სოციალისტ-ფედერალისტებს; კადეტების პარტია ძირითადად რუს ჩინოვნიკებს აერთიანებდა; სუსტად გამოიყურებოდნენ ესერები, ხოლო ბოლშევიკების დამოუკიდებელი პარტიული ორგანიზაცია ომის წინ აქ არ არსებობდა.

საზღვრისპირა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უპირატესი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა კავკასიის ასპარეზზე. ამიტომაც ოსმალებმა ძალა არ დაიშურეს ომის დასაწყისშივე მის დასაკავებლად, თუმცა ოსმალთა ოკუპაცია ხანმოკლე დარჩა. რუსეთის მრავალეროვნულმა არმიამ, რომლის თვალსაჩინო ნაწილს ქართველები შეადგენდნენ, ბრძოლით დაიბრუნა დაკარგული ტერიტორიები. გაათავისუფლა, აგრეთვე, ჭანეთი (ე.წ. „ოსმალეთის ლაზეთი"), რითაც შეიქმნა საქართველოს ისტორიულ საზღვრებში აღდგენის პირობები.

ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილი ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენას უკავშირებდა მსოფლიო ომში გერმანიის და მისი მოკავშირეების გამარჯვებას. ამ ამოცანის განხორციელებას ისახავდა მიზნად ემიგრანტული „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი" და ოსმალეთში მოქმედი „ქართული ლეგიონი". მათ ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნებაში პოზიტიური როლი შეასრულეს ოსმალეთში გადახვეწილმა ქართველმა მუჰაჯირებმა. ამასთან სხვადასხვა აღმსარებლობის ქართველთა ლეგიონში მხარდამხარ ბრძოლა ხელს უწყობდა მათ შორის გაუცხოების ბურუსის გაფანტვას, ერთიანი ეროვნული შეგნების და სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებას.

საომარ მოქმედებათა შედეგად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში უამრავი სახლ-კარი განადგურდა და ათასობით ადამიანი ლტოლვილად იქცა. მთავრობის მიერ მათ დასახმარებლად გამოყოფილი თანხები ძირითადად სომეხ და ბერძენ დევნილებს მოხმარდა. სამუსლიმანო საქართველოს ძირძველი მოსახლეობისათვის კი ხელშესახები არაფერი გაკეთებულა, რადგან ისინი „მოღალატეებად" გამოაცხადეს. დაიწყო დაუსაბუთებელ ბრალდებებში ეჭვმიტანილთა სიების შედგენა, დაპატიმრებები და გახმაურებული სასამართლო პროცესები.

ქართველ მაჰმადიანთა „საერთო სახელმწიფო ღალატში" ბრალდების ინიციატორები იყვნენ რუსეთის მაღალჩინოსანი სამხედროები. ისინი ამით ფიქრობდნენ უმაღლესი მთავრობის წინაშე გაემართლებინათ მათ მიერ კავკასიის ფრონტზე დაშვებული სტრატეგიული შეცდომები, პირველი წარუმატებლობები და უკან დახევა.

ამგვარი ბრალდებით იქმნებოდა აგრეთვე იურიდიული საფუძველი ოსმალეთში გახიზნული და „მოღალატედ“ შერაცხული ადგილობრივი მოსახლეობისათვის მოქალაქეობის და უძრავ-მოძრავი ქონების ჩამოსართმევად, მათ მიწა-წყალზე იმპერიისათვის სასურველი ელემენტების ჩამოსახლებისა და ამ სასაზღვრო მხარის კოლონიზაციის დასრულებისათვის.

ამავე მიმართულებით არანაკლებ აქტიურობდნენ აქ კომპაქტურად ჩამოსახლებული სომხები. ისინი ესწრაფოდნენ ხელში ჩაეგდოთ სამაჰმადიანო საქართველო, რომ ამით სამომავლოდ საფუძველი მოემზადებინათ ე.წ. „დიდი სომხეთის“ აღდგენისა და ზღვაზე გასასვლელის მოპოვების ამბიციური გეგმის განხორციელებისათვის. ამიტომ, ქართველ მაჰმადიანთა დიდი ნაწილი „მოღალატეთა“ სიებში მოხვდა სწორედ ართვინელი და არტანუჯელი სომხების ნაყალბევი წერილობითი დასმენების საფუძველზე.

განსაცდელისაგან თანამოძმეები იხსნა ქართული საზოგადოების ერთიანმა პროტესტმა და თანადგომამ. ეს იყო საერთო-ეროვნული მოძრაობა, რითაც ქართველი მაჰმადიანები გადაურჩნენ შიმშილით სიკვდილს, გადასახლებას და ფიზიკურ განადგურებას. მათ საგრძნობი დახმარება გაეწიათ ომით გაპარტახებული სახლ-კარის და მეურნეობის აღდგენაშიც. გარდა ამისა, 1916 წლიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლებში დაიწყო ქართული სკოლების გახსნა და გააქტიურდა ეროვნული კულტურის პროპაგანდა. ყოველივე ამას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა ქართველ მაჰმადიანთა ეროვნული გათვითცნობიერების და დანარჩენ საქართველოსთან მათი შემდგომი დაახლოების საქმეში.

სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ომის ასპარეზად გადაქცევამ მნიშვნელოვნად დააზარალა აღმავლობის გზაზე მდგომი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. ამის მიუხედავად, ეკონომიკური ცხოვრება არ ჩამკვდარა. მოკლე დროში ამოქმედდა ართვინის მხარის სპილენძსადნობი საწარმოები და ბათუმის ფაბრიკა-ქარხნები, რომლებიც რუსეთის სამხედრო უწყების დაკვეთებს ასრულებდნენ.

არმიის საჭიროებებმა გამოიწვია ჩაის წარმოების ზრდა. 1916 წლიდან დაიწყო მეციტრუსეობის, ზეთისხილის და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების აღდგენა. ამით შეიქმნა ომით გავერანებული

ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების პირობებიც, მაგრამ 1917 წლის დამლევიდან წარმოქმნილი ანარქიის, შემდეგ კი ოსმალთა ოკუპაციის გამო ზემოაღნიშნული სამუშაოები შეწყდა.

ომმა და ოკუპაციამ სერიოზულად დააზარალა რეგიონის ქალაქები. თუმცა ზოგ მათგანში მაინც არ ჩამკვდარა ბურჟუაზიული ეპოქისათვის დამახასიათებელი ქალაქური ცხოვრება. ამის თვალსაჩინო მაგალითია ქ.ბათუმი, რომლის თვითმმართველობის დემოკრატიულმა ხელმძღვანელმა ბირთვმა, ფინანსური და სხვა. სიძნელეების მიუხედავად, შეძლო მცხოვრებთა სასიცოცხლო ინტერესების დაცვა და საქალაქო მეურნეობის შენარჩუნება.

1917 წლიდან, რევოლუციების შედეგად წარმოქმნილი არასტაბილური საზოგადოებრივ-პოლიტიკური კლიმატის და ინფლაციის პირობებში, ცხოვრების დონე მკვეთრად დაქვეითდა. საგრძნობი გახდა ეკონომიკურ ნიადაგზე სოციალური გააქტიურება არა მარტო სამრეწველო საწარმოებში, არამედ სოფლის მეურნეობის დაქირავებულ მუშათა შორისაც. ზღვისპირეთში გამოცოცხლდა გლეხთა აგრარული მოძრაობა, რაც მათ მიერ ჯერ სახაზინო, შემდეგ კი მემამულეთა მიწების დატაცებაში გამოიხატა.

1917 წ. თებერვლის რევოლუციით წარმოქმნილი ორხელისუფლებიანობა, რუსეთისგან განსხვავებით ამიერკავკასიაში ბოლომდე იქნა შენარჩუნებული, რაც ადგილობრივი დემოკრატიული ძალების დიდი გავლენის მაჩვენებელი იყო. ამასთან, ორხელისუფლებიანობამ სერიოზული არევ-დარევა შემოიტანა ეთნიკურად და კონფესიურად ჭრელი ამიერკავკასიის ცალკეულ რეგიონში. ეს მწვავედ გამოჩნდა ლაზეთსა და ტრაპიზონის მხარეში, სადაც დროებითი მთავრობის ნაჩქარევი და ტენდენციური ღონისძიებების შედეგად ხელისუფლებაში ფაქტობრივად დამყარდა მრავალწყობიანობა, რომელშიც წამყვანი ადგილი დაიკავეს რევანშისტულად განწყობილმა სომხებმა. ეს სერიოზულად ართულებდა ომით გათავისუფლებული ტერიტორიების მართვას და ადგილობრივი მოსახლეობის საპროტესტო განწყობილებას აძლიერებდა.

მსგავსი მდგომარეობა იყო სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებშიც. მთავრობის მიერ დანიშნუ-

ლი კომისრების გარდა, ხელისუფლებაში წილის დადებას ცდილობდა მრავალი ძველი და ახალშექმნილი პოლიტიკური ძალა. ამას ემატებოდა ის სპეციფიკური ვითარებაც, რომ აქ კომპაქტურად მცხოვრები არაქართველები და სხვა გარეშე ძალები ფიქრობდნენ ესარგებლათ რევოლუციის შემდგომი არასტაბილურობით, რათა ხელისუფლებას დაუფლებოდნენ. ამ მიზნით ბათუმში, ყარსში, არტაანში და სხვ. შეიქმნა სხვადასხვა მოდგმის ხალხთა „ეროვნული საბჭოები". მათ პროპაგანდას და პრაქტიკულ საქმიანობას სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობაში არევ-დარევა შეჰქონდა და იწვევდა ორიენტაციულ დაბნეულობას.

შექმნილ ვითარებაში უაღრესად დადებითი როლი შეასრულა მემედ აბაშიძის ხელმძღვანელობით 1917 წ. ზაფხულის დამლევს შექმნილმა „ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმანთა კომიტეტმა" და „ქართველ მუსლიმანთა საქველმოქმედო საზოგადოებამ". მათ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს საქართველოს ერთიანობის ყველა მტერს, განსაკუთრებით თურქოფილებს და „ბაქოს მუსლიმანთა საქველმოქმედო საზოგადოებას", რომლებმაც იმ დროს განსაკუთრებით გააქტიურეს საქმიანობა. მ.აბაშიძე გამოვიდა ეროვნულ საკითხზე მარქსისტების კოსმოპოლიტური შეხედულებების წინააღმდეგაც.

კავკასიის ფრონტის მოშლა და ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს მშობლიური სხეულისაგან ხელმეორედ მოწყვეტა გამოიწვია 1917 წ. თებერვლის რევოლუციისა და ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების შედეგად წარმოქმნილმა საერთო ანარქიამ და ქაოსმა; არმიის პოლიტიზირებამ და მხედრული დისციპლინის მოშლამ; ბოლშევიკების ვიწრო პოლიტიკურმა ინტერესებმა, რაც ნაკარნახევი იყო არმიაზე დაყრდნობით ცენტრალურ რუსეთში თავიანთი ხელისუფლების განმტკიცებისა და განაპირა მხარეებში მისი გავრცელების ინტერესებით.

ზემოაღნიშნულს ემატებოდა ამიერკავკასიის მთავრობის ძალაუფლების შეზღუდულობა და უუნარობა ერთიან სახელმწიფოებრივ საწყისებზე მოეწყო ქვეყნის თავდაცვა; აშკარად იგრძნობოდა წინააღმდეგობანი მმართველ სოციალისტურ პარტიებს, აგრეთვე, სხვადასხვა მენტალიტეტის, რელიგიური აღმსარებლობისა და პოლიტ-

იკური ორიენტაციის ხალხებს შორის, რასაც კიდევ უფრო ამწვავებდა ოსმალეთის მიერ კარგად ორგანიზებული აგენტურის პროპაგანდისტული საქმიანობა.

ამიერკავკასიის მმართველი კომისარიატის აშკარა შეცდომად უნდა ჩაითვალოს ბრესტ-ლიტოვსკში გერმანიის ბლოკის სახელმწიფოებსა და რუსეთის საბჭოთა მთავრობას შორის დაწყებული საზავო მოლაპარაკებისაგან თავის არიდება. ჩვენი აზრით, ასევე უნდა შეფასდეს ქართველი ერის წამყვანი პოლიტიკოსების „ლოდინის პოლიტიკა" და იგნორირება „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" მიერ 1917 წ. დეკემბერში ბერლინიდან შემოთავაზებული წინადადებისა, რომ არ დაეყოვნებიათ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, რომლის აღიარების პასუხისმგებლობასაც, ბრესტის საზავო კონფერენციაზე კისრულობდა გერმანიის მთავრობა. ამ წინადადების უარყოფით დაგვიანდა არა მარტო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, არამედ მისი სახელმწიფოებრივი მშენებლობისა და განმტკიცების საქმეც. ამასთან, ხელიდან იქნა გაშვებული ოსმალეთთან ომამდელ (1914 წ.) საზღვრებში საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის შესაძლებლობა.

ტრაპიზონის საზავო კონფერენცია (1918 წ. 14 მარტი - 5 აპრილი) უშედეგოდ დამთავრდა მხარეთა ინტერესების მკვეთრად განსხვავებულობის გამო. ამიერკავკასიელი პოლიტიკოსების გეგმით, მას უნდა მოეტანა ოსმალეთთან საბოლოო ზავი ომამდელ საზღვრებში. ამ მოტივით, ისინი ბოლომდე ერიდებოდნენ კონფერენციის ჩაშლას და უმოქმედობას იჩენდნენ თავდაცვის განმტკიცების საქმეში. ოსმალეთი კი ტრაპიზონის მოლაპარაკებით ვარაუდობდა მიეღწია მისთვის სასურველი ახალი ზავისათვის. მისწრაფებათა ამ სხვადასხვაობის და ამიერკავკასიის სამხედრო-პოლიტიკური სისუსტის ვითარებაში, ოსმალეთი ბათუმ-ყარს-არტაანის ოლქებს დაეუფლა ძალმომრეობით და თვითგამორკვევისათვის დემოკრატიული რეფერენდუმის ჩატარების იგნორირებით, რითაც უხეშად დაარღვია თვით ბრესტის ხელშეკრულება და საერთაშორისო სამართლის ნორმები.

ასეთივე ძალისმიერი მეთოდებით გამოირჩეოდნენ ოსმალები ბათუმის საზავო კონფერენციაზეც (1918 წ.11 მაისი – 4 ივნისი),

რადგან შესაძლებლად ჩათვალეს „თურანის“ განხორციელება. ამიტომ, აღარ დასჯერდნენ ბრესტის ხელშეკრულების ფარგლებში მოლაპარაკებას და კავკასიაში ბოლშევიზმის გავრცელების საშიშროების მომიზეზებით, დაიწყეს სამხედრო ოპერაციები მის დასაკავებლად. ამავე მოტივით, მათი საზავო დელეგაცია ბათუმის კონფერენციაზე აყენებდა დიდ ტერიტორიულ და პოლიტიკურ მოთხოვნებს, რაც მათივე მოკავშირე გერმანიის და ავსტრია-უნგრეთის უკმაყოფილებას და პროტესტს იწვევდა.

შექმნილ ვითარებაში ამიერკავკასიის საზავო დელეგაციის ქართველმა წევრებმა მართებულად ჩათვალეს გამოეყენებინათ მოკავშირეებს შორის არსებული უთანხმოებები და გერმანიის დახმარებით აელაგმათ ოსმალეთის აგრესიული მისწრაფებები. მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსავლად მათ მიიჩნიეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება და გერმანიის მფარველობის ქვეშ შესვლა. ამისათვის დიპლომატიური საფუძვლები ბათუმის კონფერენციის კულუარებში შემზადდა და 1918 წ. 26 მაისს თბილისში განხორციელდა კიდეც.

ბათუმის საზავო კონფერენციის დასკვნით ეტაპზე, 1918 წ. 4 ივნისს, ოსმალეთმა იარაღის მუქარით აიძულა ახალბედა საქართველოს რესპუბლიკა ბრესტის ზავით გათვალისწინებული ბათუმყარს-არტაანის გარდა დაეთმო ახალციხის და ახალქალაქის მაზრებიც. თავსმოხვეული „ზავის და მეგობრობის ხელშეკრულება“ შეიცავდა სხვა დისკრიმინაციულ მუხლებსაც, რაც უთანაბრო პირობებში აყენებდა საქართველოს. ერთადერთი პოზიტიური, რაც ამ დოკუმენტს გააჩნდა, იყო ოსმალეთის მიერ საქართველოს რესპუბლიკის „დე-ფაქტოდ“ აღიარება.

1918 წ. ოკუპაციის პერიოდში, დამპყრობლებმა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შემოიღეს თავიანთი მმართველობითი სტრუქტურა. მაღალ თანამდებობებზე მხოლოდ ოსმალები დანიშნეს, მათი მომხრე ადგილობრივი პრივილეგიური ფენების წარმომადგენელთა სახელისუფლებო პრეტენზიები კი დაბალი სამოხელეო თანამდებობებით შემოფარგლეს. ამან გაანაწყენა აღა-ბეგები. უკმაყოფილება გააძლიერა, აგრეთვე საოკუპაციო ხელისუფლების გადაწყვეტილებამ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიწათმფლობე-

ლობის ოსმალური წესების შემოღებისა და ადგილობრივ მაჰმადიანთა ოსმალეთის მოქმედ არმიაში მობილიზაციის შესახებ. ამას ემატებოდა სურსათ-სანოვაგის ინტენსიური რეკვიზიცია და ადგილობრივ ფასეულობათა ძარცვა. ყოველივე ამან, სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს მოსახლეობა საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ განაწყო. განმათავისუფლებელ მოძრაობას ორგანიზებულად წარმართავდა თბილისში შექმნილი „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი", თავისი ოზურგეთის და ახალციხის განყოფილებებით.

ოკუპაციის პერიოდში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალებს, მართალია არ გაუუქმებიათ საქალაქო თვითმმართველობები, მაგრამ უკიდურესად შეზღუდეს მათი უფლებები და ფინანსური შემოსავლები. ამის მიუხედავად, თავიდანვე დემოკრატიული ტრადიციებით გამორჩეული ბათუმის თვითმმართველობის საქმიანობა არ ჩამკვდარა. მასში შენარჩუნებულ იქნა პატრიოტ ქართველთა ბირთვი, რომელთაც კარგად ესმოდათ ქალაქის საჭიროებანი და შეძლებისდაგვარად ზრუნავდნენ მათ გადასაწყვეტად.

ბათუმის კონფერენციის შემდეგ გერმანიასა და ოსმალეთს შორის წინააღმდეგობები კავკასიაში გავლენის სფეროების განაწილების საკითხში უფრო დაიძაბა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ისარგებლა ამით და მოითხოვა „ოსმალთა ხიშტებით" თავსმოხვეული ბათუმის ზავის გადასინჯვა ოსმალეთის ყველა მოკავშირის მონაწილეობით და გაყალბებით ჩატარებული რეფერენდუმის განმეორებით მოწყობა. ოსმალეთის მთავრობაც იძულებული გახდა დათანხმებოდა ახალი საზავო კონფერენციის კონსტანტინოპოლში მოწვევას, მაგრამ იგი რამდენჯერმე გადაიდო და ბოლოს არც შემდგარა. ასევე არ ჩატარებულა ახალი რეფერენდუმიც, ოსმალეთის და მისი მოკავშირეების მსოფლიო ომში მალე დამარცხების გამო.

1914-1918 წლებში ოსმალთა და სხვა არაკეთილმოსურნე ძალების მიერ ჩატარებული მიზანმიმართული ძირგამომთხრელი საქმიანობის შედეგად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში თავი იჩინა ძნელად გადასაჭრელმა სოციალურ-პოლიტიკურმა პრობლემებმა, რაც, პირველ ყოვლისა, რეგიონური სეპარატიზმის გააქტიუ-

რებით გამოიხატა. ამის შედეგად, 1918-1920 წლებში, აქ ზედიზედ სამჯერ ჰქონდა ადგილი თვითმარქვია სეპარატული „სახელმწიფოს“ შექმნის უშედეგო ცდებს. პირველად ახალციხეში, შემდეგ ყარსში და ბოლოს - ბათუმში. სამივე შემთხვევაში შინაური სეპარატისტები და მტრული საგარეო ძალები ცდილობდნენ ესარგებლათ ახალბედა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინაშე მდგომი სირთულეებით და მისგან მოეწყვიტათ ისტორიული ტერიტორიები. ამით, მნიშვნელოვანი საშინაო და საგარეო გართულებები შეექმნა საქართველოს მთავრობას, რომელსაც თითქმის ორი წელიწადი დასჭირდა სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ძირითადი ტერიტორიების დასაბრუნებლად და მსოფლიო ომის შედეგად წარმოქმნილი მძიმე სოციალური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გასაჯანსაღებლად.

СИОРИДЗЕ МАЛХАЗ МАКАРОВИЧ

ЮГО-ЗАПАДНАЯ ГРУЗИЯ В 1914-1918 ГОДАХ (СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКОЕ И ПОЛИТИЧЕСКОЕ ПОЛОЖЕНИЕ)

Резюме

Историческая Юго-Западная Грузия, которая в результате османского господства на продолжительное время была оторвана от единого национального организма и которую Илья Чавчавадзе условно называл «Османской Грузией», до сих пор не изучена в достаточной мере в научном плане. Предметом монографического исследования не являлось до сегодняшнего дня и изучение социально-экономического и политического положения в Юго-Западной Грузии 1914-1918 годов. В грузинской историографии освещены лишь некоторые вопросы 1917-1918 годов и те, в основном недостаточно, ибо авторы преимущественно сосредотачивались на анализе проблем истории Аджарии и Самцхе-Джавахети. Другим же историческим регионам на территории обширной Юго-Западной Грузии не уделялось должного внимания. Таким образом, объектом нашего исследования является также Артвинский округ, Ардаганский округ, Карская область и входивший в состав современного Турецкого государства грузинский историко-этнографический край Чанети (Лазистан).

В труде изучена и проанализирована городская жизнь, горно-металлургическая промышленность чорохского бассейна, сельское хозяйство, и другие отрасли экономики, также, социальное положение и общественно-политическая ситуация Юго-Западной Грузии

довоенного и военного периодов. На основе новых архивных материалов и других первоисточников выявлены те изменения и особенности, которые были следствием превращения этого края в арену военных действий, революционных процессов и османской оккупации.

В работе освещены военные операции (Чорохского бассейна, Ризе-Трапезундского и Карско-Саркамышского направления) имевшие место на юго-западном участке Кавказского фронта; рассмотрена деятельность эмигрантского «Комитета независимости Грузии» и его легиона, выяснено отношение к ним коренного населения Юго-Западной Грузии; установлен их вклад в борьбу за единую грузинскую государственность; проанализированы малоизученные факты репрессий в отношении грузин-мусульман, обвиненных правительством Российской Империи во «всеобщей государственной измене»; разъяснены мотивы выдвижения таких обвинений со стороны властей; показана поддержка грузинского общества несправедливо репрессированным собратьям - мусульманам, а также, большая культурно-просветительская деятельность, развернутая в мусульманской Грузии с 1916 года и, в целом, активизация борьбы за национальное самосознание; изучена общественно-политическая и социальная ситуация сложившаяся после Февральской революции 1917 г. в разных уголках Юго-Западной Грузии, в том числе в Лазистано-Трапезундском крае; определено отношение к происходящим событиям действующих здесь политических и общественных сил; разъяснены причины распада Кавказского фронта и на этом фоне обострение политической ситуации в регионе; по новому проанализированы и оценены известные события Марта 1918 года в Батуми, которые в историографии советского периода были освещены необъективно; детально изучены дипломатические и военные мероприятия в Юго-Западной Грузии весной 1918 года; представлены малоизвестные в историографии факты и события османской оккупации 1918 года; выявлено противостояние османских и германских интересов в регионе и использование этих обстоятельств

правительством Грузинской демократической республики в целях возвращения захваченных османами территорий Юго-Западной Грузии.

На основе изучения и анализа вышепоставленных проблем, автор делает следующие основные выводы:

1.Превращение Юго-Западной Грузии в арену войны нанесло значительный ущерб находящимся на подъеме промышленности и сельскому хозяйству. Но, несмотря на это, экономическая жизнь не замерла. В короткий срок заработали медно-плавильные производства Артвинского края и батумские фабрики-заводы, выполнявшие заказы военного ведомства России.

Нужды армии вызвали и рост производства чая. С 1916 года началось восстановление цитрусоводства, оливкового и других отраслей сельского хозяйства. Таким образом, создавались условия по улучшению социально-экономических условий разоренного войной местного населения. Но с конца 1917 года, в результате анархии и османской оккупации, вышеназванные работы были прекращены.

2.Война и оккупация нанесли серьезный ущерб городам региона. Хотя в ряде из них не замирала городская жизнь, характерная для буржуазной эпохи. Наглядным примером этому являлся Батуми, демократическое ядро руководителей самоуправления которого, несмотря на финансовые и другого рода трудности, смогло защитить жизненные интересы населения и сохранить городское хозяйство.

3.Пограничной Юго-Западной Грузии в Кавказском ареале придавалось преимущественное стратегическое значение. Поэтому османы с самого начала войны постарались занять её. Оккупация оказалась короткой. Многонациональная армия России, значительную часть которой составляли грузины, с боями вернула

потерянные территории. Был освобожден также т.н. "Турецкий Лазистан" (Чанети), чем создались условия для восстановления Грузии в исторических границах.

4.Определенная часть грузинского общества восстановление национальной государственности увязывала с победой в мировой войне германского блока. Реализацию данной задачи ставили перед собой эмигрантский "Комитет независимости Грузии" и действующий в Турции - "Грузинский легион". В обеспечении их жизнеспособности позитивную роль сыграли грузинские мухаджиры в Турции. С другой стороны, совместная борьба в легионе грузин различного вероисповедания способствовала преодолению чувства отчужденности, формированию единого национального сознания и государственного мышления.

5.Инициатором обвинения грузин-мусульман во "всеобщей государственной измене" были российские высокие военные чины. Этим они хотели оправдаться перед властями за паническое отступление на фронте. Этим же создавалась юридическая основа для расселения, на землях бежавших в Турцию и объявленных "предателями", благонадежных для империи лиц и завершения колонизации этого пограничного края. От этой опасности соотечественников спас энергичный единый протест и поддержка грузинского общества.

6.Своей спецификой отличалось и сложившееся здесь общественно-политическое положение, вызванное проводимой царизмом еще до войны аграрно-колониальной, социальной, конфессиональной политикой, направленной против объединения грузин различных провинций и вероисповеданий. Последствия подобной деятельности остро проявились в условиях демократических свобод и в результате Февральской революции 1917 года.

7.Двоевластие вызвало серьезный разброд в этнически и конфессионально неоднородной Юго-Западной Грузии, особенно в освобожденных войной Лазистанском и Трапезундском краях. Здесь фактически сложилось многовластие, когда разные политические силы или же "национальные советы" разных национальностей стремились завладеть властью на местах. Это осложняло управление регионами, углубляло ориентационную путаницу местного населения и усиливало среди них антигосударственные настроения.

8.Распад Кавказского фронта и отпадение исторической Юго-Западной Грузии от национального организма были вызваны последовавшими за революцией 1917 года всеобщей анархией и хаосом; политизированием армии и упадком воинской дисциплины; узкими интересами большевиков, продиктованными стремлением, с опорой на армию, упрочить свою власть в центральной России и распространить ее на периферийные области.

К этому добавлялись дипломатические ошибки допущенные властями Закавказья и проявленная ими неспособность организовать защиту страны, а также разногласия, возникшие между правящими партиями и народами Закавказья, которые еще более обострялись пропагандой хорошо организованной османской агентуры.

В этих условиях для Закавказской федерации безрезультатно закончились Трапезундская и Батумская мирные конференции, протекавшие под дипломатическим нажимом и в условиях наступления на фронте Османов. Это ускорило объявление независимости Грузии и установление над ней немецкого покровительства, дипломатические основы которого были созданы в кулуарах Батумской мирной конференции.

9.Османский оккупационный режим 1918 года и проведенная им социально-экономическая политика настроила почти все слои

коренного населения Юго-Западной Грузии против него. Освободительным движением управлял созданный в Тбилиси "Освободительный комитет мусульманской Грузии".

10.Правительство демократической республики Грузии хорошо использовало разногласия, возникшие между Германией и Турцией в вопросе о сферах влияния в Закавказье и достигло от них предварительного согласия о созыве новой мирной конференции по пересмотру навязанного османами Батумского мирного договора. Хотя она и не состоялась из-за скорой капитуляции османов в войне.

11.В результате целенаправленной антигрузинской деятельности, проведенной в 1914-1918 годах османами и другими недоброжелательными силами, в Юго-Западной Грузии проявились трудноразрешимые проблемы, в первую очередь выразившиеся в нарастании регионального сепаратизма. Это вызвало значительные внутренние и внешние осложнения для молодой демократической республики Грузии. Ей понадобилось почти два года для возвращения основных территорий юго-западного края и оздоровления тяжелого социального и общественно-политического положения, сложившегося в результате войны.

სარჩევი

შესავალი 3

თავი I

წყაროები და ისტორიოგრაფია

§1. წყაროები 7

§2. ისტორიოგრაფია 19

თავი II

სამხრეთ-დასავლეთი საქართველო პირველი მსოფლიო ომის წინ

§1. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 33

§2. საზოგადოებრივ–პოლიტიკური ვითარება 52

თავი III

საომარი მოქმედებები სამხრეთ–დასავლეთ საქართველოში 1914-1916 წლებში

§1. სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ოსმალეთის გეგმებში 64

§2. საბრძოლო ოპერაციები 70

§3. „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ და „ქართული ლეგიონი“ ოსმალეთში 86

თავი IV

სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება 1914-1916 წლებში

§1. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 96

§2. საქალაქო ცხოვრება 108

§3. „სახელმწიფო ღალატში“ ბრალდება და რეპრესიები 126

§4. კოლონიზაციის დასრულების რუსეთისეული ცდები; ეროვნული გათვითცნობიერებისათვის ბრძოლის გააქტიურება 144

თავი V

სამხრეთ–დასავლეთი საქართველო ამერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის („ოზაკომი“), კომისარიატის და სეიმის მმართველობის პერიოდებში

§1. ხელისუფლების რეორგანიზაცია. პოლიტიკური პარტიების და საზოგადოებრივი ძალების დამოკიდებულება მიმდინარე მოვლენებისადმი 151

§2. ფრონტის რღვევა და პოლიტიკური სიტუაციის გამწვავება 180

§3. 1918 წლის მარტის მოვლენები ბათუმში 191

§4. სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს საკითხი ტრაპიზონის კონფერენციაზე და ამერკავკასიის სეიმში 200

თავი VI

ოსმალთა ექსპანსია და ოკუპაცია (1918 წ. აპრილი-დეკემბერი)

§1. ბათუმის თავდაცვა; საბრძოლო ოპერაციები ჩოლოქ-ოზურგეთსა და სამცხე-ჯავახეთში 216

§2. ბათუმის საზავო კონფერენცია 234

§3. ოსმალთა საოკუპაციო რეჟიმი. განმათავისუფლებელი მოძრაობა 248

§4. ოსმალეთ-გერმანიის ინტერესთა დაპირისპირება რეგიონში; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ღონისძიებები მისი დაბრუნებისათვის 264

დასკვნები 287

რეზიუმე (რუსულ ენაზე) 297